სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
SOKHUMI STATE UNIVERSITY

საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი
Institute of Georgia's History and Etnology

მარი ბროსე
210
MARIE BROSSET
210

თბილისი/ TBILISI
2012

უაკ (UDC) 811.353.1+811.2.112.2
მ – 31

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები ეძღვნება გამოჩენილი ფრანგი ორიენტალისტის, ქართველოლოგიის ფუძემდებლის - ***მარი ფელისიტე ქსავიე ბროსეს*** დაბადებიდან 210 წლისთავს. კრებულში წარმოდგენილია შრომები საკუთრივ მარი ბროსეს, საქართველოსა და მსოფლიო ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და გეოპოლიტიკის სხვადასხვა საკითხებზე.

კრებული განკუთვნილია როგორც სპეციალისტების, ასევე ფართო მკითხველი საზოგადოებისათვის.

The proceedings of Institute of Georgia's History and Ethology of Sokhumi State University is dedicated to 210th Anniversary of Marie Félicité Brosset – the famous French Orientalist and founder of Armenian Studies and Kartvelian Studies.

რედაქტორები:
ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა

Editors:
Lia Akhaladze, Bejan Khorava, Kakha Kvashilava

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2012

© ლ. ახალაძე, 2012

ISBN 978-9941-10-684-2

ს ა რ ჩ ე ვ ი = C O N T E N T

მარი ბროსე — 210 = MARIE BROSSET – 210

ბეჟან ხორავა, ლია ახალაძე
მარი ბროსე – ქართველოლოგიის ფუძემდებელი და გულშემატკივარი..... 7
Bejan Khorava, Lia Akhaladze
Marie Brosset – Founder of Kartvelian Studies and Supporter 12

ლია ახალაძე,
მარი ბროსე და აფხაზეთის ეპიგრაფიკის საკითხები..... 13
Lia Akhaladze
Marie Brose and Epigraphic issues of Abkhazia 20

საქართველო – გეოპოლიტიკური კვლევები
GEORGIA – GEOPOLITICS STUDIES

თამარ ბელქანია, ტარიელ ფუტკარაძე,
საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ
(გეოპოლიტიკური კონტექსტი) 21
Tamar Belkania, Tariel Putkaradze
Information War against Georgia /Geopolitical context/ 29

კახაბერ ფიფია,
გვიანანტიკური და თანამედროვე საქართველოს ისტორიული
პარალელები: გეოპოლიტიკური ასპექტი 30
Kakhaber Pipia
Historical Parallels of Late Antique and Modern Georgia -
Geopolitical Aspects 40

გიორგი ქავთარაძე
საქართველო, კავკასიონი და გეოპოლიტიკა – წარსული და
თანამედროვეობა 41
Giorgi L. Kavtaradze
Georgia, the Caucasus and Geopolitics – Past and Prezent 59

დაზმირ ჯოჯუა
ზოგიერთი მოსაზრება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის
გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ შედეგებთან დაკავშირებით 60

Dazmir Jojua
Some Idea Regarding The Geopolitical And Geostrategic Implications Between Russia-Georgia War In 2008 72

საქართველოს ისტორია = HISTORY OF GEORGIA

ავთანდილ კილასონია
ლეკები ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობაში XVIII ს. I ნახევარში 73
Avtandil Kilasonia
Relationship of Lezgians with Kartli-Kakheti and Iran 82

კახაბერ ფიფია
პონტოს სამეფოდან კოლხეთის გამოყოფის საკითხისათვის 83
Kakhaber Pipia
The Issue of Separation of Colchis from the Kingdom of Pontus 92

ზაზა წურწუმია
მუსტაფა ბუტბაი და მისი „მოგონებები კავკასიაზე“ 93
Zaza Tsurtsumia
Mustafa Butbay and his „Memories of the Caucasus“ 116

რამაზ ჭანტურია
სომხური წრეების პრეტენზიები ქართულ მიწებზე XIXს. - XXს. 20-იანი წლები 118
Ramaz Chanturia
The Claims of the Armenian Circles to the Georgian Lands 122

ზურაბ პაპასქირი,
კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი კავკასიური ომი XIX საუკუნეში და მისი შედეგები 123
Zurab Papaskiri,
Some aspects of Russian imperial Policy in the Caususus the Caucasian war in the XIX century and its Result 132

დავით ჭითანავა
ქართველთა თვითსახელწოდების „ქართლი“ – „ქართველის“ მნიშვნელობისათვის 133
David Chitanava
For the Semantic Meaning of Georgians' Ethnonym – "Kartli", "Kartveli" 143

ბეჟან ხორავა
ყირიმის ომი და აფხაზეთი 145
Bezhan Khorava
The Crimean War and Abkhazia 179

დაზმირ ჯოჯუა,
რუსეთ-საქართველოს 1812 წლის ომი (კახეთის აჯანყება) ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსის შუქზე..... 180
Dazmir Jojua
Russia-Georgia War in 1812 year (Kakheti rebellion) in the light of Georgian anti-imperialistic discourse 185

მსოფლიო ისტორია = *WORLD HISTORY*

ომარ არდაშელია
„თურქული რენესანსის“ დასაწყისი 186
Omar Ardashelia
Beginning of “Turkish Renaissance” 193

კახა კვაშილავა
ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიაში არსებული წინააღმდეგობების სოციალური ასპექტების საკითხისათვის 194
Kakha Kvashilava
The Social Aspects of Confrontantions Existing in the People’s Democratic Party of Afghanistan 204

ისტორიოგრაფია = *HISTORIOGRAPHY*

გურამ ყორანაშვილი
გიორგი სოსელია საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ 205
Guram Koranashvili
Giorgi Soselia about an origination of Social classes and Statehood in Georgia 212

არქეოლოგია, ეთნოლოგია = *ARCHAEOLOGY, ETHNOLOGY*

მალხაზ ბარამიძე,
აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რკინის მეტალურგიის ზოგიერთი საკითხი 213
Malkhaz Baramidze
Some aspects of Iron metallurgy of Eastern Black Sea littoral..... 225

დავით ჭითანავა
„რაკუტიას“ რიტუალი 227
David Chitanava
The Ritual of „Rakutia“ 229

ელისო ბაღათურია-კნერ
ჩაცმულობა აფშილეთში 230
Eliso Bagaturia
Clothings in Absilia..... 241

ნოდარ ბერულავა, დარიკო ფიფია
ადრეშუასაუკუნეების დასავლეთევროპული საგმირო ეპოსის ზოგიერთი ასპექტის გაგებისათვის 248
Nodar Berulava, Dariko Pipia
To underctanding of some aspects of the early Medieval epos..... 253

გამოსათხოვარი = *VALEDICTORY*

პაპუნა გაბისონია
თამაზ ბერაძის ხსოვნას 254
Papuna Gabisonia
To the Memory of Tamaz Beradze..... 254

თამაზ ბერაძე – გამოსათხოვარი 257
Tamaz Beradze - Valedictory 257

ჩვენი ავტორები 259

ბეჭან ხორავა
ლია ახალაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარი ბროსე ქართველოლოგიის ფუძემდებელი და გულშემატკივარი

ფრანგი ორიენტალისტი, ქართველოლოგი და არმენოლოგი მარი ფელისიტე ქსავიე ბროსე 1802 წლის 5 თებერვალს პარიზში დაიბადა. დაწყებითი განათლება ორლეანის სემინარიაში მიიღო. 1816 წელს, სემინარიის დამთავრების შემდეგ, მარი ბროსე სწავლის გასაგრძელებლად დედაქალაქში ჩავიდა, სადაც 1821 წელს პარიზის აკადემიის ლიტერატურის ფაკულტეტი დაამთავრა და ლიტერატურის ბაკალავრის წოდება მოიპოვა. ამ გამოცდების ჩაბარების დროს მან თავი განსაკუთრებით კლასიკური ენების – ბერძნულისა და ლათინურის ცოდნით გამოიჩინა.

მარი ბროსე ერთხანს სასულიერო სემინარიაში მასწავლებლად მუშაობდა, მაგრამ მალე დარწმუნდა, რომ მისი მოწოდება მეცნიერული მუშაობა იყო, ამიტომ მასწავლებლობა მიატოვა და აღმოსავლეთის ქვეყნების თეოლოგიისა და ისტორიის შესწავლას შეუდგა. ერთხანს ის ბერძნულ საეკლესიო ძეგლებზე მუშაობდა, სწავლობდა ჩინურს, არაბულს, დაინტერესებული იყო ჩინეთის ისტორიითა და კულტურით. მან აღწერა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ჩინური ხელნაწერები, იკვლევდა ჩინურ პოეზიას. პარალელურად, მან ქართული, რუსული და სომხური ენები საფუძვლიანად შეისწავლა. 1826 წლიდან მარი ბროსე საქართველოს წარსულით, ქართული ენითა და ლიტერატურით აქტიურად დაინტერესდა. ამის შემდეგ სიცოცხლის ბოლომდე ფრანგ სწავლულს ქართველოლოგიისათვის არ უღალატია.

მარი ბროსემ ქართული ენა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ხელნაწერებით შეისწავლა. ამ მიზნით მან ბაქარ ბატონიშვილის მიერ 1743 წელს გამოცემული ქართული ბიბლია დაამუშავა, საკუთარი ხელით გადაწერა და ფრანგულად თარგმნა პარიზის ეროვნულ ბიბლიოთეკაში დაცული ვახტანგ VI-ის კანონთა კრებული, „ვეფხისტყაოსანი", საისტორიო ქრონიკები და სხვა ქართული ხელნაწერები. პარიზში ცხოვრების დროს მარი ბროსე შემთხვევას არ უშვებდა ხელიდან, რომ ამ ქალაქში ჩასულ ქართველებთან კონტაქტი დაემყარებინა. 1830 წელს ის ქართლ-კახეთის მეფის გიორგი XII-ის (1798-1800) ვაჟს, პერტერბურგში მცხოვრებ თეიმურაზ ბატონიშვილს დაუკავშირდა. ამის შემდეგ მარი ბროსეს ცხოვრებაში ახალი ეტაპი დაიწყო.

გამოჩენილი ქართველი სწავლული თეიმურაზ ბატონიშვილი (1782-1846) რუსეთის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის, პარიზის აზიური საზოგადოებისა და კოპენჰაგენის სიძველეთა შემსწავლელი სამეფო საზოგადოების წევრი იყო. თეიმურაზ ბატონიშვილთან თანამშრომლობამ ძალზე გაამდიდრა მარი ბროსეს ცოდნა ქართველოლოგიაში. ამიტომაც იყო, რომ ფრანგი სწავ-

ლული ქართველ უფლისწულს თავის მასწავლებლად მიიჩნევდა. თეიმურაზ ბა-ტონიშვილის რეკომენდაციით მარი ბროსე 1836 წელს რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში მიიწვიეს, ხოლო 1838 წელს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად აირჩიეს. ამ გარემოებამ ფრანგ მეცნიერს საშუალება მისცა თავისი შემოქმედების უდიდესი ნაწილი საქართველოს წარსულის შესწავლისათვის დაეთმო.

მარი ბროსეს ახალგაზრდულ შემართებას, სამეცნიერო საქმიანობისადმი სიყვარულს, მრავალი ევროპული და აღმოსავლური ენის ცოდნა ერთვოდა. მისი პეტერბურგში მოღვაწეობის დასაწყისი რუსეთის ოფიციალური წრეების ანტიქართული პოლიტიკის ხანას დაემთხვა, რაც 1832 წლის შეთქმულების გამოძახილი უნდა ყოფილიყო. სახელისუფლო წრეების პოლიტიკა, პირველ რიგში, რუსეთის მეცნიერთა ერთმა ნაწილმა გაითავისა. სამეცნიერო ჟურ-ნალებში ქვეყნდებოდა ნაშრომები, წიგნები, რომლებშიც ტენდენციურად იყო განხილული ძველი ქართული მწერლობა, ხელოვნება და საქართველოს ისტო-რია. ამ მხრივ, განსაკუთრებით, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორი ო. სენკოვსკი გამოირჩეოდა, რომელიც 1838 წელს გამოქვეყნებულ წერილში ამტ-კიცებდა, რომ ქართველებს, ფაქტობრივად, არც ძველი ლიტერატურა და, მით უფრო, არც ძველი ისტორია არ გააჩნდათ, ხოლო ქართველთა წმიდათა-წმიდა წიგნი „ქართლის ცხოვრება“, XVIII საუკუნეში იყო დაწერილი. უფრო მეტ-იც, ო. სენკოვსკის მტკიცებით, ქართველებს საქართველოში XII საუკუნემდე საერთოდ არც უცხოვრიათ და ამ ქვეყანაში მხოლოდ მასაგეტები, თურქები და სომხები ცხოვრობდნენ. თავისი მოსაზრების მეტი დამაჯერებლობისათვის, ო. სენკოვსკი შეეცადა უარეყო აბსოლუტური ჭეშმარიტება: ძველ ბერძნულ და რომაულ, აგრეთვე, ბიზანტიურ საისტორიო თხზულებებში მოხსენიებული აღმოსავლეთის იბერებისა და ქართველების იგივეობის შესახებ. ო. სენკოვსკი ხმამაღლა აცხადებდა, რომ ქართველების ისტორია მხოლოდ გიორგი I-ისა და დავით აღმაშენებლის ეპოქიდან იწყებოდა; ქართველების ცნობილი მეფე ვახტანგ გორგასალი კი ერთ-ერთი თურქული ტომის ბელადად უნდა ჩაეთ-ვალათ. სამეცნიერო წრეების ასეთი განწყობის ფონზე მარი ბროსეს მიერ ქართველოლოგიის ობიექტური კვლევა თავისებურ გმირობას წარმოადგენდა. მან ღრმა მეცნიერული წერილებით სათანადო პასუხი გასცა რუსულ პრესაში დომინირებულ ანტიქართულ გამოხდომებს და ქართული ლიტერატურისა და ისტორიის შესახებ ქართული და უცხოენოვანი წყაროების შეგროვება-შესწავლა დაიწყო. ამ საქმეში მას დიდ დახმარებას უწევდა ევროპული თუ აღმოსავლური ენების ცოდნა. ამ დროისათვის ის თითქმის სრულყოფილად ფლობდა ბერძნულ, ლათინურ, სომხურ, სპარსულ, არაბულ ენებს. ამ ენებზე კი საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანესი წყაროები არსებობდა. ამასთანავე, დაუღალავი შრომის შედეგად მარი ბროსემ არაერთი ძველი ქართული ხელნაწერი წიგნი შეისწავლა და გამოაქვეყნა.

განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას მარი ბროსე „ქართლის ცხოვრებას“ ანიჭებდა. XIX საუკუნის ისტორიოგრაფიაში ფრანგმა მეცნიერმა პირველმა დაასაბუთა, რომ „ქართლის ცხოვრება“ XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლის

მეფის ვახტანგ VI-ის ბრძანებით დაწერილი თხზულება კი არ იყო, არამედ სხვადასხვა დროს, სხვადასხვა საუკუნეში დაწერილ საისტორიო თხზულებათა კრებულს წარმოადგენდა, რომლის თავდაპირველი ვარიანტი ჯერ კიდევ VII-VIII საუკუნეებში შეიქმნა.

მარი ბროსე ქართველთა ამ წმიდა წიგნის თანადროულად შუა საუკუნეების სხვა ქართულ ნარატიულ საისტორიო წყაროებს – XVII–XVIII საუკუნეების ქართველი ისტორიკოსების: ფარსადან გორგიჯანიძის, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძისა და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულებებს სწავლობდა. ფრანგმა ქართველოლოგმა სულ რამდენიმე წელიწადში „ქართლის ცხოვრებისა“ და ამ ქართველი ისტორიკოსების შრომათა ტექსტები და მათი ფრანგული თარგმანები გამოსაცემად მოამზადა. XIX საუკუნის 40-იანი წლების დასაწყისიდან რუსეთის ხელისუფლების დამოკიდებულება ქართველების მიმართ გარკვეულწილად შეიცვალა. შეიცვალა ქართველი ხალხის წარსულითა და კულტურით დაინტერესებაც. შეცვლილი ვითარება ამ ტიპის ნაშრომთა გამოქვეყნებისათვის ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა.

1848-1858 წლებში მარი ბროსემ რუსეთის საიმპერატორო აკადემიის ხელშეწყობით ქართული ნარატიული საისტორიო წყაროებისა და მათი ფრანგული თარგმანების პუბლიკაცია 7 ტომად განახორციელა. პუბლიკაციის ამ სერიას ფრანგმა ქართველოლოგმა პირობითად „ქართლის ცხოვრება“ უწოდა. I ტომი 1849 წელს გამოქვეყნდა და მასში ძირითადად საკუთრივ „ქართლის ცხოვრების“ პირველი ნაწილი შევიდა. „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილის ფრანგულ თარგმანს ფრანგმა სწავლულმა პუბლიკაციის II ტომი დაუთმო. მოკლე ხანში III ტომიც გამოვიდა, რომელშიც „ქართლის ცხოვრების“ ამ ნაწილისადმი დართული შენიშვნები, დამატებები და განმარტებები შევიდა. IV ტომში, რომელსაც მარი ბროსემ „ახალი მოთხრობა“ უწოდა, ფრანგმა სწავლულმა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილი, ვახუშტი ბაგრატიონის, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის, ომან ხერხეულიძისა და ფარსადან გორგიჯანიძის თხზულებები შეიტანა, ხოლო „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილის და ვახუშტი ბაგრატიონის თხზულების მეორე მონაკვეთი, რომელშიც საქართველოს გეოგრაფიული და ისტორიულ-გეოგრაფიული აღწერა შედიოდა, ფრანგულ თარგმანს დაურთო. დანარჩენი სამი ტომი ფრანგმა ქართველოლოგმა, ძირითადად, „ქართლის ცხოვრების“ დამატებებს დაუთმო. მარი ბროსეს ამ მრავალტომეულს ფასდაუდებელი მნიშვნელობა აქვს ქართული კულტურისათვის. აქ გამოქვეყნებული „ქართლის ცხოვრების“ ფრანგული თარგმანით მსოფლიო მეცნიერება პირველად გაეცნო ქართული საისტორიო მწერლობის ამ უნიკალურ ძეგლს. უფრო მეტიც, სამწუხაროდ, მარის ბროსეს შემდეგ დღემდე არავის გამოუცია დასავლეთ ევროპის ენაზე ვახუშტი ბაგრატიონის თხზულება. ასე რომ, შუა საუკუნეების ქართული სასტორიო აზროვნების მწვერვალს ვახუშტი ბაგრატიონს მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის მეცნიერები დღესაც მხოლოდ მარი ბროსეს ფრანგული თარგმანით იცნობენ.

არ დარჩენილა საქართველოს ისტორიის არცერთი დარგი, რომელსაც მისი ხელი არ შეხებოდა. მისი კვლევის სფერო იყო საქართველოს ძველი და შუა

საუკუნეების ისტორია, ეპიგრაფიკა, ნუმიზმატიკა, ბასილიოგრაფია, არქეოლოგია, ქართული ენისა და ლიტერატურის საკითხები. იგი მუშაობდა არმენისტიკაშიც. მან ფრანგულ და რუსულ ენებზე გამოსცა ეჩმიაძინის ბიბლიოთეკის წიგნების კატალოგი. ნიშანდობლივია, რომ მან 1845 წელს ვენეციაში და 1848 წელს ეჩმიაძინში აღმოაჩინა „ქართლის ცხოვრების" ძველი სომხური ვერსიები და საფუძვლიანად შეისწავლა და თარგმნა ისინი. მისი დასკვნით, ეს ვერსიები წარმოადგენენ ქართულიდან თარგმანს.

მარი ბროსემ შემოქმედების დიდი ნაწილი საქართველოს ისტორიის მასალების შეგროვება-დამუშავებას მიუძღვნა. ასეთ მასალებს ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლები, მათი ლაპიდარული თუ ფრესკული წარწერები, იქ დაცული ხელნაწერები თუ საეკლესიო ნივთები მიეკუთვნება. მათი შესწავლისათვის ფრანგ ქართველოლოგს ძალა და ენერგია არ დაუშურებია. მით უფრო, რომ XIX საუკუნის ქართველოლოგიისათვის „საუკეთესო 40-იანმა წლებმა" ამის საშუალება მისცა.

1847 წლის გაზაფხულზე მარი ბროსემ რუსეთის იმპერიის მინისტრთა კომიტეტიდან მიიღო ერთწლიანი სამეცნიერო მივლინება ისტორიულ სამხრეთ კავკასიაში — საქართველოსა და სომხეთში. ფრანგი მეცნიერი ამ მივლინებისათვის საგანგებოდ მოემზადა — საქართველოს ისტორიის შესახებ არსებულ ყველა მასალას კიდევ ერთხელ გადახედა. 1847 წლის 13 აგვისტოს პეტერბურგიდან მოგზაურობისათვის საგანგებოდ შეძენილი ტარანტასით გამოემგზავრა და ძნელი გზის გავლის შემდეგ დარიალის ხეობით, საქართველოს სამხედრო გზით, საქართველოში, თბილისში ჩამოვიდა, სადაც მას ქართული საზოგადოება თბილად შეხვდა. თბილისში დაცული საისტორიო დოკუმენტებისა და ხელნაწერების გაცნობის შემდეგ ფრანგი ქართველოლოგი საქართველოსა და სომხეთის ცალკეული მხარეების გაცნობას შეუდგა. ამ საქმეში მას ქართველებიც ეხმარებოდნენ, რომლებიც ძალზე ხშირად მისი თხოვნით ეკლესია-მონასტრებში დაცულ წარწერებს იწერდნენ, ასლს იღებდნენ და ფრანგ მეცნიერს აწვდიდნენ.

მარი ბროსემ თავდაპირველად აღმოსავლეთ საქართველო — ქართლი და კახეთი მოიარა, მერე სომხეთს ეწვია, სადაც მხოლოდ ერთი თვე დაჰყო, შემდეგ კი დასავლეთ საქართველოში გადავიდა. ფრანგი ქართველოლოგი დასავლეთ საქართველოში პირველად ქუთაისს ეწვია, შემდეგ სამეგრელოს, სამურზაყანოსა და აფხაზეთის ეკლესია-მონასტრებში დაცული სიძველეები შეისწავლა. სამეგრელოდან მარი ბროსე ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში გადავიდა, რომელიც ამ დროს სამეგრელოს სამთავროში შედიოდა. ქვემო სვანეთიდან ის ქუთაისში დაბრუნდა, ამ უძველესი ქართული ქალაქის მიდამოებში გელათისა და ბაგრატის ტაძრები დაათვალიერა და შეისწავლა, შემდეგ კი რაჭის სიძველეებს გაეცნო.

თანდათანობით მარი ბროსეს მივლინების ვადაც ამოეწურა, ამიტომ ის რაჭიდან იმერეთში გადავიდა, იმერეთიდან კი გორს ხელახლა ეწვია და დღევანდელი ცხინვალის რეგიონის ეკლესია-მონასტრების სიძველეები შეისწავლა. 1848 წლის ივლისის ბოლოს მარი ბროსეს სამეცნიერო მივლინების ვადა ამოეწურა და ფრანგი მეცნიერი თბილისიდან პეტერბურგისაკენ გაემართა. კავკასიაში იგი 12 თვე იმყოფებოდა და აქედან 11 თვე საქართველოში გაატარა, 1 თვე კი სომხ-

ეთში. სწორედ ამიტომ მკვლევართა დიდი ნაწილი მას უფრო ქართველოლოგად თვლის ვიდრე არმენოლოგად. მარი ბროსემ საქართველოსა და სომხეთში მოგზაურობის ანგარიში ცალკეული მოხსენებების სახით წარმოადგინა, რომელიც კავკასიის მეფისნაცვალს მიხეილ ვორონცოვს (1844-1854) მიუძღვნა. მან სულ 12 მოხსენება (Rapport) შეადგინა, რომლებიც სანკტ-პეტერბურგში 1849-1851 წწ. სამ წიგნად გამოქვეყნდა. მარი ბროსეს მიერ საქართველოსა და სომხეთში სამეცნიერო მოგზაურობის ანგარიშების გამოქვეყნებამ რუსეთისა და დასავლეთ ევროპის სამეცნიერო წრეებში დიდი ინტერესი გამოიწვია.

საქართველოს დაუკავშირა თავისი ბედი მარი ბროსეს შთამომავალმაც. აღსანიშნავია, რომ მარი ბროსეს შვილიშვილის შვილი, ვიქტორ ბროსე (1893-1937) რუსეთში ბოლშევიკური ხელისუფლების დამყარების შემდეგ საქართველოში გადმოსახლდა და ქართველი ქალი შეირთო. მისი მეუღლე იყო ქართველი მწერლების ანასტასია ერისთავი-ხოშტარიასა და დუტუ მეგრელის (დიმიტრი ხოშტარიას) ქალიშვილი მარიამი. ვიქტორ ბროსე საქართველოში საბიბლიოთეკო და საარქივო საქმის ერთ-ერთი ფუძემდებელი გახლდათ. სამწუხაროდ, გამოჩენილი ფრანგი ქართველოლოგის შთამომავალი 1937 წელს რუსული ბოლშევიზმის რეპრესიებს შეეწირა. მისი ვაჟიშვილი – ედიშერი კი, 1940-იანი წლების რეპრესიების ხანაში იძულებული გახდა მამის გვარზე უარი ეთქვა და დედის გვარზე გადასულიყო, თუმცა, მოგვიანებით, მამისეული გვარიც აღიდგინა. ედიშერმა დიდი ბაბუის გზა აირჩია და ისტორიკოსი გახდა. დღეს საქართველოში ყველამ იცის აკადემიკოს ედიშერ-ხოშტარია-ბროსეს სახელი. ასევე თვალსაჩინო მეცნიერი იყო ამ ოჯახის კიდევ ერთი წარმომადგენელი, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს მეუღლე ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მერი ინაძე. დღეს საქართველოში მეცნიერების სარბიელზე წარმატებით მოღვაწეობენ მარი ბროსეს შთამომავლები, ედიშერ ხოშტარია-ბროსეს ვაჟიშვილები, დავით და დიმიტრი ხოშტარიები. პირველი ხელოვნებათმცოდნეა, მეორე – ბიოფიზიკოსი.

1880 წლის მაისში 78 წლის მარი ბროსემ რუსეთი დატოვა და საფრანგეთში დაბრუნდა. სულ მალე, 22 აგვისტოს (3 სექტემბერს) იგი გარდაიცვალა. მისი ნეკროლოგი ყველა ქართულმა ჟურნალ-გაზეთმა გამოაქვეყნა. „ჯერ ისევ თბილ საფლავზე, ამ საქართველოსთვის დაუვიწყარ კაცს, – წერდა იონა მეუნარგია, – ჩვენგან მხოლოდ მადლობა და პატივი შვენის“ (გაზ.„დროება“, 1880, №184). არქიმანდრიტი გრიგოლი (დადიანი) მაშინ წერდა: „ძველი ივერია, რომლის მინდვრებზე ბროსემ, ვითარცა მოციქულმა ანდრიამ, დასვა ნიშანი მომავალი ქართული ისტორიის წარმარტებისა, იხილავს, ადრე თუ გვიან, ბროსესგან დაწყებულის საქმის დაგვირგვინებას და თავის მხრით თითონ დაუდგამს მას ნიშანს ამ წარწერით: „ბროსეს – მადლობელი საქართველო“ (გაზ. „დროება“, 1880, №188).

მარი ბროსე ფართო დიაპაზონის მეცნიერი იყო, რომელმაც XIX საუკუნის I ნახევარში დაუღალავი და მრავალწლიანი მოღვაწეობით სათავე დაუდო ქართველოლოგიურ კვლევა-ძიებას. მას შემდეგ, ქართველოლოგიური კვლევებით არაერთი ევროპელი, ამერიკელი და აზიელი მეცნიერი დაინტერესდა. ყველა

მათგანს განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ჩვენი ქვეყნის ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეში. მიუხედავად ამისა, მიგვაჩნია, რომ ქართველი მეცნიერები ვალში ვართ მარი ბროსეს ხსოვნის წინაშე, რადგან საერთაშორისო არენაზე იგი იყო არა მარტო მეცნიერული ქართველოლოგიის ფუძემდებელი, არამედ მისი ერთგული დამცველი და გულშემატკივარი.

Bejan Khorava, Lia Akhaladze
Sokhumi State University

MARIE BROSSET – FOUNDER OF KARTVELIAN STUDIES AND SUPPORTER...

Present article is dedicated to creative work of Marie Brosset, the famous French Orientalist and founder of Kartvelian Studies. The authors think that Kartvelian Studies is in the debt to him which was not only of founder of Kartvelian Studies but he was also its true protector.

ლია ახალაძე
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მარი ბროსე და აფხაზეთის ეპიგრაფიკის საკითხები

მიუხედავად იმისა, რომ მარი ბროსეს ცხოვრებას, მოღვაწეობასა და სამეცნიერო საქმიანობას, არაერთი პუბლიკაცია, მათ შორის მონოგრაფიებიც მიეძღვნა, მიგვაჩნია, რომ მისი დამსახურება ქართველოლოგიისა და ზოგადად კავკასოლოგიის წინაშე იმდენად ფუნდამენტურ ხასათს ატარებს, მისი სამეცნიერო საქმიანობის შესწავლა დიდხანს დარჩება მკვლევართა ინტერესების სფერო. განუზომელია მისი ღვაწლი და დამსახურება ქართული კულტურის პოპულარიზაციის საქმეშიც.

სტუდენტობისდროინდელი შთაბეჭდილებების მიხედვით, ჩემთვის მარი ბროსე რომანტიკოსი ქართველოლოგი და ორიენტალისტი, და რაც მთავარია, ჩემს ქვეყანაზე შეყვარებული ფრანგი მეცნიერი იყო, რომელმაც კავკასიის მთებში ჩაკარგული ქვეყანა, სახელად საქართველო, დანარჩენ მსოფლიოს გააცნო. მომავალში ჩემმა შეხედულებებმა რომანტიკული საფარველი მოიცილა და ამ ადამიანში თანდათანობით დავინახე პრინციპული, მიუკერძოებელი და ობიექტური ევროპელი მეცნიერი, რომელიც კვლევის პროცესში გამორჩეულ მნიშვნელობას ანიჭებდა ისტორიული წყაროების მოძიების, მათი ანალიზისა და რეპრეზენტაციის საკითხებს. მიუხედავად ამისა, ვფიქრობ, მარი ბროსესადმი ჩემს შეხედულებებს დღემდე ახლავს იდეალისტური დამოკიდებულება, რაც ერთგვარად განაპირობა მარი ბროსეს ქართველი შთამომავლის, გამოჩენილი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის ედიშერ-ხოშტარია ბროსესთან ასპირანტურის წლებში, სამეცნიერო ურთიერთობებმა. ჩემი სადისერტაციო თემა მარი ბროსეს არ ეხებოდა, მაგრამ აფხაზეთის ეპიგრაფიკის როგორც საისტორიო წყაროს შესწავლა მარი ბროსეს შემოქმედების გაცნობით უნდა დამეწყო და თანაც ბროსეს მერვე „რაპორტს“ ფრანგულად უნდა გავცნობოდი. სირთულე ის გახლდათ რომ ფრანგულის სწავლის მხოლოდ სამწლიანი გამოცდილება მქონდა, ისიც უნივერსიტეტში. მიუხედავად ამისა, ჩემი უფროსი მეგობრის - ედიშერ ხოშტარია ბროსეს კონსულტაციებითა და ლექსიკონის დახმარებით ეს საქმე დავძლიე და ბროსეს მერვე რაპორტის თარგმანი შევასრულე. სწორედ ამ პერიოდში უფრო ღრმად გავეცანი მარი ბროსეს სამეცნიერო მემკვიდრეობას და საზოგადო მოღვაწეობას, მის დამოკიდებულეუბას ქართული კულტურისა და ქართველი ხალხისადმი, მის გამორჩეულ ღვაწლს ჩვენი ქვეყნის კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და გადარჩენის საქმეში. ჩემთვის აშკარა გახდა, რომ არა მარი ბროსე და მისი თავდადებული შრომა ქართველოლოგიის, როგორც მეცნიერების ჩამოყალიბებისათვის, რთული წარმოსადგენია როგორი იქნებოდა დღეს ქართველოლოგია. სწორედ ამიტომ ჩნდება სურვილი ასეთ ადამიანებზე მეტი დაიწეროს და უფრო მეტად წარმოჩნდეს მათი დამსახურება და ღვაწლი. ჩვენი სტატიით გვინდა კიდევ ერთხელ პატივი

მივაგოთ მარი ბროსეს დამსახურებას ქართველოლოგიის, კერძოდ აფხაზეთის ეპიგრაფიკის შესწავლის საქმეში.

ერთ-ერთი პირველი, ვინც მარი ბროსეს სამეცნიერო მემკვიდრეობის შესწავლას სპეციალური კვლევა მიუძღვნა იყო რუსუდან დოდაშვილი, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მარი ბროსეს შესახებ არსებული საისტორიო წყაროების, საარქივო მასალების მოძიებასა და გაანალიზებაში.[1] მოგვიანებით შოთა ხანთაძემ მარი ბროსეს შემოქმედებას ფუნდამენტური მონოგრაფია მიუძღვნა, რომელიც ქართულ და რუსულ ენებზე გამოქვეყნდა.[2] ცალკე სტატიები გამოქვეყნდა მარი ბროსეს როგორც საქართველოს ისტორიის[3], არმენოლოგიის,[4] ეპიგრაფიკის,[5] საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების[6] მომპოვებლისა და პუბლიკატორის შესახებ. მისი შემოქმედება უნივერსალურია იმ თვალსაზრისით, რომ ფაქტობრივად საფუძველი ჩაუყარა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა მრავალ დარგს – ისტორიას, ქართულ ფილოლოგიას, მთელ რიგ ე. წ. სპეციალურ სამეცნიერო დისციპლინებს – ეპიგრაფიკას, სფრაგისტიკას, ქრონოლოგიას, დიპლომატიკას და სხვ. დასახელებულ დისციპლინათაგან მ. ბროსეს ყველაზე მეტი მუშაობა ჩატარებული აქვს ქართულ ეპიგრაფიკაში და ქართული ისტორიული მასალების პუბლიკაცია მან სწორედ ეპიგრაფიკული ძეგლებით დაიწყო.[7]

ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების, შესწავლის ისტორია პირობითად, შეიძლება სამ ეტაპად დავყოთ: I ეტაპი- XIX შუახანები-XX საუკუნის 10-იანი წლები; II ეტაპი - საბჭოთა ეპოქა: XX ს. 20-იანი წლებიდან 80-იანი წლების ჩათვლით; III ეტაპი- პოსტსაბჭოთა ეპოქა - XX საუკუნის 90-იანი წლებიდან დღემდე;[8]

მარი ბროსე მოღვაწეობდა ქართული ეპიგრაფიკის კვლევის პირველ ეტაპზე და შესაბამისად, იგი ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც საფუძველი ჩაუყარა ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მოძიების, ტექსტის დადგენის, პუბლიკაციისა

---

[1] **რ. დოდაშვილი,** მარი ბროსე – ქართული მწერლობის მკვლევარი, თბ., 1962.

[2] **შ. ხანთაძე,** მარი ბროსე, თბ., 1966. Ш. А. Хантадзе, Академик Мари Броссе и европейское и русское грузиноведение, Тб., 1970.

[3] **ა. ბარამიძე,** მარი ბროსე და საქართველოს ისტორია, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი ტ. XII, თბ., 1986. გვ. 164-171.

[4] **ე. ცაგარეიშვილი,** მარი ბროსე და არმენოლოგიის საკითხები, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი ტ. XII, თბ., 1986. გვ. 156-163;

[5] **ვ. სოლოგავა,** მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი ტ. XII, თბ., 1986. გვ. 141-148;

[6] **მ. სურგულაძე,** მარი ბროსე - საქართველოს ისტორიის დოკუმენტური წყაროების მომპოვებელი და პუბლიკატორი, მრავალთავი, ფილოლოგიურ-ისტორიული ძიებანი ტ. XII, თბ., 1986. გვ. 149-155;

[7] **შ. ხანთაძე,** მარი ბროსე, თბ., 1966. გვ. 56; Ш. А. Хантадзе, Академик Мари Броссе и и европеиское и русское грузиноведение, Тб., 1970. გვ. 95. შდრ.. **სოლოგავა,** მარი ბროსე – ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი, გვ. 142.

[8] **ლ. ახალაძე,** ჯავახეთის ეპიგრაფიკული ძეგლების შესწავლის ისტორია, კრებული: ჯავახეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2012. გვ. 19.

და საისტორიო წყაროდ გამოყენების ტრადიციას ქართველოლოგიაში. თავისი ნახევარსაუკუნოვანი სამეცნიერო მოღვაწეობის მანძილზე უამრავი ქართული წარწერა გამოავლინა, წაიკითხა და სამეცნიერო ლიტერატურაში შემოიტანა. მისი კვლევის არეალში მოხვდა, როგორც ლაპიდარული, ასევე ფრესკული და ჭედური წარწერები. დღეს მარი ბროსეს გამოცემებს ფასდაუდებელი ღირებულება აქვთ, რადგან აღნიშნული ეპიგრაფიკული ძეგლების საკმაოდ სოლიდური ნაწილი ჟამთა სიავემ დააზიანა, გადაშალა, ან სულაც გააქრო და მათ შესახებ ინფორმაციას მხოლოდ მარი ბროსეს პუბლიკაციებით ვფლობთ.

პროფ. ვ. სილოგავა ეპიგრაფიკული ძეგლების კვლევის სფეროში ბროსეს მოღვაწეობას ორ პერიოდად ჰყოფდა: ერთია ქართული ეპიგრაფიკული ძეგლების მის მიერ შესრულებული პუბლიკაციები საქართველოში მოგზაურობამდე და მეორეა ამ მოგზაურობის დროს შეკრებილი და, აგრეთვე, სხვადასხვა გზით შემდეგ მოპოვებული მასალების გამოცემები[1]. დავეთანხმებოდი პატივცემულ მკვლევარს, რომ არა აშკარა ზღვარი მარი ბროსეს საქართველოში მოგზაურობამდელ, საქართველოში მოგზაურობისდროინდელ და მის შემდგომ პუბლიკაციებს შორის. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მარი ბროსეს პუბლიკაცია ნებისმიერ შემთხვევაში ფასეული და ღირებულია, განსაკუთრებით დღევანდელი გადასახედიდან, როდესაც ამ წარწერების დიდი ნაწილი უკვე აღარ არსებობს. მაგრამ ამავე დროს როდესაც ზღვარზე ვსაუბრობთ, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ საქართველოში მოგზაურობამდელ პუბლიკაციებში გამოქვეყნებული ეპიგრაფიკული მასალის სიზუსტე, აღწერილობა და ტექსტის მონაცემები, მკვეთრად განსხვავდება იმ მასალის პუბლიკაციისაგან, რაც მან თავად ნახა, წაიკითხა და გრაფიკული მონახაზი შეასრულა.[2] ასევე თვისობრივად განსხვავდება საქართველოდან წასვლის შემდეგ, კორესპონდენტების მიერ გაგზავნილი მასალის საფუძველზე შესრულებული პუბლიკაციები, სადაც წარწერების ტექსტები გაცილებით უკეთ არის წაკითხული და გაშიფრული. ზოგადად, საქართველოში მოგზაურობამ მნიშვნელოვანი კვალი გაავლო მარი ბროსეს მთელ შემოქმედებაში. ამ პერიოდიდან ის უფრო თავდაჯერებული ჩანს თავის გადაწყვეტილებაში ქართველოლოგიასთან მიმართებით და გარდა ამისა, გაცილებით უფრო ზუსტია ტექტების გაშიფვრისა და წაკითხვის საქმეში.[3]

---

[1] **ვ. სილოგავა**, მარი ბროსე-ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი, გვ. 142.

[2] ცნობილია, რომ გრაფიკულ მონახაზს სხვა ასრულებდა, მაგრამ წარწერის გრაფიკას ასრულებდნენ მარი ბროსეს მითითებებისა და შენიშვნების საფუძველზე.

[3] საქართველოში მოგზაურობამდე მარი ბროსეს კორესპონდენტები იყვნენ **თეიმურაზ ბაგრატიონი, პლატონ იოსელიანი, დავით დადიანი** და სხვ. 1847-1848 წლებში საქართველოში მოგზაურობის შემდეგ მარი ბროსეს მასალებს აწვდიდნენ **დიმიტრი მელვინეთხუციშვილი, რაფიელ ერისთავი,** საქართველოს ეგზარქოსი, მთავარეპისკოპოსი **ევგენი ბაჟანოვი,** საქართველოს სიძველეთა შემკრები **ბართოლომეი, ნერსეს სარგისიანი, ივანე მუსლოვი, აბრაამ ნოროვი** და სხვები. ამ პერიოდში კორესპონდენტები ბროსეს ხშირად აწვდიდნენ წარწერათა გადმონახაზებს, გაშიფრულ ტექსტებს, ზოგჯერ შენიშვნებსა და კომენტარებსაც, რომლებსაც ბროსე შენიშვნებითა და კომენტარებით აქვეყნებდა. შდრ. **შ. ხანთაძე,** მარი ბროსე, თბ., 1966; ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX–XIII სს) შედგინა და გამოსაცემად მოამზადა **ვალერი სილოგავამ**, თბ., 1980. გვ. 14-15; ვ. **სილოგავა**, მარი ბროსე-ქართული ეპიგრაფიკის მკვლევარი, გვ. 142.

საინტერესოა მარი ბროსესეული ხედვა ქართული ისტორიული პროვინციებისა და მათი წარსულისადმი. საქართველოში, სომხეთსა და კავკასიაში მოგზაურობის ანგარიშიდან კარგად ჩანს, სად იწყება საქართველო, სად მთავრდება მისი ისტორიული საზღვრი და იწყება სხვა ქვეყანა, თუმცა ისტორიული ბედუკულმართობით, ისიც რუსეთის იმპერიის ნაწილი. საქართველოში მოგზაურობის დროს ის ერთი კუთხიდან მეორე კუთხეში გადადის: ქართლი, კახეთი, იმერეთი, სამეგრელო, აფხაზეთი და ა. შ. - ეცნობა ქართულ მრავალფეროვნებას, მაგრამ კარგად იცის, რომ ეს საქართველოა.[1]

საქართველოს სხვადასხვა კუთხეების ოკუპაცია რუსეთის იმპერიამ ცალ-ცალკე მოახერხა, რაც საქართველოს ცალკეულ სამეფო – სამთავროებად დაშლით იყო გამოწვეული. ამ ფაქტს რუსეთის იმპერიული ძალები აქტიურად იყენებდნენ (და სამწუხაროდ, ახლაც იყენებენ) საქართველოში ეროვნული ცნობიერებისა და ნაციონალური თვითიდენტობის მოშლის მიზნით. მარი ბროსეს საქართველოში მოგზაურობის დროს რუსეთის იმპერია აქტიურ იდეოლოგიურ პროპაგანდას ეწეოდა ქართველების წინააღმდეგ და მათ ხშირად სხვადასხვა ხალხებად იმერლებად, მეგრელებად, აჭარლებად, გურულებედ, კახელებად, მესხებად და ა. შ. წარმოაჩენდა, ხოლო ქართველებად მხოლოდ ქართლელებს თვლიდა. საგულისხმოა, რომ მარი ბროსე, როგორც დაკვირვებული უცხოელი მეცნიერი და მკვლევარი, არცერთხელ არ წამოგებია, რუსული პროპაგანდისტული მანქანის ამ ოინებს და უფრო მეტიც, საქართველოს ისტორიული პროვინციების გაცნობის შემდეგ მისი შეხედულებები უფრო მყარი გახდა ამ საკითხში. ვფიქრობთ, საქართველოში იგი ჩამოვიდა, როგორც მკვლევარი ორიენტალისტი, საქართველოს ისტორიითა და კულტურით დაინტერესებული მეცნიერი და აქედან წავიდა როგორც საქართველოს დიდი გულშემატკივარი.

საქართველოს ისტორიული კუთხეების გაცნობის კვალობაზე მარი ბროსე გზადაგზა აგროვებდა ქართული წერილობითი კულტურის სხვადასხვა ძეგლებს, მათ შორის ეპიგრაფიკულ ნიმუშებს, რომლებსაც ეფექტურად რთავდა თავის ანგარიშში და წარმატებით იყენებდა საქართველოს ისტორიის გადმოცემისას. ამ მოგზაურობიდან იწყება აფხაზეთის წერილობითი კულტურის ძეგლების მოძიება, გამოქვეყნება და კვლევა, რომელიც მარი ბროსეს სახელთანაა დაკავშირებული. ის იყო ერთ-ერთი პირველთაგანი, რომელმაც წერილობითი ფორმით დაასაბუთა საქართველოს ისტორიული კუთხის – აფხაზეთის ტერიტორიაზე ქართული დამწერლობის მრავალრიცხოვანი ნიმუშების არსებობა ლაპიდარული და ფრესკული წარწერების სახით.

სამურზაყანოსა და აფხაზეთში მარი ბროსემ მოინახულა ბედიის, ილორის, დრანდის, ლიხნის, ბიჭვინტის ტაძრები, შეაგროვა ამ ტაძრებზე ამოკვეთილი ლაპიდარული და ფრესკული წარწერები, აღწერა ილორისა და ბიჭვინტის ტაძარებში დაცული საეკლესიო ნივთები და მათი წარწერები.

ბედიის ტაძარში მარი ბროსემ ოთხი ლაპიდარული და ორი ფრესკული

[1] შესაძლოა ეს იმ გამოცდილებითაც იყო ნაკარნახევი, რომ მარი ბროსეს სამშობლო - საფრანგეთიც მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა და სხვადასხვა ისტორიული კუთხეებისაგან – პროვანსი, ილ დე ფრანსი, ბურგუნდია, შამპანი, გასკონია და ა. შ. შედგებოდა.

წარწერა, სულ ექვსი წარწერა[1], გადმოწერა, ხოლო მათი გრაფიკული ასლები არქიტექტორმა აბრაამ ნოროვმა დაამზადა.

ბროსეს მიერ გადმოწერილი ლაპიდარული წარწერებია: სჯმეონ გალატოზთუხუცესის წარწერა, ნიკოლოზ კათალიკოსისა და სოფრონ ბედიელის წარწერა, კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერა და ანტონ ბედიელის წარწერა. აღნიშნული წარწერებიდან XX საუკუნის 90-იანი წლების დასაწყისამდე მხოლოდ ორი წარწერა იყო შემორჩენილი: კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერა სამრეკლოზე და ანტონ ბედიელის წარწერა ბედიის საეპისკოპოსო პალატის ტიმპანზე[2].

აღსანიშნავია, რომ ბედიის ტაძრის აღმოსავლეთ კედელთან, რომელზეც მარი ბროსემ სჯმეონ გალატოზთუხუცესის წარწერა წაიკითხა, ძირს ჩამოვარდნილი რამდენიმე ქვა იპოვა, რომელთა წარწერის ფრაგმენტებში ბროსემ იმ მონარქის სახელი გაარჩია, რომლის დავალებასაც სჯმეონი ასრულებდა[3]. სამწუხაროდ, მარი ბროსე წარწერის ფრაგმენტში დასახელებული მონარქის სახელს არ ასახელებს.

სამრეკლოზე განთავსებულ ნიკოლოზ კათალიკოზისა და სოფრონ ბედიელის წარწერაში ბროსემ წაიკითხა გვარი – გუნგულიასძე, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმაციაზე დაყრდნობით სამურზაყანოელებად მიიჩნია. მოგვიანებით, თ. ჟორდანიამ ამ წარწერაში წაიკითხა გვარი – „ენგლიბაისძეთა“, XX საუკუნის 70-იან წლებში ქართული წარწერების კორპუსის II ტომზე მუშაობის დროს ვალერი სილოგავამ, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის აღაპებში არსებული ინფორმაციის საფუძველზე, წარწერა XIII საუკუნის II ნახევრით დაათარიღა და ნიკოლოზ კათალიკოზი და სოფრონ ბედიელი გონგლიბაჲსძეთა ფეოდალური სახლის წევრებად მიიჩნია.[4]

ბედიის სამრეკლოს დასავლეთ ფასადზე ბროსემ მიაკვლია კონსტანტინე მეფეთა მეფის წარწერას, რომლის ტექსტის ზუსტი წაკითხვის საფუძველზე წარწერა 1293-1327 წლებით დაათარიღა[5]. აღნიშნული დათარიღება დღესაც გაზიარებულია სამეცნიერო ლიტერატურაში.

ბედიის ტაძრის ფრესკული წარწერებიდან ბროსეს ნაშრომში მხოლოდ ორ წარწერას ვხვდებით – ქართველ დიდებულთა ფრესკულ გამოსახულებას-

---

[1] Rapports sur un Vouage Archeologique dans la Georgie et dans L"Armenie, execute en 1847-1848 par **M. Brosset**, ST.-Petersbourg, 1849. გვ. 91-94; **მარი ბროსე,** არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, ტექსტი ფრანგულიდან თარგმნა **ხათუნა წიკლაურმა,** თბ., 2011. გვ. 94-98.

[2] უკანასკნელი მონაცემებით, აღნიშნული წარწერების მცირე ნაშთი კვლავ ჩანს სამრეკლოსა და საეპისკოპოსო სასახლის შესასვლელის თავზე.

[3] Rapports, VIII, გვ. 91; **მარი ბროსე,** არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ.96;

[4] ქართული წარწერების კორპუსი, ტ. II. დასავლეთ საქართველოს წარწერები. ნაკვ. I (IX–XIII სს) გვ. 172-173;

[5] Rapports, VIII, გვ. 93; **მარი ბროსე,** არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ. 97;

თან როდაბის[1] ფრესკის განმარტებითი წარწერა და „დიოფალთ დიოფალი“ მარიხისა და ერისთავთ ერისთავისა და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანის წარწერა. აღნიშნულ წარწერაში დასახელებული ისტორიული პირები მარი ბროსემ ოდიშის მთავრის ლევან I დადიანის მეუღლე მარიხთან და შვილთან გიორგი III-სთან გააიგივა.[2]

ილორის ტაძარში მარი ბროსემ ლაპიდარული წარწერები ვერ შეამჩინა, თუმცა აღწერა ტაძარში დაცული ჭედური ხელოვნების მრავალი ნიმუში, რომელთა ზედაპირზე ამოკვეთილი წარწერები მარი ბროსემ გაშიფრა და გამოაქვეყნა. ჭედური წარწერებიდან მარი ბროსე ასახელებს დავით რუსუდანის ძის, შამადავლა დადიანის, ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი ლევან I დადიანის, ლევან II დადიანის ხატის წარწერებს და ა. შ[3].

მოქვის ტაძარსა და სამრეკლოზე მარი ბროსემ წარწერა ვერ შეამჩნია. თუმცა საისტორიო წყაროებზე დაყრდნობით განაცხადა, რომ მოქვის ტაძარი აშენდა ლეონ III აფხაზთა მეფის მიერ, რომელმაც ჯავახეთში ააგო კუმურდოს ტაძარი[4]; ავტორმა იცის, რომ მოქვის ტაძარი დავით აფხაზთა მეფის (დავით აღმაშენებელი) დროს მოიხატა, რომლის კვალი ბროსეს დროს ტაძარში აღარ იყო შემორჩენილი.

ლიხნის ტაძარში მარი ბროსეს მრავალრიცხოვან ქართულ წარწერებთან ერთად რამდენიმე ბერძნული ეპიგრაფიკული ძეგლიც დახვდა. ბროსეს დროს ტაძარი მთლიანად მოხატული ყოფილა ბიბლიური სიუჟეტებით, რომელთაც ძველი ქართულით შესრულებული შესაბამისი განმარტებითი წარწერები ახლდა[5]. ფრესკული წარწერები ძირითადად, წითელი საღებავით ყოფილა შესრულებული. აღნიშნულ წარწერებს შორის ბროსემ მეტ-ნაკლებად დიდი სიზუსტით წაიკითხა წარწერა კომეტის გამოჩენის შესახებ, რომელიც ტექსტში დაფიქსირებული ინფორმაციის საფუძველზე - 1066 წლით დაათარიღა[6]. ხოლო

[1] ბროსე აქ კითხულობს „ქორდაბ". ცნობილი ხელოვნებათმცოდნე რენე შმერლინგის აზრით, აქ იკითხება „როდაბ“. **რ. შმერლინგი,** ბედიის ტაძრის მხატვრობის დათარიღების საკითხისათვის, სმამ. ტ. XVIII, №4. თბ., 1957. გვ. 504-511;

[2] ეს მოსაზრება მეცნიერთა ერთმა ნაწილმა გაიზიარა, თუმცა გამოითქვა სხვა შეხედულება, რომლის თანახმად, ფრესკაზე გამოსახული „დიოფალთ დიოფალი“ მარიხი და ერისთავთ ერისთავი და მანდატურთუხუცესი გიორგი დადიანი - ოდიშის მთავრის ვამეყ I დადიანის მეუღლე და უფროსი ძეა. (**ლ. ახალაძე**, აფხაზეთის ეპიგრაფიკა როგორც საისტორიო წყარო, I, ლაპიდარული და ფრესკული წარწერები. თბ., 2005. გვ. 62-74). აღნიშნული მოსაზრება გაზიარებული იქნა და საფუძვლად დაედო ოდიშის ერისთავთა ქრონოლოგიის ახლებურად გააზრების საკითხს. (**გ. არახამია,** ოდიშის ერისთავთა ქრონოლოგიის საკითხისათვის, წელიწდეული „საისტორიო ძიებანი“, ტ. V თბ., 2002. გვ. 98-112;).

[3] Rapports, VIII, გვ. 95-108; **მარი ბროსე,** არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ.98-105;

[4] Rapports, VIII, გვ. 112; **მარი ბროსე,** არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ.108;

[5] Rapports, VIII, გვ. 116; **მარი ბროსე,** არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ.112;

[6] Rapports, VIII, გვ. 95-108; **მარი ბროსე,** არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ.98-105;

დანარჩენი წარწერები, რომლებიც ასომთავრული და გარდამავალი მხედრული ანბანით იყი შესრულებული ბროსემ ვერ წაიკითხა, ან შეცდომით გადმოგვცა. XIX საუკუნეში, ლიხნის ტაძრის რესტავრაციის დროს ტაძრის შიდა ინტერიერი შელესილობის ფენით დაიფარა. დროებით თვალს მიეფარა ბროსეს მიერ დასახელებული წარწერები. 1986 წელს ქართულმა ექსპედიციამ მ. ბუჩუკურის ხელმძღვანელობით რესტავრაციის მიზნით ჩამოხსნა ეს შელესილობა და ლიხნის ტაძრის ფრესკული წარწერების ერთი ნაწილი კვლავ ხილული გახდა. აღნიშნული წარწერები შეისწავლა და 2005 წელს გამოაქვეყნა პროფ. ვალერი სილოგავამ.[1]

ლიხნის შემდეგ ბროსეს თვალსაწიერში ბიჭვინტის ტაძარი მოხვდა, რომლის სიძველეებიდან ბროსე მხოლოდ ბიჭვინთის სახარებას ასახელებს და მასზე შესრულებულ მინაწერებს აქვეყნებს. VIII „რაპორტში“ სულ გამოქვეყნებულია 8 მინაწერი, რომლებშიც შარვაშიძეები არიან დასახელებული[2].

როგორც აღვნიშნეთ, ბროსეს მიერ გამოქვეყნებულ ამ წარწერებსა და მინაწერ დოკუმენტებს დღეს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ქართველოლოგიური კვლევებისათვის, რადგან ამ ნივთების ერთი ნაწილი უკვე აღარ არსებობს.

თვალის ერთი გადავლებითაც ჩანს, ბროსეს დამსახურება აფხაზეთში ქართული წერილობითი კულტურის შესწავლის საქმეში. ალბათ, რამდენიმე საუკუნე გაივლის და ქართველოლოგია კვლავ ვალში იქნება ცნობილი ფრანგი ორიენტალისტის მარი ბროსეს წინაშე. მომავალი თაობები უკეთ შეფასებენ მის ღვაწლსა და დამსახურებას ქართველოლოგიის და ზოგადად, კავკასიოლოგიის წინაშე.

---

[1] **ვ. სილოგავა**, ლიხნის ტაძრის ეპიგრაფიკა, წიგნში: სამეგრელო-აფხაზეთის ეპიგრაფიკა, თბ., 2004. გვ.189-220;

[2] Rapports, VIII, გვ. 142-143; **მარი ბროსე**, არქეოლოგიური მოგზაურობა სამეგრელოსა და აფხაზეთში, გვ.125-126;

Lia Akhaladze
Sokhumi State University

MARIE BROSE AND EPIGRAPHIC ISSUES OF ABKHAZIA

This paper presents the merit of famous orientalist and Kartvelologist, Marie Pelisite Ksavie Brose before Kartvelology and generally before Caucasiology. According to the author, his researches have such fundamental features, that study of scientific activities of Marie Brose will stay for a long time as the sphere of interest for the researchers. It is also invaluable his merit and contribution to the promotion of Georgian culture.

In the article there is studied Brose's merit before Kartvelology (study of Georgian language), especially before Georgian epigraphy. The article has the subject of a separate study - Marie Brose's merit in searching and rescuing of Georgian epigraphic monuments of Abkhazia. Marie Brose's merit is description of lapidary and mural inscriptions of Bedia Monastic Complex, Ilori and Likhni churches, performance of graphic draft and determining the inscription texts. Besides the lapidary and engraved inscriptions, Brose read the Georgian inscriptions carved on engraved art monuments and evaluated their historical-source study value.

According to the author, Marie Brose came to Georgia as a researcher orientalist, scientist interested in the history and culture of Georgia and went out as a big fan of Georgia.

Perhaps, after several centuries Kartvelology will be still owed to the famous French orientalist - Marie Brose. The article expresses the hope that future generations will better evaluate his merit and contribution to Kartvelology and in general to Caucasiology.

თამარ ბელქანია,
ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

ტარიელ ფუტკარაძე
საქართველოს საპატრიარქოს
წმ. ანდრია პირველწოდებულის უნივერსიტეტი

საინფორმაციო ომი საქართველოს წინააღმდეგ

(გეოპოლიტიკური კონტექსტი)

მსოფლიოს გეოპოლიტიკურ სივრცეში ცენტრალური ადგილი უჭირავს ევრაზიას; ევრაზიაში ერთ-ერთი გამორჩეულად სტრატეგიული რეგიონია კავკასია; კავკასიაში კი საქართველო, როგორც თანამედროვე საზღვაო, სახმელეთო და ენერგორესურსების მაგისტრალების თავმოყრის ადგილი.

1801 წლიდან 1990 წლამდე საქართველოს გეოპოლიტიკურ სიმძლავრეებს ფაქტობრივად მართავდა რუსეთი. მე-20 საუკუნის 80-იან წლებში დასავლეთთან გეოპოლიტიკურ ჭიდილში სუსტდება რუსეთის იმპერია (საბჭოთა კავშირი). ამ ფონზე საქართველოში ძლიერდება ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც ზვიად გამსახურდიას ხელმძღვანელობით ლეგიტიმური გზით მოდის საქართველოს ხელისუფლებაში. კანონიერად არჩეულმა ხელისუფლებამ 1991 წლის 31 მარტის საერთო-სახალხო რეფერენდუმის საფუძველზე 1991 წლის 9 აპრილს აღადგინა საქართველოს დამოუკიდებლობა.

დიდი გეოპოლიტიკური მოთამაშენი დადგნენ ფაქტის წინაშე: საქართველომ დღის წესრიგში დააყენა კავკასიის რეგიონში გეოპოლიტიკური სიტუაციის შეცვლის აუცილებლობა. კერძოდ, საქართველოს ყველა კუთხის მოსახლეობამ 1991 წლის 9 აპრილის „დამოუკიდებლობის აღდგენის აქტით“ მთელ მსოფლიოს აჩვენა: ერთიან საქართველოს სურს, თავად აკონტროლოს საკუთარი გეოპოლიტიკური სივრცე. პარალელურად, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ საქართველოში მყოფი რუსეთის ჯარი ოკუპანტად გამოაცხადა. რუსეთი არ შეეგუა საქართველოდან წასვლის პერსპექტივას. მიუხედავად წარმატებული რეფერენდუმისა და დამოუკიდებლობის აღდგენის აქტის გამოცხადებისა, 1991-93 წლებში საქართველო აიძულეს მაინც რუსულ გეოპოლიტიკურ სივრცეში დარჩენილიყო; კერძოდ, დასავლეთისა და რუსეთის რამდენიმეწლიანი „ჭიდილის“ შემდეგ აღმოსავლეთი ევროპა და ბალტიის ქვეყნები მოექცა დასავლეთის გეოპოლიტიკურ ველში, კავკასია, უკრაინა, მოლდოვა და შუა აზია კი დარჩა რუსეთის ფაქტობრივ მფლობელობაში.[1]

1991–1992 წლების მიჯნაზე საქართველოში გარეძალადობით იცვლება კანონიერი ხელისუფლება: „თავისად“ დატოვებულ გეოპოლიტიკურ სივრცეში რუსეთმა იარაღის ძალით დაამხო ასევე აზერბაიჯანისა და იჩქერიის კანონიერი

---

[1] მსჯელობისათვის ვრცლად იხ. **ტ. ფუტკარაძე**. „რაცა ღმერთსა არა სწადდეს, ანუ მიმდინარე პროცესების შესახებ“, გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, 28 სექტემბერი, 1991 წ.

ხელისუფლებები.[1] შემდეგ, აფხაზეთისა და ცხინვალის მხარეში კონფლიქტების პროვოცირებით რუსეთის სამხედრო შენაერთებმა ამ ისტორიული ქართული მიწებიდან განდევნა ავტოქთონი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი (ქართველები, კრემლის მოწინააღმდეგე აფხაზები...).

ამის მიუხედავად, შევარდნაძის ხელისუფლებამ საოკუპაციო ჯარის სტატუსი მოუხსნა რუსეთის სამხედრო შენაერთებს; მეტიც, დამპყრობელი მეგობარ ქვეყნად გამოაცხადა და რუსულ ჯარს ე.წ. ქართულ-„აფხაზური", სინამდვილეში: ქართულ-რუსული კონფლიქტის ზონაში სამშვიდობო მისია დაეკისრა.[2]

1993 წლიდან კავკასიაში იწყება რუსული ექსპანსიის ახალი ეტაპი: გენოციდისა და კანონიერი ხელისუფლების დამხობის შემდეგ რუსული კაპიტალის დრო დგება: საქართველოს სტრატეგიულ სიმძლავრეებს ისევ რუსეთი ეუფლება.

დღეს დასავლეთისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-თბილისი-ბათუმის მაგისტრალები; შდრ. ამერიკისა და დასავლეთ ევროპის სახელმწიფოებისთვის აღმოსავლეთი ევროპა უფრო ღირსებისა და უსაფრთხოების საკითხი იყო; შუა აზიის რესურსები და ამიერკავკასიის ენერგომატარებლები კი მათთვისაც და თურქეთისთვისაც სასიცოცხლო მნიშვნელობისაა:

მხოლოდ ამიერკავკასიიდან რუსეთის გასვლის შემთხვევაში იქნება ევროპა ენერგეტიკულად დამოუკიდებელი.

შევარდნაძის ათწლიანი მმართველობის შემდეგ ამ და სხვა ფაქტორებმა მალევე განაპირობეს ამიერკავკასიაში გეოპოლიტიკური ბალანსის გარკვეული კორექტირების აუცილებლობა:

2003 წლის„ვარდების რევოლუციის" მხარდაჭერით დასავლეთმა შესამჩნევად გააძლიერა საქართველოში ევროატლანტიკური ორიენტაციის ძალები; შედეგად, საქართველოს ხელისუფლების, როგორც გეოპოლიტიკური მოთამაშის როლი გაიზარდა; ამან რუსეთში კიდევ უფრო გააძლიერა ამიერკავკასიაზე გავლენის დაბრუნების სურვილი; შედეგად მივიღეთ 2008 წლის აგვისტოს აგრესია - რუსული რევანშის მორიგი ეტაპი.

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის აქტიურობით, რუსული აგრესია დედაქალაქის - თბილისის - მისადგომებთან შეჩერდა; ამ ისტორიულ მოვლენას საქართველოსთვის ბევრი უარყოფითი და ზოგი დადებითი შედეგი მოჰყვა:

დაიღუპა საქართველოს ბევრი მოქალაქე (ქართული თუ ოსური წარმომავლობისა), ათასობით ქართველი იქცა დევნილად; საქართველომ ფაქტობრივად კიდევ დაკარგა ტერიტორიები (დალის/კოდორის-სტრატეგიული სიმაღლე -

---

[1] აღსანიშნავია,რომ გარკვეული ძალები დღემდე ჩქმალავენ ამ მოვლენის არსს და საქართველოში კრემლის მიერ განხორციელებულ სამხედრო გადატრიალებას „სამოქალაქო ომად" ნათლავენ.

[2] ე. შევარდნაძე საქართველოს საწინააღმდეგო ბევრ შეთანხმებაში მონაწილეობდა; იხ., მაგ., შევარდნაძისა და ბალტინის შეხვედრა 1993 წლის 3 ნოემბერს ფოთის ნავსადგურში რუსულ გემზე; შევარდნაძის მიერ ხელმოწერილი ზოგი სხვა ხელშეკრულების შესახებ იხ. აგრეთვე: **ტ. ფუტკარაძე**. აფსირტედან გამსახურდიამდე, ანუ აწმყოს უდაბნოში, თბ., 1999; **ტ. ფუტკარაძე**. იმერხევის მეტყველი მიწა-წყალი, ქუთაისი, 2007; **ტ. ფუტკარაძე**. ეთნოლინგვისტური ტერმინები და ევროპული ქარტია უმცირესობათა ენების შესახებ, ქუთაისი, 2005.

ხეობა ანუ ზემო აფხაზეთი, ახალგორის რაიონი, ცხინვალის მხარის ქართული სოფლები, საჩხერის რაიონის სოფელი პერევი...); დასუსტდა საქართველოს სახელმწიფო; დიდი ზარალი მიადგა სამხედრო პოტენციალს; გაიზარდა ალბათობა, რუსეთისგან მართული,,სეპარატისტული" ძალების გამოყენებით დაიშალოს ქართული სახელმწიფო. გარდა ამისა, რუსეთის მიერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით, გაჩნდა რეალური საფრთხე, ჩრდილო კავკასია იქცეს მუდმივი ქაოსის, ტერორიზმისა და რადიკალური ისლამის ფორპოსტად.

აგვისტოს მოვლენების დადებით და სამართლიან შედეგად მივიჩნევთ საქართველოს ხელისუფლების მიერ რუსეთის ჯარისთვის ოკუპანტის სტატუსის აღდგენასა და ამიერკავკასიაში ევროკავშირის გააქტიურებას.

რუსეთ-საქართველოს აგვისტოს (2008) ომის შემდეგ კრემლი აკონტროლებს საქართველოს უფრო მეტ ნაწილს, მაგრამ პუტინ-დუგინ-მედვედევის რუსეთს ეს არ აკმაყოფილებს; რუსეთის აგრესიულ ხელისუფლებას სურს, სახმელეთო გზაც ჰქონდეს სომხეთში განთავსებულ ბაზასთან და სრულად აკონტროლოს ამიერკავკასიის გზაჯვარედინი. ამ მიზნით რუსეთი აქტიურ დეზინფორმაციულ საინფორმაციო პროპაგანდას ეწევა; კერძოდ, მეზობელი იმპერიის დეზინფორმაციული მანქანა სამი მიმართულებით მუშაობს:

1.საინფორმაციო საშუალებებით ფსევდომეცნიერული დებულებების პროპაგანდით ცდილობს, რომ ეთნიკურ ქართველთა ნაწილს მაინც შეუცვალოს ეროვნული მეობა (იდენტობა); მაგ., რუსეთისგან დაფინანსებული პირები დღემდე წარუმატებლად ცდილობენ დააჯერონ სვანები, მეგრელები, ლაზები, აჭარლები თუ მესხები, რომ მათი დედაენა არ არის ქართული ენა, რომ ისინი ქართველები არ არიან;[1]

2. მძლავრი საინფორმაციო პროპაგანდით ცდილობს, დააჯეროს მთელი მსოფლიო, რომ ქართველები არ არიან: აჭარლები, მეგრელები, ლაზები, სვანები, ხევსურები, მესხები, თუშები და ა.შ. მათი მონაცემებით, საქართველოდ წოდებულ სახელმწიფოში ეს,,ეთნიკური ჯგუფები",,იჩაგრებიან" ქართველებისგან (ქართლელებისგან), რამდენადაც მათ საკუთარი,,დედაენების" მიხედვით არა აქვთ სამწიგნობრო კულტურა. ამ ,,ხალხებს" ე.წ. ,,ქართიზაციით" თავს მოხვეული აქვთ,,დამპყრობელი" ქართველების ენა; მსოფლიო უნდა დაეხმაროს ამ,,დაჩაგრულ",,ეთნოსებს".

3. საეჭვო ღირებულების ,,სამეცნიერო კვლევების" ფაბრიკაციითა და

[1] მაგ. აშკარად არამართებული კვალიფიკაციის გავლენის ქვეშ მოექცნენ უმცირესობის საკითხთა ევროპული ცენტრი – კავკასიის (ESMI) მიერ გამოქვეყნებული წიგნის:,,მესხები: გზა შინისაკენ" (საქართველო, 2011) ავტორები: ტომ ტრიერი, გიორგი თარხან-მოურავი და ფორესტ კილიმანიკი; შდრ. ავტორთა ფრაზა: ,,საცხოვრებელი ადგილის სოციალურ-კულტურულ გარემოსთან შეგუების შედეგად თურქულის მესხური დიალექტი ექცეოდა სხვა ენების, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანულის, ზეგავლენის ქვეშ ამ ენების ლინგვისტური სიახლოვის გამო" (გვ. 69. კარგი იქნებოდა, ამ საინტერესო გამოკვლევაში ნათლად თქმულიყო, რომ სამცხე-ჯავახეთიდან დეპორტირებული მოსახლეობის სამეტყველო დიალექტები იყო ქართული ენის მესხური კილო და თურქული ენის დასავლეთ ანატოლიური კილო (გვ. 69-72). მეგრული, სვანური და ლაზური იდიომების (მეტყველებების) კვალიფიკაციის ისტორიის შესახებ იხ., **ტ. ფუტკარაძე**. ქართველთა დედაენა და დიალექტები, ქუთაისი, 2008.

პროპაგანდით ცდილობს, დააჯეროს მსოფლიოს ელიტური წრეები, რომ არ არსებობს ერთიანი ქართული კულტურა; რომ საქართველო მცირე იმპერიაა; რომ ქართველებმა (ქართლელებმა) თავის დროზე დაიპყრეს და დღესაც ჩაგრავენ,,უმწიგნობრო ენების" მქონე,,ხალხებს": მესხებს, აჭარლებს, მეგრელებს, ლაზებს, სვანებს...

წარმოდგენილი მიზნების განსახორციელებლად, რუსეთში შექმნილია ,,Информационные войска", რომელსაც კრემლმა მიზნად დაუსახა რუსეთისთვის საჭირო ,,რეალობის" გავრცელება მთელ მსოფლიოში.[1] ,,საინფორმაციო არმიას" სამი რამ ევალება: ა) სტრატეგიული ანალიზი, ბ) ინფორმაციული ზეგავლენა, გ) საინფორმაციო უკუქმედება.

საინფორმაციო ომის ერთ-ერთი ,,მეთოდია" ცილისწამებაც. შდრ. კრემლი საქართველოს აბრალებს საინფორმაციო ომის წარმოებას (იხ. http://www.km.ru/news/informaczionnaya_vojna_protiv_ro). სწორედ ასეთი მეთოდური საინფორმაციო ,,არტილერიის გამოყენებით" რუსეთი ცდილობს, წაახალისოს საქართველოში ახალი ავტონომიების შექმნა და შემდგომი დანაწევრება.

სამწუხაროდ, ჯერჯერობით, რუსეთის დიდი,,მეცადინეობით" თანამედროვე მსოფლიოს სამეცნიერო-საინფორმაციო სივრცეში თითქმის უალტერნატივოდაა გაბატონებული პოლიტიზებული ანტიქართული დებულებები; სამაგალითოდ წარმოგიდგენთ რამდენიმე კვალიფიკაციას:

1. მსოფლიო გლობალური ქსელის ძირითადი ეთნოლოგიური ენციკლოპედიის მიხედვით (2012 წლის მდგომარეობით), საქართველოში ცხოვრობენ შემდეგი ეთნოსები/ხალხები:

[1] ,,Необходимо создать информационные войска, в составе которых будут государственные и военные СМИ. Цель информационных войск – создание нужной России реальности. Информационные войска работают как на внешнюю, так и на внутреннюю аудиторию. Персонал информационных войск слагается из числа дипломатов, экспертов, журналистов, операторов, писателей, публицистов, хакеров, переводчиков, сотрудников связи, РЭП, веб-дизайнеров." Информационные войска должны решать три основные задачи. Первая – стратегический анализ, вторая – информационное воздействие, третья – информационное противодействие. Они могли бы включать в себя основные составляющие, ныне находящиеся в различных министерствах, советах, комитетах. Действия во внешнеполитическом медиапространстве должны быть скоординированы.

Для решения первой задачи необходимо создать: стратегический анализ сетей управления (вхождение в сети и возможность их подавления); контрразведку; мероприятия по оперативной маскировке; обеспечение безопасности собственных сил и средств; обеспечение безопасности информации.

Для решения второй задачи необходимо создать: антикризисный центр, государственный медиахолдинг по связям с телеканалами и информационными агентствами (с решением главной задачи – поставки на телеканалы и информагентства нужной России информации). В них задействуются государственные СМИ – «Голос России», «Маяк», ТРК «МИР», «РТР-Планета», Russia Today, «Руссия аль Яум»; по связи с общественностью; по подготовке журналистов для прикладной журналистики, военной печати, журналистов-международников, журналистов радио и телевидения.

Для решения третьей задачи необходимо создать центры определения критически важных информационных структур противника, физического уничтожения, радиоэлектронной борьбы, психологических и сетевых операций (подготовка хакеров)... "

აზერბაიჯანელები - 308 000,
ასირიელები (აისორები) - 3 000,
აფხაზები - 101 000,
ბაცბები - 3 420,
ბერძნები - 38 000,
ლაზები - 2 000,
მეგრელები - 500 000,
სები - 100 000,
რუსები - 372 000,
სვანები (სამწერლობო ენად იყენებენ ქართულს და რუსულს) - 15 000,
სომხები - 448 000,
ურუმები (მუსლიმი ბერძნები) - 97 746,
ქართველები (იმერლები, რაჭა-ლეჩხუმლები, გურულები, აჭარლები, იმერხევლებ-ქართლელები (Imerxev Kartlian), კახელები, ინგილოები, თუშები, მოხევეები, ხევსურები, ფშავლები, მთიულები, ფერეიდნელები, მესხებ-ჯავახები) - 3 901 380,
ქართველი ებრაელები - 20 000,
ქურთები - 40 000 და სხვ. (Ethnologue report for Georgia http://www.ethnologue.com; http://www.ethnologue.com/show_country.asp?name=GE).

2. ქართველთა ერთი ნაწილი (მეგრელები, ლაზები, სვანები) არაქართველებადაა გამოცხადებული მსოფლიოს ვირტუალური ისტორიის თანამედროვე გვერდზე; კერძოდ, აზიის განყოფილებაში არსებულ საქართველოს ვებგვერდზე გამოქვეყნებულია საქართველოში მცხოვრებ„ეთნიკურ უმცირესობათა“ განსახლების შემდეგი რუკა:

რუკას დართული განმარტებების მიხედვით, საქართველოში უმცირესობების ენებად მიიჩნევა: 1. ჩეჩნური; 2. წოვა-თუშური; 3. ხუნძახური; 4. უდური; 5. აზერბაიჯანული; 6. სომხური; 7. ლაზური ანუ ჭანური; 8. მეგრული; 9. აფხაზური; 10. სვანური;

11. ოსური. აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ კვალიფიკაციების ჩამოსაყალიბებლად ავტორმა (J. Hillery) ცხრა წელი იშრომა (1996-2004); ასევე წლობით აქვს საქართველოში ნალვაწი საქართველოს ვებგვერდის ავტორს, ბ-ნ ადრიან ბრისკუს (იხ. http://vlib.iue.it/history/asia/georgia.html***).***

3. ქართული საზოგადოებისთვის დიდი ხანია ცნობილია პროფ. ჯ. ჰიუიტის ანტიქართული მოღვაწეობა (თავის დროზე ეს ლონდონელი პროფესორი საქართველოში ჩამოვიდა მოსკოვში მოღვაწეობის შემდეგ; შემდეგ ის იქცა მოსკოვისგან მართული აფხაზი „სეპარატისტების" ლობისტად); ამ ეტაპზე ის „ახალი" ინიციატივით გამოდის; მისი აზრით, მეგრული ენის სახელმწიფო ენად აღიარებით უნდა შეიქმნას სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფო, რომელიც ხელს შეუწყობს ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოგვარებას... ასევე, უნდა შეიქმნას კავკასიის კონფედერაცია[1] (რომლის სუბიექტებადაც ივარაუდება: აფხაზეთი, სამეგრელო, საქართველო, აზერბაიჯანი, ყარაბაღი, სომხეთი, სამხრეთი ოსეთი...).[2]

ამგვარი კვალიფიკაციები გამყარებულია ე.წ. ლინგვისტური რუკებითაც; იხ. მაგ. საერთაშორისო მიმოქცევაში არსებული პროფ. იური კორიაკოვის რუკა;[3]

---

[1] ჯ. ჰიუიტმა ეს მოსაზრება გამოთქვა 1999 წელს წერილში:„თანამშრომლობა კავკასიის საკეთილდღეოდ" (სტატია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნ. ჩიქობავას ინსტიტუტს საჩეცენზიოდ გადასცა თურქეთში გამომავალი ჟურნალის„ჩვენებურების" რედაქციამ 1999 წელს); იხ., აგრეთვე: **Hewitt, B.G.** Abkhazia: a problem of identity and ownership. Central Asian Survey, vol. 12, no. 3, pp. 267–323, 1993; **Hewitt, B.G.** Demographic manipulation in the Caucasus. The Journal of Refugee Studies, vol. 8, no. 1, pp. 48–74, 1995; **Hewitt, G.** (ed.) The Abkhazians. Curzon Press, 1999. კრიტიკისათვის იხ.: http://www.scribd.com/doc/2273647/Conflict-in-Abkhazia-Cases-of-Cooperation-in-Favour-of-Caucasus-or-again-Confederation-of-Caucasus).,სამეგრელოს ბუფერული სახელმწიფოს" იდეის პროვოცირებით რუსეთის იმპერიულ წრეებს სურთ, საქართველოს საბოლოოდ წაართვან აფხაზეთი.

[2] შდრ., მაგ. ა. დუგინის ხედვა საქართველოს ტერიტორიული მოწყობის შესახებ (Москва: Арктогея-центр, 1999): "Новый геополитический порядок на Кавказе" предполагает полный передел ныне существующих политических реальностей и переход от модели взаимоотношений государство-государство или нация-нация к чисто геополитической системе Центр-периферия, причем структура периферии должна определяться не политической, но этно-культурной дифференциацией. Это возможно осуществить через план создания "Кавказской Федерации", которая включала бы в себя как три кавказских республики СНГ, так и внутрироссийские автономные образования. Центр при этом уступал бы всему этому району культурно-экономическую автаркию, но обеспечивал бы жесточайший стратегический централизм... (сс. 351-352).

[3] პროფ. ქევინ თუითის (კანადა) რეკომენდაციით ეს რუკა კომენტარებისთვის გადმოგვიგზავნა ლინგვისტური რუკების ფრანგმა სპეციალისტმა პატრიკ ლემონიერმა (Patrick LEMONNIER).



მსგავსი რუკებისგან განსხვავებით აქ არსებითი „სიახლე“ ის არის, რომ ერთმანეთთან გათანაბრებულია ტერმინები: სამეგრელო და ისტორიული კოლხა (Colkhis), რითაც ხაზგასმულია ქართულისა და მეგრულის დაცალკევება-დაშორების თითქოსდა ხანგრძლივი ისტორია: ი. კორიაკოვის რუკის მიხედვით გამოდის, რომ ქართული ენა არ არსებობს სამეგრელოში, სვანეთში.

სინამდვილეში, კოლხური არქეოლოგიური კულტურის საზღვრები და ბერძნულ-ურარტული ძველი ისტორიული ცნობები ცხადყოფენ, რომ ქართველთა ისტორიული სახელმწიფო კოლხაც და საერთოქართველური ენის ბაზაზე შექმნილი კოლხური კულტურაც, ისტორიული საქართველოს ძირითად ნაწილს მოიცავდა. იმ პერიოდშიც დღევანდელ მეგრელთა, მესხთა, აჭარელთა, სვანთა, ლაზთა თუ ტაოელთა წინაპრები ერთიან ქართულ (/ქართველურ) ეთნოსს წარმოადგენდნენ და ერთიან კულტურას ქმნიდნენ.[1]

ბუნებრივია, ი. კორიაკოვმა იცის, რომ სვანებიც, მეგრელებიც, გურულებიც, აჭარლებიც და სხვა კუთხის ქართველებიც თავიანთ დედაენად ქართულს მიიჩნევენ; იცის ისიც, რომ მის მიერ ენებად სახელდებულ იდიომებს მეცნიერთა ნაწილი ქართული ენის კილოებად თვლის. ამის მიუხედავად, ის მაინც, რატომღაც, მეგრელებს, ლაზებს, ზემო სვანებს და ქვემო სვანებს არამხოლოდ ენობრივად, არამედ ეთნიკურადაც აცალკევებს (მიზანი: „გათიშე და იბატონე!“).[2]

[1] სარწმუნო ჩანს ვარაუდი, რომ კულხა წარმოიქმნა ჭოროხის ხეობასა და კოლა-არტაანის მხარეში ძვ.წ. მეორე ათასწლეულის შუა პერიოდში; საკითხის ისტორიისათვის იხ., **მ. ინაძე**. ტერმინები: „კოლხა“ და „კოლხეთი“ ანტიკურ მწერლობაში. – კრ. საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, თბ., 1993; **ტ.ფუტკარაძე**. ქართველები, ქუთაისი, 2005.

[2] **http://lingvarium.org/raznoe/publications/caucas/alw_cau_ru.shtml;** Коряков Юрий Борисович, **Атлас кавказских языков**; **М.,** Институт языкознания, 2006, 39-42; შდრ. აქვე, ი. კორიაკოვი დარგუული ენის ნაცვლად 18 ენას გამოყოფს, ხოლო დარგუულ კილოებს ენებად აცხადებს.

დღევანდელი საქართველო მსოფლიოს ყურადღების ცენტრშია: ამჟამად საქართველო აქტიურად განიხილება ამერიკა-რუსეთის, ევროპა-რუსეთის, თურქეთ-რუსეთის, ევრაზიის გეოპოლიტიკურ კონტექსტებში; შესაბამისად, ბევრი დაინტერესებული მხარე ცდილობს, თავისი ინტერესების შესაბამისად წარმოაჩინოს რეალობა. შეიძლება ითქვას, ასეთი სახიფათო გლობალური დაპირისპირების ობიექტი არასოდეს ყოფილა კავკასიის ეს მცირეტერიტორიანი სახელმწიფო.

თანამედროვე საქართველოს წინააღმდეგ დიდ საინფორმაციო ომს აწარმოებს რუსეთის იმპერია; განსაკუთრებით მახინჯდება მონაცემები ქართველთა ენობრივ-ეთნიკური იდენტობისა და საქართველოს ისტორიის ბოლო 200 წლის შესახებ /როდესაც საქართველო ოკუპირებული იყო რუსეთის იმპერიის მიერ/. ამ მიმართულებით საქართველოს ესაჭიროება საინფორმაციო თავდაცვითი სისტემის შექმნა, რომლის მიზანიც იქნება ქართველთა/საქართველოს შესახებ ობიექტური და დროული ინფორმაციის გავრცელება მსოფლიოში; კერძოდ, დროულადაა საჭირო:

- ქართველთა ენობრივ-ეთნიკური და სახელმწიფოებრივი იდენტობის შესახებ მსოფლიოში ფართოდ გავრცელებული არასწორი ინფორმაციების დაბალანსება; აუცილებელია, ასევე, ქართული სამხედრო ჟურნალისტიკის განვითარება და კიბერთავდაცვითი მექანიზმის შექმნა;
- საქართველოს (ქართველი ერის) შესახებ ობიექტური ეთნოლინგვისტური და ისტორიოგრაფიული რუკების დამუშავება;
- საერთაშორისო სამეცნიერო თუ საენციკლოპედიო წრეებისთვის თანამედროვე ქართველოლოგიური კვლევების შედეგების მიწოდება...

Tamar Belkania,

Iv. Javakhishvili State University

Tariel Putkaradze

Saint Andrew's Georgian University

INFORMATION WAR AGAINST GEORGIA

/Geopolitical context/

Today Georgia is the center of attention of the world: at present Georgia is being actively discussed within the American-Russian, European-Russian, Turkish-Russian, Eurasian geopolitical contexts; therefore, many interested parties attempt to represent reality according to their interests. We may say, this small part of Caucasus has never been an object of such dangerous global confrontation.

Russian empire is carrying out a massive information warfare campaign against Georgia. Data on linguistic-ethnic identity of Georgians as well as 200 years of Georgia's recent history (being occupied by Russia) are especially corrupt. Georgia is in need of information security system aiming at global dissemination of objective and timely information on Georgians and Georgia. Namely, the urgent activities include:

- balancing corrupt data regarding linguistic-ethnic and state identity of Georgians that is widespread throughout the world; development of Georgian military journalism and establishment of a cyber security mechanism is essential;

- designing objective ethnic-linguistic and historiographical maps of Georgia (Georgian nation);

- providing international scientific community and encyclopedias with the results of modern Kartvelological research.

კახაბერ ფიფია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

გვიანანტიკური და თანამედროვე საქართველოს ისტორიული პარალელები: გეოპოლიტიკური ასპექტი

„რაც ყოფილა ის იქნება,
რაც მომხდარა ის მოხდება და
არაფერი ახალი ამ მზის ქვეშ არ ხდება.“
სოლომონ ბრძენი

კავკასია და მისი გეოგრაფიულ-პოლიტიკური ცენტრი, საქართველო ოდითგანვე მსოფლიო კულტურულ-ისტორიული პროცესების მონაწილეა. ევრაზიის უნიკალური ტრანსკავკასიური სატრანზიტო დერეფნის ევროპისაკენ მოქცეულ ნაწილში მდებარეობის გამო, საქართველო მჭიდროდ იყო დაკავშირებული გარესამყაროსთან, რაც ხელს უწყობდა ქვეყნის სწრაფ პოლიტიკურ და კულტურულ დაწინაურებას. მაგრამ, მეორე მხრივ, იმავე ფაქტორის გამო, საქართველო ხშირად იყო მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოთა მისწრაფებებისა და ინტერესთა რეალიზაციის ასპარეზი, რაც ხშირად ქვეყნის სრული პოლიტიკური კოლაფსისა და დამოუკიდებლობის დაკარგვის მიზეზიც ხდებოდა. ასე რომ, ევროპა-აზიის გასაყარზე მდებარეობამ იმთავითვე განსაზღვრა ჩვენი ქვეყნის ფუნქციაცა და ისტორიული ბედიც. იშვიათი გამონაკლისის გარდა, თითქმის მთელი თავისი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე საქართველო სხვადასხვა იმპერიათა შორის ბუფერული ზონა ან მათი შემადგენელი ნაწილი იყო. საქართველო ჩრდილოეთსა და სამხრეთს, დასავლეთსა და აღმოსავლეთს შორის ურთიერთობებში ერთდროულად ხიდსაც წარმოადგენდა და ბარიერსაც[1]. იგი ცივილიზაციათაშორისი, კულტურათაშორისი სივრცეა, რომელიც როგორც აღმოსავლეთის, ასევე დასავლეთის ცივილიზაციური სისტემებისაგან იღებდა კულტურულ იმპულსებს. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო წარმოადგენდა ევროპა-აზიის ცივილიზაციათა გზაჯვარედინს, საქართველოზე დასავლეთიდან მომდინარე იმპულსების ხარისხი გაცილებით მაღალი იყო და ამავე დროს, თვით საქართველოს კულტურულ-პოლიტიკური ორიენტაციაც უპირატესად დასავლურ ხასიათს ატარებდა. საქართველო ისტორიულ-ტიპოლოგიური თვალსაზრისით დასავლურ ცივილიზაციას ეკუთვნის. იგი დასავლური სამყაროს ნაწილია, ამ სამყაროს აღმოსავლურთან გადაკვეთის სივრცეში[2]. ასე იყო საუკუნეთა მანძილზე და ასეა ახლაც.

XX ს. ბოლოს, საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად, სამხრეთ კავკა-

[1] Н. Чиковани. Единный Кавказ: Исторически обусловленная реальность или политические иллюзии? – Центральная Азия и Кавказ. №5 (41), 2005, გვ. 53.

[2] **დ. ჯოჯუა.** საქართველოს კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობის საკითხისათვის (გლობალიზაციისა და ცივილიზაციათაშორისი ურთიერთობების კრიზისის ფონზე). – *კულტურათაშორისი კომუნიკაციები*, №1, 2007, გვ. 108-112.

სიაში ახალი პოლიტიკური რეალობა შეიქმნა და მრავალი ისეთ პროცესი დაიწყო, რომელთა წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო ძალთა მანამდელი ბალანსის პირობებში. საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო გახდა. ქართული სახელმწიფო იმთავითვე უამრავი პრობლემისა და გამოწვევის წინაშე დადგა. ქვეყნის შიდა პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტებთან ერთად, უმთავრესი გახდა საგარეო ვექტორის გამოკვეთა, ნაციონალური ტრადიციებისა და ეთნოფსიქოლოგიის შეფარდება თანამედროვე ცივილიზაციის მოთხოვნებთან და დღევანდელ მსოფლიოში კუთვნილი ადგილის განსაზღვრა.

საქართველომ დამოუკიდებლობის გამოცხადებისთანავე მკვეთრად გამოკვეთილი პროდასავლური კურსი აიღო, რაც განპირობებული იყო არა მხოლოდ თანამედროვე მსოფლიოში არსებული გეოპოლიტიკური რეალობის ობიექტური შეფასებით, არამედ გარკვეულწილად, შეიძლება ითქვას ისტორიული ტრადიციებითაც. როგორც აღვნიშნეთ, საქართველო ორგანულად დასავლური სამყაროს ნაწილია. დასავლურ ცივილიზაციურ სივრცესთან საქართველოს ისტორიული კავშირები ჯერ კიდევ ანტიკურობიდან იღებს სათავეს. საქართველოს ხანგრძლივი ისტორიის ყველა კონკრეტულ მონაკვეთში, დასავლეთთან პირდაპირი კონტაქტების გაწყვეტა ყოველთვის ქართული სახელმწიფოებრიობის უმძიმესი კრიზისის მიზეზი ხდებოდა. XVს. შუახანებიდან მოყოლებული, როდესაც საქართველო ხანგრძლივი დროით მოწყდა ევროპას და მუსულმანური ქვეყნების რკალში მოექცა, ქვეყნის ისტორიაში იწყება ყველაზე მძიმე პერიოდი. დასავლეთის მნიშვნელობა კარგად იყო გაცნობიერებული ქართულ პოლიტიკურ სამყაროში და ცალკეული მეფე-მთავრები ძალ-ღონეს არ ზოგავდნენ ევროპასთან იძულებით გაწყვეტილი კავშირის აღსადგენად, რასაც რამდენიმე საუკუნე დასჭირდა. ასე რომ, როდესაც ქვეყანას მიეცა დამოუკიდებელი არჩევანის უფლება, მან თავისი ბუნებრივი მოკავშირის ძებნა დასავლეთში დაიწყო.

აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს დაინტერესება დასავლეთით, ცალმხრივი არაა, და ევროპის ქვეყნების პოლიტიკურ ინტერესებს საქართველოს მიმართ, ისეთივე ხანგრძლივი ისტორია აქვს, როგორიც ჩვენი ქვეყნის დასავლურ ორიენტაციას. დღევანდელ სიტუაციაში, როცა საქართველო ფაქტობრივად მთელ თავის სახელმწიფოებრივ პერსპექტივას დასავლეთს უკავშირებს, ევროატლანტიკური სივრცის აღმოსავლეთისაკენ ფორსირებული გაფართოების, გლობალიზაციისა და საქართველოში სხვადასხვა ქვეყნის ინტერესთა გადაკვეთის პირობებში, დასავლურ სამყაროსთან ისტორიული კონტაქტების გააზრება მრავალმხრივ ინტერესს იწვევს.

საქართველოს გეოპოლიტიკაში ჩვეულებრივ ისტორიულად ჩამოყალიბებული სამი ვექტორი არსებობს: ჩრდილოეთი, დასავლეთი და სამხრეთი. მეოთხე, აღმოსავლეთის მიმართულებიდან საქართველოს ისტორიულად არ ემუქრებოდა უშუალო საფრთხე და ეს ვექტორი დამოკიდებული იყო სამხრეთის პოლიტიკაზე. ასე რომ, საქართველოს გეოპოლიტიკურად უწევდა სამი ძალის დაბალანსება, რომელთაგან ორი – ჩრდილოეთი და სამხრეთი, ისტორიულად ძლიერი იყო, ხოლო დასავლეთი სუსტი, რაც, როგორც აღვნიშნეთ, ხშირად საქართ-

ველოს მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის მიზეზიც ხდებოდა.

საქართველოს ისტორიის მთელ მანძილზე დასავლეთის ვექტორის განსაკუთრებული სიძლიერით ორი ეტაპი გამოირჩევა – გვიანანტიკური ხანა და თანამედროვე პერიოდი. ფაქტობრივად, შეიძლება ითქვას, რომ დღეს საქართველოში შემქმნილი პოლიტიკური რეალობა გვიანანტიკური ხანის რემინისცენციას წარმოადგენს და ისტორიული პარალელების სიმრავლით გამოირჩევა, რის გააზრებასაც, თანამედროვე გეოპოლიტიკურ კონტექსტში, წმინდა შემეცნებითთან ერთად განსაკუთრებული პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. გვიანანტიკური ხანისა და თანამედროვე საქართველოს გეოპოლიტიკურ მდგომარეობაში იკვეთება შემდეგი პარალელები:

1. დასავლეთი, როგორც ერთიანი პოლიტიკური აქტორი სამხრეთ კავკასიაში. დღევანდელი დასავლეთი, რომელიც ფაქტობრივად ერთ სამხედრო-პოლიტიკურ ბლოკს წარმოადგენს და უკვე ეკონომიკურადაც თითქმის მაქსიმალურადაა ინტეგრირებული, თავის პირველსაწყისს გვიანანტიკურ ხანაში იღებს. ევროპის უდიდესი ნაწილი არასდროს ყოფილა ისეთი ერთიანი როგორიც დღესაა და როგორიც გვიანანტიკურ ხანაში იყო. თითქმის მთელი დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის გაერთიანება ერთ პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკურ სისტემაში სწორედ გვიანანტიკურ ხანაში, რომის სახელმწიფოს ფარგლებში მოხდა. ამიტომ შემთხვევითი არაა, რომ რომის იმპერია თანამედროვე ევროპის წინამორბედადაა მიჩნეული. მაგ., ჯერ კიდევ თ. მომზენი ევროპულ ცივილიზაციას რომაულ ხმელთაშუაზღვისპირეთთან დაკავშირებული არეალის მორიგ კულტურულ წრედ მიიჩნევდა[1]. რომის იმპერიამ მოახერხა ევროპისა და წინა აზიის უზარმაზარი სივრცეების ერთი პოლიტიკური ძალის ქვეშ გაერთიანება, მათი ეკონომიკური ინტეგრაცია და ერთიან გეოპოლიტიკურ სისტემად ფორმირება. იმპერიაში შემავალ ცალკეულ ქვეყნებს შორის საზღვრები მოიშალა, სამონეტო სისტემა გარკვეულწილად უნიფიცირებულ იქნა, ხელსაყრელი პირობები შეიქმნა სხვადასხვა ხალხებს შორის კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობისათვის[2]. თანამედროვე ევროპაში მიმდინარე ინტეგრაციის პროცესი, გლობალიზმი, ევროპის აღმოსავლეთისაკენ გაფართოება და ცივილიზაციათა დაახლოება, რა თქმა უნდა, განსხვავებულ ფორმებში, ანტიკურ პერიოდში უკვე მომხდარი პოლიტიკური პროცესების გარკვეულ ისტორიულ ანალოგიას წარმოადგენს. ასე რომ, როგორც ახლა, ისევე გვიანანტიკურ ხანაში საქართველოს ურთიერთობა უწევდა ფაქტობრივად ერთიან ევროპასთან.

2. სამხრეთის ფაქტორი საქართველოს გეოპოლიტიკაში გვიანანტიკურ და თანამედროვე ხანაში. როგორც უკვე აღინიშნა, სამხრეთის ვექტორი (ირანი, თურქეთი) საქართველოს გეოპოლიტიკაში ისტორიულად ყოველთვის ძლიერი იყო და საქართველოს სწორედ აქედან ემუქრებოდა უშუალო საფრთხე. ასე იყო საქართველოს ისტორიის თითქმის მთელ მანძილზე. ამ მხრივ ერთგვარ გამონაკლისს სწორედ გვიანანტიკური (ყოველ შემთხვევაში, I-III სს.) და თანამედროვე

---

[1] Т. Моммзен. История Рима. т.I, Ростов-на-Дону, 1997, გვ. 22.

[2] В.И. Кузищин, И.А. Гвоздева. История Древнего Рима. М., 2005, გვ. 203-210.

ხანა წარმოადგენს. ძვ.წ. I ს. 60-იან წწ. რომის მიერ წინა აზიაში ახალი პოლიტიკური წესრიგის დამყარების შემდეგ, ქართულ პოლიტიკურ სამყაროს სამხრეთიდან მომდინარე საფრთხეები ხანგრძლივი დროის განმავლობაში ფაქტობრივად მოეხსნა. ლუკულუსისა და პომპეუსის ძლევამოსილი აღმოსავლური ლაშქრობების შედეგად მახლობელი აღმოსავლეთის პოლიტიკური რუკა რადიკალურად შეიცვალა. თითქმის მთელი მცირე აზია რომაელთა ხელში გადავიდა. მითრიდატული პონტოს სამეფოს ტერიტორია რომის პროვინციად გამოცხადდა. ტიგრან II-ის ვრცელი და ძლიერი „დიდი არმენია" დაიშალა და პატარა, მეორეხარისხოვან სახელმწიფოდ იქცა[1]. არმენიისა და პონტოს ძლიერების პერიოდში იბერია გარკვეულწილად მათი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა და მისი პოლიტიკური შესაძლებლობები მნიშვნელოვნად შეზღუდული იყო. მძლავრი მეზობლების დაცემამ კი იბერიას ახალი პერსპექტივები გაუხსნა და მის გაძლიერებას შეუწყო ხელი[2]. გარდა ამისა, ძვ. წ. I ს. 50-იანი წწ. ბოლოდან რომსა და პართიას შორის პერმანენტული დაპირისპირების დაწყებისა და ამ კონფრონტაციის შედეგად მახლობელ აღმოსავლეთში ე.წ. „პოლიტიკური დუალიზმის" სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ[3], პართიის მთელი სამხედრო-პოლიტიკური პოტენციალი მიმართული იყო რომის შეკავებისაკენ. ძვ. წ. I ს. შუახანებიდან დაწყებული, პართიის სამეფოს, მთელი მისი არსებობის მანძილზე, ძირითად ამოცანას წარმოადგენდა ან საკუთარი ტერიტორიების დაცვა, ან მაქსიმუმ ბრძოლა არმენიაში რომაელთა საბოლოოდ დამკვიდრების წინააღმდეგ და მისი პოლიტიკური აქტივობა იბერიას ვერ სწვდებოდა. ასე, რომ, რომის ექსპანსიის, ე.ი. დასავლეთის ვექტორის გაძლიერების შემდეგ, მთელი მცირე აზია გახდა ევროანტიკური ცივილიზაციის ნაწილი, ხოლო პართია დასუსტდა, რის შედეგად ხანგრძლივი დროის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ გაერთიანებებს სამხრეთიდან საფრთხე არ დამუქრებია.

გარკვეულწილად ანალოგიური პროცესები დღესაც შეიმჩნევა. თანამედროვე მცირე აზიაც რეალურად დასავლეთის ნაწილად მოიაზრება. ყოველ შემთხვევაში, თურქეთი NATO-ს წევრია, ხოლო მისი სწრაფვა „ვესტერნიზაციისაკენ", ევროპულ სტრუქტურებში ინტეგრირებისაკენ შეუქცევადი. ამასთან, დასავლეთის ფაქტორის სიძლიერისა და, ასევე სხვა ობიექტური გარემოებების გამო, ჩრდილოეთის მიმართულებით ირანის ნაკლებაქტიურობის პირობებში, დღესაც და ახლო მომავალშიც, საქართველოს სამხრეთის მხრიდან უშუალო საფრთხე არ ემუქრება.

ამრიგად, როგორც გვიანანტიკურ ხანაში, ასევე საქართველოს თანამედროვე გეოპოლიტიკურ რეალობაშიც, დასავლეთის ვექტორმა ფაქტობრივად გაანეიტრალა სამხრეთის ფაქტორი.

3. რომისა და თანამედროვე დასავლური, ევროატლანტიკური სივრცის სამხ-

---

[1] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. (პოლიტიკური ურთიერთობები), თბ., 2005, გვ. 30.

[2] **კ. ფიფია**. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო. თბ., 2005, გვ. 9.

[3] იხ.:**კ. ფიფია**. პართია-რომის ურთიერთობა ძვ.წ. I ს. შუახანებში და „პოლიტიკური დუალიზმის" სისტემის შექმნა წინა აზიაში. – „კავკასიის მაცნე", XII, თბ., 2005, გვ. 67-70.

ედრო-სტრატეგიული ინტერესები საქართველოს მიმართ. შეიძლება ითქვას, რომ დასავლეთის ინტერესებში საქართველოს მიმართ გვიანანტიკური ხანიდან ფაქტობრივად არაფერი შეცვლილა, და მას დღესაც იგივე ინტერესები ამოძრავებს ჩვენს რეგიონში, როგორიც რომაულ ხანაში. საქართველოს, და საერთოდ, ამიერკავკასიას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიკური სამყაროსათვის როგორც გეოპოლიტიკური, ასევე ეკონომიკური თვალსაზრისით. რომს, რა თქმა უნდა, აინტერესებდა ამიერკავკასიის ქვეყნების ადგილობრივი ეკონომიკური რესურსები, მაგრამ მას აქ უპირველესად სამხედრო-სტრატეგიული ინტერესები ამოძრავებდა[1]. კავკასიონის ქედი წარმოადგენდა ბუნებრივ საზღვარს ძველაღმოსავლური ცივილიზაციის ცენტრებსა და ჩრდილოეთის „ბარბაროსულ" სივრცეს შორის. რომი სასიცოცხლოდ დაინტერესებული იყო ჩრდილოეთ კავკასიის საუღელტეხილო გადმოსასვლელების, პირველ ყოვლისა იბერიის ტერიტორიაზე არსებული დარიალისა, და ასევე დერბენტის (ალბანეთის ტერიტორიაზე) გადასასვლელის გაკონტროლებით, რათა აღეკვეთა იმიერკავკასიის „ბარბაროსული" სამყაროს ექსპანსია სამხრეთისაკენ, აყვავებული რომაული პროვინციებისაკენ[2].

გარდა ამისა, ამიერკავკასია წარმოადგენდა ხელსაყრელ სამხედრო-სტრატეგიულ პლაცდარმს მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებზე რომის ძალაუფლების გასამტკიცებლად. პართია–რომის განუწყვეტელი დაპირისპირების შედეგად წინა აზიაში შექმნილი „პოლიტიკური დუალიზმის" პირობებში, საქართველოს იმპერიისათვის უნდა უზრუნველეყო მტკიცე ზურგი და შეესრულებინა პლაცდარმის როლი პართიის წინააღმდეგ სომხეთისათვის ბრძოლაში[3]. სომხეთზე პოლიტიკური გავლენის განმტკიცება რომის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ უმწვავეს პრობლემას წარმოადგენდა მთელი პრინციპატის (ახ. წ. I-II სს.) მანძილზე. ამ პრობლემას აქტუალობა არც III ს. 20-იან წწ. პართიის სამეფოს ნანგრევებზე ახალი, ძლიერი სასანიდური ირანის სახელმწიფოს წარმოქმნისა და აღმოსავლეთში გეოპოლიტიკური რეალობის შეცვლის შემდეგაც არ დაუკარგავს[4]. შესაბამისად, საქართველოს გეოპოლიტიკური მნიშვნელობა, მისი როგორც სამხედრო-სტრატეგიული პლაცდარმის ფუნქცია, კვლავ რჩებოდა რომის აღმოსავლური პოლიტიკის განსაკუთრებული ინტერესების სფეროში.

ამრიგად, რომის სტრატეგიული ინტერესები საქართველოს მიმართ განისაზღვრებოდა შემდეგი ორი ძირითადი ფაქტორით: საქართველო წარმოადგენდა ბარიერს ჩრდილოეთის „ბარბაროსული" სამყაროს მიმართ და სამხედრო პლაცდარმს პართია-ირანის წინააღმდეგ. თანამედროვე ეტაპზეც, ევროატლანტიკური სივრცის აღმოსავლეთისაკენ გაფართოების პირობებში, ორივე ეს ფაქტორი კვლავ აქტუალურია და ფაქტობრივად წარმოადგენს დასავლეთის სამხედრო ბლოკის ძირითად ინტერესს საქართველოს მიმართ. საქართველო ახლაც რჩება

[1] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 39.

[2] **კ. ფიფია**. ტრაიანეს აღმოსავლური პოლიტიკა და საქართველო, გვ. 8.

[3] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 39-40.

[4] **კ. ფიფია**. რომაული სამყაროს კრიზისი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი (ახ. წ. III ს.). თბ., 2006, გვ. 42-60.

დასავლეთის სტრატეგიულ-პოლიტიკური ინტერესების ძირითად პლაცდარმად მისი ჩრდილოეთითა და სამხრეთით მდებარე ანტიდასავლურად განწყობილი გეოპოლიტიკური ძალების (რუსეთი, ირანი) წინააღმდეგ.

4. გვიანანტიკური და თანამედროვე დასავლური სამყაროს გეოეკონომიკური ინტერესები საქართველოს მიმართ. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველო ანტიკური დროიდანვე შედიოდა საერთაშორისო-საკომუნიკაციო ქსელში და წარმოადგენდა ხიდს ევროპასა და აზიას შორის. ჯერ კიდევ ელინისტური ხანიდან ამიერკავკასიაზე, მდ. ფასისსა და მტკვრის ხეობაში გადიოდა დიდი საერთაშორისო-სავაჭრო მაგისტრალი, რომელიც ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპრეთის ქვეყნებს აკავშირებდა შუა აზიასთან, ინდოეთთან და ჩინეთთან. ეს მაგისტრალი „აბრეშუმის დიდ სავაჭრო გზად“ იწოდებოდა. იგი ჩინეთში, სინძიანში იწყებოდა და ორ განშტოებად მიემართებოდა დასავლეთისაკენ. ამ გზის ჩრდილოეთ განშტოება კავკასიის ზღვის, ალბანეთისა და იბერია-კოლხეთის გავლით ჩადიოდა ქ. ფასისში, აქედან კი საზღვაო კომუნიკაციებით მცირე აზიისა და ხმელშუაზღვისპირეთის ცენტრებს უკავშირდებოდა[1]. საქართველოზე გამავალი მაგისტრალის მნიშვნელობა განსაკუთრებით მას შემდეგ გაიზარდა, რაც გაძლიერებულმა პართიის სამეფომ ინდოეთისა და ჩინეთისაკენ მიმავალი სამხრეთის სატრანზიტო გზები გადაკეტა. სწორედ „დიდი აბრეშუმის გზის“ ჩრდილოეთ განშტოების, ტრანსკავკასიური მაგისტრალის რეალური პერსპექტივის შესწავლა და ამ რეგიონის სატრანზიტო შესაძლებლობების შესახებ ანტიკურ სამყაროში არსებული ინფორმაციის რევიზია წარმოადგენდა კიდეც ძვ. წ. 65 წ. ამიერკავკასიაში რომაელთა სამხედრო ექსპენსიის ერთ-ერთ ძირითად მიზანს[2].

XX ს. მიწურულს დასავლეთმა კვლავ გაიხსენა ისტორიული „აბრეშუმის გზის“ არსებობა და დღის წესრიგში დააყენა მისი აღდგენის იდეა, რამაც, ბუნებრივია, ისევ აქტუალური გახადა საქართველოს საკომუნიკაციო ფუნქცია და იგი ევროპის სტრატეგიული ინტერესების სფეროში მოაქცია. „აბრეშუმის გზის“ აღდგენის ინიციატივა 1993 წ. ევროკავშირმა წამოაყენა, რაც 1999 წ. აშშ-ს მიერ იქნა მხარდაჭერილი[3]. თღ ჩ ჩ -ს (ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფანი) პროექტის რეალიზაციასთან დაკავშირებით მკვეთრად გაიზარდა საქართველოს მნიშვნელობა და მან კვლავ დაიბრუნა ის სატრანზიტო ფუნქცია, რაც ძველთაგანვე გააჩნდა.

თანამედროვე პირობებში „ახალი აბრეშუმის გზის“ აღდგენა ნავარაუდევია საყრდენი დარგობრივი პლაცდარმების – ენერგეტიკისა და ტრანსკონტინენტური სატრანსპორტო სისტემის ბაზებზე[4]. ამ გზას ჩვენი ქვეყნისათვის დღე-

---

[1] **ვ. გოილაძე**. აბრეშუმის დიდი სავაჭრო გზა და საქართველო. თბ., 1997, გვ. 120-122; **ო. ლორთქიფანიძე**. ვაჭრობა შავ ზღვაზე - „აბრეშუმის გზის“ ისტორიული წინამძღვარი. – ძიებანი, *დამატებანი*, I, 1999, გვ. 26-27.

[2] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 29.

[3] **ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა**. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიის ნარკვევები. თბ., 2007, გვ. 2, შენ. 1.

[4] **ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა**. ცენტრალური კავკასია: გეოპოლიტიკური ეკონომიკის ნარკვევები,

საც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. გარდა იმისა, რომ ამ სატრანსპორტო დერეფნის გასწვრივ მდებარეობამ საქართველოს ე.წ. „სატრანზიტო ჰაბის“ ფუნქცია დაუმკვიდრა[1], მასზე გამავალი საერთაშორისო პროექტები (ბაქო-სუფსის, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, ბაქო-თბილისი-არზრუმის მილსადენები და პერსპექტივაში „ნაბუკო“) განიხილება როგორც ევროპის ენერგოუსაფრთხოების უზრუნველყოფისა და ევროკავშირის „ევროპის გაფართოების“ სტრატეგიის მნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილი[2], რაც, რა თქმა უნდა, მაქსიმალურად ხელსაყრელია ჩვენი ქვეყნისათვის და მისი აღორძინებისა და სახელმწიფოებრიობის ყველაზე მყარ გარანტიას წარმოადგენს.

5. საქართველო შავიზღვისპირეთის გეოპოლიტიკურ სისტემაში გვიანანტიკურ და თანამედროვე ხანაში. შავი ზღვის რეგიონში დღეს მიმდინარე ისტორიული პროცესები გარკვეულ ანალოგიებს პოულობს გვიანანტიკურ ხანაში. შავიზღვისპირეთი ერთიანი გეოპოლიტიკური სისტემის ფარგლებში პირველად გვიანანტიკურ ხანაში მოექცა, როცა თითქმის მთელ რეგიონში პოლიტიკურად რომის იმპერია დომინირებდა. უფრო მეტიც, ძვ. წ. I ს. მიწურულიდან რომმა რამდენჯერმე სცადა იმპერიის ეგიდით ერთიანი შავიზღვისპირა მონარქიის შექმნა, რომლის შემადგენლობაშიც უნდა შესულიყო მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი, აღმოსავლეთი და ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთი. გარკვეული დროის განმავლობაში (ძვ. წ. 14-8 წწ.) ასეთი კონგლომერატი არსებობდა კიდეც პონტო-ბოსფორის გაერთიანებული სამეფოს სახით, თუმცა, იგი მალევე დაიშალა[3]. ყოველ შემთხვევაში, ახ.წ. II ს. დასაწყისისათვის, დაკიის სამეფოს დაპყრობის შემდეგ, რომმა სრული სამხედრო-პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოაქცია თითქმის მთელი შავიზღვისპირეთი. ერთგვარ გამონაკლისს წარმოადგენდა შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი ნაწილი, კოლხეთიდან ბოსფორის სამეფომდე არსებული „ბარბაროსული“ სივრცე, რომელზეც ვერ მოხერხდა რეალური კონტროლის დაწესება. ეს ფაქტი, როგორც ქვემოთ ვნახავთ, სიმპტომატურია თანამედროვე კონტექსტშიც. გარდა ამისა, რომის მიერ მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის გაერთიანებისა და ანტიკურობის უდიდეს სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ, იმპერიის ერთ-ერთ მთავარ მიმართულებად იქცა ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ინტეგრირება, ამ ორი რეგიონის ერთიან გეოპოლიტიკურ სისტემად ფორმირება.

ეს იდეა, რა თქმა უნდა, განსხვავებულ ფორმებში, დღესაც აქტუალურია. თანამედროვე ეტაპზეც, მაკროსტრუქტურული ცვლილებების ზეგავლენით, მკაფიოდ იკვეთება შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ფუნქციური ინტეგრირებისა და შავიზღვისპირეთის ღია სისტემად ქცევის შესაძლებლობა. NATO-ში ბულგარეთის, რუმინეთის, სლოვენიისა და სლოვაკეთის გაწ-

---

გვ. 132-136; Р. Мирзоев. Транспортные коммуникации и геополитика в регионе великого щелкового пути. – Центральная Азия и Кавказ, №2 (38), 2005, გვ. 110-119.

[1] **ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა**. ცენტრალური კავკასია..., გვ. 174.

[2] **ე. ისმაილოვი, ვ. პაპავა**. ცენტრალური კავკასია.., გვ. 184; **ვ. პაპავა**. ცენტრალური კავკაზია. გეოპოლიტეკონომიური ნარკვევები. თბ., 2009, გვ. 51.

[3] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 38-41.

ევრიანების შემდეგ მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთი, ბალკანეთი, შავი ზღვის სამხრეთი და ცენტრალური ნაწილი ერთი ძალის ხელში აღმოჩნდა, რაც ქმნის კიდეც წინაპირობებს შავიზღვისპირეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ერთიან პოლიტიკურ-გეოგრაფიულ, შესაბამისად, სტრატეგიულ რეგიონად ფორმირებისათვის[1]. პერსპექტივაში მოსალოდნელია რომ ამ რეგიონის წევრები უკრაინა და საქართველოც გახდებიან. ყოველ შემთხვევაში, ისინი დასავლურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პრეტენდენტები არიან, ცდილობენ გახდნენ ევროპის პოლიტიკურ-ეკონომიკური სივრცის ნაწილი და ამით ევროპის რეალური საზღვარი აღმოსავლეთისაკენ გადაწიონ. ამის შედეგად კი მივიღებთ იმას, რომ ერთ სისტემად სტრუქტურირებულ მედიტერანულ-შავიზღვისპირა სივრცის შემადგენლობაში შავი ზღვის აღმოსავლეთი და ჩრდილოეთი ნაწილებიც შევა და ამ სივრცის გარეთ, ისევე როგორც გვიანანტიკურ ხანაში, მხოლოდ შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი, დღეს უკვე რუსეთის კონტროლქვეშ მყოფი ნაწილი დარჩება.

ასე რომ, თანამედროვე შავი ზღვის რეგიონის ტრანსფორმაციის მოსალოდნელი შედეგების სპეციფიკა თავისებურად ეხმიანება გვიანანტიკურ ხანაში მიმდინარე ინტეგრაციულ პროცესებს და ხმელთაშუაზღვისპირეთისა და შავიზღვისპირეთის ერთიან გეოპოლიტიკურ სივრცედ ინტეგრირების იდეა თავის პირველსაწყისს ევროანტიკურ სამყაროში იღებს.

6. საქართველო— რეგიონში დასავლური სამყაროს საყრდენი გვიანანტიკურ და თანამედროვე ხანაში. რომის ექსპანსიის შემდეგ აღმოსავლურქართული გაერთიანება – იბერიის სამეფო, სამხრეთ კავკასიაში რეგიონალურ ლიდერად იქცა. მიუხედავად იმისა,რომ პომპეუსის ლაშქრობის შემდეგ,იბერია ,,რომაელი ხალხის მეგობარ და მოკავშირე'' ქვეყნად გამოცხადდა, რაც ფაქტობრივ ვასალობას ნიშნავდა, რომის ამიერკავკასიაში შემოსვლა იბერიისათვის ობიექტურად სასარგებლოც კი აღმოჩნდა[2]. იგი, როგორც აღვნიშნეთ, განთავისუფლდა მძლავრი მეზობლებისაგან – პონტოსა და არმენიისაგან, ხოლო რომზე დამოკიდებულება ძირითადად ფორმალურ ხასიათს ატარებდა. იბერიამ იმთავითვე პრორომაული კურსი აიღო და გახდა რომის ინტერესების ძირითადი გამტარებელი კავკასიაში. დღესაც საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციის საქმეში რეგიონში ლიდერის პოზიცია უკავია, რაც, ისტორიული გამოცდილებიდან გამომდინარე, როგორც ქვემოთ ვნახავთ, მისთვის მომგებიანი უნდა გახდეს.

7. საქართველოს ტერიტორიული პრობლემები გვიანანტიკურ და თანამედროვე ხანაში. ქართული პოლიტიკური სამყარო რომის გავლენის სფეროში მწვავე ტერიტორიული პრობლემებით შევიდა. ძვ.წ. 65 წ. როდესაც პომპეუსმა კოლხეთი რომის ხელდებულ ქვეყნად გამოაცხადა, იგი ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულად, ,,სკეპტუხიებად'' იყო დაშლილი[3], ხოლო მის

---

[1] **მ. სურმავა.** შავი ზღვის რეგიონი ისტორიულ და პოსტისტორიულ პერსპექტივაში – რეგიონული ტრანსფორმაციის ძირითადი მიმართულებები. – ჟურნ. ,,*ქრისტიანული დემოკრატია*'', №1, 2001, გვ. 123.

[2] Н.Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотнощения. Тб., 1981, გვ. 115.

[3] **კ. ფიფია.** რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 27.

ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში, თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა ჩრდილოკავკასიელი ტომების ექსპანსიის პროცესი, რომლებიც არბევდნენ ზღვისპირა ცენტრებსაც – დიოსკურიასა და პიტიუნტს[1]. რაც შეეხება იბერიის სამეფოს, მას ამ პერიოდისათვის ტერიტორიული პრეტენზიები ჰქონდა სომხეთის მიმართ, რამდენადაც ამ უკანასკნელს ჯერ კიდევ ძვ. წ. II ს. დასაწყისიდან მიტაცებული ჰქონდა მისი სამხრეთის ოლქები – ხორძენე და გოგარენე[2]. ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა საქართველოსთვის დღესაც ყველაზე მტკივნეული საკითხია. ასე რომ, როგორც რომაულ-მედიტერანულ სამყაროსთან, ასევე თანამედროვე დასავლეთთან ურთიერთობების საწყის ეტაპზე, საქართველოსთვის ტერიტორიული პრობლემები კვლავაც აქტუალურია.

8. რომანიზაცია-ელინიზაციის პროცესი და თანამედროვე გლობალიზმი. თანამედროვე მსოფლიოში მიმდინარე გლობალიზაციის პროცესიც გარკვეულ ანალოგიებს პოულობს გვიანანტიკურ ხანაში. რომის გრანდიოზული საგარეო ექსპანსიის, მის მიერ ევროპაში, აზიასა და აფრიკაში უზარმაზარი ტერიტორიების დაპყრობისა და პრაქტიკულად მთელი ხმელთაშუაზღვისპირეთის გაერთიანების შემდეგ იწყება ახალი ეტაპი – იმპერიის შინაგანი გამთლიანების, რომისა და პროვინციების კულტურულ-ეკონომიკური ინტეგრაციის, დაპყრობილ ქვეყნებში ლათინური ენის, რომაული კულტურისა და ცხოვრების წესის გავრცელების, სხვადასხვა ისტორიული წარსულის, სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების სხვადასხვა საფეხურზე მდგომი ხალხების იდეოლოგიური დაახლოების, იმპერიის პოლიტიკურ სისტემაში ჩართული ქვეყნების რომანიზაციის ხანა[3]. რომანიზაციის ეპოქა დაიწყო რომის პოლიტიკური, ეკონომიკური და შემდეგ კი კულტურული ბატონობის დამყარებით. დაპყრობილი ქვეყნების რომანიზაციის პოლიტიკამ განსხვავებული სახე მიიღო აღმოსავლეთში. აქ ანტიკური სოციალურ-ეკონომიკური ნორმებისა და კულტურული ტრადიციების გავრცელება ელინიზაციის გზით მიმდინარეობდა[4]. რომანიზაცია- ელინიზაციის პროცესი თავისი არსით გარკვეულწილად თანამედროვე გლობალიზაციის წინამორბედად შეიძლება ჩაითვალოს. ასე რომ, როგორც გვიანანტიკური, ასევე თანამედროვე საქართველოს წინაშე კვლავაც მწვავედ დგას მსოფლიო ინტეგრაციულ პროცესებში ქვეყნის კულტურულ-ცივილიზაციური იდენტურობის შენარჩუნების ამოცანა.

ამრიგად, თანამედროვე და გვიანანტიკური ხანის საქართველოს ისტორიაში იკვეთება ძალზე საინტერესო პარალელები. საქართველოს დღევანდელი მძიმე გეოპოლიტიკური ვითარება ცხადყოფს, რომ, მართალია, ვცხოვრობთ ახალ მსოფლიოში, თუმცა ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ისტორიული პრობლემები მაინც აქტუალურია. ასეთ ვითარებაში უფრო ღრმად უნდა იქნეს გააზრებული ის შედეგები, რომელიც საქართველოს ანტიკურ რომთან ურთიერთობამ მოუ-

---

[1] Г.А. Меликишвили. К истории древней Грузии. Тб., 1959, გვ. 365-376.

[2] Н.Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотнощения, გვ. 80-81.

[3] А.Б. Егоров. Рим на грани эпох. М., 1985, გვ. 4.

[4] В.И. Кузищин, И.А. Гвоздева. История Древнего Рима, გვ. 203-207.

ტანა. ცალსახად უნდა აღინიშნოს, რომ რომთან მრავალსაუკუნოვანმა, ინტენსიურმა კონტაქტებმა ქართული პოლიტიკური სამყაროსათვის დადებითი შედეგები გამოიღო. იბერიის შესვლას რომის პოლიტიკურ ორბიტაში არ გამოუწვევია ადგილობრივი სახელმწიფოებრობის მოშლა, ტრადიციული სოციალური-ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემების დასუსტება. პირიქით, სწორედ რომის აღმოსავლური პოლიტიკიდან გამომდინარე, ახ. წ. I საუკუნიდან იბერია თანდათანობით რეგიონში ერთ-ერთ წამყვან სახელმწიფოდ ყალიბდება. იბერიის მმართველი წრეები, ცდილობდნენ მაქსიმალურად ხელსაყრელად გამოეყენებინათ რომის ფაქტორი საკუთარი პოლიტიკური მიზნების რეალიზაციისა და თავისი სამეფოს საზღვრების გაფართოებისათვის. ამ მხრივ ისინი იმდენად მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევენ, რომ ახ. წ. I ს. 30-იანი წლებიდან იბრძვიან არა მარტო სომხეთის მიერ მიტაცებელი სამხრეთის ცალკეული ოლქების, არამედ საერთოდ მთელი სომხეთის შემოსაერთებლად. სწორედ რომის ამიერკავკასიაში შემოსვლის შედეგად შექმნილ ახალ რეალობაში იბერიამ ახ. წ. I ს. მოახერხა დაკარგული სამხრეთის ტერიტორიების დაბრუნება და იმავე დროს აღმოსავლეთისკენაც, ალბანეთის მიმართულებით გაფართოება[1].

რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს, აქ რომაული სამხედრო ნაწილების ჩადგომის შემდეგ, ვითარება სტაბილური გახდა. შეწყდა ჩრდილო-დასავლეთ კავკასიიდან მთიელი ტომების ექსპანსია, საქალაქო ცხოვრება გამოცოცხლდა და განადგურებული ქალაქები – დიოსკურია და პიტიუნტი, კვლავ იბრუნებენ თავის ძველ დიდებას. გარდა ამისა, რაც მთავარია, ცალკეულ „სკეპტუხიებად" დაშლილ კოლხეთში რომის დახმარებით იწყება ადგილობრივი ტომობრივი გაერთიანებების გამსხვილების პროცესი[2], რაც საბოლოოდ, დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე ერთიანი ლაზიკის სამეფოს შექმნით დასრულდა.

ყოველივე ამასთან ერთად, ქართული პოლიტიკური გაერთიანებების ჩართვამ რომის პოლიტიკურ ორბიტაში გარკვეულწილად შეუწყო ხელი მოწინავე, მსოფლიო მნიშვნელობის რომაული კულტურის ცალკეული ელემენტების გავრცელებას. ამასთან, ელინიზაციის პროცესი საქართველოში ზედაპირულ ხასიათს ატარებდა, მას არ გამოუწვევია ადგილობრივი ყოფა-ცხოვრების, წარმოების წესის, კულტურის თვითმყოფადობის შეცვლა და ეს უკანასკნელი ისევ თავისთავადი, ტრადიციული გზით ვითარდებოდა.

და ბოლოს, რომაულ სამყაროსთან მრავალსაუკუნოვანი პოლიტიკური და კულტურული ურთიერთობების მთავარი შედეგი იყო ქრისტიანობის გავრცელება საქართველოში, რამაც ფუნდამენტური როლი შეასრულა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში. ქრისტიანობა გახდა ქართული კულტურული კოდის მთავარი ელემენტი, ეროვნული თვითმყოფადობის საფუძველი და კულტურული ევოლუციის სულიერი საყრდენი. ასე რომ, ევროანტიკურმა ტრადიციებმა მნიშვნელოვნად

---

[1] Н.Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотнощения, გვ. 178-179.

[2] **კ. ფიფია**. კოლხეთის ტერიტორიაზე ცალკეულ „სამეფოთა" წარმოქმნის საკითხისათვის. – *სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაცნე*, №1, 2007, გვ. 156-162; **კ. ფიფია**. რომის აღმოსავლური პოლიტიკა და ცალკეული„სამეფოების" წარმოქმნა კოლხეთში. თბ., 2009, გვ. 38-56.

განსაზღვრა საქართველოს შემდგომი ისტორიულ კულტურული განვითარების გზა, რომელიც დასავლური, ქრისტიანული სამყაროსაკენ იყო ორიენტირებული.

ამრიგად, გვიანანტიკურ ხანაში დასავლურ სამყაროსთან მჭიდრო კულტურულ-პოლიტიკურმა კონტაქტებმა საქართველოს უდავოდ პოზიტიური შედეგები მოუტანა. თანამედროვე ეტაპზე, ჩვენი სახელმწიფოს ეპოქალური ცვლილებების ზღურბლზე დგომის დროს, უფრო ღრმად უნდა იქნეს გააზრებული თანამედროვე ევროპის წინამორბედთან, რომის იმპერიასთან ხანგრძლივი ურთიერთობის ისტორიული გამოცდილება, რათა ზუსტად განისაზღვროს საგარეოპოლიტიკური სტრატეგიის პრიორიტეტები, ქვეყნის განვითარების კარდინალური მიმართულება და ფუნქციური პარამეტრები, რაც დაგვეხმარება საკუთარი ფასეულობებისა და ინტერესების უკეთ დაცვასა და იმავე დროს, თანამედროვე საერთაშორისო სისტემაში ღირსეული, კუთვნილი ადგილის დაკავებაში.

Kakhaber Pipia
Sokhumi State University

HISTORICAL PARALLELS OF LATE ANTIQUE AND Modern Georgia - Geopolitical Aspects

The paper deals with the main aspects of relations of Georgia in the late antique and modern periods with the western world. It highlights the historical parallels which have been observed in the geopolitical situation of Georgia in the late antique period and today.

გიორგი ქავთარაძე
*ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი*

საქართველო, კავკასიონი და გეოპოლიტიკა - წარსული და თანამედროვეობა

ევრაზიის კონტინენტზე კავკასიის ცენტრალური მდებარეობა ადვილად შესამჩნევია. განსაკუთრებით მკაფიოდ ეს ორ (შავ და კასპიის) ზღვას შორის მისი განლაგებით არის გამოკვეთილი. კავკასიის ცენტრალური მდებარეობა თითქოს თავისთავად უნდა განაპირობებდეს მის დანიშნულებას, ყოფილიყო მსოფლიოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი გზაჯვარედინი; თუმცა, კავკასიის შუაგულში მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი წყალგამყოფის – კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის არსებობა უფრო აშორებდა, ვიდრე აახლოებდა ერთმანეთთან ამიერკავკასიასა და იმიერკავკასიას, ისევე როგორც მათ გადაღმა მდებარე ახლო აღმოსავლეთისა და ცენტრალური ევრაზიის შორეულ სივრცეებს. თუმცა, ურთიერთობისა თუ ურთიერთბრძოლის იმანენტური მოთხოვნილება ადამიანებს თითქოსდა გადაულახავ მთაგრეხილებსაც კი გადაალახვინებდა; ეს ძველთაგანვე ძირითადად ზეკარებისა თუ უღელტეხილების მეშვეობით ხდებოდა. კავკასიონთან მიმართებაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ქედის ცენტრალური უღელტეხილი – დარიალის კარიბჭე, რომელსაც კლასიკური ხანის წერილობითი წყაროები ძირითადად „კავკასიისა“ თუ „კასპიის კარის“ სახელით მოიხსენიებენ. ამ კარიბჭის გამორჩეული ადგილი ძველი სამყაროს პოლიტიკურ ცხოვრებაში იმთავითვე კარგად იყო ცნობილი. ჯერ კიდევ ორი ათასი წლის წინ, პლინიუს უფროსი შენიშნავდა, რომ კავკასიის კარი სამყაროს ორ ნაწილად განყოფდა.[1] სამყაროს ორ ნაწილში, ჩვეულებრივ, ოიკუმენეს, „კეთილგონიერი ადამიანების“ მხარესა და ტერრა ინცოგნიტა-ს – „ბარბაროსების სამფლობელოს“ გულისხმობდნენ.[2]

ადრეულ ხანებში, პირველყოფილი ადამიანების ჯგუფებიცა და საკვებწარმოებითი მეურნეობის ტრადიციების მატარებელი მოსახლეობაც სამხრეთიდან ჩრდილოეთისაკენ ვრცელებოდა ხოლმე, თუმცა უფრო გვიანდელ ხანებში კავკასიონის უღელტეხილებს ძირითადად ჩრდილოეთის მომთაბარე-მესაქონლე და, შესაბამისად, მძლავრი სამხედრო უნარის მქონე ტომები იყენებდნენ სამხრეთით მდებარე გაცილებით უფრო განვითარებული და მდიდარი მხარეების დასალაშქრავად. ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ მიმართული გეოსტრატეგიული ვექტორი თვალსაჩინოდ იკვეთებოდა სწორედ აქ, ჯერ – ადრეული ყორღანული კულტურის მატარებელი მოსახლეობის ცალკეული ნაკადების, შემდეგ – კიმერიელებისა და სკვითების, სარმატებისა და ალანების, ჰუნებისა და ხაზა-

---

[1] NH VI, XII, 30.

[2] **G. L. Kavtaradze.** Georgian Chronicles and the raison d'ètre of the Iberian Kingdom (Caucasica II), – *Orbis Terrarum, Journal of Historical Geography of the Ancient World*. 6, 2000. Stuttgart: Franz Steiner Verlag, 2001. გვ. 179, 228.

რების, ოქროს ურდოსა და ოსმანთა იმპერიის გადამთიელი მოკავშირეებისა და ბოლოს – რუსული იმპერიების (რომანოვების, საბჭოთა და ფედერაციულის) შემოსევებისა და აგრესიის სახით. როგორც ჩანს, იმიერკავკასიელებსა და ამიერკავკასიელებს შორის კონფლიქტურ ურთიერთდამოკიდებულებაში, პირველს ჩვეულებრივ აგრესორის ფუნქცია ეკისრებოდა. დაპირისპირების ხშირი მიზეზი ამ მხარეებში განთავსებულ საზოგადოებათა ქონებრივი შესაძლებლობები უნდა ყოფილიყო; შეიძლება ითქვას, რომ ძირითადად მომთაბარე „უპოვრები“ თავს ესხმოდნენ ხოლმე „შეძლებულ“ ბინადარ მოსახლეობას. ამ ორ რეგიონს შორის სასაზღვრო ზონის ფუნქცია, კავკასიისათვის თვით ბუნების მიერ იყო დაკისრებული. დიდი კავკასიონის მთაგრეხილი, მსოფლიოს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი წყალგამყოფი სისტემა, მძლავრი წინაღობა იყო ახლო აღმოსავლეთსა და ხმელთაშუაზღვისპირეთში მომხდურების შეღწევისათვის.

მომხდურთა ცალკეული ჯგუფები, არცთუ იშვიათად, სახლდებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე და ქართველ მეფეთა ერთგული ქვეშევრდომები და საიმედო საყრდენი ხდებოდნენ ევრაზიის მუდმივად ფეთქებადი სამყაროდან გადმოსულ გადამთიელთა შემდგომი ტალღების მოგერიების დროს. შეიძლება ითქვას, რომ ამ პროცესს ჩვენი ქვეყნის ისტორიაში პერმანენტული ხასიათი ჰქონდა. კავკასიონის ქედის გადაღმა-გადმოღმა ადამიანის ცხოვრება პოლიტიკურ პოზიციასა და მენტალიტეტსაც კი თვისობრივად ცვლიდა. ახალმოსახლენი საერთო ამიერკავკასიული მისწრაფებებითა და ცხოვრებით არსებობდნენ და ყოველი მომხდური მათთვისაც, ძირძველი მოსახლეობის მსგავსად, არასასურველი და სახიფათო ხდებოდა. როგორც უკვე დღევანდელი დღის გადასახედიდან მკაფიოდ ჩანს, მდგომარეობა რადიკალურად განსხვავებული ხდება ხოლმე, დამპყრობელი ძალის მიერ გადმოსახლებულთა მეხუთე კოლონად გამოყენების შედეგად.

რაც შეეხება უფრო სამხრეთით მდებარე ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთულ მაღალგანვითარებულ საზოგადოებებს, მათი დაინტერესება ამიერკავკასიით იმთავითვე გარდუვალი იყო, ამ უკანასკნელის მდებარეობის გამო ცივილიზებული და ბარბაროსული სამყაროების შეხების ზონაში, ან უფრო ზუსტად, ამ ორი სამყაროს გამყოფ „რღვევის ხაზზე“ (fault line). მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ ამიერკავკასიის ასეთი მდებარეობა განაპირობებდა მის სივრცეში ისტორიული განვითარების ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოდელის შეჯახებას, კავკასიონის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც ეს რეგიონი მდებარეობდა, განსაზღვრავდა მის ბედს – ყოფილიყო, გეოპოლიტიკაში გამოყენებულ ტერმინს თუ მოვიშველიებთ, მაღალგანვითარებული ევრაზიული პერიფერიის ე.წ. „განაპირა ნახევარმთვარის“ (ანუ გარე ევრაზიის) ფორპოსტი განვითარების დაბალი ტემპის მქონე „შუაგული ქვეყნის“ (ანუ ცენტრალური თუ შიდა ევრაზიის) წინააღმდეგ; სხვა სიტყვებით, ყოფილიყო ცივილიზებული სამხრეთისა და დასავლეთის ბურჯი ბარბაროსული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგ. მსოფლიო ისტორიის გადასახედიდან შიდა ევრაზია ყოველთვის ერთიან ერთეულს წარმოადგენდა. იგი საკმაოდ ერთფეროვანია, როგორც გეოგრაფიული და ეკოლოგიური, ისე

პოლიტიკური თვალსაზრისით. დევიდ ქრისტიანი შენიშნავს, რომ ეკოლოგიურ და გეოგრაფიულ თავისებურებათა ერთობლიობამ ძველთაგანვე განსხვავებულად ჩამოაყალიბა ამ ვრცელი რეგიონის ისტორია; ეს თავისებურებები განსხვავებული პრობლემების აღმოცენებას უწყობდნენ ხელს, რომელნიც, თავის მხრივ, განსხვავებულ გადაწყვეტას მოითხოვდნენ. ამის შედეგად შიდა და გარე ევრაზიის ისტორია ძველთაგანვე და ძალზე ხანგრძლივი დროის განმავლობაში განვითარების განსხვავებულ, თუმცა პარალელურ დინებებს მისდევდა. დ. ქრისტიანი სწორედ ამ მიზეზებით განპირობებულად თვლის უკანასკნელი საუკუნისათვის დამახასიათებელ დაყოფას თავისუფალი ეკონომიკის მქონე გარე ევრაზიასა და მმართველ წრეთა ბრძანებებით მომუშავე ეკონომიკის მქონე შიდა ევრაზიას შორის. მართლაც, ეს ორი რეგიონი იმანენტურად დაპირისპირებული ჩანს ერთმანეთთან: შიდა ევრაზიისათვის პალეოლითის ხანაში დამახასიათებელი იყო უფრო ნადირობა, ვიდრე შემგროვებლობა, ნეოლითში უფრო მესაქონლეობა, ვიდრე მიწათმოქმედება, სახელმწიფოებრიობის წარმოქმნის ეპოქაში უფრო პასტორალური ნომადიზმი, ვიდრე ირიგაციული აგროკულტურა.[1]

კავკასიისათვის გარეშე ძალები თითქმის ყველა ეპოქაში დიდად იყვნენ დაინტერესებულნი დარიალის ზეკარის (უფრო გვიან, აგრეთვე დერბენტის კარიბჭის) გეოპოლიტიკური მნიშვნელობით. ამ გარემოებით უნდა ყოფილიყო გამოწვეული ახლო აღმოსავლეთში გაბატონებულ სახელმწიფოთა მესვეურების მცდელობა თავისი ძალაუფლება გაევრცელებინათ ცენტრალურ ამიერკავკასიაში; ამის გარეშე ხომ წარმოუდგენელი იქნებოდა „კავკასიის კარის" კონტროლი.[2] ურარტელებიდან დაწყებული ვისი სამხედრო თუ პოლიტიკური აქტიურობის კვალი არ შეინიშნება ამიერკავკასიის შუაგულში – აქემენიდების, ალექსანდრე მაკედონელის ელინისტური იმპერიის მემკვიდრეების, რომაელების, პართელების, სასანიანების, ბიზანტიელების, არაბების, ილხანების, სეფიანების, ოსმალოების, ყაჯარების და სხვ. უღელტეხილთა კონტროლის საჭიროება, თავისთავად განაპირობებდა მათ მახლობლად ამ ფუნქციის შესრულების საჭიროებისათვის სათანადო სიძლიერის მქონე სახელმწიფოებრივი წარმონაქმნის აღმოცენებას. აქ განლაგებულ „კავკასიის კარს" უდიდესი თავდაცვითი მნიშვნელობა ჰქონდა ძველი ცივილიზებული სამყაროს – ოიკუმენეს – უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად და მას თავისი ეს სასიცოცხლო მნიშვნელობა, არც მომდევნო ეპოქებში და, გარკვეულწილად, არც დღეს აქვს დაკარგული.

ბერძნულ-რომაული, სომხური და ქართული წერილობითი წყაროების მონაცემთა შეჯერება საშუალებას იძლევა ვივარაუდოთ, რომ ცენტრალური ამიერკავკასიის ყველაზე ადრეული სახელმწიფოს, იბერიის (ქართლის) სამეფოს აღმოცენება-ჩამოყალიბების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი, სწორედ კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში მდებარე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარიალის კარიბჭის კონტროლის საჭიროება უნდა

[1] **D. Christian.** Inner Eurasia as a Unit of World History, – ***Journal of World History,*** Vol. 5, No. 2, 1994. გვ. 174, 175.

[2] **გ. ქავთარაძე.** საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები (ადრეული ხანიდან). თბ., 2006. გვ. 114–118.

ყოფილიყო. პლინიუსი აკეთებს მეტად მნიშვნელოვან შენიშვნას, რომ იბერიული ქალაქი ჰარმასტუსი (იგივე ქართლის ძველი დედაქალაქი – არმაზი) კავკასიის კარის პირდაპირ მდებარეობდა, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, „სამყაროს ორ ნაწილად განყოფდა“.[1] ეს გარემოება მიუთითებს ჰარმასტუსის ფუნქციაზე – გადაეკეტა გზა ჩრდილოეთიდან, კავკასიის კარიდან (ანუ დარიალიდან) შემოსული და თერგისა და არაგვის ხეობების გავლით წამოსული მოთარეშეებისათვის; ამის მსურველთა რიცხვი კი ქედს გაღმა ურიცხვი იყო. იბერია ადრეელინისტური ხანის ახლადჩამოყალიბებულ სახელმწიფოთა შორის ერთ-ერთი, განლაგებული იყო ოიკუმენეს უკიდურეს ჩრდილოეთ ნაწილში, სადაც კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა ედოთ ბინა იმდროინდელი მსოფლიოს ყველაზე უფრო ბარბაროსულ, დამანგრეველ ძალებს. ცივილიზებული სამყაროს ყველა დროის მესვეურთათვის, მომთაბარეთათვის გზის გადამკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო, სასურველი იყო შუაგულ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე სახელმწიფოებრივი ორგანიზმის არსებობა. აღნიშნული გარემოებით იყო განპირობებული იბერიის სამეფოს მრავალსაუკუნოვანი ფუნქცია, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს ფორპოსტი. იბერთა ხელისუფალთ და მათ მოკავშირეებს, არა იმდენად კავკასიაში ჩრდილოეთიდან გადმოსული ბარბაროსებისათვის გზის გადაკეტვა ესაჭიროებოდათ, რამდენადაც მათი საკუთარი სტრატეგიული ინტერესებისათვის დაქვემდებარება; ტაციტუსი მართებულად აცხადებს, რომ მრავალ უღელტეხილზე გაბატონობებულ იბერებს შესაძლებლობა ჰქონდათ კასპიის გზით (იგულისხმება დარიალი, – გ.ქ.) კავკასიონზე გადმოეყვანათ ჩრდილოელი მებრძოლები და წარმატებით გამოეყენებინათ ისინი საკუთარი პოლიტიკური მიზნების შესაბამისად. ასეთი საშიშროების არსებობის შესაძლებლობაც კი უკვე მნიშვნელოვან იარაღს წარმოადგენდა სამხრეთიდან მომხდური მტრის საწინააღმდეგოდ. უღელტეხილებზე გაბატონებული იბერები პერმანენტულად და, მართლაც, დიდი წარმატებით იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას და ამით აწონასწორებდნენ გარესამყაროს სხვადასხვა მხრიდან მომდინარე ძალთა ზეწოლას.[2] გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა არა მარტო გამოიწვიეს კლასიკური ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა, არამედ განსაზღვრეს კიდეც მომდევნო ხანებში მისი ისტორიული განვითარება. როგორც იბერიის სამეფოს „არსებობის არსი“ (raison d'être), ასევე კლასიკური ეპოქის სხვა ახალი სახელმწიფოების, ალბანეთისა და კოლხეთ-ლაზიკის (ეგრისის), დანიშნულება მნიშვნელოვანწილად ჩანს განპირობებული, ამიერკავკასიის გეოგრაფიული მდებარეობით დიდი კავკასიონის მთაგრეხილის სამხრეთით და, შესაბამისად, აღნიშნული სახელმწიფოების როლით ამ მთაგრეხილის სტრატეგიული ფუნქციის მქონე ზეკარების კონტროლის საქმეში. კანონზომიერი ჩანს, რომ კავკასიონის სამივე ზეკარის გადმოღმა აღმოცენდა ამიერკავკასიის, ანუ კავკასიონის

---

[1] NH VI, XII, 30.

[2] **გ. ქავთარაძე**. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები.., გვ. 115.

უშუალოდ სამხრეთით მდებარე, სამივე სახელმწიფო: დასავლეთით – კოლხეთი, აღმოსავლეთით – ალბანეთი, ხოლო ცენტრალურ ნაწილში – იბერია (ქართლი).[1] როგორც ჩანს, ადრეული ხანებიდან არსებული გეოსტრატეგიული ვექტორის იმპულსი დაედო საფუძვლად შემდეგდროინდელი ქართული სახელმწიფოების ხანგრძლივ სწრაფვას, გააერთიანებინათ თავის ხელქვეით შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე – „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე" – არსებული კავკასიონის ყველა უღელტეხილი.[2]

ქართული სახელმწიფოს კავშირი კავკასიონის ზეკარების გაკონტროლების საჭიროებასთან მართლაც ქვეყნის მთელი არსებობის მანძილზე შეინიშნება. მისი ხელისუფალნი ქმედითად იყენებდნენ ქვეყნის ხელსაყრელი სტრატეგიული მდებარეობით ბოძებულ უპირატესობას, თუმცა ჩრდილოეთიდან ძალთა გადმოყვანა მკაცრ კონტროლს ექვემდებარებოდა, რათა ქვეყნის უსაფრთხოებას ზიანი არ მისცემოდა და არც არასოდეს, თითქმის XIX საუკუნემდე, საქართველოს ხელისუფალთ არ გადაუციათ კავკასიის ზეკარისა და შემოსასვლელი გზების კონტროლის უფლება ჩრდილოეთის მხარისათვის, რაც, თავისთავად ცხადია, საკუთარი ქვეყნისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ტოლფასი იქნებოდა, ვინაიდან სახელმწიფო დაკარგავდა თავის ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. ქვეყნის ამ დანიშნულებით უნდა ყოფილიყო განპირობებული მისი ფაქტობრივად უწყვეტი არსებობა კლასიკური ხანებიდან XIX საუკუნის დასაწყისამდე, რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე, როდესაც ადრეული ფუნქციის დაკარგვამ ქვეყნის დამოუკიდებელ არსებობას აზრი დაუკარგა და თითქმის ორი საუკუნე იგი აღარ ჩანდა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. თუ რომის იმპერიისა და პართიის, ბიზანტიისა და ირანის, ოსმალეთისა და სპარსეთის ურთიერთბრძოლისას კავკასიონის ზეკარებზე ადგილობრივი ამიერკავკასიელი მოსახლობის კონტროლი ძირითადად მისაღები იყო ორივე დაპირისპირებული მხარისათვის, სრულიად სხვა მდგომარეობა იქმნება რუსეთის იმპერიის კავკასიაში ექსპანსიის დროს. ჩრდილოეთიდან მომდგარ რუსეთს, სამხრეთით მდებარე ახლო აღმოსავლეთისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის სახელმწიფოებისაგან განსხვავებით, სულაც არ ესაჭიროებოდა კავკასიონის გადასასვლელების დამცველი ძალა. რუსეთის სულ უფრო მზარდი გეოსტრატეგიული ინტერესები კავკასიონის მთავარი ქედის გადალახვას ისახავდნენ მიზნად; ამ ქვეყანას ესაჭიროებოდა კავკასიონის ზეკარებზე არა „ტიხრებისა" თუ „რკინის კარების" აგება-მოწყობა, არამედ მათი „მოშლა" და „გაუქმება". ცხადია ეს საქართველოს საკუთარი ისტორიული ფუნქციის, „არსებობის არსის", დაკარგვით ემუქრებოდა.[3] ზურაბ ავალიშვილი მართებულად შენიშნავდა, რომ მას შემდეგ რაც ქვეყნის ძირითადი უფლებები გადაეცა რუსეთს, საქართველოს სამეფო ძალაუფლებას მხოლოდ ფორმა შერჩა შინაარსის გარეშე, მსგავსად კვერცხის

[1] იბერიის მიერ ლიხსიქით მდებარე არგვეთის ფლობა, რომელზედაც მამისონის უღელტეხილით კავკასიონზე გადმომავალი გზა გადიოდა, იბერიის მიერ კავკასიონის ცენტრალურ ნაწილზე სრული კონტროლის დაწესების მანიშნებელი უნდა იყოს.

[2] **გ. ქავთარაძე.** საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები.., გვ. 115–116.

[3] **გ. ქავთარაძე.** საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები.., გვ. 149.

ცარიელი ნაჭუჭისა და აუცილებელი გახდა მისი შორს მოსროლა.[1] სწორედ ზემოაღნიშნული გარემოებების გამო, საქართველოს დაცემის ძირითადი მიზეზი, ატარებდა არა იდეოლოგიურ თუ კულტურულ ხასიათს, არამედ პოლიტიკურს, რომელიც გამოიხატებოდა ქვეყნის ძირითად ფუნქციაზე – ჩრდილოეთიდან სამხრეთზე გადმომავალი კავკასიის კარის დაცვის მოვალეობაზე – უარის თქმასა და კარის მეორე მხარეს მდებარე (ანუ იმისათვის, ვის წინააღმდეგაც იყო მოწყობილი ეს კარი), მძლავრი და აღმავალი ჩრდილოური ძალისათვის ამ საკვანძო ფუნქციის გადაცემაში. რუსეთისათვის დაუშვებელი იყო კავკასიონის ქედის გადაღმა დამოუკიდებელი და, მით უფრო, ძლიერი სახელწიფოს არსებობა, თუნდაც იგი მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე ყოფილიყო. ეს უნდა იყოს ძირითადი მიზეზი იმისა, რომ ყოველგვარი „მოკავშირეობა“ თუ „მეგობრობა“ რუსეთსა და საქართველოს შორის, ამ უკანასკნელის ოკუპაციითა და ანექსიით თუ ინკორპორაციით მთავრდებოდა. საქართველოს მოსახლეობის ერთმორწმუნეობა და სიმპათიები რუსეთისათვის ხელსაყრელ გარემოებას წარმოადგენდა საქართველოს „ათვისებისათვის“ და შემდგომი ექსპანსიისათვის პლაცდარმად გადასაქცევად. რუსეთს „კავკასიის კარის“ გასაღების ხელში ჩაგდება სჭირდებოდა საიმისოდ, რომ ფართოდ გაეღო ეს კარი თავის დამპყრობლურ ზრახვათა განსახორციელებლად არა მხოლოდ კავკასიის მასშტაბით, არამედ, საზოგადოდ, ახლო აღმოსავლეთისა და პერსპექტივაში ინდოეთის მიმართულებით. თვით რუსი მოღვაწეების აღიარებით, შავ და კასპიის ზღვებზე ბატონობა რუსეთის „სასიცოცხლო“ ინტერესთა სფეროს განეკუთვნებოდა, ამიტომ კავკასიის დაკავება ამ ქვეყნის უპირველეს სახელმწიფოებრივ საჭიროებას წარმოადგენდა. კავკასიის ყელიდან რუსეთისათვის ადვილად მისაღწევი ხდებოდა მისთვის სასურველი ნებისმიერი რეგიონი ახლო და შუა აღმოსავლეთში: კავკასია იყო ის საყრდენი რუსეთისათვის, საიდანაც მის სამხედრო შენაერთებს შეეძლოთ დასავლეთის მიმართულებით, ანატოლიის გავლით, ხმელთაშუაზღვისპირეთში, სამხრეთის მიმართულებით, სპარსეთის გავლით, ინდოეთის ოკეანის სანაპიროებზე, ხოლო აღმოსავლეთის მიმართულებით, კასპიის ზღვის გადალახვით, შუაგულ აზიაში შეეღწიათ.[2]

კავკასიის გეოგრაფიული შუაგული – საქართველო, თავისი გეოპოლიტიკური მნიშვნელობიდან გამომდინარე, ადვილი შესაძლებელია მომავალი, მსოფლიო მასშტაბის გეოსტრატეგიულ ძალთა დაპირისპირების შედეგად წარმოქმნილი პოლიტიკური მოვლენების ეპიცენტრში აღმოჩნდეს და ალბათ ამ მოვლენებში უფრო მეტი ჩართულობით, ვიდრე ამას მის უაღრესად დაძაბულ და კოლიზიებით აღსავსე ხანგრძლივ ისტორიულ წარსულში ჰქონდა ადგილი.

საქართველოს დღევანდელი რთული პოლიტიკური მდგომარეობა, გარეშე, მტრული ძალის მიერ მისი ტერიტორიული მთლიანობის დარღვევა, მნიშვნელოვანწილად, ჩვენი ქვეყნის ხელსაყრელი გეოპოლიტიკური მდებარეობის გაბათილების სურვილით ჩანს განპირობებული. ამ მიზნით არის ჩამოყალიბებუ-

---

[1] З. Авалов. Присоединение Грузии к России. СПб., 1901. გვ. 198.

[2] **გ. ქავთარაძე**. საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები.., გვ. 144.

ლი კავკასიონის ქედის გადმოღმა ე.წ. ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოები – აფხაზეთი და „სამხრეთ ოსეთი“ – სინამდვილეში კი დამპყრობელი ძალის მიერ სათავისოდ მოწყობილი პლაცდარმები, რომელთაც არა მხოლოდ ენერგომატარებლებისა და სხვა ტვირთის გადაზიდვების, საზოგადოდ, დასავლეთ-აღმოსავლეთის კავშირთურთიერთობებისა და კონტაქტების ფუნქციონირებისათვის საფრთხის შექმნა ევალებათ, არამედ კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებაზე იმ საზღვრის აღდგენისათვის ხელის შეშლა, რომელიც ადრეულ ხანებში ცივილიზებულ რეგიონებს მომთაბარე ბარბაროსთა შემოსევებისგან იცავდა. აღნიშნული გარემოება, ჩვენ ქვეყანას მისი ოდინდელი „არსებობის არსის“ ანუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ძირითადი სახელმწიფოებრივი ფუნქციის დღეს ისევ ხელახლა წარმოქმნილი განახლების შესაძლებლობას დააკარგვინებდა, როდესაც სულ უფრო და უფრო ღრმავდება ახალი „რღვევის ხაზები“ დემოკრატიულ და არადემოკრატიულ სამყაროთა შორის.

რუსეთს თავის ორბიტაში საქართველოს დასაბრუნებლად და ხელში საბოლოოდ ჩასაგდებად, გარდა ველური ძალის გამოყენებისა, აუცილებელ წინაპირობად გარესამყაროსაგან საქართველოს იზოლირება ესაჭიროება; ეს კი აქ რელიგიური შეუწყნარებლობისა და ქსენოფობიის აღზევებით თუ მიიღწევა. დასავლურისაგან განსხვავებულ, ჭეშმარიტი ქართული მართლმადიდებლობისათვის და ტრადიციული ქართული კულტურისათვის სრულიად უცხო, რუსული და ისლამური ცივილიზაციების ვითომდა ახლომდგომ ადგილობრივ ტრადიციულ ხასიათზე ანუ სინამდვილეში ორთოდოქსულ ფუნდამენტალიზმზე აპელირება, ქართული საზოგადოების რუსულ და ისლამურ საზოგადოებათა ანალოგიურად წარმოჩენა, მოსკოვს ევრაზიულ წიაღში საქართველოს იძულებით შეყვანისათვის ესაჭიროება; იგულისხმება მსოფლიოს ცივილიზაციათა სისტემის ის მომავალი „რღვევის ხაზები”, რომლებიც სემუელ ჰანთინგთონის წარმოსახვით, თანდათანობით პოლიტიკური კავშირების გამყოფ საზღვრებად ჩამოყალიბდებიან.[1] თუმცა, საქართველოსათვის დასავლური ფასეულობები მომცველნი თავისუფლების, თანასწორობის, დემოკრატიის, ლიბერალიზმის, ინდივიდუალიზმის, ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის, თავისუფალი ბაზრის, კონსტიტუციონალიზმის, ეკლესიისა და სახელმწიფოს ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობის იდეებისა ძალზე მნიშვნელოვანია და არცერთ დასავლურ თუ სხვა ქვეყანაზე ნაკლებად მისაღები არ არის. შესაბამისად, არ მოიპოვებოდა და არც მოიპოვება არავითარი საფუძველი საქართველოს დასავლური ცივილიზაციისაგან ჩამოსაშორებლად და ევრაზიულ სივრცეში გასაერთიანებლად.

2008 წლის აგვისტოში რუსეთის ფედერაციამ ჯერ საქართველოს ტერიტორიაზე შეჭრით, ხოლო შემდეგ აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის ცნობით, ფაქტობრივადაც და ფორმალურადაც დაარღვია მსოფლიო თანამეგობრობაში შემავალი სახელმწიფოების პოლიტიკური არსებობის ე.წ. ვესტფალიის სისტემის ყველა ძირითადი პრინციპი, რომელიც გამომდინარეობდა ჯერ კიდევ XVII საუკუნის შუახანების ვესტფალიაში დადე-

[1] **S. Huntington.** The Clash of Civilizations and the Remaking of World Order. New York, 1996.

ბული საზავო ხელშეკრულების მიერ შემუშავებული ქვეყნის ტერიტორიული ხელშეუხებლობისა და მის შიდა მოწყობილობაში და საერთაშორისო ურთიერთობაში გარეშე ფაქტორების ჩაურევლობის სახელმწიფოთა სუვერენიტეტის ძირითადი კონცეფციიდან. ვესტფალიის სისტემის საყოველთაოდ ცნობილი პრინციპებია: სახელმწიფოთა სრული დამოუკიდებლობა და თვითგამორკვევის პოლიტიკური უფლება, სახელმწიფოთა ლეგალური თანასწორობა, ერთი ქვეყნის მიერ მეორე ქვეყნის შინაურ საქმეებში ჩაურევლობა.

ვესტფალიის ხელშეკრულების სიტყვიერი უარყოფა, აგვისტოს მოვლენებამდე რამდენიმე წლით ადრე, 2005 წლის გაზაფხულზე მოხდა, როდესაც ალყაიდას წარმომადგენელმა ლევის 'ატიატულამ, მადრიდში 11 მარტს მომხდარი ტერორისტული აქტიდან რამდენიმე კვირაში განაცხადა, რომ „მსოფლიოში არსებულ ძალთა ბალანსი დაირღვევა, დასავლეთის მიერ ვესტფალიის ხელშეკრულების შედეგად აგებული საერთაშორისო სისტემა განადგურდება და შემდეგ ხელახლა აიგება ძლევამოსილი ისლამური ხალიფატის წინამძღოლობით".[1] როგორც ვხედავთ, გამრავლებულან ახალი მსოფლიო წესრიგის შემუშავების მსურველნი. საინტერესოა, ხომ არ შეიძლება არსებობდეს რაიმე სახის მსგავსება, სიახლოვე ან სულაც კოორდინაცია მათ შორის.

2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტი თავისთავად იყო საერთაშორისო ურთიერთობებში ახალი ეპოქის დასაწყისი. მოხდა ტერორისტული ორგანიზაციის მიერ საერთაშორისო სისტემის უძლიერესი სახელმწიფოს მძიმე კრიზისულ მდგომარეობაში მოქცევა. აშშ იძულებული გახდა დაეწესებინა განსხვავებული მიდგომა იმათ მიმართ, ვინც ტერორისტული საქმიანობით ფაქტიურად კანონგარეშედ აცხადებდა საკუთარ თავს. 11 სექტემბერმა უდიდესი დაღი დაასვა შეერთებული შტატების საგარეო ურთიერთობებს და საერთოდ XXI საუკუნის საერთაშორისო პოლიტიკას.[2] მაგრამ, რამდენად არის შესაძლებელი ტერორისტული ორგანიზაციების მიერ ვესტფალიის სისტემის მიერ დადგენილი პრინციპების უგულვებელყოფის მოთმენა, თუკი მსოფლიოს ყველა სახელმწიფოში არსებობს კონსენსუსი ტერორისტული ორგანიზაციების კანონგარეშედ გამოცხადების თაობაზე, მათთან ყოველგვარი ურთიერთობის მიუღებლობაზე. რამდენად შეესაბამება სიტყვა საქმეს, ხომ არა ჰყავთ ტერორისტებს უნებლიე თანამზრახველები, ან ხომ არ ეძლევათ მათ შესაძლებლობა ააგონ თავისი თამაში სახელმწიფოთა შორის არსებულ უთანხმოებებზე, რამდენად აწყობს ყველას, ყველა არსებული ტერორისტული ორგანიზაციის საბოლოო განადგურება, განურჩევლად მათი მიზნებისა და მოქმედების არეალისა და ბოლოს, სად უნდა იყოს მათი საბაზისო, საყრდენი ადგილმდებარეობა?

---

[1] **G. Thompson.** Religious Fundamentalisms, Territories and "Globalization", – In: *Centre for Research on Socio–Cultural Change (CRESC) Working Paper Series*. Working Paper No. 14. February, 2006. გვ. 3.

[2] **E. Patterson, K. Punyear.** Outlaws and Barbarians: The Bush Administration's Revolution in Sovereignty, – In: *CIAO: The Whitehead Journal of Diplomacy and International Relations*. Vol. 7, No. 1. Winter/Spring, 2006, გვ. 199, – იხ.: heinonline.org/HOL/LandingPage?collection=journals &handle=hein.journals/whith7&div=30&id=&page=.

ჯაკუბ ჯ. გრიჯიელის[1] დაკვირვებით, რომელიც მას გამოთქმული აქვს 2007 წელს გამოქვეყნებულ წერილში „იმპერიები და ბარბაროსები", წარსული ეპოქის იმპერიები, იმგვარადვე იდგნენ ბარბაროსებისაგან მომდინარე პერმანენტული საფრთხის წინაშე, როგორც თანამედროვეობის დიდი სახელმწიფოები ტერორისტებისაგან მოსალოდნელისაგან და, შესაბამისად, ალ-ყაიდა და მისი მიმდევრები, შესაძლებელია მივიჩნიოთ XXI საუკუნის პლანეტარული მასშტაბის ბარბაროსებად. მისი დაკვირვებით, წინამოდერნული ხანის ბარბაროსები და მათი თანამედროვე ორეულები სამ ძირითად სფეროში ავლენენ მნიშვნელოვან მსგავსებას: მათი ორგანიზებულების ხასიათში, არსებულ ძალაუფლებაზე იერიშის მიტანის თავისებურებაში და იმ გამოწვევებში, რომლებსაც სახელმწიფოებს უყენებენ. საერთო ნიშნებს შორის შეიმჩნევა აგრეთვე მობილურობა, მუდმივი საზიარო ტერიტორიის უქონლობა და საზოგადოების ტრაიბალური თუ კლანური წყობილება.[2] დღევანდელ ბარბაროსებს თითქოს უკვე აღარ აქვთ ის თვალუწვდენელი თავისუფალი სივრცეები, საიდანაც აგრესიისათვის საჭირო მუხტის დაგროვება შეეძლებათ.

თანამედროვე ბარბაროსებისათვის სამოქმედო სივრცეების ნაკლებობასთან დაკავშირებით, მიამიტური ჩანს ჯ. გრიჯიელის მოსაზრება, რომ ვინაიდან, ვერ ხერხდება ბარბაროსთა ფიზიკური განადგურება, საჭიროა მათთვის სახელმწიფოებრივი წეს-წყობილების თავს მოხვევა ანუ სახელმწიფოს შექმნა, რათა ისინი უფრო განსჯადი გახდნენ პოლიტიკური თუ სამხედრო ზეწოლის მიმართ და თითქოს ეს უნდა იყოს ყველაზე ეფექტური ანტი-ბარბაროსული სტრატეგიის ძირითადი პრინციპი.[3] მართალია, ჩინგიზ ხანს თითქოს უთქვამს, რომ „ცხენზე ამხედრებულისთვის იოლია ქვეყნის დაპყრობა, ხოლო ცხენიდან ჩამომხტარისათვის კი ძალზე ძნელი ხდება მისი მართვა".[4] მაგრამ, ისტორიული პარადიგმები ყოველთვის როდი გამოდგება თანამედროვე პოლიტიკურ ცხოვრებაში გამოსაყენებლად.

კარგად არის ცნობილი, რომ დემოკრატიის პრინციპების მოქმედება დემოკრატიის მტრების ხელშესაწყობად, საბოლოო ჯამში, თვით დემოკრატიისათვის გამოდგება ხოლმე საზიანო. ტერორისტული ორგანიზაციები გლობალურ პოლიტიკაში სულ უფრო ანგარიშგასაწევ ძალად განიხილებიან. მათი მნიშვნელობის ასეთი ზრდა ვერ მოხერხდებოდა ზოგიერთი სახელმწიფოს

---

[1] **ჯ. ჯ. გრიჯიელი,** ჯონ ჰოპკინსის უნივერსიტეტში ჯორჯ ჰ. ვ. ბუშთან ასოცირებული საერთაშორისო კვლევების პროფესორი, ავტორია იმავე უნივერსიტეტში 2006 წელს გამოქვეყნებული წიგნისა: „დიდი სახელმწიფოები და გეოპოლიტიკური ცვლილება" (**J. J. Grygiel.** Great Powers and Geopolitical Change. Baltimore: Johns Hopkins University Press, 2006).

[2] **J. J. Grygiel.** Empires and Barbarians, – In: *The American Interest Online*. From the March–April 2007, – იხ.: www.the–american–interest.com/article.cfm?piece=250.

[3] **J. J. Grygiel.** Empires and Barbarians, – In: *The American Interest Online*. From the March–April 2007, – იხ.: www.the–american–interest.com/article.cfm?piece=250; **J. J. Grygiel.** Vacuum Wars. The Coming Competition Over Failed States, – In: *The American Interest Online*, July–August 2009, – იხ.: www.the–american–interest.com/article.cfm?piece=622.

[4] **T. Meagher, B. Brannaman.** The Gigantic Book of Horse Wisdom. New York: Skyhorse Publishing, 2007. გვ. 408.

მიერ მათთვის გაწეული ეფექტური დახმარების გარეშე. ნიშანდობლივია, რომ შეერთებული შტატების პრეზიდენტობის ამჟამინდელი კანდიდატის მიტ რომნის განცხადებით, ტერორისტული ჯგუფებისა და ირანის სახელმწიფოს მომცველი „მძვინვარე ჯიჰადიზმი", შეერთებულ შტატებთან, ჩინეთთან და რუსეთთან ერთად პრეტენზიას აცხადებს მსოფლიოში ლიდერობისათვის.[1]

ტერორიზმისა და სახელმწიფოებრიობის ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით, საკმარისია, ალბათ, გავიხსენოთ ყველა ის პრობლემა, რომელიც საბჭოთა კავშირმა შეუქმნა მსოფლიოს, თავისი მძლავრი სახელმწიფოებრივი ბაზის გამოყენებით, რომელიც განლაგებული იყო სწორედ ბარბაროსების მიერ ადრეულ ხანებში დაკავებული ევრაზიული ტრამალების მომცველ იმ ვრცელ ტერიტორიაზე, საიდანაც მომდინარე მუდმივ საფრთხეზე პასუხმა შესძინა ქართულ სახელმწიფოს თავისი ზემოხსენებული ისტორიული „არსებობის არსი". სწორედ კავკასიონის გადაღმა მდებარე ევრააზიის ამ ვრცელ ტრამალებზე აღმოცენდა ის პლაცდარმი, რომლიდანაც XX საუკუნეში ხორციელდებოდა სხვადასხვა ქვეყნების წინააღმდეგ მიმართული აგრესია თუ ტერორისტული აქტი. საკითხავია, დღესაც ხომ არ განაგრძობს თავისი ძველი ფუნქციის შესრულებას ეს რეგიონი?

2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ შექმნილი ვითარების გამოყენებას იმპერიული ზრახვების განსახორციელებლად, რუსეთი დაუყონებლივ შეუდგა. ამ ქვეყნისთვის 11 სექტემბრის ტრაგედია, ჯორჯ ფრიდმანის სიტყვები რომ გავიმეოროთ, „ღვთის წყალობა" იყო: აშშ, რომელიც მანამდე დაინტერესებული იყო პოსტსაბჭოთა ქვეყნების დასავლეთთან ინტეგრირებით, იძულებული გახდა ჩაფლულიყო ახლო აღმოსავლეთის ჯიჰადურ ომებში და შესაბამისად რუსეთსაც ხელი გაეხსნა „ახლო სამეზობლოში".[2] რუსეთმა, საკუთარ მოქალაქეთა უფლებების დაცვის საბაბით, საქართველოს სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტი დაარღვია და მის წიაღში შეეცადა წარმოექმნა „ცარიელი სივრცეები" – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებელი" სახელმწიფოების სახით, ხოლო თვით საქართველო ე.წ. არშემდგარ სახელმწიფოდ და თავისი შემდგომი ექსპანსიის ობიექტად ექცია.

ე.წ. ცარიელი სივრცეები ტერორისტებად ქცეულ ყოფილ ბარბაროსთა მთავარ პლაცდარმად განიხილება, ხოლო „ცარიელი სივრცეების" შემცველი სახელმწიფოები – არშემდგარ სახელმწიფოებად.[3] ჯ. გრიჯიელი, ვალტერ ლიპმანისა და არნოლდ ვოლფერსის ნააზრევზე დაყრდნობით, მიდის იმ დასკვნამდე, რომ არშემდგარი სახელმწიფოების მიერ შექმნილი ძალაუფლების ვაკუუმი იზიდავს დიდი ძალის სახელმწიფოების ინტერესებს, ვინაიდან იძლევა მათი

---

[1] **R. A. Oppel.** Jr. Romney's Adversarial View of Russia Stirs Debate, – ***The New York Times***, May 11, 2012; იხ.: www.nytimes.com/2012/05/12/us/politics/romneys-view-of-russia-sparks-debate.html?_r=1_

[2] **G. Friedman.** Russia's Strategy, – In: *Stratfor Global Intelligence*. April 24, 2012, - იხ.: www.stratfor.com/weekly/russias-strategy.

[3] **J. J. Grygiel.** Empires and Barbarians, – In: *The American Interest Online*. From the March–April 2007, – იხ.: www.the–american–interest.com/article.cfm?piece=250.

გავლენის სფეროების გავრცელების იოლ შესაძლებლობას. სახელმწიფო, რომელიც არ შეავსებს ძალაუფლების ვაკუუმს, ფაქტობრივად ეპატიჟება სხვა სახელმწიფოებს ამის გასაკეთებლად და ამით პოტენციურად ნაკლულს ხდის საკუთარ შეფარდებით ძალმოსილებას.[1] ტრადიციული თვალთახედვით, საერთაშორისო სისტემისათვის ვაკუუმი ისევე აუტანელია, როგორც ბუნებისათვის.[2] თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობები არსებითად ხომ ნულოვანი ჯამის მქონე თამაშია: ერთის მოგება, მეორის წაგებაა.

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთმა თავისი მცდელობით, შესაძლებელი გახადა საქართველოს ტერიტორიაზე „ბარბაროსული" სოციალური ორგანიზაციისათვის საარსებო „ცარიელი სივრცეების" აღმოცენება. ამის შედეგებს რუსეთი დღეს უკვე თვითონაც იმკის; საერთაშორისო წრეებში კრემლისათვის სამარცხვინოდ არის მიჩნეული, რუსეთის ეროვნული ანტიტერორისტული კომიტეტის მიერ უკანასკნელ ხანებში გაკეთებული განცხადება, სოჭში 2014 წელს ჩასატარებელი ოლიმპიური თამაშების წინააღმდეგ განზრახული ტერორისტული აქტების განსახორციელებელი გეგმის გამჟღავნების შესახებ, რომელიც თითქოს ორგანიზებული ყოფილა აფხაზეთში, საქართველოსთვის ჩამოცილებულ მხარეში.[3]

რუსეთ-საქართველოს ომმა და მსოფლიოს სხვა მხარეებში უკანასკნელ ხანს მომხდარმა მოვლენებმა, სპეციალისტების აზრით, ისევ აქტუალური გახადა ე. წ. არშემდგარ სახელმწიფოებთან დაკავშირებული საკითხები; დიდი საფრთხის შემცველად მიიჩნევა პოსტსაბჭოთა სივრცე, საქართველოდან ბალტიისპირეთამდე. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ჰქონდა, 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ, დიდ სახელმწიფოთა (რუსეთსა და აშშ) შორის წარმოქმნილი კონფრონტაციის საწყის ნიშნებს საქართველოს ბედ-იღბლის გამო. ჯ. გრიჯიელის შენიშვნით, XXI საუკუნის საქართველო და უკრაინა ისევ განაგრძობენ დიდ სახელმწიფოთა კონფრონტაციის წყაროდ გადაქცევის პოტენციალის ქონას, რის გამოც (აგრეთვე სხვა მოვლენების გათვალისწინებით) სასურველია უფრო უკეთესად გავერკვეთ არშემდგარი სახელმწიფოების არსებობის გამო წარმოქმნილ სირთულეებში, ვინაიდან, ჰუმანიტარული ხასიათის ტრაგედიებს დიდ ომებად გადაქცევის ტენდენცია გააჩნიათ. ძალაუფლების ვაკუუმით დასრულებული სახელმწიფოებრიობის მარცხი, განსაკუთრებით სტრატეგიულად მნიშვნელოვან ადგილებში, განაპირობებს დიდი სახელმწიფოების ჩარევას ასეთი ქვეყნის შინაურ საქმეებში და მათ ურთიერთმეტოქეობას, რისი თანმდევიც

---

[1] **J. J. Grygiel.** Vacuum Wars. The Coming Competition Over Failed States, – In: *The American Interest Online*, July–August 2009, – www.the–american–interest.com/article.cfm?piece=622.

[2] ამერიკის პრეზიდენტს რიჩარდ ნიქსონს, ჩინეთის პრემიერთან ჯოუ ენლაისთან შეხვედრის წინ, ჩაუნიშნავს, რომ „არ შეიძლება ხელუხლებლად დავტოვოთ ვაკუუმი, იგი შესავსებია" (**Y. Komine**. Secrecy in U.S. Foreign Policy: Nixon, Kissinger and the Rapprochement with China. Aldershot: Ashgate, 2008. გვ. 221).

[3] **J. Heintz.** Vladimir Putin, Russia President, Has Troubled First Week in Office, – In: *The Huffington Post*. May 12, 2012, – იხ.: www.huffingtonpost.com/2012/05/12/vladimir–putin–first–week_n_1511422.html?ref=world.

ხშირად ხდება ხოლმე კონფრონტაცია, კრიზისი და ომი.[1]

მაგრამ, რა უნდა იყოს იმის მიზეზი, რომ საქართველო და უკრაინა არშემდგარი სახელმწიფოების ჩამონათვალში განიხილება? ამის გარკვევის შესაძლებლობას უნდა იძლეოდეს, თვით ჯ. გრეჯიელის მიერ ასეთ სახელმწიფოდ, XVIII საუკუნის დასასრულის პოლონეთის რეჩ პოსპოლიტას დასახელება, რომელიც ძალზე ძნელია განვიხილოთ თავისი ეპოქის არშემდგარ ან უძლურ ქვეყნად; აშკარაა, რომ ეს ქვეყანა არშემდგარად, „დიდ სახელმწიფოთა" კონფრონტაციამ აქცია. საქართველოსთან მიმართებაში ამის მიზეზად, მართალია, დიდ სახელმწიფოთა, რუსეთისა და აშშ-ს შორის კონფრონტაციის საწყისი ნიშნები დასახელდა, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ ჯ. გრიჯიელის მიერ იმავე წერილში გამოთქმულ შენიშვნას, რომ აშშ-ის საგარეო უწყება იზიარებს ფართოდ გავრცელებულ შეხედულებას, რომლის თანახმადაც, დიდი სახელმწიფოები კი არ უნდა უპირისპირდებოდნენ ერთმანეთს, არამედ ერთმანეთთან უნდა ითანამშრომლონ არშემდგარი ქვეყნების ფეხზე წამოსაყენებლად,[2] აშკარა ხდება, რომ ავტორი საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ ძირითადად რუსეთის ფაქტორის გამო მიიჩნევს.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, გასაგები ხდება, თუ რით იყო გამოწვეული, ჯერ კიდევ რუსეთ-საქართველოს ომამდე, რუსი სამხედროების მცდელობა, საქართველოს ტერიტორიაზე გამოედევნათ ჩეჩენი მებრძოლები; ჯერ პანკისის პრობლემის შექმნით, ხოლო შემდეგ ტერორისტების ალაგმვის საბაბით, მათ თავისი სამხედრო ძალების განთავსება სურდათ ჩვენს ქვეყანაში. 2008 წლის ომის შემდეგაც, რუსეთს არა იმდენად აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის შთანთქმა ესაჭიროებოდა, რამდენადაც მათი ფაქტიური გაკონტროლებით საქართველოს არშემდგარ სახელმწიფოდ წარმოჩენა, ქვეყნის სრულფასოვანი პოლიტიკური ჩამოყალიბებისათვის ხელის შეშლა და სრულ ეკონომიკურ სტაგნაციაში მოქცევა; კრემლის ჩანაფიქრით, ეს რუსეთს საქართველოს ადვილად დაუფლების პერსპექტივას შეუქმნიდა. ამჟამად, ირანის ბირთვული პროგრამის გამო მოსალოდნელ კონფლიქტთან დაკავშირებით, სულ უფრო ხშირად გაისმის რუსეთის მუქარა საქართველოს ტერიტორიის მიმართ. თუმცა, უკანასკნელი მონაცემებით, საეჭვო ხდება, რომ შეერთებულმა შტატებმა რუსეთს ხელსაყრელი „თამაშის" განხორციელების შესაძლებლობა მისცეს.[3]

„ახალი ცივი ომის" ავტორი, ედვარდ ლუკასი, მეტად პესიმისტურად უყურებს რუსეთში ლიბერალური დემოკრატიის პერსპექტივას, ან თუნდაც მასთან მიახლოებული სისტემის ჩამოყალიბების შესაძლებლობას. მისი სიტყვებით, დასავლეთი იმედოვნებს, რომ რუსეთი დაინტერესებულია გაყიდოს რაც შეიძლება მეტი გაზი და ნავთობი, რათა მაქსიმალური მოგება ნახოს, მაგრამ,

---

[1] **J. J. Grygiel.** Vacuum Wars. The Coming Competition Over Failed States, – In: *The American Interest Online*, July–August 2009.იხ.: www.the–american–interest.com/article.cfm?piece=622.

[2] **J. J. Grygiel.** Vacuum Wars. The Coming Competition Over Failed States, – In: *The American Interest Online*, July–August 2009, – იხ. www.the–american–interest.com/article.cfm?piece=622.

[3] შდრ.: **A. Jaffe**. Carter Security Adviser Gives Obama High Marks on Foreign Policy, – In: *National Journal*. May 6, 2012.

სინამდვილეში, კრემლი რუსეთის ბუნებრივ რესურსებს, საპირისპიროდ ამისა, პოლიტიკურ და სტრატეგიულ იარაღად განიხილავს, რომლის საშუალებითაც მას შეუძლია დაყოს ევროპა და განახორციელოს ძლიერი დაწოლა აღმოსავლეთ ევროპისა და კავკასიის ქვეყნებზე. რუსეთის მიზანი ხომ ევროპის გაზის მომარაგების მონოპოლიზირებაა ყველა იმ გაზსადენის ხელში ჩაგდებით, რომლითაც ევროპელი მომხმარებელი მარაგდება.[1] ევროპის მიერ რუსული ბუნებრივი გაზის გამოყენებამ დაასუსტა ევროპის სახელმწიფოთა ლიდერების სიმტკიცე და მზაობა, რათა წინ აღუდგნენ მოსკოვის ნეოიმპერიალიზმს. თუ 90-იან წლებში მრავალი ექსპერტი და დასავლეთელი პოლიტიკოსი ვარაუდობდა რუსეთის განუხრელ სვლას ლიბერალური დემოკრატიის მიმართულებით და მის მშვიდობიან, კეთილმეზობლურ ურთიერთობას მომიჯნავე ქვეყნებთან (მიუხედავად ადრეულ 90-იან წლებში აფხაზეთში ჩადენილი ეთნიკური წმენდისა), 2008 წლის აგვისტოში საქართველოში რუსეთის მიერ წარმოებული ომი მათთვის „ცივ შხაპად“ გადაიქცა, ვინაიდან, იმის ნაცვლად, რომ დამტკბარიყო გაზისა და ნავთობის მარაგიდან მიღებული სიმდიდრით და ეზრუნა თანამედროვე, დემოკრატიული სახელმწიფოს განვითარებაზე, რუსეთმა შეიარაღებული დივიზიების კავკასიონის გადაღმა გაგზავნა გადაწყვიტა.[2]

ნავთობის რესურსებით კასპიის ზღვის აუზის განსაკუთრებული სიმდიდრის გეოპოლიტიკური მნიშვნელობა კიდევ უფრო მეტად ზრდის რუსეთის, და არა მხოლოდ ამ ქვეყნის, გეოსტრატეგიულ დაინტერესებას მთლიანად ამიერკავკასიისა და, კერძოდ, ამ ნავთობის გადაზიდვის ერთ-ერთი ყველაზე უფრო პერსპექტიული გზის, საქართველოს ტერიტორიის მიმართ. სულ უფრო მეტი სპეციალისტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ საქართველოს წინააღმდეგ ძალის გამოყენება მიზნად ისახავდა საქართველოზე დასავლეთის ზეგავლენის შეზღუდვას, ხოლო რუსეთ-საქართველოს ომი, სწორედ იმის ნიშანი იყო, რომ მოსკოვმა არ დაივიწყა თავისი იმპერიული ამბიციები და სურვილი აქვს მიმართოს ძალას, რათა დასაჯოს ყველა, ვინც კი მას გზაზე გადაეღობება; ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ პაექრობა ევრაზიაზე გავლენის მოსაპოვებლად მხოლოდ ახლა იწყება.[3]

რუსეთის დღევანდელ არსსა და ამ ქვეყნის უკანასკნელი წლების ნამო-

---

[1] **E. Lucas.** The New Cold War: Putin's Russia and the Threat to the West. New York: Palgrave Macmillan, 2008.

[2] **J. J. Grygiel.** Georgia on My Mind. A review of The New Cold War: Putin's Russia and the Threat to the West, by Edward Lucas, – In: *The Claremont Institute for the Study of Statesmanship and Political Philosophy, Claremont Review of Books*; October 28, 2008; – იხ.: www.claremont.org/publications/crb/id.1581/article_detail.asp.

[3] **G. Friedman.** Putin's Evolving Strategy in Europe, – In: *Stratfor Global Intelligence*. May 8, 2012, - იხ.: www.stratfor.com/weekly/putins-evolving-strategy-europe?utm_source=freelistf&utm_medium=email&utm _ campaign=20120508&utm_term=gweekly&utm_content=readmore &elq=5c9cacdd235446d1a761002610e4cd02; **J. J. Grygiel.** Georgia on My Mind. A review of The New Cold War: Putin's Russia and the Threat to the West, by Edward Lucas, – In: *The Claremont Institute for the Study of Statesmanship and Political Philosophy, Claremont Review of Books*; October 28, 2008; – იხ.: www.claremont.org/publications/crb/id. 1581/ article _detail.asp.

ქმედარზე დაკვირვების შედეგად, რუსეთი სულ უფრო ხშირად არის ხოლმე თანამედროვე ექსპერტთა მიერ დახასიათებული, როგორც პოსტმოდერნისტული ხანის ცარისტული ქვეყანა, ძლიერი ფაშისტური შეფერილობებით, ხოლო რუსეთისათვის კრემლის მიერ გამოყენებულ ტერმინს – „სუვერენული დემოკრატია", ჯ. გრეჯიელი ცვლის ტერმინით – „თაღლითური დემოკრატია".[1] ლეონ არონის სარკასტული შეფასებით, რუსული „სუვერენული დემოკრატიის" მიმართება „დემოკრატიისადმი" დაახლოებით ისეთივეა, როგორიც „ელექტრონული სკამისა" „ჩვეულებრივ სკამთან".[2] საქმე იქამდეა მისული, რომ ზოგიერთი პოლიტიკოსი ცდილობს ამ რუსულ „თავისებურებებს" გამართლება მოუძებნოს და მათში „რუსეთის ბედისწერა" დაინახოს; ჰენრი ქისინჯერის აზრით, რუსეთს ექსპანსიონიზმი არ შეიძლებოდა დამახასიათებელ ნიშან-თვისებად არ ჩამოყალიბებოდა, ვინაიდან მისთვის იმპერიალიზმი ოთხი საუკუნის განმავლობაში საგარეო პოლიტიკის ქვაკუთხედს წარმოადგენდა და შესაძლებლობას აძლევდა უკიდეგანოდ გაფართოვებულიყო ყველა მიმართულებით, განუხრელად იქვემდებარებდა რა შედარებით უფრო სუსტ მეზობლებს და იწვევდა მოწიწებას მათში, ვინც უშუალოდ მისი კონტროლის ქვეშ არ იმყოფებოდა.[3]

თანდათანობით აშკარა ხდება, რომ რუსეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ე.წ. გადატვირთვის პოლიტიკა არ შედგა, იმ ნაბიჯებს, რომელთა გადადგმას რუსები ამერიკელებისაგან ითხოვენ, სინამდვილეში სულაც არ მიყავთ ურთიერთობები რეალური გაუმჯობესებისაკენ და მხოლოდ უარყოფითი შედეგის მომტანია შეერთებული შტატების უსაფრთხოების ინტერესებისათვის; ამავე დროს ოდნავაც არ მცირდება რუსეთში ამერიკის მიმართ ხელოვნურად კულტივირებული მტრული განწყობა; რუსები ვერ იზიარებენ მათთვის უცხო, დასავლეთისათვის დამახასიათებელ დემოკრატიულ ფასეულობებს.[4]

---

[1] **J. J. Grygiel.** Georgia on My Mind. A review of The New Cold War: Putin's Russia and the Threat to the West, by Edward Lucas, – In: *The Claremont Institute for the Study of Statesmanship and Political Philosophy, Claremont Review of Books*; October 28, 2008; – იხ.: www.claremont.org/publications/crb/id.1581/article_detail.asp.

[2] **L. Aron.** A Tormenting in Moscow. Why is Russia harassing President Obama's new ambassador? – In: *Foregn Policy*. April 13, 2012

[3] **H. Kissinger.** Mission to Moscow: Clinton Must Lay the Groundwork for a New Relationship with Russia, – In: *Washington Post*. May 15, 2000; საქმე იქამდე მივიდა, რომ ზოგიერთი პოლიტიკური მიმომხილველი ირონიულად აცხადებდა: რუსების ექსპანსიონიზმი მათი დნმ-ის თავისებურებით არის განპირობებულიო (**G. Will.** Eastward–Ho? And Soon, – In: *Washington Post*. June 13, 1996).

[4] **D. Satter.** Obama's Open Microphone: The president shouldn't be offering concessions to Russia, in private or in public, – ***National Review Online***, March 28, 2012; იხ.: www.nationalreview.com/articles/294630/obama-s-open-microphone-david-satter. ამასთან დაკავშირებით, დღესაც ინარჩუნებს აქტუალურობას რონალდ რეიგანის მიერ 1983 წლის 8 მარტს, თავისი დაბადების დღის აღსანიშნავად ორლანდოში, ევანგელისტთა ეროვნულ ასოციაციასთან შეხვედრისას წარმოთქმული სიტყვა, როდესაც მან თანამემამულეებს მოუწოდა ბირთვული იარაღის გაყინვაზე საუბრისას დიდი სიფრთხილით მოკიდებოდნენ ცდუნებას, რათა საკუთარი თავი არ დაეყენებინათ იმაზე უფრო მაღლა, ვიდრე ეს საჭიროა და გულარხეინად არ დაედანაშაულებინათ „თანაბრად" ორივე (ამერიკული და მასთან დაპირისპირებული) მხარე, ისე რომ არ მიეღოთ მხედველობაში ისტორი-

სწორედ ამის გამო, უაღრესად მნიშვნელოვანია და სასურველი, რომ დემოკრატიული გარდაქმნების დონე და ხარისხი შედარებით დემოკრატიულ პოსტსაბჭოთა ქვეყნებში არ ჩამოუვარდებოდეს საერთოევროპულს, რათა არავის არ მიეცეს საშუალება ამ ქვეყნების ტოტალიტარული სამყაროსადმი სიახლოვისა და დასავლური სამყაროსათვის დამახასიათებელი დემოკრატიული ფასეულობების ვითომდა უქონლობის მომიზეზებით, გაამართლოს მათი ბედიღბლით არასაკმარისი დაინტერესება. ზოგიერთი მიმომხილველი მზად არის ამ გარემოებით ახსნას რუსეთ-საქართველოს 2008 წლის ომისა და უკრაინაში რეჟიმის შეცვლის შედეგად ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ევროკავშირის მიერ ამ ქვეყნების დასავლეთთან ინტეგრაციის მიმართ ინტერესის შენელება, რასაც, თავის მხრივ, უნდა განეპირობებინა რუსეთის „ახლო სამეზობლოს" მიკუთვნებული ქვეყნების დარწმუნება შეერთებულ შტატებთან, ნატოსთან და ევროკავშირთან მათი პოლიტიკური დაახლოების უპერსპექტივობაში და მათგან უსაფრთხოების გარანტიების მიღების შეუძლებლობაში.[1] ნიშანდობლივია, რომ რუსეთის მმართველი წრეები დიდი გაფაციცებით აფიქსირებენ დემოკრატიული ნორმების ნებისმიერ დარღვევას სხვებთან შედარებით უფრო დემოკრატიულ პოსტსაბჭოურ ქვეყნებში – საქართველოში, მოლდოვასა თუ უკრაინაში, მაშინ როდესაც ცდილობენ წაუყრუონ შეუდარებლად უფრო მნიშვნელოვან დარღვევებს, მომხდარს უზბეკეთში, თურქმენეთსა თუ ბელორუსში.[2]

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთს აკლია საბჭოთა კავშირის გლობალური მისწრაფებები და შესაძლებლობები, მაინც ნათელია, რომ დასავლურ სამყაროსთან მისი კონფრონტაცია გარდუვალია, თანაც უკვე ჩანს გარკვეული საფრთხის შემცველი ნიშნები, რომ შესაძლოა ამ კონფრონტაციამ ძალმომრეობითი ხასიათი მიიღოს.[3] მოსალოდნელი „პაექრობის" შედეგები, სავარაუდოდ, ყველა მხარისათვის საკმაოდ სავალალო იქნება, როგორც ეს ჩვეულებრივ მნიშვნელოვან ძალთა სერიოზული დაპირისპირების დროს ხდება ხოლმე. რუსეთის ამჟამინდელი ლიდერისათვის, ვლადიმერ პუტინისთვის საბჭოთა კავშირის დაშლა ხომ საუკუნის გეოპოლიტიკურ კატასტროფას წარმოადგენს, ხოლო კავშირის აღდგენა და ძველი საზღვრების დაბრუნება – ძირითად სტრატეგიულ მიზანს.[4] შესაბამისად, ვ. პუტინის პრეზიდენტის პოსტზე დაბრუნების შემდეგ, რუსეთის

ული ფაქტები და „ბოროტების იმპერიიდან" მომდინარე აგრესიული იმპულსები (**C. Oettinger.** President Ronald Reagan: Evil Empire Speech, – In: *Command Posts: a Focus on Military History, Policy and Fiction*. March 8, 2011; იხ.: www.commandposts.com/2011/03/president–ronald–reagan–evil–empire–speech).

[1] **G. Friedman.** Russia's Strategy, – In: *Stratfor Global Intelligence*. April 24, 2012, – იხ.: www.stratfor.com/weekly/russias–strategy.

[2] **K. Eggert, von**. Russian Power, Russian Weakness, – In: *Policy Review*. No. 172. March 30, 2012.

[3] **S. Waterman.** Russia Threatens to Strike NATO Missile Defense Sites, – In: *The Washington Times*. May 3, 2012, – იხ.: www.washingtontimes.com/news/2012/may/3/russia–threatens–strike–nato–missile–defense–sites.

[4] **G. Bryanski.** Putin, Medvedev praise values of Soviet Union, – *Reuters.* Nov., 17, 2011, – იხ.: in.reuters.com/article/2011/11/17/idINIndia-60590820111117.

მიერ გადასადგმელი უახლოესი ნაბიჯები აღარავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს. ცხადია, რომ ეს ქვეყანა ეცდება აღადგინოს ძალაუფლება ყოფილი იმპერიის ფარგლებში, განდევნოს უცხოური, ძირითადად დასავლური, გავლენა თავისი ქვეყნიდან და მიიღოს ევროპით მანიპულირების შესაძლებლობა, რათა აღიდგინოს ის გარდასული „დიდება", რომელსაც საბჭოთა კავშირი ფლობდა. რუსეთის ამ მისწრაფებებთან მიმართებაში, დასავლეთის მიერ უფრო თანამიმდევრული სტრატეგიის გატარების იმედი, სამწუხაროდ არ არის საკმარისად ნათლად გამოკვეთილი.[1] შესაბამისად, აღარ უნდა იყოს მოულოდნელი რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს დიპლომატიური აკადემიის **ევგენი ბაჟანოვის** ამასწინდელი განცხადებაც, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკების გარდა, ვერცერთი სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყანა ვერ დააღწევს თავს რუსეთთან მიბრუნებას, ვინაიდან, რუსეთის მასტაბილიზირებელი როლის გარეშე მთელი ეს უკიდეგანო სივრცე „განწირულია ქაოსისა და ჩამორჩენისათვის".[2]

საშინაო პრობლემებიდან თავისი მოსახლეობის ყურადღების გადასატანად, დღევანდელი რუსეთისათვის აუცილებელი ხდება გარეშე მტრის/მტრების ხატის შექმნა, ამასთან დაკავშირებით, ყურადღებას იპყრობს საინაუგურაციო ცერემონიალის შემდეგ ვ. პუტინის მიერ გახმოვანებული ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის პროგრამა, რომელშიც, აზერბაიჯანელი ექსპერტის რ. მირკადიროვის დაკვირვებით, იოლად შესამჩნევია რუსული საზოგადოებისათვის მთლიანობაში დამახასიათებელი „გენეტიკური იმპერიული მემკვიდრეობით" მანიპულირება და სადაც ხსენებაც კი აღარ ყოფილა დიმიტრი მედვედევის ეპოქის მთავარი მონაპოვარის, აშშ-სა და რუსეთს შორის „გადატვირთვის" პოლიტიკის.[3] სამაგიეროდ, რუსეთის საგარეო პოლიტიკური კურსის რეალიზებისათვის საგარეო საქმეთა სამინისტროს, ფედერაციის აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა ორგანოებთან ერთად, ერთ-ერთ განსახორციელებელ ამოცანად განესაზღვრა, „აფხაზეთის რესპუბლიკისა და სამხრეთ-ოსეთის რესპუბლიკის თანამედროვე დემოკრატიულ სახელმწიფოებად ჩამოყალიბებისათვის აქტიური ხელშეწყობის გაწევა, აგრეთვე ამ რესპუბლიკების საერთაშორისო პოზიციების გამყარება,

[1] **R. Coalson.** Putin's Return to Kremlin Could Boost Eurasian Union Project, – In: *Voice of America (Europe)*. March 09, 2012, – იხ.: www.voanews.com/english/news/europe/Putins-Return-to-Kremlin-Could-Reenergize-Eurasian-Union-Project-142051333.html; **J. J. Grygiel.** Georgia on My Mind. A review of The New Cold War: Putin's Russia and the Threat to the West, by Edward Lucas, – In: *The Claremont Institute for the Study of Statesmanship and Political Philosophy, Claremont Review of Books*; October 28, 2008; – იხ.: www.claremont.org/publications/crb/id.1581/article_detail.asp.

[2] **Е. П.** Бажанов. Козырные карты России. Мы можем рассчитывать на достойное место в жизни человечества в XXI столетии, – «Независимая Газета». 14.05.2012; – იხ.: www.ng.ru/courier/2012-05-14/9_cards.html.

[3] ამერიკელმა მიმომხილველებმაც შენიშნეს, რომ ვ. პუტინი გაურბის სიტყვა „გადატვირთვის" გამოყენებას, რაც, მათი აზრით, შემთხვევითი გარემოება არ უნდა იყოს (**H. Cooper, S. L. Myers, E. Barry.** As Putin Postpones Meeting Obama, Analysts Seek Political Import, – In: *The New York Times*. May 10, 2012;
იხ.:www.nytimes.com/2012/05/11/world/europe/analysts-seek-political-import-as-putin-puts-off-meeting-obama. html?_r=2).

მათი საიმედო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და სოციალურ-ეკონომიკური აღორძინება“ („ბრძანებულება რუსეთის ფედერაციის საგარეო პოლიტიკური კურსის სარეალიზაციო ღონისძიებათა შესახებ”, პუნქტი ე). აღნიშნული ბრძანებულების პუნქტი, სადაც აფხაზეთი და სამხრეთ-ოსეთია მოხსენიებული, აღარავითარ შანსს აღარ ტოვებს საქართველოსთან რუსეთის ურთიერთობის ნორმალიზაციის პერსპექტივისათვის. ამ ბრძანებულებით ვ. პუტინმა ხაზგასმით და ერთმნიშვნელოვნად განაცხადა, რომ რუსეთის პოლიტიკა აღნიშნული „რესპუბლიკების“ ჩამოყალიბებისა და საერთაშორისო აღიარების საქმეში თანმიმდევრულად გაგრძელდება.[1] ყურადღებას იპყრობს, აგრეთვე, 2012 წლის 12 მაისს, სოჭში, ვ. პუტინთან შეხვედრის შემდეგ ჩრდილო ოსეთის მეთაურის თეიმურაზ მამსუროვის მიერ გაკეთებული განცხადება იმის თაობაზე, რომ სამხრეთ ოსეთში დასაბამს იღებენ დიდი საქმეები, და ამიტომ ყველა პატრიოტი ოსი მოვალეა იყოს იქ, სადაც ოსეთის ახალი ისტორია დაიწერება.[2]

რაც შეეხება, საქართველოს შესაძლო სამომავლო ნეიტრალურ სტატუსს, რაც ზოგიერთი ჩვენი პოლიტიკოსის ხედვით, შექმნილი მდგომარეობიდან „ოპტიმალური“ გამოსავალია. სინამდვილეში, ეს ქვეყნის სუვერენიტეტის მნიშვნელოვანი შეზღუდვა და უფრო მეტიც, ფაქტობრივად გათელვა იქნებოდა. ანალოგიური სტატუსი რუსეთის მოთხოვნით უკვე აქვს მიღებული მოლდოვას და, შეიძლება ითქვას, რომ ამით მას არაფერი მოუგია. სპეციალისტების აზრით, ერთი ქვეყნის მიერ მეორის მიმართ ნეიტრალური სტატუსის მოთხოვნა, რასაც მხოლოდ რუსეთი თუ მოითხოვს მეზობლებისგან, ყველა საერთაშორისო-საკანონმდებლო ნორმას ეწინააღმდეგება და ქვეყანათა შორის თანასწორი ურთიერთობების დამყარებას ხელს უშლის.[3] ყველაფერთან ერთად გასათვალისწინებელია ისიც, რომ ანალოგიური „ფანდი“ რუსეთმა 1920 წელს უკვე ჩაუტარა საქართველოს, როდესაც მასთან დადებული 7 მაისის ხელშეკრულებით საქართველო აიძულა ყველა უცხოური სამხედრო ძალა გაეყვანა თავისი ტერიტორიიდან და ამის შედეგად, აღნიშნული ხელშეკრულებით, მართლაც „ხელშეკრული“ და გარე სამყაროსაგან მოწყვეტილი ”ნეიტრალური“ ქვეყნის დედაქალაქი თბილისი რუსეთის XI წითელმა არმიამ 1921 წლის 25 თებერვალს, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ აიღო. თავისი შედეგებით, 1920 წლის რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულება ჩამოგავდა 1783 წლის „გეორგიევსკის ტრაქტატს”, როდესაც რუსეთის მფარველობაში შესვლით საქართველო თვით სთავაზობდა მეორე მხარეს კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით მდებარე პლაცდარმს, ამიერკავკასიასა და ახლო აღმოსავლეთში ექსპანსიისათვის; ეს კი საქართველოს არსებობას რეგიონში ზედმეტს ხდიდა. დევიდ ლენგის დაკვირვე-

---

[1] Р. Миркадыров. Путин попытается «мочить», постоянно обостряя ситуацию в регионе, – Газ.: «Зеркало», № 81 (3766), 09.05.2012. გვ. 1, 3; იხ.: new.zerkalo.az/media/pdf/2012-05-09-1.pdf1.

[2] Р. Миркадыров. Путин попытается «мочить», постоянно обостряя ситуацию в регионе, – Газ.: «Зеркало», № 81 (3766), 09.05.2012. გვ. 1, 3.

[3] Р. Миркадыров. Путин попытается «мочить», постоянно обостряя ситуацию в регионе, – Газ.: «Зеркало», № 81 (3766), 09.05.2012. გვ. 1, 3.

ბით, როგორც ხელშეკრულების დებულებების მხრივ, ასევე თავისი შედეგებით, რუსეთ-საქართველოს 1920 წლის ხელშეკრულება უეჭველად წარმოადგენს საოცარ მსგავსებას 1783 წელს ეკატერინე II-სა და ერეკლე II-ს შორის დადებულ ხელშეკრულებასთან, რომელიც ასევე გამოდგა საქართველოს სრული ანექსიის პრელუდია.[1] 1920 წლის ხელშეკრულებას ზ. ავალიშვილი სამართლიანად უწოდებდა „ევროპული ორიენტაციის" დასასრულს საქართველოს საგარეო პოლიტიკაში.[2]

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთის ყოველგვარი წრესგადასული აქტიურობა კავკასიაში, კერძოდ, საქართველოს მიმართ აგრესია და ახალი „დამოუკიდებელი სახელმწიფოების" შექმნა გამოწვეული უნდა იყოს, გარდა საქართველოს „არსებობის არსის", ანუ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე ჩამოყალიბებული ძირითადი სახელმწიფოებრივი ფუნქციის, დაკარგვინების სურვილისა, რაც რუსეთს საქართველოს საბოლოოდ ხელში ჩაგდების საშუალებას მისცემდა, აგრეთვე, იმ მიზნით, რომ ხელი შეეშალოს კავკასიონის მთავარი ქედის გაყოლებაზე იმ გეოპოლიტიკური სასაზღვრო ზოლის („რღვევის ხაზის") ჩამოყალიბების პერსპექტივას, რომელიც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, დემოკრატიული განვითარების გზაზე დამდგარ ქვეყნებს ტოტალიტარული მსოფლმხედველობის არადემოკრატიული ქვეყნებისაგან განყოფდა. ამის შედეგად, ჩვენი ქვეყანა მსოფლიოს უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური პროცესების ეპიცენტრში აღმოჩნდებოდა, რაც გამოიწვევდა მისი ოდინდელი „არსებობის არსის" ახალ პირობებში სახეცვლილებას და ქვეყანაც გლობალური მნიშვნელობის მქონე პოლიტიკურ ფუნქციას აღიდგენდა.

როგორც ვხედავთ, კავკასიის ძველი თუ ახალი ისტორია დაკავშირებული იყო და არის გლობალური ხასიათის პოლიტიკურ მოვლენებთან; აქ გამავალი კავკასიონის მთავარი ქედის დიდი გეოპოლიტიკური მნიშვნელობა ყოველთვის იწვევდა ამა თუ იმ ეპოქის დიდი ძალის მქონე ქვეყნებისა თუ საზოგადოებების გეოსტრატეგიულ ინტერესთა და მიზანთა ამ მხარეში შეჯახებას. სწორედ, აღნიშნული გარემოების გამო, განსაკუთრებით ეფექტურად გვესახება, საქართველოს სახელმწიფოებრივი ფუნქციის ანუ „არსებობის არსის" დადგენის მიზნით, საქართველოს ისტორიაზე კავკასიონის მთავარი მთაგრეხილის და საზოგადოდ კავკასიის გეოპოლიტიკური მდებარეობის ზემოქმედების დიაქრონიულ ჭრილში შესწავლა, რის ერთ-ერთ საწყის მცდელობასაც წინამდებარე კვლევა წარმოადგენს.

---

[1] **D. M. Lang.** A Modern History of Georgia. London, 1962. გვ. 226; **გ. ქავთარაძე.** საქართველოს სახელმწიფოებრივი განვითარების საკითხები.., გვ. 183.

[2] З. Авалов. Независимость Грузии в международной политике 1918-1921гг. Тифлис, 1924. გვ. 287.

Giorgi L. Kavtaradze
Ivane Javakhishvili Institute of History and Ethnology of Georgia

GEORGIA, THE CAUCASUS AND GEOPOLITICS – PAST AND PRESENT

The key importance of the location of the Caucasus was picturesquely stated already by Pliny the Elder (Plinius Magnus), in the first century, namely that the Caucasian Gates divides the world in two parts (NH, VI, XII, 30). Transcaucasia, as it was located in the edge of the civilized and barbarian worlds, was an area of influences of these two opposite models of the historical development, but the factor of the Greater Caucasus Mountain Range determined its destination to be the outpost of the highly developed Eurasian periphery against Central Eurasia, characterized by a slow rate of development, or in other words, to be the stronghold of the civilized South and West against the barbarian North and East.

There seems to be an interconnection between the formation of the statehood in Central Transcaucasia and the urgent need to defend the 'Caucasian Gate' (the Dariali Pass) from the penetration of military forces from the North. Therefore the concrete political function of the Iberian kingdom, like of other Trans-Caucasian countries located south from the Greater Caucasus Mountain Range, was the control of one of the most important strategic passes of the world.

But the factors of the geopolitical character not only cause the emergence of the statehood in Central Transcaucasia at the Classical epoch but also stipulated its historical development at the subsequent time, till now. The political history of the Georgia is mainly predetermined by its geographical location.

დაზმირ ჯოჯუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ზოგიერთი მოსაზრება რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის გეოპოლიტიკურ და გეოსტრატეგიულ შედეგებთან დაკავშირებით

➢ „უგუნურმა თეიმურაზმა (თეიმურაზ I) თავისი უწესოებით და უსჯულო ქედმოუხრელობით გამოიწვია მისი უავგუსტოესის (შაჰ-აბას I) კეთილი ნების აღშფოთება და საკუთარ ხალხს - კახელებს ძარცვის, ტყვევნისა და სპარსეთის სანახებში გადასახლების დამამხობელი შარბათი შეასვა“.

ისქანდერ-ბეგ თორქემანი. 1629 წ.

➢ „თავისი უწესოებით თეიმურაზმა დიდი დარტყმა მიაყენა კახელებს და ლაპარაკიც ზედმეტია მათს ალაზანსა და სიღნაღში დაბრუნებაზე“.

ისქანდერ-ბეგ თორქემანი. 1629 წ.

➢ „ჩეხოსლოვაკიის მთავრობის პოლიტიკამ ჩვენ გვაიძულა თავისებური მეთოდებით დაგვეცვა სუდეტის გერმანული მოსახლეობა და ჩეხი ხალხისთვის ტრაგიკული შედეგებით შეგვეერთებინა ჩეხია და მორავია მესამე რაიხთან“.

იოაჰიმ ფონ რიბენტროპი. 1939 წ. 17 მაისი

➢ „ბენეში თავს გავიდა. ის არ ითვალისწინებს ჩვენი მეზობელი ჩეხი ხალხისთვის მოსალოდნელ კატასტროფასა“.

ჰიტლერი. 1938წ. 3 სექტემბერი

➢ „ჩვენ გვინდოდა და ახლაც გვინდა ბლოკი ჟორდანიასთან, თუ ის თავს დაანებებს ქართველი ხალხის იმპერიალისტურ ძარცვას“.

გ. ჩიჩერინი. 1921 წ. მარტი

➢ „ნ. ჟორდანიას და ნ. რამიშვილის ურდოები სიკვდილით ემუქრებიან ლორესა და ვორონცოვკის მოსახლეობას და აიძულებენ წითელი რევოლუციის ძალებს, დაიცვან ისინი“.

გაზ. “პრავდა“, 1921წ. 14 თებერვალი

➢ „ზ. გამსახურდიამ თავი გამოავლინა, როგორც დიქტატორმა და რადიკალმა ნაციონალისტმა. ის საფრთხეს უქმნის ქართველი და ოსი ხალხების ნორმალურ განვითარებას. ამიტომ ჩვენი არჩევანი გასაგები და მისაღები უნდა იყოს - მხარდაჭერა დემოკრატიულ ოპოზიციას“.

ა. კოზირევი. 1991წ. 19 დეკემბერი

➢ „ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ვუყურებთ შორიდან ოსი ხალხის გენოციდს... ოსი ხალხის წინააღმდეგ აშკარა აგრესიის აქტს“.

დ. მედვედევი. 2008წ. 8 აგვისტო

➢ „თავისი სამხედრო ავანტიურით სააკაშვილმა სასიკვდილო დარტყმა მიაყენა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას. ამიერიდან ლაპარაკიც კი ზედმეტია ქართული სახელმწიფოს შემადგენლობაში აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის დაბრუნებაზე“.

ვ. პუტინი. 2008წ. 4 სექტემბერი

ეპიგრაფში მოყვანილ მაგალითებს აერთიანებს ერთი დეზინფორმაციული მეთოდი: აგრესორი აგრესიის გამომწვევ მიზეზად მსხვერპლის „უგუნურებასა“ და „ავანტიურიზმს“ ასახელებს და ამით ნიღბავს თავის იმპერიალისტურ ზრახვებს“.

2008 წლის 7-12 აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომი არის ტეხილი, გამყოფი ქრონოლოგიური ხაზი საქართველოს ისტორიაში. ამ მტკიცებაში ოდნავი გადაჭარბებაც არ არის: აგვისტოს ომი გახდა ქართველი ერისა და ქართული სახელმწიფოებრიობის შემდგომი განვითარების ერთგვარი დეტერმინანტი. გვინდა ეს ჩვენ თუ არ გვინდა, ომი ხდება ის ღერძი, რომლის ირგვლივ „იბრუნებს“ ჩვენი ისტორიული განვითარების პროცესი გრძელვადიან პერსპექტივაში. რატომ? იმიტომ, რომ აგვისტოს ომი წარმოადგენს არა მხოლოდ საკუთრივ ომს, როგორც ასეთს, არა მხოლოდ მორიგ შეიარაღებულ კონფლიქტს საქართველოს ტრადიციულ მოწინააღმდეგე რუსეთთან, არამედ წმინდა წყლის გეოპოლიტიკურ პროცესს (პროცესუალური ქრონომეტრაჟის შეზღუდულობა ექვსი დღით და კაცობრიობის სხვა ომებთან შედარებით ზარალის „მოკრძალებული“ რაოდენობრივი ციფრომეტრია აქ არაფერს არ ცვლის). 7-12 აგვისტოს ომმა შეცვალა როგორც საკუთრივ საქართველოს შიდა გეოპოლიტიკური, ასევე მსოფლიოს გეოპოლიტიკური სურათი. ამიტომ ეს მოვლენა გეოპოლიტიკური პროცესია და, ამავე დროს, XXI საუკუნეში ახალი გეოპოლიტიკური წელთაღრიცხვის საწყისი წერტილიც.

აგვისტოს ომის გეოპოლიტიკურ პროცესად დეფინირებას ჩვენის აზრით, ორი მომენტი განაპირობებს; პირველი არის საქართველოს უსაფრთხოების საკითხი, მისი კონცეპტუალური გადაფასებისა და გარკვეული ცვლილებების აუცილებლობა. უსაფრთხოების დოქტრინა ხომ ქვეყნის საგარეო პოლიტიკის კოდექსია, რომელიც ყოველთვის ითვალისწინებს გეოპოლიტიკური სივრცის ტრანსფორმაციას და ამის პარალელურად თვითონაც ადექვატურად იცვლება. აგვისტოს ომმა მნიშვნელოვნად შეცვალა გეოპოლიტიკური კონსტელაცია სამხრეთ კავკასიაში, შესაბამისად უნდა შეიცვალოს საქართველოს უსაფრთხოების პრიორიტეტები: ჩვენი ქვეყნის დეზინტეგრაციის პროცესმა კრიტიკულ

ზღვარს მიაღწია; არსებობს 1801 და 1921 წლების განმეორების რისკი, ერის პოლიტიკური და სახელმწიფოებრივი ნების პარალიზების საფრთხე და ეს საფრთხე ისევ გარედან მოდის, ანუ საგარეო უსაფრთხოების სფეროში დევს. ამიტომ, აგვისტოს ომის შედეგების ჭრილში, სასიცოცხლოდ აუცილებელია უსაფრთხოების ახალი ხედვა, რისკ-ფაქტორების ახლებური იდენტიფიკაცია და ადექვატურ ქმედებათა ახლებური დაგეგმვა.

მეორე მომენტი უკავშირდება აგვისტოს ომის გლობალურ განზომილებას. შეიძლება აღვნიშნოთ, რომ ეს ომი იყო თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის მთავარ „მოთამაშეებს", ძირითადად გეოსტრატეგიულ „ორგანიზმებს" შორის კრიზისული ურთიერთდამოკიდებულების მიზეზიც და შედეგიც. ომმა შეცვალა გეოპოლიტიკური სტრუქტურა, გადაადგგუფა რუსეთისა და აშშ-ს გავლენის სფეროთა საზღვრები, მათი პოლიტიკური და სტრატეგიული წინააღმდეგობის წერტილები გადაანაცვლა. როგორც წესი, გეოპოლიტიკური სურათის შეცვლა გულისხმობს არა მარტო ძალთა ცენტრების საზღვრების ცვლას, არამედ მთავარ აქტორთა შორის თანაფარდობის შეცვლასაც. აგვისტოს ომმა რუსეთის გავლენის ზონის საზღვრებიც გააფართოვა და, მეორე მხრივ, რეგიონში აშშ-რუსეთის თანაფარდობის რხევაც გამოიწვია ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. ეს არის მწარე რეალობა.

ჩვენ გვჭირდება აგვისტოს ომის კომპლექსური მაკროსოციოლოგიური მოდელი. ამგვარი მოდელის ორგანული ნაწილი უნდა გახდეს ომის შედეგების მიუკერძოებელი, კვალიფიციური და პრაგმატული გააზრება. ცხადია, უკვე არსებობს ომის მოცულობითი ფაქტოლოგია. ეს კარგია. ასევე არსებობს ომის ანალიზის გარკვეული დონე და ესეც კარგია. მაგრამ რაც არ უნდა რთული კვლევა-ძიებითი სტადიები გვქონდეს გამოვლილი, ჩვენი მოდელი სრულყოფილი ვერ იქნება მანამ, სანამ აგვისტოს ომის გლობალური მნიშვნელადობის შეფასება არ მოხდება. ამისთვის კი აუცილებელია აგვისტოს ომის გეოპოლიტიკური და გეოსტრატეგიული შედეგების წარმოჩენა.

ყველასათვის ცნობილია 2008 წლის აგვისტოს ომის პირველადი შედეგები: მსხვერპლი (170 სამხედრო მოსამსახურე, 28 პოლიციელი, 228 მშვიდობიანი მოქალაქე, 1747 მოქალაქის დაჭრა), მატერიალური ზარალი და ინფრასტრუქტურის ნგრევა, ეკონომიკური განვითარების შეფერხება, პატარა ლიახვის ხეობისა და დიდი ლიახვისა და ფრონეს ხეობების ნაწილის განადგურება, ქართული მოსახლეობის გენოციდისა და ეთნოწმენდის მორიგი ტალღა. ამჯერად შევეხებით აგვისტოს ომის კონცეპტუალური ფორმატის ერთ პლასტს - ომის გეოპოლიტიკურ და, ნაწილობრივ, გეოსტრატეგიულ შედეგებს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, აგვისტოს ომის შედეგების ასეთ ჭრილში გააზრებას მხოლოდ ამჟამინდელი ანალიზის ფუნქცია არა აქვს, არამედ გააჩნია, ასე ვთქვათ, დიაქრონული პროგნოსტიკის დანიშნულებაც: ის ჩვენ გვეხმარება პერსპექტივისკენ გამიზნული გარკვეული პროგნოზების, სცენარების შემუშავებაში, ხელს უწყობს შესაძლო ადექვატური სტრატეგიების დაგეგმვას. ყველაზე მთავარი აქ ის არის, რომ მეტ-ნაკლებად ოპტიმალურად მოვახდინოთ აგრესორისგან (რუსეთისაგან) მომდინარე მორიგი საფრთხეების იდენტიფიკაცია

და შევძლოთ მათი განეიტრალების საშუალებათა გამოძებნა. ერთი სიტყვით, უნდა გვქონდეს სტრატეგიული ხედვა, რათა გლობალურად ვიაზროვნოთ და ლოკალურად ვიმოქმედოთ აგვისტოს ომის შედეგად წარმოქმნილ ახალ „გეოპოლიტიკურ დროსა და სივრცეში“.

უწინარეს ყოვლისა, ომის ძირითადი მიზეზის შესახებ გვინდა აღვნიშნოთ, რადგან სწორედ აქ ვლინდება გეოსტრატეგიული კონტექსტი. მეორე მხრივ, ომის მიზეზები და მისი დაწყების საკითხი გადაქცეულია იაფფასიანი სპეკულაციების ობიექტად არა მარტო რუსეთსა და „გაზპრომის“ ფულით მოსყიდულ დასავლურ ქსელებში, არამედ ზოგიერთ ჩვენს წრეებშიც. აგვისტოს ომი იყო რუსული და ქართული გეოსტრატეგიული ინტერესების, გნებავთ, პროექტების შეჯახება სამხრეთ კავკასიაში. ახალი რუსული პროექტი მიზნად ისახავს (პირველად მისი პრეზენტაცია პუტინმა გააკეთა 2007 წლის თებერვალში, მიუნჰენის უსაფრთხოების კონფერენციაზე) არსებული მსოფლიო წესრიგის შეცვლას; პოსტსაბჭოთა სივრცის გამოცხადებას რუსეთის ექსკლუზიური სასიცოცხლო ინტერესების ზონად და იქ სხვათა გავლენის დაუშვებლობას; რუსეთის ექსპანსიას ამ პოსტსაბჭოთა არეალში (აქ, სხვათაშორის, ძალიან სიმპტომატურია ის, თუ როგორ განმარტავს რუსული პოლიტოლოგია „ექსპანსიის“ ცნებას: „ექსპანსია არის ძალთა ცენტრიდან პერიფერიებისკენ სამხედრო-პოლიტიკური, ეკონომიკური, კულტურული, რელიგიური, დემოგრაფიული წინსვლა[1] (წინ წაწევა, დაწინაურება); სტრატეგიული ენერგომატარებლების ტრანზიტის გარანტიას. ეს გახლავთ რუსული გეოსტრატეგიის პრინციპები, რომლებიც მიმართულია პოსტსაბჭოთა სივრცეში რუსეთის გეოსტრატეგიული რეგიონის შექმნისკენ. ცხადია, რომ კავკასია მოიაზრება ამ დიდი გეოსტრატეგიული რეგიონის ერთ-ერთ მთავარ გეოპოლიტიკურ რეგიონად.

ქართული გეოსტრატეგია, გასული საუკუნის 90-იან წლებში „კავკასიური სახლის“ იდეის ჩავარდნის შემდეგ, ორიენტირებულია ევროატლანტიკურ გეოსტრატეგიულ რეგიონში ჩართვისკენ. ამ შემთხვევაში საქართველო ხდება ამ დიდი რეგიონის ახლოაღმოსავლური, სამხრეთევროპული და მცირეაზიური გეოპოლიტიკური რეგიონების კონცენტრაციის ღერძული არეალი. ამ გეოსტრატეგიის ტაქტიკური ვექტორებია ნატო-ში ინტეგრაცია და გეოეკონომიკური ღერძის ორგანიზაცია სატრანსპორტო და ენერგეტიკული დერეფნებით.

სწორედ ეს არის აგვისტოს ომის მთავარი მიზეზი და სწორედ ამიტომ ცდილობდა რუსეთი ომის დროს საქართველოს ტერიტორიულ დაშლას, ინფრასტრუქტურისა და ცენტრალური ინსტიტუტების განადგურებას, ევროატლანტიკური ორიენტაციის ხელისუფლების დამხობას. ამგვარ მიზანდასახულობას ნათლად წარმოაჩენს რამდენიმე რეპრეზენტატული დოკუმენტი. ომამდე რამდენიმე თვით ადრე, 2008 წლის 1 მაისს, გამოქვეყნდა რუსეთის დსთ-ს ქვეყნების ინსტიტუტის სამხრეთ კავკასიის განყოფილების ხელმძღვანელის მ. ალექსანდროვის შემდეგი გეგმა საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით: „აშშ-სა და დასავლეთს უნდა დავატოვებინოთ სამხრეთ კავკასია

[1] В.Дергачев. Геополитика. М., 2004, გვ. 510.

და დგება საქართველოს დასჯის დრო: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი საბოლოოდ მიიღებენ დამოუკიდებლობას, აჭარა, ჯავახეთი და მარნეულ-გარდაბნის ზონა გამოვლენ თბილისის კონტროლიდან... დარჩენილი საქართველო გაიყოფა რამდენიმე ტერიტორიად - სამეგრელოდ, იმერეთად, გურიად, აღმოსავლეთ საქართველოდ და გადაიქცევა მათ კონფედერაციად. ამის ხარჯზე შეიძლება გადაწყდეს მთიანი ყარაბაღის საკითხიც, რადგანაც აზერბაიჯანს შანსი აქვს მთიანი ყარაბაღის სანაცვლოდ, კომპენსაციის სახით მიიღოს მარნეულ-გარდაბნის ზონა...“[1]

რუსული ინტერვენციის პოლიტიკური მიზანი სავსებით ცხადად, არაორაზროვნად და მთელი მსოფლიო საზოგადოებრიობის თვალწინ დაფიქსირდა გაერო-ს უშიშროების საბჭოს 2008 წლის 11 აგვისტოს სხდომაზე. აქ გაერო-ში აშშ-ის ელჩმა წარმოადგინა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის ს. ლავროვისა და აშშ-ის სახელმწიფო მდივნის კ. რაისის სატელეფონო საუბრის ის ფრაგმენტი, სადაც ლავროვმა პირდაპირ აღნიშნა, რომ „რუსეთი აპირებს საქართველოს მთავრობის შეცვლას.“[2] საგულისხმოა, რომ გაერო-ში რუსეთის ელჩმა ვ. ჩურკინმა ვერაფერი დაუპირისპირა ამერიკელი კოლეგის ამ განცხადებას და ტრადიციული რუსული დიპლომატიური უტაქტობით ისღა აღნიშნა, რომ კონფიდენციალური საუბრის საქვეყნოდ გამომზეურება თურმე არ შეიძლბა (sic!).

აგვისტოს ომში რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური მიზნების სქემა წარმოადგინა „რუსეთის მსოფლიო სტრატეგიების ინსტიტუტის“ პრეზიდენტმა ა. მიტროფანოვმა. თანაც ეს გეგმა ცნობილი გახდა 2008 წლის 19 აგვისტოს, საქართველოში ე.წ. „ბუფერული ზონების“ შექმნის პარალელურად. ის შედგებოდა შემდეგი ოთხი პუნქტისგან:

„1. საქართველოს სრული დემილიტარიზაცია - სამხედრო შენაერთების სრული განადგურება.

2. სააკაშვილის რეჟიმის დემონტაჟი.

3. საქართველოში კონფედერაციული წარმონაქმნის - „კავკასიის სახელმწიფოთა გაერთიანების (კსგ) შექმნა 10-ზე მეტი ეთნიკური ერთეულისგან. ამასთან, აფხაზეთს, სამხრეთ ოსეთს, აჭარას, ჯავახეთს და აზერბაიჯანელებით კომპაქტურად დასახლებულ მიწებს ექნებათ თვითგამორკვევის უფლება.

4. კსგ-ს ექნება საერთო საგარეო პოლიტიკა, ცენტრალური ბანკი და ვალუტა. საქართველოში უნდა იყოს მხოლოდ პოლიციური ძალები, ჯარი და უშიშროება - არასოდეს.“[3]

აი, რაში მდგომარეობდა აგვისტოს ომის ძირითადი მიზეზები და არა რუსული საინფორმაციო ინდუსტრიის მიერ დეკლარირებული ლოზუნგები „გენოციდისგან ოსების დაცვის“ შესახებ, ან კიდევ „პუტინ-სააკაშვილის პიროვნული დაპირისპირების“ ყბადაღებული „ფანტომი“. ცხადია, რომ ამგვარი მიზნობრივი

---

[1] www.regnum.ru/news/994886.html.

[2] **რ. ასმუსი**. მცირე ომი, რომელმაც მსოფლიო შეძრა. თბ., 2010, გვ. 284.

[3] Газ. “Коммерсантъ”, 20 Августа 2008 г.

ფორმატიდან გამომდინარეობს ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებათა დაწ-ყების საბაბიც.

პროფ. სოსო ცინცაძემ იმთავითვე მიაქცია ყურადღება ომის წინ განვი-თარებულ მოვლენებს და საბაბის პრობლემა ახსნა, სრულიად მართებულად, „Casus Belli"-ს (ანუ ომის გამოცხადებისა და საომარი მოქმედებების დაწყების ფორმალური მიზეზის) სამართლებლივი პრინციპის ბაზაზე. მკვლევარი ასკვნის, რომ „ომის დაწყების მიზანშეწონილობის საკითხი იმთავითვე მოსახსნელია. თავის მართლება აპრიორი ნიშნავს სამართლებლივი ნორმებიდან ამოვარდნას და საკითხის სულ სხვა სიბრტყეში გადატანას."[1]

მართლაც, დავაკვირდეთ ოპერატიულ ვითარებას ომის წინ და აღვნუსხოთ ნიშანდობლივი ფაქტები: სამშვიდობო ფორმატების მიზანმიმართული მსხვრევა; შეიარაღებული პროვოკაციების ინტენსიფიკაცია და 29 ივლის - 6 აგვისტოს სამხედრო კრიზისის გამოწვევა; 3 აგვისტოს კოკოითისა და რუსეთის თავ-დაცვის მინისტრის მოადგილის ნ. პანკოს შეხვედრის შემდეგ ქ. ცხინვალიდან მოსახლეობის ევაკუაცია; იმავე 3 აგვისტოს ჩრდილოეთ კავკასიაში მობილი-ზაციის გამოცხადება და ჯავის რაიონში რუსეთის არმიის ქვედანაყოფების შე-მოსვლა და სხვა. ამ ფაქტოლოგიაში ძალიან დიდი, მე ვიტყოდი გადამწყვეტი, მნიშვნელობა აქვს რუსეთის არმიის მანევრების ზუსტ იდენტიფიკაციას. პირველ რიგში უნდა ითქვას, რომ რუსეთის არმიის ოპერატიული გეგმა იყო საქართ-ველოს ტერიტორიის მაქსიმალურად მეტი ნაწილის ოკუპაცია და სიღრმ-ისეული ოპერაციების გამოყენებით ომის ბაზის გაფართოება. ანუ საქართველოს არმიის დამარცხება და ცხინვალისათვის ე.წ. „გენოციდის საფრთხის" მოხსნა სამხედრო ოპერაციის დასასრული კი არ უნდა ყოფილიყო, არამედ ერთგვარი წინასწარი ფაზა ძალადობის შემდგომი თავისუფალი გამოყენებისათვის. ამის ნათელი მაგალითია საქართველოს შიდა რაიონების „ბუფერული ოკუპაცია".

მეორე მომენტი არის აგვისტოს ომის ზღურბლზე ჩრდილოეთ კავკასიაში ჩატარებული სწავლების „კავკასია-2008"-ის აღწერა. სწავლების დროს და-მუშავებულ ყველა ოპერატიულ გეგმას ჰქონდა თავდასხმითი ხასიათი. ამასთან, რუკებზე ყველა ვირტუალური მოქმედება მიდიოდა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაზე (კავკასიის მთაგრეხილის გადალახვა, როკის გვირაბის გავლა, მდ. ლიახვის ფორსირება და სხვ.). ამდენად, სწავლების ფარგლებში ფაქტო-ბრივად დასრულდა ომის დაგეგმარება, შემუშავდა გარკვეული სტანდარტები და სტრატეგიული რეკომენდაციები.

მესამე: რუსეთის გეგმებში იმთავითვე იყო ჩადებული სწრაფი თავდასხ-მის ტაქტიკა. ამას ნათელყოფს როკის გვირაბის რაიონში კონცენტრირებული რუსული ძალების დისლოკაცია და სტრუქტურა. ტაქტიკურ დაჯგუფებაში შედიოდნენ სატანკო და სადესანტო ქვედანაყოფები, რომლებიც, როგორც წესი, არ გამოიყენება სამშვიდობო ოპერაციაში ჩართული ძალების დასახმარებლად გამიზნული თავდაცვითი ბრძოლებისათვის. სრულიად ცხადია, რომ მობილური

[1] **ს. ცინცაძე**. საომარ მოქმედებათა დაწყების გენეზისი ცხინვალის რეგიონში საერთაშორისო სამართლის ფონზე. კრ. რუსეთი, რეგიონული კონფლიქტები და სამხედრო ძალის გამოყენება, თბ., 2008, გვ. 38

სატანკო ჯგუფები და სადესანტო შენაერთები გამიზნული იყო საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში შეტევისა და ე.წ. „ღრმა ოპერაციების“ წარმოებისათვის.

მეოთხე: ყველასთვის ცნობილია, რომ ვითარების ესკალაციის შინაგანი ლოგიკა იწვევდა ყურადღების გადატანას აფხაზეთზე. მაგრამ მთავარი ძალების კონცენტრაციას რუსეთი ახდენდა როკის ზონაში. რას უნდა ნიშნავდეს ეს? სამხედრო სტრატეგიის ელემენტარული ნორმების მიხედვით, პირველი სტრატეგიული ეშელონი იქმნება იქ, საიდანაც ძირითადი საფრთხე მომდინარეობს. რუსეთმა კი ძირითადი ძალების კონცენტრაცია განახორციელა არა აფხაზეთის მიმართულებით, არამედ ცხინვალის რეგიონთან. ე.ი. დამრტყმელი ხაზი რუსეთმა შექმნა მთავარი საფრთხის არაადექვატურად, ამდენად არა თავდაცვისათვის, არამედ სწორედ რომ თავდასხმის მიზნით.

ზემოთმოყვანილი საყურადღებო ასპექტების მთლიანობაში ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს: 7-8 აგვისტოს ღამეს ცხინვალის საარტილერიო იერიში და შემდეგ ქართული ძალების „ნიქოზის დაჯგუფების“ ქვეითი შეტევა იყო საქართველოს მხრიდან იძულებითი თავდაცვითი ოპერაცია, მნიშვნელოვანწილად პრევენტული ხასიათის. ამასთან, ჩასუს ელლი - ს პრინციპიდან გამომდინარე, სამხედრო ოპერაციის დაწყება იყო, ერთის მხრივ, საქართველოს ხელისუფლების შიდაკონსტიტუციური ვალდებულება, და მეორეს მხრივ, ინდივიდუალური თავდაცვის შესახებ გაერო-ს წესდების 51-ე მუხლის რეალიზაცია. ამას, სხვა მომენტებთან ერთად, ადასტურებს საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ხელმძღვანელობის მხრიდან ვითარების ანალიზის ფორმატიც (მაგალითად, 6 აგვისტოს ღამით თავდაცვის სამინისტროში გამართული თათბირი, ასევე 7 აგვისტოს შუადღეს საგურამოში გამართული თათბირი).

ამდენად, 7-8 აგვისტოს ღამე ნამდვილად არ იყო ზღვარი ომსა და მშვიდობას შორის. ეს ომის დასაწყისი კი არ იყო, არამედ - უკვე მიმდინარე ომის ფარგლებში საქართველოს შეიარაღებული ძალების თავდაცვითი ოპერაციის დაწყება რუსული ინტერვენციის შესაჩერებლად, რასაც მალე მოჰყვა სრულმასშტაბიანი აგრესია.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის მთავარი გეოპოლიტიკური შედეგი არის საქართველოს ტერიტორიული დეზინტეგრაციის ფაქტობრივი ვითარება. ეს გამოიხატა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის „დამოუკიდებლობის“ აღიარებასა და აგრესორის მიერ ამ „ახალი სტატუსის“ საერთაშორისო ლეგიტიმაციის მცდელობაში. ცხადია, რომ ეს უკანონო ქმედება დროებითია და მას პოზიტიური პერსპექტივა არ გააჩნია, მაგრამ ჩვენი ისტორიული საზღვრების გადასინჯვის ტენდენცია ფაქტია და მოდით, პროცესის ახსნა უფრო სივრცეში ვეძებოთ და არა დროში. რუსეთის მიერ სეპარატისტული რეგიონების ფაქტობრივი სამხედრო ანექსიით ჩვენი ტერიტორიული ორგანიზმი დანაწევრებულია, რაც წარმოადგენს სერიოზულ რისკ–ფაქტორს საქართველოს უსაფრთხოებისათვის. საქართველოს საზღვრები „ამოძრავებულია“ შიდა მიმართულებით, სადემარკაციო ხაზი, გნებავთ საოკუპაციო ხაზი ფაქტობრივად მიბჯენილია შიდა სივრცეს. კლასიკური გეოპოლიტიკური

ტერმინოლოგიით რომ ვისარგებლოთ, ჩვენ დღეს არა გვაქვს ჰინტერლენდი, რადგანაც რიმლენდი არაბუნებრივად გაფართოებულია და თანაც ოკუპირებული. ჩვენი „სასიცოცხლო სივრცის“ ღერძული არეალი, შიდა სივრცე ანუ მთავარი გეოპოლიტიკური ველი დარჩენილია შიდა ბუფერის გარეშე. გეოპოლიტიკური თეორიიდან პრაქტიკულ სიბრტყეში რომ გადმოვინაცვლოთ, ამგვარი ტრანსფორმაციის უარყოფითი შედეგები უკვე სახეზეა; ოკუპირებული ტერიტორია მიახლოებულია დედაქალაქთან, სხვა სტრატეგიულ ზონებთან და ობიექტებთან, შესაძლო დესტაბილიზაციის შიდა ბერკეტებთან, გლობალური მნიშვნელობის სატრანზიტო–საკომუნიკაციო ხაზთან. ფაქტია, რომ აგვისტოს ომმა რამდენადმე გააუფერულა საქართველოს სატრანზიტო მიმზიდველობა. ზიანი მიადგა გეოეკონომიკურ კოდს სწორედ იმის გამო, რომ რუსული ოკუპაციის ხაზი მიუახლოვდა საერთაშორისო მნიშვნელობის საკომუნიკაციო „ხიდს“. ღმერთმა გვაშოროს, მაგრამ მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის თუნდაც ფასადური მოწესრიგების შემთხვევაში გამორიცხული არ არის საკომუნიკაციო ბირთვის გადანაცვლება სამხრეთისაკენ და, როგორც შედეგი, რეგიონში საქართველოს „საკომუნიკაციო ჰეგემონიის“ დასასრული.

აქვე უნდა აღინიშნოს ერთი რამ: მცდარია მოსაზრება, თითქოს საზღვრების რევიზიის და, ასე ვთქვათ, „პოსტ–ჰელსინკის ეპოქა“ დასავლეთმა დაიწყო კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობით (2008 წლის 17 თებერვალს). გასაგებია, რომ 17 თებერვალი ექვს თვეზე მეტი ხნით უსწრებს წინ 26 აგვისტოს, მაგრამ ასევე გასაგები უნდა იყოს ყველაზე მთავარი: აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ფაქტობრივი ოკუპაცია და მათი „საზღვრების“ ფაქტობრივი დაფიქსირება, ასევე მთიანი ყარაბაღისა და მის გარშემო ტერიტორიების სომხურ–რუსული ოკუპაცია სამი წლით უსწრებს წინ ბალკანეთის მოწესრიგების შესახებ დეიტონის შეთანხმებას და ზუსტად თექვსმეტი წლით – კოსოვოს აღიარებას.

აგვისტოს ომის მეორე არსებითი გეოპოლიტიკური შედეგი, გამომდინარე პირველიდან, არის „გაყოფილი ტერიტორიის“ ფენომენი. ამასთან, ამგვარი ფენომენის წარმოშობის ორი მიზეზობრივი კომპლექსი საქართველოს ფუნქციონალურად „ანათესავებს“ საერთაშორისო პრაქტიკის ანალოგიებთან. თუ ჩვენ გაყოფადობის მიზეზად მივიჩნევთ აშშ–რუსეთის გეოპოლიტიკურ დაპირისპირებას, მაშინ ეს გაყოფადობა ემსგავსება გერმანიისა და ვიეტნამის გაყოფას „ცივი ომის“ დროს; თუკი მიზეზად მივიჩნევთ რეგიონალურ–პოლიტიკურ დონეზე საქართველოსა და რუსეთის ეროვნული პროექტების შეჯახებას, მაშინ გაყოფადობა ემსგავსება კვიპროსის გაყოფას ან ქურთისტანის ეთნოპოლიტიკურ დაქუცმაცებას. ორივე შემთხვევაში გაყოფადობის მიზეზი გარეგანი საერთაშორისო ფაქტორებია და სწორედ ამაშია რისკის მაღალი ხარისხი: ჯერ ერთი, შესაძლებელია საქართველოს გაყოფადობის ფენომენი გახდეს საერთაშორისო პოლიტიკის თავისთავადი, ავტონომიური ფენომენი. ასეთ შემთხვევაში მოხდება მისი არაფორმალური ლეგიტიმაცია, შეიქმნება ნორმები და პროცედურები, რომლებიც საქართველოს აპრიორულად არ მისცემს უფლებას, ხელსაყრელი ვითარების დადგომის შემთხვევაში მიმართოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გარკვეულ მექანიზმებს. ამისი სიმპტომები უკვე ჩანს, მაგალითად ეკ–ის

ზეწოლით მიღებულ ე.წ. „ახალ სტრატეგიაში“, ან იმავე ეკ–ის არაღიარების პოლიტიკის ფარგლებში საოკუპაციო რეჟიმებთან ურთიერთობის დამყარების კურსში.

მეორე; გაყოფილი ტერიტორიების ფენომენი შეიძლება გადაიზარდოს „სახელმწიფო–ანტიპოდების ფენომენში“. ასეთი სახელმწიფო–ანტიპოდები იყვნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ გერმანია, ჩრდილოეთ და სამხრეთ ვიეტნამი, არიან ჩინეთი და ტაივანი, ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეა. ეს ანტიპოდები თამაშობდნენ კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ბანაკების სარეკლამო „ვიტრინების“ როლს. ორივე მხარე ძალიან ბევრს ხარჯავდა, რათა თავისი „ვიტრინა“ უფრო მიმზიდველი გაეხადა. საბოლოო ჯამში, ცხადია, უფრო დასავლური „ვიტრინა“ გახდა სიცოცხლისუნარიანი. „ვიტრინიზაციის“ რაღაც მსგავსი ტენდენცია შეიმჩნევა ჩვენშიც. გვარწმუნებენ, რომ ეკონომიკურად აღორძინებული, ფინანსურად მოძლიერებული და ლიბერალურ–დემოკრატიული ფასეულობებით მოცული საქართველო მაგნიტივით მიმზიდველი იქნება აფსუებისა და ოსებისათვის, რაც წმინდა წყლის აბსურდია. სახელმწიფო–ანტიპოდების ფენომენი მხოლოდ გეოპოლიტიკურ ლოგიკას ექვემდებარება; გერმანიის გაერთიანება გამოიწვია არა აღმოსავლეთ გერმანელების თვალში გფრ–ს „ვიტრინალურმა“ კეთილშობილებამ (ცხოვრების მაღალმა დონემ, დემოკრატიამ და ა.შ.), არამედ გეოპოლიტიკურმა „ტექტონიკამ“ სოციალიზმის ბანაკში და სსრკ–ს დაშლამ. ასევე იყო ვიეტნამშიც (რეგიონიდან აშშ–ის წასვლა) და ასევე იქნება კორეაშიც (ჩინეთის ფაქტორის მოხსნა). რასაკვირველია, გეოპოლიტიკასთან ერთად პრობლემას გააჩნია მენტალური შემადგენელი: ჩვენი საზოგადოების შეგნებაში „გაყოფადობა“ არის და მუდამ უნდა იყოს არაბუნებრივი, თავსმოხვეული, დროებითი, მუდმივია მხოლოდ გაერთიანების აუცილებლობის თვითშემეცნება.

მესამე შედეგის თვალსაზრისით ჩვენ შეიძლება ვილაპარაკოთ გეოპოლიტიკური გაყოფადობის გეოსტრატეგიულ გაყოფადობაში გადასვლის საფრთხეზე. აქ დიდი მნიშვნელობა აქვს დროის ფაქტორს. თუ გაყოფადობის ვითარება დიდხანს შენარჩუნდა და მან სისტემური სტრუქტურაციის ფორმები შეიძინა, მაშინ თავისთავად შეიქმნება საქართველოს შიგნით გეოსტრატეგიული სიმეტრიის ლოგიკა. დასავლეთისა და რუსეთის იმანენტურ ინტერესებში იქნება სტატუს–კვოს შენარჩუნება, რადგან თავისთავად წარმოიშობა აზრი, რომ არსებული მდგომარეობის ნგრევა გამოიწვევს უსაფრთხოების არსებული სისტემის დესტაბილიზაციას და ერთ–ერთის გავლენის ზონის დაბლოკვას (საქართველოს გაერთიანება – რუსეთის გავლენის ზონის ჩაკეტვას, ხოლო დანარჩენი საქართველოს ოკუპაცია–დასავლეთის გავლენის ზონის ჩაკეტვას). სწორედ ამას გვიქადის დიდი ხნის მანძილზე ჩიხური მდგომარეობის – „არც ომი, არც მშვიდობა“ – შენარჩუნება.

აგვისტოს ომის მთავარი გეოპოლიტიკური შედეგი იმაში მდგომარეობს, რომ მან რადიკალურად შეცვალა რეგიონის გეოსტრატეგიული სტრუქტურა, გამოიწვია რა ომამდე არსებული წესრიგის სისტემური კრიზისი.

აგვისტოს ომამდე რეგიონალურ გეოსივრცეს რამდენადმე პლურალისტური სტრუქტურა ჰქონდა. აფხაზეთსა და შიდა ქართლში გავლენის მიუხედავად,

იქ არ იყო შექმნილი რუსეთის ექსპანსიისათვის აუცილებელი ბაზები და ინ-ფრასტრუქტურა. შეიძლება ითქვას, რომ ადგილი ჰქონდა გეოსტრატეგიული ძალთა ბალანსის მდგომარეობას და ორი გეოპოლიტიკური ღერძის – „საქართ-ველო–აზერბაიჯანი–თურქეთი პლუს დასავლეთის მხარდაჭერა“ და „რუსეთი–სომხეთი“ თანაარსებობას. ომის შედეგად შეიქმნა პირველი ღერძის დაშლის პერსპექტიკა, ან, ყოველ შემთხვევაში, მისი არაეფექტური ფუნქციონირების პი-რობები. რატომ? შეიმჩნევა რუსეთ–თურქეთის სტრატეგიული თანამშრომლობის კონტურები; „ომის გაკვეთილის“ გათვალისწინებით, აზერბაიჯანი იძულებულია მოახდინოს თავისი ორიენტაციის გარკვეული კორექტირება. ყოველ შემთხვევა-ში, ბაქოს მანევრირების ველი შეზღუდულია და იგი იძულებულია უფრო მეტი ანგარიში გაუწიოს რუსეთს. ამას ემატება სუამის კრიზისიც.

ამის შედეგად გაიზარდა მეორე ღერძის არეალი, გაფართოვდა რუსეთის სამხედრო კონტინგენტი და, შესაბამისად, საქართველოზე ძალისმიერი ზეწოლის ვექტორები. რუსეთმა აშკარად გააფართოვა თავისი ძალისმიერი ველის საზ-ღვრები და სამხრეთ კავკასიაში დახურული გეოსტრატეგიული რეგიონის აღ-დგენის ზღურბლზე დგას. აშკარა ხდება, რომ რუსეთისათვის აგვისტოს ომი იყო შეკავების სტრატეგიის ნაწილი – მან მართლაც შეაკავა ნატო–ში საქა-რთველოს გაწევრიანების პროცესი და ეს ფაქტია. ამავე დროს, ომს შედეგად მოჰყვა ძალთა ახალი გადაჯგუფება: რუსეთმა გააფართოვა სამხედრო ბაზე-ბისა და ინფრასტრუქტურის ქსელი – 4–ე ბაზა ცხინვალის რეგიონში, მე–7 ბაზა აფხაზეთში, გიუმრისა და ოჯევანის ბაზები სომხეთში. ცხადია, რომ კრემლი დიდხანს არ მოითმენს სამხრეთ კავკასიაში სივრცის წყვეტილობას და „გახლეჩადობას“, რადგან არაოკუპირებული სექტორებიდან ყოველთვის იქნება რუსული გეოპოლიტიკური „კუნძულების“ ქსელის მოშლის საფრთხე. ამი-ტომ დღევანდელი მდგომარეობა კრემლის გეოსტრატეგიის თვალთახედვიდან შუალედურია – რუსეთი ყველაფერს იზამს სივრცის დახურვისათვის და ინ-ტეგრირებული კონტროლისათვის. ამისათვის მას გააჩნია ძალისმიერი დარტყ-მის რამდენიმე ღერძული არეალი (აფხაზეთი, ცხინვალის რეგიონი, სომხეთის ჩრდილოეთი, მთიანი ყარაბაღი) შესაბამისი გეოსტრატეგიული ხაზებითა და დერეფნებით – „ენგურის ხაზი“, „ლიახვი–ახალგორის დერეფანი“, „გიუმრი–ოჯევანის ხაზი“ და „ლაჩინის დერეფანი“.

ასეთ პირობებში ჩვენის მხრიდან სასიცოცხლოდ აუცილებელია მრავალ-განზომილებიანი პრაგმატიზმის სტრატეგია. საჭიროა გრძელვადიანი ევროატ-ლანტიკური ორიენტირები ორგანულად შეერწყას კონკრეტული ცვლილებებით გამოწვეულ სიტუაციურ მიკროსტრატეგიებს. ეს მოითხოვს სტრატეგიულ მოთ-მინებას, დიპლომატიურ მანევრირებას, რათა კიდევ ერთხელ არ გავხდეთ სხ-ვისი სცენარების ტყვე ან საკუთარი იმპულსური გადაწყვეტილებების მძევალი.

ცხადია, რომ ყველაფერი დამოკიდებულია დასავლეთისა და კონკრეტუ-ლად აშშ–ს პოზიციაზე და გარანტიებზე. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, საქართველო ხომ პროდასავლური კურსის გამო დაისაჯა. სამწუხაროდ, დღეს დასავლეთი ბოლომდე ვერ აცნობიერებს რუსეთისგან მომდინარე საფრთხის მასშტაბურობას, ვერ თუ არ ახდენს მის ჯეროვან იდენტიფიკაციას. ეკ–ში

ფართოდაა დეკლარირებული რუსეთთან ინტეგრაციის პრინციპები, ხოლო ბ. ობამას ადმინისტრაციამ უარი თქვა რუსეთის ექსპანსიის შეკავების ტრადიციულ დოქტრინებზე. არადა, თუ რუსეთის ევრაზიული გეოსტრატეგია რეალური გახდა, მაშინ უკვე გვიან იქნება და შეკავების მცდელობა დაემსგავსება „საჯინიბოს კარების მაგრად ჩარაზვას მაშინ, როდესაც ცხენი უკვე გაქცეულია“.

აგვისტოს ომის შედეგების საერთო კომპლექსში, ჩვენი აზრით, ყურადღებას იქცევს შედარებით-პოლიტოლოგიური განზომილება: რუსეთის მიერ აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებამ და ამგვარი აღიარებისათვის პრეცედენტული საფუძვლის მინიჭებამ, თავისთავად წარმოშვა გარკვეული ანალოგიები და შედარებით-კომპარატული დისკურსი უახლეს ისტორიაში მომხდარ, ზედაპირულად იდენტურ მოვლენებთან (მხედველობაში გვაქვს კოსოვოს პრეცედენტი, ჩრდილოეთ კვიპროსის თურქული რესპუბლიკის პრეცედენტი და სხვ.). ამიტომ საკითხი იმის შესახებ, თუ რა სტატუსი შეიძლება რუსეთმა გამონახოს ჩვენი ოკუპირებული ისტორიული ტერიტორიებისათვის, შეიძლება გარკვეულწილად დავუკავშიროთ კომპარატულ საერთაშორისო პრაქტიკას, რაც, სამწუხაროდ, არსებობს. კატეგორიულად ვაცხადებთ: შედარებითი სიტუაციური ანალიზის დროს, ცხადია, ჩვენთვის ძირითადი იმპერატივია საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის ოკუპირებული სტატუსი, ჩვენს რეგიონულ კონფლიქტებთან კოსოვოსა და სხვა პრეცედენტების აბსოლუტური ფორმატული არათავსებადობა. ჩვენ მხედველობაში გვაქვს მხოლოდ რუსეთ-სეპარატისტული ალიანსის შემდგომი შესაძლო ნაბიჯები. ისინი აპრიორულად უკანონოა, არამართლზომიერია, მაგრამ ფაქტია და ამიტომ კომპარატულ ანალიზს საჭიროებს.

პოლიტოლოგიაში არსებობს ასოცირებული სახელმწიფოს ცნება. ეს არის კონფედერაცია, რომელსაც ქმნის ორი სახელმწიფო, გაერთიანებული ორმხრივ და არათანასწორ საწყისებზე. ასეთი გაერთიანების დროს პატარა სახელმწიფო, სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის ფორმალური შენარჩუნებით, თავისი უფლებამოსილების მნიშვნელოვან ნაწილს გადასცემს დიდ სახელმწიფოს.

მართალია, ასოცირებული სახელმწიფოს ცნება ჯერჯერობით დაკონკრეტებული არ არის, მაგრამ ეს სტატუსი უკვე ნაწილობრივ აპრობირებულია საერთაშორისო პრაქტიკაში. ასოცირებული სახელმწიფოს კატეგორიას განეკუთვნება 20 ქვეყანა, მათი უმრავლესობა გაერო-ს წევრია, მათი დამოუკიდებლობა აღიარებულია, მაგრამ ასოცირებულ ურთიერთობებში იმყოფება რომელიმე „დიდ პარტნიორთან“. მაგალითად: მონაკო-საფრანგეთთან; ანდორა-ესპანეთთან; ლიხტენშტეინი-შვეიცარიასთან; მიკრონეზიის შეერთებული შტატები, მარშალის კუნძულები, პალაუ და სამოა-აშშ-თან; კუკის კუნძულები-ახალ ზელანდიასთან; არუბა და ანტილიის კუნძულები-ჰოლანდიასთან და სხვ.

ჩვენთვის განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება: ასოცირებული ქვეყნების მეოთხე (უკანასკნელ) ჯგუფში შედიან ისინი, რომლებიც არც გაერო-ს წევრები არიან და არც დამოუკიდებლობის ფართო საერთაშორისო აღიარებით სარგებლობენ. მათი ასოცირება დიდ სახელმწიფოსთან გამოიხატება საერთო მოქალაქეობაში, საერთო ვალუტაში, საერთო თავდაცვაში. ასეთებია,

მაგალითად, ჩრდილოეთ კვიპროსი (თურქეთთან), კოსოვო (ევროკავშირთან), პუერტო-რიკო და გუამი (აშშ-თან) და ნიუე (ახალ ზელანდიასთან). ძნელი მისახვედრი არ უნდა იყოს, რომ ამ კატეგორიული ჯგუფის სამართლებლივი მდგომარეობა (ე.ი. დე ფაქტო სუვერენიტეტის სამართლებლივ-პოლიტიკური გაუფორმებლობა და საერთაშორისო ინსტიტუტების არწევრობა) და მფარველ დიდ სახელმწიფოებთან მჭიდრო დაქვემდებარებული ურთიერთობა ძალიან წააგავს აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის იდენტურ პარამეტრებს: ისინი არ არიან იურიდიულად სუვერენულები და გაერო-ს წევრები, მათ მოქალაქეებს აქვთ რუსეთის მოქალაქეობა, ერთადერთ საგადამხდელო საშუალებად იყენებენ რუსულ რუბლს, 2008 წლის 17 სექტემბრის ხელშეკრულების (“მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ“) საფუძველზე იქ განლაგებულია რუსეთის საოკუპაციო სამხედრო ბაზები.

არ არის გამორიცხული, რომ რუსეთმა გარკვეულ ეტაპზე აამოქმედოს ასოცირებული ქვეყნების ფორმატი და სცადოს მისი გამოყენება ერთ-ერთ მექანიზმად საქართველოს ტერიტორიული დაშლის ლეგიტიმაციისათვის. შესაძლოა კრემლმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჩართოს კოორდინატთა იმ სისტემაში, რომელიც დე ფაქტო ასოცირებულ სახელმწიფოთა ტიპიურ მახასიათებლებს შეიცავს. ამ შემთხვევაში ასოცირებული ქვეყნის სტატუსი იქნება ერთგვარი შუალედური ცვლადი, ერთგვარი გარდამავალი ფაზა ფაქტობრივი სამხედრო ოკუპაციის თანამედროვე მდგომარეობასა და სრული ანექსიის პერსპექტივას შორის.

ამიტომ ქართული დიპლომატია ყურადღებით უნდა მოეკიდოს ასეთი პერსპექტივის სამწუხარო რეალობას და არაღიარების შეუქცევად სტრატეგიაში ჩადოს შესაბამისი პრევენციული მექანიზმები.

Dazmir Jojua
Sokhumi State University

SOME IDEA REGARDING THE GEOPOLITICAL AND GEOSTRATEGIC IMPLICATIONS

BETWEEN RUSSIA-GEORGIA WAR IN 2008

Several opinions are presented in article regarding some ideas of the geopolitical and geostrategic implications between Russia-Georgia war in August 7-8, 2008. It is noted that there has been a full-scale Russian aggression against Georgia. Its goal and motive was not ~People's salvation from genocide", but liquidation of Georgian sovereignty and blocking membership in NATO. Unfortunately, at this stage Russia has partially achieved its goal.

From other geopolitical consequences of August War is noted following two: first – changing a geo-strategic balance in favor of Russia in the South Caucasus; second – territorial division of Georgia and international legitimating attempt by Kremlin.

ავთანდილ კილასონია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ლეკები ქართლ-კახეთისა და ირანის ურთიერთობაში XVIII ს. I ნახევარში

XVIII საუკუნის დამდეგიდან აღმოსავლეთ საქართველოს წინაშე მთელი სიმწვავით დადგა ლეკების პრობლემა. ამავე პერიოდში გაძლიერდა ლეკების ანტიირანული და ანტიფეოდალური გამოსვლები, რაც ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის შეფასებული, როგორც „ლეკური საფრთხე".[1] ლეკების გააქტიურებით სარგებლობდა ოსმალეთი, რომელიც ხელიდან არ უშვებდა შესაძლებლობას დაესუსტებინა მთავარი მეტოქე რეგიონში და განემტკიცებინა თავისი პოზიციები ამიერკავკასიაში. ამიერკავკასიისკენ ენერგიულად მოიწევდა რუსეთი, რომელიც ტრადიციული მტრების -ირან-ოსმალეთის წინააღმდეგობით სარგებლობას ცდილობდა. შექმნილ პირობებში ლეკების საკითხმა მზარდი მნიშვნელობა შეიძინა სამი დაპირისპირებული დიდი სახელმწიფოს ურთიერთობაში. ერთადერთი ნაკლებად პრეტენზიული და „უსაფრთხო" მოკავშირე, რომელიც შესაძლოა ირანს ლეკების წინააღმდეგ ჰყოლოდა იყო ლეკებისგან აწიოკებული აღმოსავლეთ საქართველო.

XVII ს. მიწურულისთვის ქართლის ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის მარცხით დამთავრდა. ამავე დროს გამოიკვეთა ქართლისა და კახეთის სამეფო კარების განსხვავებული საგარეო პოლიტიკა. ქართლში უარყოფილ იქნა როსტომ-ხანის საგარეო პოლიტიკური კურსი და ორიენტაცია ჩრდილოეთზე იქნა აღებული, ხოლო კახეთის ბაგრატიონებმა ქედი მოუხარეს ირანს და მის სამსახურში ჩადგნენ. ეს უკანასკნელი მოხერხებულად უპირისპირებდა ერთმანეთს ქართლისა და კახეთის მეფეებს და მათზე გავლენას აძლიერებდა. მდგომარეობა შედარებით დასტაბილურდა გიორგი XI-ის ქართლში გამეფებით და აქ ჯანიშინად მისი ძმისწულის, ვახტანგ ლევანის ძის დანიშვნით. ვახტანგი ეროვნულ-ქრისტიანული იდეოლოგიის მატარებელი იყო, მაგრამ შაჰის კარი მას ითმენდა, სანამ გიორგი XI თავისი ჯარით ირანის წინააღმდეგ მებრძოლ ავღანელებს აკავებდა. გიორგი XI-ის მუხანათური მკვლელობის შემდეგ, ახალი „ვალი" ქაიხოსროც წარმატებით ებრძოდა ავღანელებს, რითაც სარგებლობდა ვახტანგი და თავის გავლენას აძლიერებდა აღმოსავლეთ საქართველოში. 1711 წ. ქ. ყანდაარზე იერიშის დროს ქაიხოსროს დაღუპვის შემდეგ „გურჯისტანის ვალის" ტახტზე არჩევანი ვახტანგ VI-ზე შეჩერდა. 1712 წ. ტახტზე დასამტკიცებლად ვახტანგი ისპაჰანში გაიწვიეს[2].

ქართულ ისტორიოგრაფიაში სამართლიანად არის აღნიშნული, რომ XVIII ს-ში ირანის იმპერიაში რელიგიური მომენტი არ იყო სახელმწიფოებრივ ურთიერთობათა შემფერხებელი, მაგრამ ქართლის ვალის ოფიციალურ მაჰმადი-

---

[1] **O. Маркова.** Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в. М. 1966, გვ. 102-103.

[2] **სეხნია ჩხეიძე.** საქართველოს ცხოვრება. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, ტფ. 1913, გვ 326.

ანობას შაჰის კარი მაინც დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. ეს ქვეყანას ირანის პროვინციად წარმოაჩენდა და ამით რუსეთსაც უპირისპირდებოდა, რომელიც, ქრისტიანობას ამოფარებული, ამიერკავკასიისკენ მოიწევდა და რეგიონის ქრისტიანული მოსახლეობის მხარდაჭერას იწვევდა.

სამწუხაროდ, იმჟამინდელ ვითარებაში ვახტანგ VI-ის რელიგიური სიმტკიცე პოლიტიკური წინდაუხედაობა იყო. ქართული საზოგადოება არ იყო მზად ერთობლივი ძალით ებრძოლა ირანის ბატონობის წინააღმდეგ, ამიტომ ამას შეიძლებოდა სახიფათო შედეგები მოჰყოლოდა. მოვლენების განვითარებამ აჩვენა, რომ რელიგიური მომენტის წინ წამოწევა მაშინ გამართლებული არ იყო. მას შემდეგ, რაც სულხან-საბა ორბელიანის დიპლომატიური მისია ევროპაში წარუმატებლად დამთავრდა, ვახტანგმა ფორმალურად მაჰმადიანობა აღიარა და მეფობაც მიიღო, მაგრამ, ჩვეულებისამებრ, ირანში დატოვეს, ქართლის „ჯანიშინობა“ კი მის შვილს, ბაქარს მისცეს.

ვახტანგის ირანში წასვლის შემდეგ ქართლში ლეკების შემოსევები გაძლიერდა და ქვეყნისთვის სახიფათო შეიქმნა. ირანი არ ატარებდა „ლეკიანობის“ წინააღმდეგ თანმიმდევრულ პოლიტიკას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანა მისი იყო და ამ ქვეყნის „პატრონობა“ მას მართებდა. ბაქარის მმართველობის დასაწყისშივე, 1717 წ. ზაფხულში ლეკთა 8 ათასიანმა მარბიელმა ლაშქარმა ბოლნისი და მდ. ქციის ხეობა მოაოხრა და ნადავლით დატვირთული უკან გაბრუნდა. ქართველთა მდევარმა, პირველ შეტაკებაში წარმატების მიუხედავად, მომხვდურებს ვერაფერი დააკლო, დაღესტნელებმა ერთობლივ შემოუტიეს და მარნეულამდე ქვეყანა მოაოხრეს, ნაალაფევი დასაბინავებლად წაიღეს და მხოლოდ ძლიერი სიცხეებისა და უწყლობის გამო დაბრუნდნენ ჭარში[1].

ნიშანდობლივია, რომ XVIII ს. დამდეგიდან ლეკებმა მეტი ენერგიით შეუტიეს საკუთრივ ირანის პროვინციებსაც. მას შემდეგ რაც ირანში დიდი გავლენის მქონე დაღესტნური წარმოშობის დიდი ვეზირი, ფათალი-ხანი გარდაიცვალა, ლეკთა მოთარეშე რაზმებმა სულ უფრო უმატეს ლაშქრობებს ირანის ჩრდ. პროვინციებში. ლეკთა „თავხედობამ“ დროებით გამოიწვია ქართლ-კახეთისა და ირანის ინტერესების დამთხვევა. შაჰის კარზე ფიქრობდნენ, რომ ვახტანგ VI შეძლებდა ლეკთა პრობლემის მოგვარებას, ამიტომ 1719 წ. ქართლის „ვალი“ სამშობლოში დააბრუნეს, იგივე მიზეზით უნდა აიხსნას უფრო ადრე, 1715 წ. კახეთის ტახტზე დამტკიცებული დავით მეფის (იმამყული-ხანის) ოპერატიული დაბრუნება სამშობლოში. 1719 წ. დეკემბერში სოფ. საფურცლეში შედგა ქართლისა და კახეთის მეფეების ოფიციალური შეხვედრა. ამ შეხვედრის უკან აშკარად იდგა ირანის კარის დაინტერესება ლეკთა წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლით. მიზანი შეხვედრისა ლეკების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის გეგმის შემუშავება იყო. დავით იმამყული-ხანის მრავალთაგან ერთი წერილი ვახტანგისადმი კიდევ ერთხელ მოწმობს, რომ ეს ერთობა „ხელმწიფისთვის“, ანუ ირანის შაჰისთვის სასურველი იქნებოდა და ვახტანგს ეს უნდა გაითვალისწინებინა: „... მართალს მოგახსენებთ თქვენი კახეთში გამობრძანება დიაღ

[1] И. Петрушевский. Джаро-белаканские вольные общества в первой трети XIX столетия. Тифл. 1934, გვ. 31.

ქვეყნების სარგებელი იქნება და ხელმწიფის დოვლათის სამჯობინო არისო“.[1]

ირანის დაინტერესებას ლეკების პრობლემის მოგვარებით ყველაზე ნათლად ადასტურებს ის ფაქტი, რომ 1721 წ. ვახტანგ VI ოფიციალურად დაინიშნა სამხრეთ აზერბაიჯანის სპასალარად. ქართლის მეფის ხელში აღმოჩნდა ირანის იმპერიის მთელი ჩრდილოეთი ნაწილის სამხედრო ხელისუფლება.[2] მალე ქართლის მეფის ენერგიულმა შეტევამ აიძულა ლეკები შეეწყვიტათ თარეში ირანის ჩრდილოეთ პროვინციებში და საკუთრივ ჭარ-ბელაქანში დაბრუნებულიყვნენ. ირან-ქართლ-კახეთის ინტერესთა დამთხვევა აშკარად იძლეოდა იმის შესაძლებლობას, რომ დაღესტნელთა მთავარი ბუნაგიც მოესპოთ, მაგრამ ირანის შაჰი ვახტანგ მეფეს ბოლომდე არ ენდობოდა. ირანი დაინტერესებული იყო ლეკთა თარეშების აღკვეთით თავის პროვინციებში, მაგრამ საქართველოს „აღდგენა-გამოხსნის“ ვახტანგისეული პროგრამა მის გეგმებში არ შედიოდა. ჩვენ ერთობ გადაჭარბებული გვეჩვენება XVIII ს. ისტორიკოსის სეხნია ჩხეიძის მოსაზრება, თითქოს შაჰი ვახტანგში ირანის ტახტის მოცილეს ხედავდა: „თუ მეფემ ვახტანგ ჭარი დაიჭირა, ქვეყანასაც ის დაიჭერსო“,[3] თუმცა ვახტანგ VI ამიერკავკასიის ქრისტიან ხალხთა, სომეხ-ქართველთა გაერთიანების იდეის გამტარებელი ნამდვილად იყო, მაგრამ მაშინდელი ირანის სისუსტის მიუხედავად, ვახტანგს ირანის ტახტის დაკავების არც ძალა და არც ამბიცია არ უნდა ჰქონოდა.[4]

გრძნობდა რა ამ საფრთხეს, შაჰმა ვახტანგ VI-ის ლეკთა წინააღმდეგ წარმატებით მიმდინარე ლაშქრობა შეაწყვეტინა და, იმ საბაბით, რომ ჭარელებმა აღიარეს დანაშაული და მორჩილებისა და ერთგულების ფიციც დადეს, „ლეკური საფრთხის“ საბოლოო მოგვარებაზე ხელი ააღებინა.[5] ამ გადაწყვეტილებით შაჰმა ჰუსეინმა ლეკიანობის წინააღმდეგ გულწრფელად მებრძოლი მოკავშირე დაკარგა და ამ უკანასკნელს მის მეტოქე რუსეთთან ურთიერთობის გააქტიურებისკენ უბიძგა. ამიერიდან, იმის მიუხედავად, რომ მოწინააღმდეგეც ბევრი ჰყავდა, ვახტანგ VI ლეკთა პრობლემის მოგვარებას და ირანის უღელისგან გათავისუფლებასაც რუსეთის დახმარებით ცდილობდა, რაც, სამწუხაროდ,

---

[1] **დ. მეგრელიძე**. მასალები XVIII ს. ოციანი წლების ქართლ-კახეთის ისტორიისათვის. – მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის (მსკი), ნაკვ. 33, თბ., 1960, გვ. 166-167.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV. საქართველო XVI საუკუნის დასაწყისიდან XIX საუკუნის 30-იან წლებამდე. ტომის რედ. *მამია დუმბაძე,* თბ., 1973, გვ. 411.

[3] **სეხნია ჩხეიძე**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 33.

[4] იხ. **გ. მაისურაძე**. სომეხი და ქართველი ხალხების ურთიერთობა XIII-XVIII სს. თბ., 1982; მისივე, ესაიჲ ჰასან ჯალალიანის ნაშრომი –„ალბანეთის ისტორია“ ქართველი და სომეხი ხალხების ურთიერთობის შესახებ. – საქართველოს, კავკასიის და მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიის საკითხები, 1968, გვ. 183-201; **ესაია ჯალალიანცი**. ქართველი მეფის ვახტანგის მოსვლა განჯას. – „მოგზაური“, 1902, №1, გვ. 65-66; П.Т. Арутюнян. Освободительное движение армянского народа в первой четверти XVIII в. М. 1954; В. Мартиросян. Россия и армяно-грузинские взаимоотношения в первой четверти XVIII в. Автореферат канд. дисс. Ереван, 1966; С. Мамедов. Исторические связи и дружба азербайджанского и армянского народов в первой трети XVIII в. Автореферат канд. дисс. Баку, 1966, და სხვ.).

[5] О. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в. М. 1966, გვ. 103.

კრახით დამთავრდა.[1]

ამიერკავკასიის ასპარეზზე რუსეთის გამოჩენას და პეტრე I-ისა და ვახტანგ VI-ის კავშირს ერთნაირად მწვავედ დაუპირისპირდნენ ირანი და ოსმალეთიც. ოსმალეთმა ერთნიშნად მოსთხოვა რუსეთს მისი ერთმორწმუნე და მოკავშირე ლეკების წინააღმდეგ ძალა არ გამოეყენებინა და დაღესტნიდან თავისი ჯარები გაეყვანა,[2] ირანმა კი კიდევ ერთხელ აშკარად გამოამჟღავნა, რომ მისთვის ლეკთა თარეშების აღკვეთაზე უფრო პრიორიტეტული საქართველოს მორჩილება იყო: შაჰმა ჰუსეინმა „მოღალატე" ვახტანგი ტახტიდან გადააყენა და ქართლი კახეთის მეფე კონსტანტინე, მაჰმადყული-ხანს გადასცა. ამ უკანასკნელმა, ნაცვლად იმისა, რომ ლეკების წინააღმდეგ ბრძოლა განეგრძო, 1723 წლის 4 მაისს 17 ათასი ლეკით თბილისი აიღო, გაძარცვა და მის მცხოვრებლებს კიდევ 40 ათასი თუმანი შეაწერა ლეკის ჯარისთვის გადასახდელად.

1723 წლის ივნისში თბილისი ოსმალებმა დაიკავეს. კონსტანტინემ ქალაქი უბრძოლველად დათმო. ვახტანგ VI მძიმე მდგომარეობაში ჩავარდა. ის შეეცადა თურქების გული მოეგო და ამ მიზნით 12 ჯორზე აკიდებული განძეულობით ვაჟი ბაქარი და ძმა იესე გააგზავნა, მაგრამ თურქებმა განძეულობა არ იკმარეს და თვით ვახტანგის გამოცხადება მოითხოვეს, რაზეც ვახტანგი არ დათანხმდა. ვახტანგი საბოლოოდ დამარცხდა. ოსმალებმა ქართლის ტახტზე იესე დასვეს. იმედგაცრუებული ვახტანგი 1724 წლის ივლისში 1200 კაცით რუსეთში გადაიხვეწა.[3]

ვახტანგ VI-ის დამარცხება უპირველეს ყოვლისა ირანის დამარცხება იყო. ჩვენი აზრით, ასეთი მძიმე შედეგი გამოიღო ირანის არათანმიმდევრულმა პოლიტიკამ აღმოსავლეთ ამიერკავკასიაში, ქართველი მეფეებისადმი უნდობლობამ და ლეკების პრობლემის მოუგვარებლობამ. ოსმალთა ბატონობის დამყარებამ აღმოსავლეთ საქართველოში მძლავრი ბიძგი მისცა ლეკების ექსპანსიას ყველა მიმართულიებით. იმჟამინდელი წყაროები სავსეა ლეკთა თარეშის ამსახველი ფაქტებით,[4] რაც აღმოსავლეთ ამიერკავკასიის დაუფლებისთვის ბრძოლის პირველ ეტაპზე ხელსაყრელი იყო ოსმალებისთვის. ვახუშტი ბატონიშვილი ასე აღწერს ქართლში ლეკების თარეშის შედეგს: „არცა-რა დაშთა მსახლობელნი მუხრანს, ქართლს, საციციანოს და ადგილ საბარათიანოს სომხეთსაცა, თვინიერ სიმაგრეთა, რამეთუ მუშაკობადცა მალვით ჩამოვიდიან და მათი მხედველნი ივლტოდიან სიმაგრეთა",[5] ღონემიხდილ მოსახლეობას „მხეცნიცა მიუტევდნენ და სჭამდნენ ურიდად მრავალთა" და იყო სასტიკი ეპიდემიებისგან კი „კვალად იყო სრვაცა, მომსვრავი ჟამთა ძლიერი".[6]

იმ დიდი სამსახურისთვის, რომელიც ჭარელებმა ოსმალეთს გაუწიეს ის-

---

[1] O. Маркова. Россия, Закавказье и международные отношения в XVIII в.., გვ. 103.

[2] Н. Смирнов. Политика России на Кавказе в XVI-XIX веках. М. 1958, გვ. 66.

[3] **იესე ტლაშაძე**. ბაქარიანი. გამოსაცემად მოამზადა *სოლომონ ყუბანეიშვილმა*, თბ., 1962, გვ.24.

[4] იხ. **ი. (ს.) ალიმბარაშვილი**. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, თბ., 2011.

[5] **ვახუშტი**. საქართველოს ცხოვრება, ნაწ. II. *დ. ჩუბინაშვილის* გამოცემა, სპბ. 1854.

[6] **ვახუშტი**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 440.

ლამის გავრცელების საქმეში, 1727 წელს სულთანმა საშვილიშვილოდ გადასცა მოძალადე ლეკებს ძველი ქართული ქვეყანა – აღმოსავლეთ კახეთი, ჭარი, ფიფინეთი, იგივე საინგილო. დაპყრობილი სოფლები ჭარელებმა დაბეგრეს და მოსახლეობა იძულებული გახადეს მიეღოთ მაჰმადიანობა. სარწმუნოებაშეცვლილ დაბეგრილ გლეხს ამიერიდან ეწოდა „ინგილო", განსხვავებით „ლეკისგან", რომელშიც მებატონე ან თავისუფალი იგულისხმებოდა, დამოუკიდებლად იმისა თუ ვინ იყო ის: ავარიელი, წახურელი თუ გალეკებული ქართველი.[1] ასე ჩამოყალიბდა აღმ. კახეთში, საინგილოში ჭარ-ბელაქნელი აღალარების სახელმწიფო, რომელმაც მალე ვრცელი ტერიტორია დაიქვემდებარა და დაღესტნელ ფეოდალ-აბრაგთა თუ ოსმალეთის მხარდაჭერით ზურგშემაგრებულმა ქართლ-კახეთს მოსვენება დაუკარგა.[2]

დასუსტებულმა ირანმა წინააღმდეგობა ვერ გაუწია მის ზურგში ოსმალთა მოკავშირე სახელმწიფოს შექმნას. ამ დროიდან მის „საპატრონო" კახეთში დაღესტნელ ფეოდალთა შემოსევები კიდევ უფრო გაძლიერდა. საფრთხე შეექმნა ირანის ჩრდილოეთ პროვინციებსაც. 1725 წელს დაღესტნელებმა თურმე „მოლები მოასხეს და კახეთის გლეხობას ერთბაშად გამაჰმადიანება დაუპირეს,[3] მაგრამ კახელებმა, ირანის დახმარების გარეშე, საკუთარი ძალებით შეძლეს მოძალადეთა განდევნა.

ლეკთაგან შეჭირვებულ კახეთში ისევ გაუხსენებიათ ძველი გეგმა, რომელიც ლეკებთან დაზავებას და მათთვის ქართლისკენ გზის მიცემას გულისხმობდა, მაგრამ სიმშვიდე ვერც ამას მოუტანია. ვახუშტის ცნობით, მაჰმადყული ხანს თითქოს წილიც ედო „უპატრონო" და მდიდარ ქართლში ლეკების მიერ მოპოვებულ ნადავლში. „ქართლის ნატყვენარის წილს მისცემდნენ ლეკნი მაჰმადყული-ხანს ხუთის თავს ეტიკობისთვის (გზის მიცემისთვის, – ა.კ.) და უწოდდა თავს მათთა მეგობრად, ძმად და მეყვისად", – წერს ის.[4]

1730 წლის ივნისში ლეკებმა მოარბიეს ზემო ქართლი, საციციანო, საბარათიანო, დიდი ნადავლი მოაგროვეს და უვნებლად წავიდნენ;[5] 1731 წლის სექტემბერში ააოხრეს სურამი, გადაწვეს სოფლები ოსიაური, სატივე, ოძისი, გავიდნენ ყრისის ხევს, აქაც იშოვეს ტყვე და პირიტყვი, ჩაუარეს წრომს, დაუმსხვრიეს გალავანი, შეუცვივდნენ შიგ საყდარში მყოფთ, დახოცეს და ნადავლით დატვირთულნი მიადგნენ ჭალას, სადაც „შეექნათ სროლა დილითგან ბინდამდის, მოკლეს ლეკნი ას სამოცი... აიღეს გალავანი, უყვეს ყათლანი, წაიღეს ტყვე და საქონელი.[6] ვახუშტის ცნობით, ამ თავდასხმის დროს ლეკებს წაუყვანიათ ტყვედ 1000-მდე კაცი: „...შემუსრეს ჭალა, გამოიყვანეს ჩ" სულნი ტყვედ და წარვიდნენ. გარნა თვინიერ ამისა და ამათ ჭირთა შინა, რომც იყო ოსმალთაგან გაზაფხულ-

[1] **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. III, თბ., 1966, გვ. 272-274.

[2] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 428.

[3] **ნ. ბერძენიშვილი**. აღმოსავლეთ კახეთის წარსულიდან. – „მიმომხილველი", 1953, გვ. 189.

[4] **ვახუშტი**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 213; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 444.

[5] **სეხნია ჩხეიძე**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 40-41.

[6] **სეხნია ჩხეიძე**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 41.

შემოდგომას, მარადის ატყვევებდნენ ლეკნი, რამეთუ ჯარად და ჯარად გამოვიდიან ჩ „ (1000 – ა.კ.) და უმეტესნი და უმეტესნი.[1]

1732 წლის 8 ივლისს მოპარვით, ღამით მოსულა ლეკის ჯარი, ამოუვლია ბაკამი, გადასულა წიფაში, გამოუვლია იტრია-ჩუმათელეთი და ერთიანად აუკლია.[2]ამავე წლის 21 ივლისს ლეკის ჯარი ქვიშხეთს მოსულა, მაგრამ ქართველებს, ამჯერად ოსმალებთან ერთად, ისინი დაუმარცხებიათ და მრავალი სხვ. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება. ფაქტი ერთია, მიუხედავად დამარცხებისა თუ გამარჯვებისა, ყოველ მათგანს მსხვერპლი, ნგრევა და აოხრება მოყვებოდა, ამიტომაც „...აღარა იპოვებოდა შენობა ქართლსა შინა თვინიერ ციხეთა და სიმაგრეთა კიდე“.[3]

XVIII ს. 30-იანი წლების დამდეგიდან ირანი პოლიტიკური კრიზისიდან თანდათან გამოვიდა და ქართველ მეფეებს იმედი მიეცათ, რომ მისი დახმარებით შეძლებენ ოსმალების გაძევებას და ლეკთა თარეშების ალაგმვას. 1731 წ. ბარძიმ არაგვის ერისთავი რუსეთში გადახვეწილ ვახტანგ VI-ს წერს, რომ ოსმალები დასუსტდნენ და ქართლში სულ ორასი კაციც არ არის, არაგვის გზა კი მას უკავია და ჩამოვიდეს.[4]ამასთან ბარძიმი ვახტანგს აცნობებდა, რომ კახთ ბატონი ქართლს უმიზნებდა და თუ ვახტანგ მეფე ქართლის დჭერას მოახერხებდა, მას დაღესტნელებიც წამოეშველებოდნენ(!). ვახტანგს გაუჭირდებოდა ქართლის დაკავება, თუკი გარეშე ძალა, ამ შემთხვევაში ირანის შაჰი, მას მხარს არ დაუჭერდა. „თუ ეს ქვეყანა დაიჭირა (კახეთის მეფემ, – ა.კ.) ლეკისა პირი აქვს მიცემული,“ ამ გზას ეს დაიჭერს, მანამდე შენს შვილს ყეენთან არ გაგზავნი, მანამ ამ ქვეყანას ვეღარ დაიჭერ“.[5]

ქართული წყაროებიდან კარგად ჩანს, რომ ოსმალთა წინააღმდეგ ბრძოლა ქართლში ირანის მხარდაჭერითა და წაქეზებით იწყებოდა, მაგ. გივი ამილახვარის აჯანყებასთან დაკავშირებით სეხნია ჩხეიძე წერს, რომ „მოუვიდათ ქართველთა (შაჰისგან, – ა.კ.) ბრძანება და აშლა ურემთა“[6] და როგორც ირკვევა, იმის ნებართვაც რომ ამ ბრძოლაში ლეკიც გამოეყენებინათ.

1735 წელს „ოსმალობა“ „ყიზილბაშობით“ შეიცვალა, მაგრამ ამით ქართლის მდგომარეობა არ გაუმჯობესებულა. ყიზილბაშებმა გადასახადები უზომოდ გაზარდეს და მოსახლეობის წინააღმდეგ სასტიკ რეპრესიებსაც მიმართეს, რამაც ქართლის საზოგადოებაში უკმაყოფილება გამოიწვია. ყიზილბაშების წინააღმდეგ შეურიგებელმა მებრძოლმა შანშე ქსნის ერისთავმა თავის მამულში მოიწვია დაღესტნელები მალაჩი ბელადის მეთაურობით და ყიზილბაშებს ბრძოლა დაუწყო. 1739 წ. ივლისში შანშემ 12 ათასი ლეკი შემოიკრიბა, ხაშმის ციხე

---

1 **ვახუშტი**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 511.

2 **ა. იოსელიანი**. საქართველოს ისტორიის ქრონიკები XVI-XIX სს. თბ., 1980, გვ. 63.

3 **ომან ხერხეულიძე**. მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 39.

4 А. Цагарели. Переписка грузинских царей и владетельных князей с российскими государями в XVIII столетии, СПБ. 1890, გვ. 192.

5 А. Цагарели. Переписки грузинских царей..., გვ. 192; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 444.

6 **სეხნია ჩხეიძე**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 45.

აიღო და არაგვის ერისთავების რეზიდენციას – ანანურს მიადგა. ციხე კარგად იყო გამაგრებული და მისი აღება გაჭირდა. ბევრი ლეკი მოკლეს, თურმე „მკვდრის სანგარს ივლებდნენ ლეკნი და ეგრე იბრძოდეს“. ბოლოს მოალყეებს იმ მილის სათავე გადაუჭრიათ, რომლითაც ციხე წყლით მარაგდებოდა. ივლისის სიცხეში ციხეში გამოკეტილებს ძალიან გასჭირვებიათ, მაგრამ არ გატეხილან. ბოლოს ქსნის ერისთავს შეშისა და წალამის მოგროვება და კოშკის გარშემო შემოწყობა უბრძანებია, ცეცხლი წაუკიდებია და ციხეში მყოფნი კვამლში ამოუხრჩვია[1].

ანანურის აღების შემდეგ შანშე თავისი ლეკებით დმანისს შემოადგა. დმანისელებს ყიზილბაშთა სარდალი სეფი-ხანი მიეშველა, მას ყაფლანიშვილებიც შეუერთდნენ და ლეკები დაამარცხეს. ლეკის ჯარის ნარჩენები დაიფანტნენ, ნაწილი ახალგორში მისულა, იქ ტყვე და საქონელი დაუბინავებიათ და დაღესტნის გზას გასდგომიან. სეფი-ხანი ლეკებს ახმეტის ბოლოს მიეწია, დაამარცხა და ნადავლი დააყრევინა, ტყვე და საქონელი კი პატრონებს დაუბრუნა. შემდეგ სეფი-ხანმა შანშე ერისთავს შეუტია, იკორთის სამრეკლო დააქცია და ვანათის ციხეს შემოადგა, ალყა 22 დღე გაგრძელდა, მაგრამ თოვლმა და ავდარმა მოუსწრო და თბილისს დაბრუნდა.[2]

ეს ორი ფაქტი ყიზილბაშთა წინააღმდეგ ბრძოლაში ლეკების გამოყენებისა ნათლად მეტყველებს, რომ ქვეყნის განთავისუფლება ირანის უღლისგან ლეკთა „ძალის მორევით“ შეუძლებელი იყო, ხოლო ამ იდეის მატარებლები არასწორ გზას ადგნენ, თუმცა გარკვეული პოზიტიური შედეგი ქართლის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში ამასაც ჰქონდა: ირანი იძულებული იყო უარი ეთქვა საქართველოს დამორჩილების ძველ, შაჰ-აბისეულ გეგმაზე და რადიკალურად შეეცვალა დამოკიდებულება ლეკების მიმართ, საქართველოს საკითხი კი დიპლომატიური გზით მოეგვარებინა. ირანის ახალმა ხელისუფალმა ნადირ-შაჰმა სწორად შეაფასა, რომ „ლეკურ საფრთხესთან“ ბრძოლა საჭირო იყო ქართლ-კახეთთან კავშირში, მითუმეტეს, როდესაც დაღესტანი უკვე მისი მოსისხლე მტრის, ოსმალეთის საყრდენ ბაზას წარმოადგენდა. დაღესტნის დამორჩილებით ის სერიოზულ დარტყმას მიაყენებდა პორტას, ამავე დროს რუსეთის წინააღმდეგ პლაცდარმსაც შექმნიდა.

1739 წლის სექტემბერში ყიზილბაშთა და ქართველთა გაერთიანებული ძალის მიერ ლეკთა ბელად მალაჩის დამარცხებამ ქართველებში დიდი სიხარული გამოიწვია და მომავლის რწმენაც გააღრმავა. 1739 წ. 12 ნოემბრით დათარიღებულ წერილში ელიზბარ ერისთავი რუსეთის კარს დაწვრილებით მოახსენებდა, რომ „ენკენისთვის თ (9 სექტემბერი, – ა.კ.) დარუბანდის სულთანს მოუვიდა სარდლიდან მახარობელი. სარდლის რაყამი მოიტანა და ამცნო ყიზილბაშთა ლეკზედა გამარჯვება. ყიზილბაშთ ჩფ (1500, – ა.კ.) ლეკის თავი მოუჭრიათ. ეს საქმე ასე იყო. ლეკების ჯარი გარდასულა ი (10) ათასი ცხენოსანი ყოფილა და ზ (7) ათასი ქვეითი – ჩერქეზი, ჩაჩანი, ავარი და შამხალიც. თვითონ ხომ

[1] იხ. **გ. ქიქოძე**. ერეკლე მეორე. თბ., 1958, გვ. 51.

[2] იხ. **გ. ქიქოძე**. ერეკლე მეორე. თბ., 1958, გვ. 51; **ი. (ს.) ალიმბარაშვილი**. ლეკიანობა აღმოსავლეთ საქართველოში, გვ. 69.

არ იტყვიან, რომ შამხალნიც იყვნენ და სხვა ხალხი სრულებით იზ(17) ათასი გულხადარის კაცი, რომელსაც მალაჩი ჰქვიან, ის ყოფილა თავი ამ ლაშქრისა: ეს ლეკის ჯარი რომ გადასულა საქართველოში ოთხად გაყოფილან. ზოგი ქართლისკენ წასულან, ზოგი ერევნისკენ. ეს ამბავი სეფი ხან სარდალს მოუვიდა, თავს დასცემია ლეკთა და აუოტნიათ, და მრავალი ტყვე და საქონელი უშოვიათ, მრავალი ლეკი დაუტყვევებიათ და სხვანი ტყეში დაფანტულან. სხვა რამის ნაწილის ჯარისა ჯერ არა ისმის რა. ყიზილბაშთ სულ გზები შეუკრავთ, სადაც ლეკის გამოსავალი იყო. ერთ-ხანად დიაღ შეწუხებული ყოფილან. რაც რამ ქალაქის (თბილისის, – ა.კ.) ახლო-მახლო სოფლები ყოფილა, იქაურნი მცხოვრებნი ლეკის შიშით ქალაქში შესულან, ერთი ლიტრი პური აბაზად გამხდარა...“[1]

1739 წ. მიწურულს ყიზილბაშებმა და ქართველებმა ერთობლივ დალაშქრეს ჭარი, მაგრამ მალე ჭარელებმა ისარგებლეს ყიზილბაშთა სარდლობის შეცდომებით და მოწინააღმდეგე ერთიანად გაჟლიტეს.[2] მომდევნო წელს ნადირ შაჰმა ახალი ლაშქრობა მოაწყო არა მხოლოდ ჭარის, არამედ მთელი დაღესტნის დასამორჩილებლად და ამას არ შეიძლებოდა სიხარული და თანადგომა არ მოჰყოლოდა. ბრძოლა სასტიკი და ხანგრძლივი აღმოჩნდა. ნადირ შაჰის ჯარს სურსათი შემოაკლდა და მისი მომარაგება ქართველებს დააკისრეს: პირველად სამი ათასი სურსათით დატვირთული ურემი წასულა ქართლიდან, მეორედ კიდევ 2000 შებმული ხარი, თითოეულ ურემზე ორ-ორი ხარვალი(200-200 ლიტრი, – ა.კ.) პურით.[3] ასეთი მძიმე გადასახადი უპრეცენდენტო იყო ირან-საქართველოს ურთიერთობაში, რამაც, ბუნებრივია, ყიზილბაშთა საწინააღმდეგო განწყობა გაზარდა. ქართველთა ნაწილი ნადირ შაჰს განუდგა და ისევ ლეკის ჯარი და ოსმალები ამჯობინა.[4]

დაღესტნის სრული და საბოლოო დამორჩილება, სამწუხაროდ, ყიზილბაშებმა ვერ შეძლეს, მაგრამ დაიდო ზავი, რომელსაც გარკვეული დადებითი შედეგები ჰქონდა. თეიმურაზ მეფე ამ ზავს შეუერთდა. ერთხანობას ქვეყანა დამშვიდდა. ლეკებსა და კახელებს შორის კარგი ურთიერთობა დამყარდა და მშვიდობიანი ვაჭრობაც აღდგა.

დაღესტანში დამარცხება ნადირის ირანის სისუსტის მაჩვენებელი იყო. მალე ზოგიერთ ხელდებულ ქვეყანაში აჯანყებები დაიწყო. აჯანყებისთვის ემზადებოდა ქართლიც. მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო გაზარდა 1741 წელს ჩატარებულმა აღწერამ და უმძიმესი გადასახადების დაწესებამ. „არასდროს ერანის ხელმწიფისგან ქართლის ქვეყანა ასე არ დაწერილიყოო“, – წერს პაპუნა ორბელიანი.[5] მისი გადმოცემით, 1741-1742 წლები მოუსავლიანი

[1] М. Броссе. Переписка на иностранных языках Грузинских Царей с Российскими государями от 1659 г. по 1770 г. СПБ, 1861, გვ. 226-227.

[2] **ვახუშტი**. საქართველოს ცხოვრება. გვ. 218; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 449.

[3] **პაპუნა ორბელიანი**. ამბავნი ქართლისანი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 65.

[4] საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 450.

[5] **პაპუნა ორბელიანი**. ამბავნი ქართლისანი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 56.

ყოფილა ნადირ შაჰს კი 3.000.000 ლიტრა პური მოუთხოვია. „ქართლში პური ასე ძვირად იყო, რომ თქვენმა მზემა, ბევრჯერ ვნახეთ ბალახის კურკას გაახმობდენ, დაფქვიდენ და იმას ჭამდენ... თუ პურს სადმე გასაყიდს იშოვიდენ, თავისი ხელით შვილებს აძლევდენ“.[1]

1742 წ. ქართლში გაუსაძლისი მდგომარეობის გამო ვინმე ღვთისია გოგიაშვილი შვილს ჰყიდის: „მალუჯათას თეთრსა გვთხოვდნენ და საქონელი სულ კელმა წაგვართო, ილაჯი არასი გვქონდა, მოვედით ჩემი შვილი მოგყიდე ჩემის ნებითა.“[2] 1745 წლის ერთი საბუთით: „ილაჯი და ღონე აღარა მქონდა სხვა ამისი მეტი, დიაღ, დიდათაც გამიჭირდა და მოგეცი ჩემი შვილი პაპა, მოგყიდე ორ თუმნად.[3]

ქართლში აჯანყების სოციალური ნიადაგი ნამდვილად არსებობდა, სწორედ ამიტომ ვერ მოახერხეს ყიზილბაშებმა შანშე ერისთავის სწრაფად დამორჩილება, მაგრამ შეცდომა ის იყო, რომ თავის ბრძოლაში ის ლეკებს იყენებდა, რასაც უბედურების მეტი არაფერი მოჰქონდა. არც გივი ამილახვარის ბრძოლის მეთოდი იყო მისაღები, რადგან ის ამ ბრძოლაში ლეკების მოკავშირე ოსმალებს ეყრდნობოდა. ოსმალეთი კი ქართლს დაუპირისპირდა და აქ „ოსმალობის“ დასამყარებლად მოდიოდა. ასე რომ, ქართლის თავისუფლებისთვის მებრძოლი გივი ამილახვარიც, მისდაუნებურად, ოსმალების აგენტი ხდებოდა.[4]

მიუხედავად იმისა, რომ ირანიც დამპყრობელი იყო, იმჟამინდელ ვითარებაში ირანზე ორიენტაცია გამართლებული იყო, რადგან, უმთავრესი ბოროტების, ლეკების საკითხში ირანისა და კახეთის ინტერესები ერთმანეთს ემთხვეოდა. თეიმურაზმა შეძლო ესარგებლა ინტერესთა თანხვდომით, დროებით მაინც მოეშორებინა ლეკთა საფრთხე და უზრუნველეყო ქვეყნის მშვიდობიანი ცხოვრება. ამ ეტაპზე კახეთი გაცილებით უკეთეს მდგომარეობაში აღმოჩნდა, ვინემ ქართლი. კახეთმა მოღონიერება დაიწყო, მისი მოსახლეობაც საგრძნობლად გაიზარდა ქართლის ხარჯზე. „ვინც გზას იშოვნიდის ქართლის კაცნი, თავადნი, აზნაურნი ანუ გლეხნი იხსნებოდიან. კარგადაც აპატივებდნენ მოსულს კაცს, რომ არაფერს აწურებდნენ,“ – წერს პაპუნა ორბელიანი.[5]

სამართლიანობა მოითხოვს ითქვას, რომ მიღწეული მარტოოდენ თეიმურაზის დამსახურება არ იყო. ერთის მხრივ, თეიმურაზის პოლიტიკურმა სიდინჯემ და ლოიალობამ, მეორეს მხრივ კი ქართლის შეურიგებელმა ბრძოლამ აიძულა ირანი საქართველოში „ყიზილბაშობა“ თანდათანობით „ქართველობით“ შეეცვალა. ეს იყო ქართული სახელმწიფოებრიობის დიდმნიშვნელოვანი გამარჯვება.

---

1 **პაპუნა ორბელიანი**. ამბავნი ქართლისანი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 59.

2 დოკუმენტები საქართველოს ისტორიიდან, I, გვ. 307-308; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 452.

3 დოკუმენტები საქართველოს ისტორიიდან, I, გვ. 327; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, გვ. 452.

4 **ნ. ბერძენიშვილი**. XVIII ს. საქართველოს ისტორიიდან, გვ. 202.

5 **პაპუნა ორბელიანი**. ამბავნი ქართლისანი. ზ. ჭიჭინაძის გამოცემა, გვ. 86.

Avtandil Kilasonia
Sokhumi state University

RELATIONSHIP OF LEZGIANS WITH KARTLI-KAKHETI AND IRAN

This article gives us the political picture of the East of Georgia in the first half of the XVIII century: particularly, the battle for supremacy in the Kartli-kakheti regions between Iran and Ottoman Empire and the role of the Dagestan country in the ongoing political events. It is considered that involving Lezgians by the leaders of Kartli into the battle for liberating the country was dangerous and, therefore, unacceptable. It is emphasized, that, at those times, interests of Kartli-Kakheti and Iran coincided relating the matter of Dagestan and it was necessary that this coincidence was utilized against the expansion of Lezgians, which was perfectly used by the King of Kakheti Teimuraz II. Thanks to his reasonable policy towards Iran, the so called "Lezgianism" weakened, the country calmed and was rebuilt. Afterwards the "Qizilbashism" was replaced by the "Georgians". That was the most important victory of the Georgian statehood.

კახაბერ ფიფია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პონტოს სამეფოდან კოლხეთის გამოყოფის საკითხისათვის

ძვ. წ. VI ს. შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, აქ მოსახლე ტომთა კულტურულ-პოლიტიკურ და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხანგრძლივი პროცესის შედეგად, ჩამოყალიბდა კოლხეთის სახელმწიფო. კოლხეთის სამეფოს საზღვრები, ანტიკურ წყაროთა მონაცემებით, თანამ. გაგრა-ბიჭვინთის სექტორიდან ჭოროხის შესართავის რაიონამდე ვრცელდებოდა.[1] ძვ. წ. IIს. კოლხეთის რამდენიმესაუკუნოვანი სახელმწიფოებრიობა დაეცა. ერთ დროს ერთიანი კოლხეთის სახელმწიფო ცალკეულ ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებად –„სკეპტუხიებად“ დაიშალა. ქვეყნის შიდა-პოლიტიკური სიტუაციის გართულებასთან ერთად, გაუარესდა საგარეო ვითარებაც. წინა აზიაში შეცვლილი გეოპოლიტიკური რეალობის შედეგად კოლხეთმა დიდი ხნით დაკარგა დამოუკიდებლობა. იგი ჯერ ძვ.წ. 105-90 წწ. მითრიდატე VI ევპატორის (ძვ.წ. 120-63 წწ.) ვრცელი მონარქიის შემადგენლობაში იქნა ჩართული[2], ხოლო შემდეგ რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცა.

---

[1] **ნ. ლომოური**. „კოლხიდის“ და „კოლხების“ გაგებისათვის. – *თსუ შრომები, ტ. I-*B *(138)*. თბ., 1971, გვ. 19-31; Г. А. Меликишвили. К истории древнй Грузии. Тб. 1959, გვ. 236-251. თანამედროვე ისტორიოგრაფიაში კოლხეთის სამეფოს არსებობა ფაქტობრივად ეჭვს არ იწვევს. მაგრამ, მიუხედავად ამისა, აფხაზ მკვლევართა ნაწილი მაქსიმალურად ცდილობს მის იგნორირებას. მაგ. ო. ბღაჟბასა და ს. ლაკობას ავტორობით შესრულებულ სახელმძღვანელოში «История Абхазии» (Сухуми, 2006), ტერმინი „კოლხეთი“ («Колхида») მხოლოდ გეოგრაფიული მნიშვნელობით იხმარება, ხოლო კოლხეთის სამეფო, რომლის შემადგენლობაშიც მთლიანად შედიოდა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორია, საერთოდ არ იხსენიება. ფაქტია, რომ ო. ბღაჟბა და ს. ლაკობა, რომლებიც დიდ ადგილს უთმობენ „ძველი აფხაზური ტომების“ „საერთაშორისო კულტურულ-პოლიტიკურ კონტაქტებს“, მათ ურთიერთობას ხეთებთან, ფრიგიელებთან, ლიდიელებთან, ურარტუსთან, სპარსელებთან, ბერძნებთან და სხვა ხალხებთან (იხ. О.Х. Бгажба, С.З. Лакоба. История Абхазии. Сухуми, 2006, გვ. 39-78), მკითხველს შეგნებულად უმალავენ კოლხეთის სამეფოს არსებობას, სამაგიეროდ, მათ წინა პლანზე ჰყავთ წამოწეული ჰენიოხთა გაერთიანება, რომელსაც რა თქმა უნდა, წმინდა აფხაზური „ნაციონალურ“ გაერთიანებად მიიჩნევენ. გარდა ამისა, ისინი არ გამორიცხავენ ძვ.წ. IV-II ე.წ. „დიოსკურიის სამეფოს“ არსებობასაც (О.Х. Бгажба, С.З. Лакоба. История Абхазии, გვ. 61-65). აფხაზ მკვლევართა მიზანი იმთავითვე ცხადია. ისინი გეგმაზომიერად ცდილობენ იმის დასაბუთებას, რომ თითქოს აფხაზეთს ისტორიულად არაფერი აკავშირებდა ქართულ პოლიტიკურ სამყაროსთან და რომ აფხაზეთი დანარჩენი საქართველოსგან იზოლირებულად, დამოუკიდებლად ვითარდებოდა, რაც, რა თქმა უნდა, სრული აბსურდია (ამ საკითხის შესახებ იხ.: К.К. Пипия. К вопросу политического статуса объединении апсилов и абазгов.- «Кавказ и Мир», 2009, №1, გვ. 107-109; **В. Джапаридзе. О некоторых проблемах археологии Северо-Западной Колхиды (Абхазия)**. – ***საისტორიო ძიებანი,*** X-XI, თბ., 2008, გვ. 418-429).

[2] იხ. Г.Ф. Дундуа. Монетное дело и монетное обращение в Грузии в античной эпоху (VI в. до н.э. – IV в. н. э.). – Автореферат диссертации на соискание ученой степени доктора исторических наук. Тб, 1982, გვ. 20-21; **Г.Ф. Дундуа**, Г.А. Лордкипанидзе. Денежное обращение центральной Колхиды в VI-I вв. до н.э. Тб., 1983, გვ. 13; **Т.Т. Тодуа**. Колхида в составе Понтийского царства, Тб., 1990, გვ. 48-55.

მითრიდატე VI-ის მიერ კოლხეთის დაკავება უბრძოლველად არ მომხდარა. როგორც ჩანს, კოლხეთის ტერიტორიაზე არსებულმა ცალკეულმა „სკეპტუხიებ-მა“ პონტოელებს გააფთრებული წინააღმდეგობა გაუწიეს. სწორედ ამას უნდა მოწმობდეს მემნონის (ძვ.წ. I – ახ. წ. I სს. მიჯნა) ცნობა, რომ პონტოს მეფემ „ომით დაიმორჩილა ფასისის მიდამოების მეფეები“[1]. ეს „მეფეები“ რეალურად მხოლოდ ადგილობრივი „სკეპტუხები“ უნდა ყოფილიყვნენ, რომლებსაც, რა თქმა უნდა, არ სურდათ თავიანთი პოლიტიკური ძალაუფლების შეზღუდვა. როგორც ჩანს, მათ იმდენად სერიოზული წინააღმდეგობა გაუწიეს პონტოელებს, რომ აპიანე (დაახ. 90-170 წწ.) მითრიდატეს ქვეშევრდომ და მეგობარ ხალხთა ჩამონათვალში, კოლხებს „კარგ მეომარ ხალხად“ იხსენიებს“.[2]

კოლხეთი პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ერთ-ერთი სატრაპიის სახით შევიდა. სტრაბონის (ძვ.წ. 64/63-ახ.წ. 24 წწ.) ცნობით, კოლხეთში „...იგზავნებოდა მუდამ ვინმე მის (ე.ი. მითრიდატე ევპატორის) მეგობართაგან მმართველად და გამგებლად ქვეყნისა“.[3] იგი მთლიანად ემორჩილებოდა მითრიდატე VI-ის სამხედრო-პოლიტიკურ ინტერესებს და კოლხური სამხედრო შენაერთები მონაწილებდნენ მითრიდატეს ყველა ომში.[4] კოლხეთი წარმოადგენდა მითრიდატეს საზღვაო ძლიერების ერთ-ერთ წყაროს. სტრაბონის ცნობით, „აქედან იყო, რომ მეფეს (ე.ი. მითრიდატე ევპატორს – კ.ფ.) მოსდიოდა მეტი წილი ძალებისა სანაოსნო სამსახურისათვის.“[5] გარდა ამისა, ბუნებრივი რესურსებით მდიდარ კოლხეთს ეკონომიკური თვალსაზრისითაც დიდი მნიშვნელობა ქონდა პონტოსათვის. იმავე სტრაბონის ცნობით, კოლხეთში „...(მოიპოვება) ნავთსაშენი ყოველი მასალა: რადგან აქ იზრდება მრავალი ტყე და მდინარეებითაც ჩამოიტანება, ამუშავებენ ბლომად სელს, კანაფს, ცვილს და ფისს.“[6] მიუხედავად იმისა, რომ პონტოელთა პოზიციები კოლხეთში საკმაოდ მყარი იყო, როგორც ჩანს, ბრ-

---

[1] Мемн., XV, 30, 3; **თ. ყაუხჩიშვილი**. მემნონის „ჰერაკლეის ისტორიის“ ცნობები საქართველოს ისტორიის შესახებ.– *მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის*, ნაკვ. 34, თბ., 1962, გვ. 149; **მემნონი**. ჰერაკლეის შესახებ. – ***წგნ.:*** *ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო* ***თ. ყაუხჩიშვილმა***. თბ., 1987, გვ. 26.

[2] **App**., Mithr.,15; აპიანე მითრიდატეს ომების ისტორია. *ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და ს�იებლები დაურთო* ***თ. ყაუხჩიშვილმა***. თბ., 1959, გვ. 59.

[3] **Strabo**, XI, 2, 18; **თ. ყაუხჩიშვილი**. სტრაბონის გეოგრაფია. *ცნობები საქართველოს შესახებ*. თბ., 1957, გვ. 124. თუმცა, პონტოს სამეფოსთან კოლხეთის პოლიტიკური დამოკიდებულების ფორმა უცვლელი არ ყოფილა. კოლხეთის პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ყოფნის შესახებ დაწვრ. იხ.: **კ. ფიფია**. კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან (ძვ.წ. I საუკუნე). – *საისტორიო ძიებანი, I,* თბ., 1998, გვ. 18-23; Н.Ю. Ломоури. К истории Потийского царства. Тб, 1979, გვ. 167-180; Г.А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды. Тб, 1970, გვ. 17-36; Е.А. Молев. Митридат Евпатор. Саратов, 1976, გვ. 24-27; Д.Б. Шелов. Колхида в системе Понтийской державы Митридата VI. – Вестник древней истории, *1980, №3 (153),* გვ. 28-53; А.И. Немировский. Понтийское царство и Колхида. – *Кавказ* и Средиземноморье, Тб., 1980, გვ. 154-160; Т.Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 60-73.

[4] Г.А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды, გვ. 24.

[5] **Strabo**, XI, 2, 17.

[6] **Strabo**, XI, 2, 18.

ძოლა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის არ შეწყვეტილა და ხელსაყრელი დროის დადგომისთანავე კოლხები აჯანყდნენ. კოლხებმა ისარგებლეს პირველ მითრიდატულ ომში (ძვ. წ. 89-84 წწ.) პონტოელთა წარუმატებლობით და მოითხოვეს, რომ მითრიდატე ევპატორს მათთვის მეფედ მიეცა მისი შვილი მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი. მითრიდატე ევპატორი იძულებული გახდა დაეკმაყოფილებინა კოლხების მოთხოვნა და აქ სამეფო ხელისუფლება აღედგინა.[1] ასე რომ, ძვ. წ. 85-83 წწ. კოლხეთში დროებით, ფორმალურად მაინც აღდგენილ იქნა ადგილობრივი სახელმწიფოებრიობა და ის პონტოს ვასალური სამეფო გახდა. თუმცა, მალე მითრიდატემ კოლხთა მეფე მითრიდატე ფილოპატორ-ფილადელფოსი სიკვდილით დასაჯა და კოლხეთი კვლავ სატრაპიად გადააქცია.[2]

კოლხეთში ადგილობრივი სახელმწიფოებრიობის აღდგენისათვის ხელსაყრელი სიტუაცია შეიქმნა ძვ. წ. 65 წ., როდესაც გნეუს პომპეუსის აღმოსავლური ლაშქრობის შედეგად პონტოს სამეფო საბოლოოდ დაემხო. ძვ. წ. 66 წ. პომპეუსის უზარმაზარი არმია შეიჭრა პონტოს ტერიტორიაზე. მოკავშირეების გარეშე დარჩენილმა პონტოელთა არმიამ საბოლოო მარცხი განიცადა. დამარცხებული მითრიდატე მცირე რაზმით ჯერ სომხეთში გაიქცა[3], ხოლო იქიდან კოლხეთში გადავიდა[4]. რომაელებმა დაიმორჩილეს არმენია, დაამარცხეს ალბანელები, იბერები[5] და მითრიდატეს კვალდაკვალ კოლხეთში შევიდნენ.[6] ამ დროისათვის მითრიდატეს, რომელმაც ძვ.წ. 66/65 წ ზამთარი დიოსკურიაში გაატარა, უკვე დატოვებული ჰქონდა კოლხეთი[7]. კოლხეთს, როგორც პონტოს სამეფოს ერთ-ერთ სატრაპიას, პონტოს შემადგენლობაში შემავალ მთლიან პოლიტიკურ ერთეულს და მის ადმინისტრაციას, რომაელებისათვის ორგანიზებული წინააღმდეგობა არ გაუწევია[8]. კოლხეთის უკანასკნელმა პონტოელმა მმართველმა მოაფერნემ,[9] როგორც ჩანს, მითრიდატესთან ერთად დატოვა

---

1 **App.,** Mithr., 64.

2 **App.,** Mithr., 64; **კ. ფიფია**. კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ისტორიიდან, გვ. 19-22; Г.А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды, gv. 22-25; Н.Ю. Ломоури. К истории Потийского царства, გვ. 175; Т.Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 73.

3 **Dio Cass.,** XXXVI, 59, 1; დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. *ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო* ***ნოდარ ლომოურმა***. თბ., 1966, გვ. 62.

4 **App.,** Mithr., 101.

5 **Plut.,** Pomp., 34, **Dio Cass.,** XXXVII, 1, 1-5; 2, 1-7.

6 პომპეუსის აღმოსავლეთში ლაშქრობის შესახებ იხ.: **კ.ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. *(პოლიტიკური ურთიერთობები)*. თბ., 2005, გვ. 27-30; **კ. ფიფია**. პომპეუსი და არისტარქე კოლხი. – *ბედია, VIII-IX, თბ., 2010,* გვ. 258-265; Н.Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения. Тб., 1981, გვ. 99-117.

7 **App**., Mithr., 101-102.

8 **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 28; Н.Ю. Ломоури. Грузино-римские взаимоотношения, გვ. 109-110.

9 **Strabo**, XI, 2, 18; Г.А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды, გვ. 31; Т.Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 72.

კოლხეთი და ბოსფორში გაიქცა.[1]

პომპეუსმა სწრაფად დაძლია კოლხეთის ცალკეულ „სკეპტუხიათა“ წინააღმდეგობა, გაიარა შიდა კოლხეთი და მივიდა ფასისამდე, სადაც მას პუბლიუს სერვილიუსი უცდიდა სამხედრო ფლოტით, რომელსაც ბლოკირებული ჰქონდა კოლხეთის სანაპირო.[2] პომპეუსი კოლხეთში დიდხანს არ დარჩენილა და მას სასწრაფოდ მოუხდა უკან დაბრუნება ზურგში დაწყებული ალბანთა ავჯანყების ჩასაქრობად.[3] პომპეუსმა რომაული ფლოტის სარდალს პუბლიუს სერვილიუსს უბრძანა „ედარავჯა მითრიდატესათვის, რათა არ მიეცა საშუალება სადმე წასულიყო და მოესპო მისთვის სურსათის მიწოდება,“[4] ხოლო კოლხეთის მმართველობა არისტარქეს ჩააბარა[5]. თუმცა, ამ უკანასკნელის სტატუსი ამ დროს ოფიციალურად დამტკიცებული არ უნდა ყოფილიყო, რამდენადაც იურიდიულად პონტოს სამეფო ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული.

ალბანთა ავჯანყების ჩაქრობის შემდეგ პომპეუსი პონტოში დაბრუნდა და ჩააქრო წინააღმდეგობების უკანასკნელი კერები[6]. ძვ.წ. 64 წ. ამისოში ყოფნისას პომპეუსი შეუდგა მის მიერ დაპყრობილი ქვეყნების ადმინისტრაციულ მოწყობასა და რეორგანიზაციას. პომპეუსის განკარგულებით მცირე აზიის ტერიტორიაზე შეიქმნა ორი ახალი პროვინცია – ბითინია და პონტო, ხოლო კაპადოკიასა და კომაგენის სამეფოებმა მხოლოდ ნომინალურად შეინარჩუნეს დამოუკიდებლობა და მთლიანად რომის პოლიტიკური გავლენის ქვეშ მოექცნენ. თუმცა, მათმა მეფეებმა ჯილდოდ გარკვეული ტერიტორიებიც მიიღეს. პომპეუსმა კაპადოკიის მეფეს არიობარზანს ერთგულებისთვის გადასცა სოფენა და კილიკიის მთიანი ნაწილი, რომლებიც ადრე ტიგრან II–ს ეკუთვნოდა, ხოლო ანტიოქოს კომაგენელმა მიიღო სელევკია და მესოპოტამიის სხვა ნაწილები; გალატების ტეტრარქოსად პომპეუსმა დეიოტარე დანიშნა და ომში გაწეული დამსახურებისათვის მას მომიჯნავე რაიონებიც გადასცა.[7] ტიგრან II-ის „დიდი არმენია“ დაიშალა და იგი, ისევე როგორც მეზობელი იბერიის სამეფო, “რომაელი ხალხის მეგობრად და მოკავშირედ“ გამოცხადდა, რაც ფაქტობრივ ვასალობას ნიშნავდა. რაც შეეხება კოლხეთს, იგი პომპეუსმა ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყო და მის დინასტად არისტარქე დანიშნა, ხოლო კოლხეთის ყოფილი მეტროპოლია – პონტოს სამეფო კი, როგორც აღინიშნა, პროვინციად გამოაცხადა.[8]

---

[1] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. გვ. 28-29; **გ. გამყრელიძე, თ. თოდუა**. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში. თბ., 2006, გვ. 38; Т.Т. Тодуа. Колхида в составе Понтийского царства, გვ. 73.

[2] **Plut**., Pomp., 34; **Dio Cass**., XXXVII, 3, 1-3.

[3] **Dio Cass**., XXXVII, 3,3.

[4] **Dio Cass**., XXXVII, 3,3.

[5] **App**., Mitrh., 114.

[6] Т.Моммзен. История Рима.Т., 3, кн.5, М., 2002, გვ. 130.

[7] **App.,** Mithr, 114, 118; **ლ. სანიკიძე**. რომის გვიანდელი რესპუბლიკა. თბ., 1970, გვ. 270.

[8] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს. გვ. 30; **კ. ფიფია**. კოლხეთი რომის იმპერიის პოლიტიკურ სისტემაში, გვ. 189.

ამდენად, ძვ. წ. 64 წ. ამისოს აქტით კოლხეთსა და მთლიანად რეგიონში ახალი გეოპოლიტიკური რეალობა შეიქმნა. რომაელთა ლაშქრობა წინა აზიაში კოლხეთისათვის უდავოდ სასარგებლო აღმოჩნდა და ამ ლაშქრობების ოფიციალური შედეგი – ამისოს აქტი შეიძლება შეფასდეს როგორც უმნიშვნელოვანესი მოვლენა კოლხეთის ისტორიაში. პონტოელთა ორმოცდაათწლიანი უშუალო მმართველობის შემდეგ კოლხეთში აღდგენილ იქნა ადგილობრივი მმართველობა, რაც კოლხური სახელმწიფოს რესტავრაციისათვის ბრძოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეტაპად უნდა ჩაითვალოს. მართალია, პომპეუსის მიერ კოლხეთში შექმნილი ახალი პოლიტიკური ერთეულის დამოუკიდებლობაზე საუბარი ზედმეტია, მაგრამ ფაქტია, რომ პონტოს სამეფოს რიგით სატრაპიად ყოფნასთან შედარებით ეს უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო. ჯერ ერთი, ამ ახალი პოლიტიკური ერთეულის მმართველს ჰქონდა საშინაო საქმეებში სრული თავისუფლება და, გარდა ამისა, რაც მთავარია, რაღაც ფორმით მაინც მოხერხდა ძველკოლხური სახელმწიფოებრიობის აღდგენა,[1] ყოველ შემთხვევაში, პოლიტიკურ რუკაზე კვლავ გაჩნდა კოლხეთი. თუმცა, რა თქმა უნდა, სულ სხვა საქმეა, თუ საბოლოოდ რა ბედი ეწია არისტარქეს განკარგულებაში მყოფ პოლიტიკურ ერთეულს.

პომპეუსს კოლხეთში რომაული გარნიზონები არ დაუტოვებია და არც ქვეყნის შიდა რეორგანიზაცია მოუხდენია. რომაელებმა არისტარქეს ძველი, მითრიდატეს დროინდელი მმართველობის სისტემა დაუტოვეს. ახალი მმართველის რეზიდენციადაც დიოსკურია დარჩა, რომელიც მითრიდატიდების პოლიტიკურ ცენტრს წარმოადგენდა კოლხეთში[2].

ასე რომ, რომაელთა კოლხეთში ლაშქრობას არ მოჰყოლია ქვეყნის უშუალოდ რომის პროვინციულ სისტემაში ჩართვა და იგი ცალკე პოლიტიკურ ერთეულად იქნა გამოყოფილი. ცნობილია, რომ რომაელები კოლხეთს დიდი ხნის მანძილზე (ახ. წ. I ს. ბოლომდე მაინც) პონტოს სამეფოს ნაწილად მიიჩნევდნენ და მოგვიანებით, პომპეუსის მიერ აღმოსავლეთში შემოღებული მმართველობის სისტემის გაუქმების შემდეგ, იგი კვლავ პონტოს შეუერთეს.[3] აქედან გამომდინარე, პომპეუსის მიერ კოლხეთში ცალკე პოლიტიკური ერთეულის ფორმირების რეალური მიზეზების დადგენა განსაკუთრებით საყურადღებოა. თუმცა, მიუხედა-

---

[1] როგორც ჩანს, სწორედ ასე თვლიდა ანტიკურ ავტორთა ნაწილიც, რომლებიც არისტარქეს კოლხეთის მეფედ მიიჩნევს (Eutr., Brev., VI, 14; Fest., XVI). ამ კონტექსტში საყურადღებოა ისიც, რომ არისტარქე მმართველობის მე-12 წელს, თავისი სახელით ვერცხლის მონეტებსაც ჭრის (Д.Г. Капанадзе. Грузинская нумизматика. М., 1955, გვ. 42; К.В. Голенко. Аристарх Колхидский и его монеты. – Вестник древней истории, *1974, №4*, გვ. 106; **A. Jenkins**. Recent Asquisitions of Greek Coins by the British Museum. – *Numismatic Chronicle*, *1959, ser. VI, t. XIX*, გვ. 32), რის ნებასაც რომაელები ხშირად მოკავშირე მეფეებსაც კი არ აძლევდნენ (ამ საკითხების შესახებ იხ.: **კ. ფიფია**. პომპეუსი და არისტარქე კოლხი, გვ. 275-280).

[2] **გ. გამყრელიძე, თ. თოდუა**. რომის სამხედრო-პოლიტიკური ექსპანსია საქართველოში, გვ. 39-40; Н.Б. Берулава. Город Диоскурия – Себастополис и район Сухумской бухты в античную эпоху (VI в до н.э. – III в. н.э.). Тб., 2005, გვ. 97-98.

[3] **კ. ფიფია**. ანტონიუსის აღმოსავლური პოლიტიკა და კოლხეთი.– *საისტორიო ძიებანი, VII, თბ., 2004,* გვ. 203-210; **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 32-57.

ვად ამ საკითხის დიდი მნიშვნელობისა, იგი ისტორიოგრაფიაში სპეციალური შესწავლის საგანი არ გამხდარა. სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია, რომ არისტარქე იყო ადგილობრივი დიდებული ან ერთ-ერთი „სკეპტუხი", რომელიც მხარს უჭერდა პომპეუსს და კოლხეთის მმართველად დაინიშნა რომაელთათვის გაწეული სამსახურის გამო.[1] გამორიცხული არ არის, რომ იგი თავიდანვე არ ემორჩილებოდა მითრიდატე ევპატორს.[2] შესაძლოა, არისტარქე იყო იმ „სკეპტუხთა" შთამომავალიც, რომელიც ძვ. წ. 105-90 წწ. იარაღით უწევდა წინააღმდეგობას პონტოელთა დამკვიდრებას კოლხეთში. გამორიცხული არც ისაა, რომ არისტარქე ყოფილიყო პლუტარქეს მიერ მოხსენიებული„ზემო კოლხეთის" გამგებელი, რომელიც ადრევე დაუკავშირდა პომპეუსს.[3]

პომპეუსის მიერ პონტოსაგან კოლხეთის გამოყოფა და მისი ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად გამოცხადება, ჩვენი აზრით, შემდეგი მიზეზებით უნდა ყოფილიყო განპირობებული: ჯერ ერთი, აღმოსავლეთში გატარებული რეორგანიზაციის დროს, პომპეუსი დიდი ყურადღებას აქცევდა ადგილობრივი ლიდერების მიერ მისადმი გაწეულ დახმარებას და ერთგულების სანაცვლოდ გულუხვად ურიგებდა მათ საპატიო რწმუნებებსა და მაღალ ტიტულებს. ამ პოლიტიკით, პირადად მისადმი ერთგულების ნიშნით შერჩეული, უშუალოდ მისგან და არა რომის სახელმწიფოსაგან დავალებული პიროვნებების დაწინაურებით, პომპეუსმა ახალშემოერთებულ წინა აზიაში საფუძველი ჩაუყარა თავის ბატონობას, მოიპოვა იქ აურაცხელი სიმდიდრე, სამხედრო ძალები და დიდება, რაც აუცილებლად სჭირდებოდა მას მომავალში, რომში მოსალოდნელ პოლიტიკურ ბრძოლებში. პომპეუსის ამ პოლიტიკამ გაამართლა კიდეც და მოგვიანებით, კეისრის წინააღმდეგ გამართულ ომში, თითქმის მთელი აღმოსავლეთი მის მხარდამჭერად გამოვიდა.[4] კოლხეთის მმართველად დანიშნული არისტარქეც პომპეუსის კრეატურა და მისი აღმოსავლური პოლიტიკის ნაწილია. მანაც ძალაუფლება, როგორც ქვემოთ ვნახავთ, პომპეუსისათვის გაწეული დახმარებების სანაცვლოდ მიიღო. ახალორგანიზებული პონტოს პროვინციისაგან კოლხეთის გამოყოფა და მისი არისტარქესათვის გადაცემა კი, უდავოდ, ამ უკანასკნელის მაღალ ავტორიტეტზე, მის მიერ პომპეუსისათვის გაწეულ სერიოზულ დახმარებასა და მათ შორის პიროვნულადაც ახლო ურთიერთობებზე მეტყველებს. პომპეუსსა და არისტარქეს შორის მართლაც რომ განსაკუთრებული დამოკიდებულება არსებობდა, ამაზე, არისტარქეს სახელით ვერცხლის მონეტის მოჭრაც ადასტურებს. თუმცა, ჩვენი აზრით, იყო სხვა უფრო მნიშვნელოვანი და პოლიტიკურადაც უფრო პრაგმატული ფაქტორები, რითაც განპირობებული იყო

---

[1] Г.А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды, gv. 37; **Th. Reinach**. Mithridate Eupator roi de Pont. Paris, 1895, გვ. 458; **D. Magie.** Roman rule in Asia Minor, vol. I Princeton, New Jersey, 1950.

[2] **გ. ქავთარია**. არისტარქე – კოლხეთის მეფე. – *გაზ.„საქართველოს რესპუბლიკა," № 57, 27 მარტი, 2010; ელექტრ. ვერსია: http://burusi.wordpress.com/2010/03/30/grani-kavtaria/*

[3] ამ საკითხის შესახებ დაწვრ. იხ.: **კ. ფიფია**. გნეუს პომპეუსი და არისტარქე კოლხი, გვ. 267-280; **კ. ფიფია**. მანილიუსის კანონი და„ზემო კოლხეთი". – აფხაზეთის მოამბე, № 1 (8), 2012.

[4] იხ.: **კ. ფიფია**. გნეუს პომპეუსი და არისტარქე კოლხი, გვ. 280-290.

პომპეუსის მიერ არისტარქეს დინასტად აღზევება.

საყურადღებოა, რომ პომპეუსის კოლხეთში შესვლის დროისათვის საკმაოდ გააქტიურებული ჩანან ადგილობრივი,,სკეპტუხიები,'' რომელთა ცენტრიდანული ტენდენციები პონტოს სამეფოს შემადგენლობაში ყოფნისას შეზღუდული იყო. მითრიდატე VI-ის დამარცხების შემდეგ კი ამ ძალებისათვის ხელსაყრელი პოლიტიკური სიტუაცია შეიქმნა. როგორც ჩანს, ადგილობრივმა ,,სკეპტუხებმა'' ისარგებლეს მითრიდატეს გაქცევის შემდეგ დაწყებული არეულობით და კვლავ დამოუკიდებელი პოლიტიკის გატარება სცადეს. სწორედ ცალკეულ ,,სკეპ-ტუხებთან'' უწევდა პომპეუსს ურთიერთობა კოლხეთში ლაშქრობის დროს. ამას უნდა გულისხმობდეს დიონ კასიოსის (დაახლ. 153-235 წწ.) ცნობაც, რომ კოლხეთში პომპეუსი ,,მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით''.[1] პომპეუსს ,,სკეპტუხიათა'' ნაწილის დამორჩილება იარაღის ძალით მოუხდა. ფლორუსის ცნობით, რომაელებს არ დაემორჩილა და კავკასიონის მთებს შეა-ფარა თავი კოლხთა მმართველმა ორქოზმა,[2] რომელიც, რეალურად, როგორც ჩანს, ერთ-ერთი ,,სკეპტუხი'' უნდა ყოფილიყო. რომაელებს მტრულად უნდა დახვედროდა ,,სკეპტუხი'' ოლთაკეც, რომელსაც აპიანე პომპეუსის ტრიუმფში მონაწილე ტყვეთა შორის იხსენიებს[3].

ამდენად, პონტოს სამეფოს დაცემის შემდეგ, კოლხეთის ტერიტორიაზე არ-სებული ცალკეული ,,სკეპტუხიები'' კვლავ გააქტიურდნენ. ძნელი წარმოსადენია, რომ ,,სკეპტუხებს'', რომლებიც მითრიდატეს მმართველობის პერიოდში პონტოს სამეფოს მოხელეებს, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულების მეთაურებს წარმოადგენდნენ, მითრიდატეს საბოლოოდ განადგურების შემდეგაც ებრძოლათ პონტოს ინტერესებისათვის. მათი მხრიდან რომაელებისათვის წინააღმდეგობის გაწევას ერთადერთი ახსნა აქვს: როგორც ჩანს, მითრიდატეს მმართველობის ბოლოს, ,,სკეპტუხებმა'' დაიბრუნეს ის მდგომარეობა, რომელიც მათ პონტოს მიერ კოლხეთის დაპყრობამდე ჰქონდათ. მათ შეძლეს ძვ. წ. II საუკუნეში არ-სებული სტატუსის აღდგენა და ისინი პონტოს სამეფოს ჩვეულებრივი ადმინ-ისტრაციული ერთეულების მეთაურებიდან კვლავ დამოუკიდებელ მმართველებად იქცნენ. ასეთ შემთხვევაში კი გასაგებია, რომ ,,სკეპტუხები'' წინააღმდეგობას გაუწევდნენ რომაელებს, რომელთა კოლხეთში დამკვიდრებაც მათ უფლებებს საგრძნობლად შეზღუდავდა. ამასთან, კოლხეთი თავისი ბუნებრივ-გეოგრაფი-ული პირობების გამო არც თუ ისე ადვილად დასაპყრობი იყო. აქ ხანგრძლივი დროის განმავლობაში შესაძლებელი იყო თუნდაც მცირემასშტაბიანი, პარ-ტიზანული ბრძოლების წარმოება, რაც კარგად იცოდნენ რომაელებმაც. ჯერ კიდევ პომპეუსის წინამორბედი სარდალი, ლუკულუსი ამბობდა: ,,...იქვე ახლოს არის კავკასიონი უამრავი ხეობებით, რომელთაც სულ ადვილად შეუძლიათ

---

[1] **Dio Cass**., XXXVII, 3, 2; დიონ კასიოსის ცნობები საქართველოს შესახებ. *ბერძნული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და შესავალი და კომენტარები დაურთო* ***ნოდარ ლომოურმა***. თბ., 1966, გვ. 62.

[2] **Flor**., X, 28; В.В. Латышев. Известия древных писателей о Скифии и Кавказе. – ВДИ, *1949, №3,* გვ. 230-233.

[3] **App**., Mithr., 117; **Г.А. Меликишвили**. К истории древней Грузии. Тб., 1959. გვ. 330.

შეიფარონ და დაიცვან ბრძოლას თავარიდებული ათიათასობით მეფე“[1]. მიუხედავად ამისა, როგორც აღვნიშნეთ, პომპეუსმა სწრაფად დაძლია კოლხეთის ცალკეულ,,სკეპტუხთა“ წინააღმდეგობა, რაც, შესაძლოა, არისტარქეს დამსახურებაც იყო. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პომპეუსი კოლხეთში „მოქმედებდა ხან დარწმუნებით, ხან დაშინებით“[2]. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ თვისტომებთან მოლაპარაკებას სწორედ არისტარქე აწარმოებდა. რომის ლეგიონებით ზურგგამაგრებული არისტარქე, შესაძლოა, თანამემამულეებს არწმუნებდა იმაში, რომ მითრიდატე ევპატორის ხელისუფლების დამხობით კოლხები დამოუკიდებლობას მოიპოვებდნენ[3] და მან, როგორც ჩანს, მოახერხა ის, რომ კოლხებს მალევე შეეწყვიტათ წინააღმდეგობა. კოლხეთში დიდი გავლენის მქონე არისტარქე პომპეუსისათვის საჭირო იყო რომაელთა მიერ კოლხეთის დამორჩილების შემდეგაც. კოლხეთში ყოფნისას პომპეუსი დარწმუნდებოდა იმაში, რომ კოლხეთის დატოვება პონტოს პროვინციის ფარგლებში გააძლიერებდა ანტირომაულ ტენდენციებს, რაც მითრიდატეს ბოსფორში ყოფნის დროს რომაელებისათვის საშიში იყო. ამიტომ კოლხეთზე რომაელთა გავლენის შენარჩუნება ყველაზე რეალური იყო არა პონტოს ახალშექმნილი პროვინციის რომაული ადმინისტრაციის, არამედ ადგილობრივი, დიდი ავტორიტეტის მქონე არისტარქეს მეშვეობით, რომელიც ყოველთვის მოახერხებდა ადგილობრივ,,სკეპტუხებთან“ საერთო ენის გამონახვას. ამასთან, კოლხეთში არსებული ანტიმითრიდატული ძალებიც, რომლებიც ათწლეულების მანძილზე იბრძოდნენ პონტოელთა წინააღმდეგ და ახლა უკვე პომპეუსის მოკავშირედ გამოდიოდნენ, უდავოა, რომ ქვეყნისათვის მოითხოვდნენ იმაზე მაღალ სტატუსს, ვიდრე მას ჰქონდა მითრიდატული სამეფოს შემადგენლობაში ყოფნისას. გარდა ამისა, კოლხეთის პონტოს პროვინციისაგან გამოყოფა რომისთვისაც იყო ხელსაყრელი, რამდენადაც კოლხეთისათვის უფრო მაღალი სტატუსის მინიჭება აქ საბოლოოდ დაასამარებდა პრომითრიდატულ ტენდენციებს, რაც, როგორც ქვემოთ ვნახავთ, რომისათვის საკმაოდ მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

როგორც ზემოთ აღინიშნა, პომპეუსის მიერ საბოლოოდ გატეხილი მითრიდატეს ბოლო თავშესაფარი კოლხეთი იყო და სწორედ აქედან, სახმელეთო გზით, გადავიდა იგი ბოსფორში. მიუხედავად იმისა, რომ რომაელები აღმოსავლური ომების დასრულებისათვის აუცილებელ პირობად მითრიდატეს სიკვდილს მიიჩნევდნენ, პომპეუსმა უარი განაცხადა მის შემდგომ დევნასა და ბოსფორისაკენ გალაშქრებაზე. მართალია, აპიანეს ცნობით, პომპეუსი ამას იმით ამართლებდა, რომ მითრიდატე ,,ვერც პონტოს შემოუვლის და ვერც მეოტისის ტბას და გაძევებულს არც დიდი საქმეების წამოწყება შეეძლებაო,“[4] მაგრამ, ბოსფორისაკენ გალაშქრებაზე უარის თქმა სულ სხვა ფაქტორით იყო გამოწვეული. პომპეუსს არ სურდა გაერისკა და აღმოსავლეთში მოპოვებული

---

[1] **Plut.,** Pomp., 14.

[2] **Dio Cass**., XXXVII, 3, 2.

[3] **გ. ქავთარია**. არისტარქე – კოლხეთის მეფე.

[4] **App.,** Mithr., 103.

ბრწყინვალე გამარჯვებები, კოლხეთსა და ბოსფორს შორის არსებულ „ბარბაროსულ“ სივრცეში უცნობი მეომარი ტომების წინააღმდეგ უშედეგო კამპანიით დაეჩრდილა. თანაც, არავითარი გარანტია არ არსებობდა, რომ თუნდაც ბოსფორში ჩასვლის შემთხვევაშიც კი, იგი მითრიდატეს ხელში ჩაიგდებდა[1]. აი, ეს იყო რეალური მიზეზი იმისა, რომ პომპეუსმა შეწყვიტა მითრიდატეს დევნა და არა ის, რომ მითრიდატეს არ შეეძლო „პონტოს შემოვლა... და დიდი საქმეების წამოწყება“. ფაქტია, რომ მითრიდატემ ბოსფორში კვლავ მოახერხა ძალების მოკრება და ფართო ანტირომაული საქმიანობაც გააჩაღა. იგი იმასაც კი გეგმავდა, რომ კელტების მხარდაჭერით უშუალოდ იტალიაშიც კი შეჭრილიყო[2]. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ ძვ. წ. 65 წ. კოლხეთიდან ბოსფორისაკენ მიმავალმა დამარცხებულმა და დევნილმა მითრიდატემ, რომელიც „პატივცემული და საშიშარი იყო, ლტოლვილი და უბედურებაში მყოფიც კი“[3], ყოველგვარი ზედმეტი გართულების გარეშე „გადაიარა მეომარი და მის მიმართ მტრულად განწყობილი სკვითური ტომები, ზოგან დარწმუნებით და ზოგან ძალით,“[4] ფაქტია, რომ მას ბოსფორში ძალების მოკრების შემდეგ არ გაუჭირდებოდა ამავე გზის უკან გამოვლა, კოლხეთში შეჭრა და შესაბამისად, აზიაში რომაელთა წინააღმდეგ ახალი ომის წამოწყება, მით უმეტეს, მაშინ, როცა კოლხეთსა და ბოსფორს შორის მცხოვრები ტომების უმრავლესობა მან მოკავშირეებადაც გაიხადა.[5] ამდენად, გამორიცხული არ იყო, რომ მითრიდატეს კვლავ ეცადა კოლხეთის გავლით პონტოში შეჭრა. ბოსფორიდან კოლხეთში და შესაბამისად, მცირეაზიურ პროვინციებში ანტირომაული ძალების შემოჭრის საფრთხე რეალური რომ იყო, ეს მოგვიანებითაც დადასტურდა, როცა ძვ. წ. 48-47 წწ. მითრიდატე VI-ის შვილმა, ბოსფორის მეფე ფარნაკემ სწორედ კოლხეთის დაპყრობით დაიწყო პონტოს სამეფოს რესტავრაცია და მცირე აზიაშიც ილაშქრა.[6]

ამრიგად, სანამ მითრიდატე VI ცოცხალი იყო და ბოსფორში მეფობდა, არავითარი გარანტია არ არსებობდა იმისა, რომ იგი კვლავ არ ეცდებოდა კოლხეთის ხელში ჩაგდებასა და აქედან მცირე აზიაში ახალი ომის გაჩაღებას. კოლხეთში პომპეუსი დიდხანს არ დარჩენილა. მას ქვეყნის რეორგანიზაციისათვის არც დრო ჰქონდა და არც საშუალება[7]. მას აქ რომაული გარნიზონებიც არ დაუტოვებია[8]. ამიტომ, ამისოში მყოფმა პომპეუსმა, რომელსაც კარგად ესმოდა კოლხეთის სტრატეგიული მნიშვნელობა, მითრიდატეს აზიისაკენ წამოსვლის შემთხვევაში მისი, როგორც უპირველესი პლაცდარმის ფუნქცია, ამ რეგიონის უკეთ დაცვის მიზნით, იგი გამოყო ახალშექმნილი პონტოს პროვინციისაგან

---

[1] Т.Моммзен. История Рима.Т., 3, кн.5, М., 2002, გვ. 125.

[2] **App.,** Mithr., 102, 109.

[3] **App.,** Mithr., 102.

[4] **App.,** Mithr., 102.

[5] **App.,** Mithr., 102.

[6] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 30-31.

[7] Г.А. Лордкипанидзе. К истории древней Колхиды, გვ. 37.

[8] **კ. ფიფია**. რომი და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი I-II სს., გვ. 58-60.

და ერთგულ თანამებრძოლს – არისტარქეს ჩააბარა. ამ გადაწყვეტილებით პომპეუსმა ჩრდილოეთ შავიზღვისპირეთის ანტირომაულ ძალებსა და მცირე აზიაში რომაულ პროვინციებს შორის ფაქტობრივად შექმნა ბუფერული სივრცე, რომელსაც ბოსფორიდან რომაული სამფლობელოებისაკენ ექსპანსიის დაწ-ყების შემთხვევაში, თავის თავზე უნდა მიეღო პირველი დარტყმა და დაეცვა უშუალოდ რესპუბლიკის ტერიტორიები, მეოტიდა-კოლხეთის მაგისტრალით ბარბაროსთა მოულოდნელ შემოჭრისაგან. ასე რომ, კოლხეთის ასეთი გეო-გრაფიული მნიშვნელობა უნდა ყოფილიყო პომპეუსის მიერ მისი პონტოს ტერი-ტორიიდან გამოყოფისა და ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად ფორმირების ერთ-ერთი მიზეზი.

Kakhaber Pipia
Sokumi state University

THE ISSUE OF SEPARATION OF COLCHIS FROM THE KINGDOM OF PONTUS

For the first time in historiography, the issue of separation of Colchis by Pompeius as a separate political unit has been specifically studied in the present paper. The separation of Colchis from the Pontus province by Pompeius was determined by the geostrategic location of Colchis. With the decision in question, Pompeius created a buffer zone between the anti Roman force in the Northern Black Sea region and the Roman provinces of Asia Minor. The zone was to protect the territories of the Republic in case of an expansion from Bosphorus in the direction of Roman territories.

ზაზა ფურფუმია
ისტორიის დოქტორი,

მუსტაფა ბუტბაი და მისი „მოგონებები კავკასიაზე“

1990 წელს ათათურქის კულტურის, ენისა და ისტორიის უმაღლესი დაწესებულების თურქეთის ისტორიის განყოფილებამ ქ. ანკარაში გამოსცა მუსტაფა ბუტბაის (**Mustafa Butbay**) „მოგონებები კავკასიაზე“. მუსტაფა ბუტბაის ნაშრომი ოსმალურიდან თანამედროვე თურქულ ენაზე გადმოიტანა და გამოსაცემად მოამზადა აჰმედ ჯევდეთ ჯანბულატმა (**Ahmet Cevdet Canbulat**).

როგორც შესავალ წერილში – „როგორ იხილა დღის სინათლე ამ წიგნმა“, აჰმედ ჯევდეთ ჯანბულატი აღნიშნავს, 1952 წ. მისმა მოსწავლემ, ორჰან გუმუშმა, მოუტანა მას არაბული ხელნაწერით ოსმალურ ენაზე შევსებული სამი რვეული, რომელიც ატარებდა საერთო სათაურს „მოგონებები კავკასიაზე“. აჰმედ ჯევდეთ ჯანბულატმა მაშინ, პედაგოგური საქმიანობით დაკავებულმა, ვერ მოიცალა რვეულების შესასწავლად და მხოლოდ 34 წლის შემდეგ მიუბრუნდა მათი ოსმალური ტექსტის გაშიფრვას. „მთლიანად წავიკითხე რვეულები და აღმოვაჩინე, რომ ისინი კავკასიის ისტორიისათვის აქამდე უცნობ, უაღრესად მნიშვნელოვან ცნობებს შეიცავდნენ. მუსტაფა ბუტბაიმ თავისი დღიურებისა და ჩანაწერების წიგნად გამოცემა ვერ მოასწრო“[1] (აქ და შემდეგ თარგმანი ჩვენია, – ზ.ფ.).

მუსტაფა ბუტბაის მოგზაურობის დღიურები იწყება 1920 წ. 2 თებერვალს, სტამბოლიდან კავკასიაში გამგზავრებით და მთავრდება 1920 წ. 25 აგვისტოს ქ. სოხუმში ჩასვლით. ჩანაწერების პირველი რვეული იწყება მუსტაფა ბუტბაის მცირე განმარტებით, საიდანაც ირკვევა, რომ ავტორმა ჩანაწერები შექმნა კავკასიაში მოგზაურობისას წარმოებული დღიურების გამოყენებით, ამ მოგზაურობიდან 13 წლის შემდეგ.[2] ამრიგად, მუსტაფა ბუტბაის „მოგონებები კავკასიაზე“ 1933 წელს დაიწერა.

მუსტაფა ბუტბაი (აფხაზური გვარით ბუტბა) ეკუთვნოდა ოსმალეთის იმპერიაში აფხაზეთიდან გადასახლებული აფხაზი მუჰაჯირების ოჯახს. ბუტბაის მშობლები აფხაზეთიდან ჯერ ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფ ბალკანეთის ტერიტორიაზე, პლევნეში (თანამედროვე ბულგარეთი, პლევნის ოლქი, – ზ.ფ.) დასახლებულან, საიდანაც შემდეგ გადმოსულან ანატოლიაში. მუსტაფა ბუტბაი ანატოლიაში, ქ. ესკიშეჰირის მახლობლად სოფელ აღაფინარში დაიბადა. სასკოლო განათლება მიიღო ქ. ადაფაზარში.[3] ბუტბაის დღიურებიდან ირკვევა, რომ

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları. Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu. Türk Tarih Kurumu Yayınları XXIV. Dizi - Sa. 4. Ankara,** 1990, გვ. VII.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 1.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 112-113; **M. Aydın Turan. Osmanlı Dönemi Kuzey Kafkasya Diasporası Tarihinden: Şimali Kafkas Cemiyeti.** ჟურნ.: **Tarih ve Toplum**. **İstanbul, 1998, No:**172, გვ. 50, 59.

ის 1905 წლიდან ეწეოდა მასწავლებლობას.[1]

ბუტბაი ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას სტამბოლის გალათასარაისა და დარუშშაფაკას ლიცეუმებში, სადაც ლიტერატურას ასწავლიდა. 1919წ. სტამბოლის ბეშიკთაშის უბანში მდებარე „ჩერქეზ ქალთა სასწავლებლის დირექტორად მუშაობდა, რომელიც დახმარებას უწევდა რუსეთში მიმდინარე სამოქალაქო ომისას, კავკასიიდან სტამბოლში გადმოხვეწილ დევნილებს. მათ სასწავლებლის შენობაში თავშესაფრად ოთახები ჰქონდათ გამოყოფილი.[2]

1919წ. მუსტაფა ბუტბაიმ სტამბოლში შეადგინა ლათინური დამწერლობის საფუძველზე აფხაზური ანბანი, რომელიც მისივე თქმით, მხოლოდ საცდელ ხასიათს ატარებდა და ექსპერიმენტის დონეზე დარჩა, რადგან ანბანის დახვეწა და გამოყენება პრაქტიკაში არ მომხდარა. ანბანი მუსტაფა ბუტბაიმ **Abıtr M**. ფსევდონიმით, მცირე ტირაჟით გამოსცა სტამბოლში 1919წ.[3]

1920წ. სექტემბერში, კავკასიიდან სტამბოლში დაბრუნების შემდეგ, ბუტბაიმ განაგრძო პედაგოგიური და პუბლიცისტური საქმიანობა. ცნობილია „მისტენბაის“ ფსევდონიმით (**Mistenbay**) გამოქვეყნებული მისი კავკასიაში მოგზაურობის ერთი ეპიზოდი, რომელიც 1937წ. სტამბოლში დაიბეჭდა.[4]

1927 წ. მუსტაფა ბუტბაიმ დახმარება გაუწია სოხუმიდან ჩამოსულ ვიქტორ კუკბას, რომელიც სამეცნიერო მივლინებით იმყოფებოდა თურქეთის რესპუბლიკაში აფხაზი მუჰაჯირების მეტყველებისა და კულტურის შესასწავლად.[5]

მუსტაფა ბუტბაი 1946 წ. სტამბოლში გარდაიცვალა. წიგნის გამომცემელი არ მიუთითებს ბუტბაის დაბადების თარიღს, თუმცა ჩვენი ვარაუდით, ბუტბაი 1878წ. უნდა იყოს დაბადებული.[6]

კავკასიაში მუსტაფა ბუტბაის მოგზაურობის მიზეზებისა და დანიშნულების გასარკვევად, აუცილებელია მიმოვიხილოთ პირველი მსოფლიო ომისა და უშუალოდ მის მომდევნო პერიოდში, ოსმალეთში შექმნილი საზოგადოებრივ-პოლიტიკური ვითარება, აგრეთვე შევეხოთ სტამბოლში მოქმედი პოლიტიკურად აქტიური, ჩრდილოკავკასიური დიასპორის ორგანიზაციების საქმიანობას.

ოსმალეთის ხელისუფლების სათავეში მყოფი, ევროპაში „ახალგაზრდა თურქებად“ წოდებული, „ერთობისა და პროგრესის საზოგადოების“ (**İttihat ve Terakki Cemiyeti**) ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ გერმანიასთან კავშირში განახორციელებდნენ თავიანთ იდეალს, ანუ რუსეთის იმპერიას მოწყვეტდნენ კავკასიას, ყირიმს, ვოლგისპირეთს, შუა აზიას და ამ ტერიტორიებზე შექმნიდნენ თურქთა დიდ სახელმწიფოს - თურანს.

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 118.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 2-3.

[3] **Abıtr M. Çerkes-Abhaz Elifbası-Cerqes Eelfıbe Apsıfsele. Ahmet İhsan ve Şürekası Matbaası. İstanbul, 1335 (1919); M. Aydın Turan. Osmanlı Dönemi Kuzey Kafkasya...,** გვ. 59.

[4] **Ш.Д.Инал-Ипа. Зарубежные Абхазы. Сухуми.** 1990, გვ. 19-20.

[5] **M. Aydın Turan. Osmanlı Dönemi Kuzey Kafkasya..,** გვ. 59. 1920 წ. თბილისში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის მიერ მუსტაფა ბოტოვზე (ბუტბაი) გაცემულ პასპორტზე, მის ასაკად აღნიშნულია 42 წელი. ამის შესახებ იხილეთ ქვემოთ.

[6] **მ.სვანიძე**. თურქეთის ისტორია. თბ., 2007, გვ. 352.

პირველი მსოფლიო ომის წლებში, ოსმალეთის იმპერიის საგარეო პოლიტიკური მიმართულებიდან გამომდინარე, ახალგაზრდა თურქების სამხედრო-პოლიტიკური ჯგუფის (ითთიჰატისტების) ინიციატივით, სტამბოლში შეიქმნა ჩრდილოკავკასიელების, ძირითადად ჩერქეზ და აფხაზ მუჰაჯირთაგან შემდგარი ორგანიზაციები, რომელთა მეშვეობით ოსმალეთი კოორდინირებას უწევდა აფხაზეთისა და ჩრდილოეთკავკასიის პროთურქულად განწყობილ ძალებს. ენვერ ფაშას ინსტრუქციით, ოსმალეთის იმპერიის ჩერქეზული წარმოშობის დიდმოხელეთა და სამხედროთაგან 1918წ. დასაწყისში შეიქმნა „ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური საზოგადოება", რომელიც მიზნად ისახავდა ოსმალეთის სულთნის დინასტიის წარმომადგენლის ხელისუფლების ქვეშ ჩრდილოეთ კავკასიის გაერთიანებას ერთ ისლამურ სახელმწიფოში.[1]

„ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური საზოგადოება" მონაწილეობას იღებდა კავკასიასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. საზოგადოების მხარდაჭერით და აბაზური წარმოშობის ოსმალეთის არმიის ოფიცრის რაუფ ორბაის აქტიური მონაწილეობით, ოსმალეთის ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები გამართეს ჩრდილოეთ კავკასიის წარმომადგენლებმა აბდულმეჯიდ ჩერმოევმა და ჰაიდარ ბამატმა. 1918წ. 11 მაისს ოსმალებისაგან ოკუპირებულ ბათუმში ჩერმოევმა და ბამატმა „ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დამოუკიდებლობა" გამოაცხადეს.[2] ოსმალეთის სამხედრო მინისტრის ენვერ ფაშას მხარდაჭერით, 8 ივნისს ბათუმში ოსმალეთის იმპერიასა და ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკას შორის ხელშეკრულებაც დაიდო, რომლის ძალით, ოსმალეთი ვალდებულებას იღებდა შესაბამისი თხოვნის შემთხვევაში, სამხედრო ძალით დახმარებოდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკას.[3]

ენვერ ფაშა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობას, რომლის ჩამოყალიბებაც სურდა ბუფერულ, ისლამურ სახელმწიფოდ რუსეთის წინააღმდეგ. ნვერ ფაშამ ბათუმიდან 1918წ. ივნისში სტამბოლში თან წამოიყვანა ჩრდილოეთკავკასიელი დელეგატები და უზრუნველყო მათი შეხვედრები ხელისუფლების, ასევე პრესისა და საზოგადოებრიობის წარმომადგენლებთან, ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობის პროპაგანდირებისა და ოსმალეთის მხარდაჭერის დემონსტრირებისათვის. დელეგაციას მასპინძლობდა ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური საზოგადოება", მათ შორის მუსტაფა ბუტბაი.[4]

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 2.

[2] **Ahmet Hazer Hılal. Kuzey Kafkasya (Hürriyet ve İstiklal Davası). Ankara. 1961**, გვ. 60-61.

[3] **Ahmet Hazer Hılal. Kuzey Kafkasya...,** გვ. 73.

[4] **Akdes Nimet Kurat. Türkiye ve Rusya. AÜDTCF Yay., Ankara,** 1970, გვ. 483-484; **Osman Çelik. Bağımsız Kuzey Kafkasya Cumhuriyeti.** ჟურნ.: **Birleşik Kafkasya Dergisi, Eskişehir. Yıl: 1, Sayı:4; Pşimaho Kosok. Yeşil Mayıs.** ჟურნ.: **Birleşik Kafkasya Dergisi. Mayıs-Haziran-Temmuz. 1966. yıl:1, sayı:4; Ahmet Hazer Hızal. Kuzey Kafkasya İstiklali ve Türkiye Matbuatı** (1918). ჟურნ.: **Birleşik Kafkasya Dergisi.** 1965, **yıl:1, Mayıs-Haziran-Temmuz sayı:4** გვ.**42; Ahmet hazer Hızal. Kuzey Kafkasya (Hürriyet ve istiklal davası)..,** გვ. 70-71; **Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917–1918). Горская Республика (1918–1920). Документы и материалы. Махачкала,** 1994, გვ. 121.

დელეგაციის წევრი, ჰაიდარ ბამატი, სტამბოლის გაზეთ **Tasviri Efkar**-ისთვის 1918წ. 26 ივნისს მიცემულ ინტერვიუში (გამოქვეყნდა 27 ივნისს) აღნიშნავდა, რომ აფხაზების მთავარი ქალაქი სოხუმკალე ჩრდილოეთ კავკასიაში შედის, აფხაზები ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობას უჭერენ მხარს. „აფხაზები ერთმნიშვნელოვნად ჩვენს გვერდით არიან“ - განაცხადა ჰაიდარ ბამატმა.[1]

ამ ინტერვიუს პროპაგანდისტული დანიშნულება გასაგები ხდება 27 ივნისს აფხაზეთში, მდ. კოდორის შესართავთან ოსმალური დესანტის გადმოსხმასთან დაკავშირებით. დესანტის შემადგენლობაში თურქეთში მცხოვრები აფხაზი მუჰაჯირებიც შედიოდნენ, ხოლო დესანტის სამხედრო ოპერაცია ენვერ ფაშასთან იყო შეთანხმებული, მიზნად ისახავდა აფხაზეთის ჩამოშორებას საქართველოსგან და მის გაერთიანებას ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკასთან.[2]

მუსტაფა ბუტბაი სტამბოლში მოქმედი „ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოების“ შესახებ წერს: „პირველი მსოფლიო ომის განმავლობაში, რუსეთის დაშლის ნიშნები გამოჩნდა. თურქეთის ხელისუფლება, აღმოსავლეთში განცდილი წარუმატებლობის ანაზღაურებას შავი ზღვის რეგიონში ცდილობდა. ამიტომ, გადაწყვიტა ესარგებლა რუსეთში შექმნილი მდგომარეობით და ბათუმის ოლქის დაპყრობით ტერიტორიები გაეფართოებინა. თურქეთის ხელისუფლებამ, თავისი პოლიტიკისთვის მიზანშეწონილად ჩათვალა მოკლე დროში, ჩრდილოეთ კავკასიის ისლამური სახელმწიფოს დაარსება, რომელიც რუსეთსა და თურქეთს შორის კედლად და დაბრკოლებად იქცეოდა... სწორედ ჩამოთვლილი მიზნებისთვის დაარსდა „ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური საზოგადოება“, რომელიც ითთიჰათისტების მთავრობისაგან მატერიალურ დახმარებას იღებდა. განიარაღების (*1918წ. მუდროსის კაპიტულაციის აქტი, – ზ.წ.*) შემდეგ მან სახელი შეიცვალა ჩრდილოეთ კავკასიელ მუჰაჯირთა საქველმოქმედო საზოგადოება ეწოდა.“[3]

მუსტაფა ბუტბაი, საზოგადოების საქმიანობის შეზღუდვას მუდროსის კაპიტულაციას უკავშირებს. ენვერ ფაშა და ითთიჰატისტების სხვა ლიდერები ემიგრაციაში წავიდნენ, სულთნის ახალი მთავრობა კი სტამბოლში განლაგებულ ანტანტის სარდლობის კონტროლქვეშ იმყოფებოდა. ინგლისელებმა საეჭვოდ მიიჩნიეს „ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოება“, როგორც ენვერ ფაშას მხარდამჭერი ორგანიზაცია და მისი საქმიანობის აღკვეთა გადაწყვიტეს.

„...ინგლისელი ოფიცერი და პოლიციელი მოვიდნენ საზოგადოების ბეიოღლუში მდებარე ცენტრში, დაგვარბიეს, დაგვილუქეს სალარო, ამოიღეს საბუთები და დოკუმენტაცია, ჩვენ კი გარეთ გაგვაძევეს“.[4]

---

[1] **Tasviri Efkar gazetesi (27 Haziran 1918),** წგნ.: **Ahmet hazer Hızal. Kuzey Kafkasya..,** გვ. 71.

[2] იხ.: **ზ. წურწუმია**. ოსმალური დესანტი აფხაზეთში 1918 წელს. – სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები. ჰუმანიტარულ და სოციალურ-პოლიტიკურ მეცნიერებათა სერია. ტ. V. 2008. გვ. 564-576.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatiraları..,** გვ. 2. ენვერ ფაშა (1881-1922) - ოსმალეთის იმპერიის სამხედრო და სახელმწიფო მოღვაწე„„ერთობისა და პროგრესის საზოგადოების“ ლიდერი. პირველი მსოფლიო ომის წლებში ეკავა სამხედრო მინისტრის თანამდებობა.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 2.

მუსტაფა ბუტბაი საზოგადოების დარბევის თარიღად 1919წ. 21 ივნისს ასახელებს. ამის შემდეგაც, საზოგადოების წევრები ახერხებდნენ თავმოყრას სტამბოლში და ორგანიზაციული სტრუქტურაც გარკვეულწილად შეინარჩუნეს.

ბუტბაის ჩანაწერების პირველი რვეულის ერთ-ერთ ქვესათაურია „ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციები", სადაც მოცემულია ცნობა ბუტბაის შეხვედრაზე კავკასიიდან ჩამოსულ დელეგაციასთან სტამბოლში, რომლის შემადგენლობაში ავტორი ასახელებს ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობის თავმჯდომარე აბდულმეჯიდ ჩერმოევს, საგარეო საქმეთა მინისტრ ჰაიდარ ბამატს, ალი ჰან კანტემიროვს და აფხაზეთიდან სიმონ ბასარიას. ბუტბაის თქმით „სიმონ ბასარია აფხაზეთის პარლამენტისა და ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატია და ამავე დროს დელეგაციების ვექილი სტამბოლში. რუსეთში განათლებამიღებული, ახალგაზრდა პატრიოტია".[1]

ბუტბაის ამ შეხვედრის ზუსტი თარიღი მითითებული არა აქვს. როგორც აღინიშნა, ჩრდილოკავკასიელთა დელეგაცია სტამბოლში 1918წ. ივნისის პირველ ნახევარში ენვერ ფაშამ ჩამოიყვანა. 1918წ. 20 მაისიდან ს. ბასარია, აფხაზთა სახალხო საბჭოს დელეგაციის შემადგენლობაში, ესწრება ოსმალთაგან ოკუპირებულ ბათუმში მოლაპარაკებებს ოსმალეთსა და ამიერკავკასიის სეიმს შორის.[2] ბათუმიდან ენვერ ფაშასთან ერთად წავიდა ჩრდილოეთკავკასიის დელეგაცია რომლის შემადგენლობაში ბასარია არ ყოფილა. ბუტბაის ბასარიასთან შეხვედრა აღდგენილი აქვს ჩანაწერების შექმნისას, ანუ 1933წ.[3] მან ბასარიასთან შეხვედრა შეცდომით დაუკავშირა ჩრდილოეთკავკასიელთა დელეგაციის ჩამოსვლას.

1918წ. 28 ივლისს, აფხაზთა სახალხო საბჭოს დადგენილების საფუძველზე, საბჭოს წევრებს, ს. ბასარიასა და გ. ტუმანოვს რწმუნებები მიენიჭათ, რომ შესულიყვნენ, როგორც მრჩევლები, სტამბოლის კონფერენციაზე ჩასულ საქართველოს დიპლომატიურ მისიაში, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობისა და იმ გარემოებათა გამორკვევისათვის, რომელიც შესაძლებელს გახდიდა ოსმალეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ აფხაზთა სამშობლოში დაბრუნებას.[4]

კონფერენციაზე ოსმალეთისა და კავკასიის სახელმწიფოების ურთიერთობები უნდა განხილულიყო, თუმცა ის ოფიციალურად არც გახსნილა და ამიერკავკასიისა და ჩრდილოეთ კავკასიის დელეგაციების წარმომადგენლები ივნისიდან ოქტომბრამდე სტამბოლში მისი მუშაობის დაწყებას ამაოდ ელოდნენ.[5]

აფხაზეთის დელეგატი გ. ტუმანოვი შეთქმულების ბრალდებით საქართ-

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 6.

[2] **А.Чочуа. Избранные произведения. Тб., 1987**, გვ. **68-69; Г.А. Дзидзария. Очерки истории Абхазии 1910-1921гг. Тб.,** 1963, გვ. 206.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.1.

[4] აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური რეგიონების სტატუსი საქართველოს შემადგენლობაში (1917-1988). პოლიტიკურ-სამართლებრივი აქტების კრებული. შემდგენელი და მთავარი რედაქტორი *თ. დიასამიძე.* თბ., 2004, გვ. 22.

[5] **ზ. ავალიშვილი**. საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორის პოლიტიკაში. თბ., 2011, გვ. 125, 140.

ველოს მთავრობამ დააპატიმრა 1918წ. 10 ოქტომბერს. იგივე ბედი ელოდა ს. ბასარიას, რომელმაც მისივე თქმით, „გაასწრო კონსტანტინოპოლში“. 1919წ. იანვარში ის ბათუმშია, საიდანაც შემდეგ ტუაფსეში გადადის.[1] ამრიგად, სტამბოლში ბასარია ბუტბაის 1918წ. ოქტომბერ-დეკემბერში უნდა შეხვედროდა.

მუსტაფა ბუტბაი, სივასის კონგრესის მუშაობის პერიოდში (1919წ. სექტემბერი - 1920წ. აპრილი) გაემგზავრა კავკასიაში. სივასის კონგრესი მნიშვნელოვანი ეტაპია თურქი ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელ ბრძოლაში (1919-1922წწ.), რომელიც მოჰყვა გერმანიის მოკავშირე ოსმალეთის იმპერიის დამარცხებას პირველ მსოფლიო ომში. 1918წ. 30 ოქტობერს მუდროსის აქტით ოსმალეთმა კაპიტულაცია გამოაცხადა ანტანტის წინაშე. ნოემბერში ანტანტის ჯარებმა დაიკავეს სტამბოლი, დაიწყო ანატოლიის ოკუპაცია. სწორედ ამ უმძიმეს პირობებში გაჩაღდა თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლა ოკუპანტების წინააღმდეგ რომელსაც სათავეში მუსტაფა ქემალ ფაშა (ათათურქი) ჩაუდგა.

1919წ. 19 მაისს მუსტაფა ქემალი ჩავიდა ქ. სამსუნში, როგორც ოსმალეთის მეცხრე არმიის ინსპექტორი, სინამდვილეში კი შეუდგა განმათავისუფლებელი მოძრაობის ორგანიზებას. მუსტაფა ქემალის მეთაურობით ქ. სივასში 1919წ. სექტემბერში მოწვეულ იქნა თურქეთის კონგრესი. კონგრესის წარმომადგენლობითმა კომიტეტმა მუსტაფა ქემალის მეთაურობით, 1920წ. 19 მარტს მიიღო გადაწყვეტილება ინგლისელების მიერ სტამბოლში დარბეული პარლამენტის სანაცვლოდ ახალი პარლამენტის - თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევის შესახებ და გაწყვიტა კავშირი ოკუპანტების კონტროლის ქვეშ მყოფ სულთნის მთავრობასთან. 1920წ. 23 აპრილს ანკარაში გაიხსნა თურქეთის დიდი ეროვნული კრება, თავმჯდომარედ აირჩიეს მუსტაფა ქემალ ფაშა. თურქეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ გამოაცხადა დამოუკიდებლობა და ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა. კრება გამოცხადდა თურქეთის ერთადერთ კანონიერ ხელისუფლებად.[2]

სივასის კონგრესის პერიოდში თურქეთში საქართველოდან ჩავიდა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი აბუბაქარ პლიევი. 1919წ. მარტში გენერალ დენიკინის სამხედრო ნაწილებმა დაიკავეს ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის ტერიტორია და მისი მთავრობა და პარლამენტის წევრების ნაწილი იძულებული გახდა თბილისში გადმოსულიყო და აქ გაეგრძელებინა თავისი საქმიანობა. ჩრდილოეთკავკასიის რესპუბლიკის პარლამენტის წევრი ინგუშეთიდან აბუბაქარ პლიევი გამოირჩეოდა პოლიტიკური აქტიურობით, აქვეყნდებდა სტატიებს თბილისის გაზეთებში ინგუშეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში დენიკინთან და ბოლშევიკებთან ბრძოლაზე.[3]

მუსტაფა ბუტბაი აღნიშნავს, რომ კავკასიიდან სტამბოლში ჩამოსული აბუბაქარ პლიევი, ჯერ სივასში ჩავიდა, სადაც მუსტაფა ქემალს შეხვდა:

[1] **С.Басария. Абхазия в географическом, этнографическом и экономическом отношении. Сухуми,**1923, გვ. 93; **Г. Дзидзария. Симон Басария. Сухуми, 1984,** გვ.16.

[2] **მ.სვანიძე**. თურქეთის ისტორია..., გვ. 379-382.

[3] **Ваха Кодзоев. Путешествие в прошлое продолжается.** გაზ.: **Ангушт» № 21, 03.2002.**

„აბუბაქარ პლიევი სტამბოლში ჩრდილოეთ კავკასიის დელეგატის სტატუსით ჩამოვიდა. სტამბოლში ჩამოსვლამდე, ის სივასში ჩავიდა, სადაც მუსტაფა ქემალ ფაშასთან ჰქონდა შეხვედრა, პლიევმა მუსტაფა ქემალს მისი კავკასიური პოლიტიკის შესახებ ჰკითხა და შესაბამისი პასუხიც მიიღო. თურქეთიდან კავკასიაში დელეგაციის გაგზავნა ამ შეხვედრაზე გადაწყვიტეს. ეს დელეგაცია თბილისში მყოფი ჩრდილოეთ კავკასიის დროებითი მთავრობის განკარგულებაში გადავიდოდა და მისგან მიღებული დირექტივებით ადგილზე იმოქმედებდა“.[1]

სივასიდან სტამბოლში აბუბაქარ პლიევს მაიორი ვასიფ ბეი ჩამოჰყვა, რომელმაც „ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური საზოგადოების“ წევრებს განუცხადა, რომ სივასის კომიტეტმა მიზანშეწონილად ჩათვალა დელეგაციის გამგზავრება კავკასიაში. შედგა დელეგაციის წევრების სია, მათი დაფინანსება „ჩრდილოეთ კავკასიის პოლიტიკური საზოგადოების“ შემორჩენილი სახსრებით მოხდა. გადაწყდა, რომ დელეგაცია ორ ჯგუფად გაემგზავრებოდა, მეორე ჯგუფი (პოლკოვნიკ ისმაილ ბერკოკის ხელმძღვანელობით) ადრე წასულებს თბილისში უნდა შეერთებოდა. თბილისშივე ელოდებოდა მათ აზიზ მეკერი, რომელსაც დელეგაციისთვის დაწვრილებითი ინსტრუქციები უნდა მიეცა. მუსტაფა ბუტბაისთან ერთად გაემგზავრა აბუბაქარ პლიევი.[2]

ისმაილ ბერკოკმა და აზიზ მეკერმა, რომლებიც დელეგაციის ხელმძღვანელები და კავკასიაში მისი საქმიანობის წარმმართველები იყვნენ, ოსმალეთში დაბრუნების შემდეგ, 1920 წ. 31 ივლისს, ოსმალეთის არმიის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალ ქიაზიმ ყარაბექირ ფაშას, გაუგზავნეს დეპეშა, სადაც აღნიშნულია: „დენიკინთან ომის პერიოდში, ჩრდილოეთ კავკასიის ეროვნული თავდაცვის საბჭოსგან გამოგზავნილი დელეგატების თხოვნის შესაბამისად, მათი აღმატებულებების, სამხედრო მინისტრების ჯემალ ფაშასა და ფევზი ფაშას თანხმობითა და ხელშეწყობით, „ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებამ“ სამხედრო-პოლიტიკური დელეგაცია გააგზავნა ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩვენ ამ დელეგაციის შემადგენლობაში ვიყავით. ჩვენი საქმიანობის ძირითადი მიმართულება იყო ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობა ოსმალეთის ხელისუფლების ინტერესებთან შესაბამისობაში მოგვეყვანა“.[3]

მუსტაფა ბუტბაი აღნიშნავს, რომ გალათასარაის ლიცეუმში, სადაც ის მასწავლებლობდა, სტამბოლის გარნიზონის სარდალი ალი საიდ ფაშა მოვიდა და პირადად თხოვა ლიცეუმის დირექტორს ბუტბაისთვის კავკასიაში მოგზაურობის გამო ორი თვის შვებულება მიეცა.[4]

ზოგიერთი ცნობით, სივასში შეხვედრაზე, აბუბაქარ პლიევმა მუსტაფა ქემალს თავისუფლებისათვის მებრძოლ კავკასიელებთან ფედერაციული კავშირის

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.7.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..**, გვ.7-8.

[3] **Kazım Karabekir. İstiklal Harbimiz. İstanbul,** 1960, გვ. 227; **Aydın Turan. Şimali Kafkas Cemiyeti. http://www.kafkas.org.tr/tarih/Simalikafkascemiyeti.html.** ჯემალ ფაშა (მერსინლი) და ფევზი ფაშა (ფევზი ჩაკმაკი) - ოსმალეთის სამხედრო მინისტრები 1919-1920 წლებში.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatiralari..,** გვ. 7. ალი საიდ აკბაიტოგანი (1872-1950) - ჩერქეზული წარმოშობის ოსმალეთის იმპერიისა და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო მოღვაწე.

დამყარება შესთავაზა, რაზედაც პასუხად მიიღო, რომ ეს საკითხი შესაძლებელია განხილულ იქნეს ჩრდილოეთ კავკასიელების მიერ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. ახლა კი, ინგლისელებისა და ფრანგების წინააღმდეგ ბრძოლაში, მუსტაფა ქემალს და მის ხალხს ბოლშევიკებისგან დახმარება სჭირდება, ამიტომაც არ მიიღებენ მონაწილეობას ისეთ ქმედებებში, რომელიც მოსკოვის განაწყენებას გამოიწვევს. ამასთან ერთად, მუსტაფა ქემალმა პლიევთან საუბარში აღნიშნა, რომ ოსმალეთის არმიასა და საზოგადო მოღვაწეებს შორის მრავლად არიან კავკასიური წარმოშობის გავლენიანი პირები, რომელთაც შეუძლიათ დახმარების გაწევა ჩრდილოეთ კავკასიისთვის. როგორც ჩანს, სტამბოლში ამ პირებთან კავშირის დამყარებაში პლიევისთვის დახმარება ათათურქის წარმომადგენელ მაიორ ვასიფ-ბეის უნდა გაეწია.[1]

მუსტაფა ქემალის მეთაურობით მიმდინარე თურქეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაზე გავლენას ახდენდა ბოლშევიკური რუსეთის წარმატებები ანტანტის წინააღმდეგ, რომელსაც თურქეთის ტერიტორია ჰქონდა ოკუპირებული. 1919წ. ოქტომბერში თურქეთიდან რუსეთში საბჭოთა ხელისუფლებასთან კავშირის დამყარების მიზნით გაემგზავრა ჰალილ ფაშა, რომელმაც ბოლშევიკ ლიდერებთან განაცხადა, რომ უახლოეს ხანებში ანატოლიაში შეიქმნებოდა ეროვნული მთავრობა, რომელიც მზად იქნებოდა საბჭოთა რუსეთთან „მეგობრობისა და კავშირის შესახებ“ ხელშეკრულების ხელმოსაწერად. 1920წ. 26 აპრილს, ანკარაში თურქეთის დიდი ეროვნული კრების მოწვევიდან მესამე დღეს, მუსტაფა ქემალმა ოფიციალური წერილი გაუგზავნა ლენინს, რომელშიც გამოთქვამდა სურვილს რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობების დამყარებაზე, ასევე სთხოვდა საბჭოთა რუსეთს, აღმოეჩინა დახმარება თურქეთისათვის ანტანტის ინტერვენციის წინააღმდეგ. ბოლშევიკური მთავრობა მუსტაფა ქემალის მიმართვას დადებითად შეხვდა. გადაწყდა, დაწყებულიყო მოლაპარაკებები ანკარისთვის სამხედრო დახმარების გაწევის თაობაზე.[2]

ასეთ ვითარებაში, გასაგებია მუსტაფა ქემალის სიფრთხილე ბოლშევიკების წინააღმდეგ განწყობილი ჩრდილოკავკასიელებისა და მათი სტამბოლელი მხარდამჭერების გეგმების მიმართ.

1920წ. 2 თებერვალს სტამბოლიდან გემით გასულმა დელეგაციამ მხოლოდ 24 თებერვლისთვის შეძლო ბათუმში ჩასვლა. დელეგაციის შემადგენლობაში მუსტაფა ბუტბაისთან ერთად აბუბაქარ პლიევიც იყო. ისმაილ ბერკოკი მოგვიანებით ჩამოვიდოდა თბილისში, ხოლო აზიზ მეკერი უკვე თბილისში იყო.[3]

ბუტბაი და პლიევი რიზეში დაქირავებულმა ლაზმა მენავე მეჰმედ-ბეიმ საკუთარი ნავით ჯერ სოფ. ხოფაში ჩაიყვანა, ხოლო იქიდან წაიყვანა ბათუმისკენ და ღამით, საიდუმლოდ გადასხა ქალაქის სიახლოვეს სანაპიროზე. ამ დროს ბათუმი ინგლისელთა ოკუპაციის ქვეშ იმყოფებოდა. „დაკავების შემთხვევაში

---

[1] **Tleseruk Nahit Serbes. Çerkeslerin Mustafa Kemal'e Federasyon Önerileri. http://www.circassiancenter.com/cc-turkiye/yorum/tns/028_cerkeslerin.htm**

[2] **მ.სვანიძე.** თურქეთის ისტორია.., გვ. 387.

[3] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları..,** გვ. 8.

უეჭველი დახვრეტა გველოდა“- აღნიშნავს ბუტბაი.[1]

ბათუმში დელეგაციის წევრები დიდი სიფრთხილით, დილაადრიან შევიდნენ. მუსტაფა ბუტბაის მასპინძელი ბათუმში ადგილობრივი ვაჭარი იყო. „ბათუმელი აფხაზი ვაჭრის, მუსტაფა ბეის სახლში გავჩერდით. ის და მისი ძმა აჰმედი ვაჭრობას მისდევენ, მაგრამ ამავდროულად, ბათუმში თურქეთის მთავრობის სასარგებლო საქმიანობასაც ეწევიან. ორივე მამაცი და გონიერია. საკუთარ ჭერქვეშ ორი ღამე გაგვათევინეს. თბილისში ჩვენს წასასვლელად საჭირო საბუთები მოგვიმზადეს. ამ საბუთებით ჩვენ აზერბაიჯანის მოქალაქეები ვიყავით.“ ბათუმელ მასპინძელს მუსტაფა ბუტბაი შემდგომ სტამბოლშიაც შეხვედრია. ბათუმელი ვაჭარი მუსტაფა ბათუმის გასაბჭოების შემდეგ ბოლშევიკებმა დახვრიტეს.[2]

ბუტბაი ბათუმის აფხაზების შესახებ წერს: „ბათუმის შემოგარენში ერთი აფხაზური სოფელია, ოცდაათ კომლამდე. თურქულზე ლაზური აქცენტით ლაპარაკობენ. ეს მუსტაფა ბეი მათგან არ არის, წარმოშობით ლაზია, მაგრამ გააფხაზებული“.[3]

აზერბაიჯანული პასპორტით აღჭურვილი მუსტაფა ბუტბაი ბათუმიდან მატარებლით თბილისში 27 თებერვალს ჩავიდა, სადაც აზიზ მეკერს შეხვდა, თბილისში ერთი კვირა დაჰყო (სასტუმრო „კავკაზში“), საიდანაც ბაქოს გაემგზავრა. სასტუმროს ხარჯები თბილისში განთავსებულმა ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის მთავრობის წევრმა ჰაიდარ ბამატმა დაფარა.[4]

ბაქოში მუსტაფა ბუტბაი 1920წ. 7 მარტს, აზიზ მეკერს და აბუბაქარ პლიევთან ერთად ჩავიდა. რამოდენიმე დღის შემდეგ აზიზ მეკერმა ბაქოდან ჩრდილოეთ კავკასიაში გამგზავრებისათვის საჭირო მოსამზადებელი სამუშაოები ჩაატარა, მათ შორის, დაარწმუნა აზერბაიჯანელები, რომ დელეგაციას არ გააჩნდა აზერბაიჯანის წინააღმდეგ მიმართული გეგმები.[5]

დელეგაცია საჭირო ფორმალობების მოგვარების შემდეგ დაღესტნისაკენ გაემართა. გამგზავრების ზუსტ თარიღს ბუტბაი არ უთითებს, მაგრამ ტექსტიდან ჩანს, რომ ის უნდა დაწყებულიყო არაუგვიანეს 15 მარტისა. ბუტბაი აღნიშნავს, რომ მათ გარკვეულ შეთანხმებას მიაღწიეს ადგილობრივ ბოლშევიკებთან, რომლებიც ამ დროისათვის დაღესტან-ჩეჩნეთის დიდ ნაწილს აკონტროლებდნენ, არ დაეშვათ მათი საწინააღმდეგო ქმედებები მოგზაურობისას.[6]

დელეგაცია აზერბაიჯან-დაღესტნის სასაზღვრო რაიონში, ოსმალურ სამხედრო რაზმს გადააწყდა. ეს რაზმი, ნური ფაშას მეთაურობით 1918წ. ზაფ-

---

[1] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları..,** გვ. 10; 1918 წ. 22 დეკემბერს, მუდროსის აქტის თანახმად, ბათუმი და მისი ოლქი ინგლისელებმა დაიკავეს და დააწესეს საოკუპაციო რეჟიმი. 1920წ. 7 ივლისს ბათუმში ქართული ჯარი შევიდა, ბათუმი საქართველოს დაუბრუნდა. იხ.: **რ. ცუხიშვილი**. ინგლის-საქართველოს ურთიერთობა 1918-1921 წწ.თბ., 1995. გვ. 21, 107-109.

[2] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları..,** გვ. 11.

[3] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları..,** გვ. 12.

[4] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları..,** გვ. 12.

[5] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları..,** გვ. 12-13.

[6] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 15.

ხულში აზერბაიჯანში შემოსული ოსმალური „კავკასიის ისლამური არმიის“ ნარჩენი იყო. ოსმალური რაზმი ბოლშევიკებთან მტრულ დამოკიდებულებაში იმყოფებოდა, ეს კი თურქულ დელეგაციას კარგს არაფერს უქადდა. მუსტაფა ბუტბაიმ ოსმალური რაზმის ოფიცერ კაზიმ ბეისთან საერთო ენა გამონახა, რის შედეგად დელეგაციამ გზის გაგრძელება მოახერხა და სოფ. აკუშას მიაღწია.[1] აქ იმყოფებოდა ნური ფაშა, რომელთანაც შედგა თურქული დელეგაციის შეხვედრა. ნური ფაშა და მისი შეიარაღებული შენაერთი აზერბაიჯანის ხელისუფლებისგან ფინანსდებოდა და დამოუკიდებელი აზერბაიჯანის ინტერესებს იცავდა ბოლშევიკების მოსალოდნელი აგრესიის წინააღმდეგ. მუსტაფა ბუტბაის თქმით, ნური ფაშა გონიერი ადამიანი იყო და ესმოდა, რომ ბოლშევიკებს ვერ შეაკავებდა, თუმცა მაინც არჩევდა, თურქეთში შექმნილი გაურკვევლობიდან გამომდინარე, ჯერჯერობით კავკასიაში დარჩენილიყო. ნური ფაშა ბოლშევიკებზე პირდაპირი იერიშების მიტანას ერიდებოდა. აკუშაში ბუტბაი და აზიზ მეკერი ესაუბრნენ იმამ ალიხაჯის, რომელმაც კეთილგანწყობილად მიიღო ისინი და ჩრდილოეთ კავკასიის დამოუკიდებლობისათვის მიძღვნილ მათ მოგზაურობაში დახმარებაც აღუთქვა. ალი ჰაჯიმ დელეგაციის წევრებს დაღესტანში საბჭოთა ხელისუფლების წარმომადგენელ ჯელალ კორკმაზოვთან შეხვედრა ურჩია.[2]

მუსტაფა ბუტბაის მოგზაურობის ერთ-ერთი მიზანი ჩეჩნეთის სოფ. ვედენოში, „ჩრდილოეთ კავკასიის ემირატის ემირის“, შეიხ უზუნ ჰაჯისთან შეხვედრა იყო, მაგრამ ვედენოში მარტის მიწურულს, აბუბაქარ პლიევთან ერთად ჩასულ მუსტაფა ბუტბაის უზუნ ჰაჯი მძიმე ავადმყოფი დახვდა და ის ბუტბაის ჩასვლიდან მესამე დღეს გარდაიცვალა.[3]

ისლამური სახელმწიფო წარმონაქმნი „ჩრდილოეთ კავკასიის ემირატი“ არსებობდა ჩეჩნეთისა და ნაწილობრივ დასავლეთ დაღესტნის ტერიტორიაზე 1919 მაისიდან - 1920წ. მარტამდე. „ემირატი“ ცენტრით სოფ. ვედენოში დაარსა ავარიის (დაღესტანი) შეიხმა უზუნ-ჰაჯიმ, რომელიც ებრძოდა როგორც ბოლშევიკებს, ასევე გენერალ დენიკინის არმიას. უზუნ ჰაჯიმ „ჩრდილოეთ კავკასიის ემირატი“ ოსმალეთის სულთნისა და მუსლიმთა ხალიფას ვაჰიდედდინის (მეჰმედ V) პროტექტორატის ქვეშ მყოფ სახელმწიფოდ გამოაცხადა. უზუნ ჰაჯი გარდაიცვალა 90 წლის ასაკში 1920წ. აპრილის დასაწყისში. აღსანიშნავია, რომ საქართველო უზუნ ჰაჯის მხარდაჭერას უწევდა დენიკინის

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 16-17; დაღესტნის რაიონული ცენტრი აკუშა მდებარეობს ქ. მახაჩყალის სამხრეთ-დასავლეთით 130 კმ.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 19-21; **ნური ფაშა** (1881-1949) - ენვერ ფაშას ძმა, ოსმალეთის სამხედრო მოღვაწე. 1918 წ. დაინიშნა აზერბაიჯანსა და დაღესტანში მოქმედი „კავკასიის ისლამური არმიის“ სარდლად; **ალი ჰაჯი აკუშელი** (1847-1930) - დაღესტნის სულიერი ლიდერი და საზოგადო მოღვაწე. 1918 წ. არჩეულ იქნა დაღესტნის მუსლიმანთა წინამძღოლად - შეიხულისლამად. ებრძოდა გენერალ დენიკინს, 1920-იან წლებში დაუპირისპირდა საბჭოთა ხელისუფლებას მისი ანტირელიგიური აქციების გამო; **ჯელალ კორკმაზოვი** (1877-1937) ეროვნებით ყუმუხი, პუბლიცისტი და საზოგადო მოღვაწე, 1909-1910 წლებში სტამბოლში ყოფნისას დაუახლოვდა ითთიჰატისტებს. 1917 წლიდან ბოლშევიკია, დაღესტნის საბჭოთა მთავრობის პირველი თავმჯდომარე (1921-1931). რეპრესირებულ იქნა 1937 წელს.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.30-31.

წინააღმდეგ. 1919 წლის აგვისტო-სექტემბერში თბილისში გამართულ შეკრებებზე, ჩრდილოეთ კავკასიის პარლამენტის (მეჯლისის) წარმომადგენლებმა დაგმეს დენიკინის არმიის აგრესია და განაცხადეს, რომ დენიკინის არმიის განდევნისათვის ბრძოლაში მეჯლისი სრულ მხარდაჭერას უცხადებდა ჩეჩნეთში უზუნ-ჰაჯისა და დაღესტანში ალი ჰაჯის მეთაურობით მიმდინარე მთიელთა განმანთავისუფლებელ მოძრაობას.[1]

უზუნ ჰაჯის დენიკინის წინააღმდეგ ბრძოლაში სამხედრო და ფინანსურ დახმარებას უწევდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა. საქართველოს სამხედრო გზით 1919წ. სექტემბერში ვედენოში გაგზავნილ იქნა 80 ტყვიამფრქვევი, დიდი რაოდენობით ტყვია-წამალი და მებრძოლთა რაზმები გენერლების კერესელიძისა და თუხარელის მეთაურობით. „ემირატის“ ინგუშთა პოლკს ხიდირ ორუხანოვის სარდლობით, დაევალა დენიკინელების შემოსვლის აღსაკვეთად საქართველოს სამხედრო გზის მონაკვეთის ჩაკეტვა.[2]

უზუნ ჰაჯის სიკვდილის შემდეგ „ემირატიც“ დაიშალა. ბუტბაი თემირ-ხან-შურას (ახლანდელი ბუინაკსკი) გაემგზავრა, სადაც ისევ შეუერთდა აზიზ მეკერსა და ისმაილ ბერკოკს.[3]

თემირ-ხან-შურაში თურქულ დელეგაციას შეხვედრა ჰქონდა საბჭოთა დაღესტნის ხელმძღვანელ ჯელალ კორკმაზოვთან. კორკმაზოვმა ნება დართო დელეგაციას მოგზაურობა გაეგრძელებინა.[4]

მუსტაფა ბუტბაიმ, აზიზ მეკერმა და ისმაილ ბერკოკმა ჩეჩნეთში წასვლა გადაწყვიტეს. 1920წ. 13 აპრილს თემირ-ხან-შურადან გამოსული დელეგაცია 20 აპრილს ჩეჩნეთში, ვედენოში ჩავიდა და ღამის გასათევად მეზობელ სოფელ დიშნი ვედენოში დარჩა, რადგან უზუნ-ჰაჯის სიკვდილის შემდეგ ვედენოში მისი მთავრობაც დაშლილიყო და მოსახლეობის ნაწილიც არაკეთილმოსურნედ განეწყო დელეგაციისადმი. ბოლშევიკები სოფელში შემოსასვლელად ემზადებოდნენ. ასეთ ვითარებაში, ისმაილ ბერკოკის ინიციატივით, დელეგაციამ გადაწყვიტა ვედენოში ჩეჩნეთ-დაღესტნის სახალხო ყრილობა (ეროვნული მეჯლისი) მოეწვია, რომელიც დროებით მთავრობას ჩამოაყალიბებდა, ვედენოს ბოლშევიკებისაგან დაიცავდა და მას დამოუკიდებელი ჩეჩნეთ-დაღესტნის ცენტრად გამოაცხადებდა. აზიზ მეკერი და აბუბაქარ პლიევი ყრილობის დელეგატების შესარჩევად ინგუშეთში, ნაზრანში წავიდნენ. ისმაილ ბერკოკმა დაღესტან-ჩეჩნეთში წერილების დაგზავნა და დელეგატების აღნიშნულ მეჯლისზე მოწვევა დაიწყო.[5]

3 მაისს, ბოლშევიკთა რაზმმა ვედენო დაიკავა. ბოლშევიკებმა ბუტბაისა და ბერკოკს თავის საქმიანობაში ხელი არ შეუშალეს, მეტიც, ბოლშევიკთა წარ-

---

[1] **Союз объединенных горцев Северного Кавказа и Дагестана (1917–1918). Горская Республика (1918–1920). Документы и материалы. Махачкала, 1994,** გვ. 329-332.

[2] **М. З. Нахибашев. Узун-Хаджи Салтинский – общественно-политический и религиозный деятель Дагестана и Чечни. Махачкала. 2009**, გვ. 102-103, 109.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ 33.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.34.

[5] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ 37.

მომადგენლები დაესწრნენ ვედენოს დასავლეთით მდებარე სოფ. ცენტეროიში, ჩეჩნებისათვის წმინდა გორაკ კხეთაშ-კორტაზე გამართულ სახალხო ყრილობას. მუსტაფა ბუტბაი ამ ყრილობის თარიღად 6 მაისს ასახელებს.[1]

კხეთაშ-კორტაზე სიტყვით გამოვიდნენ მუსტაფა ბუტბაი, ისმაილ ბერკოკი და ასევე, ბოლშევიკების ორი დელეგატი. დელეგაციის წევრებსა და ბოლშევიკ დელეგატებს შორის მცირე, მაგრამ მწვავე დისკუსიაც გაიმართა. ერთ-ერთმა ბოლშევიკმა განაცხადა, რა უფლებით ერევით ამ ხალხის საქმეში, მაშინ როდესაც თქვენ სტამბოლში ჩაის სვამდით, ჩვენ აქ რევოლუციისათვის სისხლს ვღვრიდითო. ბერკოკმა და ბუტბაიმ მიუგეს, რომ ისინი რუსული იმპერიალიზმის მიერ სამშობლოდან განდევნილთა შვილები არიან და სრული უფლება აქვთ თავის თანამემამულეებთან იყვნენ. ყრილობაზე ვითარება დაიძაბა და ბოლშევიკებმა გაცლა არჩიეს. ბერკოკმა ბუტბაის შედგენილი დამოუკიდებლობის ფიცი წაიკითხა, რომელიც თარჯიმანმა ჩეჩნურად თარგმნა. შეკრებილებმა „ეროვნული მეჯლისის“ შექმნა დაადასტურეს და მისი დელეგატებიც აირჩიეს. დელეგატებმა ყურანზე, ხანჯალზე, ხმალსა და თოფზე ხელის დადებით დაიფიცეს ბერკოკის შედგენილი ფიცით და ხელი მოაწერეს ფიცის ტექსტს. ბუტბაის მოჰყავს ფიცის ტექსტი: „უფლის წმინდა ყურანზე ხელის დადებით, ვფიცავ შევწირო ჩემი სული და ქონება იმისათვის, რომ სიცოცხლისა და თავისუფლების, სარწმუნოებისა და ღირსების დაცვისათვის მებრძოლმა, თავგანწირულმა ჩემმა ხალხმა, დღეის შემდეგ თავისუფალ და დამოუკიდებელ ისლამურ რესპუბლიკაში იცხოვროს. ხელმოწერით ვადასტურებ და ვამტკიცებ დიდი ყრილობის წინაშე ჩემს ფიცს.“[2]

7 მაისს „ეროვნულმა მეჯლისმა“ ვედენოს სიმაგრეში დაბანაკებულ ბოლშევიკებს იქაურობის დატოვება მოთხოვა, ბერკოკსა და ბუტბაის კი ცენტეროის სამხრეთით, სოფ. დარგოში გადანაცვლება ურჩიეს უსაფრთხოებისათვის. დარგოში დელეგაცია ერთხანს მშვიდად გრძნობდა თავს, მაგრამ ბოლშევიკების მუქარის გამო, იქიდან 16 მაისს დაღესტნის სოფ. გაგატლიში ჩავიდა. აქ გაიგეს, რომ მთელი დაღესტნის გზები ბოლშევიკების კონტროლის ქვეშ იყო და ამ მხარეს მოგზაურობის გაგრძელება მათთვის არ შეიძლებოდა. დელეგაციამ ჩეჩნეთის გავლით საქართველოს საზღვრისაკენ მოძრაობა გადაწყვიტა. 17 მაისს გაგატლიდან დელეგაცია ჩეჩნეთში დაბრუნდა. ბუტბაიმ და ბერკოკმა 19 მაისის ღამე სოფ. ხალ-კილიოში გაატარეს (მდ. შაროარგუნზე, ჩეჩნეთის შატოის რაიონში, –ზ.წ.), სადაც გაიგეს, რომ ბოლშევიკები რამოდენიმე კილომეტრში, შატოის სიმაგრეში იმყოფებოდნენ. ამიტომ, გადაწყვიტეს ღამით, ბოლშევიკებისაგან შეუმჩნევლად, შატოის გავლით ქვევით დაჰყოლოდნენ მდ.

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.43. კხეთაშ-კორტა მდებარეობს სოფ. ცენტეროისთან, ნოჟაი-იურტის რაიონში. ჩეჩნურიდან ითარგმნება როგორც "საბჭოს სიმაღლე". ტრადიციით, ჩეჩნებისათვის წმინდა გორა კხეთაშ-კორტაზე იმართებოდა სახალხო საბჭო, რომელიც იხილავდა ქვეყნისა და ხალხისათვის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. იხ.: **А. Сулейманов. Топонимия Чечни. Грозный, 2006,** გვ. 300, 313.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 44-45.

2

არღუნის ხეობას. 20 მაისს დელეგაციამ შატოის მალულად გავლა მოახერხა და ცხენებით შეუსვენებელი სვლის შემდეგ მდ. არღუნზე მდებარე სოფ. ითუმ კალეში მივიდა. აქედან მეორე დღეს, დილაადრიან გააგრძელეს გზა. ღამე სოფ. კიიში (ბუტბაი: **Key**) გაატარეს, ხოლო 23 მაისს საღამოს მიაღწიეს სოფ. იალხაროის (**Yalharvi**).[1]

24 მაისს დელეგაცია გადავიდა სოფელში **Merecuy** (ინგუშეთის სუნჯის რაიონის სოფელ მუჟეჩეს (Мужече). ბუტბაის მიხედვით, ამ სოფელში ის და ისმაილ ბერკოკი, ელოდნენ ნაზრანიდან აზიზ მეკერის ჩამოსვლას. 29 მაისს აზიზ მეკერის ჩამოსვლის შემდეგ, დელეგაციამ გადაწყვიტა საქართველოში მთის უღელტეხილით გადასვლა.[2]

30 მაისს, შუადღისას ბუტბაი, ისმაილ ბერკოკი და აზიზ მეკერი მუჟეჩედან გამოვიდნენ და საღამოს იალხაროიში დაბრუნდნენ. აქ მათ ცუდი ამბები დახვდათ. ჩეჩენმა მასპინძელმა სტუმრებს აცნობა, რომ ახლომდებარე სოფლების ბოლშევიკ კომისარს მათი დაპატიმრების განკარგულება გაეცა.[3]

ბუტბაიმ და თანამგზავრებმა იალხაროიში ამჯერად 4 ივნისამდე დაჰყვეს. აქ გაიგეს მათ „საქართველოსა და ბოლშევიკებს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების დადების“ შესახებ. (იგულისხმება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და საბჭოთა რუსეთის 1920წ. 7 მაისის ხელშეკრულება, – ზ.წ.). იალხაროიში დელეგაციას ნაზრანიდან ჩამოსული აბუბაქარ პლიევიც შეუერთდა. სტუმრებს იალხაროის წარჩინებულთაგან ბენიჰუ ჰაჯიმ უმასპინძლა და საქართველოში გადასასვლელად მეგზურ-გამყოლებიც შეურჩია.[4]

4 ივნისს დილით დელეგაციის წევრები იალხოროიდან გამოვიდნენ, გაიარეს აკკა (**Акка**) - ჩეჩნური სოფელი ინგუშეთის საზღვარზე, გვიან საღამოს მიაღწიეს ერთ სოფელს, სადაც შუასაუკუნეების კოშკში გაატარეს ღამე. ბუტბაი ამ სოფელს ოჰოყ-ს უწოდებს, რაც, ჩვენი დაკვირვებით, არის სოფ. პუი მდ. ასსას ნაპირზე, ჯეირაჰის რაიონში, ინგუშეთში. მგზავრები დილაადრიან 5 ივნისს დაიძრნენ სოფ. პუიდან. ბუტბაი საკმაოდ დაწვრილებით აღწერს პუის მახლობლად შუასაუკუნეების სამაროვნებს.[5]

5 ივნისის საღამოსთვის ჩავიდნენ „ადამიანისათვის თავზარდამცემ, ციხესიმაგრეებითა და ნანგრევებით მოფენილ სოფელში, (ის) საქართველოს საზღვარსა და დარიალის გადასასვლელთან ახლოსაა და მთა პატარა ყაზბეგის ფერდობებზე მდებარეობს“. ბუტბაიმ და მისმა თანამგზარებმა იცოდნენ, რომ ამ სოფლიდან დასავლეთით, საქართველოში დარიალის გადასასვლელს ბოლშევიკები აკონტროლებდნენ. სოფელში მგზავრებმა ღამე გაათიეს.[6]

ბუტბაი აღნიშნავს, რომ სოფელი მყინვარებით დაფარული მწვერვალის

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 62-63. სოფ.იალხოროი მდებარეობს სოფ. კიის ჩრდილოეთით, ჩეჩნეთის აჩხოი-მარტანის რაიონში.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.65.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.68.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 71-73.

[5] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 75.

[6] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 75-76.

კალთებზეა, რომელსაც ბუტბაი „პატარა ყაზბეგს“ უწოდებს. ეს არის საქართველოს საზღვარზე, მყინვარწვერის აღმოსავლეთით მდებარე მთა არზი (Арзи), ხოლო სოფელი, რომელზეც მუსტაფა ბუტბაი საუბრობს, - სოფ. ერზი (Эрзи), ის ახლა ინგუშეთის ჯეირაჰის რაიონის ოლგეთის სასოფლო საკრებულოში შედის.

უღელტეხილზე გადასვლის პირველი წარუმატებელი ცდის შემდეგ, 7 ივნისს გამთენიისას, ორ ახალ გამყოლთან ერთად მგზავრებმა ისევ დაიწყეს ასვლა უღელტეხილზე, ათსაათნახევარი თითქმის შეუსვენებელი ასვლის შედეგად მწვერვალზე ავიდნენ. „აქედან დასავლეთით დარიალის ხეობას ვხედავდით, რომელზეც ათასი მეტრით მაღლა ვიყავით მოქცეული“[1]

ბუტბაის ცნობების მიხედვით, ჩვენ მიგვაჩნია, რომ ბუტბაი და მისი თანამგზავრები, სოფ. ერზის სამხრეთით მდებარე ოხკურის უღელტეხილით (3300 მ.) შემოვიდნენ საქართველოში მდ. თერგის მარჯვენა შენაკადის, მდ. ხდეს (ხდისწყალი, ქისტურა) ხეობაში. აღსანიშნავია, რომ ოხკურის უღელტეხილი ყველაზე ახლოს არის დარიალთან და შედარებით ადვილი გადასასვლელია ინგუშეთიდან საქართველოში სხვა გადმოსასვლელებთან შედარებით.

მგზავრებმა დაღმართის ჩავლის შემდეგ მცირე ხნით შესვენება გადაწყვიტეს და ამ დროს მათ მოულოდნელად ქვევიდან ცეცხლი გაუხსნეს. ესენი ქართველი მეცხვარეები აღმოჩნდნენ. ბუტბაის თქმით, მეცხვარეებმა ისინი ქართულ სოფლებზე თავდასასხმელად გადმოსულ ჩეჩენთა ჯგუფად ჩათვალეს. მათ მგზავრები განაიარაღეს და დარიალის შესასვლელთან განლაგებულ პირველ მესაზღვრეთა საგუშაგოსკენ წაიყვანეს.

მესაზღვრეთა საგუშაგოში დაკითხვისას დელეგაციის წევრებმა განაცხადეს, რომ ბოლშევიკებს გამოქცეული ჩრდილოკავკასიელები არიან. ბუტბაიმ და მისმა თანამგზავრებმა ღამე საგუშაგოში გაატარეს. დილით, 8 ივნისს, ქართველი მესაზღვრეები დაკავებულებს ჩაით გაუმასპინძლდნენ და წასვლის ნება მისცეს, (იარაღი არ დაუბრუნებიათ). დელეგაცია დარიალიდან ფეხით გამოემართა, რამოდენიმე საათის შემდეგ ყაზბეგს მიაღწიეს, იქ სასტუმროში დაბინავდნენ.[2]

10 ივნისს ყაზბეგში დაქირავებული ავტომანქანით დელეგაცია თბილისკენ გამოემართა. ერთი ღამე ფასანაურში გაატარეს და მეორე დღეს, 11 ივნისის საღამოს თბილისში შემოვიდნენ.[3]

12 ივნისს ბუტბაიმ და მისმა თანამგზავრებმა შემორჩენილი ოსმალური ფული ქართულ ფულზე გადაცვალეს და თბილისში მათი ჩამომყვანი მძღოლი გაისტუმრეს. იმავე საღამოს ისინი ჰაიდარ ბამატმა ინახულა. მეორე დღეს, 13 ივნისს ჰაიდარ ბამატმა მათთან საუბარში შენიშნა, რომ ჩრდილოეთ კავკასიის საკითხში მხარდაჭერის თაობაზე საქართველოში უკრაინის წარმომადგენელს მიმართა, მაგრამ დადებითი პასუხი ვერ მიიღო.[4]

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ.79

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 80.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 81.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 83. ჩრდილოეთ კავკასიის მთავრობასა და უკრაინის სახალხო რესპუბლიკას (1919-1920წწ) შორის არსებული ხელშეკრულებით, უკრაინას,

ჰაიდარ ბამატმა ასევე აღნიშნა, რომ მას შეხვედრა დაუნიშნა საფრანგეთის წარმომადგენელმა თბილისში. ამ შეხვედრას 13 ივნისს დაესწრნენ ჰაიდარ ბამატთან ერთად მუსტაფა ბუტბაი, ისმაილ ბერკოკი და აზიზ მეკერი. საფრანგეთის წარმომადგენელთან შეხვედრა ნახევარ საათს გაგრძელდა. მას ჰაიდარ ბამატი და აზიზ მეკერი ჩრდილოეთ კავკასიაში შექმნილ ვითარებაზე ესაუბრნენ. შეხვედრიდან დაბრუნების შემდეგ ისმაილ ბერკოკმა და აზიზ მეკერმა ფრანგი დიპლომატისათვის წარსადგენი მემორანდუმის ტექსტზე დაიწყეს მუშაობა. მეორე დღეს ტექსტი მზად იყო. 15 ივნისს ისმაილ ბერკოკი, აზიზ მეკერი და ჰაიდარ ბამატი საფრანგეთის წარმომადგენელს ეახლნენ და მემორანდუმი გადასცეს. მემორანდუმს თან ერთვოდა ფრანგულ ენაზე გადათარგმნილი, ჩეჩნეთში, ცენტერიოში შემდგარი „ეროვნული მეჯლისის" მიერ ისმაილ ბერკოკისა და მუსტაფა ბუტბაისადმი გაცემული რწმუნებულებები. „მემორანდუმის" ძირითადი შინაარსი იყო ფულით, სამხედრო აღჭურვილობითა და იარაღით დახმარების აღმოჩენის შესახებ თხოვნა.[1]

ბუტბაი გადმოგვცემს 1920წ. ივნისში თბილისში ყოფნისას მიღებულ შთაბეჭდილებებს. „ჩრდილოეთიდან და აზერბაიჯანიდან შემოსული ლტოლვილებით სავსეა ქალაქი. საგანგებო სამხედრო მდგომარეობის მსგავსი ვითარებაა. ქართველი სამხედროები პოლიციელების ფუნქციებსაც ასრულებენ. ყველას, ვისაც იარაღს აღმოუჩენენ, ართმევენ მას და აპატიმრებენ".[2]

ბუტბაიმ და მისმა მეგობრებმა საფრანგეთის წარმომადგენლისგან დადებითი პასუხი ვერ მიიღეს. ამის შემდეგ, 20 ივნისს გადაწყვიტეს, ანატოლიაში დაბრუნებისათვის სამზადისს შედგომოდნენ. დაგეგმეს ბათუმის გავლით გადასულიყვნენ ანატოლიაში. უფულობის გამო, მუსტაფა ბუტბაი იძულებული გახდა აფხაზეთში წასვლაზე უარი ეთქვა. ჰაიდარ ბამატმა მათ პასპორტები გადასცა. [3]

საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო არქივში დაცულია საქართველოსა და სომხეთში ჩრდილოეთ კავკასიის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენლის მასალები, სადაც აღნუსხულია პასპორტების გაცემა აზიზ მეკერსა და ისმაილ ბერკოკზე. აქვე არის ჩანაწერი მუსტაფა ბოტოვზე პასპორტის გაცემაზე. მუსტაფა ბოტოვის ასაკად მიწერილია 42 წელი. მას პასპორტის ფოტოსურათი გადაღებული აქვს ოსმალური ქუდით - ფესით. ჩვენი აზრით, მუსტაფა ბოტოვის სახელით პასპორტი გაცემულია მუსტაფა ბუტბაიზე.[4]

ბუტბაი, ბერკოკი და აზიზ მეკერი თბილისის რკინიგზის სადგურზე ბათუმის მატარებელზე ბილეთებს ყიდულობდნენ, როცა ისინი დააკავეს და საპყრობილეში წაიყვანეს. ბუტბაის მიხედვით, 30 ივნისს მათ ჩრდილოეთ კავკასიიდან თბილისში ჩამოყოლილ ჩეჩენ მეგზურებს გასამრჯელო გადაუხადეს და

საქართველოს მეშვეობით, უნდა გაეწია დახმარება ჩრდილოეთ კავკასიის არმიის შექმნაში ფინანსებითა და სამხედრო ინსტრუქტორებით. იხ.: **სეასა**, ფონდი 1869, აღწ. 1, საქმე 4, ფ. 83.

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 83-84; აღნიშნულ პერიოდში საქართველოში საფრანგეთის წარმომადგენელი იყო მაიორი გრაფი დე ნონანკური.

[2] **Mustafa Butbay.Kafkasya Hatıraları..,** გვ.85

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 95-96.

[4] **სეასა**. ფონდი 1869, აღწ.1, საქმე 2. ფურც 6-7, 12.

გაისტუმრეს, რის შემდეგ დილაადრიან ბათუმის მატარებლით გამგზავრების გადაწყვეტილება მიიღეს.

ამრიგად, ბუტბაის ცნობების ანალიზით ირკვევა, რომ ის და მისი თანამგზავრები თბილისის სადგურში 1 ივლისს უნდა მისულიყვნენ და ამ დღესვე მოხდა მათი დაპატიმრება.

საპატიმროში მუსტაფა ბუტბაიმ გაიცნო აზერბაიჯანელი არტილერიის გენერალი შიხლინსკი, რომელსაც აზერბაიჯანის ბოლშევიკებისგან დაპყრობის შემდეგ თბილისისთვის შეეფარებინა თავი. ბუტბაის თქმით, შიხლინსკისთვის უცნობი იყო მისი დაპატიმრების მიზეზი. საპატიმროში მყოფთაგან ათიდან ცხრა ბოლშევიზმის ბრალდებით იყო დაკავებული.[1]

ჰაიდარ ბამატის მცდელობების შედეგად ბუტბაი და მისი მეგობრები გაანთავისუფლეს, დაუბრუნეს პირადი ნივთები და უბის წიგნაკებიც. დაპატიმრების ოფიციალურ მიზეზი, ბუტბაის თქმით, არ უცნობებიათ. ბუტბაი არ აზუსტებს, თუ რამდენი დღე და რომელ საპატიმროში გაატარეს. მისი შემდგომი თხრობიდან ვიგებთ, რომ განთავისუფლების შემდეგ, ბუტბაი, ისმაილ ბერკოკსა და აზიზ მეკერთან ერთად კიდევ რამოდენიმე დღე დარჩა თბილისში, ხოლო ივლისის დამლევს აზიზ მეკერი და ისმაილ ბერკოკი უკვე თურქეთში არიან, რასაც მოწმობს მათ მიერ გენერალ ყიაზიმ ყარაბექირისადმი 31 ივლისს გაგზავნილი დეპეშა. ბუტბაისა და მის მეგობრებს ქართულ საპატიმროში ორ კვირამდე უნდა გაეტარებინათ. რაც საპატიმროს შეეხება, დაკავებული ბოლშევიკების სიმრავლიდან ჩანს, რომ ეს მეტეხის ციხეა.

ისმაილ ბერკოკი და აზიზ მეკერი ეჭვობდნენ, რომ იმჟამად თბილისში მყოფი ფუატ ბეი დაკავშირებული იყო ინგლისელებთან და სწორედ მისი დასმენა გახდა მათი დაპატიმრების მიზეზი.[2]

ფუატ ბეი, ცნობილი ოსმალო დიდვეზირის, ენვერ ფაშას მოწინააღმდეგისა და ინგლისელების დიდი მეგობრის კამილ ფაშას (1833-1913წწ.) შვილიშვილი იყო. ისმაილ ბერკოკი და აზიზ მეკერი მიიჩნევდნენ, რომ ფუატ ბეი ინგლისელების აგენტი იყო და მისი დასმენით დახურეს ინგლისელებმა 1919 წ. სტამბოლში „ჩერქეზული პოლიტიკური საზოგადოება“. ბუტბაი არ იჩენდა ასეთ კატეგორიულობას ფუატ ბეის შეფასებისას, რამაც როგორც ჩანს განაპირობა მისადმი ამ უკანასკნელის გარკვეული ნდობა. ბუტბაის თქმით, ფუატ ბეი თბილისში მასთან საუბრებში ამტკიცებდა, რომ ცილს სწამებდნენ. ერთი ასეთი საუბრის დროს, რომელიც საპატიმროდან განთავისუფლების შემდეგ შედგა თბილისის ერთ-ერთ კაფეში, ფუატ ბეიმ იკითხა, თუ როდის აპირებდა ბუტბაი სტამბოლში დაბრუნებას, ბუტბაიმ გულახდილად უპასუხა, რომ მხოლოდ საჭირო თანხის უქონლობა აფერხებდათ დაუყონებლივ გამგზავრებისაგან. ფუატ ბეიმ ბუტბაის შესთავაზა, ჩაეტანა გარკვეული რაოდენობის თანხა სტამბოლში მცხოვრები მისი დისათვის. ბუტბაის თანხმობის შემდეგ ფუატ ბეიმ მას ათასი

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 96-97. გენერალ-მაიორი ჯავად ბეკ შეხლინსკი (1874-1959). მსახურობდა რუსეთის იმპერიის, აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკისა და ირანის არმიებში. 1920წ. მაისში მეთაურობდა განჯის გარნიზონის ანტისაბჭოთა აჯანყებას.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 98-99.

გერმანული მარკა და ნახევარი ფუნტი სტერლინგი იქვე გადასცა.[1]

სწორედ ფუატ ბეისგან მიღებულმა ამ თანხამ შეაძლებინა მუსტაფა ბუტბაის ისევ დაბრუნებოდა აფხაზეთში გამგზავრების თავდაპირველ გეგმას. ფუატ ბეისგან მიღებული თანხა 50 ათას ქართულ მანეთს უდრიდა. ბუტბაიმ თანხის ნაწილი ბერკოკსა და მეკერს გადასცა, რომლებიც ანატოლიისკენ გაემართნენ, თვითონ კი თბილისში დარჩა და აფხაზეთში წასვლის სამზადისს შეუდგა.[2]

თბილისში მარტო ყოფნისას ბუტბაი შეხვდა იმამ შამილის შვილიშვილ საიდ ბეის, რომელიც ორ სირიელ ჩეჩენთან ერთად, ბოლშევიკებთან საბრძოლველად დაღესტნისაკენ მიმავალი, გზად თბილისში შეჩერებულიყო. ბუტბაიმ საიდ ბეის მათი მოგზაურობის შესახებ მოუთხრო და არც ის დაუმალავს რომ შექმნილ ვითარებაში, როდესაც ჩეჩნეთი და დაღესტანი მთლიანად ბოლშევიკებისგან იყო ოკუპირებული, მთიულებში ფართო ანტიბოლშევიკური მოძრაობის დაწყება შეუძლებელი ჩანდა. მიუხედავად ამისა, საიდ ბეის წამოწყება, მთიელებში მეომარი სულისკვეთების შესანარჩუნებლად მაინც მნიშვნელოვანი იქნებოდა. უტბაიმ შამილის შთამომავალს წარმატებები უსურვა.[3]

საიდ ბეიმ, ჰაიდარ ბამატის ხელშეწყობით კავშირი დაამყარა დაღესტნელებთან. 1920წ. სექტემბერში ის გადავიდა დაღესტანში, სადაც იბრძოდა „მთიელთა შარიათის არმიის“ რიგებში. 1920წ. სექტემბერ-ნოემბერში, დაღესტანში „მთიელთა შარიათის არმია“ ებრძოდა მეთერთმეტე წითელი არმიის ნაწილებს. ბოლშევიკებთან შეტაკებებში დაჭრილი საიდი 1921წ. თურქეთში ჩაიყვანეს.[4]

1920წ. ივლისის მეორე ნახევარში, მუსტაფა ბუტბაიმ ჰაიდარ ბამატის მეშვეობით შეიტყო, რომ თბილისში იმყოფებოდა აფხაზეთის დელეგაცია, რომელიც საქართველოს მთავრობასთან აწარმოებდა მოლაპარაკებებს. ბუტბაი დელეგაციას ეწვია. ჩანაწერებში ბუტბაი აღნიშნავს, რომ მხოლოდ რამოდენიმე დელეგატის სახელის გახსენება მოახერხა. აქედან ცხადია, რომ ბუტბაის აფხაზური დელეგაციის სახელები მოგზაურობის დღიურში არ შეუტანია. შეხვედრიდან 13 წლის შემდეგ, ის მათ სახელებს შემდეგნაირად გადმოგვცემს: „მიშე მუანოღლუ, კაპ ლევე და მეთჰი ჩელიკოღლუ“.[5]

1920წ. ივნის-ივლისში აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაცია თბილისში საქართველოს დამფუძნებელი კრებასთან ერთად აფხაზეთის კონსტიტუციის

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 99.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 100.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**.., გვ. 101.

[4] **მუჰამედ საიდ შამილი** (1901-1981) დაიბადა სტამბოლში, იმამ შამილის შვილის მუჰამედ კამილის ოჯახში. დაამთავრა სტამბოლის გალათასარის ლიცეუმი. 1920წ. ებრძოდა ბოლშევიკებს ჩრდილოეთ კავკასიაში. მეორე მსოფლიო ომის დროს „კავკასიის ეროვნული კომიტეტის“ მეშვეობით, ხელს უწყობდა გერმანულ ვერმახტში ჩრდილოკავკასიური ქვედანაყოფების შექმნას. 1951წ. თურქეთში დააფუძნა „ჩრდილოკავკასიელთა კულტურისა და დახმარების საზოგადოება“. მასზე.: **Ахмед Муртазалиев, Хаджи Мурад Доного. Мухаммад Саид Шамиль. Исторический портрет, воспоминания, публицистика, очерки. Махачкала.** 2003; **Cafer Barlas. Dünü ve Bugünü ile Kafkasya Özgürlük Mücadelesi. İstanbul,** 1999, გვ. 328-329.

[5] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları..,** გვ. 101; მუანოღლუ ანუ მაანის ძე (მაანი, მარღანია).

პროექტზე მუშობდა. დელეგაციის წევრები იყვნენ ვარლამ შარვაშიძე, დიმიტრი ემუხვარი, გრიგოლ ზუხბა, დიმიტრი ზახაროვი, მიხეილ ტარნავა და ვიანორ ანჩაბაძე[1].

ბუტბაი აღნიშნავს, რომ აფხაზეთის წარმომადგენლებთან მისი საუბრები თურქეთში მცხოვრები აფხაზების სამშობლოში დაბრუნებას ეხებოდა.

აფხაზეთის დელეგაციამ საქართველოს მთავრობასთან შეხვედრების დამთავრების შემდეგ, ბუტბაის აფხაზეთში ერთად გამგზავრება შესთავაზა, თუმცა გამოირკვა, რომ დელეგაცია (ფოთიდან) ზღვით აპირებდა სოხუმში გამგზავრებას, ბუტბაის კი ხმელეთით ერჩივნა მგზავრობა, რომ სამეგრელო და სამურზაყანოც დაეთვალიერებინა. ამიტომ, დელეგაციამ ბუტბაისთან კაპ ლევე დატოვა, რომელსაც ის სოხუმში უნდა ჩამოეყვანა.

კაპ ლევე თბილისში თავისმა საქმეებმა შეაყოვნა, რის შემდეგ ბუტბაი მასთან ერთად თბილისიდან მატარებლით ფოთისკენ გაემგზავრა. 16 აგვისტოს, ჩამოვიდნენ სადგურში ერა (სენაკი), აქედან გზა დილიჟანსით გააგრძელეს. მუსტაფა ბუტბაი შენიშნავს, რომ დილიჟანსის მგზავრებს ორი შეიარაღებული ჟანდარმი აცილებდა. დილიჟანსმა ისინი „დიდ და მოვლილ მეგრულ სოფელ ირიტა-ში მიიყვანა“[2] (სოფ. ურთა). აქედან, დღის 3 საათზე, ბუტბაიმ და მისმა მეგზურმა დაქირავებული ფაეტონით გააგრძელეს გზა მდ. ენგურისკენ, რომელთანაც უკვე ღამით მივიდნენ. ამიტომ იძულებულნი იხდნენ, მდინარეზე გადასვლისათვის დილას დალოდებოდნენ. ღამე, იქვე დუქანში გაატარეს. 17 აგვისტოს დილით, ენგურზე ბორანით გადავიდნენ.[3]

ბუტბაისა და მის მეგზურს გალში სადილი გაუმართეს. ამ სტუმართმოყვარეობამ ბუტბაის ბავშვობაში გაგონილი ამბავი გაახსენა: „ჩვენს სახლში, ახლო სამეზობლოდან მოსულ სტუმარს ეტყოდნენ ხოლმე „რა სამურზაყანოდან მოსულივით თავპატიჟს იდებო? ანუ, სამურზაყანოდან მოსულები მართლაც შორიდან მოსულებად ითვლებოდნენ და ეტყობა თავსაც იფასებდნენ. ახლა მე ვიყავი სტუმრად სამურზაყანოში, თანაც ძალიან შორეული მხრიდან მოსული სტუმარი. თავპატიჟი უნდა დამედო და აკი შევიფერე კიდეც“.[4]

ბუტბაის თქმით, მასპინძლებმა პოლიტიკაზეც ისაუბრეს. „აფხაზეთის იმჟამინდელი მდგომარეობასა და საქართველოს მისადმი დამოკიდებულებაზე საკმაოდ აღელვებულები საუბრობდნენ. სიფრთხილეს თავი არა სტკივა და მე ამ საუბარში არ ჩავრთულვარ. მხოლოდ ვისმენდი“.[5]

სადილის შემდეგ ბუტბაი და კაპ ლევე გალიდან ოჩამჩირისაკენ გაემართნენ. ბუტბაი აღნიშნავს, რომ პატარა მდინარე „**Azguer**“-თან მგზავრებს ჟანდარმები დახვდნენ გასაცილებლად, რადგან აქაურობა ყაჩაღების სათარეშო ადგილი ყო-

---

[1] **Mustafa Butbay**. Kafkasya Hat**ıraları**.., გვ. 102.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**.., გვ. 104.

[3] **Mustafa Butbay.Kafkasya Hatıraları**.., გვ. 104-105.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**.., გვ. 106.

[5] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**.., გვ. 106.

ფილა. ბუტბაის აზრით, ეს მდინარე ყოფს სამურზაყანოსა და აბჟუას.[1] ბუტბაის „პატარა მდინარე „**Azguer**“ არის სოფ. გუდავაზე გამავალი მდ. აძურუ. რასაკვირველია, ბუტბაი ცდება, როცა აძურუს სამურზაყანოსა და აბჟუას სასაზღვრო მდინარეს უწოდებს. აფხაზეთის სამთავროში აბჟუასა და სამურზაყანოს მხარეებს მდ. ღალიძგა ყოფდა.[2] 1840 წელს კი სამურზაყანოს საბოქაულოსა და აფხაზეთის სამთავროს საზღვრად რუსეთის სამხედრო-პოლიტიკურმა ადმინისტრაციამ მდ. ოხურეი დაადგინა.[3] შემდგომშიც ეს საზღვარი შენარჩუნდა.

ბუტბაიმ სურვილი გამოთქვა ილორის ტაძარი მოენახულებინა: ის შენიშნავს, რომ ბავშვობოდანვე იზიდავდა „ილორ-ნიხა“ (**Eylir-Aniha**). ბავშვობაში ქალებისგან წყევლაც მოუსმენია „დაგლახვროს ილორის სალოცავმაო!“.[4]

ბუტბაიმ ილორის ეკლესია დაათვალიერა, მღვდელსა და მრევლს გაესაუბრა. ილორის ტაძრის მონახულებაზე ბუტბაის ჩანაწერში აღნიშნულია: „სამურზაყანოში და აბჟუის დასაწყისში აფხაზურ ენაზე მოლაპარაკე ძალიან ცოტაა. აფხაზები კი არიან, მაგრამ ენა დავიწყებიათ. მხოლოდ ის ახსოვთ, რომ აფხაზები ყოფილან, მაგრამ ახლო ხანებში ესეც დაავიწყდებათ.“[5]

ბუტბაის დღიურის მიხედვით, ის 17 აგვისტოს, ღამით ოჩამჩირეში შევიდა, სადაც ღამისგასათვად მისი მეგზურის, კაპ ლევეს სახლში დარჩა. „თურქეთიდან მოსული ჩვენი ძმა ბუტბა“ - ასე წარუდგინა ის კაპ ლევემ შინაურებს. „დილით ქალაქში გავედი, რომ სასტუმრო მეპოვა და ჩემი მასპინძლის ოჯახს ტვირთად არ დავწოლოდი. ქალაქში დადაშ მარშანიას გადავაწყდი, რომელსაც ჯერ კიდევ თბილისში, ჩრდილოეთით (ჩრდილოეთ კავკასიაში, – ზ.წ.) გამგზავრებამდე შევხვდი. იქვე დადაშ ბეის უმცროსი ძმაც გავიცანი, რომელიც რუსეთის არმიაში პოლკოვნიკი იყო და ბოლშევიკებს თბილისში გამოექცა. (სტამბოლში) დაბრუნების შემდეგ გავიგე, რომ ის ბოლშევიკებს დაეხვრიტათ.”[6]

დადაშ მარშანიამ ბუტბაი თავის სახლში დაპატიჟა და ღამის გასათევადაც იქ დატოვა. დადაშმა ბუტბაის სოხუმში წასვლამდე მის სახლში დარჩენა შესთავაზა, ბუტბაი დათანხმდა. ის თბილისში გაცნობილ მიშე მუანს (მიშე მუანოღლუ-მაანი, მარღანია) ელოდა, რომელსაც სოხუმში უნდა წაეყვანა.[7]

19 აგვისტოს ბუტბაი ოჩამჩირელ მღვდელ მარღანიას ესტუმრა, რომლის ორი შვილი მეფის რუსეთის არმიაში მსახურობდა. ორივენი ბოლშევიკებს სტ-

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**.., გვ. 106.

[2] **З. Папаскири. Этнодемографический, политико-государственный исоциально-культурный облик современной Абхазии в XVI-XVIIвв.,** კრ.: საისტორიო ძიებანი, X–XI. თბ., 2008, გვ. 78.

[3] **კ. კვაშილავა**. ისტორიული სამურზაყანოს წარსულიდან. თბ., 2011, გვ. 288-289.

[4] **Mustafa Butbay.., Kafkasya Hatıraları...,** გვ. 106-107.

[5] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 108.

[6] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 109; დადაშ (ტატაშ) მარშანია, აბჟუელი თავადი სოფელ ჯგერდადან. აფხაზთა სახალხო საბჭოს წევრი 1917-1918წწ. აფხაზეთში 1918წ. ივნისში ოსმალური დესანტის გადმოსხმის ერთ-ერთი ორგანიზატორი.

[7] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 109-110. ერთი ცნობით, აბჟუაში ბუტბაის მასპინძელი კიჩინ მაანი (მარღანია) იყო. იხ.: **Ш.Д.Инал-ипа. Зарубежные Абхазы...,** გვ. 11.

ამბოლში გაექცნენ, საიდანაც უფროსი საფრანგეთში წავიდა, ხოლო მეორეს, ასტამურ მარღანიას და მის მეუღლეს ბუტბაი თავის სახლში მასპინძლობდა. ასტამური და მისი მეღლე სტამბოლიდან კუნძულ მადაგასკარზე გადასულან.

დღიურის მიხედვით, 20 აგვისტოს ბუტბაი, ოჩამჩირეში ჩამოსულ მიშე მუანთან ერთად, ერთი იტალიელისა და რუსის თანხლებით ტყვარჩელს (**Kurçal**) ეწვია. ბუტბაის დაკვირვებით, სოფლის მოსახლეობა ქრისტიანი იყო, თუმცა ძველი ადათ-წესები ნაწილობრივ, მშობლიური ენა კი სრულად ჰქონდა შენარჩუნებული. ამასთან, ქრისტიანობას მათი ცხოვრების წესში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეეტანა. ბუტბაი თავს აქ უცხოდ არ გრძნობდა, რადგან ეს აფხაზური სტუმართმოყვარეობა და მასთან დაკავშირებული წესები მისთვის ბავშვობიდანვე ნაცნობი იყო, თუმცა გულისტკივილით შენიშნა, რომ ადგილობრივები „ანატოლიელი ძმებისადმი“ ინტერესს არ იჩენდნენ. ბუტბაიმ ისიც იუცხოვა, რომ სუფრაზე მოხუცები აფხაზური წესისამებრ ილოცებოდნენ - „უფალმა აფხაზობა და აფხაზეთი შეინახოსო“, ახალგაზრდები კი პირჯვარს იწერდნენ.[1]

21 აგვისტოს, მუან მიშე, იტალიელსა და რუსთან, რომელთაც ბუტბაი იტალიური კომპანიის ინჟინრებად იხსენიებს, ქვანახშირის საბადოებისკენ გაემართნენ. ბუტბაის, მიშე მუანის შეთავაზების მიუხედავად, ტყვარჩელის ქვანახშირის საბადოების მონახულების სურვილი არ გამოუთქვამს.[2] მას მხოლოდ აფხაზური სოფლის მონახულება, სოფლური ყოფის დათვალიერება სურდა.

„კავკასიის სამხრეთ-დასავლეთ ფერდობებზე შეფენილ აფხაზეთში სამიოდე სახლს ვერ ნახავთ გვერდიგვერდ. აქ ყოველი სახლი, სახნავ-სათესი მიწის შუაგულში ჩადგმული პატარა მამულია. აფხაზეთი ტყიანი მხარეა. მწვანე ეზოებსა და სიმინდის ყანებს იქით სახლები არ ჩანს და ისინი, მოკავებული მამულის სიდიდის მიხედვით, ერთმანეთისაგან დაშორებით მდებარეობს. ერთი სახლის ფანჯრიდან ანდა აივნიდან მეზობლის სახლის დანახვა შეუძლებელია. ამიტომ ადამიანს აქ საკუთარი თავი სოფელში კი არა, ტყეში დაფუძნებულ მამულში ანდა შუასაუკუნეების ციხესიმაგრეში ეგონება. ასეთი რამ იქნებ მიმზიდველადაც გამოიყურებოდეს, მაგრამ საზოგადოებრივი ცხოვრების სიკეთესთან ზიარების საშუალებას კი ნაკლებად იძლევა.

ბურსისა და იზმითის ოლქების აფხაზური სოფლებიც ტყეებშია გაშენებული. იმ სოფლებში მგზავრობისას სულ მიკვირდა, რატომ არჩიეს დასასახლებლად ის ვიწრო კლდეები ანატოლიის ფართო მიწა-წყალს? აფხაზეთში მივხვდი ამის მიზეზს. ლტოლვილები თურქეთში მოსვლისას ცდილობდნენ სამშობლოში დატოვებული ტყისა და მთის მსგავსი ადგილები მოეძებნათ და იქ დასახლებულიყვნენ. სამშობლოს მიმსგავსებული ბუნებითა და ცხოვრების პირობებით შექმნით ცდილობდნენ მწარე დევნილობისა და მიუსაფრობის შემსუბუქებას.”[3]

შემდეგ ბუტბაის ჩანაწერებში თურქეთში მისი მშობლიური სოფლის შეს-

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları..,** გვ. 111; საქართველოს მთავრობამ ტყვარჩელის ქვანახშირის საბადო კონცესიით გადასცა იტალიურ ფირმა „ილვას” 1920წ. იხ.: **დ. ჯოჯუა**. საქართველო-იტალიის ურთიერთობა 1919-1921წლებში.თბ., 1997, გვ. 232-234.

[2]

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**.., გვ. 112.

ახებ მცირე მოგონებაც გვხვდება: „ესკიშეჰირის სოფ. აღაფინარში დავიბადე. ეს სოფელი ესკიშეჰირიდან ანკარისკენ მიმავალ რკინიგზაზე პირველი სადგურია. სოფლის სამი ბორცვიდან ერთზე აფხაზები, მეორეზე ყაბარდოელები, მესამეზე ყარაჩაელები სახლობდნენ... სოფელი ას სახლამდე ითვლიდა, ფართო მწვანე ეზოებში ეწყობოდა თამაშობები, ჭიდაობა, გოგო-ბიჭები ცეკვაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ცხენზე ამხედრებულნი, ხის ჩოგნებით ბურთს ვთამაშობდით... ქორწილებში უამრავი ხალხი იყრიდა თავს. მხედრები მარულას აწყობდნენ და მანდილისა და ტყავის წართმევაში ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, სამიზნედ კვერცხისთვის სროლაში იწაფებოდნენ. (სოფლის) ასი სახლიდან საშუალოდ ორასი გოგო-ბიჭი გამოდიოდა“.[1]

სოფ. კვეზანში (ახლანდელი ქ. ტყვარჩელის ფარგლებში, – ზ.წ.) ღამის გასათევად დარჩენილი ბუტბაის ყურადღება მასპინძლის სახლში მაცხოვრისა და ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის ხატების სიმრავლემ მიიქცია.[2]

მეორე დღეს, ბუტბაი მიშე მუანის ნათესავს, ზორბეგ ჩაჩბას ეწვია სოფ. ათიშადუში (ქ. ტყვარჩელის შესასვლელში). ზორბეგის დედამ, მარშანიას ქალმა, სტუმარი პატივისცემით მიიღო და თურქეთში მყოფი თავისი ნათესავების ამბავი მოიკითხა. საღამოს გამართულ სუფრაზე ზორბეგ ჩაჩბას მეზობლები ეწვივნენ. „ჩვენი საუბარი დალ-წებელდელთა გადასახლებას შეეხო. გადასახლების წინ, ეს ორი მხარე აფხაზეთის ერთ-ერთ ყველაზე მჭიდროდ დასახლებულ ადგილს წარმოადგენდა. დღეისათვის კი თითქმის არცერთი აფხაზი იქ არ ცხოვრობს. მათგან მიტოვებულ, სამოთხისდარ ადგილებში სომხები, ბერძნები, ქართველები და მეგრელები დასახლდნენ. სუფრაზე, გადასახლების შემსწრე ერთი მოხუცი იყო. გულისტკივილით მომიყვა ამ მშვენიერი მხარის დაცარიელების ამბავს. მაშინ ასე გაჰყვიროდნენ თურმე, რომ თურქეთში წასულები თავისუფლებასა და სიმდიდრეში იქნებიან, იქ გარდაცვლილები პირდაპირ სამოთხეში წავლენო, ვისაც ღორების მწყემსობა უნდა, აქ დარჩეს, ვისაც ბედნიერი და თავისუფალი ცხოვრება უნდა, თურქეთში გადასახლდესო“.[3]

ბუტბაის დღიურის მიხედვით, ის 22 აგვისტოს, ნაშუადღევს, კვეზანიდან მიშე მუანსა და მის ოთხ მხლებელთან ერთად ოჩამჩირესკენ გამოემართა. გზაზე, ერთ სოფელში ადგილობრივმა გლეხმა ისინი სახლში შეიპატიჟა, სუფრა გაუწყო და ღამის გასათევადაც დატოვა. ბუტბაი აღფრთოვანებთ შენიშნავს, რომ გლეხის ეზოში სუფთა დანა-ჩანგლებით, ხელსახოცებითა და გადასაფარებლებით მორთული, აფხაზური ღვინოებით დამშვენებული ოცკაციანი დიდებული სუფრა გაიშალა. ბუტბაიმ ისიც შეამჩნია, რომ სუფრაზე ქალები არ იყვნენ, მასპინძელი ქრისტიანი იყო, თუმცა ძველი ადათ-წესების მიმდევარი.[4]

მეორე დღეს ბუტბაი ოჩამჩირეში ჩავიდა და მიშე მუანის სახლში გაჩერდა. მისთვის მთავარი სასწრაფოდ სტამბოლში გაბრუნება იყო, რადგან სამსახური-

---

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**.., გვ. 112.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**..., გვ. 112.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**..., გვ. 114-115.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**..., გვ. 117.

დან მხოლოდ ორთვიანი შვებულება ჰქონდა აღებული, რასაც თითქმის შვიდი თვით გადააცილა. ფიქრობდა, რომ სამსახურიდანაც გაანთავისუფლეს და ამრიგად, მისი 15 წლიანი პედაგოგიური კარიერაც ამ მოგზაურობას შეეწირა.[1]

ბუტბაის განსაკუთრებით უფულობა აშფოთებდა, რადგან ხელთ ქართული ფული ჰქონდა, რომლის მსყიდველობითი ღირებულება ყოველდღე ეცემოდა. თავისი წუხილი და სტამბოლში დაბრუნების განზრახვა ბუტბაიმ მასპინძელს გაუმხილა. მიშე მუანმა ის დაამშვიდა, შეახსენა, რომ სოხუმში ელოდებოდნენ და იქ ჩაუსვლელად თურქეთში გაბრუნება მართებული საქციელი არ იქნებოდა.[2]

25 აგვისტოს, დილის ხუთ საათზე, ბუტბაი და მიშე მუანი ოჩამჩირედან სოხუმისაკენ ავტომობილით გავიდნენ. ტამიშში ისაუზმეს და ნაშადღევისთვის სოხუმში მივიდნენ. სოხუმის აღწერისას ბუტბაი აღტაცებას ვერ მალავს: „სამოთხისებურ სილამაზესა და სიმწვანეში მიმავალი გზით სოხუმში შევედით. თავი ბუიუკადაში მეგონა. ყოველმხრივ საზაფხულო კურორტის ხედებია. მოწესრიგებული და გეომეტრიული სისწორის ქუჩები, დიდებული ყვავილნარები, საშუალო სიმაღლის ერთ და ორსართულიანი, გემოვნებიანი სახლები. სამხრეთით ფართო ნავსადგურით შემოსაზღვრული ეს ქალაქი, ყველაფრით თანამედროვე ქალაქების დარია. კედელივით აღმართული კავკასიის მთა, აფხაზეთის ამ ძველ დედაქალაქს ჩრდილოეთის მკაცრი ქარისაგან იფარავს, ამიტომ აქ ზამთარში ზომიერი, ხოლო ზაფხულში გრილი ჰავაა. სამართლიანად უწოდა ერთმა ფრანგმა მწერალმა სოხუმს კავკასიის ნიცა. ერთ დროს აქ აფხაზურისა და თურქულის გარდა სხვა საუბარი არ ისმოდა, ახლა კი რა სამწუხაროა, რომ ყოველმხრივ მეგრული და ქართული ისმის. გადასახლებების შედეგად ეს კოხტა აფხაზური ქალაქი ჯერ გამეგრელებულა, ახლა კი გაქართველების გზაზეა. სოხუმში ძალიან ცოტა აფხაზი ცხოვრობს. დიდ უმრავლესობას მეგრელები და ქართველები შეადგენენ. თითო-ოროლა, დროებით შემოსული თურქი მეზღვაურიც გვხვდება“.[3]

მიშე მუანმა ბუტბაი „ქალაქის ყველაზე კარგ სასტუმროში“, ოთახში ზღვის ხედით დააბინავა, მცირე ხნით დასვენება ურჩია, რომ შემდეგ სოხუმელ მასპინძლებთან შესახვედრად წაეყვანა.[4]

მუსტაფა ბუტბაის ჩანაწერების გამომცემელი აქ ამთავრებს მისი ჩანაწერების მესამე რვეულს, რითაც სრულდება ბუტბაის „მოგონებები კავკასიაზე“.

ბუტბაი სოხუმში რამოდენიმე დღე დარჩა. აქ ის შეხვდა საზოგადოებრიობის წარმომადგენლებს, აფხაზი მუჰაჯირების საქმეთა სოხუმის ცენტრალური კომიტეტის წევრებს. სოხუმში გამართულ შეხვედრებზე ბუტბაი საუბრობდა თურქეთში მცხოვრებ აფხაზებზე, აღნიშნა მათი ყოფა-ცხოვრების დამახასიათებელი ზოგიერთი დეტალი, როგორიცაა შაბათობით მიცვალებულების მოხსენიე-

[1] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**..., გვ. 118.

[2] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları**..., გვ. 119.

[3] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 120; ბუიუკადა - საკურორტო კუნძული სტამბოლთან.

[4] **Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları...,** გვ. 120-121; სასტუმრო „სან-რემო” (დღევანდელი „რიწა”).

ბა და მათთვის წლისთავის გადახდა. ასევე, თურქეთის აფხაზებში გავრცელებული ყოფილა ცხენის ქურდობა მისი იარაღში გადაცვლის მიზნით. ბუტბაი ამტკიცებდა, რომ თურქეთში 200 ათასი აფხაზი ცხოვრობდა და ისინი თავისუფლად საუბრობდნენ აფხაზურ ენაზე, განათლების მიღებას კი სამხედრო სამსახურში შესვლას ამჯობინებდნენ. 27 აგვისტოს აფხაზი მუჰაჯირების საქმეთა სოხუმის ცენტრალურმა კომიტეტმა ბუტბაის საზეიმო გაცილება მოუწყო და 7 ათასი მანეთი გადასცა თურქეთის აფხაზობის განათლების საჭიროებებისათვის. ბუტბაი ბათუმის გავლით დაბრუნდა სტამბოლში.[1]

მუსტაფა ბუტბაის, ისმაილ ბერკოკისა და აზიზ მეკერის[2] კავკასიაში მოგზაურობა მიმდინარეობდა რეგიონში ძირეული პოლიტიკური და სოციალური გარდაქმნების ფონზე. მუსტაფა ბუტბაი თავის ჩანაწერებში გვაწვდის არაერთ ძვირფას ცნობას იმდროინდელი პოლიტიკური ურთიერთობების შესახებ კავკასიის რეგიონში, თავისებური თვალთახედვით ასახავს კავკასიისა და საქართველოში შექმნილ ვითარებას.

მუსტაფა ბუტბაის „მოგონებები კავკასიაზე", საინტერესო და სანდო წყროა როგორც საქართველოს, ასევე ჩრდილოეთ კავკასიის ისტორიის უაღრესად რთული და წინააღმდეგობებით სავსე პერიოდის შესწავლისათვის.

---

[1] გაზეთი **„აფსნი"**, 28 აგვისტო 1920წ. (აფხაზურ ენაზე); **Ш. Д. Инал-ипа. Зарубежные Абхазы..,** გვ. 10-11, 44; ბუტბაის ჩანაწერების პირველ რვეულში მოხაზულია მოგზაურობის რუკა, სადაც სოხუმიდან ბათუმსა და იქიდან სტამბოლში ჩასვლა არის აღნიშნული.

[2] **ისმაილ ბერკოკი, İsmail Berkok** (1890-1954) ოსმალეთის იმპერიისა და თურქეთის რესპუბლიკის სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე, ეთნიკური ყაბარდოელი. 1918 წ. აზერბაიჯანსა და დაღესტანში მოქმედი „კავკასიის ისლამური არმიის" შტაბის ოფიცერია. 1946 წ. გადადგა სამსახურიდან გენერალ-მაიორის ჩინით. თურქეთის პარლამენტის წევრი 1950-1954 წლებში. 1958 წ. გამოიცა მისი წიგნი **Tarihte Kafkasya**; **აზიზ მეკერი, Aziz Meker** (1877-1941) ოსმალეთის იმპერიისა და თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. ეთნიკური აბაზა. 1920-1922წწ. თურქი ხალხის ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის მონაწილე. საბჭოთა რუსეთში თურქეთის საელჩოს მდივანი. 1923წ. თურქეთში დაბრუნების შემდეგ ეწეოდა პედაგოგიურ საქმიანობას.

Zaza Tsurtsumia
PhD in History

MUSTAFA BUTBAY AND HIS „MEMORIES OF THE CAUCASUS“

In 1990, Turkish Historical Society of the Ataturk Supreme Council for Culture, Language and History published “Memories of the Caucasus” by Mustafa Butbay. (Mustafa Butbay. Kafkasya Hatıraları. Atatürk Kültür, Dil ve Tarih Yüksek Kurumu. Türk Tarih Kurumu Yayınları XXIV. Dizi-Sa. 4. Ankara. 1990.)

Ahmet Cevdet Canbulat translated from Ottoman Turkish language into modern Turkish languages the diaries of Mustafa Butbay written during the traveling through the Caucasus.

Mustafa Butbay (Butba) was the member of the Abkhazian family, which was exiled to the Ottoman Empire from Abkhazia. He was born in Anatolia, nearby to the Eskişehir, in the village Ağapinar. Since 1905 he had done teaching activities in the Istanbul, including in the Galatasaray Lyceum.

In 1918, Mustafa Butbay became the member of the “North Caucasus Political Society” (Şimali Kafkasya Cemiyet-i Siyasiyesi). This Society was founded in İstanbul by the support of Enver Pasha, the leader of the Ottoman Empire ruling party “The Committee of Union and Progress” and Ottoman Minister of War.

Enver Pasha wanted to promote creating the Islamic State in North Caucasus by using the “North Caucasus Political Society”. This Islamic State would be under the protection of Ottomans and should fight against Russia.

In early 1920, The member of the Parliament of The Mountainous Republic of the Northern Caucasus Abubakar Pliev arrived in Turkey, where he had a meeting with the leader of the Turkish War of Independence Mustafa Kemal Paşa in Sivas. As Butbay writes, on this meeting was decided to send delegation to the North Caucasus. Other versions offer us Butbay’s companions Aziz Meker and Ismail Berkok. They wrote that the delegation was sent by the order of Jemal Pasha and Pevzi Pasha, the Ottoman Defense ministers.

From February 1920 to July 1920 the delegation, which included representatives of the Turkish North-Caucasian Diaspora Ismail Berkok and Aziz Meker, besides Mustafa Butbay, was traveled in the Caucasus. The aim of Delegation was define the situation in the North Caucasus and begin movement for freedom in the mountainous people.

The members of Delegation arrived in Tbilisi from Istanbul through Batumi, then arrived to Baku and after that in March, 1920 they arrived in Dagestan. In Dagestan the delegation had a meeting with the head of the local Bolsheviks Celal Korkmazov and religious leaders as well.

The Delegation moved from Dagestan to Chechnya and they stayed in the village of Vedeno. In Vedeno they carried out the preparatory works for inviting Chechnya-Dagestan People’s Congress. This Congress was held in 1920, on the

holy hill of Chechnya Khetosh korta, nearby to the village of Tsenteroy in the district of Nojay-Yurt. The Congress elected the "National Assembly", which should fight for freedom of the North Caucasus. National Assembly deputies took oath of freedom.

In this period of time the Soviet government was strengthened in the North Caucasus. The Bolsheviks mistrust the activities of the Turkish Delegation and they decided to arrest the Delegation. Butbay and companions was forced to look for shelter in the remote villages of Chechnya-Ingushetia and finally they decided to move to Georgia.

n the 7th June of 1920, Mustafa Butbay, Aziz Meker and Ismail Berkok came to Georgia through Ingushetia Dzeyrakh Gorge. Georgian border guards arrested them for one day and took their guns, after that the Delegation went to Kazbegi and then to Tbilisi. On July Aziz Meker and Ismail Berkok went back to Turkey. Mustafa Butbay had to make preaparations to go to Abkhazia.

Butbay arrived in Abkhazia on the 17th August of 1920. He visited Gali and Ochamchire and On 25 August arrived in Sukhumi, where he remained for several days. At the meeting in Sukhumi, Butbay was talking about lives of Abkhazians in Turkey; he referred as their accommodation places the following districts: Izmit, Adapazari, Hendek, Düzce, Eskişehir, Sivas, and Samsun. Butbay noted some details that are characteristic to Abkhazians that live in Turkey, such as mentioning the deceased on Saturday and play anniversary for them. Butbay asserted that 200 thousand Abkhazians lived in Turkey and they were speaking freely in Abkhazian language; Youth did not want to take education and preferred military service. Turkish Abkhazians desire to return to the homeland.

In August 27 the society of Sokhumi arranged the sendoff Mustafa Butbay and gave him 7 thousand Georgian Maneti for education of Turkish Abkhazians. Butbay arrived back in Istanbul through Batumi.

Mustafa Butbay's "Memories of the Caucasus" is an important and credible source for the study of the history of struggle for independence of the North Caucasian Mountaineers in 1920. It's interesting the observations of Mustafa Butbay on the Democratic Republic of Georgia and as well on the social and ethnic issues in autonomous region of Abkhazia in Georgia.

რამაზ ჟანტურია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სომხური წრეების პრეტენზიები ქართულ მიწებზე XIX ს. - XX ს. 20-იან წლებში

სომხური სახელმწიფოებრიობა ამიერკავკასიაში მე-11 საუკუნემდე არსებობდა. ამ დროს ის დაეცა და სომხები თანდათან უცხო ქვეყნებში გაიფანტნენ. მე-11 საუკუნემდე[1] სხვადასხვა დროს, ე.წ. „დიდი სომხეთი" პრეტენზიას აცხადებდა, რათა თავისი გავლენის ქვეშ მოექცია მთელი კავკასია. სომხეთის ეკლესიის საჭეთმყრობელნიც ცდილობდნენ, დაექვემდებარებინათ ქართული და ალბანური ეკლესიები, მონოფიზიტურ (გრიგორიანულ) აღმსარებლობაზე მოექციათ ისინი და ჩრდილო კავკასიელებიც. გეოგრაფიული მდებარეობის თვალსაზრისით, კავკასიის ცენტრს, გულს საქართველო წარმოადგენდა (მეტადრე აღმ. საქართველო) და არა სომხეთი. ამიტომ, სომხეთის საერო და საეკლესიო ხელისუფლებმა მიზნად დაისახეს ქართველთა გასომხება, საქართველოს გასომხურება.[2]

XI საუკუნეში სომხური საუკუნე შეიქმნა სომხეთის გარეთ, კილიკიაში, ხმელთაშუა ზღვის პირას. მაგრამ, ისიც 1375 წელს საბოლოოდ დაეცა.[3] მე-11-მე-18 საუკუნეებში სომხები ოცნებობდნენ სომხეთში სახელმწიფოს, სამეფოს აღდგენაზე და კავკასიაში პირველობის მოპოვებაზეც. ამასთანავე, მათ შეითვისეს ცრუ, ყალბი თვალსაზრისით, თითქოს, სომხური მიწები, მხარეები, სომხური სახელმწიფოს არარსებობის ვითარებაში, ქართველებმა მიისაკუთრეს. მას შემდეგ, საქართველო მე-15 საუკუნეში ცალკეულ სამეფო-სამთავროებად დაიშალა, ქართველი ერი ვეღარ ახერხებდა ყველა ქართული მხარის შენარჩუნებას, კარგავდა ზოგ მათგან და სომხური მიწების მიტაცებას როგორ შეძლებდა? ან ირან – თურქეთი დაუშვებდა ამას?

სომხური წრეების პრეტენზიებმა ქართული მიწების მიმართ ახალი ძალით იფეთქა მე-19 საუკუნიდან. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ რუსეთის იმპერიამ საყრდენად ამიერკავკასიაში სომხები გაიხადა, ხოლო ქართველები აითალწუნა[4]. საქმე ისაა, რომ ქრთველთა ერის ნაწილი ვერ ურიგდებოდა რუსეთის მიერ 1783 წლის ტრაქტატის პირობების ფეხქვეშ გათელვას, ქართული სახელმწიფოებრიობის მოსპობას. რაც შეეხებათ სომხებს, 1827 წლისათვის, როცა რუსებმა აიღეს ერევანი, ე.წ. რუსეთის სომხეთში, დღევანდელი სომხეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდა დაახლოებით სულ 25000 სომეხი, ე.ი. ერთი დაბის მოსახლეობის ოდენი. რუსეთის წყალობით, სომხური მოსახლეობა დაუბრუნდა

---

[1] ბიზანტიის იმპერიამ 1045წ. გააუქმა ანისის სამეფო.

[2] **ა. აბდალაძე**. რა ბედისანი ვართ ქართველები. თბ., 2002.

[3] Г.Р. Мархулия. Из истории армянской националистической партии «Дашнакцутюп» и её политики в отношении Грузии, Жур. Исторические разыскания. Тб., 2002.

[4] Г.Р. Мархулия. Административная политика Российской империи на Кавказе и вопросы армяно-грузинского антогонизма. Тб., 2004.

სომხეთს: ამასთანავე, მაშინ, როდესაც რუსეთის ხელისუფლებამ მოსპო ერთ-მორწმუნე ქართული ეკლესიის ავტოკეფალია, გრიგორიანულ სომხურ ეკლესიას, ეჩმიაძინს ავტოკეფალია შეუნარჩუნა. რუსეთის მესვეურნი აცხადებდენენ, რომ ერთ სახელმწიფოში, ე.ი. რუსეთის იმპერიაში არ შეიძლებოდა ყოფილიყო ორი მართლმადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია. ამასთან დაკავშირებით ე. თაყაიშვილი შენიშნავდა, რომ ბიზანტიის იმპერიაში არსებობდა ოთხი მართლ-მადიდებლური ავტოკეფალური ეკლესია **(იხ. მოგონებები გარდასულ დღეთა, ილია ჭავჭავაძე, თბ., 1987წ, გვ. 282)**. ვაი, რომ სხვადასხვა ერთა თვითმყოფადობის მოსპობაში რუსეთმა ბიზანტიის იმპერიასაც აჯობა.

რუსეთს სომხური ეკლესია, ეჩმიაძინი სჭირდებოდა იმისთვის, რომ თავისი გავლენის ქვეშ მოექცია სხვადასხვა ქვეყანაში, კერძოდ, თურქეთში, ირანსა და სხვაგან მცხოვრები სომხები და ამიტომ შეუნარჩუნა მწვალებლურად მიჩნეულ სომხურ ეკლესიას ავტოკეფალია.

XVIII ს-ის II ნახევრის ცნობილი მოგზაური, აკად. გიულდენშტედტი წერდა, რომ ჯავახეთი ქართული მხარე არისო **(გიულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტ.1, გ. გელაშვილის გამოცემა, თბ., 1962, გვ. 215)** თურქეთის ბატონობის მიუხედავად, ქართველმა ერმა შეძლო ჯავახეთისთვის ქართული იერსახე, ქართული სული შეენარჩუნებინა. რუსეთის ხელისუფლებისა და სომხური წრეების ძალისხმევით კი XIX-XX სს-ში ქართული მხარე – ჯავახეთი სომხურ მხარედ აქციეს. შაჰ-აბასმა ქვემო ქართლში თათრები ჩამოასახლა, მაგრამ განა ეს უსამართლობა არ უნდა გამოსწორდეს? ისიც უნდა ითქვას, რომ სომხები მე-19 ს-დეც გარკვეული რაოდენობით ცხოვრობდნენ ჯავახეთ-შიც, ქვემო ქართლშიც და სხვა ქართულ მხარეებშიც. ჯერ ერთი, როცა XI საუკუნიდან სომხები სხვა ქვეყნებში გაიფანტნენ, მათ ერთიათ, პირველ რიგში მეზობელ საქართველოში დამკვიდრებულიყვნენ, რადგან თუ შესაძლებლობა მიეცემოდათ, აქედან უფრო ადვილად დაბრუნდებოდნენ მშობლიურ სომხეთში[1]. ქართველებისთვისაც უკეთესი იყო, რომ სომხეთში ეცხოვრათ ქრისტიანებს და არა მუსლიმებს. მეორეც, კავკასიის ერთიანი სახელმწიფოს შექმნა სომხეთმა კი არა, საქართველომ შეძლო XII ს-ში. XIII საუკუნიდანაც, ძნელბედობის ხანაში, ქართველი ერი კვლავ ფიქრობდა კავკასიის ერთიანობაზე და ყველა გაჭირვე-ბულ კავკასიელს თავშესაფარს აძლევდა საქართველოში. ცხადია, მაშინ არ ფიქრობდნენ იმაზე, რომ შემოხიზნული სომხები, ოსები, აფსუები თუ სხვები პრეტენზიას განაცხადებდნენ ქართული მიწების მიტაცებაზე.

რუსეთის ხელისუფლებამ ქართველი ერის დასჯა განიძრახა იმ გზითაც, რომ ეთნიკურად აეჭრელებინა საქართველო. ამ მიზნით XIX - XX სს-ში საქართველოში სამცხე-ჯავახეთში, თბილისში, აფხაზეთში და სხვაგან დიდი რაოდენობით ჩამოასახლეს კერძოდ, სომხური მოსახლეობა, ამისთანავე საქა-რთველოს ეკონომიკა, ვაჭრობა, მნიშვნელოვანწილად, რუსეთის მთავრობამ მე-ტადრე, 1917 წლის რევოლუციამდე სომხებს ჩაუგდო ხელში, ქართველი ერის ნაოფლარს სომხები ითვისებდნენ, ქართულ მიწებს ყიდულობდნენ და გაუჩნდათ

---

[1] **ივ. ჯავახიშვილი.** საქართველოს საზღვრები., თბ., 1919.

პრეტენზია, რომ მთელი საქართველო ჩაეგდათ ხელში[1]. სომხურმა წრეებმა გააჩაღეს სათანადო პროპაგანდაც, თითქოს, საქართველო ყოველთვის, ისტორიულად სომხეთის ნაწილი, პროვინცია იყო და თუ ქართული კულტურა იქმნებოდა, მას სომხები ქმნიდნენ თვით შოთა რუსთაველის ჩათვლით.

ამგვარ პროპაგანდას უკვალოდ არ ჩაუვლია. სომხებმა შეძლეს ბევრი ცნობილი პიროვნების მიმხრობა, ქართველი ერის საწინააღმდეგოდ განაწყვეს ისინი. ასე, მაგ. თბილისში 1881 წ. გამართულ რუსეთის არქეოლოგთა (სიძველეთმცოდნეთა) ყრილობაზე, ცნობილმა პეტერბურგელმა მეცნიერმა, ხვოლსონმა თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა: მოხარული ვარ რომ ვიმყოფები სომხეთის დედაქალაქ თბილისშიო. ყრილობას ესწრებოდნენ ცნობილი ქართველი მოღვაწეები, აკაკი წერეთელი და სხვები. ცხადია ისინი აღშფოთდნენ.

საერთოდაც, ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა და სხვა ქართველი მორვაწეები იგრძნობდნენ, რომ სომხური წრეების უსაფუძვლო პრეტენზიებს ქართული მიწების მიმართ, იმაზე, რომ ხელთ ეგდოთ საქართველოში წამყვანი პოზიციები, კარგი არაფერი მოყვებოდა. მათ განგაში ატეხეს. ეს აუცილებელი იყო, რათა ქართველი ერი, მისი ნაწილი მაინც სომხური წრეებისაგან მოსალოდნელ საფრთხეს მზადყოფნაში დახვედროდა. ამ მხრივ განსაკუთრებით დიდი როლი შეასრულა ილიას „ქვათა ღაღადმა“. მართლაცრომ სომხეთის დაშნაკურმა მთავრობამ 1918 წლის დეკემბერში ჯარი შემოუსია საქართველოს[2], მიუხედავად ჩვენი იმდროინდელი ხელისუფლების არაეროვნულობისა, ქართველი ერის ერთმა ნაწილმა შეძლო დარაზმვა და მტრისთვის, მომხდურისთვის საკადრისი პასუხის გაცემა. ეს ილიას, აკაკის, ვაჟას და მათ შემოქმედებაზე აღზრდილი ქართველების დამსახურება იყო და არა საქართველოს ხელისუფლებისა. რუსეთის ხელისუფლების წყალობით, თუ ვის უვარდებოდა ხელთ საქართველოს, თბილისის ბედი, ამის ნათელსაყოფად ერთ მაგალითს მოვიყვანთ. ლ.ხატისოვი (ხატისიანი), 1907 წელს თბილისის ქალაქის თავის (მერის) მოადგილე გამხდარა, ხოლო 1910 წლიდან 1917 წლამდე თბილისის თბილისის ქალაქის თავი ყოფილა. ამ თანამდებობაზე თითქმის ათი წელი ვიყავიო, წერს ხატისოვი. გულისხმობს იმას, რომ მისი მოადგილეობის დროს ქალაქისთავი ჩერქეზოვი (ჩერქეზიშვილი) ავადმყოფობდა და მას ხატისოვი ცვლიდა. ბუნებრივია, დავსვათ კითხვა: რამდენად მახლობელი იყო თბილისის ქალაქისთავ ხატისოვისთვის ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესები? ხატისოვის სიტყვით, საქართველო 1918 წელს სარგებლობდა სომხეთის შეჭირვებული მდგომარეობით, ქართველები „ცდილობდნენ თავიანთ სასარგებლოდ გადაეწყვიტათ ტერიტორიული დავა, დაეპყროთ ბორჩალოსა და ახალქალაქის (ე.ი. ქვემო-ქართლის და ჯავახეთის) მაზრები. ამნაირად შეიქმნა ის ატმოსფერო, რომლისგანაც იშვა სომხურ-ქართული ომი.

ამ ომის უშუალო საბაბი იყო: 1. სომხეთი ცდილობდა თავისუფალი გასასვლელი ჰქონოდა ბათუმისკენ; 2. შეეერთებინა ლორეს და ახალქალაქის „წმინდა

---

[1] Г.Р. Мархулия. Армяно-грузинские взаимоотношения в 1918-1920гг., Тб., 2004.

[2] Г.Р. Мархулия. Армяно-грузинские взаимоотношения в 1918-1920гг., გვ.

სომხური მაზრები, რომლებზედაც საქართველო ადებდა ხელს".[1] ქართველებს არ ჰქონდათ იმის გარანტია, რომ ხატისოვი და მისი ამქარი სომხეთთან ბათუმის შეერთებასაც არ მოითხოვდნენ. დაშნაკურ რუკებზე ასეც ხდებოდა. ხატისოვი რიხიანად აცხადებს: „ჩვენ არ შეგვეძლო შევრიგებოდით ახალქალაქის დაკარგვას, თუმცა ქართველებმა ჯერ კიდევ 1918 წ. დეკემბერში დაიპყრეს იგი და ბოლომდე ეკავათ".[2]

ინგლისის დახმარებით სომხებმა მიაღწიეს იმას, რომ 1919წ. დასაწყისში ქვემო ქართლის სამხრეთი ნაწილი, ლორე-ტაშირი,[3] რომლის გადასარჩენადაც ქართველები ჯვაროსნულ ლაშქრობებს აწყობდნენ საუკუნეთა განმავლობაში და სისხლის უკანასკნელ წვეთამდე იბრძოდნენ, ნეიტრალურ ზონად გამოცხადდა. 1921 წ. კი, ბოლშევიკური რუსეთის ხელისუფლებამ ლორე-ტაშირი ჩამოართვა საქართველოს და გადასცა სომხეთს, ისევე როგორც საინგილო გადასცა აზერბაიჯანს.

დღესაც სომხური წრეები დიდ პრეტენზიებს აცხადებენ ქართულ მიწებზე, არა მარტო ჯავახეთზე, წალკაზეც. კვლავ გაჩაღებულია პროპაგანდა, რომ საქართველოში თუ რამე გაკეთებულა და კეთდება, ეს სომხების ღვაწლია. კვლავ იქმნება საფრთხე, რომ ლორე-ტაშირივით რადიკალურად განწყობილი სომხები შეეცდებიან სხვა ქართული მიწების მიტაცებასაც. იგივე აფხაზეთში სომხების ერთი ნაწილი აფსუებს დაეხმარნენ ქართველთა წინააღმდეგ, ეს იმიტომაც, რომ საქართველო დასუსტდეს და მის ნანგრევებზე სომხეთმა ხელი მოითბოს. ქართველმა ერმა უნდა გააცნობიეროს რადიკალური სომხური წრეებისაგან მომდინარე საფრთხეც და მზად იყოს თავის დასაცავად ამ ფრონტზეც.

---

[1] **ა. აბდალაძე**. მეტი ობიექტურობა! „მნათობი", 1998, №3-4, გვ. 187.

[2] **ა. აბდალაძე**. მეტი ობიექტურობა! „მნათობი", 1998, №3-4, გვ. 182-183.

[3] Г. Р. Мархулия. Армяно-грузинская конференция и образование Лорийской нейтральной зоны., Тб., 2006.

Ramaz Chanturia
PhD in History

THE CLAIMS OF THE ARMENIAN CIRCLES TO THE GEORGIAN LANDS

Since the foundation of the Armenian Kingdom in 190 A.D. Armenia set off its aggression against the Georgian State. As a result of this aggression Khordzene, Gugareti and Periadri became part of the territory of Armenia. Since then the Armenian-Georgian relations have been marked by the territorial claim of Armenia to Georgia.

In the second half of IX century the Armenian leaders established two Armenian kingdoms on the Georgian historical land: Tashiri and Vanandi. In the 50-ies of XII century the Byzantine Empire abolished the AnisiKingdom. In the years that followedGeorgia returned the historical territories of Tuisi. In XIX century the Russian Empire founded the Yerevan province. The Armenian nationalistic powers desiredto establish another Armenian province at the expense of the Georgian historical land, in particular, the Alexandropol province which was to embrace Akhalkalaki, Akhaltsikhe, Loche, Borchalo, Dmanisi and the two-thirds of the territory of Tbilisi but the First World War prevented them from carrying out their plans. After the declaration of independence the Armenian Government again set up a territorial claim to Georgia. In consequence of those claims the Armenian authorities started a disgraceful war against Georgia but were defeated and had to renounce their claims.After the sovietization of the South Caucasus the Communist authorities of Georgia transferred to Armenia Lore, a historical Georgian territory. In spite of all this Armenia's territorial claims to Georgia haven't been completed yet.

ზურაბ პაპასქირი,
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

კავკასიაში რუსეთის იმპერიული პოლიტიკის ზოგიერთი ასპექტი კავკასიური ომი XIX საუკუნეში და მისი შედეგები

კავკასია რუსული პოლიტიკური სამყაროს ინტერესების სფეროში მოხვდა ჯერ კიდევ კიევის რუსეთის სახელმწიფოს ჩამოყალიბების საწყის ეტაპზე (IXს. II ნახევრიდან), როდესაც ცალკეული რუსული (რუს-ნორმან-ვარიაგთა) რაზმები ლაშქრობდნენ კასპიისპირეთში.[1] მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ლაშქრობები, ერთი შეხედვით, ნადავლის მოსაპოვებლად გამიზნული მეკობრული (ვარიაგ-ნორმანებისათვის დამახასიათებელი) ხასიათისა იყო, მეცნიერებაში თითქმის დადგენილად ითვლება, რომ IX-XIს. I მესამედში კასპიისპირეთში განხორციელებულ სამხედრო აქციებს გარკვეული პოლიტიკური მოტივაციაც გააჩნდა და მათ უკან ახლად აღმოცენებული კიევის სახელმწიფო იდგა, რომელსაც სკანდინავიიდან მოსული რუს-ვარიაგი მთავრები განაგებდნენ.[2] ძველი რუსული მატიანეები გვაწვდიან ცნობებს ცალკეულ რუს მთავრებსა და ჩრდილოეთ კავკასიელ ტომთა დაპირისპირების შესახებაც. კერძოდ, მათში მოთხრობილია კიევის დიდი მთავრის სვიატოსლავის მიერ „კოსოგებსა“ (ადიღები) და „იასებზე“ (ოსები) მოპოვებულ (965წ.) გამარჯვებაზე; ტმუტარაკანის მთავარ მსტისლავ ვლადიმირის ძის გალაშქრებაზე (XIს. 20-იან წლებში) „კოსოგების“ (ადიღების) წინააღმდეგ და ადიღთა ბელად რედედისთან მის ორთაბრძოლაზე[3] (ეს ფაქტი ცნობილია ადიღური გადმოცემებითაც).[4] იმავე რუსული მატიანის ცნობით, ალანია-ოვსეთის საზღვრამდე მისდია ყივჩაყებს 1116 წელს იაროპოლკ

---

[1] ამის შესახებ ვრცლად იხ.: З. В. Папаскири. У истоков грузино-русских политических взаимоотношений. Тб., 1982, გვ. 25-27; **რ. მეტრეველი, ზ. პაპასქირი**. საქართველო და ძველი რუსეთი. IX-XI საუკუნეების I მესამედი. – ქართული დიპლომატია. წელიწდეული, ტ. XIV. თბ., 2010, გვ. 57-86.

[2] უკანასკნელ პერიოდში ზოგიერთი მკვლევარი იქითკენაც, რომ აღნიშნული ლაშქრობები განხორციელებული იყო ძველი რუსეთის სხვა ცენტრებიდან – ჩერნიგოვიდან და აზოვისპირეთიდან. იხ.: В. М. Бейлис. О значении сведений средневековых арабских авторов для изучения внешней политики Древней Руси. – Внешняя политика Древней Руси: Юбилейные чтения, посвященные 70-летию со дня рождения чл.-корр. АН СССР В. Т. Пашуто. Москва, 19-22 апреля 1988 г. Тезисы докладов. М., 1988, გვ. 10; **В. Я.** Петрухин. Походы Руси на Царьград: К проблеме достоверности летописи. – Восточная Европа в древности и средневековье: Международная договорная практика Древней Руси. IX Чтения памяти чл.-корр. АН СССР В. Т. Пашуто. Москва, 16-18 апреля 1997 г. Материалы к конференции. М., 1997, გვ. 68-69.

[3] Повесть временных лет по Лаврентьевской летописи 1377 г. Текст и перевод. Подготовка текста Д. С. Лихачева, пер. Д. С. Лихачева и Б. А. Романова под ред. В. П. Адриановой-Перетц. М.-Л., 1950, ч. I, gv. 9.

[4] *Ш. В. Ногмов. История адыгейского народа. Нальчик, 1958, gv. 120-122.*

ვლადიმირ მონომახის ძემ, სადაც დაქორწინდა კიდეც ოსთა მთავრის ასულზე.[1]

მაგრამ რუსეთი, როგორც აქტიური პოლიტიკური მოთამაშე კავკასიაში რეალურად გამოჩნდა XVIს. შუა ხანებიდან, მას მერე რაც საბოლოოდ ჩამოყალიბდა ერთიანი რუსული სახელმწიფო და მისი ხელმწიფე – მოსკოვის დიდი მთავარი – ივანე IV 1547 წელს საზეიმოდ ეკურთხა მეფედ. ყაზანისა (1552წ.) და ასტრახანის (1556წ.) სახანოების დაპყრობის შემდეგ რუსეთის სახელმწიფო მოადგა კავკასიას. 1557წ. დაიდო პირველი სამხედრო-პოლიტიკური ხელშეკრულება მოსკოვსა და ყაბარდოს მთავარ თემურყვას (თემრიუკ იდაროვს) შორის, რომელიც დინასტიური ქორწინებით განმტკიცდა. ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოზიციები რუსეთმა სუნჯასა და თერგის შესართავთან (1567წ.) და თერგის დელტაში (1588წ.) ციხე-სიმაგრეების აგებით გაამყარა. უფრო მეტიც, სწორედ ამ პერიოდში (1564-1571წწ.) ლევან კახთა მეფის ინიციატივით რუსულმა სამხედრო ნაწილებმა კავკასიონი გადმოლახეს და კახეთში ჩადგნენ. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა XVIს. 80-იან წლებში უკვე იურიდიულად გააფორმა თავისი პროტექტორატი კახეთის სამეფოზე, იმჟამად რუსეთი არ აღმოჩნდა მზად უფრო აქტიურად ჩართულიყო კავკასიის საქმეებში. მთელი XVIIს. მანძილზე მოსკოვის სახელმწიფო, მართალია, იჩენდა გარკვეულ დიპლომატიურ აქტიურობას ქართული პოლიტიკური ერთეულების მიმართ, მაგრამ სამხედრო-პოლიტიკური თვალსაზრისით რაიმე სერიოზული ნაბიჯები კავკასიის მიმართულებით არ გადაუდგამს. რაც შეეხება ჩრდილოეთ კავკასიას, რუსეთი მეტ-ნაკლები წარმატებით ახერხებდა ცალკეული თემებისა და დაღესტნის ზოგიერთი სახანოს აყვანას მფარველობაში, თუმცა ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა რუსეთის მყარ დამკვიდრებას რეგიონში.

მხოლოდ XVIIIს. 20-იან წლების დამდეგს პეტრე I-მა მოინდომა ქართლის მეფე ვახტანგ VI-სთან კავშირში გადამწყვეტი დარტყმის მიყენება სპარსეთისთვის, მაგრამ ე.წ. „ლაშქრობა სპარსეთში“, რომლის მთავარი მიზანი იყო დასავლეთ კასპიისპირეთის რუსეთის სახელმწიფოს კონტროლქვეშ მოქცევა და სრული გავლენის დამყარება მთელ კავკასიაზე, წარუმატებელი აღმოჩნდა და კავკასიაში სტატუს-ქვო შენარჩუნდა. რუსეთის ხელისუფლება გადამწყვეტ შეტევაზე კავკასიის მიმართულებით გადავიდა 1768-1774 წლების რუსეთ-თურქეთის ომის დროს, როდესაც მან გაგზავნა სამხედრო კონტინგენტი საქართველოში და ქართველ პოლიტიკურ ლიდერებთან – ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-სა და იმერეთის მეფე სოლომონ I-თან ერთად პირველად განახორციელა სამხედრო მოქმედებები სამხრეთ კავკასიაში ოსმალეთის წინააღმდეგ. 1774 წელს დადებული ქუჩუკ-კაინარჯის ზავით რუსეთმა პირველად შეიტანა მცირე კორექტივი ოსმალეთის პოლიტიკაში იმერეთის სამეფოს მიმართ. 1774 წელს ჩრდილო კავკასიის სამი ხეობის – ალაგირის, ქურთათის და თაგაურის ოსური თემების (მეოთხე თემი – დიგორი იმჟამად ყაბარდოს ფარგლებში იყო და რუსეთს 1787 წელს შეუერთდა) წარმომადგენლების მოლაპარაკებები რუსეთის ხელისუფლებასთან დამთავრდა ამ თემების, და არა მითიური „ერ-

[1] Ипатьевская летопись. – Полное собрание русских летописей (ПСРЛ). Т. II. М., 1962, გვ. 284.

თიანი“ ოსური სახელმწიფოს (ასეთი რამ იმჟამად საერთოდ არ არსებობდა), რომელიც თითქოს მოიცავდა ჩრდილოეთ და „სამხრეთ ოსეთს“, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში შესვლით. 1774-1781 წლებში რუსეთმა შეიერთა აგრეთვე ჩეჩნური და ინგუშური თემები

1783 წელს დადებული გეორგიევსკის ტრაქტატით, რომლის მიხედვითაც ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის მფარველობაში შევიდა, რუსეთმა კიდევ ერთი სერიოზული ნაბიჯი გადადგა საკუთრივ ჩრდილოეთ კავკასიაში თავისი პოზიციის განსამტკიცებლად. მაგრამ რუსეთის მფლობელობის დამყარებას წინ აღუდგა ჩრდილოეთ კავკასიელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელმაც წამოიწყო „საღვთო ომი“ („ჰაზავათი“) „ურჯულოების“, ანუ ქრისტიანების წინააღმდეგ. ამ ბრძოლას სათავეში ჩაუდგა ყოფილი მწყემსი უშურმა, რომელსაც ეწოდა შეიხი მანსური (არაბულად – „გამარჯვებული“). მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, სწორედ აქედან უნდა დაიწყოს კავკასიის ომის ათვლა. რუსეთის ხელისუფლებამ მხოლოდ XVIIIს. 90-იანი წლების დამდეგს შეძლო ამ მოძრაობის ჩახშობა. მწვავე ანტირუსულ გამოსვლებს ჰქონდა ადგილი დიდ ყაბარდოში 1794-1804 წლებში, სადაც ადრე ლოიალურად განწყობილი ადგილობრივი მუსლიმური ელიტა მოთმინებიდან გამოიყვანა კავკასიის გამაგრებული ხაზის მშენებლობამ. ყაბარდოელთა ეს აჯანყება, რომელშიც აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ყარაჩაელები, ბალყარელები, ინგუშები, ოსები, სისხლში ჩაახშვეს. 1802 წელს გენ. კ. კნორინგმა გაატარა უმკაცრესი ზომები ურჩი თაგაურელი ოსების მიმართ და გადაწვა ოსური სოფლები.

ქართლ-კახეთისა (1801წ.) და იმერეთის (1810წ.) სამეფოების გაუქმებითა და საქართველოში რუსული მმართველობის დამყარებით რუსეთის ხელისუფლებამ საბოლოოდ ჩამოიხსნა ნიღაბი და მთლიანად გამოაშკარავა თავის იმპერიული ზრახვები არა მხოლოდ ერთმორწმუნე საქართველოს, არამედ ზოგადად კავკასიის მიმართ. 1804 წლის მთიულეთის, 1810 წლის იმერეთის, 1812 წლის კახეთის, 1819-1820 წლების იმერეთის აჯანყებები იყო ქართველი ხალხის პასუხი რუსული იმპერიული რეჟიმის მიმართ. თანდათანობით მკაცრდებოდა რუსული რეჟიმი ჩრდილოეთ კავკასიაში, რამაც უკიდურესად გაამწვავა ურთიერთობა რუსეთის ხელისუფლებასა და მთიელ ხალხებს შორის.

ამ დროიდან ფორმულა „Покорение Кавказа“ (კავკასიის დამორჩილება) ოფიციალური დოქტრინის რანგში იყო აყვანილი. ამ ამოცანის გადაჭრას ენერგიულად შეუდგა „კავკასიის რისხვად“ აღიარებული გენ. ალექსი ერმოლოვი (საქართველოს მთავარმართებელი – 1816-1827წწ.), რომლის მოღვაწეობითაც იწყება ჩრდილოეთ კავკასიის დაპყრობის ახალი ეტაპი. მან უმკაცრესი ზომები გაატარა ჩეჩნების (მის სახელს უკავშირდება რუსული ციხე-სიმაგრის გროზნოს დასრულება) მიმართ, რომელთა დაშოშმინების შემდეგ ყაბარდოც დააწყნარა. ა. ერმოლოვმა პრინციპულად უარი თქვა მთიელთა ცალკეული ლიდერების მიმართ ყოველგვარ დათმობებსა და მოსყიდვის პოლიტიკაზე და კურსი ერთნიშნად მათი იარაღის ძალით მორჯულებაზე აიღო. ა. ერმოლოვის პოლიტიკა გააგრძელა მისმა შემცვლელმა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ხელმძღვანელის თანამდებობაზე, გენ. ივანე პასკევიჩმა, რომელმაც პირდაპირი მითითე-

ბა მიიღო იმპერატორ ნიკოლოზ I-ის მხრიდან საბოლოოდ დაემორჩილებინა მთიელი ხალხები, ან „გაეჟლიტა ურჩნი“: „Кончив, таким образом, одно славное дело предстоит вам другое, в моих глазах столь же славное, а в рассуждении прямых польз гораздо важнейшее – усмирение навсегда горских народов или истребление непокорных… воспользоваться сиими обстоятельствами, чтобы произвесть одновременный поиск противу всех горских народов, завладеть важнейшими пунктами их земель, а в особенности низменностями оных, и таким образом, лишив горцев средств пропитания, принудить их к покорности“.[1] ამან კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება ჩრდილოეთ კავკასიაში და მალე იქ ახალი ძალით აზვირთდა კავკასიელ მთიელთა განმათავისუფლებელი ბრძოლა, რომელსაც 1834 წლიდან სათავეში შამილი ჩაუდგა. შეიქმნა იმამატის სახელმწიფო, რომელმაც თავდაპირველად დაღესტანი და ჩეჩნეთი მოიცვა, ხოლო მოგვიანებით მისი ხელისუფლება ჩერქეზებზეც გავრცელდა. 25 წელი გრძელდებოდა შამილის ბრძოლა რუსეთის ხელისუფლების წინააღმდეგ. ის დასრულდა 1859 წლის აგვისტოში შამილის დატყვევებით. რუსეთმა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასია – ჩეჩნეთ-დაღესტანი დაიპყრო, ურჩი მოსახლეობა (დაახლ. 100 000-მდე ჩეჩენი და დაღესტნელი) ოსმალეთში მუჰაჯირების სტატუსით გააძევა და მათ ადგილას რუსული დასახლებები შექმნა.

ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის დაპყრობის შემდეგ, რუსული იმპერიული მანქანის რისხვა დასავლეთ კავკასიის ადიღურ (ჩერქეზულ) და აბაზურ მოსახლეობას დაატყდა, რომელიც აგრძელებდა თავგანწირულ ბრძოლას თავისუფლებისათვის. ამ ბრძოლას შამილის თანამებრძოლი მუჰამედ ემინი მეთაურობდა. მაგრამ კავკასიელ მთიელთა ეს თავგანწირული ბრძოლაც მარცხით დამთავრდა. 1859-1860 წლებში რუსებმა დაიმორჩილეს აბაძეხები, მუჰამედ ემინმა წინააღმდეგობა შეწყვიტა და დანებდა.[2] 1860წ. იანვარში რუსულმა რეგულარულმა ნაწილებმა კონტროლი დაამყარეს ნათხვაჯებით, მახვაშებით, ბესლენეებით დასახლებულ ტერიტორიებზე.[3]

თუ რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა რუსეთის ხელისუფლება ჩრდილო-დასავლეთ კავკასიაში განვითარებულ მოვლენებს ჩანს იქიდან, რომ 1861წ. სექტემბერში საომარი მოქმედებების ზონაში ჩავიდა თვით ალექსანდრე II, რომელმაც დასავლეთ კავკასიის მთიელ ტომთა – აბაძეხების, შაფსუღების, უბიხების და სხვათა წარმომადგენლებს ულტიმატუმი წარუყენა: ან გადასახლებულიყვნენ ყუბანისპირა დაბლობზე, სადაც სამუდამო მფლობელობაში მიიღებდნენ

[1] В. А. Потто. Кавказская война. Т. 2. Ермоловское время. 2007, გვ. 10-11.

[2] В. А. Потто. Кавказская война. Т. 1. Вып. 1. СПб., 1897, გვ. 54, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.პ.**

[3] **ბ. ხორავა.** რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთი. – საისტორიო ძიებანი, 7. თბ., 2004, გვ. 109-132, იხ. ინტერნეტ-ვერსია: https://sites.google.com/site/saistoriodziebani/dziebani2004;

მ. ტყავაშვილი. დაღესტნელთა მუჰაჯირობა XIX საუკუნის 60-იან წლებში. ნაწილი I. – იხ. ინტერნეტ-ვერსია: http://expertclub.ge/portal/cnid__10020/alias__Expertclub/lang__ka-GE/tabid__2546/default.aspx

მიწებს, შეინარჩუნებდნენ თავიანთ სახალხო წყობილებასა და სასამართლოს, ან გადასახლებულიყვნენ თურქეთში.[1] მთიელებმა არ მიიღეს იმპერატორის შეთავაზება და ომი განაახლეს. ამასთან, მათ დელეგაცია გაგზავნეს სტამბოლსა და ევროპის სხვა დედაქალაქებში, მათ შორის ლონდონში, სადაც შეხვედრა ჰქონდათ პრემიერ-მინისტრ პალმერსტონთან, მაგრამ ყოველივე ამას რაიმე რეალური შედეგი არ მოჰყოლია. მთიელები გაიწირნენ. მათ ისღა დარჩენოდათ, რომ ერთიანად ოსმალეთში გადასახლებულიყვნენ.

ამის შემდეგ მოვლენები მთლიანად რუსული სცენარით წარიმართა. რუსეთის ხელისუფლებისათვის, რომლის მთავარი მიზანი სწორედ ურჩი მთიელი „туземц"-ებისაგან კავკასიის გაწმენდა, გამოთავისუფლებულ ტერიტორიებზე რუსული დასახლებების შექმნა და ამ გზით მხარის სრული გარუსება წარმოადგენდა, გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდა. 1864 წლის მაისში, თანამედროვე კრასნაია პოლიანას (ადრინდელი კბაადა) მიდამოებში რუსებმა საბოლოოდ დაამარცხეს ადგილობრივი აფხაზურ-ადიღური თემები და მათი სისხლით მორწყულ მინდორზე მოწყობილი გამარჯვების აღლუმით (1864წ. 21 მაისს) საზეიმოდ გამოაცხადეს კავკასიის ომის დასრულება.[2]

კავკასიის ომის დროს რუსულმა სამხედრო მანქანამ გაწყვიტა ათეული ათასობით კავკასიის მკვიდრი მოსახლეობა. რუსეთის ჯარი მოქმედებდა შეუბრალებლად. ადგილი ჰქონდა ვანდალიზმის ფაქტებს. ამ მხრივ, რად ღირს თუნდაც ის თუ როგორ აჭრიდნენ თავებს მოკლულ მთიელებს რუსი ჯარისკაცები და გარკვეული საფასურის ფასად აბარებდნენ მას სარდლობას, რომელიც ამ „მასალას" უგზავნიდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიას?! ამას ფაქტობრივად დოკუმენტურად ადასტურებს რუსეთის არმიის ოფიცერი გრ. ფილიპსონი: „Трофеями этого дня были несколько трупов горцев, у которых отрубили головы, завернули и зашили в холст. За каждую голову Вельяминов платил по червонцу и черепа отправлялись в Академию Наук. Поэтому за каждого убитого горца была упорная драка… Драка за трупы и отрезывание голов вошли в нравы и обычаи Кавказских войск. На первый раз, несмотря на воодушевление новизной картин и впечатлений, вид завернутых в холст голов, привязанных к концу казачьих пик, вызвал у меня чувство гадливости и омерзения»... Засс, по обычаю, приказал отрезать головы убитых и с этим трофеем возвратился в свой Прочный Окоп. Через год после того, я встретил генерала Засса в Ставрополе. Он ехал на санях, а другие сани, закрытые полостию, ехали за ним. «Куда это, ваше превосходительство, и что вы везете»? – «Еду, земляк, в отпуск и

[1] Акты, собранные Кавказской археографической комиссией (შემდეგში – АКАК). Т. XII, ч. II. Тифлис, 1904, №705, გვ. 827-829, **ბ. ხორავა**. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის.., გვ. 109-110.

[2] АКАК, т. XII, ч. II, №723, გვ. 844; Т. Макаров. Племя адыгэ. III. – გაზ.: «Кавказ», 1862, №31, **ბ. ხორავა**. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის დაპყრობა და აფხაზეთი, გვ. 110.

везу Вельяминову в сдачу решенные дела». С этим словом он открыл полость, и я не без омерзения увидел штук пятьдесят голых черепов. Вельяминов отправил их в Академию Наук“.[1]

მის დროს იყენებდნენ ე.წ. „გადაბუგული მიწის“ („Выжженная земля“) ტაქტიკას, რომელიც ითვალისწინებდა დაკავებული ტერიტორიების გადაწვას, რათა აყრილ მოსახლეობას არ გასჩენოდა მშობლიურ კარ-მიდამოში მობრუნების სურვილი. ამ თვალსაზრისით ნამდვილად გულისშემძვრელია კიდევ ერთი რუსი ოფიცრის ივ. დროზდოვის აღწერილობა: „В конце февраля пшехский отряд двинулся к речке Мартэ, чтобы наблюдать за выселением горцев, а если понадобится, то и силой выгонять их... Поразительное зрелище представилось глазам нашим по пути: разбросанные трупы детей, женщин, стариков, растерзанные, полуобъеденные собаками; изможденные голодом и болезнями переселенцы, едва поднимавшие ноги от слабости, падавшие от изнеможения и еще заживо делавшиеся добычею голодных собак... Живым и здоровым некогда было думать об умирающих... турецкие шкиперы, из жадности, наваливали, как груз, черкесов, нанимавших их кочермы до берегов Малой Азии, и, как груз выбрасывали лишних за борт при малейшем признаке болезни. Волны выбрасывали трупы этих несчастных на берега Анатолии... Едва ли половина отправившихся в Турцию прибыла к месту. Такое бедствие и в таких размерах редко постигало человечество; но только ужасом и можно было подействовать на воинственных дикарей и выгнать их из неприступных горных трущоб... Теперь в горах Кубанской области можно встретить медведя, волка, но не горца…“.[2]

ამ არაადამიანური მეთოდებით რუსეთის იმპერიამ მიაღწია დასახულ მიზანს: მშობლიური მიწა-წყლიდან აიყარა და მუჰაჯირობაში წავიდა ასეული ათასობით ადიღი (ჩერქეზი). იმჟამინდელი რუსული ოფიციალური მონაცემებით 1858-1865 წლებში ოსმალეთში გადასახლდა 493194 ადამიანი. თვით ყველაზე ანტიკავკასიურად განწყობილი თანამედროვე რუსი ექსპერტ-ანალიტიკოსების აღიარებით კავკასიაში მხოლოდ ადიღების (ჩერქეზების) 5% დარჩა სამშობლო-ში. მუჰაჯირობა შემდგომ წლებშიც გრძელდებოდა და ძირითადად 1877-1878 წლების რუსეთ-თურქეთის ომის შემდეგ დასრულდა. რასაკვირველია, მიუხე-დავად იმისა, რომ კავკასიელ მთიელთა ამ უდიდეს ტრაგედიაში გარკვეული

[1] Записки М. Я. Ольшевского. Кавказ с 1854 по 1866 гг. – «Русская старина», 1895, т. 84, №10, გვ. 141; В. Солтан. Военныя действия в Кубанской области с 1861-го по 1864-й год. – Кавказский сборник, т. V. Тифлис, 1880, გვ. 355-359; Покорение Западного Кавказа и окончание Кавказской войны. Исторический очерк. Составил С. Эсадзе. Тифлис, 1914, გვ. 119; **ბ. ზორავა**. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის.., გვ. 115.

[2] Известия о последних военных действиях на Западном Кавказе. – გაზ.: «Кавказ», 1864, 11/25 июня, №44; Ахчипсху. – გაზ.: «Кавказ», 1864, №49; В. Солтан. Военныя действия.., გვ. 467-469; С. З. Лакоба. Очерки политической истории Абхазии. Сухуми, 1990, გვ. 23-24; **ბ. ზორავა**. რუსეთის მიერ დასავლეთ კავკასიის.., გვ. 127-128; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან. ნაკვეთი I. უძველესი დროიდან 1917 წლამდე. თბ., 2004, გვ, 177. ელექტრონ. ვერსია: http://sites.google.com/site/zpapaskiri/publications-georgian

წვლილი ნამდვილად ოსმალეთის მმართველ წრეებს, რომლებიც ეწეოდნენ აქტიურ ისლამისტურ პროპაგანდას და აგრეთვე „მთიელთა წინააღმდეგობის“ მაშინდელ ლიდერებსაც მიუძღვით, მაგრამ სრულიად უდავოა, რომ მისი მთავარი ავტორი და შემოქმედი მაინც რუსეთის იმპერიის ხელისუფლება იყო.

ჩრდილო-დასავლეთ კავკასიის მკვიდრი ადიღი (ჩერქეზი) ხალხებისაგან გაწმენდის შემდეგ, 1866 წელს რუსეთის ხელისუფლებამ დაკავებული ტერიტორია ერთი ნაწილი ყუბანის ოლქის, ხოლო მეორე ნაწილი – შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთი სანაპირო – შავი ზღვის ოკრუგის შემადგენლობაში მოაქცია, რომელიც 1896 წელს ყუბანის ოლქს გამოეყო და შავი ზღვის გუბერნიად გადაკეთდა.[1]

კავკასიის ომი მტკივნეული აღმოჩნდა საქართველოსათვის. იმთავითვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი ხალხის ბრძოლა რუსული იმპერიული რეჟიმის წინააღმდეგ პრინციპულად განსხვავდებოდა ჩრდილოეთ კავკასიელ მთიელთა მიერ წარმოებული „საღვთო ომისაგან“. უკლებლივ ყველა ანტირუსული გამოსვლა, რომელსაც ადგილი ჰქონდა საქართველოში XIXს. I მესამედში, მიზნად ისახავდა არა სრულ მოწყვეტას რუსეთისაგან, არამედ ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენას რუსეთის იმპერიის ფარგლებში ერთგვარი ავტონომიის სახით. უფრო მეტიც, კავკასიის ომში აქტიურად მონაწილეობდა რუსეთის რეგულარულ არმიაში მომსახურე ქართველი ოფიცრობა, ხოლო ქართული არისტოკრატიის პოზიცია მკაფიოდ გამოხატა დიმიტრი ყიფიანმა, იმჟამად თბილისის გუბერნიის თავადაზნაურთა საკრებულოს წინამძღოლმა თავის ადრესში კავკასიის მეფისნაცვლის, დიდი მთავრის მიხეილ ნიკოლოზის ძისადმი, რომელშიც მთელი წოდების სახელით მიულოცა (1864წ. 9 ივნისს) მთავარსარდალს „კავკასიის დამორჩილება“ და ეს უმნიშვნელოვანეს მოვლენად აღიარა: „Ваше Императорское Высочество! Вы довершили покорение Кавказа и тем внесли в историю неразлучное с Вашим именем событие громадной важности. Избранные грузинским дворянством, приносим Вашему Императорскому Высочеству поздравление от имени всего сословия. Теперь да поможет Вам Всевышний водворить гражданственность там, где только что прекратилась вековая война“. თუმცა უნდა ითქვას ისიც, რომ ქართველობა, ზოგადად, მათ შორის ისინიც კი ვინც აქტიურ მონაწილეობას იღებდა მთიელთა დამორჩილებაში (მაგ. გრიგოლ ორბელიანი), თანაუგრძნობდა მოძმე კავკასიელებს და მათი მშობლიური მიწა-წყლიდან გასახლების მიზეზად რუსეთის ხელისუფლების მხრიდან მთიელთა უკიდურეს შევიწროვებას ასახელებდა.[2]

ერთადერთი რეგიონი, რომელიც უშუალოდ აღმოჩნდა ჩათრეული იმიერკავკასიაში მიმდინარე ტრაგიკულ მოვლენებში, იყო აფხაზეთი. ამას თავისი ახსნა აქვს. მიუხედავად იმისა, რომ აფხაზეთის მთავარ შარვაშიძეთა სახლი, მთლიანობაში, პრორუსულ ორიენტაციას ადგა, აფხაზეთში, საქართველოს სხვა

---

[1] Воспоминания Григория Ивановича Филипсона. М., 1885. გვ. 102, 127, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.ჰ.**

[2] И. Дроздов. Последняя борьба с горцами на Западном Кавказе. – Кавказский сборник. Тифлис, 1877. Т. 2. გვ. 457, ხაზგასმა ჩვენია – **ზ.ჰ.**

კუთხეებისაგან განსხვავებით, საკმაოდ ძლიერი იყო ანტირუსული განწყობილებები, რომელსაც ყოველნაირად აღვივებდა „ბრწყინვალე პორტა“. ოსმალთა პოლიტიკურ და, რაც მთავარია, რელიგიურ-იდეოლოგიურ გავლენას აფხაზეთზე ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა გვიან შუა საუკუნეებში მომხდარმა ეთნოდემოგრაფიულმა ცვლილებებმა, რომელიც განიცადა რეგიონმა მონათესავე ჯიქ-აფხაზთა მთიელი ტომების ახალი ტალღის მოწოლის შედეგად. ამ ტომებმა მნიშვნელოვნად შეცვალეს ოდესღაც განვითარებული ქრისტიანული მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული იერ-სახე. იძალა წარმართობამ და, რაც მთავარია, აფხაზური მოსახლეობის საკმაოდ მოზრდილმა ნაწილმა მიიღო ისლამი, რითაც ის თანდათანობით მოექცა ოსმალეთის პოლიტიკის ფარვატერში. აქედან გამომდინარე, აფხაზთა მნიშვნელოვანი ნაწილის ბრძოლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ატარებდა მკვეთრად გამოხატულ ანტაგონისტურ ხასიათს და შეიძლება ითქვას ჩრდილოეთ კავკასიაში მიმდინარე „საღვთო ომისა“ („ჰაზავათი“) შემადგენელი ნაწილი იყო.

კავკასიის ომის დამთავრებისთანავე რუსეთის ხელისუფლებამ აფხაზეთისათვის მოიცალა და უმალვე გააუქმა აფხაზეთის სამთავრო, ხოლო მთავარი მიხეილ შარვაშიძე რუსეთში გადაასახლა, სადაც 1866 წელს გარდაიცვალა. ეს გახდა მთავარი მიზეზი აფხაზთა მასშტაბური ანტირუსული გამოსვლისა, რომელიც იმპერიულმა რეჟიმმა სისხლში ჩაახშო. ავჯანყების ჩახშობის შემდეგ რუსეთის ხელისუფლებამ იმავე სცენარი გაითამაშა, რეჟიმით უკმაყოფილო აფხაზები დედა-ბუდიანად აყარა მშობლიური მიწა-წყლიდან და მუჰაჯირებად აქცია. ეს იყო აფხაზთა პირველი დიდი მუჰაჯირობა. ამ დროს აფხაზეთი დატოვა და თურქეთში ჰპოვა თავშესაფარი 20 ათასამდე ადამიანმა. როგორც სავსებით სწორად შენიშნავს აფხაზი ისტორიკოსი სტ. ლაკობა, რუსეთს „აფხაზეთი სჭირდებოდა უაფხაზებოდ“.[1] მაგრამ ეს არ აღმოჩნდა საკმარისი ურჩ აფხაზთა ასალაგმავად.

XIXს. 70-იან წლებში აფხაზეთში რუსული იმპერიული რეჟიმის მკვეთრად გამოხატული კოლონიური პოლიტიკის ფონზე გამოცოხლდნენ პროთურქული ძალები, რომლებიც აფხაზურ მოსახლეობაში მუდმივად აღვივებდნენ ანტირუსულ განწყობილებას. განსაკუთრებით გააქტიურდნენ მუჰაჯირები. სწორედ მათ მოახდინეს მძლავრი ანტირუსული ამბოხის ინსპირირება, რომელსაც ფაქტობრივად ერთიანად აჰყვა გუდაუთისა და კოდორის უბნების აფხაზობა. ხელისუფლებამ მოახდინა დასავლეთ საქართველოში და ყუბანის მხარეში განთავსებული რეგულარული ნაწილების სრული მობილიზაცია და შეძლო აფხაზთა მორიგი შეიარაღებული გამოსვლის ჩახშობა. 1877 წლის ავჯანყება იყო აფხაზთა ყველაზე ფართომასშტაბიანი გამოსვლა რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ და ბუნებრივია, ის არ შეიძლებოდა დარჩენილიყო დაუსჯელი. მთავრობას უკვე არაფერი უშლიდა ხელს, სისრულეში მოეყვანა კავკასიის რუსული ადმინისტრაციის ერთ-ერთი სატრაპთაგანის დ. სვიტოპოლკ-მირსკის მიერ აფხაზების თურქეთში გა-

[1] Ад. П. Берже. Выселение горцев с Кавказа. – Русская старина, № 1. 1882, გვ. 168. – იხ. ინტერნეტ-ვერსია: http://www.vostlit.info/Texts/Dokumenty/Kavkaz/XIX/1840-1860/Berze/text2.htm

დასახლების ჯერ კიდევ 1877 წელს შემოთავაზებული გეგმა. ოსმალეთში ამ დროს სულ გადასახლდა დაახლოებით 30 ათასამდე აფხაზი, რომელთა ერთი ნაწილი უკან მობრუნდა. ხელისუფლება უფრო შორსაც წავიდა. 1880წ. 31 მაისს გამოქვეყნდა იმპერატორ ალექსანდრე II-ს ბრძანება, რომლის თანახმადაც დარჩენილი აფხაზობა ოფიციალურად გამოცხადდა „დამნაშავე მოსახლეობად" („виновное население").

ამ მძიმე პერიოდში პირველი ვინც გამოექომაგა აფხაზ ხალხს იყვნენ მოწინავე ქართული ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები: ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, იაკობ გოგებაშვილი, სერგი მესხი, გიორგი წერეთელი, იონა მეუნარგია და სხვ. აფხაზი ხალხის თავზე დატრიალებულ ამ უდიდეს ტრაგედიაში ქართველი მოღვაწეები ერთმნიშვნელოვნად ადანაშაულებდნენ რუსეთის იმპერიის ხელისუფლებას. ქართული საზოგადოებრიობა ყოველნაირად ცდილობდა მხარში ამოდგომოდა დიდ გასაჭირში მყოფ მუჰაჯირ-აფხაზებს და დახმარების ხელი გაეწვდინა მათთვის. ცნობილია არაერთი ფაქტი ამგვარი თანადგომისა. ამ მხრივ საგანგებოდ უნდა აღინიშნოს პოლკოვნიკ დიმიტრი ჭავჭავაძის (იმჟამად ბზიფის ოლქის უფროსის) საქმიანობა 1866 წლის აჯანყების შემდეგ, როდესაც მან გადააფიქრებინა აფხაზებს მუჰაჯირობაში წასვლა: „ამ საგანზე ძლიერი ქება გვესმის აფხაზებისგანაც და სხვა გარეშე პირთაგანაც ბზუფუს მაზრის უფროსზედ თ. დიმიტრი ჭავჭავაძეზედ. მან გააგებინაო ხელმწიფე იმპერატორის ბრძანება და მამობრივი მზრუნველობით აუხსნა მათი ახლანდელი და შემდგომი მდგომარეობა, რომ რუსეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნა სჯობიაო ოსმალეთის მმართველობის ხელქვეით ყოფნას. მთელი ბზუფუს მაზრა დარჩაო გადაუსახლებელი გარდა ერთი სოფლისა,.. ასე ამბობენ აფხაზები, ხალხი მას უმადლის".[1]

[1] А. Епифанцев. Причины поражения адыгов в Кавказской войне. Кто был прав в будущем? – იხ. ინტერნეტ-ვერსია: http://www.apn.ru/publications/article21543.htm

Zurab Papaskiri,
of Sokhumi State University

SOME ASPECTS OF RUSSIAN IMPERIAL POLICY IN THE CAUCASUS THE CAUCASIAN WAR IN THE XIX CENTURY AND ITS RESULTS

This article is focused on some aspects of Russian Imperial policy in the Caucasus during the Caucasian War in the XIX century. By abolishing the kingdoms of Kartl-Kakheti (1801) and Imereti (1810) and by establishing of the Russian governance, Russian Government took off the mask and fully revealed its imperial intentions not only towards Georgia but generally towards the Caucasus. Gradually Russian regime was becoming more and tougher in the North Caucasus. This resulted in an extremely strained relationship between the government and Mountain People. From this time the formula – the conquest of the Caucasus was hired as the official doctrine. From 1834 the battle was lead by Shamil. His battle against the Russia continued for 25 years and ended with Shamil's imprisonment in 1859.

After conquering North-Eastern Caucasus, the anger of the Russian Imperial Machine was addressed at Western Caucasian Adige (Circassian) and Abaza people, who continued their desperate battle for freedom. This battle was headed by Shamil's fellow-fighter Muhamed Emin. But this desperate battle also was unsuccessful. From this time the events developed according to the Russian scenario. The Russian government's main aim was to clean The Caucasus from the disobedient mountainous indigenes, to create Russian settlements on this territory, and fully russify it. In May of the 1864, near the modern Krasnaia Poliana (old Kbaada) the Russians finally defeated indigenous Abkhazian-Adigian peoples. And on the fields that were watered with these people's blood they organized a parade (1864) and solemnly announced that the Caucasian War was over.

During the Caucasian War the Russian military machine destroyed thousands of the indigenous people's lives. The Russian army acted mercilessly. There had been acts of vandalism. In this connection was enough to mention that the Russian soldiers behead the killed mountain people and for some reward gave them to their commanders' who send this 'material' to the Russian Academy of Sciences.

With these inhuman methods the Russian Empire achieved its goal: thousands of Adigs (Circassian) left their native land. According to the official Russian data of that time 493194 people emigrated to Ottoman Empire. Even the most anticaucasian experts (e.g. Andrei Epifantsev) admit that only 5 % of Adigs (Circassians) stayed in their native country.

დავით ჯითანავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

ქართველთა თვითსახელწოდების – „ქართლი“ – „ქართველის“ მნიშვნელობისათვის

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში ქართველთა თვითსახელწოდების ქართლი-ქართველის მნიშვნელობა მთლად ნათელი არ არის.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ქართული ტომები უძველეს დროს მცირე აზიაში ცხოვრობდნენ და მხოლოდ შემდგომ თანდათან ჩრდილოეთისკენ წამოიწიეს და ამიერკავკასიის მიწა-წყალი დაიმკვიდრეს. ავტორისავე აზრით, ქართველ ტომთა შორის სულ უკანასკნელად არარატის მიდამოებიდან შემოხიზნულან ამიერკავკასიაში ქართები და დაუპყრიათ აღმოსავლეთ საქართველო.[1] ავტორი ქართველთა ღვიძლ ძმებად ქალდის ანუ ხალდის ხალხს ვარაუდობს და ყველა ქართველი ტომების სამშობლოდ ქალდეას მიიჩნევს.[2] სიტყვა „ქართველის“ პირველ ნაწილს „ქართუ“ ქვეყნის სახელთან აიგივებს და მას სავარაუდოდ ერთ-ერთი ქართველური ტომის „კარდუხის“ (კარდუ=ქართუ) თვითსახელწოდებას უკავშირებს.[3]

კარდუხების ქართველებთან და ტერმინ ქართუ-ს ნათესაობის ივ. ჯავახიშვილისეულ მოსაზრებას მხარი დაუჭირა კ. ლემან-ხაუფტმა და ამ სიტყვის ფუძისეულ იდენტობად მიიჩნია ადგილების სახელწოდებები კორდუენე, გორდიაიოის სახით. ამავე დროს მისივე დაკვირვებით, ეს ყოფილი კარდუხების ტერიტორია სავსეა კლდეში ნაკვეთი საცხოვრებლებით, რომელიც გავს საქართველოში შემორჩენილ კლდის ნაგებობებს (ვარძია, უფლისციხე და ა. შ.) და არსებითად განსხვავდება სომხურ-ხალდებამდელი კლდის ნაგებობებისაგან. ავტორისავე თქმით, ალექსანდრე მაკედონელის მიერ აზიის დაპყრობის შემდგომ კარდუხების ტერიტორიის ნაწილი მაკედონური მიგდიელ ტომთა მიერ იქნა დასახლებული. ამის შედეგად კარდუხთა ნაწილი გადასახლდა ჩრდილოეთით (V-I საუკუნეებს შორის ჩვენს ერამდე), სადაც ისინი შეხვდნენ მესხებს. ნაწილი კარდუხებისა დარჩა თავის ძველ სამშობლოში გორდუენეში (კონდუენე).[4]

ნ. მარმა იდენტურად მიიჩნია населения ванской клинописной Армении – paʒ-d-i←paʒ-din-i, и национального племенного названия грузиин – qar-J-vel, собственно его древней двухэлементной сал-ионской части qar-ϑ←*qar-ϑin→Qar-ϑl «Грузия» (этнографическая нине «Картлиния»), ავტორი იბერებს და ქართებს სხვადასხვა ტომად მიიჩნევს და აღნიშნავს, რომ «В Грузии смена иберов картвелами – это та же смена кимеров халдинами resp. qarϑinami –

[1] **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, თბ., 1951, გვ. 428, 429.

[2] **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 430, 424.

[3] **ივ. ჯავახიშვილი**. ქართველი ერის ისტორია, წიგნი პირველი, გვ. 403.

[4] К. Ф. Леман-Хаупт. Вступительная лекция по истории и культуре халдов, _ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. V, თბ., 1937, ცალკე ამონაბეჭდი კრებულიდან, გვ. 262.

скифами. ქართებს ავტორი სკვითებად მიჩნევს, ხოლო იბერებს კიმერიელებად, რომელთა შორის ეს პირველი იმარჯვებს ანუ სკვითი – ქართები. მისივე აზრით, გაბატონებული ენა ამ კლასობრივ-ტომობრივ წარმონაქმნში ინარჩუნებს სარმატული ანუ იბერიული კულტურის მიღწევებს.[1]

ნ. მარს, ტერმინი ქართ-ი (kart) საერთო იაფეტურ დონეზე დაყავს და აღნიშნავს: «... kart, что имеем в марийском в значении культового термина – «жреца», на которого перешло название самого тотема, в последством божества, как на носителя его могических сил, как на шаман'а. На Кавказе мы имеем этот же kart и его разновидности в значении «калдуна» (жреца) и в значении тотема – племенного названия; между прочим, это основа национального названия и грузин - qarϑvel, и Грузии – Qartvel-i. и бога-племенного названия, именно бога Qaldini и народа Qaldini, как это засвидетельствовано в клинописных памятниках Ванского царства в пределах Армении с IX в. до н. э.»

ს. ჯანაშიას აზრით, ტერმინი „ქართველი" დაკავშირებულია ქალდ-თან და მისი მეშვეობით ამავე ძირის წინაზიურ უძველეს სახელებთან.

ნ. ბერძენიშვილი, ლეონტი მროველის ცნობაზე დაყრდნობით აღნიშნავს, რომ „ქართლის ქვეყანა" ქართლის კოლექტივის საცხოვრისს ნიშნავს და არ გამორიცხავს, რომ ქართლი გორა იყო ქართის პირველსაცხოვრისი ამ მხარეში და ამ ქვეყანასაც ქართლი ამ ნიადაგზე შეერქვა.[2]

ნ. ბერძენიშვილს არ მიაჩნია სარწმუნოდ ის, რომ იბერია და ქართლი ერთი ტომის ორი სხვადასხვა სახელი იყო. ავტორი ძველ მცხეთას მესხთა დაარსებულად თვლის. მას რეალურად მესხის და ქართის არსებობა მიაჩნია, თუმცა ამ უკანასკნელის ეტიმოლოგია მისთვის უცნობია. ავტორი რეალურად მიიჩნევს, იმ მოსაზრებას, რომ სახელი „ქართლი" (თუ ის სატომო სახელია), ამ ადგილს შეარქვა იმ ტომის მეზობელმა ტომმა (იბერიელებმა, მესხებმა?). „ქართლი" თავდაპირველად ერთი საგეოგრაფიო პუნქტი უნდა ყოფილიყო და არა ქვეყანა.[3] ავტორის აზრით, მეგრელთა მიერ თბილისის აღსანიშნავად ტერმინ „ქართი"-ს ხმარება ნიშნავს იმას, რომ მეგრელი მცხეთას უწოდებდა ქართის. ეს კი, განაგრძობს ავტორი, იმას ნიშნავს, რომ „მცხეთა" უფრო გვიან გაჩნდა, ან უკეთ, უფრო გვიან გაუპირველესდა, ვიდრე ქართლი.[4]

ა. სვანიძის აღნიშვნით, ხალდების ანუ ურარტუელების დაპყრობა ხდება ხალდის სახელით, მშენებლობები მიდიოდა ხალდის სახელზე, მთავარი ქალაქიც იწოდება ხალდის ქალაქად, მთელ ქვეყანას ერქვა ხალდეა, ანუ ხალდების ქვეყანა.[5] სწორედ ამგვარ ცენტრალიზაციას პოულობს პარალელები როგორც სახელწოდებაში, ისე სახელმწიფო წყობაში ძველ ქართველებსა და ქალდებს

---

[1] Н. Я. Марр. Этно и глоттогония Восточной Европы, т. V, М. 1935, გვ. 206.

[2] Н. Я. Марр. Этно и глоттогония Восточной Europы, т. V, გვ. 457.

[3] **ს. ჯანაშია.** შრომები, ტ. III, თბ., 1959, გვ. 195.

[4] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, თბ., 1975, გვ. 93.

[5] **ნ. ბერძენიშვილი.** საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 225, 227.

შორის, როდესაც ძველი ქართული ქრონიკების მიხედვით ძველი ქართველები თაყვანს სცემდნენ ქართლოსს, თავის თავს უწოდებდნენ ქართებს – ხოლო თავიანთ ქვეყანას ქართს.[1]

ა. შანიძის აზრით, ქართლი, ქართველზე არსებული ახსნები (ნ. მარის, ივ. ჯავახიშვილის, ნ. ადონცის, გრ. ღაფანციანის, ლ. მელიქსეთ-ბეგისა), „არც ერთ მათგანი ისტორიულ სინამდვილეს არ შეეფერება“. ავტორისავე თვალსაზრისით, „სიტყვები ქართლი და ქართველი ეტიმოლოგიურად მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან, მაგრამ ქართლი – ერთ ფუძეს ემყარება, ქართველი კი სხვას“.[2] კერძოდ: „თავდაპირველად ქართლი აღნიშნავდა ერს, რომელმაც დაიპყრო მცხეთა და მიმდგომი ქვეყნები, კარგა ხანს იბატონა აქ, შემდგომ თანდათანობით გაითქვიფა ადგილობრივ მოსახლეობაში, თავისი ენა დაკარგა, მაგრამ თავისი სახელი გადასცა დაპყრობილ ერს, რომელიც წინათ, ალბათ, მესხების სახელით იყო ცნობილი“.[3] ავტორისავე აზრით, ქართლი და პართნი იდენტური ტერმინებია ანუ, პართიის მცხოვრებნი და თვით პართინი არიან.[4] მისივე დასკვნით, პართნი > ქართლი (ნ/ლ მონაცვლეობა არაა უცხო ქართული სინამდვილისათვის და ადვილი ასახსნელია პ>ქ, ე. ი. პართნი>კართნი (შდრ. გურ. პორფილე>კორფილე)>ქართნი (კ>ქ. ქ-ს თ-სთან ნაწილობრივი ასიმილაციით). პართიას ნამდვილი სახელია პართავა; პართავ; რომლებსაც „... დაჰრთვია წარმომავლობის საფიქსი –ელ, რომელსაც ამოუღია წინამავალი ხმოვანი: პართ-ავ-ელ-ი > პართ>ვ>ელ-ი“.[5] ქართული კი სათანადოდ ასეა მიღებული: პართავ-ულ-ი>პართვ-ულ-ი>პართ-ულ-ი> ქართ-ულ-ი. ვტორი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ ქართ ფუძე მეგრულად ქორთ-ს გვაძლევს (ქორთუ „ქართველი“), რაც ავტორს ავარაუდებინებს, რომ ქართ ფუძის სიტყვები დიდი ხანია იხმარება და საუკუნეთა განმავლობაში მოესწრო გადაკეთებულიყო მისი მეგრული შესატყვისი“.[6]

გ. მელიქიშვილის აზრით, სახელწოდება „ქართლი წარმომავლობით უფრო პოლიტიკური ერთეულის სახელი უნდა ყოფილიყო და ეთნიკური შინაარსი გვიან უნდა მიეღო. ავტორი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ქართლსა და მის დედაქალაქ თბილისს მეგრულში „ქართი“ სახელი შემორჩა. ისივე აზრით, ეს სახელი ძველი დედაქალაქის (არმაზციხე-ქართლის) სახელიდან გადმოვიდა. ტერმინები „ქართველი“, ალბათ: ქართა(ელ>ქართაველი>ქართველი,

---

[1] **ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII, გვ. 235.

[2] **А. Сванидзе.** Материалы по истории Аларойдских племен, Тб. 1937, გვ. 89.

[3] А. Сванидзе. Материалы по истории Аларойдских племен, გვ. 90.

[4] **ა. შანიძე**. ეტიმოლოგიური შენიშვნები: ქართლი, ქართველი, – ძველი ქართული ენის კათედრის შრომები, ტ. 23, თბ., 1980, გვ. 7, 9.

[5] **ა. შანიძე**. ეტიმოლოგიური შენიშვნები..., გვ. 10; ა. შანიძეს ამის ანალოგიური შემთხვევა მოჰყავს: ბულგარეთი, ვოლგის შუა მდინარებაზე მცხოვრები თურქი ხალხი, შეერივნენ სლავურ ერს (მათ გზად რუსეთისა და უკრაინის ველები გადალახეს, მოაღწიეს დუნაის, დაკარგეს თავისი ენა, გაითქვიფნენ დაპყრობილი სლავური მოდგმის ხალხში და სახელიც მისცეს მას – ენა სლავურია, სახელი კი თურქული (იქვე, გვ. 9-10).

[6] **ა. შანიძე**. ეტიმოლოგიური შენიშვნები..., გვ. 11.

საქართველო და სხვა. ავტორისავე აზრით, მიგვითითებს იმაზე, რომ სახელ „ქართლში“ ძირეული „ქართა“//„ქართი“ - სიტყვა უნდა იყოს. ეს ტერმინი, ქართლის მეფეთა უძველესი რეზიდენციის, დიდი გალავანშემოვლებული ციხე-სიმაგრის სახელი იყო, რომლის სხვადასხვა მნიშვნელობები მეგრულს „ქართი“-ს სახით შემორჩა „პირუტყვის საზაფხულო სადგომის“, „დაუხურავი შემოსაზღვრული ადგილის“ სახით, ხოლო „ო-ქართუ“ კი „საბოსლე ადგილს“ ნიშნავს. ქართს ავტორი უდარებს ინდოევროპულ ენებში შემორჩენილ მსგავსვე სიტყვებს: gardas - ლუვიურში (ზღუდე, გალავანი, ღობე, ბაკი), gaždinys (გომი, გომური წვრილფეხა საქონლისა. გოთური garda – თანამედროვე გერმანული Hürde Viehhof. ალბანური garJ - მესერი. ფინო-უნგრულში ინდოევროპულიდან ნასესხები gurt – საცხოვრელები. ის ასევე გვხვდება აგრეთვე პირდაპირ „ციხე-სიმაგრის“, „გამაგრებული ადგილის“, „ქალაქის“ მნიშვნელობით. ფრიგიულ – gordum „ქალაქი“. სლავური Град - „ციხე-სიმაგრე“, „კოშკი“ > რუსული Город. ასევე ხეთური (ნესიტური) gurta „ციხე-სიმაგრე“ (“Burg”) და ა. შ. ავტორი ამ სიტყვას უძველეს დროს ინდოევროპულიდან შეთვისებულად მიიჩნევს და მას როგორც თვითონ უწოდებს „ხეთურ-მცირეაზიული“ ტრადიციების მატარებელი მესხების მოტანილად თვლის.[1] გ. მელიქიშვილი იზიარებს ქართველის კარდუხთან ურთიერთმიმართებას და მათ აღმოსავლურ ქართულ ტომად მიიჩნევს.[2]

ამავე დროს სხვა იდოევროპულ ენებში გვაქვს ხეთური – gurta – ციხე-სიმაგრე, ძველი ინდური grhə(*grdha-) „საცხოვრისი“, „სახლი“, ავესტის gə̊rə̊da „დევური არსებების ბუნაგი“, ძველირანული *gort – „სახლი“, „საცხოვრისი“, „საცხოვრებელი ადგილი“ უდმურტული gart „სოფელი“, „დასახლება“. ალბანური gardh - „შემოკავებული ადგილი“, ლიტვური „gardas“ „შემოკავება“ „შემოკავებული ადგილი“. საშუალო ძველ ინგლისური geard - „შემოკავება“, „ბაღი“, „ბოსტანი“ (ინგლ. gard), ძველი გერმანული garto „ბაღი“ (გერმ. Gagten); ძველ სლავური gradŭ „ციხე-სიმაგრე“, „ქალაქი“, „ბაღი“, ჩეხური hrəd „ციხე-სიმაგრე“, „სასახლე“.[3]

აღსანიშნავია, რომ რ. ფრაის აღნიშვნით, ირანულ სამყაროში მსახურები იყოფოდნენ ორ ჯგუფად – შინამოსამსახურეები და უცხოტომელ მონებად. ეს უკანასკნელნი იწოდებოდნენ ძველსპარსული ტერმინით *gṛda, რომელიც დამოწმებულია ელამურ ფირფიტებზე პერსოპოლიდან, ფორმით Rus-taš და არამეულში grd. ეს სიტყვაც, ავტორის აზრით, მომდინარეობს ინდოევროპული ძირიდან *gherdh - „შემოკავება, შემოზღუდვა“. პირველ რიგში ის აღნიშნავდა სამხედრო ტყვეებს, რომლებიც მორეკილი იქნენ სამუშაოზე.[4] ადრეაქამენიდურ პერიოდში *gṛda თავდაპირველად აღნიშნავდა მონებს, რომლებიც მუშაობდნენ სამეფო მამულებში (ან მამულებში, რომელიც უმაღლეს წოდებას ეკუთვნოდა),

---

[1] **ა. შანიძე.** ეტიმოლოგიური შენიშვნები..., გვ. 11.

[2] **ა. შანიძე.** ეტიმოლოგიური შენიშვნები..., გვ. 13.

[3] **Т. В. Гамкрелидзе,** Вяч. Вс. Иванов. Индоевропейский язык и идоевропейцы, т. II, Тб. 1984, gv. 744.

[4] **Р. Фрай**. Наследие Ирана, М., 1972, gv. 83.

შემდგომ ეს სახელწოდება გავრცელდა ყველა მუშის მიმართ.[1]

ჩვენ არ გამოვრიცხავთ ქართ ტერმინის იდენტურობას ინდოევროპულში ფიქსირებულ გარდ და გოროდ და ა. შ. მის მსგავს ტერმინებთან, რომელსაც როგორც ზემოთ გამოჩნდა გ. მელიქიშვილმა მიაქცია ყურადღება. ასევე უდაოა მისი კავშირი მეგრულ ქართა-სთან, რომელიც შემოკავებულ ადგილს-საქონლის გასაშვებად შემოსაზღვრულ ადგილს(ოქართე) ნიშნავს. თუმცა საკითხს მეტი დამაჯერებლობა სჭირდება და ვფიქრობთ, კიდევ უფრო ფართო პარალელების მოძიებაა შესაძლებელი. ისტორიის გარკვეულ მონაკვეთზე ქართველური ტომების ფართოდ განფენის შედეგად, განცალკევებულ გეოგრაფიულ გარემოში ჩამოყალიბებული ქართველური ენებისათვის დამახასიათბელი მსგავსი სიტყვების ერთ სემანტიკურ-მორფოლოგიურ მნიშვნელობამდე დაყვანა გვაფიქრებინებს ქართ ტერმინის არაინდოევროპულ წარმომავლობას. ამ მიმართულებით ყურადღებას იქცევს მეგრულში საცხოვრებლის და ოჯახის აღმნიშვნელი ტერმინი ო-ხორუ, რომელიც ჩვენ სხვა ადგილას განვიხილეთ.[2] ის ოჯახის, სახლის და მასში მცხოვრები ნათესაური გაერთიანების და შემდგომში ტომის და უფრო ფართოდ ქვეყნის აღმნიშვნელი უძველესი ქართველური ლექსემა იყო. მისგან განვითარდნენ დასახლების აღმნიშვნელი ისეთი ტერმინები, როგორიცაა სამოხიო//სახევისკაცო//მეხევე//ხევი//ხეუ, რომლებიც როგორც სოფლის, უბნის, ისე უფრო დიდ ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის აღმნიშვნელ ზოგად სახელწოდებად დამკვიდრდა მთელს საქართველოში. ვფიქრობთ, ტერმინი ხორა იდენტურია სვანური ქორი-სა (სახლი, სახლის მეორე სართული) და ის, ჩვენი აზრით, ქართ ტერმინის შესატყვისია. ასევე აღსანიშნავია, რომ სვანურში მაღალი ადგილის აღსანიშნავად გვაქვს ტერმინი ქვითლახი, ხოლო მეგრულში ხორგი//ხურგი(შემაღლებული, ამობურცული ადგილი). მისი შესატყვისია ინდოევროპულ ენებში შესული ბერძნული *coriÐoß* - შემოსაზღვრული ადგილი", „ღობე", ლათინური cohors (*Ro-ghr-ti-s-იდან) „შემოსაზღვრული ადგილი", „ეზო", „პირუტყვის სადგომი", „კოჰორტა", „ლეგიონის ნაწილი" და ვალური garth „შემოსაზღვრული ადგილი", ძველ ინგლისური „geard" შესაძლოა ამოსავალი იყოს სუფიქსიდან *-t[h].[3]

სახლ-ქორის და სხვა ზემოთ ჩამოთვლილი ლექსემების (სამოხიო//სახევისკაცო//სახეისკაცო//მეხევე//ხევ//ხეუ) ძირეულია ხი, რომელიც ქართველურ ტომებს მაწარმოებელი სუფიქსის სახით შემორჩა (კოლ-ხი, დიაო-ხი, ვიტერუ-ხი, კარდუ-ხი, მეს-ხი და სხვ.). ხი აღნიშნავდა არა მარტო სახლს, არამედ მის შიგნით მცხოვრებ ნათესაურ გაერთიანებას. იმ ეპოქაში სახლი უნდა ყოფილიყო იგივე ციხე-სიმაგრე, რომელიც უზრუნველყოფდა იქ

---

[1] **Р. Фрай**. Наследие Ирана, gv. 84.

[2] **დ. ჭითანავა**. დასახლების აღმნიშვნელი ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VII, თბ., 2003, გვ. 178-209. მისივე, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელი უძველეს ქართულ ტერმინთა ინტერპრეტაციისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, ტ. VII, თბ., 2005, გვ. 287-326.

[3] **Т. В. Гамкрелидзе**, Вяч. Вс. Иванов. Индоевропейский язык и идоевропейцы, т. II, Тб. 1984, გვ. 744.

მცხოვრები მოსახლეობის თავდაცვას. მას ყავდა თავისი მმართველი, იგივე ხორას ან ქორას უფროსი. ასეთი შედარების კონტეკსტში ქართველთა მამამთავარი ქართლოსი უნდა ნიშნავდეს სახლის უფროსს.

თვითონ ხი არ უნდა იყოს ინდოევროპული ენების კუთვნილება, არამედ ის იბერიულ-კავკასიური ენებში თითქმის ერთნაირი სემანტიკურ-მორფოლოგიური მნიშვნელობით შემორჩენილი სიტყვაა,[1] რომელზეც, როგორც ენათმეცნიერი გ. როგავა მიუთითებდა, -ხი ძველისძველი სუფიქსი ჩანს, რომელიც მოქმედი ყოფილა მაშინაც, როცა დააიწყო ბერძენი და ქართველი ტომების შეხვედრა.[2]

ზემოთ წარმოდგენილი ლექსემებიდან გამომდინარე ყურადღებას იქცევს ქართველების და საქართველოს აღმნიშვნელი უცხოური ტერმინები გეორგია, გრუზინი, გურჯი, ხეორხია (*Ceorcia*) და ა. შ. რომელიც თითქმის ყველა ენაში ერთი ფუძიდან მომდინარეობს. თუ ჩვენ ხორა (სახლი და გვარი, ტომი და ა. შ.) და სვანური ქორა (სახლის მეორე სართული) იდენტურად მივიჩნევთ, მისი დაკავშირება მეგრულ „ქორთუ“-სთან (ქართველი) სავსებით დასაშვებია (ხორთუ, გორთუ შდრ. გორდუენი, ქორთუენი, ქალდეა-ხალდეა), რაც ზემოთ წარმოდგენილი ინდოევროპული ლექსიკური ერთეულების იდენტურია, რომელიც ოხორუების ანუ ხორიონების ფორმით ძვ. წ. V-IV საუკუნეების მიჯნაზე ქსენოფონტეს ანაბაზისშია მოხსენიებული. ამავე დროს არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ასურეთის და ურარტუს მეფეები ქართველური ტომების წინააღმდეგ ლაშქრობისას მათ მიერ დიდი რაოდენობის ქალაქების აღებაში უნდა იგულისხმოდეს ამგვარი ქორები//ხორები – გორდები//გარდები ანუ შემოსაზღვრული ციხე-ქალაქის ტიპის დასახლებები. მასში განსაკუთრებული ტიპის ხორებს ანუ ქორებს ანსხვავებს ქსენოფონტე, რომლებიც სათავეში უდგას ამა თუ იმ ტომის დასახლებას. ქსენოფონტეს ანაბასისში კი სოფლური ფორმის დასახლებებისათვის სხვა ტერმინიც გვაქვს (*cwmн*). აღსანიშნავია, რომ ბაბილონში მეფეთა მიერ აგებულ პატარა სიმაგრეებს, რომელიც უცხო მტრისგან თავდაცვისა ან მამულთა რეზიდენციების დასაცავად იგებოდა ეწოდებოდა „ხარმალი“.[3]

საკითხთან მიმართებაში საყურადღებოა კარ და ღალ//გალ ტერმინები, რომლებიც ასევე ქართ-ხორ-გარდ-გორდ და ა. შ. ტერმინებს უნდა ეხმიანებოდეს. საკითხზე საინტერესოა ნ. მარის მსჯელობა: „Кар основа само по себе означало «город» не только у северных яфетидов, но южных и на Кавказе и за его пределами далеко на юге и на западе, вплоть до Африки, где южное побережье Средиземноморья первоначально заселено было яфетидами, Отсюда чистая основа Кар с окончанием то Kar-qe, то Kar-ϑa доисторической основы исторически известного города Kar+ϑa-gen'a (у римлян) или Kar+qe-don'a (у

---

[1] **დ. ჭითანავა**. სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერ მინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VII, თბ., 2005.

[2] **გ. როგავა**. ზოგიერთი ქართული გვარის სუფიქსაციისათვის, ქუთაისის პე დაგოგიური უნივერსიტეტისის შრომები, ტ. 13, ქუთაისი, 1995.

[3] А. Оппенгейм. Древняя Месопотамия, М. 1990, გვ. 94.

греков) в Африке, отсюда же на Кавказе qaṛa-q//qala-q, в Месопотамии, Kar-pa «город», а также «ограда» и его же мы имеем у чувашей и в производной форме Kar-da в значении «огороженного места», отсюда «изгороди», «скотного двора», «хлева», и в значении просто «города» в составе названия главного города Шибаш'ов, т-е. чувашей, - Шиbаш – Кар.[1]

კავკასიის მთიელებში (ოსებში, ხევსურებში, თუშებში და სხვაგანაც), ნაგებობათა ერთ-ერთი სახეობა მრავალსართულიანი ციხე-სახლებით არის წარმოდგენილი, რომელსაც ღალ//ღალა ეწოდება.[2] ვ. აბაევის აზრით, ოსური galwan-ი, ქართული galawani, სვანური galwän-ი, აფხაზური a-galwan-ი, ავარული galan-ი, ჩაჩნური ǧālan-ი იდენტურია და მისივე დასკვნით, აღნიშნული სიტყვა gala კავკასიური ენებიდან არის შემოსული და მომდინარეობს ტერმინ kala-დან.[3]

კარ ტერმინთან მიმართებაში საინტერესოა სომხეთის ქალაქების დაბოლოებები – სტეფან-აკანი კიროვ-აკანი, რომლის „აკან"-ი, „კარ"-ის იდენტურად უნდა იყოს და მისივე ვარიანტია მეგრული „აკანი", რომელიც სოფლის კუთხის აღმნიშვნელად შემორჩა, ხოლო სამეგრელოსა და დანარჩენ საქართველოში, „კარ" ლექსემა სოფლის ტიპის დიდ დასახლებებს დაერთვის (ყულიშკარი, ალერტკარი, პავლიანთკარი და ა. შ.), ხოლო ქართლში ცალკეული პატრონიმიული დასახლებების დაბოლოებებს.[4]

გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ ქართა და გარდა –ს (შდრ. მეგრული გა – გორაკი) იდენტურად მივიჩნევთ ხორ//ქორ-ისა, უნდა ვიფიქროთ, რომ თავდაპირველად ქართი ნიშნავდა ციხე-სიმაგრეს, გვაროვნულ ეპოქაში საგვარეულო ციხეს, რომლის ძირია ხი, რომელიც ქართველური და ძველაღმოსავლური (შესაძლოა ხურიტული) ტომობრივი მაწარმოებელია, ვფიქრობთ, ის ქი, გი//ქა, გა-მდე დაიყვანება და მისი ინდოევროპული ენობრივი საწყისი ძალზედ საეჭვოა. ამაზე ნ. მარმაც მართებულად მიუთითა.

საყურადღებოა „ქართ" ტერმინის ურთიერთმიმართება ქალდთან ანუ იმ ხალხთან, რომლებიც ურარტუს სახელმწიფოს ძირითად ეთნოსს წარმოადგენდნენ. ქალდები ანუ ხალდები, როგორც ჩანს, უფრო სამხრეთით იყვნენ განსახლებულნი, ვიდრე ქსენოფონტის დროს მათი შთამომავალი ხალდები. ეს ჩანს იქიდან, რომ სამხრეთ ბაბილონის ხალხთა თავდაპირველი სახელწოდება იყო კაშ (ქაშდუ), ქაშდაიუ (კაშდაიუ) და შემდგომ ბაბილონური და ასურული ენებისათვის დამახასიათებელი გადასვლით – შ-დან ლ-ში კბილისმიერის წინ ის გადაიქცა კალდუ, კალდაიუ-დ, რასაც უკავშირდება ბერძნული Халайос (К'алдйос

[1] Н. Я. Марр. Этно и глоттогония Восточной Европы, Л. 1935, gv. 24.

[2] რ. ხარაძე, ა. რობაქიძე. სვანური „ლამტყვირ"-ის მნიშვნელობისათვის, კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები, თბ., 1966, გვ. 104-105.

[3] В. И. Абаев. ИЭСОЯ, т. I, М-Л, 1958, 48.

[4] დ. ჭითანავა. დასახლებების აღმნიშვნელ ზოგიერთ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის,– კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული შტუდიები, ტ. VII, თბ., 2003, გვ. 178-209; მისივე, სოციალურ ორგანიზაციათა აღმნიშვნელ უძველეს ქართულ ტერმინთა თავდაპირველი მნიშვნელობისათვის, კრ. ისტორიულ-ეთნოგრაფიული ძიებანი, VII, თბ., 2005, გვ. 287-333.

K*alsaio*§). ვფიქრობთ, სწორედ ეს ქალდები ანუ კალდები//კალდუ//კალდიუ უნდა ყოფილიყვნენ გორდოუენეს ქვეყნის ერთ-ერთი ძირითადი მცხოვრებნი და ისინი წარმოადგენდნენ შემდგომში ურარტუს სახელმწიფოს ერთ-ერთ ძირითად ეთნოსს (ხურიტებთან ერთად). მაშასადამე, ვფიქრობთ, სახელწოდებები ქაშდუ-კაშდუ-გაშდუ – გორდუ, გორდუენი-გორდიენე ძველესი წარმოებებია, საიდანაც უნდა მიგვეღო ქართუ//კართუ. ასეთი გადასვლა მრავლობითობის სუფიქსთა შორის ქართულში ყველაზე ძველია – დ (მისი ვარიანტია თ), ქრონოლოგიურად მას მოსდევს – ნ, ყველაზე ახალია –ებ.[1] მაშასადამე ჩვენ თავდაპირველად გვაქვს კ(ქ)აშდუ, კ(ქ)არდუ – კარდუხი – რაც იქცა //ქარშთუ//კარდუ//ქარდუ//კართუ-ქართუ-დ.

ვ. გოილაძის გამოკვლევით, ჩრდილოეთ შუამდინარეთში მცხოვრები ქართველური წარმომავლობის ხალხები, რომელთა შთამომავლები ახ. წ. V-VI სს-შიც განაგრძობდნენ არსებობას,ასახულია ჯუანშერთანაც. ავტორისავე აზრით, კარდუხები (გორდიები) მდ. კენტრუტის სამხრეთით ძველთაგანვე მცხოვრები „კარდუ“-ს, „ქართუ“-ს ხალხთან ძვ. წ. XII ს-ში ჯერ კიდევ ლაზურენოვანი მუშქების შერევის შედეგად უნდა ჩამოყალიბებულიყვნენ. ალიზისა და შუბრიას მოსახლეობაში XII ს-ში მუშქთა ჩასახლების შემდეგ, ერთ ხანს ამ მხარეთა მოსახლეობის ლაზურენოვნებაა სავარაუდებელი. შემდგომ მდ. არტანიის შუა დინების ჩრდილოეთით მდებარე მიწიდან (ყოფილი დიაოხის ტერიტორიიდან) ქართლის ტომთა გავლენით ძვ. წ. V საუკუნიდან. კარდუხთა ქვეყანაში დადასტურდა ციხის სახელი „ჰარმაზი“. არმაზი, კარდუხთა (მუშქთა) ქვეყანაში ერთ-ერთი მეთაური ღვთაება იყო.[2] ვ. გოილაძე შუბრიას ხურიტულად მიიჩნევს, ხოლო კარდუხებს მუშქებად.[3]

ი. დიაკონოვის კვლევით, ძვ. წ. 1115 წლისათვის მუშქებმა განაახლეს თავიანთი მოძრაობა და ოცი ათასი მეომრით ხუთი ბელადის მეთაურობით დაეშვნენ ზემო ტიგროსის დაბლობში კადმუხში და შეუქმნეს სერიოზული საფრთხე ასურეთის მფლობელობას. ტიგლათფილესერ I-მა დალაშქრა კადმუხი. ამ უკანასკნელებმა უარი თქვეს ხარკის გადახდაზე, მათ მხარს უჭერდნენ მთიელი – ბაბხი-ს ხალხი (მთის ხურიტები). თუმცა ასურეთმა საბოლოოდ დაიმორჩილა ისინი. შემდეგ წელს (1114 ძვ. წ.) ტიგლათფილესერმა შეაღწია „შუბარიელთა ქვეყანაში“.[4] შემდგომ ტიგლათფილესერ I ლაშქრობს ზემო ზღვის ქვეყნებისაკენ, სადაც მას ხვდება ნაირის დიდი კოალიცია, რომელსაც ის ზემო ზღვამდე (შავი ზღვა) მისდევს, ავტორისავე ვარაუდით, მდ. ჭოროხის ხეობაში და ბათუმის მიდამოებთან. ტიგლათფილესერ I-ის მიერ ძვ.წ. 1110 წლებში

---

[1] **არნ. ჩიქობავა**. მრავლობითობის სუფიქთა გენეზისისათვის ქართულში, – იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერება, თბ., 1954, გვ. 75.

[2] **ვ. გოილაძე**. ძველაღმოსავლურ ხანაში ჩრდილოეთ შუამდინარეთში ქართველთა მონათესავე ხალხების განსახლების საკითხისათვის, ქართველთა ეთნოგენეზი, თბ., 2002, გვ. 263.

[3] **ვ. გოილაძე**. ძველაღმოსავლურ ხანაში..., გვ. 262-263.

[4] И. М. Дьяконов. Предистория Армянского народа, Эр. 1968, gv. 124.

დალაშქრულ ქვეყნებს შორის ნახსენებია არინა.[1] ასევე ქვეყანა არემე (შესაძლოა არმეს მხარე, რომელიც დაკავშირებულია შუბერებთან.[2]

აღნიშნულია, რომ ძვ. წ. IX-VIII საუკუნეებში მდ. ჰალისის სამხრეთ-დასავლეთით, თანამედროვე კონიის რაიონში, ბოღასქოიდან მალატიამდე ყალიბდება ძველფრიგიული კულტურა, რომელსაც ურარტუელები და ასურელები უწოდებდნენ მუშქების სამეფოს. მისი დედაქალაქი იყო გორდიონი.[3] შემორჩენილია მათი მხოლოდ ორი მეფის სახელი – გორდიი და მიდასი (ურარტული მითა(ტა). ფრიგიელთათვის დამახასიათებელი იყო ყორღანული სამარხები, ხოლო სანგარიას სათავეებთან კლდის სამარხები. უმთავრესი კულტები ფრიგიის სამეფოში იყო ქალღვთაება კიბელას კულტი (kybēlē, kybēbē), რომელიც ჯერ კიდევ ხეთურ-ურარტულ კულტურაში კუბაბის სახელწოდებით იყო ცნობილი. ასევე თაყვანს სცემდნენ მთვარის ღვთაებას მან ან მენ-ს, რომლის კულტი, ი. დიაკონოვის აზრით, შესაძლოა იყო გაგრძელება ძველი მცირეაზიული მთვარის კულტ არმაზისა.[4]

ქართების წარმოშობასთან დაკავშირებით, მართებულად მიგვაჩნია ვ. გოილაძის ზემოთ წარმოდგენილი მოსაზრება და ვფიქრობთ, რომ იბერიის სამეფო მესხთა ტომის მიერ იქნა დაარსებული, რომლებიც იგივე კოლხებთან არიან გაიგივებულნი ბერძნულ წყაროებში. აქ ასევე უნდა ყოფილიყო სვანთა ტომიც. ქათები კი ამ ტერიტორიაზე შედარებით გვიან ჩნდებიან და აღწევენ ჰეგემონობას. აღსანიშნავია, რომ სტრაბონთანაც კი, პირველ საუკუნეში, მცხეთის დედაქალაქობით აქ მდებარე ეს სამეფო იწოდება იბერიად და არა ქართლად.

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში „ქართლი„-ქართველი-„ს ლინგვისტურ ურთიერთკავშირზე, გარკვეული ეჭვებია გამოთქმული.

დ. მუსხელიშვილმა, წერილობით წყაროებზე დაყრდნობით, საკმაოდ ვრცლად განიხილა ქართველთა თვითსახელწოდების – ქართლი-ქართველის წარმოშობის ისტორია და მართებულად მიუთითა იმ გარემოებაზე, რომ ეთნონიმი „ქართლი“ არსად დამოწმებული არ არის, ავტორს ტოპონიმი ქართი (თბილისის მეგრული სახელწოდება „ქართი“-დან წარმოქმნილად და უკანასკნელ ხანს მწიგნობრული წესით შექმნილად მიაჩნია. მისივე აზრით, შემდეგ სინამდვილეში უნდა არსებულიყო ეთნონიმი „ქართუ“ (უმარცვლო უ-ნით), რასაც ამოწმებს მეგრელთა მიერ აღმოსავლელ-ქართველთა სახელწოდება „ქორთუ“. ეს „ქართუ“ განაგრძობს ავტორი, ადვილი შესაძლებელია პუნქტსაც და ქვეყანასაც ეწოდებოდა და სწორედ აქედანაა ნაწარმოები „ქართუ-ელ-ი“, რომელიც წყაროებში დამოწმებული უძველესი ფორმაა. მისივე აზრით, აქედან მომდინარეობს „ქართველი“. ძველი ფორმა ქართულისათვის უნდა ყოფილიყო

---

[1] И. М. Дьяконов. Предистория Армянского народа, gv. 129.

[2] И. М. Дьяконов. Предистория Армянского народа, gv. 130.

[3] И. М. Дьяконов. Предистория Армянского народа, gv. 131.

[4] И. М. Дьяконов. Предистория Армянского народа, gv. 133.

ქართუელი;[1] ძველ ქართულში „უ“ გადმოიცემოდა ვ-თი;[2] აქ საკითხი თითქოს გარკვეულია, და დ. მუსხელიშვილს, „ქართლისა“ და „ქართუელის“ ურთიერთ არსებით კავშირზე არ შეაქვს ეჭვი, მაგრამ ფორმალური (ლინგვისტური) თვალსაზრისით ურთიერთმიმართებას (ქართლი – ქართველი) გაურკვევლად მიიჩნევს და საეჭვოდ თვლის „ქართლისაგან“ უშუალოდ ტერმინ „ქართველის“ გამოყვანას,[3] მისივე თქმით, „ქართლი“-საგან ბუნებრივად ნაწარმოებია „ქართლ-ელი“.[4] ავტორისავე აზრით, ეთნონიმი „ქართველი“ თავდაპირველი მნიშვნელობით ვიწრო ტომობრივ-ეთნოგრაფიული ტერმინი იყო, რომლითაც აღინიშნებოდა ერთ-ერთ ქარველური ტომის, კერძოდ ქართის (ქართუ) ტომის წარმომადგენელი. თავდაპირველად ეთნოგრაფიული ქართლის (ზენა და ქვენა სოფლის) მკვიდრ მოსახლეობას ეწოდებოდა „ქართველნი“.[5]

ტერმინ„ქართლი„-საგან ეთნონიმ, „ქართველი„-ს წარმოებაში, ჩვენი აზრით, არ ვაწყდებით დიდ ლინგვისტურ წინააღმდეგობას, რამდენადაც ენათმეცნიერ გ. როგავას განმარტებით, „ძველი ქართულის ვ, მეორეული ფონება უნდა იყოს. იგი უნდა მომდინარეობდეს ლ სონორისაგან. გარკვეულ პოზიციაში ძველად ქართულში ლ გადასული ჩანს ვ-ში. ამის მაგალითები ჩვენ გვაქვს: ტევ (დაუტევა) ← *ტ-ელ, წყ-ევ ← *წყ-ელ და სხვები. მასასადამე ვ, ლ სონორისგანაა ნაწარმოები. ასეთი მეორეული ვ, თითქოს კბილბაგისმიერისაკენაა გადახრილი, შემდეგ ძველ ქათულში ბგერობრივ და აგრეთვე ფონემატურადაც შეცვლილა. იგი გაუტოლდა ქართველური ენებისათვის დამახასიათებელ უძველეს წყვილბაგისმიერ ვ(უ) სპირანტს (უმარცვლო უ-ს).[6]

მაშასადამე უნდა ვიფიქროთ, რომ ლ-სონორს უნდა ჩანაცვლებოდა ვ, ანუ მეორეული ფონემა. პირველადმა ლ-მ გადაინაცვლა სიტყვის ბოლოს, რომელსაც სადაურობის მაწარმოებელი სუფიქსის მნიშვნელობა აქვს. ასევე, ზემოთქმულიდან გამომდინარე მეგრულ ტერმინ ქორთუ-ზე (=ქართველი) დართული უ, სრულ შესატყვისობაშია (ვ=უ//ლ=ვ=უ) ტერმინ ქართველში არსებულ ვ და ლ-სთან. მისი უძველესი ფორმა უნდა ყოფილიყო ქორთუ, რომელიც დიალექტური სახესხვაობით გახდა ქართლი-ქართველი (ქართველთა თვითსახელწოდება) და შესაბამისად წარმოიქმნა ქართი (თბილისის მეგრული სახელწოდება).

---

[1] **დ. მუსხელიშვილი**. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის. – კრ. საქართველოს და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია, გვ. 338

[2] **გ. როგავა**. ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ. 1962, გვ. 110-112

[3] **დ. მუსხელიშვილი**. ქართველთა თვითსახელწოდების ისტორიისათვის, გვ. 338-339

[4] იქვე., გვ. 338

[5] იქვე., გვ. 349

[6] **გ. როგავა**. ქართველურ ენათა ისტორიული ფონეტიკის საკითხები, თბ., 1962, გვ.113-114 მისივე, ვ ბგერის მეტათეზისის საკითხისათვის ქართულში, ა. წულუკიძის სახელობის ქუთაისის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, 18, ქუთაისი, 1958, გვ.123

David Chitanava
Ivane javakhishvili Institute of History and Ethnology of Georgia

FOR THE SEMANTIC MEANING OF GEORGIANS' ETHNONYM – "KARTLI", "KARTVELI"

The semantic and morphological meaning of Georgians'ethnonymKartli – Kartveli is discussed in the article. The viewpoint that the term Kart is of Indo – European origin is ignored. The similarity of the term with Megrelian Okhuro, denoting dwelling place and family, is underlined. *Qart* was the ancient lexeme denoting family, houseand kinship union living in this house and then tribe and much widely the country. The terms denoting settlements such as: *Samokhio//Sakheviskatsio//Mekheve//Khevi//Kheu*,which werederived from the above mentioned term,became a common term for village, district or much biger administrative – teritorial unitall over the Georgia. Term *Khora* is similar to SvanianKori (house, second floor of house) and is equivalent to Georgian term. The root of *Sakhl – Qor* and others mentioned above (*Samokhio//Sakheviskatsio//Mekheve//Khevi//Kheu*) is *Khi*. It is preserved as a derivative suffix in the words denoting Georgian tribes (*Col - chi, Dio - khi, Viteru - khi, Kardu - khi* etc.). *Khi*was not denoting only house, but the kinship living in this house. In the epoch of the early class community house should have been fortress, defending people who lived there. It had its own ruler, the head of *Khori* or *Qori*. According to such a comparative study the ethnarch *Qartlos* should mean the head of the house.

The settlements of Kartvelian tribes in the form of Okhorus or Khoriona are mentioned in the Anabasis of Xenophon at the end of the 5th century andin the beginning of the 4thcentury BC. When Assyrian and Urartu kings had campaigns against Georgian tribes and as Xenophon writes, they captured many towns. These townsmight be settlements like*Korebi//Qorebi//Gordas//Gards*(town fortresses type enclosed settlements). It is worth of notice that the terms Kar and Ghal//Gal, should have been in connection with the terms *Kart – Khor – Gard– Gorod* etc.

The term *Qart* is equal to *Qald*, that means the main people (ethnos) of Urartu. It seems that *Kalds*and *Khalds* were settled more southward than their descendant *Khalds* in the times of Xenophon. It can be seen by the name of the peoples living in southern Babylon. Their first name was *Kash* (*Qashdu*), *Qashdaiu (Kshdaiu)* and then their namehas the form peculiar to Babylonian and Assyrian Kaldu, *Kaldaiu* (-sh- transformed into- l-). Greek Халайос (К'алдйос) is connected with them. *Qashdu-Kashdu-Gashdu - Gordu, Gordueni-Gordiene* are ancient derivations, from which we might receive *Qartu//Kartu*. From the begining we have *K(Q) ashdu – Kardukhi*, which became *Qarshtu//Kardu//Qardu//Kartu-Qartu*.

In our oppinion the kingdom of Iberia was founded by Meskhetians, the tribe, who in Greek sources is identified with Colchians. Here also should have been tribe of Svans. *Karts* appeared here relatively later and reached the hegemony.

Even in Strabo in the 1st century this kingdom with the capital Mtskheta is called Iberia and not *Kartli*.

From the term *Kartli* ethnoname Kartveliis derived. Here sonnor -l- should have been substituted by -v-, it means with secendary phoneme. -L- moved at the end of the word. Now it has the meaning of the derivative suffix of origin. The same is with –u- which was added to the term *Kortu* (=Kartveli) and is in complete coinsidence with –v- and –l- (v=u//l=v=u) in Georgian term *Qartveli*. Its ancient form should have been *Qortu*= *Qartu*, which with dialectical variants bacame *Qartli*- *Q artveli* (ethnoname of Georgians).Thus, the term *Qorty* was formed (Megrelian name of Tbilisi).

ბეჟან ხორავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ყირიმის ომი და აფხაზეთი

XIX საუკუნის 40-იანი წლების მიწურულს კვლავ გამწვავდა „აღმოსავლეთის საკითხი“,[1] რომელმაც ამ პერიოდის რუსეთის საგარეო-პოლიტიკურ პრობლემებს შორის მთავარი ადგილი დაიკავა.

„აღმოსავლეთის საკითხი“ წარმოადგენდა მწვავე წინააღმდეგობათა რთულ კვანძს, რომლის არსი ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის ბრძოლაში მდგომარეობდა. უპირველეს ყოვლისა, ეს გულისხმობდა ღრმა შინაგანი კრიზისით მოცული ოსმალეთისა და მისი სამფლობელოების დაუფლებას, ახლო აღმოსავლეთის ბაზრების, ამ რეგიონზე გამავალი სავაჭრო გზების, აგრეთვე ბოსფორისა და დარდანელის სრუტეებზე გაბატონებას, რაც განუყოფლად იყო დაკავშირებული კავკასიაში შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციასთან.„აღმოსავლეთის საკითხი“ გამწვავების კვალად იზრდებოდა კავკასიის სტრატეგიული მნიშვნელობა. რუსეთის ხელისუფლებას არ შეეძლო ეფიქრა შავი და კასპიის ზღვების რაიონში ექსპანსიის გაფართოებაზე, კავკასიაში განმტკიცების გარეშე.

ახლო აღმოსავლეთში გაბატონების პრეტენზია ჰქონდა ერთი მხრივ რუსეთს, რომელიც ოსმალეთში გავლენის განმტკიცებას ცდილობდა; მეორე მხრივ, ინგლისს და საფრანგეთს, რომლებიც ახლო აღმოსავლეთის ბაზრებზე დომინირებდნენ, სურდათ ამ რეგიონში გადამწყვეტი ეკონომიკური და პოლიტიკური უპირატესობისა მოპოვება, ოსმალეთისა და მთელი ახლო აღმოსავლეთის დამორჩილება; ავსტრიას ინტერესები ჰქონდა ბალკანეთში, სადაც ასევე რუსეთი ცდილობდა პოზიციების განმტკიცებას. ეს სახელმწიფოები შიშობდნენ, რომ მოწინააღმდეგეები დაასწრებდნენ, ამიტომ 50-იანი წლების დასაწყისში ისინი ცდილობდნენ კვანძის გახსნა დაეჩქარებინათ.[2]

1848-1849 წლების რევოლუციების შემდეგ, როდესაც რუსეთის გავლენა ევროპაში კიდევ უფრო გაიზარდა,ნიკოლოზ I (1825-1855) შეეცადა „აღმოსავლე-

---

[1] **„აღმოსავლეთის საკითხი“** – პირობითი სახელწოდება, რომელიც მიღებულია საისტორიო ლიტერატურაში XVIII ს. მიწურულისა და XIX ს. დასაწყისის იმ საერთაშორისო წინააღმდეგობათა აღსანიშნავად, რომელიც დაკავშირებულია ღრმა შინაგანი კრიზისით მოცული ოსმალეთის იმპერიის მოსალოდნელ დაშლასთან და დიდი სახელმწიფოების – ინგლისის, საფრანგეთის, რუსეთის, ავსტრიის (1867 წლიდან ავსტრო-უნგრეთი), პრუსიის (1871 წლიდან გერმანია), ბრძოლასთან მისი სამფლობელოების გაყოფისათვის. „აღმოსავლეთის საკითხის“ წარმოშობა დაკავშირებულია ერთი მხრივ, ოსმალეთის იმპერიის კრიზისთან, რომლის ერთ-ერთ გამოვლინებას ბალკანეთისა და იმპერიის სხვა არათურქი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა წარმოადგენდა; მეორე მხრივ, ახლო აღმოსავლეთში ევროპის სახელმწიფოების კოლონიური ექსპანსიის გაძლიერებასთან მათში კაპიტალისტური ურთიერთობის განვითარებასთან დაკავშირებით. თვით ტერმინი„აღმოსავლეთის საკითხი“ პირველად გამოიყენეს 1822 წელს, საღვთო კავშირის ვერონის კონგრესზე, ბალკანეთში შექმნილი ვითარების – ოსმალეთის წინააღმდეგ ბერძენთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი აჯანყების (1821-1829 წწ.), – განხილვისას.

[2] История дипломатии. Издание второе, переработанное и дополненное, т. I, М. 1959, გვ. 642.

თის საკითხი“ რუსეთის სასარგებლოდ გადაეწყვიტა. იგი ოსმალეთს„ავადმყოფ ადამიანს“ უწოდებდა, რომლის მემკვიდრეობა დროულად უნდა განაწილებულიყო. ძლიერი მოკავშირის მოპოვების მიზნით ნიკოლოზ I შეეცადა ინგლისს დაახლოებოდა და გავლენის სფეროების გაყოფაზე მოლაპარაკებოდა, მაგრამ „ნისლიანი ალბიონი“ რუსეთთან გარიგებაზე არ წავიდა; 1848 წლის რევოლუციით შერყეულ საფრანგეთსა და ავსტრიას, რომელიც მან 1849 წელს „იხსნა“, ნიკოლოზ I ანგარიშს არ უწევდა. რუსეთის აგრესიულმა პოლიტიკამ ინგლისი და საფრანგეთი დააახლოვა. მათი მთავარი მიზანი გახდა ხელი შეეშალათ რუსეთისათვის, წაექეზებინათ ბრწყინვალე პორტა და საქმე რუსეთ-ოსმალეთის ომამდე მიეყვანათ.[1]

ინგლისსა და საფრანგეთს სურდათ რუსეთის განდევნა ყირიმიდან და კავკასიიდან. ცნობილი ინგლისელი სახელმწიფო მოღვაწისა და დიპლომატის ჰ. პალმერსტონის* გეგმით გათვალისწინებული იყო რუსეთის დანაწილება. მას უნდა ჩამორთმეოდა მთელი რიგი სამფლობელოები, მათ შორის ყირიმი და კავკასია. ყირიმი და საქართველო უნდა გადასცემოდა ოსმალეთს, ხოლო ჩრდილოეთ კავკასიაში, რომელსაც პალმერსტონი ჩერქეზეთს** უწოდებდა, უნდა შექმნილიყო სახელმწიფო ჩერქეზეთი, რომლის სათავეშიც შამილი მოიაზრებოდა. ჩერქეზეთი უნდა გამხდარიყო დამოუკიდებელი, ან ოსმალეთის პროტექტორატის ქვეშ უნდა გადასულიყო. ამ კავკასიურ სახელმწიფოს უნდა გადაეკეტა გზა რუსეთის წინსვლისათვის სამხრეთისაკენ. ამდენად, ინგლისს მხარი უნდა დაეჭირა შამილის ბრძოლისათვის.[2] ინგლისის გეგმები ეთანხმებოდა ოსმალეთის რევანშისტულ მისწრაფებებს, რომელიც ყირიმისა და კავკასიის დაბრუნებას ცდილობდა.[3]

ოსმალეთის გაყოფაზე ინგლისისაგან უარის მიღების შემდეგ, რუსეთმა გადაწყვიტა წინ წაწეულიყო და პორტაზე დიპლომატიური ზემოქმედება მოეხდინა. 1853 წლის მარტში რუსეთმა პორტას კატეგორიული ფორმით მოსთხოვა მისთვის ოსმალეთში მართლმადიდებელი ეკლესიისა და სულთნის მართლმადიდებელი ქვეშევრდომების მფარველის უფლების მინიჭება. ამასთან, ეს უფლება <u>დამტკიცებული უნდა ყოფილიყო</u> სულთნის სენედით და არა ფირმანით, რომ

[1] А. Дебидур. Дипломатическая история Европы от Венского до Берлинского конгресса (1814-1878), т. II, М. 1947, გვ. 91-98; История дипломатии, I, გვ. 642-650; **ვ. დონაძე**. ბოსფორი და დარდანელი (საკითხის ისტორიის ნარკვევები), თბ., 1983, გვ. 89-91; История России XIX – начала XX вв., под ред. В. А. Федорова, М. 1998, გვ. 171.

***ჰ. პალმერსტონი** (1784-1865), ინგლისელი პოლიტიკური მოღვაწე, დიპლომატი. 1809-1829 წწ. იყო ინგლისის სამხედრო საქმეთა მინისტრი, 1830-1841 და 1846-1851 წლებში – საგარეო საქმეთა მინისტრი, 1852-1855 წლებში – შინაგან საქმეთა მინისტრი; 1855-1865 წლებში – პრემიერ-მინისტრი.

**XIX საუკუნის I ნახევარში ევროპულ ლიტერატურაში და თვით რუსეთშიც, ჩვეულებრივ, ჩერქეზებს უწოდებდნენ არამარტო აბაზებსა და ადიღებს, არამედ ჩრდილოეთ კავკასიის ცენტრალური ნაწილისა და ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის მთიელებსაც. შამილი ევროპულ პრესაში ფიგურირებდა, როგორც „ჩერქეზთა ბელადი“ (В. К. Гарданов. Общественный строй адыгских народов (XVIII – первая половина XIX в.), М. 1967, გვ. 17).

[2] P. Guedalla. Palmerston. London. 1926, გვ. 360-361; История дипломатии, I, გვ. 656-664.

[3] История России, გვ. 172-173.

მას საერთაშორისო-სამართლებრივი ვალდებულების ხასიათი ჰქონოდა. ინგლისი, ერთი მხრივ, რუსეთს აქეზებდა, ხოლო მეორე მხრივ ოსმალეთს, და საქმე ომამდე მიჰყავდა. რუსეთმა დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვიტა პორტასთან და ოსმალეთში მართლმადიდებელი ეკლესიის მფარველობისა და პორტას მიერ რუსეთთან დადებული ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველყოფის საბაბით, რომელიც სულთნის მიერ ირღვეოდა, 1853 წლის ივნის-ივლისში დუნაის სამთავროები დაიკავა.[1] ინგლის-საფრანგეთის დაპირებებით დაიმედებულმა სულთანმა აბდულ მეჯიდ I-მა (1839-1861) 1853 წ. 17 სექტემბერს (9 ოქტომბერი) რუსეთს დუნაის სამთავროებიდან ჯარის გაყვანა მოსთხოვა და ულტიმატუმის ვადის გასვლას არც დაელოდა, 4(16) ოქტომბერს ომი გამოუცხადა.[2] დაიწყო აღმოსავლეთის ომი (1853-1856), რომელიც ასევე ყირიმის ომის სახელითაა ცნობილი, რადგან ომის მთავარი მოვლენები ყირიმის ნახევარკუნძულზე განვითარდა. ომის თეატრმა ბალკანეთი და კავკასიაც მოიცვა. აღსანიშნავია, რომ ყირიმსა და ბალკანეთში რუსეთის მიერ განცდილი მარცხის ერთგვარი კომპენსაცია გახდა რუსეთის ჯარების წარმატება კავკასიის ფრონტზე, თუმცა, თავიდან რუსეთისთვის სახარბიელო ვითარება არც ამ ფრონტზე იყო.

ომის დასაწყისში რუსეთი საერთაშორისო იზოლაციაში აღმოჩნდა. 1854 წლის მარტში ინგლისმა და საფრანგეთმა მას ომი გამოუცხადეს. მოგვიანებით, მათ სარდინიის სამეფოც შეუერთდა.

ომის დაწყების წინ რუსეთის ჯარების მდგომარეობა კავკასიის ფრონტზე სავალალო იყო. შამილისა და დასავლეთ კავკასიაში მისი ემისრის – მუჰამედ-ემინის შემოჭრის მუდმივი საფრთხე კავკასიის კორპუსის სარდლობას აიძულებდა, რომ მოქმედი ჯარების მნიშვნელოვანი ნაწილი მთიელებთან ბრძოლისათვის მუდმივ მზადყოფნაში ჰყოლოდა. დამატებით სიძნელეებს ფრონტის ხაზის გაჭიმულობა, გზების უვარგისობა და რთული ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობები ქმნიდა.

მუჰამედ-ემინის მიზანი იყო დასავლეთ კავკასიის მთიელთა დაქსაქსული ძალები საერთო მტრის წინააღმდეგ საბრძოლველად გაეერთიანებინა. მეფისნაცვალი კავკასიაში და კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი მიხეილ ვორონცოვი (1844-1854) თვლიდა, რომ მუჰამედ-ემინს შეეძლო გარკვეული წარმატებებისათვის კავკასიონის ქედის სამხრეთითაც მიეღწია, სახელდობრ, აფხაზეთში. 1853 წ. სექტემბერში მ. ვორონცოვმა აფხაზეთის მთავარს მიხეილ შარვაშიძეს (1823-1864) აცნობა, რომ შავიზღვისპირეთის საკორდონო ხაზის სარდლის, გენერალ-მაიორ იაკობ კუხარენკოს ცნობით, მუჰამედ-ემინი აფხაზეთში გაემართა თითქოსდა ოსმალეთის ჯარებთან შასახვედრად, ხოლო დასავლეთ კავკასიის მართვა ვინმე ხანუყოს მიანდო. ეს უკანასკნელი ოსმალეთიდან ახალი ჩამოსული იყო. ის სტამბოლიდან ბათუმში ჩამოვიდა, შემდეგ ნავით რედუტ-ყალეს მახლობლად ნაპირზე გადმოვიდა და მერე აფხაზთა ხელშეწყობით მშვიდობიანად მიაღწია მეკჰემეს მდ. ბელაიაზე, სადაც მუჰამედ-ემინი მას დიდი

[1] История дипломатии, I, გვ. 646-649; История России, გვ. 175.

[2] Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне 1853-1856 гг. и международные отношения, М. 1971, გვ. 101.

ზეიმით შეხვდა. მ. ვორონცოვმა მიხეილ შარვაშიძეს დაავალა საჭირო ზომები მიეღო, რათა შემდგომაც არ მომხდარიყო აფხაზეთის გავლით საეჭვო პირების გადაადგილება და, თუ ეს ფაქტი დადასტურდებოდა, ხანუყოს ხელშემწყობნი გამოევლინა.[1] მ. ვორონცოვს აშფოთებდა მუჰამედ-ემინის აფხაზეთში გამოჩენა, მიხეილ შარვაშიძეს მისი აფხაზეთში გამოჩენა თავისი ღირსების შელახვად მიაჩნდა.„ყველაფერი, რაც აფხაზეთის სარგებლობასა და ზიანს ეხება, ეს ჩემი პირადი სარგებლობა და ზიანია, – წერდა ის. – მე ვარ მთავარი აფხაზეთისა და მხოლოდ მე ერთს მაქვს გავლენა აფხაზეთის ხალხზე. სხვა გავლენა ჩემს სამფლობელოში არ უნდა არსებობდეს, მაგრამ თუკი ის არის, თუნდაც ფარული სახით, რა თქმა უნდა ის საზიანოა“.[2] პორტა გარკვეულ იმედებს ამყარებდა დასავლეთ კავკასიის მთიელებზე. სულთანმა მუჰამედ-ემინს ფირმანი გამოუგზავნა და დაავალა თურქთა მხედრობისა და არტილერიისთვის, რომელიც დესანტით უნდა გადაესხათ, 2 ათასი ცხენისთვის მოეყარა თავი; ყველა საშუალებით დახმარებოდა თურქთა ჯარს და რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად მთიელებიც დაერაზმა. ასეთი დავალების მიღების შემდეგ მუჰამედ-ემინმა გარკვეული ზომები მიიღო და აბაძეხებში მეომრებისა და ცხენების შეგროვებას შეუდგა.[3]

კავკასიაში საომარი მოქმედებები იმით დაიწყო, რომ 1853 წლის 15-დან 16 ოქტომბრის ღამით თურქებმა იერიში მიიტანეს წმ. ნიკოლოზის სიმაგრეზე (შეკვეთილი), რომელსაც სახაზო ბატალიონის ორი ასეული და გურიის მილიციის ასეული იცავდა. მიუხედავად სიმაგრის დამცველთა მედგარი წინააღმდეგობისა, თურქებმა იერიშით აიღეს შეკვეთილი და გარნიზონი თითქმის მთლიანად ამოჟლიტეს.[4] თურქები დასავლეთ საქართველოში იმთავითვე მედგარ წინააღმდეგობას წააწყდნენ რუსეთის რეგულარული ჯარის ნაწილებისა და ქართული სახალხო ლაშქრის მხრიდან. ქართულ მილიციას შეადგენდნენ გურიის 14, სამეგრელო-სამურზაყანოს 12 და იმერელთა რამდენიმე რაზმი.[5] შემოდგომაზე თურქები აფხაზეთის სანაპიროზეც გამოჩნდნენ. 7 ნოემბერს რუსულ სამხედრო ფრეგატს„ფლორასა“ და სამ თურქულ ხომალდს შორის აფხაზეთის სანაპიროზე შეტაკება მოხდა. აფხაზეთის დედოფლის ალექსანდრა შარვაშიძის ბრძანებით ბზიფის ოლქის მცხოვრებნი დაუყოვნებლივ შეიკრიბნენ ბომბორის მახლობლად, რათა ხელი შეეშალათ თურქებისათვის დესანტის გადმოსხმაში, თუ ამის მცდელობა ექნებოდათ.[6] შექმნილი რთული ვითარების გამო კავკასიის კორპუსის სარდლობა ფიქრობდა სოხუმის გარნიზონი ორი ბატალიონით გაეძლიერებინა.[7]

---

[1] Акты собранные Кавказской Археографической Комиссией, т. X, Тифлис, 1885, №279, გვ. 269 (შემდ. АКАК).

[2] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, –„საისტორიო მოამბე“, №15-16, 1963, გვ. 197.

[3] АКАК, т. X, №736, გვ. 786.

[4] А. Л. Зиссерман. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский, 1815-1879, т. I, М. 1888, გვ. 300.

[5] **ე. ბურჭულაძე,** ყირიმის ომი და საქართველო, თბ., 1960, გვ. 447.

[6] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 138.

[7] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 123-124.

მალე, რუსეთის ჯარის ნაწილებმა ქართველთა სახალხო ლაშქართან ერთად პირველ წარმატებას მიაღწიეს თურქებთან ბრძოლაში. 14 ნოემბერს გენერალმა ივანე ანდრონიკაშვილმა ახალციხესთან გამანადგურებელი დარტყმა მიაყენა ოსმალეთის ჯარის ნაწილებს, რომელთაც ალი-ფაშა სარდლობდა და ქართლში შეჭრას ან გურიის საზღვარზე თავმოყრილ ჯართან შეერთებას ცდილობდა. შემდეგ, გენერალ-ლეიტენანტმა ვ. ბებუთოვმა 19 ნოემბერს მდ. არფაჩაის მარჯვენა ნაპირზე დაამარცხა ოსმალეთის მთავარი კორპუსი სერასკირ აბდი-ფაშას მეთაურობით, რომელიც თბილისისკენ გაჭრას ცდილობდა.[1]

24 ნოემბერს გენერალმა ი. ანდრონიკაშვილმა სასტიკად დაამარცხა ოსმალეთის კორპუსი ახალციხესთან, რამდენიმე დღის შემდეგ კი ვიცე-ადმირალმა პ. ნახიმოვმა სინოპის ბრძოლაში ოსმალეთის ფლოტი გაანადგურა, რასაც კავკასიის დაცვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. სინოპთან ოსმალეთის ფლოტის განადგურებამ თურქები აიძულა თბილისის დაუფლების განზრახვაზე ხელი აეღოთ. ამასთან, სინოპის ბრძოლის შემდეგ რუსეთის ფლოტი გაბატონდა ფაქტობრივად შავ ზღვაზე, რამაც ინგლის-საფრანგეთი შეაშფოთა. მათთვის ცხადი გახდა, რომ მათ გარეშე ოსმალეთი ომში დამარცხდებოდა, ამიტომ გადაწყვიტეს დაუყოვნებლივ ემოქმედათ. 1854 წლის იანვარში ინგლის-საფრანგეთის ფლოტი შავ ზღვაში შევიდა, რაც ლონდონის 1840 და 1841 წლების კონვენციების დარღვევა იყო. თებერვლის ბოლოს ინგლისმა და საფრანგეთმა ხელი მოაწერეს ოსმალეთთან სამხედრო-თავდაცვითი კავშირის ხელშეკრულებას, რითაც ვალდებულება იკისრეს დაეცვათ „ოსმალეთის პორტას უფლებები“, ხოლო მარტში რუსეთს ომი გამოუცხადეს.[2]

1854 წლის დასაწყისში კავკასიის კორპუსის სარდლობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის სიმაგრეების ბედის გამო მოკავშირეთა ფლოტის შავ ზღვაზე გამოჩენის შემთხვევაში. მ. ვორონცოვის აზრით, ომის პირველი აქტი იქნებოდა რუსეთის მიერ შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს თითქმის ყველა სიმაგრის დაკარგვა, რადგან შავ ზღვაზე რუსეთის ფლოტი ვერ გამოჩნდებოდა და ციხესიმაგრეთა გარნიზონებს ზღვით ვერ გაიყვანდნენ; არც ხმელეთით არსებობდა მათი გამოყვანის შესაძლებლობა, არადა, მტერს ციხესიმაგრეთა გარნიზონი და იქ არსებული საბრძოლო და სასურსათო მარაგი ხელში არ უნდა ჩავარდნოდა. ამიტომ იგი საჭიროდ თვლიდა შავი ზღვის სანაპირო ხაზის გაუქმებას, რადგან მისი დაცვა შეუძლებლად მიაჩნდა.[3] მ. ვორონცოვის აზრით, მოკავშირეთა ფლოტის სოხუმზე თავდასხმის შემთხვევაში ძნელი იქნებოდა არამარტო ამ მნიშვნელოვანი პუნქტის, არამედ ბიჭვინთის, ბომბორის და, საერთოდ, ამ მხარის შენარჩუნება.[4] მთავარსარდლის შეშფოთებას იმპერატორიც იზიარებდა, თუმცა აფხაზეთის სიმაგრეების მოხსნის აუცილებლობას ჯერ-ჯერობით ვერ ხედავდა, რადგან ამ სიმაგრეთა გარნი-

[1] АКАК, т. X, №733, გვ. 782.

[2] Н. С. Киняпина, Внешная политика России первой половины XIX в., М. 1963, გვ. 247-250.

[3] АКАК, т. X, ч. 1, №71, გვ. 94; А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 313.

[4] АКАК, т. X, ч. 1, №71, გვ. 94.

ზონების სახმელეთო გზით გამოყვანა შესაძლებელი იყო, მაგრამ ადგილობრივი სარდლობის ნების წინააღმდეგ არ წასულა. ამრიგად, შავი ზღვის სანაპირო ხაზის გაუქმებისა და, მათ შორის, აფხაზეთიდან გარნიზონების მოხსნის საკითხი, ფაქტობრივად, გადაწყდა.[1]

1853-1854 წწ. ზამთარში ამიერკავკასიის ფრონტზე შეტევითი ოპერაციები არ განხორციელებულა.[2] 1854 წლის თებერვალში კი მ. ვორონცოვმა აფხაზეთის სიმაგრეებიდან ჯარების გამოყვანის თაობაზე შავი ზღვის სანაპირო ხაზის უფროსს, ვიცე-ადმირალ ლ. სერებრიაკოვსა და სანაპირო ხაზის III განყოფილების უფროსს, გენერალ-მაიორ მირონოვს, ინსტრუქცია მისცა, რომელთაც ბიჭვინთის, ბომბორის და მრამბის გარნიზონების სახმელეთო გზით სოხუმში გამოყვანა დაავალა, რათა უკიდურეს შემთხვევაში სოხუმი მაინც შეენარჩუნებინათ. რაც შეეხება გაგრას, რომელიც კავკასიელ მთიელებს აფხაზეთისაკენ გზას უკეტავდა, იმ დრომდე უნდა შეენარჩუნებინათ, სანამ აფხაზეთის სხვა სიმაგრეებს დაცლიდნენ. სულ მალე კი კავკასიის კორპუსის საინჟინრო სამსახურის უფროსის, გენერალ-მაიორ განზენის მიერ სოხუმისა და მისი შემოგარენის საფუძვლიანი დათვალიერების შედეგად, ზღვიდან შეტევის შემთხვევაში სოხუმის დაცვაც შეუძლებლად იქნა მიჩნეული.[3]

ასეთ რთულ ვითარებაში, მ. ვორონცოვმა მოხუცებულობისა და ავადმყოფობის გამო გადადგომა ითხოვა, რაც იმპერატორმა დააკმაყოფილა. 1 მარტს მ. ვორონცოვმა მეფისნაცვლისა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის მოვალეობა დროებით გენერალ ნ. რეადს გადააბარა, ხოლო 4 მარტს თბილისი დატოვა.[4]

4 მარტს მიხეილ შარვაშიძემ, რომელმაც ჯერ კიდევ არ იცოდა სარდლობის განზრახვა სანაპირო ხაზის მიმართ, კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს, გენერალ-ლეიტენანტ ა. ბარიატინსკის აუწყა აფხაზეთის სამთავროს გარშემო შექმნილი რთული ვითარების თაობაზე, და იმ ზომებზე, რომელთა გატარებასაც აპირებდა, რათა მთიელების აფხაზეთში შეჭრისათვის წინააღმდეგობა გაეწია. იგი ფიქრობდა, გაგრის ხეობისა და მდ. ბზიფის ნაპირის გამაგრებას იქ განლაგებული ჯარების გაძლიერებით, რათა ამით აფხაზეთი მუჰამედ-ემინის შემოტევისაგან დაეცვა.[5] 6 მარტს ლ. სერებრიაკოვმა ნ. რეადს აცნობა, რომ გაგრის ჩრდილო-დასავლეთით შავი ზღვის სანაპირო სიმაგრეების დაცლას შეუდგა. იმავდროულად, ნ. რეადმა მიხეილ შარვაშიძის წერილიც მიიღო. აფხაზეთის მთავარი მხარის შენარჩუნების მიზნით აუცილებლად თვლიდა აფხაზეთში 10 ბატალიონისა და 30 ქვემეხის გაგზავნას იქაური გარნიზონების გასაძლიერებლად. მაგრამ ნ. რეადს არც თავისუფალი ჯარის ნაწილები ჰყავდა, და აფხაზეთის სიმაგრეების ბედიც უკვე გადაწყვეტილი იყო. ნ. რეადმა აუცილებლად

---

1 А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 313.

2 **ე. ბურჭულაძე,** ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 246.

3 АКАК, т. X, №286, გვ. 272-273.

4 А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 313.

5 АКАК, т. X, №281, გვ. 269-270.

ჩათვალა დაუყოვნებლივ შედგომოდნენ აფხაზეთის სიმაგრეებიდან გარნიზონების გამოყვანას, რადგან მოკავშირეთა ხომალდებს აფხაზეთის ნაპირებთან გამოჩენა ყოველთვის შეეძლოთ. შემდეგ შეიძლებოდა ხმელეთითაც ვერ გამოეყვანათ ისინი მდინარეების ადიდების გამო, რაც გაზაფხულიდან აგვისტომდე გრძელდებოდა; ამასთან, ამიერკავკასიაში ჯარის ნაწილები საკმარისი არ იყო მხარის დასაცავად, ამიტომ აუცილებლად ჩათვალა აფხაზეთიდან ჯარის ნაწილების გამოყვანა და სამხედრო მინისტრის ბრძანების თანახმად მათი გურიის რაზმთან შეერთება. ნ. რეადმა გაგრის გარდა აფხაზეთის ყველა სიმაგრის დაცლის ბრძანება გასცა.[1] იმავდროულად, თბილისში გადაწყვიტეს აფხაზეთიდან ჯარის გამოყვანის ოპერაციის ხელმძღვანელობა მიხეილ შარვაშიძისათვის მიენდოთ. გაითვალისწინეს, რომ მას ფართო კავშირები ჰქონდა დასავლეთ კავკასიის მთიელებში და დიდი გავლენა ჰქონდა მათზე, განსაკუთრებით, ჯიქებსა და უბიხებზე. ამიტომ, კავკასიის კორპუსის სარდლობა ფიქრობდა, რომ მისი დანიშვნა წარმატების საწინდარი იქნებოდა. რაც შეეხება გაგრას, ფიქრობდნენ მისი გარნიზონი შემდეგ ზღვით გამოეყვანათ.[2]

ნ. რეადის ბრძანება ფაქტობრივად გაგრის გაწირვას ნიშნავდა, რაც რუსეთის სარდლობას კარგად ესმოდა, მაგრამ სხვა გზაც არ ჩანდა. პეტერბურგშიც იზიარებდნენ შეშფოთებას შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, მათ შორის, აფხაზეთის გარშემო შექმნილი რთული ვითარების გამო. იმპერატორის აზრით, რამენაირად უნდა შეემცირებინათ ის უარყოფითი შეხედულება, რასაც აფხაზეთში გამოიწვევდა ამ მხარიდან რუსეთის ჯარის ნაწილების გაყვანის შესახებ ბრძანება და აფხაზები გაემხნევებინათ. სამხედრო მინისტრს, ვ. დოლგორუკოვს, აინტერესებდა რამდენად შეიძლებოდა აფხაზეთის მთავრის და იმ მხარეში გავლენიანი პირების, მაგალითად, კაც მარღანიას ერთგულებაზე დაყრდნობა; რუსეთის ჯარების გაყვანის შემდეგ რა საშუალებები იქნებოდა მიხეილ შარვაშიძის ხელში და შეძლებდა თუ არა ის შინა და გარეშე მტრებისათვის წინააღმდეგობის გაწევას და მხარის დაცვას; მუჰამედ-ემინი მონახავდა თუ არა ბევრ მომხრეს აფხაზებში და შეეძლო თუ არა რუსეთის ხელისუფლებას მოსახლეობის რაღაც ნაწილის თანაგრძნობის იმედი ჰქონოდა. სამხედრო მინისტრი ნ. რეადს წერდა, რომ თუ აფხაზეთის მთავარი რუსეთის ხელისუფლების ერთგული დარჩებოდა და ამ მხარეში გავლენას შეინარჩუნებდა, სასურველი იქნებოდა მისი გამოყენება გაგრის გარნიზონის სამეგრელოში გამოსაყვანად სახმელეთო გზით ან აზოვის ფლოტილიის ხომალდების მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში, ის აუცილებლად თვლიდა ყველა ზომის მიღებას გაგრის გარნიზონის გამოსახსნელად.[3]

ნ. რეადის 19 მარტის ბრძანებით მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში განლაგებული ჯარების სარდლად დაინიშნა და დაევალა აფხაზეთის სიმაგრეებიდან ჯარის ნაწილების გამოყვანა გარდა გაგრის გარნიზონისა, რომელიც ყველაზე გვიან უნდა გამოსულიყო, როდესაც მისი ფლობა რუსეთის ჯარების გამოყვანის

---

1 АКАК, т. X, №280, გვ. 269; №281, გვ. 270; №286, გვ. 273.

2 А. Л. Зиссерман, Барятинский, I, გვ. 314.

3 АКАК, т. X, №280, გვ. 269; №286, გვ. 273.

დასაცავად საჭირო არ იქნებოდა.[1]

იმავე დღეს მიხეილ შარვაშიძე ბიჭვინთაში გაემგზავრა, რათა გარნიზონის გამოყვანისათვის პირადად ეხელმძღვანელა. მთიელები გაგრასთან იყვნენ თავმოყრილი, რაც მის შეშფოთებას იწვევდა. 20-21 მარტს ბიჭვინთის გარნიზონი ბომბორაში გადავიდა, ხოლო სიმაგრე აფხაზეთის მთავრის ბრძანებით დაწვეს. 29 მარტს ჯარის ნაწილები ბომბორიდან სოხუმში გადავიდნენ. იმავდროულად, გრიგოლ შარვაშიძემ და კაპიტანმა ბათალ-ბეი მარშანიამ წებელდიდან მრამბის გარნიზონიც სოხუმში გამოიყვანეს. მიხეილ შარვაშიძემ ხმები გაავრცელა, რომ სოხუმის დაცვას ბოლომდე აპირებდნენ და ამ მიზნით გარკვეული ზომებიც მიიღო: სოხუმის დაცვა გუმის ხეობის მხრიდან მისოუსტ ანჩაბაძეს დაავალა და მას მილიციის ნაწილი გადასცა; ამასთან, სოხუმიდან გუდავამდე (გუდაუთა) ჯარის ნაწილები განალაგა მთიელთა თავდასხმებისაგან დაცვის მიზნით; ზღვის სანაპიროზე გამაგრებული პუნქტები შექმნა, სადაც რუსეთის ხომალდებს თავის შეფარება შეეძლოთ მოწინააღმდეგის ესკადრის გამოჩენისას.[2]

ამრიგად, მიხეილ შარვაშიძემ ბიჭვინთისა და ბომბორის გარნიზონები პირადად გამოიყვანა სოხუმში, რომელთაც მრამბის გარნიზონიც შეუერთდა. გაგრის სიმაგრე კი ალყაშემორტყმული იყო მთიელების მიერ. ნ. რეადმა აფხაზეთის მთავარს უბრძანა განეგრძო უკანდახევა და გურიიის რაზმს შეერთებოდა. მიხეილ შარვაშიძე ჯარის ნაწილებით თუ სოხუმში დაყოვნდებოდა, მოწინააღმდეგის ესკადრის გამოჩენისას ცუდ დღეში აღმოჩნდებოდა; ამასთან, შეიძლებოდა კოდორისა და ენგურის გადალახვაც გასჭირვებოდა მათი ადიდების გამო, ამიტომ აუცილებლად მიაჩნდა აფხაზეთის ჯარების გურიის რაზმთან შეერთების დაჩქარება.[3] მ. ვორონცოვსა და კავკასიის ხაზის სარდლობას მაინცდამაინც არ სჯეროდათ, რომ ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობებიდან გამომდინარე მოკავშირეები დასავლეთ კავკასიაში, მათ შორის, სამეგრელოსა და აფხაზეთში გადმოსხდებოდნენ. მათი აზრით, თუ მოწინააღმდეგე შავი ზღვის ჩრდილოაღმოსავლეთ სანაპიროზე გადმოსხდებოდა და ნოვოროსიისკიდან და ანაპიდან ქვეყნის სიღრმეში წინსვლას შეეცდებოდა, არამარტო დამარცხდებოდნენ, არამედ განადგურდებოდნენ კიდეც; ასევე მოხდებოდა სამეგრელოში დესანტის გადმოსხმის შემთხვევაშიც. ამიტომ მ. ვორონცოვის აზრით, მოკავშირეები საშიში იყვნენ მხოლოდ სიმაგრეების მოხსნამდე, რომლებიც ადვილად შეიძლებოდა მათ ხელში ჩავარდნილიყო.[4] 15 აპრილს იგი ა. ბარიატინსკის სტავროპოლიდან წერდა:„რაც შეეხება მოწინააღმდეგის გადმოსხმას სამეგრელოში და ქუთაისის გავლით თბილისზე ლაშქრობას, ეს შიში უმართებულოა. თუ ისინი ამის გაკეთებას შეეცდებიან, ძვირი დაუჯდებათ და წარმატებაც არ ექნებათ.“ იგი ფიქრობდა, რომ მოკავშირეთა იმედები კავკასიის მთის ტომების მათდამი დახ-

---

1 АКАК, т. X, №283, გვ. 271; №284, გვ. 271-272.

2 АКАК, т. X, №283, გვ. 271.

3 АКАК, т. X, №282, გვ. 270.

4 А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 321-322.

მარების შესახებ უსაფუძვლო იყო.[1]

გაგრის გარნიზონის გამოყვანა კავალერიის გენერალ მ. ხომუტოვს დაევალა. ნ. რეადმა მიხეილ შარვაშიძესაც სთხოვა ყველა ღონე ეხმარა გარნიზონის დასახსნელად. ამის თაობაზე აფხაზეთის მთავარი რედუტ-კალეში ორი ხომალდის ნავმტეს მოელაპარაკა. ისინი შეპირდნენ, რომ როდესაც ამინდი საშუალებას მისცემდა, გაგრაში წავიდოდნენ. მართლაც, 25 მარტს, ხომალდები რედუტ-კალედან გაგრისკენ გაემართნენ, მაგრამ აღმოჩნდა, რომ გაგრის 600 კაციანი გარნიზონი მოხალისე ქერჩელ, ბერძენ ნავმტეს ფოტიუს სარანდოს ქერჩში მშვიდობით ჩაეყვანა, ხოლო გაგრის სიმაგრე, მტერს რომ არ ჩავარდნოდა ხელში, მის დამცველებს აეფეთქებინათ.[2]

რუსეთის ჯარის ნაწილების აფხაზეთიდან გამოყვანით იმპერატორი უკმაყოფილო იყო. მისი აზრით, ამ მხარეს ჯერ კიდევ არ ემუქრებოდა საფრთხე ზღვიდან. ნ. რეადი თავს იმართლებდა, რომ ეს ნაბიჯი აუცილებლობით იყო გამოწვეული.[3] ნ. რეადი ვ. დოლგორუკოვისადმი 13 აპრილს გაგზავნილ წერილში აღნიშნავდა აფხაზეთის მთავრის ერთგულებაზე, რომელიც მან შექმნილ რთულ ვითარებაში გამოამჟღავნა. მისი აზრით, სხვა ვერავინ შეძლებდა ასე წარმატებით აფხაზეთიდან ჯარის გამოყვანას; აფხაზეთის მთავრისა და სხვა პირების ნდობაც სავსებით შეიძლებოდა. როდესაც აფხაზეთის ნახევარი უკვე დატოვებული იყო, მათ რაიმე საძრახისი არ გამოუმჟღავნებიათ, მაგრამ შემდეგ რა იქნებოდა, ამის წარმოდგენა უჭირდა. მისი აზრით, აფხაზეთიდან რუსეთის ჯარის ნაწილების გაყვანის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე ვერ შეძლებდა ეს მხარე მორჩილებაში ჰყოლოდა, რადგან გარეშე მტრებისაგან სამთავროს დასაცავად ძალები არ ჰყავდა, ხოლო მუსლიმებით დასახლებული და დაუმორჩილებელი მთიელების მეზობელი ბზიფის ოლქი აუცილებლად აჯანყდებოდა; ამიტომ, ვინც რუსეთის ხელისუფლების თანამგრძნობი იყო, მას ეს მხარე უნდა დაეტოვებინა.[4]

რუსეთის ხელისუფლება მიხეილ შარვაშიძის მადლიერი იყო აფხაზეთიდან ჯარის ნაწილების გამოყვანის გამო, რისთვისაც იმპერატორმა ის თეთრი არწივის ორდენით დააჯილდოვა. ამასთანავე, მთავრობა მისგან ერთგულ სამსახურს კვლავაც მოელოდა.[5] მ. ვორონცოვი, რომელიც ყურადღებით ადევნებდა თვალს აფხაზეთში მიმდინარე მოვლენებს, ა. ბარიატინსკის წერდა, რომ ისევე როგორც კავკასიის კორპუსის სარდლობა, აღფრთოვანებული იყო მიხეილ შარვაშიძის მიერ დაკისრებული მოვალეობის წარმატებით შესრულებით. მისი აზრით, სოხუმისა და აფხაზეთის დატოვება რუსეთის ხელისუფლებისათვის მძიმე იყო, თუმცა – აუცილებელი. იგი დარწმუნებული იყო, რომ რუსეთის

---

1 А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 361-362.

2 АКАК, т. X, №285, გვ. 272; №286, გვ. 274; АКАК, т. XI, გვ. 268-275, 698-700; А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 315; **ა. ნ. დიაჩკოვ-ტარასოვი**. გაგრა და მისი შემოგარენი. რუსულიდან თარგმნეს, შესავალი და კომენტარები დაურთეს ***ზ. ჰაპასქირმა და ბ. ხორავამ,*** თბ., 2003, გვ.129-130.

3 АКАК, т. X, №286, გვ. 272-274.

4 АКАК, т. X, №283, გვ. 270-271.

5 АКАК, т. X, №289, გვ. 274-275; А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 358.

კვლავ გაბატონება აფხაზეთში ძნელი არ იქნებოდა; რაც შეეხება დაღესტანს, ამ მხარის დატოვება არ შეიძლებოდა. ასეთ ქვეყანას თუ ერთხელ დატოვებდი, ისე ადვილად ვერ დაიბრუნებდი, როგორც აფხაზეთს.[1] ა. ბარიატინსკისადმი გაგზავნილ სხვა წერილში მ. ვორონცოვი წერდა:„Любопитно было бы узнать, как будут вести себя абхазцы, когда останутся без наших войск и какие будут намерения и попытки Магомет-Эмина через Цебельду на Карачай и не попытаются ли убыхи, которих он ведет с собою, на что-нибудь через Абхазию в северной части Мингрелии и даже в Зугдиди“.

1854 წლის მარტში დასავლეთ კავკასიაში არსებული ვითარების შესასწავლად ბრიტანეთის სამხედრო მისია ჩამოვიდა.[2] ხანგრძლივი დისკუსიისა და პარიზთან მოლაპარაკებების შემდეგ ლონდონის კაბინეტმა გადაწყვიტა მთავარი დარტყმა ყირიმში განეხორციელებინა.[3] ასეთ ვითარებაში, ბათუმის კორპუსის სარდალმა მუჰამედ სელიმ-ფაშამ 21 აპრილს მიხეილ შარვაშიძეს წერილი გაუგზავნა, რომელშიც რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოუწოდებდა, რისთვისაც პორტასგან დიდ ჯილდოს ჰპირდებოდა. აფხაზეთის მთავარმა ფაშას პასუხი არ გასცა და მისი წერილი ნ. რეადს გადაუგზავნა, თვითონ კი კოდორზე წავიდა, რათა აბჟუის მოსახლეობა ამ ხაზის დასაცავად მოემზადებინა, თუმცა ფიქრობდა, რომ კოდორის ადიდების გამო, მის დაცხრომამდე, ამ მხრიდან შემოტევა მოსალოდნელი არც იყო.[4] ამავე ხანებში აფხაზეთში ჩერქეზები შეიჭრნენ სეფერ-ბეი ზან-უყოს მეთაურობით, რომელიც აფხაზების გადაბირებას შეეცადა. მიხეილ შარვაშიძემ მთელი ძალისხმევა გამოიყენა, რათა ბათალ-ბეი მარშანიას მეშვეობით ბზიფელებისათვის საფარ-ბეისა და ჩერქეზების უნდობლობა ჩაენერგა. მალე ჩერქეზთა რაზმი გაიფანტა, ხოლო სეფერ-ბეი ბათუმში წავიდა.[5] როგორც ხელისუფლება თვლიდა, მიხეილ შარვაშიძემ მოახერხა აფხაზეთში არეულობის დაწყებისათვის ხელი შეეშალა.[6]

1854 წლის მაისში თურქებმა დასავლეთ საქართველოში ახალი კამპანია წამოიწყეს და ყულევში, ანაკლიასა და სოხუმში სამხედრო დესანტი გადმოსხეს. მაისის პირველ რიცხვებში სოხუმში მოკავშირეთა ორი ხომალდი ჩავიდა, რომელმაც ოსმალეთის ჯარის ნაწილები ჩაიყვანა, დაახლოებით, 1500-მდე მეომარი არტილერიით, 36 ქვემეხით, – წარმოშობით ნათხვაჯი სეფარ-ბეი ზან-უყოს მეთაურობით.[7] ხომალდის მეთაურებმა მიხეილ შარვაშიძე მოიკითხეს, მაგრამ მან ჯერ კიდევ 7 მაისს დატოვა აფხაზეთი და სამეგრელოში გადავიდა, იქიდან

---

[1] А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 363.

[2] А. Л. Зиссерман. Барятинский, I, გვ. 136.

[3] Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и Средняя Азия во внешней политике России (вторая половина XVIII – 80-е годы XIX в.), М., 1984, გვ. 160.

[4] J. McNeill. Memoir. London, 1910, გვ. 315-316; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 161; **ა. ჩხეიძე,** ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, თბ., 1973, გვ. 87-88, 99-100.

[5] АКАК, т. X, №290, გვ. 277.

[6] АКАК, т. X, №290, გვ. 277.

[7] АКАК, т. X, №290, გვ. 277.

კი თბილისში გაემგზავრა.[1] საფარ-ბეი ზან-უყოს, რომელსაც სულთანმა ფაშას ტიტული უბოძა, დაევალა დასავლეთ კავკასიის მთიელთა გამოყვანა ოსმალეთის დროშის ქვეშ, აგრეთვე აფხაზეთის მთავრის გადმობირება.[2] როდესაც მან მიხეილ შარვაშიძის თბილისში გამგზავრების შესახებ შეიტყო, მის მოლოდინში სოხუმში დარჩა. იმავდროულად, მან დასავლეთ კავკასიის მთიელებს რუსების წინააღმდეგ საბრძოლველად მოუწოდა. მის მოწოდებას მაშინათვე გამოეხმაურნენ უბიხები, შაფსუღები, აბაძახები და დასავლეთ კავკასიის სხვა მთიელები.[3]

შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე მოხერხებული სტრატეგიული ადგილების დაკავების შემდეგ ოსმალეთი აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიისა და იმერეთის დასაკავებლად ემზადებოდა. დასავლეთ საქართველოს დაპყრობის შემდეგ თურქები აღმოსავლეთ საქართველოში გადასვლას და ამიერკავკასიის პოლიტიკური ცენტრის თბილისის ხელში ჩაგდებას გეგმავდნენ. ამასთან, იმედი ჰქონდათ, რომ დასავლეთ საქართველოს მოსახლეობას გადაიბირებდნენ, რითაც დასახული მიზნის მიღწევას გაიადვილებდნენ,[4] თუმცა მათი იმედები არ გამართლდა და ქართველი ხალხი თურქების წინააღმდეგ ფართო განმათავისუფლებელ ბრძოლაში ჩაება.

მიხეილ შარვაშიძე 19 მაისს თბილისში ჩავიდა, რათა ნ. რეადთან აფხაზეთში არსებული ვითარება განეხილა და მოქმედების გეგმაც დაესახათ. ის დარწმუნებული იყო, რომ კოდორის ადიდების გამო მოწინააღმდეგე აბჟუაში ვერ შევიდოდა, ამიტომ ჯერ-ჯერობით აფხაზური მილიციით შეძლებდა კოდორის ხაზის დაცვას, თუ მოწინააღმდეგე კოდორის შესართავს ზღვიდან არ შემოუვლიდა წყლის დაცხრომის დროისათვის, ე. ი. ივლისის შუა რიცხვებისათვის კოდორის ხაზის დაცვის გაძლიერება საჭირო იქნებოდა აფხაზეთის, სამურზაყანოს, სამეგრელოს, იმერეთის მილიციით და რეგულარული ჯარის ნაწილებით. რადგან კოდორიდან სამურზაყანოსაკენ გზა ცუდი იყო და არტილერიის გადატანა ძნელი იქნებოდა, მისი აზრით, რეგულარული ჯარის რეზერვის კოდორზე განლაგება საჭირო არ იყო, არამედ მხოლოდ სამურზაყანო-აფხაზეთის საზღვარზე, ხოლო მისი წაწევა კოდორისკენ საჭიროების შემთხვევაში განხორციელდებოდა. ამასთან, აფხაზეთის მთავარმა მზადყოფნა გამოთქვა ი. ანდრონიკაშვილს დაქვემდებარებოდა, თუმცა ეს უკანასკნელი ჩინით მასზე უმცროსი იყო. ნ. რეადი ამის საჭიროებას ვერ ხედავდა. მისი აზრით, აფხაზეთის მთავარი და ი. ანდრონიკაშვილი მჭიდრო ურთიერთობაში უნდა ყოფილიყვნენ ერთმანეთთან და სამოქმედო გეგმები შეეთანხმებინათ.[5]

მიხეილ შარვაშიძე აპირებდა შეეკრიბა აფხაზეთის მილიცია – 500-600 ცხენოსნისა და 1500-მდე ქვეითის რაოდენობით, რომელსაც ხაზინიდან თანხა არ დასჭირდებოდა, სანამ აფხაზეთის სოფლებში იდგებოდა. ნ. რეადმა მას

[1] АКАК, т. X, №287, გვ. 275; №290, გვ. 277; Воспоминания 1855 года майора Осман-бея, –„Кавказский сборник“, т. II, Тифлис, 1877, გვ. 197.

[2] АКАК, т.X, №290, გვ. 277.

[3] АКАК, т.X, №287, გვ. 274.

[4] АКАК, т. X, №275, გვ. 275; №291, გვ. 278.

[5] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 123-124.

სთხოვა, სახალხო ლაშქარი იმდენი შეეკრიბა, რამდენიც აბჟუის დასაცავად იქნებოდა საჭირო, ხოლო კოდორის დაცხრომისთვის ის ი. ანდრონიკაშვილს დაავალებდა აფხაზეთის მილიციისთვის შეეერთებინა სამურზაყანოს, სამეგრელოსა და იმერეთის სახალხო ლაშქარი და სამურზაყანო-აფხაზეთის საზღვარზე რეგულარული ჯარის რეზერვი განელაგებინა. თუ მოწინააღმდეგე ზღვით შემოუვლიდა კოდორის შესართავს, ის აბჟუის დაცვას მხოლოდ მთიელთა მცირე ჯგუფების შემოსევისაგან შეძლებდა და არა მუჰამედ-ემინის 15-20 ათასიანი ლაშქრისაგან და იძულებული იქნებოდა აფხაზეთი დაეტოვებინა. გამოსავალი უნდა ყოფილიყო მუჰამედ-ემინის დაკავება საომარი მოქმედებებით ჩრდილოეთ კავკასიაში.[1] მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთში დარჩენას მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმის შემთხვევაში მანამდე აპირებდა, სანამ შეძლებდა და ფიქრობდა მხოლოდ მაშინ დაეტოვებინა ეს მხარე, როდესაც წინააღმდეგობის ყველა საშუალებას ამოწურავდა.[2]

26 მაისს მიხეილ შარვაშიძემ თბილისი დატოვა. მისი შვილები სამეგრელოში იყვნენ, ხოლო მეუღლე აბჟუაში ჰყავდა და მხოლოდ უკიდურეს შემთხვევაში აპირებდა სამეგრელოში ან იმერეთში მის გადაყვანას, რადგან შექმნილ ვითარებაში მათ მიერ აფხაზეთის დატოვება აფხაზებზე უარყოფით შთაბეჭდილებას მოახდენდა.[3]

რუსეთის ხელისუფლება კარგად ხედავდა, რომ სეფერ-ბეი ზან-უყოს დასავლეთ კავკასიაში დიდი გავლენა ჰქონდა. მან კარგად იცოდა ამ მხარის ხალხთა ხასიათი და ზნე-ჩვეულებები. გავრცელდა ხმა, რომ მან 60 ათასამდე ქვეითი და ამდენივე მხედარი შეკრიბა. აფხაზეთის მთავრის აზრით, ეს ციფრი საკმაოდ გადაჭარბებული იყო, თუმცა მას მაინც მნიშვნელოვანი ძალა ჰქონდა. იგი ფიქრობდა, რომ სეფერ-ბეის მნიშვნელოვანი გავლენა ექნებოდა არამარტო აფხაზეთში, არამედ სამურზაყანოსა და სამეგრელოშიც, ამიტომ არ გამორიცხავდა სეფერ-ბეისთან შეხვედრას და ამ შეხვედრაზე აფხაზეთში შემოსევასთან დაკავშირებით მისი გეგმების ჩაშლას აპირებდა. აფხაზეთის მთავარი ნ. რეადს მდ. კოდორზე პოზიციების გამაგრებას და იმპერატორის ბრძანების თანახმად ამ ნაწილის შენარჩუნებას ურჩევდა.[4]

რუსეთის სარდლობის აზრით, მუჰამედ-ემინი ჩრდილოეთ კავკასიაში საომარი მოქმედებებით გენერალ მ. ხომუტოვს და გენერალ ნ. ევდოკიმოვს უნდა დაეკავებინათ, რაც აფხაზეთის მიმართ მისი გეგმების განხორციელებას შეაფერხებდა; ამასთან, საჭირო იქნებოდა, გურიის რაზმს ი. ანდრონიკაშვილის მეთაურობით მოქმედება გაეაქტიურებინა; მიხეილ შარვაშიძეს ყველაფერი უნდა ეღონა და ქვეშევრდომები მოწინააღმდეგესთან შეერთებისაგან შეეკავებინა.[5]

იმპერატორი აფხაზეთის საქმეებში კარგად იყო ჩახედული, მისი აზრით,

---

1 АКАК, т. X, №290, გვ. 277-278.

2 АКАК, т. X, №290, გვ. 278.

3 АКАК, т. X, №289, გვ. 276.

4 АКАК, т. X, №290, გვ. 278.

5 АКАК, т. X, №287, გვ. 275.

რაკი მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთის დატოვება მოუხდა, დროებით თბილისში უნდა წასულიყო და შემდგომ მითითებებს იქ დალოდებოდა. ის დადებითად აფასებდა აფხაზეთის მთავრის თანხმობას, ი. ანდრონიკაშვილს დაქვემდებარებოდა, თუმცა ეს აუცილებლად არ მიაჩნდა, რადგან მან არაერთხელ დაამტკიცა, რომ დამოუკიდებლად მოქმედება ღირსეულად შეეძლო.[1] ხელისუფლებისათვის ისიც კარგად იყო ცნობილი, რომ მიხეილ შარვაშიძე დიდი პატივისცემით სარგებლობდა უბიხებსა და დასავლეთ კავკასიის სხვა მთიელ ხალხებში და მათი მამასახლისების მეშვეობით ცდილობდა ჩაეშალა მუჰამედ-ემინის გეგმა აფხაზეთის მიმართ.[2]

მაისის დასაწყისში ვ. დოლგორუკოვმა ნ. რეადს აუწყა, რომ მოკავშირეები ივნისის ბოლომდე მაინც არ იქნებოდნენ მზად კავკასიაზე მიეტანათ იერიში. მისი აზრით, რადგან კოდორის ადიდების გამო რამდენიმე თვის განმავლობაში მის მარცხენა ნაპირზე გადასვლა შეუძლებელი იქნებოდა, ამდენად, კავკასიის კორპუსის მარჯვენა ფლანგი სრულიად უზრუნველყოფილი იყო მოწინააღმდეგის დესანტის გადმოსხმისაგან; მუჰამედ-ემინს აფხაზეთის ჩრდილოეთი ნაწილიც რომ დაეკავებინა, ის კოდორს ვერ გადალახავდა. ამით უნდა ესარგებლა ი. ანდრონიკაშვილს, თურქებისათვის დაუყოვნებლივ შეეტია ახალციხესთან და გურიის საზღვრებიდან უკუეგდო, რაც გავლენას მოახდენდა საერთო ვითარებაზე კავკასიის ფრონტზე, ასევე კავკასიის მთიელებზეც და მუჰამედ-ემინის გეგმას ოსმალეთის ჯარებთან შეერთებაზე ჩაშლიდა.[3] იმპერატორი თვლიდა, რომ თუ ვერ მოხერხდებოდა ჩრდილოეთ აფხაზეთის შენარჩუნება, მაშინ ყველა ზომა უნდა ყოფილიყო მიღებული კოდორის ხაზის დასაცავად, რადგან მისი დაკარგვა სამურზაყანოსა და სამეგრელოს აოხრებასაც გამოიწვევდა. სანამ კოდორზე ფონით გადასვლა შეუძლებელი იყო, მიხეილ შარვაშიძე აფხაზეთის მილიციით შეძლებდა ამ ხაზის დაცვას, შემდეგ კი გურიის რაზმის ნაწილებით ი. ანდრონიკაშვილი გააძლიერებდა. ვ. დოლგორუკოვის აზრით, კოდორის მარჯვენა ნაპირზე ჯარების მოქმედების მიზანი მთიელთა მცირე რაზმებთან ბრძოლა უნდა ყოფილიყო, ხოლო აფხაზეთის დაკავება ომის დასასრულისათვის უნდა გადაედოთ. ხელისუფლება ნ. რეადისგან მოითხოვდა, ამ მხარეში და, განსაკუთრებით, სოხუმში, მტკიცედ დამკვიდრებისათვის საჭირო ღონისძიებები დროულად მოეფიქრებინა.[4]

დასავლეთ საქართველოში თურქებს წარუმატებლობა თან სდევდათ. 1854 წლის 27 მაისს ისინი ლანჩხუთთან დამარცხდნენ, ხოლო 4 ივნისს ჩოლოქთან ბრძოლა სელიმ ფაშას 30 ათასიანი კორპუსის განადგურებით დამთავრდა.[5] ასეთ ვითარებაში მიხეილ შარვაშიძემ ნ. რეადს რეგულარული ჯარის ნაწილების ენგურის მარცხენა ნაპირზე გაგზავნა სთხოვა, რაც, მისი აზრით, აფხაზებსა

---

1 АКАК, т. X, №288, გვ. 275.

2 АКАК, т. X, №288, გვ. 275.

3 АКАК, т. X, №289, გვ. 276.

4 АКАК, т. X, №289, გვ. 276.

5 АКАК, т. X, №289, გვ. 276.

და სამურზაყანოელებს გაამხნევებდა, საჭიროების შემთხვევაში კი მათი გამოყენება კოდორის ხაზის დასაცავად შეიძლებოდა.[1] ნ. რეადი ფიქრობდა, რომ 27 მაისისა და 4 ივნისის ბრძოლებში გამარჯვებას შესამჩნევად უნდა შეემსუბუქებინა აფხაზეთის მდგომარეობა, მიუხედავად ამისა, ი. ანდრონიკაშვილს უბრძანა გარკვეული ძალებისათვის თავი მოეყარა ენგურის მარცხენა ნაპირზე, ამასთან მჭიდრო ურთიერთობა დაემყარებინა აფხაზეთის მთავართან და მასთან შეთანხმებულად ემოქმედა.[2]

1854 წლის ივნისის დამლევს მუშირი სელიმ ფაშა რედუტ-კალეში ჩავიდა, სადაც მუჰამედ-ემინს შეხვდა და მოეთათბირა ერთობლივი შეტევის ორგანიზების თაობაზე. ივლისის დასაწყისში სელიმ-ფაშა ქობულეთში დაბრუნდა, ხოლო მუჰამედ-ემინი სოხუმში ჩავიდა, იქიდან კი ჩრდილოეთ კავკასიაში გადავიდა. მთიელები თანახმა იყვნენ რუსეთის ჯარების წინააღმდეგ ემოქმედათ, თუმცა შესაფერის ანაზღაურებას მოითხოვდნენ. სოხუმ-კალესა და ბათუმს შორის მოწინააღმდეგის ესკადრა კრეისირებას ეწეოდა.[3] ასეთ ვითარებაში, გურიის რაზმის უფროსმა კავკასიის კორპუსის შტაბის უფროსს აცნობა, რომ სვანეთის მთავარს, როტმისტრ დადეშქელიანს, მისმა სიძემ, წებელდელმა ეშსოუ მარშანიამ შესთავაზა სვანეთიდან, ენგურის ხეობით გაეტარებინა მთიელთა ქვეითი რაზმი, რომელიც ჯვარის მხრიდან თავს დაესხმოდა სამეგრელოს; იმავდროულად, აფხაზეთიდან მთიელთა მხედრობა შეიჭრებოდა, ხოლო ზღვიდან და ოსმალეთიდან სამეგრელოსა და გურიაში თურქთა და მოკავშირეთა ჯარები შეიჭრებოდა. დადეშქელიანმა უარყო ეს წინადადება და ამის შესახებ რუსეთის სარდლობას აცნობა, ამასთან, მთის ბილიკებზე გუშაგები დააყენა. გურიის რაზმის სარდლობამაც ჯვარის მიმართულებით საგუშაგოები გააძლიერა. რუსეთის სარდლობას ინფორმაცია ჰქონდა, რომ ეშსოუ მარშანია და უბიხი ჰაჯი კერანტუხ ბარზეგი მთიელთა რაზმებით აფხაზეთში იმყოფებოდნენ.[4]

მიხეილ შარვაშიძე ყოველნაირად ცდილობდა დასავლეთ კავკასიის მთიელებში მუჰამედ-ემინის ავტორიტეტი და გავლენა შეერყია. ამ მიზნით, ივნისის დასაწყისში, ის ჰაჯი კერანტუხ ბარზეგსა და სხვა უბიხ მამასახლისებს შეხვდა. აფხაზეთის მთავარი მთიელთა სიამაყის სუსტ ადგილს შეეხო და უსაყვედურა, რომ ისინი მზად იყვნენ დამორჩილებოდნენ ყოველ უცხოელს, რომელიც თავს მნიშვნელოვან ფიგურად წარმოაჩენდა. უბიხებმა აღნიშნეს, რომ ერთი პირისადმი მათი დამორჩილება გამოწვეული იყო რუსებისადმი ერთსულოვანი წინააღმდეგობის გაწევის აუცილებლობით. მაგრამ, რადგან რუსეთი ამ მხარიდან განიდევნა და ოსმალეთთანაც აღდგა თავისუფალი ურთიერთობა, მათ უკვე არ სჭირდებოდათ გარეშე პირი უფროსად, ამიტომ მუჰამედ-ემინს მორჩილებაზე უარი უთხრეს. მიხეილ შარვაშიძე რუსეთის სარდლობას აუწყებდა, რომ სეფარ-ბეი ზან-უყოს გავლენაც დაცემული იყო და, ამდენად, მთიელებთან

[1] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 123-125.

[2] АКАК, т. X, №291, გვ. 278-279.

[3] АКАК, т. X, №291, გვ. 279.

[4] Шамиль-ставленник султанской Турции и Английских колонизаторов (Сборник документальных материалов), под ред. Ш. В. Цагареишвили, Тб., 1953, გვ. 412.

საქმეები სასიკეთოდ იცვლებოდა.[1] მართლაც, ამის შემდეგ, მუჰამედ-ემინი და სეფარ-ბეი სტამბოლში გაემგზავრნენ, რათა მთიელებისათვის თავიანთი უფლებამოსილების დამამტკიცებელი სულთნის ფირმანი ჩამოეტანათ.„ჩემი ანგარიში გამართლდა, – წერდა მიხეილ შარვაშიძე სამხედრო მინისტრს ვ. დოლგორუკოვს, – მოკავშირეებს გაუცრუვდათ ის იმედები, რასაც ისინი მაჰმადიანებზე ამყარებდნენ, ხოლო სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტომები თითქმის არ ენდობიან მათ შემოთავაზებულ წინადადებებს“.[2] მართლაც, ომის დაწყების შემდეგ, როგორც სამეგრელოს, ისე ყუბანის ხაზს მთიელების არცერთი თავდასხმა არ განუცდია.[3]

სეფარ-ბეი და მუჰამედ-ემინი მეტოქეები იყვნენ. ორივე მათგანი ცდილობდა დასავლეთ კავკასიის მთიელებზე გავლენის მოპოვებას და რომ პორტას მთიელთა წინამძღოლად ეცნო. 1854 წლის 7 სექტემბერს კავკასიის სარდლობამ ცნობა მიიღო, რომ სეფერ-ბეიმ თურქებთან თავის გამოჩენის მიზნით სამურზაყანოს დაპყრობა გადაწყვიტა. მან მუჰამედ-ემინს შესთავაზა მთიელთა რაზმი შეეკრიბა და სოხუმ-კალეში ჩაეყვანა. მაგრამ მუჰამედ-ემინმა უკმაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ პორტა არც მას და არც მთიელებს ყურადღებას არ აქცევდა, ამასთან მას სულაც არ სურდა სეფერ-ბეის განდიდებისათვის ხელი შეეწყო. მალე ის სოხუმ-კალეში ჩავიდა და იქიდან სტამბოლში გაემგზავრა, ამასთან უბიხებს შეუთანხმდა, რომ მის ჩამოსვლამდე სეფერ-ბეის სალაშქროდ არ გაჰყვებოდნენ. სეფარ-ბეი მართლაც შეეცადა უბიხები აეყოლიებინა, თუმცა უშედეგოდ. ამის შემდეგ იგი შეეცადა აფხაზეთსა და წებელდაში შეეკრიბა რაზმი და თავისი განზრახვა განეხორციელებინა, მაგრამ ვერ მოახერხა. ასე, რომ აფხაზეთში ოსმალეთის მთავარი წარმომადგენლის გეგმები სამურზაყანოს მიმართ ჩაიშალა. ამასთან, სეფარ-ბეიმ სელიმ-ფაშას ბრძანება მიიღო, მისი ნებართვის გარეშე შეტევითი მოქმედება არ ეწარმოებინა. მანვე აცნობა, რომ ოსმალეთისა და მოკავშირეთა ჯარები სევასტოპოლში გაიგზავნა და ამ ოპერაციის შედეგებამდე საომარი მოქმედებების წარმოებას ისიც არ აპირებდა.[4]

რუსეთის სარდლობა დასავლეთ საქართველოში სამხედრო ძალების ნაკლებობას განიცდიდა. გურიის რაზმის ერთი ნაწილი განლაგებული იყო მდ. ცივზე ზღვის მხრიდან ქვემო სამეგრელოს დასაცავად; მეორე ნაწილი მდ. ენგურზე იდგა და სამეგრელო აფხაზეთის მხრიდან მთიელთა შემოსევისაგან უნდა დაეცვა; დანარჩენი ნაწილები გურიაში იყო განლაგებული. იმპერატორს შესაძლებლად მიაჩნდა მიხეილ შერვაშიძისთვის რაზმის შედგენა, რათა მას აფხაზეთში ემოქმედა, მაგრამ ნ. რეადი ფიქრობდა, რომ აფხაზეთის მდგომარეობიდან გამომდინარე მას სურსათ-სანოვაგით ვერ მოამარაგებდნენ,[5] ამიტომ ამ რაზმის შექმნა გამოირიცხა.

---

1 Шамиль-ставленник..., გვ. 413.

2 АКАК, т. X, №292, გვ. 279.

3 **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 142.

4 В. А. Сологуб. Кавказ в Восточном вопросе, Тифлис, 1856, გვ. 21.

5 Шамиль-ставленник..., გვ. 413-414.

აფხაზეთიდან ჯარების გამოყვანის შემდეგ მიხეილ შარვაშიძე სამეგრელოში, სიმამრის – გიორგი დადიანის მამულში დამკვიდრდა და ხან სოფ. კურზუში, ხან სოფ. ჭკადუაშში იმყოფებოდა. ის იმედოვნებდა, რომ როგორც რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტს და იმპერატორის გენერალ-ადიუტანტს, შესაფერის სამსახურს შესთავაზებდნენ, სახელდობრ, გურიის რაზმის უფროსის თანამდებობას, მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა. 1854 წლის ივლისში ქუთაისის გუბერნიასა და სამეგრელოში დაბანაკებული ჯარების, გურიის რაზმის, უფროსად გენერალ-მაიორი ივანე ბაგრატიონ-მუხრანსკი დაინიშნა. კავკასიის კორპუსის სარდლობის აზრით, გურიის რაზმის უფროსად მიხეილ შარვაშიძის დანიშვნა არ შეიძლებოდა მის მიერ ჯარის მართვის არცოდნისა და სამხედრო საქმეში გამოუცდელობის, ასევე, სამეგრელოს სამთავრო სახლთან მტრობის გამო; შეუძლებელი იყო მისი დანიშვნა იმ რაზმის მეთაურად, რომელიც სამეგრელოში იდგა.[1] აფხაზეთის მთავრის მდგომარეობა სამეგრელოში სახარბიელო არ იყო, ის აქ როგორც კერძო პირი იმყოფებოდა, ფაქტობრივად, საომარი მოქმედებებისაგან გარიყული, ამასთან, სამეგრელოს დედოფალი ეკატერინე დადიანი ხელისუფლებისაგან კატეგორიულად მოითხოვდა მიხეილ შარვაშიძეს სამეგრელო დაეტოვებინა, რადგან მისი აქ ყოფნა, სამთავროში სიმშვიდეს არღვევდა.[2] 1854 წლის 11 დეკემბერს მიხეილ შარვაშიძე ვ. დოლგორუკოვს წერდა, რომ აუცილებლად მიაჩნდა მისი ყოფნა აფხაზეთის საზღვრების სიახლოვეს, რადგან შესაძლებლობა ჰქონდა თავისი გავლენით ქვეშევრდომებზე და მათ მეზობელ ტომებზე ზემოქმედება მოეხდინა, რითაც მოწინააღმდეგის გეგმებს გააქარწყლებდა. იგი წერდა, რომ იმედები, რასაც მოკავშირეები მუჰამედ-ემინზე ამყარებდნენ, გაუცრუვდათ; შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროს ტომებიც მათ წინადადებებს უნდობლად ეკიდებოდნენ.[3]

მიხეილ შარვაშიძის დაპირისპირება სამეგრელოს სამთავრო სახლთან სამურზაყანოს საკითხით იყო გამოწვეული. ამასთან, მას არ უყვარდა სამეგრელოს სამთავრო სახლის წარმომადგენლები, განსაკუთრებით, მთავარი დავით დადიანი (1846-1853) რუსეთის იმპერიისადმი მკვეთრად გამოხატული ერთგულების, რუსეთის ხელისუფლების ამ სახლისადმი დიდი ნდობისა და მხარდაჭერის გამო. უნდობლობა სამეგრელოს სამთავრო სახლსა და აფხაზეთის მთავარს შორის უფრო გაიზარდა, როდესაც მიხეილ შარვაშიძე სიმამრის ოჯახში დამკვიდრდა. გიორგი დადიანი ძმებთან ერთად ეკატერინე ჭავჭავაძე-დადიანს ოპოზიციაში ედგა. როგორც ჩანს, ამ უკანასკნელს აფრთხობდა აფხაზეთის მთავრისა და გიორგი დადიანის შესაძლო გაერთიანება სამეგრელოს სამთავრო სახლის წინააღმდეგ.[4]

ასეთ ვითარებაში, 1854 წლის 29 ნოემბერს კავკასიის მეფისნაცვლად და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლად გენერალ-ადიუტანტი ნ. მურავიოვი დაინ-

[1] АКАК, т. X, №756, გვ. 793; №757, გვ. 803; №763, გვ. 810.

[2] АКАК, т. XI, Тифлис, 1888, №43, გვ. 54; **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 179, 184.

[3] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 140-141.

[4] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 141-142.

იშნა. 1855 წლის თებერვალში იგი თბილისში ჩამოვიდა.[1]

1855 წლის დასაწყისში მოწინააღმდეგემ მოქმედება შავი ზღვის ჩრდილო-აღმოსავლეთ სანაპიროზე განაახლა. 10 და 12 თებერვალს ინგლის-საფრანგეთის ხომალდები ყუბანის შესართავთან გამოჩნდნენ და დესანტი გადმოსხეს; 28 თებერვალი – 2 მარტს მოწინააღმდეგის ესკადრამ ნოვოროსიისკი დაბომბა, იმავდროულად, მას მთიელებიც უტევდნენ. ნოვოროსიისკის დასახმარებლად ანაპიდან ვიცე-ადმირალი ლ. სერებრიაკოვი ჩავიდა და მთიელები უკუაგდო, თუმცა ცხადი იყო, რომ ასეთ პირობებში ნოვოროსიისკის შენარჩუნება დიდხანს შეუძლებელი იქნებოდა. მარტში, სოხუმში, მუსტაფა ფაშას მეთაურობით ოსმალეთის არმიის ოთხი ბატალიონი გადმოსხდა. მან მოლაპარაკებები გამართა აფხაზეთის, წებელდისა და ჩერქეზთა თავადებთან მათი ოსმალეთის მთავრობისადმი დამოკიდებულების გასარკვევად.[2] მუსტაფა ფაშასთან მრავალრიცხოვანი ამალით გამოცხადდა მთავრის ძმა ალექსანდრე შარვაშიძე, რომელმაც მას ხელშეწყობა და დახმარება აღუთქვა.[3] მუსტაფა ფაშა, რომელიც სათავეში ჩაუდგა ოსმალურ ადმინისტრაციას სოხუმში, აფხაზური არისტოკრატიის გადაბირებას აქტიურად ცდილობდა. ალექსანდრე შარვაშიძეს ოსმალებმა ფაშას ტიტული უბოძეს და აფხაზეთის მართვა დაავალეს. ოსმალებთან თანამშრომლობდნენ ასევე მთავართან დაახლოებული პირები: გენერალ-მაიორი კაც მარღანია, პორუჩიკი ჰასან მარღანია, რომელიც სოხუმის მმართველად დაინიშნა, მაიორი ბათალ-ბეი მარშანია და სხვები.[4]

კავკასიის კორპუსის სარდლობასთან მიხეილ შარვაშიძე უარყოფდა ძმის ოსმალების მხარეზე გადასვლას და ხელისუფლებას არწმუნებდა, რომ ალექსანდრე აფხაზეთში მისი დავალებით დარჩა და თუმცა თურქების მოთხოვნებს ასრულებდა, რამდენადაც შესაძლებელი იყო, იგი მთავრის მითითებებსაც ასრულებდა და ამ მხარეში მის ხელისუფლებას წარმოადგენდა; ჰასან მარღანია იქ დარჩა როგორც მემამულე თავის მამულში, ისევე, როგორც მრავალი მემამულე და, აუცილებლობის შემთხვევაში, როცა წინააღმდეგობის გაწევა შეუძლებელი იყო, თურქების მოთხოვნებს ასრულებდა. რაც შეეხება კაც მარღანიას, მიხეილ შარვაშიძე თვლიდა, რომ როდესაც რუსეთის ჯარებმა აფხაზეთი დატოვეს, სამთავრო მასაც უნდა დაეტოვებინა.[5]

მუსტაფა-ფაშამ სამეგრელოში მყოფ მიხეილ შარვაშიძეს რამდენჯერმე შესთავაზა აფხაზეთში ჩასვლა. მთავარი წინააღმდეგი არ იყო, მაგრამ გამგზავრებას აყოვნებდა. ბოლოს, ფაშამ კაც მარღანიას პირით მას აცნობა, რომ თუ აფხაზეთში არ ჩავიდოდა, მასთან ურთიერთობას შეწყვეტდა.[6] ასეთ ვითარებაში,

---

1 **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 140; **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეთის ისტორიული წარსულიდან, I, თბ., 2004, გვ.158.

2 А. Л. Зиссерман. Фельдмаршал князь Александр Иванович Барятинский, 1815-1879, т. II, М. 1890, გვ. 383-384.

3 АКАК, т. XI, №159, გვ. 282.

4 Воспоминания 1855 года майора Осман-бея, გვ. 200.

5 АКАК, т. XI, №36, გვ. 49.

6 **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 142-143.

1855 წლის აპრილში ნ. მურავიოვი ზუგდიდში ჩავიდა, სადაც იგი მიხეილ შარვაშიძესაც შეხვდა. მთავარსარდალი თავიდანვე უარყოფითად იყო განწყობილი აფხაზეთის მთავრისადმი და უნდობლად უყურებდა მას, თუმცა სამხედრო მინისტრმა ვ. დოლგორუკოვმა ჯერ კიდევ 1854 წლის დეკემბერში გააფრთხილა ის, რომ იმპერატორის აზრით, მიხეილ შარვაშიძემ ხელისუფლებისადმი ერთგულება დაამტკიცა და მის მიმართ უნდობლობის საფუძველი არ არსებობდა.[1] ნ. მურავიოვმა მიხეილ შარვაშიძეს მოსთხოვა დაუყოვნებლივ დაეტოვებინა სამეგრელო და საცხოვრებლად ქუთაისში ან თბილისში გადასულიყო. მიხეილ შარვაშიძემ ვერ აიტანა ასეთი უნდობლობა და ზეწოლა, ამიტომ მაისის დასაწყისში აფხაზეთში დაბრუნდა.[2]

1855 წლის 8 მაისს მიხეილ შარვაშიძე სამურზაყანოში გაემგზავრა. 9 მაისს ის სოფ. გუდავაში ჩავიდა და სამურზაყანოს ბოქაულს, მაიორ მიქელაძეს აუწყა, რომ მთავარსარდლისაგან საიდუმლო დავალება ჰქონდა და აფხაზეთში მიემგზავრებოდა, რადგან საქმეები ამ მხარეში არასასურველ შემობრუნებას იღებდა. 12 მაისს ის უკვე ოჩამჩირეში ჩავიდა. აფხაზეთში ჩასული მიხეილ შარვაშიძე შეეცადა ოსმალთა სარდლობასთან უშუალო ურთიერთობა დაემყარებინა.[3]

ერთი ცნობით, მან ფაშას აუწყა, რომ აფხაზეთში ნეიტრალურად დარჩენა სურდა, სანამ იქ მოკავშირეთა დესანტი არ გადასხდებოდა და მთიელების საერთო შეტევა არ დაიწყებოდა. ამ შემთხვევაში ის მათთან შეერთების პირობას დებდა და გამოთქვამდა აზრს, რომ ასეთი შეტევის შემთხვევაში წინააღმდეგობა არ შეხვდებოდათ. თითქოს, ამ წინადადებას ფაშა დათანხმდა, მაგრამ ოჯახთან ერთად სოხუმში გადასვლა მოსთხოვა.[4] რამდენიმე დღის შემდეგ მუსტაფა-ფაშა თვითონ ჩავიდა გემით ოჩამჩირეში და მიხეილ შარვაშიძე თავისთან მიიწვია, მაგრამ ამ უკანასკნელმა ავადმყოფობა მოიმიზეზა და არ შეხვდა. ამის შემდეგ ფაშას მისი ნახვა არ მოუნდომებია. მიხეილ შარვაშიძე მიხვდა, რომ ფაშა გაანაწყენა და მას კერანტუხ ბარზეგი მიუგზავნა, რომელსაც ის უნდა დაერწმუნებინა, რა დიდ სარგებლობას მოუტანდა ოსმალეთს მთიელებზე დიდი გავლენის მქონე აფხაზეთის მთავრის მომხრობა. მისმა დარწმუნებამ იმოქმედა და 3 ივნისს ფაშა კვლავ ჩავიდა ოჩამჩირეში ალექსანდრე შარვაშიძის, ჰასან მარღანიასა და ბათალ-ბეი მარშანიას თანხლებით, შეხვდა მიხეილ შარვაშიძეს და სამი საათი ესაუბრა მას. 8 ივნისს კი მიხეილ შარვაშიძე სოხუმში ჩავიდა, სადაც დიდი პატივით შეხვდნენ.[5]

ივნისის პირველ რიცხვებში კავკასიის კორპუსის სარდლობამ მიიღო ინფორმაცია, რომ მიხეილ შარვაშიძე თურქების მხარეზე გადავიდა. მიუხედავად ამისა, ნ. მურავიოვი და ვ. ბებუთოვი საჭიროდ თვლიდნენ აფხაზეთის მთავართან

[1] АКАК, т. XI, №40, გვ. 50.

[2] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 144.

[3] **კ. ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. 1854-1861. მოგონებანი, ტფილისი, 1934, გვ. 16; **ნ. თაკალანძე**. მიხეილ შარვაშიძე და ყირიმის ომი,,,საისტორიო ძიებანი'', II, თბ., 1999, გვ. 114.

[4] АКАК, т. XI, №36, გვ. 45.

[5] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 168; АКАК, т. XI, №36, გვ. 45-48.

სიტუაციის ბოლომდე გარკვევას. ნ. მურავიოვი ფიქრობდა, რომ ამ ნაბიჯისკენ მიხეილ შარვაშიძეს სამეგრელოს სამთავრო სახლის სიძულვილმა უბიძგა და იგი სამურზაყანოს დაუფლებასა და სამეგრელოს საზღვრისპირა სოფლების გაძარცვას შეეცდებოდა, ხოლო უფრო ღრმად შემოჭრისაგან თავს შეიკავებდა.[1] 7 ივნისს ვ. ბებუთოვმა მიხეილ შარვაშიძის წერილი მიიღო. მთავარი ჩიოდა, რომ მისი მდგომარეობა სამეგრელოში არ შეესაბამებოდა მის წოდებას და იქ უქმად ყოფნა ზედმეტად ჩათვალა, მისმა მტრებმა კი გაავრცელეს ხმები თურქების მხარეზე მისი გადასვლის შესახებ, თუმცა ბოლოს ყველაფერი გაირკვეოდა.[2] მიხეილ შარვაშიძე თავის გადაწყვეტილებას აფხაზეთში დაბრუნების შესახებ, ომის პირობებში მისი შესაძლებლობების გამოუყენებლობით ხსნიდა, როდესაც უქმად ყოფნას სამთავროს მოვლა და აქედან ხელისუფლებისათვის სარგებლობის აღმოჩენა არჩია. იგი წერდა:„კაცი ვითარცა უქმი, მე ყოვლად დაიმედებული თავის თვისსა ზედა, რომელ არა ვარ გამოუსადეგ და უქმი, ვარჩიე უსაქმოდ ყოფნას, შემოსვლა ისევ ჩემივე სამთავროში... და დაცვა მათი მყუდროებასა შინა და უკეთუ მომცემდა შემთხვევა, აქედანაცა აღმომეჩინა სარგებლობა ჩემის ხელმწიფე იმპერატორისა“.[3] ამდენად, მიხეილ შარვაშიძე თურქების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში გადასვლას იმით ხსნიდა, რომ არ სურდა სამთავროში განვითარებული მოვლენების პასიური მაცქერალი ყოფილიყო და რუსეთის სარდლობისათვის შეძლებისდაგვარად დახმარება აღმოეჩინა.

აფხაზეთში ჩასულ მიხეილ შარვაშიძეს ქვეყანა ფაქტობრივად ოსმალეთის მომხრედ განწყობილი დახვდა.[4] ბზიფის ოლქში ჩასულ აფხაზეთის მთავარს იქ დახვდა ჩერქეზთა და აფხაზთა ლაშქარი, რომელსაც განზრახული ჰქონდა მარბიელი ლაშქრობის მოწყობა სამურზაყანოში ტყვეებისა და ნადავლის ხელში ჩაგდების მიზნით, მაგრამ მიხეილ შარვაშიძემ ამ ლაშქრობის ჩაშლა შეძლო.[5] მიხეილ შარვაშიძის სიმამრი გიორგი დადიანი გრიგოლ დადიანს წერდა: მიხეილ„ჯერ ზუფუს (ლიხნი,— ბ. ხ.) მისრულა და იქ ყოფილა ჯარები შეკრებილი ჩერქეზების და აფხაზის... ეს შეკრებული ჯარები მომავალი ყოფილა სამურზაყანოზედ, სამურზაყანო უნდა დაეკავებინათ, მძევლები უნდა გამოერთმიათ და უნდა წასულიყვნენ, მაგრამ ეს განზრახვა, ყველა დაურღვევია მიხეილს და რაც ჯარები ყოფილა ყულანი თავთავის სახლში გაუშვია“.[6]

სხვა დროსაც, როდესაც შესაძლებლობა მიეცემოდა, მიხეილ შარვაშიძე ხელს უშლიდა თურქებს ჩერქეზებისა და აფხაზების სალაშქროდ შეკრებაში.[7] ამასთან, იგი ცდილობდა ოსმალებთან საერთო ენა გამოენახა. კავკასიის რუსული ადმინისტრაციისთვის ცნობილი გახდა, რომ მან თურქთა სარდლობისაგან

---

1 АКАК, т. XI, №36, გვ. 46; №38, გვ. 48; №40, გვ. 50-51.

2 АКАК, т. XI, №37, გვ. 46.

3 АКАК, т. XI, №38, გვ. 46.

4 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 238.

5 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 148.

6 **ნ. თაკალანძე**. მიხეილ შარვაშიძე და ყირიმის ომი, გვ. 114.

7 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 238.

მოითხოვა ყველა ის უფლება, რაც მის პაპას ქელეშ-ბეის ჰქონდა, როდესაც ოსმალეთის ვასალი იყო; აფხაზეთში განლაგებული ჯარების სარდლობა; ყველა ოლქი, რომელსაც იარაღით ან მოლაპარაკებებით შეუერთებდა თავის სამფლობელოს, სამუდამოდ დარჩენილიყო მის მემკვიდრეობით მფლობელობაში იმავე უფლებით, რა უფლებაც აფხაზეთზე ჰქონდა.[1] მუსტაფა-ფაშამ მას აუწყა, რომ ასეთ პირობებზე დათანხმება მის უფლებებს აღემატებოდა, ამიტომ ეს პირობები დივანის განსახილველად სტამბოლში გადააგზავნა.[2]

მიუხედავად იმისა, რომ მიხეილ შარვაშიძე თურქების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთში დაბრუნდა და გარკვეულწილად მათთან თანამშრომლობდა კიდეც, ეს არ ნიშნავდა, რომ მან აშკარა პროთურქული პოზიცია დაიკავა. ფარული კონტაქტები რუსეთის სარდლობასთან მას არ შეუწყვეტია, მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდიდა და რუსული მხარისათვის ერთგულების დამტკიცებას ცდილობდა. ნ. მურავიოვი აფხაზეთის მთავარს ორპირობაში სდებდა ბრალს. მისი აზრით, მიხეილ შარვაშიძემ არ იცოდა მეომარი მხარეებიდან ვის დარჩებოდა აფხაზეთი, არ ჰქონდა გულწრფელი ერთგულება არცერთი მხარისადმი, მაგრამ სურდა თავისი სამფლობელო შეენარჩუნებინა და თავს მოვალედ თვლიდა ნეიტრალიტეტი დაეცვა, თუმცა ივიწყებდა, რომ იმპერატორის გენერალ-ადიუტანტის წოდებას ატარებდა.[3] ვ. ბებუთოვიც თვლიდა, რომ მისი აფხაზეთში გადასვლა განპირობებული იყო სამთავროს შენარჩუნების სურვილით, რადგან რუსული იარაღის გამარჯვებაში ბოლომდე დარწმუნებული არ იყო.[4]

ოსმალეთი და მისი მოკავშირეები, – ინგლის-საფრანგეთი, – დიდ იმედებს ამყარებდნენ დასავლეთ კავკასიის მთიელებისა და შამილის მხარდაჭერაზე. ინგლისელმა სტრატეგებმა შეიმუშავეს გეგმა, რომლის თანახმადაც მათ აქტიურად უნდა ემოქმედათ კავკასიაში და ამით რუსეთის ჯარების ნაწილი დასავლეთი საზღვრებიდან ჩამოეშორებინათ. ამისთვის გადაწყდა დესანტით დაეკავებინათ სოხუმი და რუსეთის წინააღმდეგ ჩრდილოკავკასიელ მთიელთა საერთო აჯანყება მოეწყოთ.[5] მოკავშირეები იმედოვნებდნენ, რომ ჩრდილოეთ კავკასიას რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის აქტიურ თეატრად გადააქცევდნენ, თუმცა მათი იმედები არ გამართლდა. 1855 წლის 13 მაისს რუსეთის ჯარის ნაწილებმა ნოვოროსიისკი დატოვეს და გენერალ-მაიორ ი. დებუს მეთაურობით 17 მაისს ანაპაში ჩავიდნენ; 25 მაისს რუსეთის ჯარებმა ვიცე-ადმირალ ლ. სერებრიაკოვის მეთაურობით ანაპა და ახლომახლო სტანიცები დატოვეს, ციხე დაანგრიეს და ყველა შენობა გადაწვეს. ამის შემდეგ, სულ მალე, ინგლის-საფრანგეთის დესანტი ანაპაში, ხოლო მოგვიანებით, სექტემბერში, ტამანის ნახევარკუნძულზე გადასხდა, მაგრამ ადიღებმა მათ რეალური დახმარება არ გაუწიეს.[6] დასავლეთ

---

1 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 195.

2 АКАК, т. XI, №40, გვ. 51; **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 182-183.

3 АКАК, т. XI, №40, გვ. 51.

4 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 246.

5 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 207.

6 Д. Афанасьев. К истории Черноморского флота, –„Русский архив“, кн. I, М. 1902, გვ.639.

კავკასიის მთიელთა წინამძღოლებმა – მუჰამედ-ემინმა და საფარ-ბეი ზან-უყომ ვერ შეძლეს დაპირებული ძალების გამოყვანა, ხოლო ჩერქეზთა ეთნოგრაფიული ჯგუფების დახმარების გარეშე დესანტს სერიოზული წარმატების იმედი არ უნდა ჰქონოდა. მუჰამედ-ემინი კიდევ ერთხელ შეეცადა შამილთან შეერთებას და ამ მიზნით ყარაჩაისა და ყაბარდოს დაკავება სცადა, თუმცა უშედეგოდ. შამილიც ყოველნაირად ცდილობდა შეერთებოდა მუჰამედ-ემინს, მაგრამ რუსეთის ჯარის ნაწილებმა ეს მცდელობაც აღკვეთეს.[1]

ანაპაში ოსმალეთის ჩინოვნიკებთან პირველი გაცნობის შემდეგ, რომლებიც ცდილობდნენ კავკასიელი მთიელები პორტას ქვეშევრდომებად გადაექციათ, ადიღები თურქთა მოკავშირეებსაც ეჭვით უყურებდნენ.[2] ისინი იმიტომ კი არ იცავდნენ თავიანთ დამოუკიდებლობას რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში, რომ პორტას ქვეშევრდომებად ქცეულიყვნენ.[3] ოსმალეთის ყოფილი დიდი ვეზირის შვილის, ოსმალეთის არმიის ოფიცრის ოსმან-ბეის ცნობით, ინგლისელები არაფერს იშურებდნენ, რომ „ჩერქეზები რუსების წინააღმდეგ განეწყოთ და რუსეთთან ბრძოლაში ჩაებათ“.[4] ფართოდ გამოიყენებოდა „ჩერქეზეთის დამოუკიდებლობის“ ლოზუნგიც, თუმცა, როგორც ოსმან-ბეი აღნიშნავდა „„დამოუკიდებლობა უეჭველად უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ ილუზიად, რადგან ოსმალეთი თავის პროექტებს საკუთარი სარგებლობისთვის ადგენდა და არა ჩერქეზთა შესანიშნავი თვისებების გამო“.[5]

ნიკოლოზ I კავკასიის ფრონტს დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა. იგი სარდლობისგან მოითხოვდა ოსმალეთის სიღრმეში შეტევითი ოპერაციების განხორციელებას და ყარსის, ბაიაზეთის, არდაგანის, ბათუმის დაკავებას, რაც პორტას იძულებულს გახდიდა რუსეთისთვის ხელსაყრელ საზავო პირობებს დათანხმებოდა. მაისის მიწურულს რუსეთის ჯარის ნაწილებმა კავკასიის ფრონტზე მოქმედება გააქტიურეს. 24 მაისს რუსეთის კორპუსმა უშუალოდ ნ. მურავიოვის მეთაურობით მდ. არფაჩაი გადალახა და ოსმალეთის ანატოლიის არმიის წინააღმდეგ გააჩაღა მოქმედება, რომლის ძირითადი ნაწილები ყარსში იყო დისლოცირებული. ყარსის ციხე არზრუმიდან ამიერკავკასიისკენ მიმავალ უმოკლეს გზაზე მდებარეობდა. როგორც ფუად-ფაშა აღნიშნავდა, იგი ოსმალეთის „„აზიური საზღვრების გასაღებს“ წარმოადგენდა. მისი აღებით რუსები არზრუმს, შემდეგ კი მთელ ანატოლიას დაემუქრებოდნენ.[6] 31 მაისს რუსეთის ჯარებმა არდა-

---

[1] С. К. Бушуев. Из истории внешнеполитических отношений в период присоединения Кавказа к России (20-70-е годы XIX в.), М. 1955, გვ.79; Н. А. Смирнов. Политика России на Кавказе в XVI –XIX веках, М. 1958, გვ. 217-218; История СССР с древнейших времен до наших дней, т. IV, М. 1967, გვ. 557.

[2] Н. Н. Муравьев, Война за Кавказом, т. I, СПб., 1877, გვ. 8; С. К. Бушуев. Борба горцев за независимость под руководством Шамиля, М.-Л. 1939, გვ. 154-155; ჩრდილო კავკასიის ხალხთა ისტორიის ნარკვევები, ნაკვ. II, თბ., 1978, გვ. 71.

[3] Н. Н. Муравьев, Война за Кавказом, т. II, СПб., 1877, გვ. 269.

[4] История СССР, т. IV, გვ. 557.

[5] Воспоминания 1855 года майора Осман-бея, გვ. 206.

[6] Воспоминания 1855 года майора Осман-бея, გვ. 171.

განი აიღეს, ხოლო ივნისში ალყა შემოარტყეს ყარსს და ამით ოსმალეთის უმთავრეს ცენტრებს საფრთხე შეუქმნეს. იმავდროულად, 1855 წ. სექტემბერში მოკავშირეებმა თერთმეტთვიანი ალყის შემდეგ, აურაცხელი მსხვერპლის ფასად სევასტოპოლი აიღეს. ნაპოლეონ III-მ, რომლის არმიაც ძირითადი ძალა იყო ყირიმში, სევასტოპოლის აღებით ომის დამთავრება გადაწყვიტა, მაგრამ პალმერსტონი, რომელსაც საფრანგეთის გაძლიერების ეშინოდა, ომის ასეთი დასასრულის წინააღმდეგი იყო. ის დაჟინებით მოითხოვდა ომის გაგრძელებას და თავისი გეგმის – რუსეთის დანაწილების განხორციელებას. იგი ამ გზით იმედოვნებდა ევროპის სახელმწიფოთა თვალში ინგლისის პრესტიჟი აემაღლებინა. ინგლისისგან განსხვავებით საფრანგეთს არ სურდა რუსეთის შემდგომი დასუსტება, რადგან მას ინგლისის საპირისპირო ძალად განიხილავდა,[1] მაგრამ საფრანგეთი იძულებული გახდა ომის გაგრძელებას დათანხმებოდა.

1855 წლის სექტემბერ-ოქტომბერში ყარსის გადასარჩენად თურქებმა სოხუმში ომერ-ფაშას სარდლობით 45 ათასიანი დესანტი გადმოსხეს, რომელმაც აფხაზეთი დაიკავა.[2] ინგლისელმა ოფიცერმა ბალარდმა წინასწარ შეისწავლა აფხაზეთის ის პუნქტები, სადაც ომერ-ფაშას არმია უნდა ჩასულიყო. იგი მიხეილ შარვაშიძესაც შეხვდა. აფხაზეთის მთავარმა ინგლისელი ოფიცერი კარგად მიიღო. იგი არ მალავდა, რომ უპირატესობას რუსებს ანიჭებდა, ზიზღით იყო გამსჭვალული თურქების მიმართ აფხაზეთში მათი მოსალოდნელი დამკვიდრების გამო. მიხეილ შარვაშიძე გარეგნულად მოკავშირეების მიმართ სიმპათიას გამოხატავდა, თუმცა, რეალურად მათ მხარეზე არ დამდგარა.[3]

ომერ-ფაშას გადაწყვეტილი ჰქონდა საქართველოს გავლით ყარსამდე ჩაეღწია და ალყაშემორტყმულ ციხეს დახმარებოდა. ამასთანავე, მასზე იყო დაკისრებული საქართველოსა და ჩერქზეთის რუსეთისაგან გათავისუფლება და მთელი კავკასიის გათავისუფლების წინაპირობის შექმნა.[4] ომერ-ფაშას შტაბის უფროსი ფერჰად-ფაშა გრაფ როზმორდიუკს, რომელიც მაშინ სამეგრელოში ცხოვრობდა, წერდა:„მეფე უკუგდებულ უნდა იქნეს თერგსა და ყუბანს იქით, საბოლოოდ ასე გადაწყდა მოკავშირეთა საბჭოზე“.[5] ომერ-ფაშას უახლოესი სტრატეგიული მიზანი იყო ქუთაისის აღება, სურამის ქედის გადალახვა და კავკასიის პოლიტიკური და ადმინისტრაციული ცენტრის თბილისის დაუფლება.[6] მაგრამ იმ იმედით, რომ აფხაზეთისა და დასავლეთ კავკასიის მოსახლეობა მის მხარეზე დადგებოდა, ომერ-ფაშამ კავკასიის სიღრმეში შეტევის დაწყების საწყის პუნქტად აირჩია არა რედუტ-კალე, რომელიც ქუთაისიდან 108 ვერსზე იყო, არამედ 200 ვერსით დაშორებული სოხუმ-ყალე, ამასთან მას ორ დიდი

---

1 **ე. ბურჭულაძე,** ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 179-180.

2 Н. С. Киняпина, Внешняя политика..., გვ. 263.

3 Н. Н. Муравьев, Война за Кавказом, т. II, გვ. 174; **ე. ბურჭულაძე,** ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 335-338, 356; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 325-326.

4 **ა. ჩხეიძე,** ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, გვ. 149-150.

5 **ა. ჩხეიძე,** ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, გვ. 139; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 325-326.

6 **კ. ბოროზდინი.** სამეგრელო და სვანეთი. გვ. 50; АКАК, т. XI, გვ. 133, 241.

მდინარის – კოდორისა და ენგურის გადალახვა მოუწევდა.[1] როგორც სამხედრო ისტორიკოსი ავერიანოვი წერდა, აფხაზებთან და ჩერქეზებთან ახლოს ყოფნის სურვილმა, რომელთა რუსეთის წინააღმდეგ ამხედრებასაც ომერ-ფაშა ფიქრობდა, აიძულა თურქთა მთავარსარდალი ქუთაისზე შეტევისათვის უფრო გრძელი და ნაკლებად ხელსაყრელი გზა აერჩია.[2] თუმცა კავკასიის კორპუსის მთავარსარდალი ნ. მურავიოვი ფიქრობდა, რომ ომერ-ფაშას მიზანი იყო არა ანატოლიის არმიასთან შეერთება და ალყისაგან ყარსის დახსნა, არამედ ისეთი დივერსიის მოწყობა, რომელიც ქუთაისსა და თბილისს საფრთხეს შეუქმნიდა და ამით რუსეთის ჯარის ნაწილებს აიძულებდა ყარსის ბლოკადა მოეხსნათ,[3] რასაც თანამედროვე ისტორიკოსი ჰ.-მ. იბრაგიმბეილი სავსებით იზიარებს.

19 სექტემბერს სოხუმში ომერ-ფაშა ჩავიდა. ნავსადგურში მას მიხეილ შარვაშიძე დახვდა. თვითმხილველთა ინფორმაციაზე დაყრდნობით, ამ ფაქტს გენერალი ნ. კოლიუბაკინი ასე აღწერს:„19 რიცხვში დილით ომერ-ფაშა მოვიდა სოხუმში გემით. ნავსადგურში აფხაზეთის მთავარი ელოდებოდა. მას სურდა თურქული წესისამებრ თაყვანი ეცა, მაგრამ ომერმა შეაჩერა ის, ხელი ჩამოართვა და რუსულად უთხრა: გამარჯობა მიხეილ... ჯარის დათვალიერებიდან მობრუნებულმა გენერალისიმუსმა დაინახა თავისი სახლის წინ მდგარი მთავარი... რამდენიმე სიტყვა უთხრა როგორც უწინ, რუსულად. ვერავინ გაიგო ეს სიტყვები, მაგრამ ხალხში ხმა გავრცელდა, რომ მან შესთავაზა ან თავისუფლება მისცა დაბრუნებულიყო რუსებთან“.[4] ამით ომერ-ფაშა აფხაზეთის მთავარს აშკარად მიანიშნებდა, რომ არჩევანის დრო დადგა და თუ ის თურქებთან თანამშრომლობას აპირებდა, ამის ღიად დაფიქსირება იყო საჭირო.[5] ერთი ცნობით, ომერ-ფაშა სულთნის სახელით მიხეილ შარვაშიძეს შეპირდა მისთვის ებოძებინა ის მიწები, რომელსაც ომის მსვლელობაში იარაღით ან მოლაპარაკებებით რუსეთს წაართმევდა. ამასთან, მიხეილ შარვაშიძე ანაპიდან ბათუმამდე ყველა სიმაგრისა და გარნიზონის უფროსად გამოცხადდა.[6] შემდეგ, მიხეილ შარვაშიძე, ვ. ბებუთოვისადმი წერილში წერდა:„მოვიდა რა ომერ-ფაშა სოხუმს... წინადამიდვა – უკეთუ არა ვარ წინააღდეგი მათის მპყრობელობისა, მაშ შეუერთდე მას ჩემის და მთიელის ლაშქრითა და იგი მომიტანს ფირმანს, დამტკიცებულსა სოიუზნი დერჟავებისაგან, მას შინა: რომელ რაოდენს ადგილებსაც ომერ-ფაშა დაიპყრობს ჩემის თანაშეწყობითა ვიდრე საქართველომდე (იგულისხმება აღმ. საქართველო, – ბ.ხ.), იქმნების ჩემს გამგებლობაში. მე გარდაწყვეტილად გამოუცხადე, რომელ აღება საჭურველისა პირისპირ იმ მხედრობისა, რომლისაგან

---

[1] Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 326.

[2] **სცსსა,** ფ. 1087, აღწ. 1, ს. 443, ფურც. 44; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 327.

[3] **სცსსა,** ფ. 1087, აღწ. 1, ს. 443, ფურც. 44; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 328.

[4] Н. Н. Муравьев. Война за Кавказом, т. II, გვ. 174.

[5] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 193.

[6] **ზ. პაპასქირი**. ნარკვევები თანამედროვე აფხაზეტის ისტორიული წარსულიდან, I, თბ., 2004, გვ.166.

მე სიყრმიდანვე აღზრდილ და დაცულ ვარ, არ ძალმიძს".[1] ამდენად, მიხეილ შარვაშიძე ცდილობდა ნეიტრალიტეტი დაეცვა, წინდახედულად და ფრთხილად მოქმედებდა და რუსეთ-ოსმალეთის სამხედრო კონფრონტაციაში მონაწილეობისაგან გარეგნულად განზე იდგა.

ომერ-ფაშამ თანამშრომლობისაკენ მოუწოდა სხვა აფხაზ ფეოდალებსაც, მათ შორის, რუსეთის არმიის პოლკოვნიკს დიმიტრი ჰასან-ბეის ძე შარვაშიძეს. ომერ-ფაშა მას წერდა: „если вы пожелаете служить у нас, то будете пользоваться тем же чином, который вы приобрели познаниями вашими и храбростью в русской армии".[2] მაგრამ დიმიტრი შარვაშიძემ თურქთა სარდალს მკვეთრი და ცალსახა პასუხი გასცა:„мой понятия об обьязанностях абхазца и цели вашего вторжения, совершенно противны вашему взгляду на сей предмет. Я недоступен заразе, вызываемой дурными примерами... всегда и везде позорен побег и уклонение от своих знамен".[3] დიმიტრი შარვაშიძის გადმობირებას მიხეილ შარვაშიძეც ცდილობდა და ამ მიზნით მეუღლის – ალექსანდრას შუამავლობაც გამოიყენა. მიხეილი დიმიტრის ურჩევდა, გაეთვალისწინებინა ახალი სამხედრო-პოლიტიკური რეალობა, მიეტოვებინა რუსეთის სამსახური და მთავარსა და ნათესავებს არ ჩამოშორებოდა,[4] თუმცა ამ მცდელობამ უშედეგოდ ჩაიარა.

ოქტომბრის დასაწყისში სოხუმში ომერ-ფაშასთან მუჰამედ-ემინი ჩავიდა. მთავარსარდალმა სულთნის სახელით ის აბაძეხებისა და ჩერქეზთა სხვა ეთნოგრაფიული ჯგუფების წინამძღოლად დანიშნა და ფაშას ეპოლეტები გადასცა. ასეთივე ეპოლეტები და საჩუქრები გაუგზავნა საფარ-ბეის ანაპაში. ომერ-ფაშამ კარგად იცოდა, რომ ჩერქეზთა დახმარების გარეშე მას გაუჭირდებოდა, ამიტომ მუჰამედ-ემინს განუცხადა, რომ სულთნის ერთგულების ნიშნად ის ვალდებული იყო მთიელთა ლაშქარი შეეკრიბა და მას შეერთებოდა.[5] მუჰამედ-ემინი ომერ ფაშას შეპირდა, რომ 20 ათასიან ლაშქარს გამოიყვანდა, მაგრამ მისი იმედები არ გამართლდა.[6] მან მთიელებს შავიზღვისპირეთზე გადამწყვეტი შეტევისაკენ მოუწოდა და აბაძეხებს ასი ქოხიდან ასი მეომრის გამოყვანა მოსთხოვა, მაგრამ ჩერქეზები მის მოწოდებას არ აჰყვნენ.[7] მუჰამედ-ემინის გავლენა ჩერქეზებში ამ დროისათვის საკმაოდ შერყეული იყო და ომერ-ფაშასთვის რაიმე მნიშვნელო-

---

[1] **სცსსა,** ფ. 416, აღწ. 4, ს. 62, ფურც. 1; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 342.

[2] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 239.

[3] Н. Н. Муравьев. Война за Кавказом, т. II, გვ. 386.

[4] Н. Н. Муравьев, Война за Кавказом, т. II, გვ. 387-388; Очерки истории Абхазской АССР, ч. I, Сухуми, 1960, გვ. 195.

[5] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 191.

[6] Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 327-328; Н. С. Киняпина, М. М.Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 176-177.

[7] **ა. იოსელიანი**. რუსი და ქართველი ხალხების საბრძოლო თანამეგობრობის ისტორიიდან (XIX საუკუნის რეფორმამდელი პერიოდი), თბ., 1955, გვ. 161.

ვანი დახმარების გაწევა მას არ შეეძლო.[1] ერთი ცნობით, განრისხებული მუჰამედ-ემინის ბრძანებით ერთ დღეს 150 ჩერქეზი ჩამოახრჩვეს, რომლებმაც ომერ-ფაშას ლაშქრობაში მონაწილეობაზე უარი თქვეს.[2] შედეგი ვერ გამოიღო ომერ ფაშას წერილმა აბაძახების მამასახლისებისადმი. მასთან მხოლოდ თემირგოელი თავადი კორბეკ ბოლოთუყო გამოცხადდა უზდენებთან ერთად.[3] დასავლეთ კავკასიის მთიელების გარდა, ოსმალეთისა და მისი მოკავშირეების გეგმებში დიდი როლი ენიჭებოდა ჩრდილო-აღმოსავლეთ კავკასიის, ჩეჩნეთ-დაღესტნის მიურიდულ მოძრაობას, მაგრამ არც შამილმა ისურვა მოკავშირეების დახმარება. ის უნდობლად უყურებდა თურქებს და დაიფიცა კიდეც მათთან საერთო არაფერი ჰქონოდა.[4] ომერ-ფაშამ შამილს მუშირის (მარშლის) წოდება უბოძა, მაგრამ ამით нисколько не польстило его самолюбие.[5]

ომერ-ფაშას კარგად ესმოდა საქართველოში ოსმალეთის არმიის გამოყენების მიზანშეუწონლობა, რადგან თურქების იქ ყოფნა გააცოცხლებდა მძიმე მოგონებებს მათ ბატონობაზე, გაამძაფრებდა პოლიტიკურ ატმოსფეროს და მოსახლეობას შეიარაღებული წინააღმდეგობის გასაწევად განაწყობდა, ამიტომ მას უფრო გამართლებულად მიაჩნდა მისი კორპუსის რუსების წინააღმდეგ გამოყენება ყუბანში, სადაც ჩერქეზების მხარდაჭერითაც ისარგებლებდნენ, ხოლო საქართველოში ინგლის-საფრანგეთის ჯარებს მეტი წარმატება ექნებოდათ,[6] მაგრამ უკვე არაფრის შეცვლა არ შეიძლებოდა.

ოქტომბრის დასაწყისში ომერ ფაშას კორპუსის სოხუმში თავმოყრის პროცესი დასრულდა.[7] იმავდროულად, ყარსის გარნიზონის მდგომარეობა კრიტიკული გახდა. ციხეში შიმშილობა დაიწყო, რამაც გარნიზონის მორალური სული და ბრძოლისუნარიანობა დასცა. ერთადერთი იმედი ომერ ფაშა იყო.[8] ოქტომბრის მეორე ნახევარში ომერ ფაშას კორპუსი სოხუმიდან სამეგრელოსკენ დაიძრა. გზა მეტად რთული იყო, გაუვალი, ტალახიანი. ი. ბაგრატიონ-მუხრანსკის სამურზაყანოს დაცვისთვის გარკვეული ღონისძიებები გაეტარებინა: ხერგილები მოეწყო, სოფლები გაემაგრებინა, ადგილობრივი მილიცია შეკრიბა, მაგრამ ომერ-ფაშამ ყველა წინააღმდეგობა გადალახა და მთავარ ძალებს – 30 ათასამდე მებრძოლსა და 37 ქვემეხს, – 20 ოქტომბრისათვის მდ. ენგურის მარჯვენა ნაპირზე მოუყარა

---

1 Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 327-328.

2 Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 327-328; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 177.

3 **ა. იოსელიანი,** რუსი და ქართველი ხალხების..., გვ. 160.

4 Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 328.

5 **ჟ. . ადდელეყ.** თჰე ღუსსიან ჩონქუესტ ოფ ტჰე ჩაუცასუს. ონდონ - ეწ ორკ, 1908, გვ. 449; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 178.

6 **სცსსა,** ფ. 1087, აღწ. 1, ს. 443, ფურც. 45; М. И. Богданович. Восточная война 1853-1856 гг., т. IV, СПб., 1877, გვ.344; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ.190.

7 **ღუსსიან ჭარ,** 1855. ალტიც ანდ ლაცკ შეა. ფფიციალ ჩორრესპონდენცე. ონდონ, 1945, გვ. 391; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 177; **ა. ჩხეიძე.** ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, გვ. 150-151.

8 **ღუსსიან ჭარ,** 1855, გვ. 367; И. В. Бестужев. Крымская война 1853-1856 гг. М., 1956, გვ. 156.

თავი.[1] ი. მუხრანსკის მტრის ჭარბი ძალების წინააღმდეგ 5 ათასი ჯარისკაცი და სახალხო ლაშქრის რაზმები ჰყავდა. 25 ოქტომბერს, ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ, ომერ-ფაშა მდ. ენგურის გადალახვას შეეცადა. გვალვიანი შემოდგომა იდგა და ენგური საკმაოდ დაპატარავებული იყო. ამიტომ მასზე ფონით გადასვლა შეიძლებოდა. თურქებმა რამდენიმე მიმართულებით მიიტანეს იერიში. ბრძოლა მთელი დღის განმავლობაში გაგრძელდა. რუსთა და ქართველთა ლაშქარი თავდადებით იბრძოდა, მაგრამ მტრის ჭარბ ძალებთან ვერაფერს გახდა. ღამით, ი. მუხრანსკის ბრძანებით რუსთა და ქართველთა ლაშქარმა ორგანიზებულად უკან დაიხია. რამდენიმე დღის შემდეგ ი. მუხრანსკიმ მოულოდნელად სამეგრელო დატოვა, იმერეთში გადავიდა და მთელ ჯარს მდ. ცხენისწყლის მარცხენა ნაპირზე მოუყარა თავი.[2]

ენგურთან ბრძოლაში აფხაზთაგან თავი გამოიჩინეს მე-11 ბატალიონის მეთაურმა, პოლკოვნიკმა სოლომონ ზვანბამ, რომელიც გმირულად დაეცა ბრძოლის ველზე; ცხენოსანი რაზმის უფროსმა, პოლკოვნიკმა დიმიტრი შარვაშიძემ, საარტილერიო ბატარეის მეთაურმა, პრაპორშიკმა სამსონ შარვაშიძემ და მრავალმა სხვამ.[3]

26 ოქტომბერს თურქებმა უბრძოლველად დაიკავეს სამეგრელოს სამთავროს ცენტრი ზუგდიდი და მალე მთელ სამეგრელოს მოედვნენ, მაგრამ შემდგომი წინსვლა შეფერხდა. მტრის მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მძლავრი პარტიზანული მოძრაობა გაჩაღდა,[4] რაც ოსმალთა ჯარს დიდ ზარალს აყენებდა. საქმე იქამდეც კი მივიდა, რომ პარტიზანებმა ოსმალთა კორპუსის შტაბი დაარბიეს და კინაღამ ომერ-ფაშა ტყვედ ჩაიგდეს.[5] თურქებმა სამურზაყანო საფაშოდ გადააქციეს და ფაშად რუსეთის სამსახურის გენერალ-მაიორი, აფხაზეთის მთავართან დაახლოებული კაც მარღანია დანიშნეს. მას დიდი გავლენა ჰქონდა აფხაზებში, წებელდასა და დასავლეთ კავკასიის მთიელებში. მან სამურზაყანოელებს გამოუცხადა, რომ ამიერიდან ოსმალეთის ქვეშევრდომებად ითვლებოდნენ და ვალდებული იყვნენ ოსმალთა ბანაკში თითო სოფელს თითო ძროხა მიეყვანა.[6] რთული ვითარება იყო თურქების მიერ ოკუპირებულ აფხაზეთშიც, სადაც ოკუპანტებმა ტყვის სყიდვა გააჩაღეს. 26 ოქტომბერს სოხუმის

---

[1] В. А. Потто. Воспоминания о закавказском походе 1854-1855 годов, Военный сборник, 1863, март, т. XXX, გვ. 122-150, Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 177.

[2] М. И. Богданович. Восточная война 1853-1856 гг., т. IV, СПб., 1877, გვ. 346.

[3] Н. Н. Муравьев. Война за Кавказом, т. II, გვ. 287, 293, 296; **კ. ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. გვ. 20-21; **ებურჭულაძე**. ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 375-379; **ე. ორჯონიკიძე**, ყირიმის ომი და სამთავროების გაუქმება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. V, თბ., 1970, გვ. 213; Е. В. Тарле. Крымская война, 2-е изд. т. II, М., 1950, გვ. 535; И. В. Бестужев. Крымская война 1853-1856 гг., გვ. 156-157; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 330-331.

[4] **კ. ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. გვ. 21; АКАК, т. XI, გვ. 109; Г. А. Дзидзария. Восстание 1866 года в Абхазии, Сухуми, 1955, გვ. 81. №4

[5] Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 331.

[6] И. В. Бестужев. Крымская война 1853-1856 гг., გვ. 157.

რეიდზე შემოვიდა ინგლისური გემი,,კენგურუ", რომლის ეკიპაჟიც ტყვის სყიდვას ეწეოდა.[1] მაშინ ინგლისური გაზეთი,,თაიმსი" წერდა:,,აქაური აფხაზების სიძულვილი თურქებისადმი არავითარ ეჭვს არ იწვევს... ისინი არამარტო არ გვეხმარებიან, არამედ დაანგრიეს რამდენიმე ხიდი, რომლებსაც შეეძლო ჩვენი მოქმედება გაეადვილებინა. ამ ხალხში არ მალავენ თანაგრძნობას და ერთგულებას რუსებისადმი".[2] მიუხედავად იმისა, რომ აფხაზთა ერთი ნაწილი თურქების მხარეზე გადავიდა, მოსახლეობის დიდი ნაწილი ანტითურქულ განწყობას ინარჩუნებდა და მათ წინააღმდეგ საომარ ოპერაციებშიც მონაწილეობდა. ამიტომაც იყო, რომ თურქებმა მნიშვნელოვანი რაოდენობით აფხაზური სახალხო ლაშქრის შეკრება ვერ მოახერხეს.[3]

მიუხედავად იმისა, რომ ომერ-ფაშას ახალ-ახალი ძალები ემატებოდა, წინსვლა შეუძლებელი აღმოჩნდა. დაიწყო შემოდგომის კოკისპირული წვიმები, რამაც გზები გაუვალი გახადა. მდინარეების ადიდებამ შეუძლებელი გახადა მათი გადალახვა, თურქების მიერ აგებული ხიდები კი წყალმა წაიღო. თურქთა კორპუსი საკვების, ფურაჟისა და შესაფერისი ამუნიციის ნაკლებობას განიცდიდა; მოსახლეობის წინააღმდეგობა თურქების მიმართ სულ უფრო იზრდებოდა. ასეთ ვითარებაში ომერ ფაშას ლაშქრობის გაგრძელებაზე ლაპარაკიც არ შეიძლებოდა.[4] თურქთა სარდლობა მოსახლეობის მიმხრობას შეეცადა. ომერ ფაშა ცდილობდა ხალხში თავმდაბალი, ალერსიანი, მიუკერძოებელი, სხვისი უფლებებისა და საკუთრების პატივისმცემელი გამოჩენილიყო. ხალხის კეთილგანწყობის მოპოვების მიზნით ცდილობდა აღეკვეთა ძარცვა-რბევა, მოროდიორობა, ამიტომ არმიაში მკაცრი დისციპლინა დაამყარა. მიუხედავად ამისა თურქი ჯარისკაცები დისციპლინას ხშირად არღვევდნენ და ძარცვა-გლეჯას არ ერიდებოდნენ, რითაც ადგილობრივი მოსახლეობის უკმაყოფილება კიდევ უფრო იზრდებოდა.[5] ომერ ფაშას ჯარს უკან მოჰყვებოდნენ აფხაზები, წებელდელები, უბიხები და სხვა მთიელები, რომლებიც სოფლებს მოედვნენ, არბევდნენ და აწიოკებდნენ მოსახლეობას, ქალ-ვაჟები ტყვედ მიჰყავდათ. ომერ-ფაშას ბრძანებით, ვისაც ძარცვა-რბევაზე წაასწრებდნენ, უცბად ასამართლებდნენ და ხვრეტდნენ ან ტომარაში აგდებდნენ და წყალში ახრჩობდნენ, მაგრამ ყველაფრისთვის თვალის მიდევნება მთავარსარდალს არ შეეძლო. რბევა-აწიოკების დროს წაასწრეს და შეიპყრეს ალი-ბეი შარვაშიძის შვილები გიდი და მაჟარა. მათმა დედამ, კნეინა კესარია დადიანმა ომერ-ფაშას სთხოვა შეებრალებინა ისინი. მთავარსარდალი

---

1 **კ. ბოროზდინი.** სამეგრელო და სვანეთი. გვ. 33.

2 Е. Е. Бурчуладзе. Крушение англо-турецких захватнических планов в Грузии в 1855-1856 гг.,,Вопросы истории", №4, 1952, გვ. 18.

3 Г. А. Дзидзария. Восстание 1866 года в Абхазии, გვ. 81.

4 Д. Нинуа. Некоторые вопросы истории Абхазии периода Крымской войны1853-1856 годов. – ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ, IX, სოხუმი, 1956, გვ. 216-217.

5 М. И. Богданович. Восточная война 1853-1856 гг., т. II, გვ. 351-352; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 331.

პატივისცემით მოეპყრა კნეინას და შვილები ჩააბარა.[1] ოსმალთა ჯარს ადევნებულმა აფხაზებმა და სხვადასხვა ჯურის მძარცველებმა სამეგრელოს არაერთი სოფელი გაძარცვეს და ააოხრეს. სოფელ სუჯუნაზე თავდასხმისას მათ 60-მდე კაცი გაუტაცნიატ და თურქებზე გაუყიდიათ.[2]

მოსახლეობა სახლ-კარს თავს ანებებდა და ტყვეებსა და მთებში იხიზნებოდა. შედეგი არ მოჰყოლია ომერ-ფაშას პოლიტიკურ მანევრირებასაც, რომელიც სამეგრელოს მოსახლეობისა და სამთავრო სახლის კეთილგანწყობის მოპოვებისაკენ იყო მიმართული. ჯერ მთავარსარდალმა, ხოლო შემდეგ მასთან მივლინებულმა ინგლის-საფრანგეთის წარმომადგენლებმა ფ. ლონგუორტმა და გრაფმა დე მეფრემ 1855 წლის 6 დეკემბერს (25 ნოემბერი) სამეგრელოს დედოფალს წერილებით მიმართეს. ისინი ეკატერინე დადიანს არწმუნებდნენ, რომ ოსმალეთის არმიის მიზანი იყო რუსების წინააღმდეგ ბრძოლა, რუსეთის აგრესიის აღკვეთა კავკასიაში და სამეგრელოს დამოუკიდებლობის აღდგენა, რომ,,სამეგრელო და მისი მეზობელი ქვეყნები დამოუკიდებელი იყვნენ რუსეთისაგან და სხვა ნებისმიერი სახელმწიფოებისაგან". ისინი დედოფალს ზუგდიდში დაბრუნებისა და ძალაუფლების ხელში აღებისაკენ მოუწოდებდნენ.[3] ასეთივე შინაარსის წერილი უფრო ადრე, 9 (21) ნოემბერს ეკატერინე დადიანს ომერ-ფაშამაც მისწერა.[4] მაგრამ ეკატერინე დადიანი არ ენდო მათ დაპირებებს და თურქების წინააღმდეგ სამეგრელოში გაჩაღებულ პარტიზანულ ბრძოლას თვითონ ჩაუდგა სათავეში.

ასეთ ვითარებაში, 1855 წ. 15 ნოემბერს ყარსის გარნიზონმა კაპიტულაცია გამოაცხადა. 16 ნოემბერს რუსეთის სარდლობას ყარსის მთელი გარნიზონი ჩაბარდა, მათ შორის, ციხე-სიმაგრის დაცვის ხელმძღვანელი, ინგლისელი გენერალი ვილიამსი, ოსმალეთის მუშირი ვასიფ-ფაშა და სხვა სარდლები, სულ 10 გენერალი და 18 ათასზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი, რის შედეგადაც ოსმალეთის ანატოლიის არმიამ არსებობა შეწყვიტა.[5] ვილიამსი რუსეთის სარდლობასთან ღიად გამოთქვამდა უკმაყოფილებას ომერ-ფაშას მიმართ. მისი თქმით, იარაღის დაყრა იმიტომ მოუწიათ, რომ ომერ-ფაშა ქუთაისზე გალაშქრების ნაცვლად სოხუმში გადმოსხდა და დასავლეთ საქართველოს ჭაობებში ჩაეფლო.[6]

ყარსის დაცემის შესახებ ცნობა ომერ-ფაშამ 25 ნოემბერს მიიღო.[7] ამის

---

[1] **კ. ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. გვ. 27; **ე. ბურჭულაძე**. ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 357; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 329; **ა. ჩხეიძე**. ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, გვ. 150.

[2] **კ. ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. გვ. 33-34.

[3] АКАК, т. XI, გვ. 148; Н. Н. Муравьев. Война за Кавказом, т. II, გვ. 299.

[4] **კ. ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. გვ. 43-46.

[5] **კ. ბოროზდინი**. სამეგრელო და სვანეთი. გვ. 31-32.

[6] В. А. Потто. Воспоминания о закавказском походе 1854-1855 годов, Военный сборник, 1863, апрель, т. XXX, გვ. 415-444; М. И. Богданович. Восточная война 1853-1856 гг., т. IV, გვ. 382-399; И. В. Бестужев. Крымская война 1853-1856 гг., გვ. 158; **ე. ბურჭულაძე**. ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 399.

[7] В. А. Потто. Воспоминания о закавказском походе 1854-1855 годов, გვ. 441.

შემდეგ მისმა ლაშქრობამ ყარსის დასახმარებლად აზრი დაკარგა. ამასთან, ოსმალთა სარდალი სხვა სირთულეების წინაშეც აღმოჩნდა. გურიის რაზმთან დამხმარე ძალის მოსვლა მის კორპუსს საფრთხეს შეუქმნიდა, ამიტომ ომერ-ფაშა შეეცადა სამეგრელოსა და აფხაზეთში გამაგრებულიყო და ამისთვის ზამთრის უგზოობაც სასიკეთოდ გამოეყენებინა. თუმცა ქართველმა პარტიზანებმა მისი გეგმები ჩაშალეს. 14 დეკემბერს ერთ-ერთმა პარტიზანულმა რაზმმა მოულოდნელი თავდასხმით თურქთა ზუგდიდის გარნიზონი თითქმის მთლიანად ამოწყვიტა, ხოლო რამდენიმე დღის შემდეგ თურქთა ორი რაზმი გაანადგურა.[1] რუსეთის ჯარის ნაწილებმა და სახალხო ლაშქარმაც თურქთა კორპუსის წინააღმდეგ გააქტიურეს მოქმედება. ყოველივე ამან ომერ-ფაშა აიძულა შავი ზღვის სანაპიროსაკენ დაეხია, რაც გაქცევაში გადაიზარდა.[2] მიხეილ შარვაშიძემაც კავკასიის კორპუსის სარდლობას მეტად საჭირო და მნიშვნელოვანი ცნობები მიაწოდა აფხაზეთსა და სამეგრელოში ოსმალთა ჯარის რაოდენობისა და განლაგების შესახებ. იგი წერდა:,,სოხუმის მცველნი – ექვსი ბათალიონ, ოჩამჩირეს ოთხი ბათალიონ და რვა ზარბაზანი, გუდავის ხევის პირზედ – ერთი ბათალიონ და ორი ზარბაზანი, ზუგდიდს – ხუთი ბათალიონი ქვეით და სამასი ცხენოსანი და ყულევს მათი გალავნი შთაბი გადმოიყვანეს სოხუმიდან და თვით ომერ-ფაშა მანდ არის გარნიზონიანათ – ვგონებ რვა ბათალიონის მეტი არ იყოს. მათი მოქმედება ჩვენთვის ფარული არის“...[3]

1855 წლის დეკემბერში პორტამ მიიღო ოფიციალური ცნობა ომერ-ფაშას სოხუმისკენ დახევის შესახებ. ცნობილი გახდა, რომ ოსმალთა მთავარსარდალმა ვერ შეძლო არმიის სურსათით უზრუნველყოფა იმ ქვეყანაში, სადაც წყალდიდობის გამო მდინარეების გადალახვა ძნელი გახდა, ხოლო გზები გაუვალი. ამ უკანდახევამ, რომელსაც სტამბოლში მოელოდნენ კიდეც, საზოგადოების ყველა ფენაში უკმაყოფილება გამოიწვია. ყველანი ბრალს სდებდნენ ომერ-ფაშას ისევე, როგორც წინათ განადიდებდნენ. ამას მთავრობაც იზიარებდა, ამიტომ როცა არზრუმის საკითხი განიხილებოდა, ომერ-ფაშას უკანდახევის ცნობის მიღებისას, თითქმის ერთსულოვნად უარყვეს აზრი მისი ახალი არმიის მთავარსარდლად დანიშვნის თაობაზე, რომელსაც მცირე აზია უნდა დაეცვა. სარდლობამ გადაწყვიტა ომერ-ფაშას კორპუსიდან 10 ათასი მებრძოლი გამოეყო და იმ სამხედრო ნაწილებისათვის შეეერთებინა, რომლებიც ტრაპიზონში იყრიდნენ თავს არზრუმის დასაცავად იზმაილ-ფაშას მეთაურობით, რომელმაც დუნაიზე გამოიჩინა თავი. ეს იმაზე მეტყველებდა, რომ ომერ-ფაშას ავტორიტეტი მნიშვნელოვნად დაეცა. ტრაპიზონის გუბერნატორს ემინ მუხლის-ფაშას დაევალა ამის თაობაზე ომერ-ფაშასთვის ეცნობებინა და ეს განეხორციელებინა. ემინ მუხლის-ფაშა თავიდანვე სასტიკი წინააღმდეგი იყო ომერ-ფაშას გეგმის, რომელიც ასეთი წარუმატებელი აღმოჩნდა. ემინ მუხლის-ფაშა სოხუმში უნდა

---

[1] АКАК, т. XI, გვ. 152; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 329.

[2] И. В. Бестужев. Крымская война 1853-1856 гг., გვ. 158.

[3] ე. **ბურჭულაძე**. ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 405-414; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 332.

ჩასულიყო და 10 ათასი მებრძოლი ტრაპიზონში ჩამოეყვანა.[1]

ყარსის დაცემამ გარკვეულწილად გააუფერულა მოკავშირეთა წარმატებები ყირიმში, რომელიც დიდი მსხვერპლისა და სახსრების ფასად იყო მიღწეული. მან დიდი შთაბეჭდილება მოახდინა კავკასიის მოსახლეობაზე, მნიშვნელოვნად გაზარდა რუსეთის პრესტიჟი აღმოსავლეთში და, საბოლოოდ, ომის დამთავრება დააჩქარა.[2] ომერ-ფაშას ლაშქრობის მიზანი მიუღწეველი დარჩა, მაგრამ მოკავშირეთა სარდლობამ მდგომარეობის გამოსწორება განიზრახა. ომერ-ფაშამ ბრძანება მიიღო 1856 წლის ზამთარი სამეგრელოში გაეტარებინა, ბრძოლაში შელახული კორპუსის ნაწილები წესრიგში მოეყვანა, გადაჯგუფებები მოეხდინა და გაზაფხულზე საქართველოს ტერიტორიის სიღრმეში ლაშქრობა დაეწყო იმ მიზნით, რომ კავკასიის ადმინისტრაციული ცენტრი თბილისი დაეკავებინა და კავკასიიდან რუსეთი განედევნა.[3]

საომარი მოქმედებების სამმა წელმა მოწინააღმდეგეთა ძალები გამოფიტა. ომის გაგრძელებას განსაკუთრებით საფრანგეთი ეწინააღმდეგებოდა, რადგან მთავარი მიზანი – რუსეთის დასუსტება შავი ზღვის აუზში, უკვე მიღწეული იყო, და ინგლისის ინტერესებისათვის კავკასიაში ომის გაგრძელება მას არ სურდა. ამასთან, საფრანგეთისა და ინგლისის საზოგადოება ანტისაომარმა განწყობამ მოიცვა. ბრიტანეთის პარლამენტმა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა მთავრობა, რომელსაც ადამიანთა დიდ მსხვერპლში და წარუმატებელი, ეფექტური საომარი მოქმედებების წარმართვის შეუძლებლობაში დასდო ბრალი. ამიტომ საფრანგეთის ინიციატივა, რუსეთთან სამშვიდობო მოლაპარაკება დაეწყოთ, ბრიტანეთის კაბინეტისაგან განსაკუთრებულ წინააღმდეგობას არ შეხვედრია.[4]

1856 წლის თებერვალ-მარტში, პარიზში, ყირიმის ომის შედეგებზე ევროპული კონფერენცია გაიმართა. ინგლისი ცდილობდა რუსეთის მიმართ თავისი გეგმის რეალიზებას – კავკასიის მოწყვეტას რუსეთისაგან და მის უკუგდებას ყუბანი-თერგის ხაზზე. მაგრამ საფრანგეთს არ სურდა რუსეთის შემდგომი დასუსტება და ინგლისის გაძლიერება, ამიტომ ინგლისის აგრესიული ზრახვების მიმართ ყირიმში, კავკასიასა და შავი ზღვის აუზში გულგრილი ვერ იქნებოდა. ამ გარემოებამ გამოიწვია ინგლის-საფრანგეთის ანტირუსული კავშირის დაშლა და საფრანგეთის რუსეთთან დაახლოება, შესაბამისად, ინგლისის გეგმების განუხორციელებლობა.[5] საფრანგეთის წარმომადგენელმა, საგარეო საქმეთა მინისტრმა გრაფმა ა. ვალევსკიმ, რომელიც პარიზის კონგრესზე თავმჯდომარეობდა, წამოაყენა წინადადება სპეციალურად განეხილათ,,შავი ზღვის აღმოსავლეთით მდებარე ტერიტორიების მდგომარეობა", რომელშიც საქართველო და, საერთოდ,

---

[1] **შ. ჩხეტია.** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 235.

[2] ,,Кавказ", 1856, 15 января, № 5.

[3] Е. В. Тарле. Крымская война, т. II, გვ. 537; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 178; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 359.

[4] Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 335-336; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 180; **ა. ჩხეიძე.** ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, გვ. 173.

[5] И. В. Бестужев. Крымская война 1853-1856 гг. გვ. 158; История России, გვ. 181; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 183.

სამხრეთ კავკასია იგულისხმებოდა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ ძველი მოკავშირის მიმართ ვალის მოხდა. განცხადების იქით საქმე არ წასულა და ევროპაში ძალთა ახალი გადაჯგუფების გამო ამ საკითხს გვერდი დუმილით აუარეს.[1]

1856 წლის 30 მარტს ხელი მოეწერა პარიზის საზავო შეთანხმებას. რუსეთმა შეინარჩუნა კავკასიური სამფლობელოები ომამდელ საზღვრებში, ხოლო დაპყრობილი ყარსისა და ბაიაზეთის საფაშოები ოსმალეთისთვის უნდა დაებრუნებინა; მას აეკრძალა შავ ზღვაზე სამხედრო ფლოტის ყოლა და შავი ზღვის ნავსადგურების გამაგრება.[2] ამდენად, პარიზის ტრაქტატმა ახლო აღმოსავლეთში გაბატონებისათვის რუსეთის სწრაფვას ზღვარი დაუდო.

პარიზის კონგრესის დამთავრების შემდეგ ომერ ფაშამ სამეგრელოს დატოვების ბრძანება მიიღო.[3] 1856 წლის ადრე გაზაფხულზე ომერ ფაშას საკმაოდ შეთხელებული კორპუსის ნაწილები სოხუმიდან და რედუტ-კალედან ზღვით ბათუმისა და ტრაპიზონისაკენ გაემართა.[4] პარიზის ტრაქტატის თანახმად, 1856 წლის 28 ივლისს ყარსის ოლქის მმართველმა მ. ლორის-მელიქოვმა ყარსის ოლქი ოსმალეთის ადმინისტრაციას გადასცა.[5]

***

ჯერ კიდევ ომის მსვლელობისას, კავკასიის რუსულმა ადმინისტრაციამ გადაწყვიტა გამოეკვლია, უღალატა თუ არა რუსეთის ხელისუფლებას მიხეილ შარვაშიძემ. 1855 წლის ზაფხულში ამ საკითხის შესწავლა დაევალა მეფისნაცვლის კანცელარიის თანამშრომელს დიმიტრი ყიფიანს, რომელიც კეთილსინდისიერებით, პირუთვნელობითა და ობიექტურობით იყო ცნობილი. სექტემბერში დ. ყიფიანი თბილისიდან დასავლეთ საქართველოში ჩავიდა და ამ საქმის შესწავლას შეუდგა. უამრავი მასალის შესწავლისა და გაანალიზების შედეგად, 1855 წლის ოქტომბერში მან ხელისუფლებას ვრცელი მოხსენება წარუდგინა. მოხსენებაში დ. ყიფიანმა დამაჯერებლად უარყო მიხეილ შარვაშიძისადმი წაყენებული

---

[1] Л. Дебидур. Дипломатическая история Европы , т. II, 135-136; С. К. Бушуев. Из Истории..., გვ. 81; Е. В. Тарле. Крымская война, т. II, გვ. 569-570, 576-577; История дипломатии, I, გვ. 669; Н. С. Киняпина. Внешняя политика России, გვ. 263-264; Х.- М. Ибрагимбейли. Кавказ в Крымской войне, გვ. 365; M. S. Anderson. The Eastern Question 1774-1923. A Study in International Relations. New York, 1966, გვ. 141.

[2] **ლ. დე ფური**. საქართველო და საერთაშორისო უფლება, წგნ.: აწმყო შობილი წარსულისაგან. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, ტ. I, თბ., 1989, გვ. 141; **გ. გვაზავა**. საქართველოს საკითხი პარიზის კონგრესზე (1856 წ.), წგნ.: აწმყო შობილი წარსულისაგან. ქართული ემიგრანტული ლიტერატურა, ტ. I, გვ. 167; **ა. ჩხეიძე**, ინგლისის პოლიტიკა კავკასიაში, გვ. 265-266; M. S. Anderson. The Eastern Question 1774-1923. gv. 141; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и …, გვ. 183-186.

[3] С. К. Бушуев. Из Истории.., გვ. 80-84; И. В. Бестужев. Крымская война 1853-1856 гг. გვ. 158; Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и …, გვ. 186, 188; Сборник договоров России с другими государствами, 1856-1917 гг., М. 1952, გვ. 23-33; **ვ. დონაძე**. ბოსფორი და დარდანელი, გვ. 93-95.

[4] Н. С. Киняпина, М. М. Блиев, В. В. Дегоев. Кавказ и , გვ. 185.

[5] **ე. ბურჭულაძე**, ყირიმის ომი და საქართველო, გვ. 405-421; Очерки истории Абхазской АССР, ч. I, გვ. 196.

ბრალდება ღალატის შესახებ და დაადასტურა, რომ იგი მოქმედებდა თავისი მოვალეობის დიდი შეგნებით, როგორც იმპერატორის ერთგული ქვეშევრდომი.[1]

ნ. მურავიოვი მიხეილ შარვაშიძის ღალატში დარწმუნებული იყო, ამიტომ მისი აზრით, დ. ყიფიანის მოკვლევა უფრო მისი გამართლების ხასიათს ატარებდა, ვიდრე გამოძიების.[2] რადგან დ. ყიფიანის მოხსენება ნ. მურავიოვის აზრით ნათელ სურათს არ იძლეოდა, მან ვ. ბებუთოვს სთხოვა ამ საკითხის თაობაზე თავისი აზრი წარმოედგინა. ვ. ბებუთოვი დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა და დაუკავშირდა მიხეილ შარვაშიძეს, რომელიც მაშინ ოჩამჩირეში იმყოფებოდა. 1856 წლის 22 იანვარს მიხეილ შარვაშიძემ ვრცელი წერილი გაუგზავნა ვ. ბებუთოვს, რომელშიც შეეცადა თავისი მოქმედება აეხსნა და გაემართლებინა.[3] ვ. ბებუთოვმა მის მიერ შეგროვილი მასალა, მათ შორის, მიხეილ შარვაშიძის წერილები ნ. მურავიოვს წარუდგინა და თავისი აზრიც დაურთო. იგი თვლიდა, რომ არსებული ცნობებით ძნელი იყო გადაჭრით მიხეილ შარვაშიძის ღალატში დადანაშაულება, ამიტომ მიზანშეწონილად მიაჩნდა საბოლოო განაჩენის გამოტანა მომავლისთვის გადადებულიყო, როდესაც საამისოდ ხელსაყრელი ვითარება შეიქმნებოდა.[4] ამის შემდეგ, ნ. მურავიოვმა ოდნავ შეიცვალა აზრი მიხეილ შარვაშიძეზე და მას ორპირობაში ადანაშაულებდა. სამხედრო მინისტრის, გენერალ-ადიუტანტ ვ. დოლგორუკოვისადმი 1856 წლის 27 თებერვლის წერილში იგი აღნიშნავდა, რომ მიხეილ შარვაშიძე როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის მიმართ ორპირობას იჩენდა, რაც გამომდინარეობდა მისი ეჭვიდან, მეომარი მხარეებიდან ვის დარჩებოდა აფხაზეთი; არცერთი მხარისადმი გულწრფელი მიდრეკილება მას არ ჰქონდა, მაგრამ სურდა შეენარჩუნებინა თავისი სამთავრო და ერთგვარი ნეიტრალიტეტის დაცვას ფიქრობდა, თუმცა ივიწყებდა, რომ გენერალ-ადიუტანტის მაღალ წოდებას ატარებდა.[5] ეს კი, მისი აზრით, მაინც ფიცის დარღვევა იყო და მიხეილ შარვაშიძე უნდა დასჯილიყო. მეორე, 1856 წლის 8 მაისის წერილში, იგი სამხედრო მინისტრს სთხოვდა, იმპერატორის ნებართვა გამოეთხოვა, რათა მიხეილ შარვაშიძე, რომელიც პეტერბურგში აპირებდა გამგზავრებას, თბილისში ჩამოსვლისთანავე დაეპატიმრებინათ.[6]

პეტერბურგში უფრო რეალისტურად შეხედეს ამ საკითხს და მეფისნაცვლის აზრი არ გაიზიარეს, თუმცა საჭიროდ ჩათვალეს მიხეილ შარვაშიძისათვის საიდუმლო მეთვალყურეობის დაწესება. ამ შემთხვევაში გადამწყვეტი როლი შეასრულა პარიზის საზავო ხელშეკრულების მეხუთე მუხლმა, რომლის თანახ-

---

[1] „Кавказ“, 1856, 12 августа, № 63.

[2] **დ. ყიფიანი**. მემუარები. რედაქცია, შენიშვნები და პირთა სახელების საძიებელი ს. ხუციშვილისა, თბ., 1990, გვ. 61; **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს გაუქმების საკითხი ყირიმის ომის დროს და დიმიტრი ყიფიანი, – ა. მ. გორკის სახელობის სოხუმის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტის შრომები, ტ. XVI, სოხუმი, 1963, გვ. 33-36; АКАК, т. XI, №42, გვ. 52.

[3] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 230.

[4] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 238-242; АКАК, т. XI, №42, გვ. 52.

[5] АКАК, т. XI, №38, გვ. 46-49.

[6] **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 244-247.

მადაც ომის მსვლელობაში მოწინააღმდეგესთან თანამშრომლობაში დამნაშავე პირებს პატიება ეძლეოდათ. რუსეთის მთავრობას, რომელიც ომში დამარცხდა, არ შეეძლო დაეშვა ქვეყნის შემდგომი იზოლაცია საერთაშორისო არენაზე, რასაც უდავოდ გამოიწვევდა პარიზის საზავო ხელშეკრულების დარღვევა. აქედან გამომდინარე, უცხო სახელმწიფოების მხრიდან მეძიებლობის თავიდან ასარიდებლად იმპერიის ხელისუფლებამ მიზანშეწონილად ჩათვალა აფხაზეთის მთავრისთვის დანაშაული ეპატიებინა და მართლმსაჯულების ამოქმედება ხელსაყრელი დროისთვის გადადო.[1] 1856 წლის 22 მაისს რუსეთის ახალმა სამხედრო მინისტრმა, არტილერიის გენერალმა ნ. სუხოზანეტმა ნ. მურავიოვს აცნობა, რომ იმპერატორის ბრძანებით მიხეილ შარვაშიძე ყოველგვარი მეთვალყურეობისაგან უნდა გაეთავისუფლებინათ და ნება მიეცათ პეტერბურგში დაუბრკოლებლად გამგზავრებულიყო.[2]

1856 წლის 12 ივნისს სუხოზანეტისადმი გაგზავნილ წერილში ნ. მურავიოვი კვლავ დაუბრუნდა ამ საკითხს და ყირიმის ომში მიხეილ შარვაშიძის ღალატის გამო აფხაზეთის სამთავროს გაუქმებისა და მთავრის რუსეთის რომელიმე შორეულ გუბერნიაში გადასხლების საკითხი აღძრა.[3] ნ. მურავიოვის აზრით, აფხაზეთში მმართველობის ისეთი ორგანო უნდა შექმნილიყო, როგორიც არსებობდა სამეგრელოში, მანამდე კი გურიაშიც იყო, ე. ი. საბჭო. არსებობდა საკითხის გადაწყვეტის მეორე ვარიანტიც: აფხაზეთის მმართველობას სათავეში ჩადგომოდა იქ განლაგებული ჯარების სარდალი მანამ, სანამ ქვეყანაში სამოქალაქო მმართველობა დამყარდებოდა. რუსეთის ჯარების აფხაზეთში შესვლამდე მხარის მმართველობის საკითხის გადაჭრა მთავარსარდალს გადაუდებელ ამოცანად მიაჩნდა. მაგრამ პეტერბურგში მისი აზრი არ გაიზიარეს. ხელისუფლება მიხეილ შარვაშიძეს აფხაზეთსა და დასავლეთ კავკასიაში რუსეთის გავლენის აღდგენისა და განმტკიცების ერთგვარ გარანტად მიიჩნევდა; საომარი მოქმედებები კვლავ გრძელდებოდა ჩეჩნეთ-დაღესტანში, დასავლეთ კავკასია დასაპყრობი იყო, არც აფხაზეთში იყო სიმშვიდე, ამიტომ რუსეთის ხელისუფლებას მიხეილ შარვაშიძე ჯერ კიდევ სჭირდებოდა. იმპერატორმა აფხაზეთის მთავრის ღალატი დადასტურებულად არ ცნო და ეს საქმე მიყუჩდა.[4] უფრო მეტიც, იმპერატორმა ნ. სუხოზანეტს დაავალა მიხეილ შარვაშიძისათვის შექების წერილი მიეწერათ, რომლის მიზანი უნდა ყოფილიყო მისი წახალისება იმ საქმეების შესრულებაში, რასაც მისგან მოელოდნენ.[5] მოელოდნენ კი ბევრს. იმპერატორის ნებით, მიხეილ შარვაშიძეს დაეკისრა რუსეთის ჯარის ნაწილების შეყვანა აფხაზეთში, ამ მხარისა და წებელდის დაკავება.[6] 1856 წლის 6 აგვისტოს ნ. მურავიოვმა წერილი

---

1 **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 248.

2 **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 247-249.

3 **შ. ჩხეტია,** აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 249.

4 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს.., გვ. 250-251; АКАК, т. XI, №43, გვ. 54.

5 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს.., გვ. 251, 252; АКАК, т. XI, №44, გვ. 54.

6 **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 251.

გაუგზავნა მიხეილ შარვაშიძეს და იმპერატორის ნება აუწყა.[1]

16 ივნისს ნ. სუხოზანეტმა ნ. მურავიოვს აცნობა, რომ სასურველი იყო შავი ზღვის სანაპირო პუნქტები, რომლებიც ჯერ კიდევ მოწინააღმდეგის ჯარების მიერ იყო დაკავებული, რუსეთის მხარეს ტრაქტატის ზუსტი დაცვით, დადგენილ ვადებში გადასცემოდა, ოსმალთა ჯარების მთავარსარდლისა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის ორმხრივი შეთანხმებით, და რომ აფხაზეთის სიმაგრეები მიხეილ შარვაშიძეს ჩაებარებინა.[2] ნ. მურავიოვმა 10 ივლისს ნ. სუხოზანეტს აცნობა, რომ ბათუმის კორპუსის, გურიის, სამეგრელოს სანაპირო პუნქტებსა და იმერეთში განლაგებული ჯარების მთავარსარდალი ჯერ კიდევ ზავის დადებამდე წავიდა ოსმალეთში, ხოლო თურქთა ნაწილებმა პარიზის საზავო ხელშეკრულების დადებამდე ნებაყოფლობით დატოვეს რედუტ-კალე და შეკვეთილი, როდესაც ეს მოსალოდნელი არც იყო. რაც შეეხება მიხეილ შარვაშიძის მიერ აფხაზეთის სიმაგრეების ჩაბარებას, კორპუსის მთავარსარდალი მინისტრს აუწყებდა, რომ ამ მხარეში თურქებს დაკავებული ჰქონდათ მხოლოდ სოხუმი, რომელიც ზამთარში, უკანდახევისას სანახევროდ, ხოლო 27 მაისს საბოლოოდ დაცალეს.[3] რუსეთის ჯარის ნაწილებმა მიხეილ შარვაშიძის მეთაურობით 10 ივლისს სოხუმი დაიკავეს.[4] ომის დამთავრების შემდეგ კი რუსეთს აფხაზეთის დაპყრობა კიდევ ერთხელ მოუხდა.

ამრიგად, ყირიმის ომის დროს თურქებმა აფხაზეთის ოკუპაცია მოახდინეს. ასეთ ვითარებაში მიხეილ შარვაშიძე სამთავროს ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა და სამთავრო თურქთა აოხრებისაგან იხსნა. ალბათ, სწორია კავკასიის მეფისნაცვლისა და კავკასიის კორპუსის მთავარსარდლის ნ. მურავიოვის აზრი, რომ მიხეილ შარვაშიძეს არასოდეს ჰყვარებია რუსები, თუმცა არც თურქები უყვარდა. აფხაზეთის მთავარმა პრაგმატული ნაბიჯი გადადგა და ორი ოკუპანტიდან უპირატესობა რუსეთს მიანიჭა. რუსეთის ხელისუფლებამაც პრაგმატულად იმოქმედა და აფხაზეთის მთავრის მორალური თვალსაზრისით არცთუ გამართლებულ ქმედებაზე დროებით თვალი დახუჭა.

---

[1] **შ. ჩხეტია**. აფხაზეთის სამთავროს ისტორიისათვის, გვ. 252; АКАК, т. XI, №44, გვ. 54.

[2] АКАК,т. XI, №44, გვ. 54.

[3] АКАК, т. XI, №45, გვ. 55.

[4] АКАК, т. XI, №45, გვ. 55.

Bezhan Khorava
Sokhumi State University

THE CRIMEAN WAR AND ABKHAZIA

During the Crimean war in 1853-1856 the Turks managed to occupy Abkhazia. In this situation Mikheil Sharvashidze acted in the interests of the principality and saved it from the Turkish plunder. In our opinion, N. Muraviov was quite right in thinking that the Abkhazian prince never favoured the Russians, neither was he fond of the Turks. The Prince of Abkhazia made a very pragmatic step and gave priority to Russia. The Russian Guvernement answered pragmatically too and temporarily closed its eyes to the morally unjustified deed of the Abkhazian prince.

დაზმირ ჯოჯუა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

რუსეთ-საქართველოს 1812 წლის ომი (კახეთის აჯანყება) ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსის შუქზე[1]

საქართველოში ყოველი პრორუსული დოქტრინა და, ზოგადად, პროიმპერიული დისკურსი იწყება და მთავრდება ერთი მთავარი „დებულებით" - რუსეთის აგრესიული ქმედება ძირითადში გამოწვეულია ქართველ პოლიტიკოსთა არაშორსმჭვრეტელობით, მათ მიერ რუსეთის რეგიონალური ინტერესების გაუთვალისწინებლობით და ამ ქვეყნის ზედმეტი, ზღვარსგადასული კრიტიკით. ასე აკრიტიკებდნენ იულონ, ფარნაოზ და ალექსანდრე ბატონიშვილებს და სოლომონ II-ს XIX-ის დამდეგს, ნოე ჟორდანიას და გიორგი კვინიტაძეს 1921 წელს, ზ. გამსახურდიას 1991-1993 წლებში, ასე აკრიტიკებენ დღევანდელ ხელისუფალს და ასევე გააკრიტიკებენ ნებისმიერ მომავალ ხელისუფალს, რომელიც უარს იტყვის იმპერიის მიმართ მონურ მორჩილებასა და ქედდადრეკილობაზე. ეს არის მანქურთული და კოლაბორაციონისტური მსოფლგაგების კლასიკური ნიმუში, როცა მსხვერპლს აკრიტიკებენ მტაცებლისადმი დაუმორჩილებლობის გამო. არადა, ასეთ პირობებში სწორედ დაუმორჩილებლობა არის ეროვნული ორგანიზმის ბუნებრივი და კანონზომიერი რეფლექსია. ეს ნათლად დაადასტურა კახეთის 1812 წლის ანტირუსულმა აჯანყებამ.

ამ შემთხვევაში ჩვენს მიზანს არ შეადგენს კახეთის აჯანყების ყოვლისმომცველი ანალიზი, მისი მოცულობითი და სისტემატიზებული სურათის წარმოდგენა. სტატიის კონტექსტი მოითხოვს, ვაჩვენოთ ეს ეროვნული მოვლენა როგორც ფაქტოლოგიური ფენომენი – მხოლოდ ძირითადი და არსებითი ტენდენციების სახით.

რუსეთ-საქართველოს ომი – კახეთის აჯანყება დაიწყო 1812 წლის 31 იანვარს ახმეტაში. უკვე თებერვალში აჯანყებულმა თავიანთ კონტროლს დაუქვემდებარა მთელი კახეთი, დუშეთ-ფასანაურის მონაკვეთში გადაკეტეს საქართველოს სამხედრო გზა და აჯანყების მთავარსარდლად და საქართველოს მეფედ გრიგოლ იოანეს ძე ბაგრატიონი გამოაცხადეს. 1812 წლის 1-2 მარტს სოფ. ჩუმლაყთან გრიგოლ I-ის ძალები დამარცხდნენ გენ. პაულუჩის მრავალჯერ აღმატებულ კორპუსთან. აჯანყების პირველი ეტაპი დასრულდა.

მისი მეორე ეტაპი დაიწყო 1812 წლის ივლისში. პატრიოტულმა ძალებმა ისარგებლეს საერთაშორისო არენაზე ძალთა ახალი განლაგებით და მოხერხებულად გამოიყენეს რუსეთში ნაპოლეონის არმიის შეჭრა. უკვე სექტემბერში საქართველოში ჩამოვიდა და საომარ შტაბს სათავეში ჩაუდგა ალექსანდრე ბატონიშვილი. აჯანყებამ ფართომასშტაბიანი და ნაწილობრივ საერთო-კავკასი-

[1] წაკითხულია მოხსენებად ჩერქეზული (ადიღეური) კულტურის ცენტრის მიერ 2012 წლის 5 აპრილს მოწყობილ „კავკასიურ სემინარზე", რომელიც მიეძღვნა კახეთის ამბოხების 200 წლისთავს.

ური ხასიათი შეიძინა. მაგრამ იმპერიის სტრატეგიულმა უპირატესობამ მაინც თავისი გაიტანა. სოფელ შილდასთან გამართულ გადამწყვეტ ბრძოლაში რუსებმა გაიმარჯვეს, ხოლო ხევსურეთში გახიზნული ალექსანდრე ბატონიშვილი იძულებული გახდა, 1813 წლის 3 ივნისის შატილის ბრძოლის შემდეგ, დაეტოვებინა საქართველოს საზღვრები და დაღესტანში გადასულიყო.

განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს ამ ომში რუსების მიერ გამოჩენილი ყოვლად გაუმართლებელი სისასტიკე, აღვირახსნილობა და პათოლოგიური სიძულვილი „ველური" ქართველების მიმართ.

მოდით, დავსვათ ასეთი კითხვა: რას გვასწავლის კახეთის აჯანყება (ისევე, როგორც ზოგადად XIX-ის პირველი მეოთხედის ანტირუსული წინააღმდეგობის სამხედრო მოძრაობა)? როგორი უნდა იყოს ამ ისტორიული მოვლენის აღქმა ჩვენი ეროვნული და ზოგადკავკასიური თვითცნობიერების ჭრილში? პირდაპირ უნდა ითქვას: კახეთის 1812 წლის აჯანყება, ცხადია, წარმოადგენს ფაქტოლოგიურ პირველწყაროს რუსეთის იმპერიის წინააღმდეგ ქართველი ხალხის ბრძოლის თვალსაზრისით. აჯანყებამ აჩვენა ერის უდრეკი სული, მისი უკომპრომისობა თავისუფლებისათვის ბრძოლაში, კიდევ ერთხელ დაადასტურა ერისთვის ამ უმაღლესი და მარადიული იდეალების უკვდავება.

მეორე მხრივ, კახეთის აჯანყების ზოგიერთი ტენდენციის გონებრივი პროექცია ქმნის ანალიტიკურ ბაზას, ერთგვარ კონცეპტუალურ საწყისს ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსის წარმოებისთვის. უფრო მეტიც: კახეთის აჯანყება ნამდვილად ქმნის იმის შესაძლებლობას, რომ შეიქმნას ჭეშმარიტი და მიუკერძოებელი მსოფლმხედველობითი გარემო რუსული იმპერიალიზმის ანტიკავკასიურ პოლიტიკაზე დისკურსის წარმოებისთვისაც.

როგორც ცნობილია, XIXს-ის პირველ ათწლეულში რუსეთის იმპერიამ კავკასიაში განახორციელა ანექსიებისა და პროტექტორატების მთელი სისტემა: 1801წ. - ქართლ-კახეთის სამეფო (ანექსია); 1803წ. - სამეგრელოს სამთავრო (პროტექტორატი), განჯის სახანო (ანექსია); 1804-1805წწ. - იმერეთის სამეფო (პროტექტორატი), ყარაბაღის, შაქისა და შირვანის სახანოები (ანექსია); 1806წ. - ბაქოს სახანო (ანექსია); 1809წ. - თალიშის სახანო (ანექსია); 1810წ.–იმერეთის სამეფო (ანექსია), აფხაზეთის სამთავრო (პროტექტორატი). რეგიონის გეოპოლიტიკური სისტემის ეს ცვლილება იურიდიულად დაადასტურეს რუსეთ-ირანის გულისტანისა (1813წ.) და რუსეთ-თურქეთის ბუქარესტის (1812წ.) საზავო ხელშეკრულებებმა.

ცარიზმის პოლიტიკამ დაშალა „ამასიის გეოპოლიტიკური პარიტეტი" და კავკასიაში მონოპოლისტური იმპერიის აშენებას შეუდგა. ქართველი ერის ისტორიაში დაიწყო „რუსიანობა" – რუსული იმპერიალიზმისა და კოლონიალიზმის უშუალო ბატონობა; „რუსიანობა", როგორც კავკასიაში რუსეთის იმპერიული დომინირების სისტემა; „რუსიანობა", როგორც ერის გარკვეულ ნაწილში პროიმპერიული მენტალიტეტისა და სოციალური ეთიკის დანერგვა; „რუსიანობა", როგორც ხალხის თვითშემეცნებაში „არაბობის", „თურქობის", „ულუსობის", „ოსმალობის" ხარისხობრივი ექვივალენტი (სარწმუნოებრივი იდენტურობის მიუხედავად).

მიუხედავად გ. ჭავჭავაძის პოლიტიკური დასის და ქართული არისტოკრატიის ერთი ნაწილის მტკიცებისა, რომ ცარიზმის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა თვითმკვლელობას უდრიდა, საქართველოში ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა ფაქტიურად ეროვნული მონარქიის გაუქმების პირველივე წუთებიდანვე დაიწყო და იმპერიული რეჟიმის მიმართ პერმანენტული სამხედრო წინააღმდეგობის ფორმა მიიღო. ცხადია, რომ მოძრაობის ფაქტობრივ პროცესთან ერთად თანდათანობით ჩამოყალიბდა მოძრაობის გნოსეოლოგიური საფუძვლები, შეიქმნა ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსი თავისი ცნებებით, დებულებებით, სპეციფიკური „ენით", რუსული რეჟიმისადმი წინააღმდეგობის აუცილებლობის გაცნობიერებით. სამწუხაროდ, პარალელურად პროიმპერიული დისკურსიც შეიქმნა, რასაც ნათლად ადასტურებს იმავე კახეთის აჯანყების დროს ქართული ელიტის ნაწილის მონაწილეობა ცარიზმის საექსპედიციო კორპუსის მხარეზე. აქვე იმასაც ვიტყვით, რომ პროიმპერიულ დისკურსს რამდენადმე დასრულებული სახე მიეცა მოგვიანებით, გიორგი მუხრანსკის თეორიაში. მუხრანსკი ამბობდა, რომ „დიდი თევზი პატარას ჭამს, დიდი მხეცი - პატარას", ამიტომ გადაგვარება და გარუსება გარდაუვალია, ქართველი ერის „დასაცავად" და „აზიური ჟანგის გადასარეცხად" აუცილებელია რუსებთან ასიმილაცია. ცნობილია, რომ ილია ჭავჭავაძემ მუხრანსკის „ჭკუით და გულით მოცვეთილი უწოდა".

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყებასთან ერთად დაიწყო ამ მოძრაობის აუცილებლობის, უფრო მეტიც, მისი გარდაუვალობის გაცნობიერებაც. ე.ი. ერთდროულად მიმდინარეობს როგორც მოძრაობა (ფაქტი), ასევე მისი გონებრივი პროეცირება ქართულ თვითშეგნებაში. ამიტომ ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსი ქრონოლოგიურად თავსებადია ეროვნულ–განმათავისუფლებელ მოძრაობასთან. კახეთის აჯანყება კი წარმოადგენს ამ მოძრაობის მეხუთე ფაზას – 1801 წლის იანვარში „ბატონიშვილთა კოალიციის" გამოსვლისა და „მარტყოფის ბლოკის", 1802 წლის ივლისში ქელმენჩურის შეთქმულების, 1804წ. ქართლის მთიანეთის აჯანყების და 1810წ. რუსეთ–იმერეთის ომის შემდეგ.

კახეთის 1812 წლის აჯანყების შინაგანი ანატომია და, ასე ვთქვათ, პროცესუალური ფორმატი წარმოშობს და ერთიან მთლიანობაში კრავს ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსიის რამდენიმე კომპონენტს.

პირველ რიგში, ეს გახლავთ ისტორიულ–გენეტიკური კომპონენტი, უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობის ისტორიული კონცეფციის შეცვლა. ცხადია, რომ ეს ურთიერთობა არაერთგვაროვანი და არაერთმნიშვნელოვანი პროცესია. მასში არის გარკვეული პოზიტიური ტენდენციები – რელიგიურ-სულიერი კავშირურთიერთობების განსაზღვრული პლასტი, „ტერიტორიული ფაქტორი", სხვადასხვა თაობის ქართველთა აღმასვლა იმპერიის უმაღლეს იერარქიაში და ა.შ. მაგრამ „ურთიერთობის" ცნება მხოლოდ ერთი, თანაც არაგანმსაზღვრელი მიმართულებით „მოძრავი" ფენომენი როდია. ის კომპლექსური და მრავალგანზომილებიანი ფენომენია და მოითხოვს მოვლენათა მთელი ერთობლიობის სინთეზურ გააზრებას.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობის პროცესში განმსაზღვრელ ტენდენ-

ციას წარმოადგენს ფუნდამენტურ ინტერესთა კონფლიქტი: ქართული ნაციონალიზმის, დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის ქართული იდეისა და რუსული იმპერიალიზმის, საქართველოს დამონების რუსული იდეის შეუთავსებლობა. ამასთან, ეს შეუთავსებლობა, ინტერესთა კონფლიქტი აპრიორულია, ის სტრუქტურული ფაქტორია. შესაბამისად, რუსეთ–საქართველოს ურთიერთობაში მაგისტრალურ, ბირთვულ ფაქტორს წარმოადგენს ომები და არასამხედრო ხასიათის კონფლიქტები. პიროვნებები და მათი ხასიათი, პოლიტიკური რეჟიმების ბუნება და ევოლუცია ამ შემთხვევაში მხოლოდ სიტუაციური ცვლადებია და სხვა არაფერი.

ეს მომენტი ნათლად დაადასტურა კახეთის აჯანყებამ. ამ აჯანყებით ქართულმა ანტიიმპერიალისტურმა დისკურსმა მიიღო სისტემაში მოყვანილი ინსტიტუციური ბაზისი – მთავარი, არქისტრატეგიული ამოცანა ქართული ეროვნული სახელმწიფოს დამოუკიდებლობის აღდგენის, ქართული სოციალური ორგანიზაციისა და რელიგიურ–კულტურული თვითმყოფის დაცვის ლოზუნგით. ამასთან, ამ ამოცანის გადაწყვეტისაკენ მიმართულმა ტაქტიკურმა სქემამ მიიღო გააზრებული და საღ რაციონალიზმზე დამყარებული ხასიათი.

რაციონალისტურ განსჯაზე იყო ასევე დაფუძნებული აჯანყების მესვეურთა სტრატეგიული გეგმები კავკასიის მიმართულებით. როგორც ჩანს, კავკასიის ჩაგრული ხალხების გაერთიანება და ერთიანი კავკასიური ფრონტის შექმნა ისეთივე ორგანიზებული და გეგმიური სტატეგიული ხაზი იყო, როგორც თვით აჯანყების ორგანიზაცია და წარმართვა. ამას ნათლად ადასტურებს აჯანყების პირველ ეტაპზე გრიგოლ იოანეს ძის კონტაქტები დაღესტნის გარკვეულ წრეებთან და შაქისა და შირვანის ელიტის ჯგუფებთან. ამასვე აბსოლუტურად ცხადად უჩვენებს აჯანყების ძირითად ეტაპზე ალექსანდრე ბატონიშვილის მოღვაწეობის ზოგიერთი ასპექტი. მთავარმართებელ პაულუჩის მიერ 1812 წლის 26 მარტს იმპერატორისადმი გაგზავნილ მოხსენებაში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კახეთის აჯანყების კავშირს კავკასიის სხვა ხალხებთან და ამგვარი კავშირის სერიოზულ საფრთხეს იმპერიული ინტერესებისათვის.

ძალიან საგულისხმოა ალექსანდრე ბატონიშვილის წერილი ირანელ ხელისუფალთადმი, რომელშიც ის მოითხოვდა გარკვეულ თანხას კავკასიაში ანტიიმპერიული პოლიტიკის წარმოებისათვის და რეგიონალური წარმონაქმნების გაერთიანების პროექტიც შეადგინა. ეს კი, ცხადია, იყო რუსული რეჟიმის წინააღმდეგ თითქმის მთელი კავკასიის დარაზმვის ტაქტიკა, რის გამოც კახეთის აჯანყების გეგმა გარკვეულწილად გეოსტრატეგიულ კონტექსტს ღებულობდა.

კახეთის აჯანყებამ გამოკვეთა ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსის კიდევ ერთი კომპონენტი – საქართველოს განმათავისუფლებელი მოძრაობის ერთგვარი ჰარმონიზაცია თანადროულ გლობალურ საერთაშორისო პროცესებთან. ცნობილია, რომ აჯანყების დაწყების მომენტში უკვე მიმდინარეობდა რუსეთ–ირანისა და რუსეთ–თურქეთის ომები. ხოლო აჯანყების მეორე, ძირითადი ეტაპი დაემთხვა 1812 წლის ზაფხულში საერთაშორისო მდგომარეობის არსებით შეცვლას – რუსეთისათვის საზიანოდ შეცვლას და ნაპოლეონის არმიის რუსეთში შეჭრას. მაშასადამე, სრულიად ცხადია აჯანყების გეგმის

შეთავსება რუსეთისათვის საზიანო საგარეო პროცესებთან. უფრო განზოგადებულად რომ ავღნიშნოთ, სახეზეა ეროვნული მოძრაობის გნოსეოლოგიურ სისტემაში საგარეო ფაქტორის გაცნობიერების კონცეპტი, საერთაშორისო არენაზე ძალთა განლაგების ანგარიშგაწევის და შესაძლო მხარდამჭერი ბლოკების ძიების საკითხი.

კახეთის აჯანყების დროს ერთგვარად სისტემური ხასიათი მიიღო ქართული ანტიიმპერიალისტური დისკურსის ცენტრალურმა კომპონენტმა – ეროვნული სახელწიფოებრიობის ინსტიტუციური სტატუსისა და რუსეთთან მისი მომავალი ურთიერთობის პრობლემამ. ამ საკითხში საკუთრივ აჯანყების ხელმძღვანელი დასის პოზიცია გასაგებია – ეროვნული სახელმწიფოებრიობის აღდგენა ბაგრატიონთა დინასტიით სათავეში, ხოლო რუსეთთან ურთიერთობის სამართლებრივ საფუძვლად – გეორგიევსკის ტრაქტატის პირობები. მაგრამ კახეთის აჯამყებამ სტრუქტურული სიახლეები შეიტანა ამ საკითხში. კერძოდ: ისარგებლა რა კახეთის აჯანყების მიმდინარეობით და ამის გამო საიმპერატორო კარის დაყოლიების შესაძლო პერსპექტივით, რუსეთში მყოფმა დავით გიორგის ძე ბაგრატიონმა 1812 წლის სექტემბერში იმპერატორს წარუდგინა ბარათი „საქართველოს უკეთესი მოწყობის შესახებ“. არსებითად ეს იყო ე.წ. „სათხოვარი პუნქტების“ საფუძველზე და ე.წ. მონარქიული ლეგიტიმიზმის პრინციპის ბაზაზე, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ავტონომიური ქართული სამეფოს აღდგენის პროექტი.

აქ ყურადღებას იქცევს ორი მომენტი: დავით გიორგის ძე ავტონომიური სამეფოს შექმნას მიიჩნევს საქართველოში მიმდინარე ანტირუსული აჯანყების პრევენციის საშუალებად. ე.ი. სრულიად ცხადია, რომ ის სარგებლობს კახეთის აჯანყების ფაქტით. მეორე: მის პროექტში ჩანს იმპერიის ცნების ერთგვარი გადაფასება. დავით გიორგის ძე იმპერიას უყურებს არა როგორც შიშველი ბატონობისა და დამონების სისტემას, არამედ როგორც სახელმწიფოს ალტერნატიული პოლიტიკურ–სამართლებრივი რეჟიმის ფორმას, რომელშიც ქართულმა პოლიტიკურმა ორგანიზმმაც უნდა მიიღოს მონაწილეობა ავტონომიური მონარქიის ფორმით. ამით დავით გიორგის ძე საფუძველს უყრის მშვიდობიანი ეროვნული მოძრაობის იდეოლოგიას, უფრო სწორად – ეროვნულ – განმათავისუფლებელი მოძრაობის ზომიერ–ლიბერალური ფრთის იდეოლოგიას.

როგორია ამ ორი მოდელის ტაქტიკური სქემები? ალექსანდრე ბატონიშვილის ტაქტიკა არის გამომდინარე დაბალანსების სტრატეგიიდან და წარმოადგენს შეკავების პოლიტიკის ალიანსურ ექვივალენტს, ხოლო დავით გიორგის ძის ტაქტიკა გამომდინარეობს მიტმასნების სტრატეგიიდან და არის შეკავების პოლიტიკის კომპრომისული ექვივალენტი. თუ კახეთის აჯანყების სტრატეგია იყო რუსული საფრთხის შეკავებისათვის სხვებთან კავშირის შექმნა, დავით გიორგის ძის სტრატეგია იყო რუსული საფრთხის შეკავებისათვის თვით საფრთხის წყაროსთან კომპრომისული კავშირის შექმნა ინტერესთა ბალანსის საფუძველზე. სწორედ იმით არის კახეთის აჯანყება საინტერესო, რომ მან გამოკვეთა ეს ორი მოდელი, ეროვნული გნოსეოლოგიის ეს ორი საწყისი.

Dazmir Jojua
Sokhumi State University

RUSSIA-GEORGIA WAR IN 1812 YEAR (KAKHETI REBELLION) IN THE LIGHT OF GEORGIAN ANTI-IMPERIALISTIC DISCOURSE

In 1812 year anti-Russian rebellion of Kakheti had an important role in the history of Georgia. This was Georgian nation's national liberation movement, one of the important features of war against the violence of Russian regime.

Rebellion had a great influence on Georgian national movement ideology; it identified a number of new components of Georgian anti-imperialistic discourse. At the same time the rebellion laid the foundation for ideology of moderate-liberal wing of national movement.

ომარ არდაშელია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

„თურქული რენესანსის“ დასაწყისი[1]

მსოფლიო ცივილიზაციის ისტორიაში წიგნის ბეჭდვის ტექნიკურ პროგრესს განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. ოსმალეთის კულტურის ისტორიაში დიდი როლი ითამაშა წიგნის ბეჭდვის დაწყებამ, რომელსაც სათავე ცნობილმა თურქმა მოღვაწეებმა იბრაჰიმ მუტეფერიკმა და საიდ ეფენდიმ ჩაუყარეს. მიუხედავად იმისა, რომ ოსმალეთში ებრაულ, ბერძნულ და სომხურ ენებზე წიგნები ჯერ კიდევ XVI-XVII საუკუნეებში იბეჭდებოდა, ოსმალურად წიგნის ბეჭდვა აკრძალული იყო სულთნის კარის მიერ, ამიტომ ოსმალურ ენაზე წიგნის ბეჭდვის საკითხი შეფერხებული იყო, რაც ხელს უშლიდა ოსმალური ნაციონალური თვითცნობიერების სტრუქტურის ჩამოყალიბებას, ოსმალური კულტურის განვითარებას და თურქულენოვანი ხალხების კონსოლიდაციას ერთი ცივილიზაციის ქვეშ. ცივილიზაციის ცნებას გარკვეულწილად უკანა პლანზე გადააქვს ეროვნული განსხვავებანი ხალხებს შორის. მასში აქცენტი კეთდება იმაზე, რაც ადამიანებისათვის საერთოა... მასში გამოიხატება ხალხთა თვითცნობიერება, რომელთა ნაციონალური საზღვრები და თავისთავადობა[2] თანდათანობით ირღვევა. მაშინ როდესაც ოსმალეთის იმპერია წარმოადგენდა სხვადასხვა ეთნიკური ჯგუფებისა და ნაციონალურ თავისებურებათა კონგლომერატს, ოსმალური „ცივილიზაციის“ ჩამოყალიბება სულთნის კარისთვის კონცეპტუალური მნიშვნელობის უნდა ყოფილიყო. აღნიშნული პრობლემა ფუნდამენტურად არის დაკავშირებული ცივილიზაციის ერთ-ერთი წამყვანი ფენომენის, წიგნის და წიგნიერების ხელშეწყობასა და განვითარებასთან. მიუხედავად ამისა, სულთნის კარმა დიდი ხნის მანძილზე ჩაუკეტა კარი ცივილიზაციის ამ ფენომენს.

იოჰან გუტენბერგის მიერ XV საუკუნეში წიგნის საბეჭდი დაზგის გამოგონებამ რევოლუცია მოახდინა წიგნის გამოცემის საქმეში. ეს გამოგონება სწრაფად გავრცელდა ევროპის ქვეყნებში და მათ შორის, XV საუკუნის ბოლოს ეს სიახლე თურქეთშიც დაინერგა. ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით ამ სიახლეს ოსმალეთის იმპერიაში ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა. მიუხედავად ამისა, წიგნის ბეჭდვის ერთ-ერთი პიონერები თურქეთში გადმოსახლებული ებრაელები იყვნენ, რომლებმაც პირველი წიგნის საბეჭდი დაზგა თურქეთში ჩამოიტანეს. ისინი ესპანეთიდან ინკვიზიციის დევნას გამოექცნენ

---

[1] წაკითხულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის ფარგლებში, საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის, საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის სასწავლო უნივერსიტეტისა და საქართველოს ეროვნული მუზეუმის მხარდაჭერით თბილისში, 2012 წლის 21-24 ივნისს თურქეთელი ქართველი საზოგადო მოღვაწის **აჰმედ მელაშვილის 90 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციზე** *„საქართველო და თურქეთი: კულტურულ ურთიერთობათა ისტორია, დღევანდელობა და პერსპექტივები“.*

[2] **ნორბერტ ელიასი**, ცივილიზაციის პროცესის შესახებ, წიგნი I, თარგმანი და წინასიტყვაობა **ირმა წერეთლისა**, თბ., 2005, გვ. 64.

და ამ ქვეყანას შეაფარეს თავი. 1494 წელს ორმა ებრაელმა ძმამ სემუელ და დავით ნახმესებმა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში – სტამბულში დააარსეს პირველი სტამბა, სწორედ აქ დაიბეჭდა პირველი ნაბეჭდი წიგნი თურქეთში. ეს იყო მოსე წინასწარმეტყველის„ხუთწიგნეული“ კომენტარებითურთ. ძმები ნახმესების სტამბამ სტამბოლში ოცი წელი იარსება.[1]

XVI საუკუნეში სულთნის სამფლობელოში საგრძნობლად გაფართოვდა საგამომცემლო საქმე, კერძოდ, 1510-1520 წლებში სტამბოლში უკვე ებრაელთა მიერ დაარსებული რვა სტამბა არსებობდა, რაც მალე გავრცელდა და ამ საქმით ოსმალეთის სხვა ქალაქებშიც დაინტერესდნენ. 1512 წელს სტამბა დაარსდა სალონიკში, 1519 წელს – ჰალებში, 1554 წელს – ედირნეში, 1605 წელს - დამასკოში და ა. შ.[2]

წიგნის ბეჭდვის საქმეში დაწინაურებულმა ებრაელებმა თავიანთი საქმიანობა ოსმალეთის სულთნის ხელშეწყობით, იმდენად გააფართოვეს, რომ XVI-XVIII საუკუნეებში ოსმალეთის იმპერიის სხვადასხვა ქალაქებში ებრაელთა მიერ დაარსებულმა სტამბების რიცხვმა ოცდაათს გადააჭარბა. მარტო იზმირში 1656-1758 წლებში ათი სტამბა ფუნქციონირებდა. ნაბეჭდი პროდუქცია დიდი მრავალფეროვნებით არ გამოირჩეოდა და უმეტესწილად რელიგიური ხასიათისა იყო, თუმცა იბეჭდებოდა საერო ხასიათის წიგნები, მაგალითად, ისტორიაზე, გრამატიკაზე და ა. შ.[3]

წიგნების ბეჭდვას XVI საუკუნიდან ხელი მიჰყვეს თურქეთში მცხოვრებმა სომხებმაც. სტამბულში პირველი სომხური ტიპოგრაფიის დამაარსებლად ითვლება აბგარ ტოკატეცი, რომელმაც წიგნის ბეჭდვის ხელობა შეისწავლა ვენეციაში, სადაც ჯერ კიდევ 1512 წელს გამოიცა პირველი ნაბეჭდი წიგნი სომხურ ენაზე.[4] აბგარ ტოკატეცმა სტამბოლში სტამბა 1565 წელს დაარსა, მაგრამ მის საქმიანობას ხელისუფლება ეჭვის თვალით უყურებდა და დასაწყისში დააპატიმრეს კიდეც, თუმცა მალე გაანთავისუფლეს და მას მიეცა შესაძლებლობა თავისი საქმე წარმატებით გაეგრძელებინა. 1567-1571 წლებში ტოკატეცმა შეძლო შვიდი წიგნი დაებეჭდა სომხურ ენაზე. მათ შორის სომხური ენის„გრამატიკა", რომელიც 1567 წელს გამოიცა. დროთა განმავლობაში სომხებმა სტამბოლში შეძლეს რამდენიმე სტამბის დაარსება, ხოლო 1697 წელს სომხეთის საპატრიარქოს ეგიდით, ისევ სტამბოლში დაარსდა სტამბა, რომელიც თურქეთში სომხურ ენაზე წიგნების გამოცემის ცენტრად იქცა. აღნიშნულ ტიპოგრაფიაში, რელიგიური ხასიათის ლიტერატურასთან ერთად, იბეჭდებოდა ძველი სომეხი ისტორიკოსების შრომებიც, კერძოდ: 1709 წელს გამოიცა აგათანგელოსის, 1719 წელს ზნობ გლაცის ისტორიული თხზულებები, 1730 წელს ფავსტოს ბუზანდაცის, 1764 წელს ეღიშეს თხზულებანი, V საუკუნის სომეხი ფილოსოფოსის ეზნიკ კოხბაცის შრომები და სხვები[5].

---

[1] **O. Ersoy**, Turkiye'ye matbaanin girisi ve ilk. basilan eserler, Ankara, 1959. გვ. 18.

[2] **F. Babinger**, Stambuler Buchvessen im 18 Jahrhundert, Leipzig, 1919. გვ. 7.

[3] **H. Omont**, Missions archèologiques francaises en Orient aux XVII et XVIII siècles, pt. 2, Paris, 1902. გვ. 103-106

[4] **А. С. Бабаян.** Армянская книга. Ереван, 1956. გვ. 31.

[5] А. С. Бабаян, Армянская книга, გვ. 32.

მომდევნო საუკუნეში წიგნის ბეჭდვის ხელობით დაინტერესდნენ ოსმალეთის ქვეშევრდომი ქრისტიანი ბერძნებიც. 1627 წელს ბერძენმა ბერმა ნიკომედოს მეტაქსასმა ლონდონიდან ჩამოიტანა საბეჭდი მოწყობილობა და გამოუშვა პირველი ნაბეჭდი წიგნი ბერძნულ ენაზე, მაგრამ მას პრობლემები შეექმნა ოსმალეთში მცხოვრებ ფრანგ იეზუიტებთან, რომლებიც ასევე ბეჭდავდნენ წიგნებს ბერძნულად და სარფიანად ყიდნენ. როგორც ჩანს, ფრანგმა იეზუიტებმა ნიკომედოსის სახით კონკურენტი დაინახეს და მისი ჩამოცილების მიზნით მოისყიდეს იანიჩარები და დაარბევინეს მისი სტამბა, რის გამოც ის იძულებული გახდა დაეტოვებინა სტამბოლი[1]. ამ დროს ბერძნულ საპატრიარქოს უკვე გააჩნდა ბერძნულენოვანი სტამბა დედაქალაქში და იქ დაბეჭდილი რელიგიური სახის ლიტერატურა ვრცელდებოდა ოსმალეთის სულთნის მართლმადიდებელ ქვეშევრდომებს შორის (ბერძნები, სერბები, ბულგარელები, ქრისტიანი ალბანელები).[2]

ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ოსმალეთის იმპერიაში წიგნის ბეჭდვისა და სტამბის საქმით დაკავებულ პირთათვის განსაკუთრებული მოთხოვნები არსებობდა. ხელისუფლება, გამომდინარე თავისი რელიგიური შეხედულებებიდან, ეჭვის თავლით უყურებდა ქრისტიანი და ებრაელი ქვეშევრდომების საქმიანობას და კრძალავდა მათ სტამბებში წიგნის ბეჭდვას თურქულ და არაბულ ენებზე. გარდა ამისა, არ უნდა დაბეჭდილიყო ლიტერატურა მუსლიმთათვის. რადგან სტამბები ეკუთვნოდათ ებრაულ, ბერძნულ, სომხურ, ან სხვა ქრისტიანული თემის წარმომადგენლებს, ოსმალეთის ხელისუფლება ნებას რთავდა მათ ეწარმოებინათ საგამომცემლო საქმე, მანამ სანამ ის არ შეეხებოდა იმპერიის პოლიტიკურ, იდეოლოგიურ და ეკონომიურ საფუძვლებს[3]. ამაზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც XVIII საუკუნის II ნახევარსა და XIX საუკუნის დასაწყისში ოსმალეთის იმპერიაში დაიწყო ქრისტიანი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ხელისუფლებამ ძალიან ბევრი სტამბა დახურა იმ მოტივით, რომ ისინი სულთნის ხელისუფლების წინააღმდეგ შეთქმულების მთავარი ცენტრები იყო[4].

საკუთრივ თურქული წიგნის ბეჭდვის საქმე გაცილებით რთულად იყო, რადგან ოსმალეთში თურქულ და არაბულ ენებზე წიგნების ბეჭდვა სულთნის მიერ იყო აკრძალული. თურქი ინტელექტუალები ნაბეჭდ პროდუქციას ამ ენებზე მხოლოდ უცხოეთში შექმნილი გამოცემების მეშვეობით ეცნობოდნენ. პირველი ნაბეჭდი წიგნი არაბულ ენაზე გამოიცა 1514 წელს იტალიის ქალაქ ფანოში. საყურადღებოა, რომ ეს წიგნი იყო არაბულად თარგმნილი ევანგელე, რომელიც განკუთვნილი იყო იმ კათოლიკე ქრისტიანი მისიონერებისათვის, რომლებიც მიემგზავრებოდნენ აღმოსავლეთში ქრისტიანობის საქადაგებლად. 1516 წელს დაიბეჭდა არაბულ ენაზე თარგმნილი ფსალმუნთა კრებული. XVI საუკუნიდან ევროპელებს გაუჩნდათ მეცნიერული ინტერესი ძველი არაბული ხელნაწერების მიმართ. აღნიშნული ხელნაწერების მიხედვით დაიბეჭდა

---

[1] **E. Legrand**, Bibliographie hellènique, ou description raisonnèe des ouvrages publiès par grecs, au XVII siècle, t.I. Paris, 1894. გვ. 194 – 200.

[2] **F. Babinger**, Stambuler Buchvessen im 18 Jahrhundert, Leipzig, 1919. გვ. 7.

[3] **O. Ersoy**, Turkiye'ye matbaanin girisi ve ilk. basilan eserler, Ankara, 1959. გვ. 19-20.

[4] **O. Ersoy**, Turkiye'ye matbaanin girisi ve ilk. basilan eserler, Ankara, გვ. 21.

ცალკეული მეცნიერული შრომები, კერძოდ, იბნ სინას (ავიცენას) ნაშრომები მედიცინისა და ევკლიდეს გეომეტრია. 1612 წელს იტალიელმა იერონიმო მეჯისერომ გამოაქვეყნა არაბული ენის გრამატიკა, 1665 წელს რომში გამოვიდა იტალიურ-თურქული ლექსიკონი, რომელიც შეადგინა კაპუჩინელმა ბერმა ბერნარდომ, ხოლო ფ. მენინსკიმ 1680 წელს ვენაში გამოსცა თავისი ცნობილი არაბულ-სპარსულ-თურქული ლექსიკონი.

ოსმალეთში არაბული შრიფტით დაბეჭდილი წიგნების შემოტანა 1567 წელს სულთან მურად III - ის დროს იქნა ნებადართული. სულთნის ბრძანებით, ნება დაერთო გაევრცელებინათ რომში გამოცემული„ევკლიდეს დაწყებითი გეომეტრია“. ამ მოვლენით ოსმალეთის იმპერიაში საფუძველი ჩაეყარა ევროპაში დაბეჭდილი არაბული, თურქული და სპარსულენოვანი წიგნების გავრცელებას. მიუხედავად ამისა, ოსმალეთის იმპერიაში სასტიკად აკრძალული იყო ევროპაში დაბეჭდილი მუსლიმანური რელიგიური შინაარსიის წიგნების, კერძოდ, ყურანის შემოტანა, იმ მოტივით, რომ ის ქრისტიანების მიერ იყო დაბეჭდილი და მიუღებელი უნდა ყოფილიყო მართლმორწმუნე მუსლიმთათვის. ასევე იდევნებოდა თურქულ ან არაბულ ენაზე გამოცემული ქრისტიანული ლიტერატურაც.

იმ პერიოდში თურქებსაც შეეძლოთ სტამბის გახსნა და იმ წიგნების დაბეჭდვა, რომლებიც მათთვის მისაღები იყო, რადგან ეს არც ტექნიკურ და არც მატერიალურ სიძნელეებთან არ იყო დაკავშირებული. ამისთვის თურქებს არც ევროპაში სჭირდებოდათ წასვლა, რადგან ისტორიული წყაროებიდან ირკვევა, რომ ჯერ კიდევ 1589-1611 წლებში საფრანგეთის ელჩმა დე ბრევმა ადგილობრივ ოსტატებს შეუკვეთა თურქული შრიფტები და საფრანგეთში წაიყვანა რამდენიმე თურქი ხოჯა, რომელთა დახმარებით პარიზში წიგნებს აღმოსავლურ ენებზე გამოსცემდა.[1]

მიუხედავად არამუსლიმანი ქვეშევრდომების მცდელობისა, XVI-XVIII საუკუნეებში, თურქეთში წიგნის ბეჭდვის საქმე შეფერხებული იყო თურქეთის საერთო კულტურული და სოციალური ჩამორჩენილობით, ფეოდალურ-დესპოტური რეჟიმით, განსაკუთრებით მუსლიმური სამღვდელოების ფანატიზმით, რომელსაც არც უნდოდა და არც სურვილი ჰქონდა რამე ესწავლათ ურწმუნო„გიაურებისაგან“. წიგნის ბეჭდვის გავრცელებას არაბულ და თურქულ ენებზე ოსმალეთის სასულიერო და საერო პირები იმიტომ უყურებდნენ შიშით, რომ ის მათი აზრით ზიანს მიაყენებდა საზოგადოებრივ წესრიგს და რელიგიურ აღმსარებლობას. ამავე დროს გასათვალისწინებელია ისიც, რომ იმ პერიოდში ოსმალეთში არსებობდა საკმაოდ დიდი ფენა წიგნის გადამწერებისა, რომლებიც ჰათათებად იწოდებოდნენ და რომლებიც მჭიდრო კავშირში იყვნენ სახელწიფოს უმაღლეს სასულიერო და სახელმწიფო მოხელეებთან. ისინი უმაღლეს ხელისუფალთაგან იღებდნენ შეკვეთებს ხელნაწერი წიგნების დამზადებაზე, ხოლო ტექნიკური პროგრესი საფრთხეს უქადდა მათ ხელობას და შემოსავალს.

ბალკანეთის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გააქტიურებამ და ოსმალეთის დამარცხებებმა რუსეთთან XVIII საუკუნეში ოსმალეთის იმპერია დაასუსტა. ამ მოვლენამ ქვეყნის მმართველი წრეები აიძულა სამხედრო სახის რეფორმების ჩატარებაზე ეფიქრათ, რომლის ერთ-ერთი შემადგენელი

---

[1] **O. Ersoy**, Turkiye'ye matbaanin girisi ve ilk. basilan eserler, გვ. 22.

ნაწილი იყო ტექნიკური ლიტერატურის თარგმნა მათთვის გასაგებ არაბულ და თურქულ ენებზე. სულთან აჰმედ III - ის მმართველობის წლებში (1703-1730), ის და მისი უახლოესი გარემოცვა ცდილობდა მფარველობა გაეწია, არამარტო ტრადიციული კულტურული დარგებისათვის, მაგალითად, როგორიც იყო პოეზია, ლიტერატურა, ფერწერა, არამედ ტექნიკური ცოდნის გავრცელებისათვის მათემატიკაში, ასტრონომიაში, გეოგრაფიაში და ა. შ. ოსმალეთის ხელისუფლებას ესმოდა, რომ ეს აუცილებელი წინაპირობა იყო სამხედრო ტექნიკური ჩამორჩენილობის აღმოსაფრევლად. ამ მიზნით, 1712-1718 წლებში, სტამბოლში შეიქმნა ოთხი ახალი ბიბლიოთეკა, სადაც რელიგიური სახის ლიტერატურასთან ერთად წარმოდგენილი იყო სამეცნიერო სახის წიგნებიც, გარდა ამისა, სულთნის დიდ - ვეზირის თაოსნობით შეიქმნა სპეციალური კომისია 25 კაცისაგან, რომელსაც უნდა დაეწყო ტექნიკური სახის ევროპული ლიტერატურის თარგმნა თურქულ ენაზე[1]. სწორედ, ასეთ პირობებში გახდა შესაძლებელი პირველი თურქული სტამბის დაარსება, რომელსაც სათავეში ჩაუდგნენ იბრაჰიმ მუტეფერიკი და საიდ ეფენდი. საინტერესოა ის ფაქტი, რომ პირველი, წარმოშობით თურქი არ იყო, არამედ უნგრელი, რომელიც 1674 წელს კალვინისტურ ოჯახში დაბადებულა. მუტეფერიკი 1689-1699 წლებში მონაწილეობდა თურქეთ-ავსტრიის ომში, სადაც ტყვედ ჩავარდა და იმის გამო, რომ არავინ არ გადაიხადა გამოსასყიდი მის გასანთავისუფლებლად ის სტამბულის მონათა ბაზარზე გაყიდეს. ოსმალეთში ყოფნისას მან ისლამი მიიღო და იბრაჰიმის სახელით მოინათლა. როგორც ჩანს, ახალი სარწმუნოება მან საფუძვლიანად შეისწავლა და ისლამის შესახებ გამოკვლევაც კი შექმნა სათაურით„ტრაქტატი ისლამის შესახებ“ („რისალე-იი ისლამიიე”). მუტეფერიკი თავისი ნიჭისა და ახალი რელიგიისადმი ერთგულებით მალე დაწინაურდა, კერძოდ ის დაიახლოვა ოსმალეთის დიდ-ვეზირმა იბრაჰიმ ფაშამ. 1715-1745 წლებში იბრაჰიმ მუტეფერიკს არაერთხელ შეუსრულებია მნიშვნელოვანი სახელმწიფო და დიპლომატიური დავალებები ავსტრია-თურქეთის ომის დროს. 1716-1718 წლებში ის მოლაპარაკებებზე გაგზავნეს უნგრელებთან, რომლებიც ჰაბსბურგთა წინააღმდეგ გამოდიოდნენ. 1718 წელს დანიშნული იქნა თარჯიმნად ფერენც რაკოცისთან, რომელიც ხელმძღვანელობდა ანტიავსტრიულ გამოსვლებს უნგრეთში და მისი დამარცხების შემდეგ იძულებული შეიქმნა თავი ოსმალეთისთვის შეეფარებინა. 1737 წელს იბრაჰიმ მუტეფერიკი იყო იმ ელჩობის წევრი, რომელმაც მოინახულა პოლონეთი. 1737-1739 წლებში მონაწილეობდა საფრანგეთთან მოლაპარაკების პროცესში, მაგრამ ოსმალეთის ისტორიაში იგი შევიდა, არა როგორც გამოცდილი დიპლომატი, არამედ, როგორც პირველი თურქული სტამბის დამაარსებელი[2].

იბრაჰიმ მუტეფერიკმა 1719 წელს გამოსცა პირველი წიგნი თურქულ ენაზე, რომელიც წარმოადგენდა მარმარილოს ზღვის რუქებს კომენტარებითურთ. აღნიშნული გამოცემა მან ოსმალეთის დიდ ვეზირ იბრაჰიმ ფაშას წარუდგინა. ამ საქმიანობაში მას შეუერთდა საიდ ეფენდი, რომელიც იყო საფრანგეთში თურქეთის ელჩის მეჰმედ ჩელების ვაჟი და იმავე საელჩოს მდივანი.

---

[1] **A. Adnan - adivar**, Osmanli turklerinde ilim, ikinci tabi, Istanbul, 1900. გვ. 26.

[2] Ю. В. Крачковский. Избранные сочинения. Т. 4. М - Л., 1957. გვ. 634.

ამ ელჩობის მთავარი მიზანი იყო ევროპის, კერძოდ საფრანგეთის ტექნიკური და კულტურული მიღწევების შესწავლა. საიდ ეფენდი სწორედ პარიზში დაინტერესდა წიგნის ბეჭდვის ხელობით და გადაწყვიტა იბრაჰიმ მუტეფერიკთან ერთად სტამბოლში სტამბა დაეარსებინა. როგორც ჩანს, მუტეფერიკი და საიდ ეფენდი ერთმანეთს კარგად იცნობდნენ, რადგან მათ ოსმალეთის დიდ ვეზირ იბრაჰიმ ფაშას წარუდგინეს მოხსენებითი ბარათი, რომელშიც ასაბუთებდნენ წიგნის ბეჭდვისა და სტამბის შექმნის აუცილებლობას ოსმალეთის სახელმწიფოსა და თვით მუსლიმანური სარწმუნოებისათვის. ისინი არწმუნებდნენ დიდ ვეზირს, რომ წიგნის ბეჭდვა ხელნაწერთან შედარებით იაფი ჯდებოდა და გარდა ამისა,,,ის აამაღლებდა ისლამისადმი რწმენას,ისე,როგორც ეს ,,ჯიჰადმა" გააკეთაო".[1]

სტამბის გახსნას თურქეთის დიდი ვეზირი მფარველობდა, მაგრამ ამ საქმეს დიდი წინააღმდეგობა მოჰყვა, როგორც ისლამური სამღვდელოების, ასევე ხელნაწერი წიგნის გადამწერთა მიერ, რომლებმაც საპროტესტო მსვლელობაც კი მოაწყვეს სტამბოლში. სტამბის გახსნისათვის საჭირო და აუცილებელი გახდა, რომ ოსმალეთის *შეიხ - ელ - ისლამის* მიერ სპეციალური ფეტვა (ისლამის რელიგიური მეთაურების დასტური) გამოცემულიყო. ოსმალეთის სულთანმა აჰმედ III - მ 1727 წლის 5 ივლისით დათარიღებული სპეციალური ფირმანით ნება დართო იბრაჰიმ მუტეფერიკს და საიდ ეფენდის სტამბა გაეხსნათ სტამბოლში. იმავე დროს სულთანი კრძალავდა მუსლიმანური შინაარსის წიგნების - ყურანის, ჰადისების და ა. შ. ბეჭდვას.

პირველი თურქული სტამბა გაიხსნა სტამბოლში იბრაჰიმ მუტეფერიკის სახლში. ის შედგებოდა ოთხი საბეჭდი მოწყობილობისაგან: ორი წიგნისათვის და ორი რუქებისათვის. სტამბის ნაწილი ჩამოიტანეს ევროპიდან, ნაწილი კი შეისყიდეს ადგილობრივი სომხებისაგან. თურქული შრიფტი დაამზადებინეს ებრაელ იონ აშკენაზის, რომელიც მუტეფერიკის სტამბაში მუშაობდა შრიფტის ამწყობად[2]. პირველი თურქული სტამბა სახელმწიფოს საკუთრება იყო და წიგნებიც მხოლოდ ოფიციალური ხელისუფლების განკარგულების საფუძველზე, მკაცრი მეთვალყურეობის ქვეშ იბეჭდებოდა.

1729 წლის 31 იანვარს იბრაჰიმ მუტეფერიკის სტამბაში პირველად დაიბეჭდა არაბულ - თურქული ლექსიკონი ორ ტომად, იგი შედგენილი იყო XVI საუკუნეში მეჰმედ ბინ მუსტაფას მიერ. იმავე წელს ამ სტამბაში გამოვიდა XVII საუკუნის ცნობილი თურქი მეცნიერის ჰაჯი ხალიფის (ქათიბ ჩელების) თხზულება, ასევე იბრაჰიმ მუტეფერიკის მიერ თარგმნილი პოლონელი კათოლიკე იეზუიტი მისიონერის კრუსინსკის ისტორიული თხზულება, რომელშიც აღწერილია 1721- 1723 წლებში ავღანელი ტომების მიერ ირანის დედაქალაქის აღებისა და სეფიანთა დინასტიის დაცემის ამბავი. 1730 - 1731 წლებში დაიბეჭდა მუჰამედ ბინ ჰასან მესუდის ნაშრომი ამერიკის აღმოჩენის შესახებ (,,ვესტ - ინდოეთის ისტორია", რომელიც სპეციალურად სულთან მურად III-სთვის დაიწერა, ჯერ კიდევ 1583 წელს), აქვე დაიბეჭდა მახლობელი აღმოსავლეთისა და მაღრიბის ქვეყნების ისტორიის ნარკვევები 728 წლიდან 1721 წლამდე,

---

[1] Ю. В. Крачковский. Избранные сочинения, გვ. 639.

[2] **F. Babinger,** Stambuler Buchvessen im 18 Jahrhundert, Leipzig, 1919. გვ. 11.

იეზუიტი ბერის ხოლდერმანის ცნობილი თურქული ენის გრამატიკა ფრანგულ ენაზე, იბნ არაბშაჰის თემურ-ლენგის ბიოგრაფია, აჰმედ ბინ ჰემდემ სუჰეილის ეგვიპტის ისტორია ორ ტომად 1628 წლამდე.

იბრაჰიმ მუტეფერიკმა 1732 წელს თავისი სახელით გამოსცა ნაშრომი მაგნეტიზმის შესახებ, ასევე ტრაქტატი „ხალხთა მოწყობის ბრძნული საფუძვლები". ბოლო ათი წლის მანძილზე 1733 - 1742 წლებში იბრაჰიმის სტამბაში გამოიცა ჰაჯი ჰალიფის (ქათიბ ჩელების) ცნობილი ნაშრომი„ქვეყნიერების სარკე" და მისივე „ისტორიის კალენდარი" ოსმალეთის სულთნის კარის ისტორიკოსების ნაიმას, რაშიდის, ასევე ისმაილ ასიმ ჩელები – ზადეს ქრონიკები 1733 წლამდე. აქ დაიბეჭდა ჰასან ეფენდის ცნობილი თურქულ - სპარსული ლექსიკონი, რომელიც 22 550 სიტყვისაგან შედგებოდა.

1743 წელს იბრაჰიმ მუტეფერიკი დაავადდა და ორი წლის შემდეგ გარდაიცვალა. მისი საქმიანობა სტამბაში 13 წელი გაგრძელდა, რომლის განმავლობაში აქ დაიბეჭდა 17 ნაწარმოები 23 ტომად, მათი საერთო ტირაჟი 12 500 ცალს აღწევდა. იბრაჰიმ მუტეფერიკის გარდაცვალების შემდეგ მისი სტამბის საქმიანობა რამდენიმე ხნით შეწყდა. 1755 - 1756 წლებში სტამბამ მუშაობა განაახლა და ოცი წლის შემდეგ კვლავ შეწყდა. სულთან სელიმ III - ის მიერ სამხერო რეფორმის„ნიზამი ჯედიდის" დაწყების შემდეგ, მუტეფერიკის ყოფილ სტამბაში გამოიცა სამი წიგნი სამხედრო საქმის შესახებ.

თურქეთში წიგნის ბეჭდვის ახალი ეტაპი XIX საუკუნის დასაწყისში დაიწყო, ამ დროს ოსმალეთის იმპერიაში სერიოზული ძვრები განხორციელდა ქვეყნის ეკონომიკურ, სოციალურ და კულტურულ სფეროში. მრავალეთნიკურ ოსმალეთის იმპერიაში ოსმალურ ენაზე საგამომცემლო საქმიანობის დაწყებამ და წიგნიერების კულტურის გავრცელებამ ხელი შეუწყო ახალი, საერთო ნაციონალური გამოცდილების დაგროვებასა და ღირებულებათა ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას. ოსმალეთში წიგნის ბეჭდვის დაწყებამ რევოლუციური გადატრიალება მოახდინა ოსმალური კულტურის განვითარებასა და დაწინაურებაზე. ეს ფაქტი ითვლება ევროპიზაციისა და „თურქული რენესანსის" პირველ ეტაპად, რომელმაც შემდეგში საფუძველი ჩაუყარა ახალი თურქული კულტურისა და ცივილიზაცის ჩამოყალიბებას.

Omar Ardashelia
Sokhumi state University

BEGINNING OF "TURKISH RENAISSANCE"

Technical progress of book printing in the history of the world civilization takes particularly an important place. In the history of culture of Turkey, the beginning of book printing played a significant role which is led by famous Turkish figures Ibrahim Muteperik and Said Efendi. Although in the Ottoman Empire books in the Hebrew, Greek and Armenian languages were printing in the XVI-XVII centuries, printing of the book in Turkish was prohibited by the Sultan, that's why a book printing issue was hindered, that prevented development of the Ottoman culture and consolidation of Turkish peoples under one civilization.

At the beginning of the XVIII century, with support of the Ottoman Sultan Hungarian Ibrahim Muteperik, who received Islam religion, published the first printed book - in Turkish language in 1719. He was soon joined by the son of the Ottoman ambassador in France Mehmed Chelebi - Said Efendi, who together with Ibrahim Muteperik founded the first Ottoman printing house, which in 1729 published the first printed book in Turkish language - Arabic-Turkish dictionary in two volumes. The books with Muslim contents - the Koran, Hadith and so on were prohibited by the Sultan. Accordingly, the first Turkish printing house was owned by the state and the books were published only under strict supervision of the official government decree.

Despite these limitations, beginning of the book printing in Ottoman Turkey had the revolutionary overthrow on the development and promotion of Ottoman culture. This fact is considered as the first phase of "Turkish Renaissance", which later laid the foundation for the establishment of a new Turkish culture.

კახა კვაშილავა
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ავღანეთის სახალხო-დემოკრატიულ პარტიაში არსებული წინააღმდეგობების სოციალური ასპექტების საკითხისათვის

XXს. 70-იან წლებში განვითარებულმა მოვლენებმა კრიტიკული როლი შეასრულა თანამედროვე ავღანეთის ისტორიაში. 1979წ. 27 დეკემბრის საბჭოთა ინტერვენციამ ავღანეთის მრავალტანჯული მიწა მუდმივი ანარქიისა და კონფლიქტის ალში გაახვია. თუმცა, ამ მოვლენების ახსნა შეუძლებელი იქნება აღნიშნულ პროცესებში ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტიისა და იქ მომხდარი შიდა განხეთქილების ანალიზის გარეშე. წინამდებარე სტატია პირველი მოკრძალებული მცდელობაა ქართულ ისტორიოგრაფიაში ზემოთ წამოჭრილი პრობლემის განხილვისა. კვლევისას ჩვენ ვიყენებდით და კრიტიკულად ვიხილავდით ამ საკითხის გარშემო არსებულ უცხოურ ისტორიოგრაფიულ და მემუარულ მემკვიდრეობას, ასევე დოკუმენტურ წყაროებს, რომლებიც ამ ლიტერატურაშია გაბნეული ან ინტერნეტშია განთავსებული.

ავღანეთში XXს. II ნახევარშიც ფეოდალური გადმონაშთები ბატონობდა, რაც ქვეყნის განვითარებას აფერხებდა. ნელი ტემპებით ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობები.[1] რეგრესულ და პროგრესულ საზოგადოებრივ ფორმაციებს შორის მოსალოდნელი კონფლიქტის ნიშნები გამოააშკარავა 40-50-იანი წლების მიჯნაზე განვითარებულმა ლიბერალურ-დემოკრატიულმა მოძრაობამ „ვიშ ზალმიანი“ („გაღვიძებული ახალგაზრდობა“), რომლის შედეგადაც მონარქისტულმა რეჟიმმა 50-60-იან წლებში დაიწყო გარკვეული რეფორმების გატარება, მაგრამ ის არ იყო თანმიმდევრული და, რიგ შემთხვევაში – წინააღმდეგობრივიც.[2] ამიტომ ქვეყანაში არსებული სოციალური, ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემა, ძირითადში, მაინც გადაუჭრელი დარჩა.

ასეთი „ნაყოფიერი“ ნიადაგი მემარცხენე-რადიკალური ძალების გამოჩენის საფუძველს ჰქმნიდა. მით უფრო ეს რეალური იყო იმ ხანებში საბჭოთა კავშირთან გააქტიურებული ურთიერთოების ფონზე. მოსკოვი, ქაბულისათვის მნიშვნელოვანი სახელმწიფო იყო, საიდანაც სერიოზულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ მხარდაჭერას ღებულობდა.[3] იმ ხანებში ავღანეთში მემარცხენე პოლიტიკური გაერთიანების რამდენიმე უშედეგო მცდელობა იყო. „ვიშ ზალმიანის“ აქტივობის პერიოდში პოლიტიკურ ასპარეზზე გამოვიდნენ ინტელიგენციის, წვრილმოხელეთა და წვრილი ბურჟუაზიის წარმომადგენლები, რომლებიც მო-

[1] *История Афганистана,* С древнейших времен до наших дней. Ответственный редактор ***Ю. В. Ганковский***. М., 1988, გვ. 253.

[2] **М. Ф. Арунова, В. В. Басов, В. Н. Пластун, С. В. Полтавская и др.**, Актуальные проблемы Афганской революции. М., 1984, გვ. 54 (შემდ.: *Актуальные проблемы…*).

[3] **კ. კვაშილავა,** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978,– საისტორიო ძიებანი.* ტ. V. თბ., 2002, გვ. 335-336.

ითხოვდნენ ქვეყანაში დემოკრატიული გარდაქმნების დაწყებას, მონარქიული რეჟიმის მოქცევას კონსტიტუციურ ჩარჩოებში, მოსახლეობის დართო ფენების სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ეროვნული მრეწველობის პროტექციას და ა.შ.

ავღანეთში მემარცხენეების გააქტიურება დროში ემთხვევა სსრკ-ავღანეთის ურთიერთობების დათბობას (50-იანი წლების II ნახ.), როდესაც აშკარად გამოიკვეთა ქაბულის მოქცევა მოსკოვის „ფრთებქვეშ".[1] სსრკ-ს მიერ ავღანეთისთვის გაწეული გიგანტური ეკონომიკური ინვესტიციები საკუთრივ მოსკოვისთვისაც უმნიშვნელო არ იყო, მაგრამ ეს განიხილებოდა ნაკლებ დანახარჯად, ვიდრე იმ შემთხვევაში, რომლის გაღებაც მოუწევდა მოსკოვს ქაბულის გადასვლით დასავლეთის ბლოკში.[2] ბუნებრივია, საბჭოთა სპეცსამსახურები აუცილებლად დაიწყებდნენ ავღანეთში საკუთარი აგენტურული ქსელის დანერგვას, ხოლო აგენტების მოძიება არც ისე რთული უნდა ყოფილიყო, რადგან გარკვეული ბაზისი ამისთვის უკვე არსებობდა სსრკ-ში განათლებამიღებული ავღანელების სახით, მათ შორის – სამხედროებიც. ამ უკანასკნელთა რიცხვი 1978 წ. აპრილისათვის 3000-ზე მეტი იყო.[3] 50-იანი წლების შუახანებიდანვე ავღანეთში არალეგალურად ვრცელდება მარქსისტული ლიტერატურა. ამ საქმის „პიონერი" იყო ავღანელი სამხედრო მფრინავი რაჰმანი, რომელიც 1947-1948წწ. სსრკ-ში სწავლობდა და რუსი მეუღლე ჰყავდა. სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, იგი პერმანეტულად ეკონტაქტებოდა ქაბულში საბჭოთა საელჩოს, სადაც რაჰმანს მარქსისტულ ლიტერატურას აწვდიდნენ. შემდეგ ეს წიგნები ნურ მუჰამედ თარაკის, ბაბრაქ ქარმალსა და სხვა მემარცხენეებთან ხვდებოდა.[4] ამასთანავე, თარაკი და ქარმალი უკვე 50-იანი წლების მიწურულიდან ქაბულში საბჭოთა საელჩოს ხშირი სტუმრები ხდებიან.[5]

ავღანელმა მემარცხენეებმა 1965 წ. 1 იანვარს მაინც შეძლეს პოლიტიკური გაერთიანების – ავღანეთის სახალხო-დემოკრატიული პარტია – დაფუძნება, მაგრამ დამფუძნებელ ყრილობაზე, რომელსაც მხოლოდ 27 დელეგატი ესწრებოდა, არ იყო წარმოდგენილი პარტიის წესდება და სამოქმედო პროგრამა იმ მარტივი მიზეზების გამო, რომ ასეთი დოკუმენტები არც იყო შექმნილი იმ დროისათვის.[6] ასდპ-ს გენერალურ მდივნად აირჩიეს თარაკი, ხოლო მის მოად-

---

1 **კ. კვაშილავა,** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*, გვ. 335.

2 **П. Аллан, Д. Клей,** Афганский капкан. *Правда о советском вторжении*. М., 1999, გვ. 51.

3 **Ю. В. Ганковский,** *Урок, который стоит усвайваить*. Война в Афганистане глазами историка, – ***Известия***, 6. 05. 1989.

4 **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла: *Афганистан в тисках геополитики*. М., 1998, გვ. 181-182; ავღანეთში მემარცხენული ლიტერატურის „ექსპორტს" ირანის სახალხო პარტია „თუდეკ" ეწეოდა (*Актуальные проблемы..,* გვ. 56).

5 **В. Коргун,** Бабрак Кармаль. – ***«Азия и Африка Сегодня»***, №4, 1998, გვ. 27.

6 *Актуальные проблемы*.., გვ. 58-59; **Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение. Опыт журналистского расследования. – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 196; **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 24; **А. Ляховский,** Трагедия и доблесть Афгана. М., 1995, გვ. 17; ზოგიერთი მკვლევარი (**Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение.., გვ. 196) შეცდომაში შედის, როდესაც

გილედ – ქარმალი.

1966წ. 11 აპრილს პარტიის გაზეთში „ხალყი“ გამოქვეყნდა წესდება, სადაც აღინიშნა, რომ ასდპ-ს მიზანია ქვეყანაში არსებული რეჟიმისა და წყობილების შეცვლა ხალხის ინტერესების გამომხატველი ხელისუფლებით. ამასთან კავშირში განიმარტა „ხალხის“ რაობაც, რომელშიც იგულისხმებოდნენ მშრომელები, გლეხები, ხელოსნები, პროგრესული ინტელიგენცია, საშუალო და წვრილი ბურჟუაზია.[1] შესაბამისად, იქ კი ვერ მოხვდნენ ე.წ. „გაბატონებული ექსპლუატატორული კლასები“. ამით, კი ასდპ ავღანური საზოგადოების გახლეჩას ახდენდა. ქვეყანაში ახალი წყობილების დამყარება უნდა უზრუნველეყო რევოლუციურ-დემოკრატიული ძალებისგან შემდგარ ეროვნულ ფრონტს, რომლის ლიდერიც ასდპ იქნებოდა. ანტიფეოდალური, ანტიიმპერიალისტური სახალხო-დემოკრატიული რევოლუციის შემდეგ, ქვეყანაში უნდა გატარებულიყო პროგრესული რეფორმები: მიწა-წყლის ნაციონალიზაცია, მშრომელთა კლასის (რომელიც, ფაქტობრივად, არც არსებობდა ავღანეთში – **კ.კ.**) ცხოვრების გამუჯობესება, ეროვნული პრობლემის გადაჭრა და ა.შ. პარტიის უმთავრეს მიზანს კი ავღანეთში სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა სახელდებოდა, რომელიც, როგორც პროგრამაში იყო აღნიშნული, *„შორი მომავლისთვის არ გადაიდება“*.[2] თუმცა ამაზე კონკრეტული ქრონოლოგიური ჩარჩო იქ მოცემული არ იყო. პარტიის წესდება კი 1967წ. გაზაფხულზე გამოქვეყნდა და ამ პოლიტგაერთიანების რაობა განმარტებული იყო, როგორც „ავღანეთის მშრომელთა კლასების ავანგარდი და მუშათა კლასის პოლიტიკური ორგანიზაციის უმაღლესი ფორმა“, რომლის იდეოლოგია იყო მარქსიზმ-ლენინიზმი, ხოლო ორგანიზაციული ფორმა კი – დემოკრატიული ცენტრალიზმი.[3]

მიუხედავად იმისა, რომ პარტია დაარსებიდან პროკომუნისტურ გადატრიალებამდე არალეგალურად არსებობდა, მისმა წევრებმა (ბ. ქარმალი, ა. რატებზადი, ნ. ა. ნური და ფაიზ ულ-ხაკი) მაინც მოახერხეს 1965წ. არჩევნებში ავღანეთის პარლამენტის ქვედა პალატაში გასვლა. ასდპ-ს უკვე 1965წ. ნოემბრისათვის ქ. ქაბულში 17 პირველადი პარტორგანიზაცია ჰქონდა შექმნილი, ხოლო რეგიონებში კი – 9. როგორც ვხედავთ, მისი ძირითადი დასაყრდენი ძალა მანც დედაქალაქში იყო თავმოყრილი. რაც შეეხება ორგანიზაციის წევრთა რაოდენობას 60-იანი წლების ბოლოსთვის, აქ სრული გაურკვევლობაა, რადგან წლების მანძილზე ასდპ-ს წევრთა რეგისტრაციის საკითხი მოგვარებული არ ჰქონდა.

ასდპ-ს ოფიციალური წარდგენა „უფროსი კოლეგებისათვის“ 1965წ. დე-

---

დამფუძნებელი ყრილობის მიერ მოწონებულ პარტიის მიზნებსა და სამოქმედო ამოცანებს ასდპ-ს პროგრამად აცხადებს.

[1] *Актуальные проблемы*.., გვ. 60-61.

[2] *Актуальные проблемы*.., გვ. 60-61; **А. Ляховский**, На афганской выжженной земле. *Непредвзятый анализ событий, вооруженной борьбы до и после Апрельской революции*, – ***«Коммунист Вооруженных Сил»***, №18, 1990, გვ. 53; **В. С. Сафрончук**, Афганистан времен Тараки, – ***«Международная жизнь»*** (შემდგომში: ***«МЖ»***), №12, 1990, გვ. 92.

[3] *Актуальные проблемы*.., გვ. 66.

კემბერში შედგა, როცა გერმანიაში სამკურნალოდ მიმავალი თარაკი მოსკოვში შეჩერდა. ამ პერიოდში ლ. ბრეჟნევის ხელისუფლება უფრთხილდებოდა მუჰამედ ზაჰირ-შაჰთან თბილ ურთიერთობებს და ამიტომ თარაკის „მასპინძლობა“ მეორეხარისხოვანმა ჩინოვნიკებმა (სკკპ ცკ-ს შუა აღმოსავლეთის სექტორის გამგე ნ. ნ. სიმონენკო და ცკ-ს საერთაშორისო განყოფილების მოადგილე რ. ა. ულიანოვსკი) გაუწიეს. ბუნებრივია, ამ ვიზიტის გახმაურებაც არ მომხდარა. „მასპინძლები“ გაეცვნენ თარაკის თეორიული მომზადების დონეს და ასდპ-ს გეგმებს. ცკ-ს ჩინოვნიკები პირველით აშკარად უკმაყოფილონი იყვნენ, ხოლო მეორესთან დაკავშირებით კი, ავღანელ კოლეგას გარკვეული რჩევები მისცეს: ამ ეტაპზე ავღანეთში სოციალისტური რევოლუცია არასასურველი იყო. ამ „ნათელი დღის“ დადგომამდე, ასდპ-ს უნდა მოეხერხებინა „ეროვნულ-დემოკრატიული ძალების“ შეკავშირება, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების გავრცელება მოსახლეობაში, ხალხთან მჭიდრო ურთიერთობების დამყარება და პარტიის ერთიანობის განმტკიცება.

ერთიანობის მხრივ კი, ასდპ-ს მართლაც დიდი სირთულეები ჰქონდა. მაგალითად, პარტიის ერთ-ერთმა დამფუძნებელმა, ა. ჰ. ჯაჯიმ ასდპ მეორე დღესვე დატოვა იმიტომ, რომ ცკ-ში არჩეული არ იქნა.[1] ამ მხრივ კრიტიკული მოვლენები განვითარდა 1966წ. ნოემბერშიც, როცა ბ. ქარმალმა და მისმა მომხრეებმა (გ. დ. პანჯშერი, ს. ა. კეშტმანდი, შ. შაჰპარი) ცკ-ს შემადგენლობა დატოვეს და ცალკე ფრაქცია დააფუძნეს, რომელსაც „ფარჩომი“ („ალამი“). თარაკი და მისი თანამოაზრეები გაერთიანდნენ „ხალყის“ ფრაქციაში. ამ განხეთქილებამ მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია როგორც საკუთრივ ასდპ-ს მომავალ განვითარებაზე, ასევე ავღანეთის შემდგომი პერიოდის ისტორიაზე. მისი გამომწვევი მიზეზების მთელი სპექტრია:

ქარმალი და თარაკი განსხვავებულად უდგებოდნენ თეორიული საკითხებს. თარაკისეული ე.წ. „ხალხური“ („ხალყი“) რევოლუციის თეორიას ასდპ, ფაქტობრივად, შეთქმულების მოწყობისაკენ მიჰყავდა: დოკუმენტის მიხედვით, პარტია იყო ერთადერთი ძალა ქვეყანაში სახელმწიფო წეს-წყობილების შესაცვლელად. თარაკის აზრით კი, ამისათვის საჭირო იყო მშრომელებსა და ინტელიგენციაში „პროგრესული იდეების“ (ანუ – მარქსიზმ-ლენინიზმი) შეტანა და არმიაში ასდპ-ს კონტროლის დაწესება. ამიტომაც, განსაკუთრებული აქცენტი კეთდებოდა სწორედ შეიარაღებულ ძალებზე, რადგან იგი, ძირითადად, დაბალი სოციალური ფენის წარმომადგენლებისაგან შედგებოდა. ამასთან, არმია დისციპლინირებულიც იყო და, თუკი იგი პროლეტარიატის დიქტატურის მატარებელი გახდებოდა, ეს გააადვილებდა არსებული რეჟიმის დამხობასაც, – მიიჩნევდა თარაკი.[2]

ქარმალის მიხედვით, თავდაპირველად საჭირო იყო ასდპ-ს ხელმძღვანელებით ეროვნულ-დემოკრატიული რევოლუციის განხორციელება ხელისუფლებაში „დემოკრატიული ეროვნული ხელისუფლების“ მოსვლა, რომელიც იქნებოდა

[1] **Д. Гай, В. Снегирёв**, Вторжение.., გვ. 197.

[2] *Актуальные проблемы*.., გვ. 61-63; **Д. Гай, В. Снегирёв**, Вторжение. Опыт журналистского расследования. – ***«Знамя»***, №4 (1991), გვ. 231.

მშრომელთა დიქტატურა, ხოლო ფორმის მხრივ კი – ხალხის დემოკრატიული მთავრობა. აქედან გამომდინარე, ბ. ქარმალი მოსახლეობის უფრო ფართო მასებზე დაყრდნობას მოითხოვდა, თარაკის „პროლეტარიატისაგან" განსხვავებით. ამ რევოლუციურ მთავრობას დაევალებოდა დემოკრატიული რეფორმების გატარება, რომელიც საფუძველს ჩაუყრიდა სოციალიზმის „მატერიალურ და სოციალურ ბაზას".[1] ქარმალი თარაკის არ ეთანხმებოდა იმაშიც, რომ მხოლოდ ასდპ-ს განეხორციელებინა რევოლუცია, რადგან მიიჩნევდა რომ ამ წამოწყების წარმატება დამოკიდებული იყო მხოლოდ ხალხის ფართო მასების მხარდაჭერაზე და დასაშვებადაც კი მიაჩნდა მონარქისტული რეჟიმისადმი ოპოზიციურად განწყობილი მაღალი ფენის წარმომადგენელთა ჩართვაც კი რევოლუციაში.[2] ეს, ცხადია, მიუღებელი იყო რადიკალი თარაკისთვის. ფარჩომისტები პოლიტიკური ბრძოლის ლეგალურ ფორმებს ემხრობოდნენ, ხალყისტები კი ასდპ-ს კომუნისტურ პარტიად გადაქცევას და იატაკქვეშეთში გადასვლას მოითხოვდნენ. პარტიის ლიდერებს გაუჭირდათ შეთანხმება ორგანიზაციაში ახალი წევრების მიღების საკითხშიც. ქარმალი მიიჩნევდა, რომ პარტიის წევრობის კანდიდატის კლასობრივი წარმომავლობა შემაფერხებელი ფაქტორი არ უნდა ყოფილიყო, რასაც თარაკი არ იზიარებდა.[3]

როგორც ვხედავთ, „ფარჩომი" შედარებით ლიბერალურ პოზიციებზე იდგა, განსხვავებით „ხალყისაგან". რადიკალიზმი თარაკისტების დამახასიათებელი ნიშანი იყო და ისინი ყველაფერში უკიდურესობამდე მიდიოდნენ, მათ შორის ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც (1978წ. 28 აპრ. – 1979წ. 27 დეკ.), რამაც კიდევ უფრო გააუარესა ავღანეთის მდგომარეობა. თუმცა, „ფარჩომის" ლიბერალობასა და „ხალყის" რადიკალიზმს აქვს გარკვეული ახსნა, რაც მათ წევრების სოციალურ და ეთნიკურ წარმომავლობას ემყარება:

თარაკისტები აერთიანებდნენ მცირედ უზრუნველყოფილ, ნახევრადპროლეტარ და მშრომელ მასებს (წვრილი მოხელეები, მომთაბარეები, ხელოსნები და ა.შ.), რომლებიც, ძირითადად, პროვინციებში ცხოვრობდნენ. ქარმალისტები კი, უმთავრესად, შეძლებული ფენებისა და კლასების წარმომამდგენლები (მემამულეები, მსხვილი ვაჭრები, არმიის ელიტა, უზრუნველყოფილი ინტელიგენცია, საქალაქო ბურჟუაზია და ა.შ.), რომლებიც ქაბულსა და მის შემოგარენში ცხოვრობდნენ. როგორც ქაბულის X რაიონის პირველადი პარტორგანიზაციის მდივანი მუსა ობიექტურად აფასებდა სურათს, როცა აღნიშნავდა, რომ „ასდპ ხელმძღვანელობს რა მშრომელი კლასის იდეოლოგიით, წარმოადგენს ორდინალურ წვრილბურჟუაზიულ პარტიას" და ამის მიზეზს ის ავღანეთში მშრომელთა კლასის არარსებობაში ხედავდა.[4] ასეთივე შეფასება ჰქონდა მოჯაჰედთა

---

[1] *Актуальные проблемы*.., გვ. 63-66; **Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение.., გვ. 231.

[2] *Актуальные проблемы*.., გვ. 63-66; **Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение.., გვ. 231; **В. Коргун,** Бабрак Кармаль, გვ. 29.

[3] **В. Н. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 25, 26; **А. Ляховский,** Трагедия и доблесть Афгана, გვ. 18-19; **А. Ляховский**, На афганской выжженной земле, გვ. 54.

[4] **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 182.

ერთ-ერთ ცნობილ ლიდერს გ. ჰეყმათიარსაც.[1] კ. ცაგოლოვიც[2] ასდპ-ს წვრილ-ბურჟუაზიულ პარტიად მიიჩნევს.[3] 20 წელიწადი დასჭირდათ ასდპ-ს ლიდერებს ამ რეალობის აღიარებისთვის. კერძოდ, ქარმალმა ასდპ-ს ცკ-ს 1985წ. ნოემბრის პლენუმზე განაცხადა, რომ პარტიას არ გააჩნია დასაყრდენი სოციალური ბაზა (ანუ მშრომელები).[4] ამასთანავე, „ფარჩომი" აერთიანებდა, ძირითადად, გატაჯიკებულ პუშტუნებს, საკუთრივ ტაჯიკებს და სხვა ეროვნულ უმცირესობებს. ხალყისტები, უმთავრესად, პუშტუნები იყვნენ.[5]

როგორც ვხედავთ, ქარმალი ძირითადად დედაქალაქში მცხოვრები შეძლებული ფენების (უმთავრესად, ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლები) ინტერესებს გამოხატავდა მაშინ, როცა თარაკის ირგვლივ გაერთიანდნენ პროვინციებში მოსახლე ნაკლებადუზრუნველყოფილი ქვეყნის დომინანტი ერის – პუშტუნების – წარმომადგენლები. თუ გავითვალისწინებთ ამ უკანასკნელთა დამოკიდებულებას ეროვნული უმცირესობების მიმართ, გასაგები ხდება, რომ ერთ ორგანიზაციაში მათი ერთად ყოფნა ხანგრძლივი ვადით, ფაქტობრივად, შეუძლებელიც იყო. პუშტუნები ეროვნულ უმცირესობების წარმომადგენლებს მეორეხარისხოვან ადა-

---

[1] **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 199.

[2] რუსი გენერალ-მაიორი და ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი. 1981-1984წწ. უფროსი მრჩევლის რანგში მსახურობდა ავღანეთში დისლოცირებული საბჭოთა არმიის რიგებში. 1989-1991წწ. მონაწილეობდა ოსი სეპარატისტების ომში საქართველოს წინააღმდეგ, – ***http://www.gazeta.ru/2005/08/12/oa_167191.shtml.***

[3] **К. М. Цаголов,** Не все так просто (открытое письмо Ричарду Барнетту и Экбалю Ахмаду), – ***«США-эпи (экономика, политика, идеология)»***, №6, 1989, გვ. 66.

[4] **В. Пластун, В. Андриянов,** Наджибулла.., გვ. 171.

[5] *Актуальные проблемы*.., გვ. 69-70; **В. Спольников**, Афганистан: исламская оппозиция. *Истоки и цели*. М., 1990, გვ. 71; **Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение.., – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 197; **В. А. Меримский**, В погоне за «Львом Панджшера». М., 1993 – ***http://militera.lib.ru/memo/russian/merimsky_va1/01.html***; **О. Антонов,** Как советский посол афганского генерала водкой поил, – ***«Новое время»*** /შემდგომში: ***«НВ»/***, №17, 1992, გვ. 28; **А. А. Проханов**, Афганистан, – ***«МЖ»,*** №7 (1988), გვ. 29; **С. Крахмалов**, Записки военного атташе. М., 2000, გვ. 221; **Л. Млечин**, Кто давал советы Кабулу? – ***«НВ»***, №48, 1990, გვ. 31; **В. Левикин**, Мой друг Пешавари, – ***«НВ»***, №9, 1989, გვ. 42; **К. М. Цаголов**, Афганистан: предварительные итоги, – ***«Огонек»***, №30, 1989, გვ. 221; **S. Harrison**, Dateline Afghanistan: exit trough Finlandisation? – ***"Foreign Policy"***, 1980/1981, Winter, №41, gv. 166-167; თარაკი დაიბადა მესაქონლე ნაზარ მუჰამედ თარაკის ოჯახში. იგი ეროვნებით პუშტუნი იყო (ღილზაის ტომი, თარაკის კლანი, ბურანის შტო). ქარმალის მამა გენერალ-ლეიტენანტი მუჰამედ ჰუსეინი პაქტიის გენერალ-გუბერნატორი იყო. შემდეგ კი – თავდაცვის სამინისტროს საფინანსო სამმართველოს უფროსი. მუჰამედ დაუდის ხელისუფლების დროს (1973-1978წწ.) ხელმძღვანელობდა ჰერათის ქვეითთა დივიზიას და ქ. ჰერათის გუბერნატორი იყო. ქარმალი მამით მიეკუთვნებოდა იუსუფზაელთა პუშტუნური ტომის მულახელის კლანს, დედით კი ტაჯიკი იყო. ვითარების შესაბამისად, თავს ხან ტაჯიკად, ხან კი პუშტუნად აცხადებდა. (**Ю. А. Булатов**, Халькъ и Парчам: основные этапы борьбы за завоевание политической власти в Афганистане, М., 1997, გვ. 60-61; *Актуальные проблемы*.., გვ. 74; **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 23; **Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение.., გვ. 203; **В. Коргун**. Бабрак Кармаль, გვ. 26-27; **Н. Иванов,** Ограниченный контингент, – ***«Советский Войн»*** /შემდგომში: ***«СВ»/***, №16, 1991, გვ. 20; **А. Ляховский,** Трагедия и доблесть Афгана, გვ. 95; **И. Лагунина**, Пуштун таджику может быть товарищ. Но не вождь, – ***«НВ»***, №18, 1992, გვ. 25).

მიანებად მიიჩნევდნენ და მათთან ერთად თანაბარუფლებიანობას საკუთარი ერის ღირსების შელახვად აღიქვამდნენ. ასევე დარჩა შემდგომში ისლამური ოპოზიციის ორგანიზაციებში (მათ შორის, თალიბანშიც[1]). ამგვარი მკვეთრი სხვაობა ორივე ფრაქციის სოციალურ და ეროვნულ შემადგენლობაში განაპირობებდა ერთის რადიკალიზმსა და მეორის ლიბერალიზმს. უქონელთა წარმომადგენელი თარაკი პირდაპირ სოციალიზმზე გადასვლას ესწრაფვოდა; შეძლებულთა წარმომადგენელი ქარმალი, მართალია, იზიარებდა ქვეყანაში არსებული წეს-წყობილების ცვლილების აუცილებლობას, მაგრამ წინააღმდეგი იყო რადიკალური ნაბიჯებისა. მაგრამ ამ განხეთქილებას სუბიექტური მიზეზებიც გააჩნდა: თარაკი და ქარმალი ასდპ-ში პირველობისთვის იბრძოდნენ, რასაც თანამებრძოლებიც ადასტურებენ.[2]

ამ „გაყრის“ შემდეგ „ფარჩომი“ და „ხალყი“ ვერასოდეს გაერთიანდნენ, თუმცა კი ამის მცდელობას (სსრკ-ს ზეგავლენით) 1977წ. ივლისში ჰქონდა ადგილი.[3] თუმცა, ეს „უნიაც“ დროებითი აღმოჩნდა. ფაქტობრივად, ორივე დაჯგუფება დამოუკიდებელ პოლიტიკურ ორგანიზაციად განვითარდა, საკუთარი პოლიტიკური ხაზით, ხელმძღვანელი ორგანოებით, წევრებით, თუმცა კი ორივე ცნობდა ასდპ-ს დამფუძნებელი ყრილობის მიერ აღიარებულ პრინციპებს, მოგვიანებით მიღებულ პროგრამასა და წესდებას.[4] ორივენი თავს ასდპ-დ მიიჩნევდნენ და მომხდარ გათიშვას საპირისპირო მხარეს აბრალებდა. საინტერესოა, რომ ქარმალის დაჯგუფება თავს უწოდებდა „ასდპ – ყველა მშრომელთა ავანგარდს“, მათი ოპონენტები კი – „ასდპ – მშრომელი კლასის ავანგარდი“.

როგორც ვხედავთ, ხალყიზმი და ფარჩომიზმი, არსებითად, ორ განსხვავებულად იდეურ-პოლიტიკურ მიმდინარეობას წარმოადგენდნენ საკუთარი დამოუკიდებელი ორგანიზაციებით, მომხრეთა განსხვავებული სოციალური და ეთნონაციონალური ნიშან-თვისებებით, განსაკუთრებული მიზნებითა და ტაქტიკით.[5] თუმცა, ე. აჰმადი და რ. ბარნეტი ასდპ-ს განხეთქილების მიზეზად ლიდერთა პიროვნულ შეუთავსებლობას ასახელებენ.[6] მათი შეფასება საკითხის გამარტივებულად წარმოჩენის მცდელობად მიგვაჩნია. როგორც ზემოთ ვნახეთ, მათ შორის

---

[1] **Дж. Кьеза**, Бесконечная война. М., 2003, გვ. 12-13.

[2] **Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение.., – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 203.

[3] **В. Коргун,** Бабрак Кармаль, გვ. 32; *Актуальные проблемы*..,გვ. 151.

[4] Д. МакИчин, Афганистан. 1973-79гг., – ***http://artofwar.ru/f/foreign/text_0140.shtml.***

[5] *Актуальные проблемы*.., გვ. 71; **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 130; **А. Ляховский**, На афганской выжженной земле.., გვ. 52; **К. М. Цаголов, С. Харрисон,** Афганская война (взгляд из сегодняшнего дня), – ***«Восток (афро-азиатские общества: история и современность)»***, №2, 1991, გვ. 48; **R. Garthoff**, Détente and Confrontation: *America-Soviet Relations from Nixon to Reagan*. Washington, D.C., 1985, გვ. 892; **T. Hammond**, Red Flag over Afghanistan: *The Communist Coup, the Soviet Invasion and the Consequences*. Boulder, Colo., 1984, გვ. 29-34; **H. Bradsher**, Afghanistan and the Soviet Union. Durham, N.C., 1983, გვ. 49-52; **S. Katsikas,** The Arc of Socialist Revolutions: *Angola to Afghanistan*. Cambridge, Mass., 1982, გვ. 216; **B. Male,** Revolutionary Afghanistan: *A Reappraisal*. St. Martine's Press, 1982, გვ. 20-51.

[6] **E. Ahmad, R. J. Barnett**, Bloody Games, – ***"The New Yorker"***. Apr. 11, 1988; **Э. Ахмад, Р. Барнетт**, Кровавые игры *(реферативное изложение)*, – ***«США-эпи»***, №6, 1989, გვ. 58.

არსებობდა მკვეთრი სოციალური და ეთნიკური განსხვავება, რაც ავღანეთის სინამდვილისათვის უმნიშვნელო პრობლემა ნამდვილად არ არის. ეს რომ ასეა, დასტურდება ამ დაჯგუფებებში მოგვიანებით განვითარებული მოვლენებით, როდესაც რიგი ეროვნული უმცირესობების წარმომადგენლებმა (ხალყისტი ტ. ბადახში) დატოვეს საკუთარი ფრაქციები. იყო სხვა შემთხვევებიც: მაგალითად, 1969წ. „ფარჩომი" დატოვეს ტაჯიკებმა გ. დ. პანჯშერიმ და ს. შენამ, უზბეკმა ა. ოსტოვარმა, შ. შაჰპარმა, რადგან ტაქტიკურ საკითხებში ვერ შეთანხმდნენ ბ. ქარმალთან. ზოგიერთმა (ზ. ოფოკი, ს. შენა და სხვ.) კი დატოვა რა ფრაქცია, საკუთარი მემარცხენე მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაცია შექმნა.[1]

ქარმალმა და თარაკიმ მათ შორის არსებული დავის მოგვარება მათთვის „საარბიტრაჟო სასამართლოს" ანუ სკკპ ცკ-ს მიმართეს. როგორც ჩანს, „მომჩივანები" ფიქრობდნენ, რომ კრემლი მათში მტყუან-მართალს გამოარჩევდა და გამარჯვებული მხარეც საბოლოოდ მოახერხებდა ასდპ-ს კონტროლს. ამ მიზნით, ისინი დაუკავშირდნენ სსრკ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის რეზიდენტს ქაბულში, რომელსაც „კომპრომანტებიც" კი მიაწოდეს ერთმანეთზე: ქარმალისთვის ეს იყო თარაკის „თეორია", რომელსაც ის ანტიმეცნიერულად მიიჩნევდა, ხოლო მისი პონენტისათვის კი – „ფარჩომის" ლიდერის თბილი დამოკიდებულება და ურთიერთობა მმართველი რეჟიმის წარმომადგენლებთან.[2] მალე მოსკოვიდან „მეგობრული რჩევებიც" მოვიდა: „უფროსი კოლეგები" მათ ურჩევდნენ იმ საკითხების უკუგდებას, რომლებიც პრინციპული მნიშვნელობის არ იყო და ერთად ეზრუნათ „ქვეყნის ყველა პროგრესული ძალის" გასაერთიანებლად „მშრომელი ხალხის ინტერესებისთვის" საბრძოლველად.[3] ამ კინკლაობის შეწყვეტა მოსკოვმა 1974წ. 8 იანვარსაც მოითხოვა.[4] თუმცა, ამ რჩევებს რეალური შედეგი არ მოჰყოლია.

თუმცა, სსრკ, მიუხედავად იმისა, რომ ივარაუდება მისი გარკვეული როლი ასდპ-ს ჩამოყალიბების ფორსირებაში, მას პროპაგანდას არ უწევდა: 1975წ. გამოცემული „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის" I ტომში განთავსებულ სტატიაში ავღანეთის შესახებ არავითარი ცნობა არ მოიპოვება ასდპ-ს თაობაზე; ამასთან, სსრკ-ში არ ქვეყნდებოდა მასალები აღნიშნული ორგანიზაციის თაობაზე; მოსკოვში ოფიციალური ვიზიტებით არ იწვევდნენ ასდპ-ს ლიდერები. პირველი ცნობები ამ პარტიის შესახებ საბჭოურ პრესაში მხოლოდ 1978წ. აპრილის მოვლენების შემდეგ ქვეყნდება. როგორც ჩანს, ამგვარი „იგნორირება" მიზანმიმართული ქმედება იყო. ლ. ბრეჟნევის ხელისუფლებას კარგი ურთიერთობა ჰქონდა მუჰამედ ზაჰირ-შაჰთან და მუჰამედ დაუდთან (თუმცა, ამ

---

[1] *Актуальные проблемы*.., გვ. 72-74; **А. Ляховский,** На афганской выжженной земле.., გვ. 54; **Д. Гай, В. Снегирёв,** Вторжение.., – ***«Знамя»***, №3, 1991, გვ. 197.

[2] **А. Морозов,** Кабульский резидент, გვ. 39.

[3] **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 130; *Актуальные проблемы*.., გვ. 75; **П. Аллан, Д. Клей,** Афганский капкан, გვ. 59.

[4] Постановление ЦК Коммунистической Партии Советского Союза об обращении к руководиделям группировок «Парчам» и «Хальк», – ***http://psi.ece.jhu.edu/~kaplan/IRUSS/BUK/GBARC/pdfs/afgh/ct109-74.pdf.***

უკანასკნელთან მხოლოდ გარკვეულ პერიოდამდე). ავღანეთის სამეფოს საგარეოპოლიტიკური კურსი სავსებით პასუხობდა სსრკ-ს ინტერესებს და მოსკოვს არ სჭირდებოდა არსებული ვითარების გაუარესება. მით უფრო, რომ იმ დროს ასდპ ორგანიზაციულად ძალზედ სუსტი წარმონაქმნი აღმოჩნდა. თუმცა, მოსკოვი მაინც თანამშრომლობდა ასდპ-სთან ამ პერიოდშიც და მათ საქმიანობაზე კონტროლს სუკ-ის ქაბულელი რეზიდენტების მეშვეობით ახორციელებდა. ავღანეთთან კარგი ურთიერთობების ფონზე, კრემლს, როგორც ჩანს, მაინც სჭირდებოდა „V კოლონის" არსებობა, რომელსაც ერთგვარი „მათრახის" როლი დაეკისრებოდა სამხრეთელი მეზობლის შესაძლო ურჩობის შემთხვევაში.

ასეთ ვითარებაში შეხვდა ასდპ 1973წ. 17 ივლისის (ჰიჯრით 1352წ. 26 სარატანი) ანტიმონარქისტულ სახელმწიფო გადატრიალებას, ე.წ. „26 სარატანის რევოლუციას",[1] რომელშიც ფარჩომისტები და ხალყისტებიც აქტიურად მონაწილეობდნენ.[2] მემარცხენეთა ჩართულობა „26 სარატანის რევოლუციაში" მ. დაუდის წინააღმდეგ საბრძოლველად აქტიურად გამოიყენა ისლამურმა ოპოზიციამ.[3] ახალი ხელისუფლებაში მემარცხენე ოფიცრებიც მოხვდნენ. ამის გამო დასავლეთი, თავდაპირველად, უნდობლად ეკიდებოდა მუჰამედ დაუდს, რომელსაც „წითელ პრინცად" მოიხსენიებდა. იქ მიიჩნევდნენ, რომ 17 ივლისის მოვლენები სსრკ-ს ორგანიზებული იყო.[4] ამ ეტაპზე ჭირს იმის გარკვევა, თუ როგორ მოხდა მათი ჩართვა მ. დაუდის მიერ ორგანიზებულ აქციაში: ეს იყო წინასწარ დადებული გარკვეული შეთანხმება მასსა და ასდპ-ს ლიდერებთან თუ მემარცხენე ოფიცრები, ამ შემთხვევაში, პარტიისგან დამოუკიდებლად მოქმდებდნენ? სკკპ-ს ცკ-ში მომზადებული ერთი დოკუმენტიდან ირკვევა, „ფარჩომსა" და „ხალყს" 1973წ. 17 ივლისის სახელმწიფო გადატრიალების მომზადებასა და განხორციელებაში მონაწილეობა არ მიუღიათ.[5] თუმცა, სავარაუდოა, რომ დაუდს გარკვეული წინასწარი კონტაქტები ჰქონოდა ქარმალთან, რომელსაც პირადად იცნობდა ჯერ კიდევ 50-იანი წლებიდან. ქარმალი, იმ პერიოდში, დაუდის მიერ ჩამოყალიბებული ორგანიზაციის წევრიც იყო.[6] ამასთან, ყურადღება მიექცეოდა „ფარჩომის" „ლიბერალურ" კურსაც. თვით ქარმალისტების აქტიურობა 17 ივლისის მოვლენების დროს და ცკ-ში მათი უმრავლესობა ხალყისტებთან შედარებით უნდა მიანიშნებდეს შესაძლო წინასწარ კონსულტაციებსა და გარკვეულ შეთანხმებაზე დაუდსა და ქარმალს შორის. ასეთივე მოსაზრებები გააჩნიათ ა. ლიახოვსკის და ვ. კორგუნს.[7]

18 ივლისს „ხალყმა" და „ფარჩომმა" თავიანთი განცხადებებით მხარი

---

[1] **კ. კვაშილავა,** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*, გვ. 333.

[2] **კ. კვაშილავა,** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ. *1973-1978*, გვ. 337-338; **Д. МакИчин,** Афганистан. *1973-79гг.*, – ***http://artofwar.ru/f/foreign/text_0140.shtml***.

[3] **Ахмад Шах Масуд,** Джихад вблизи, – ***«НВ»***, №6, 1991, გვ. 37.

[4] **Л. Б. Теплинский,** Афганистан – наш южный сосед. М., 1978, გვ. 61.

[5] **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 131.

[6] **А. Ляховский, В. Забродин**, Тайны афганской войны, – ***«Армия»***, №3-4, 1992, გვ. 72.

[7] **А. Ляховский,** Трагедия и доблесть Афгана, გვ. 21; **А. Ляховский, В. Забродин**, Тайны афганской войны, გვ. 73; **В. Коргун,** Бабрак Кармаль, გვ. 29.

დაუჭირეს მონარქიის დამხობას. იმავე დღეს თარაკიმ აუდიენცია სთხოვა მ. დაუდს, რათა პირადად მიელოცა და საკუთარი მომხრეები გაეყვანა სახელისუფლო ორგანოებში. რესპუბლიკის პირველ პირს დაძაბული ურთიერთობები ჰქონდა თარაკისთან ჯერ კიდევ 1953 წლიდან. ამიტომ, დაუდმა დიპლომატიური უარით თავი აიცილა „ხალყის" ლიდერთან შეხვედრა.[1] ამ ვითარებაში იგი დაუკავშირდა ქარმალს და სთხოვა წარმოედგინა კადრები ახალი სახელმწიფო ორგანოებისათვის. ბუნებრივია, რომ „ფარჩომმა" ეს შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვა და მთელი რიგი თანამდებობები მიიღო როგორც ცენტრალურ ხელისუფლებაში, ასევე – პროვინციებში.

მიუხედავად იმისა, რომ დაუდმა ამ პერიოდში მემარცხენეებს „კარტ-ბლანში" მისცა და ხელისუფლებაში შეიყვანა, იგი მაინც ძალზედ ფრთხილად მოქმედებდა: მან, მაგალითად, თანამდებობის გარეშე დატოვა ქარმალი, მიუხედავად მათ შორის თბილი ურთიერთოებისა. დაუდი ერიდებოდა მემარცხენეებთან შედარებით მჭიდრო კავშირს და ეს ალიანსი მას მხოლოდ დროებით და იძულებით ქმედებად მიაჩნდა.[2] დაუდმა სახელმწიფო აპარატში მემარცხენეთა მოწვევისას განსაკუთრებულ ხერხს მიმართა: მან თანამდებობები მხოლოდ იმპირებს ჩააბარა, რომელიც აქტიურად მონაწილეობდნენ „ეროვნულ რევოლუციაში", მის მიმართ ლოიალურად იყვნენ განწყობილი და არც პარტიული თანამდებობები ეჭირათ.[3] ეს პრაგმატული სვლა იყო: ერთის მხრივ, მან მემარცხენეები, გარკვეულ წილად, მოიმადლიერა იმით, რომ სახელმწიფო აპარატში შეუშვა ისინი, მაგრამ, მეორე მხრივ, მათზე გარკვეული კონტროლიც კი დააწესა: სახელმწიფო აპარატის კარებს მიღმა დატოვა ასდპ-ს აქტიური პოლიტიკოსები. „ფარჩომისათვის" ერთგვარი „პრივილეგიების" მინიჭებით, მან კიდევ უფრო გააღრმავა დაძაბულობა ქარმალსა და თარაკის შორის, რასაც ასდპ-ს შემდგომი დასუსტებისთვის უნდა შეეწყო ხელი. დაუდის სვლებმა მალე შედეგიც მოიტანა: თარაკიმ იდეისადმი ღალატი დასწამა ფარჩომისტებს. თარაკისტებმა კვლავ იატაკქვეშეთში გააგრძელეს მოღვაწეობა მაშინ, როდესაც ფარჩომისტების ერთგვარი ლეგალიზაცია შედგა.[4] „ფარჩომის" ამგვარი მდგომარეობით მოსკოვიც სარგებლობდა: ხელისუფლების ორგანოებში დასაქმებული ქარმალისტები მნიშვნელოვან სახელმწიფო ინფორმაციებს აწვდიდნენ საბჭოთა აგენტურას.[5]

ამრიგად, ასდპ-ს, როგორც მემარცხენე-რადიკალური მიმართულების პოლიტიკური ორგანიზაციისა, წარმოქმნა XXს-ის 60-იან წლებში არ შეესაბამებოდა იმ პერიოდის ავღანეთში არსებული ისტორიული რეალიების მოთხოვნილებებს, ვინაიდან მას არ გააჩნდა შესაბამისი სოციალური ბაზისი, რამაც განაპირობა მოკლე ხანში მომხდარი შიდაპარტიული განხეთქილებაც.

---

1 *Актуальные проблемы*.., გვ. 105, 107.

2 **კ. კვაშილავა,** ავღანეთის რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკა და სსრკ.., გვ. 338.

3 **В. Коргун,** Бабрак Кармаль, გვ. 31.

4 *Актуальные проблемы*.., გვ. 108; **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 131.

5 **А. Морозов,** Кабульский.., გვ. 45; **В. Пластун, В. Андриянов**, Наджибулла.., გვ. 130-143.

Kakha Kvashilava
Sokhumi State University

THE SOCIAL ASPECTS OF CONFROTANTIONS EXISTING IN THE PEOPLE'S DEMOCRATIC PARTY OF AFGHANISTAN

There were some attempts of establishing the left orientation political organizations in Afghanistan in 50-60-ies of 20th century. Failure of this process brought to light that there was not exists needed social basis for such party. But Afghan lefts could to create the People's Democratic Party of Afghanistan in January 1, 1965. Soon the party divided on two factions: "the Khalq" by leaded Nur Muhammad Taraki and "the Parcham" of Babrak Karmal. Some object and subject factors caused this division. The leaders of party had different opinions to the some theoretic problems. Parchamists believed in legal forms of political struggles, but Khalqists wanted to change PDPA as a Communist Party. They also could not agree in problem of admit new members into party. The liberalism of Parcham and the Khalq's radicalism was stipulated by the social and ethnic origin of his members. Less-well-off sections, labours (small black-coated workers, nomads and etc.) were united in Khalq, but representatives of well-to-do sections of population (big landowners, traders, elite of the Army, intelligentsia, bourgeoisie and etc.) were became members of Parcham. If Khalqists were basically Pashtos, Parchamists were Tajiks and representatives of other national minorities. Because it was not surprise that PDPA divided on two factions. We can conclusion the establishment of left-radically political organization in 60-ies of 20th century in Afghanistan did not fit with historic actuals of that period.

გურამ ყორანაშვილი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

გიორგი სოსელია საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის შესახებ

გავრცელებულია შეხედულება, რომ თითქოსდა საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პრობლემას ე. წ. მარქსისტულ-ლენინური პოზიციებიდან პირველად სიმონ ჯანაშია შეეხო.[1] მაგრამ ეს ასე როდია. ამ თვალსაზრისით პირველი იყო იურისტი და ისტორიკოსი გიორგი სოსელია (1897-1961), რომელმაც 1930 წელს ამ საკითხზე საკმაოდ ვრცელი სტატია გამოაქვეყნა.[2] იგივე ნაშრომი ოდნავ შეცვლილი სახით, მომდევნო წელს რუსულ ენაზეც დაიბეჭდა კავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტის „სამეცნიერო ჩანაწერებში". ფაქტია, რომ სიმონ ჯანაშიას თავის აღნიშნულ ნარკვევში გიორგი სოსელიას ეს ნაშრომი არ მოუხსენიებია.

1936 წლის 23 მარტი – 2 აპრილს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართული დისკუსიის დროს სიმონ ჯანაშია აღნიშნავდა: „ამხ. სოსელიამ გამოაქვეყნა სპეციალური ნარკვევი ამ საკითხის შესახებ, რომელიც დაიბეჭდა 1930 წელს ჟურნალ „მნათობში". მე იმ დროს საქართველოში არ გახლდით და, სამწუხაროდ, მაშინვე ეს ნაწარმოები არ გამიცვნია. როგორღაც ისე მოხდა, რომ არავის ჩემი ყურადღება არ მიუქცევია ამისათვის, ასე რომ ჩემს განაკვეთში, მიუხედავად იმისა, რომ დაწერილია 1931 წლის დამლევს, მისი ნაშრომის შესახებ არაფერია ნათქვამი. ესეც რა თქმა უნდა, უმართებულო იყო ჩემის მხრივ".[3]

გიორგი სოსელიას შეხედულება აღნიშნულ საკითხზე მოკლედ შემდეგში მდგომარეობს: ძვ. წ. ათასწლეულებში ქართველ ტომებში, ფართო აზრით, ახლა რომ ქართველურს ვუწოდებთ, ადგილი ჰქონდა გვაროვნულ („საგვარეულო") წყობილებას, რომელსაც თითქოსდა ვხვდებით სტრაბონის „გეოგრაფიის" აღწერილობაშიც იბერიის შესახებ, ძვ. წ. I საუკუნეში. გიორგი სოსელიას სი-

---

[1] **ს. ჯანაშია**. საზოგადოებრივი კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობა ქართველ ტომებში, ტფილისი, 1932.

[2] **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, ჟურნ.„მოამბე", 1930, №5-6.

[3] შესაძლოა, გიორგი სოსელიას ღვაწლის მოუხსენიებლობა ჰქონდა მხედველობაში ნიკო ბერძენიშვილს, როდესაც 1938 წლის 23 ივნისს, სიმონ ჯანაშიას სადოქტორო დისერტაციის დაცვისას, განაცხადა:„მეორე ნაკლი ზოგადი ხასიათისა ეს არის ავტორის მიერ ამა თუ იმ საკითხის შესახებ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის მოუხსენიებლობა"; არსებულს ლიტერატურას ის მაშინ ასახელებს, როცა სავსებით ეთანხმება იქ გამოთქმულ აზრს, როცა დაესესხება მას (ასეთი თანხმობის შემთხვევაში პროფ. ს. ჯანაშია არა თუ წერილობით, ზეპირად გამოთქმული აზრის ავტორსაც არ ტოვებს მოუხსენებლად), საწინააღმდეგო მოსაზრებათა ლიტერატურას ის ჩვეულებრივ არ ასახელებს" (**ნ. ბერძენიშვილი**. საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. III, თბ., 1966, გვ. 366-367).

ტყვებით, „არც მონობის არსებობა, არც ქურუმების ცალკე გამოყოფა და არც არსებობა საზოგადოების ისეთი წრის, რომელიც მეფეს სვამდა, – არც ერთი ეს გარემოება სტრაბონის მიერ აღწერილ პირობებში არაფერს ამბობს იმაზე, რომ საგვარეულო წყობილება ამ დროს საგრძნობლად შერყეული ყოფილიყოს“.[1] ჩანს, მისი აზრით, ეს ხანა მაინც გარდამტეხი ყოფილა. გიორგი სოსელია წერდა:„უდავოა, რომ სოციალური უთანასწორობა ქართველებში ჩამოყალიბდა I-IV ს.ს.-ში. აშკარაა,ამ პერიოდში ქართველები რაც (ალბათ უნდა იყოს„რაღაც“ – გ.ყ.) განსაკუთრებულ პირობებში უნდა ყოფილიყვნენ, რაკი მათ სოციალურ წყობილებაში ასეთი დიდი გარდატეხა მოხდა“.[2] აღნიშნულ პროცესს იგი ხსნიდა რომაელების ზეგავლენით; თითქოსდა ამ უკანასკნელთ დიდად დააჩქარეს აღებმიცემობის (ვაჭრობის) განვითარება, რამაც, თავის მხრივ, ხელოსნობისა და მიწათმოქმედების შემდგომი ზრდა განაპირობა.

რომი დასავლეთ საქართველოში უშუალოდ გაბატონდა და, აქედან გამომდინარე, მისი ზემოქმედებაც უფრო ძლიერი უნდა ყოფილიყო. მაგრამ ასე როდი ფიქრობდა გიორგი სოსელია, რომლის მიხედვითაც„დასავლეთ საქართველოში (კოლხიდაში), მაგალითად, ჯერ კიდევ 134 წ. (!) ქრ.შ., როგორც ფლაბიუს არრიანეს დაწერილი და ადრიანე კეისრისათვის მიმართული მოხსენებიდან ჩანს, ოთხი ერთმანეთისაგან სრულიად დამოუკიდებელი ტომი სახლობდა თურმე. ცხადია, საუკუნით ადრე, ამ მხრივ მდგომარეობა, უარესი თუ არა, უკეთესი არ იქნებოდა. (თუმცა ი. ჯავახიშვილის აზრით სტრაბონის დროინდელი მდგომარეობა სულ სხვანაირი ყოფილა: ამ დროს კოლხიდა ერთ მთლიან„სახელმწიფოს“ წარმოადგენდა თურმე („ქართველი ერის ისტორია“, 1928 წ., გვ. 159-160). მაგრამ ეს ცარიელი სიტყვებია მხოლოდ, თუგინდ მარტო იმიტომაც, რომ თვით ი. ჯავახიშვილი აცხადებს: ამ დროინდელ დასავლეთ საქართველოს შესახებ ცნობები არ მოგვეპოვებაო (იქვე, გვ. 154)“.[3]

ასე რომ, გიორგი სოსელიას აზრით, ქართლში ჯერ გაჩნდნენ გაბატონებული და დაჩაგრული კლასები და შემდეგ, V–VI საუკუნეებში, – სახელმწიფო. ამდენად„მე-5 საუკუნიდან აღმოსავლეთ საქართველოში ყალიბდება ფეოდალური წყობილება“;[4]„დაახლოებით ასეთივე მდგომარეობა უნდა ყოფილიყო დასავლეთ საქართველოშიც“;[5]„მთიანეთში კი, სახელდობრ ხევსურებსა და მთიულებში, გეოგრაფიული პირობების გამოისობით, გვაროვნული წყობილება გვიან ხანამდე შემორჩა“.[6]

როგორც ვხედავთ, გიორგი სოსელია საკითხს განიხილავდა ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან, უფრო ზუსტად ვ. ლენინის„ცნობილი“ შეხედულების მიხედვით. ამდენად, თითქოსდა ადგილი ჰქონდა ამგვარ ისტორიულ ჯაჭვს:

---

1 **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 177.

2 **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 184.

3 **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 204.

4 **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 207.

5 **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 207.

6 **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 187-188.

კერძო საკუთრება (მათ შორის მიწაზე) – სოციალური კლასები – სახელმწიფო. რაც შეეხება ივანე ჯავახიშვილისადმი დამოკიდებულებას (მიმართებას), გიორგი სოსელია იზიარებდა დიდი მეცნიერისა და მამულიშვილის აზრს სტრაბონის ეპოქაში გვაროვნული წესწყობილების არსებობის თაობაზე, მაგრამ აბსოლუტურად მიუღებლად მიიჩნევდა იმ დროს სახელმწიფოს არსებობას და თვლიდა, რომ იგი (ეს ინსტიტუტი) ფეოდალიზმის პირობებში წარმოიშვა.

გიორგი სოსელია ფიქრობდა, რომ ივანე ჯავახიშვილს შესაძლებლად მიაჩნდა სახელმწიფოს წარმოქმნა ძალდატანების მეშვეობით (დიდი, ძლიერი გვარი იპყრობდა მცირე, სუსტ გვარს). აღნიშნული ფაქტორი კი სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის პროცესში თითქოს არავითარ როლს არ ასრულებდა. ამ მხრივ ავტორი არ ინდობდა არც კარლ კაუცკის, აღარაფერს ვამბობთ ლ. გუმპლოვიჩზე.

რასაკვირველია, ივანე ჯავახიშვილისეული აღნიშნული საერთო შეხედულება მცდარია და მისი კრიტიკა სავსებით ბუნებრივია. კერძოდ, ასე აკეთებდა ცნობილი ქართველი მოაზროვნე და საზოგადო მოღვაწე არჩილ ჯორჯაძე, მაგრამ ეს უნდა მომხდარიყო ნორმალურ საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პირობებში, კორექტულად და არა „აშკარა რეაქციული თეორიის“ იარლიყის მიწებებით.[1] ანდა როგორი მისაღებია ასეთი სიტყვები: „მარქსიზმის, სახელმწიფოს მარქსისტული თეორიის წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ვხედავთ, აღმოჩნდნენ ერთიმეორის გვერდით, ერთი და იმავე იარაღით ხელში, ერთის მხრივ, მარქსიზმის რენეგატი, „სოციალისტი“ კაუტსკი და, მეორეს მხრივ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ი. ჯავახიშვილი“.[2]

როგორც ვიცით, სიმონ ჯანაშია აღნიშნულ საკითხს, იმავე ე.წ. მარქსიზმ-ლენინიზმის პოზიციიდან, სხვანაირად მიუდგა. მისი შეხედულებით, სტრაბონის ხანის იბერიაში (ქართლში) კლასობრივად დიფერენცირებული, დანაწევრებული საზოგადოება არსებობდა. შესაბამისად, ადგილი ჰქონდა სახელმწიფოს არსებობასაც. ამდენად, მისი აზრით, გვაროვნული წყობილება საქართველოს ბარში კარგა ხნის წინათ დაიშალა. თავის შეხედულებას გიორგი სოსელია ვერა და ვერ შეელია. ამიტომაც 1936 წლის 16 აპრილს მან გაზეთ „კომუნისტში“ დაბეჭდა სტატია სათაურით „უმეცრება თუ შეგნებული მავნებლობა?“ (გვაროვნულ საზოგადოებაში სახელმწიფოს არსებობის შესახებ ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის შეხედულებათა, „კრიტიკა“ (წინა დღეს იგი გაზეთ „ზარია ვოსტოკაში“ დაიბეჭდა). ავტორი მიუთითებდა: „ჩვენს ისტორიოგრაფიაში კერძო საკუთრების, კლასების და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხში დღემდე ბატონობენ აშკარა ანტიმარქსისტული, რეაქციული შეხედულებები“. მეტიც, მისივე სიტყვებით, „უნდა ვიკითხოთ: საქმე გვაქვს უმეცრებასთან თუ შეგნებულ მავნებლობასთან?! რას აკეთებენ ის ორგანოები, რომელთაც ეკისრებათ ჩვენს

---

[1] **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 203.

[2] **გ. სოსელია**. ქართველ ტომებში სახელმწიფოს წარმოშობის საკითხისათვის, გვ. 211. რუსულად გამოქვეყნებულ ვარიანტში კი ვხვდებით ამგვარ კვალიფიკაციას „Струве-Джавахишвилиевская точка зрения“ (გვ. 219). იგულისხმებოდა რუსი ლეგალური მარქსისტი პეტრე სტრუვე, რომელიც დაპყრობის გზით სახელმწიფოს წარმოშობის თვალსაზრისს იზიარებდა.

სკოლებში ისტორიის სწავლების საქმის უშუალო ხელმძღვანელობა? როგორ მოხდა, რომ 5-6 წლის განმავლობაში ასეთ უმსგავსოებას აწვდიან ჩვენს მოსწავლე ახალგაზრდობას და ამაზე არავის კრინტი არ დაუძრავს?"[1]

აქ აღძრულ პრობლემატიკას გიორგი სოსელია კარგა ხნის განმავლობაში აღარ შეხებია. როგორც ცნობილია, 1937-1946 წლებში იგი რეპრესირებული იყო და მას მხოლოდ მოგვიანებით დაუბრუნდა, კერძოდ, ჟურნალ „Вопросы истории"-ს 1956 წლის მეოთხე ნომერში დაბეჭდა მცირე ზომის შენიშვნა (заметка): „Мона" по древнегрузинским источникам". იგი აღნიშნავდა, რომ „მონას" უწინ, ძველ საქართველოში, მხოლოდ შინამსახურის მნიშვნელობა ჰქონდა: „Институт мона-шинамсахури в раннефеодальной Грузии представлял форму патриархального рабства периода разложения первобытно-общинного строя и образования классового общества". აქედან გამომდინარე, „Нет случая, чтобы этого слугу, служителя можно было бы принять за раба, „живую вещь" рабовладельческого общества, чтобы „монеба" – служение являлось бы повиновением „живого инвентаря", грузинские источники ни одного такого примера не дают".[2]

გიორგი სოსელიას თანახმად, შინამსახურის მდგომარეობა მკვეთრად გაუარესდა გვიანდელ ხანაში, კერძოდ, ირანთან და თურქეთთან მონებით ვაჭრობის პირობებში. ამიერიდან „Мона-шинамсахури оказывается на положении раба. Слово „мона" начинает обазначать раба".[3]

უკვე მოტანილი ციტატებიდანაც ცხადად ჩანს, რომ გიორგი სოსელია არც 1956 წელს იზიარებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოებრივი წყობილების არსებობის თვალსაზრისს. მაგრამ აღნიშნულ შეხედულებას იგი უფრო მკვეთრად დაუპირისპირდა „Вопросы истории"-ს იმავე წლის მეათე ნომერში გამოქვეყნებულ სტატიაში: „Существовала ли рабовладельческая формация в Грузии?", სადაც ვკითხულობთ: „Государственный аппарат в Грузии постепенно оформлялся лишь по мере возникновения и укрепления феодального строя. Нет и следов того, чтобы феодальная Грузия получила в наследство от прошлого какой-либо институт государства. Она унаследовала и приспособила к условиям классового феодального общества лишь некоторые институты родового строя („эристави", „хевисбери", „хевисупали"); многие институты государственной организации были заимствованы у соседей, главным образом у народов Ирана. Своеобразные черты средневекового грузинского права были унаследованы не от рабовладельческого государства, а непосредственно

---

[1] **გ. სოსელია**. უმეცრება თუ შეგნებული მავნებლობა? (გვაროვნულ საზოგადოებაში სახელმწიფოს არსებობის შესახებ ს. ჯანაშიასა და ნ. ბერძენიშვილის შეხედულებათა„კრიტიკა". გაზეთ„კომუნისტი", 1936 წ. 16 აპრილი.

[2] Вопросы истории, 1956, №4, გვ. 131. ანალოგიური მოსაზრებაა გამოთქმული გ. სოსელიას წიგნში„საქართველოს საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილება„ვეფხისტყაოსნის" მიხედვით, სოხუმი, 1956, გვ. 50-51.

[3] Вопросы истории, 1956, №4, გვ. 131.

от первобытно-общинного строя“.[1]

სტატიაში კვლავ გამეორებულია აზრი, რომ გვაროვნული წყობილება რომაელთა ზეგავლენით სწრაფად იშლებოდა, კერძოდ ქართლში, ძვ. წ. I საუკუნიდან მოკიდებული, რის შედეგადაც II–IV საუკუნეებში წარმოიშვა ფეოდალური საზოგადოება და სახელმწიფო. რამდენადაც ახალი არქეოლოგიური აღმოჩენების, მათ შორის ეპიგრაფიკული მონაცემების, მიხედვით იბერიაში (ძველ ქართლში) სახელმწიფოს არსებობა უეჭველი გახდა, გიორგი სოსელია იძულებული იყო ეღიარებინა ეს გარემოება, მხოლოდ უფრო მოგვიანებით. რაც შეეხება სტრაბონის ხანას, იგი აღნიშნავდა: „География“ Страбона ясно говорить о том, что к в. до н. э. в Иберии – передовой части Грузии – существовало еще доклассовое общество“.[2]

აღნიშნულიდან გამომდინარე, გიორგი სოსელია მით უფრო გამორიცხავდა სახელმწიფოს არსებობას ძველ კოლხეთში. კერძოდ, მონეტის (ე.წ. „კოლხური თეთრის“) თაობაზე იგი დასძენდა: „Колхидки“ и другие монеты Грузии, с греческими надписями и изображениями греческих богов свидетельствуют, наоборот, о том, что эти монеты чеканились в местных греческих колониях“.[3]

ჭეშმარიტად ღრმააზროვანი გახლავთ გიორგი სოსელიასეული შენიშვნები: „определяя социально-политический строй Грузии по памятникам материальной культуры, С. Джанашия и его ученики исходят из своеобразного представления о первобытно-общинном строе. Всякие постройки „типа дворца“-строения, окруженные стеной и башнями, или золотые или серебрянные вещи, особенно с признаками орнамента и т.д. – они принимают за явления, выходящие из рамок первобытно-общинного строя (и высшей его ступени), признают бесспорным показателем развитого классового общества“;[4] „Достаточно вспомнить, какаое сложное, богатое культурное наследие переходит от первобытно-общинного строя к классовому обществу, чтобы стала ясна несостоятельность утверждений о том, будто бы описанные выше памятники материальной культуры говорят о существовании у грузин еще до начала новой эры вполне развитого рабовладельческого общества и государства“;[5] „не менее сложной была „иерархия“, например, у германцев времен Тацита или у гомеровских греков“.[6]

ვიმეორებთ, მსგავსი შენიშვნები რიგი ქართველი ისტორიკოსების და არქეოლოგოსების მიმართ ფრიად საფუძვლიანია და თავიანთ ძალას ინარჩუნებენ

---

[1] Вопросы истории, 1956, №10, გვ. 84.

[2] Вопросы истории, 1956, №10, გვ. 83.

[3] Вопросы истории, 1956, #10, gv. 78.

[4] Вопросы истории, 1956, №10, გვ. 78.

[5] Вопросы истории, 1956, №10, გვ. 76.

[6] Вопросы истории, 1956, №10, გვ. 76.

დღესაც კი. მათი აქტუალურობა ნათლად გამოჩნდა საქართველოში სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს თაობაზე გასული საუკუნის მიწურულს მიმდინარე დისკუსიებისას.

ამავე სტატიაში გიორგი სოსელია არ ეხებოდა ძველ კოლხეთში კლასებისა და სახელმწიფოს არსებობის საკითხს, რითაც, ცხადია, ამჟღვავნებდა თავის უარყოფით დამოკიდებულებას მისადმი.

შეგახსენებთ, რომ ამავე, 1956 წლის „Вопросы истории" -ს მეოთხე ნომერში დაიბეჭდა გიორგი მელიქიშვილის სტატია „К вопросу о возникновении классового общества и первых государственных образований в Грузии", რომელშიც ავტორი ძველებურ ყაიდაზე, ჯანაშიასა და მისი მიმდევრების კვალდაკვალ, კვლავ ამტკიცებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური ფორმაციის არსებობას, მხოლოდ ოდნავი მოდიფიკაციით,,,ადრემონათმფლობელური" ანდა,,თემურ-მონათმფლობელური" სახელწოდებებით. „Вопросы истории" -ს მომდევნო წლის მეშვიდე ნომერში კი შოთა მესხიამ, ნოდარ ლომოურმა და ოთარ ლორთქიფანიძემ დაბეჭდეს სტატია სათაურით „ К вопросу о происхождения государства и существовании рабовладельческой формации в Грузии", სადაც უდიდესი თავგამოდებით იცავდნენ მსგავს თვალსაზრისს. ასე რომ, გიორგი სოსელიასეულ არგუმენტაციას აღნიშნულ ავტორებზე ზეგავლენა არ მოუხდენია.

მეტსაც მოგახსენებთ. 1964 წელს გიორგი მელიქიშვილი წერდა: „აღნიშნულ პრობლემასთან დაკავშირებით არ შეიძლება არ ითქვას, რომ ქართველ საბჭოთა ისტორიკოსებს მოუხდათ მწვავე პოლემიკის წარმოება მეცნიერული მიმართებით სავსებით უნიადაგო მტკიცებათა წინააღმდეგ, რომლებიც უარყოფდნენ მონათმფლობელური ფორმაციის არსებობას".[1] ცხადია, ამ შემთხვევაში პირველ რიგში გიორგი სოსელია იგულისხმებოდა.

ისე, ცნობილია, რომ სიმონ ჯანაშია 1930-იანი წლების დასაწყისში არ იზირებდა ძველ საქართველოში მონათმფლობელური წყობილების (სოციალური სისტემის) არსებობის თვალსაზრისს. ამის მაგიერ შესაბამისი ისტორიული სინამდვილის გააზრებას იგი ცდილობდა სოციალურ-ეკონომიკური მრავალწყობიანობის თვალთახედვით. გარდატეხა მის შეხედულებებში მოხდა 1938 წლიდან მოყოლებული, მას შემდგომ, რაც დაიბეჭდა პარტისტორიის, „მოკლე კურსი", რომელშიც საზოგადოების განვითარების ხუთფორმაციული სქემა საბჭოთა კავშირში (და შემდეგ სხვა ე.წ. სოციალისტურ ქვეყნებში საბოლოოდ იქნა „კანონიზებული".

მალე, უნივერსალური მონათმფლობელური საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის იდეას წყალი შეუდგა. დასავლელი (ინგლისელი, ფრანგი) მარქსისტების ძალისხმევით, როგორც ცნობილია ხელახლა, 1930-იანი წლების შემდგომ, აღორძინდა (მათ შორის საბჭოთა კავშირშიც) დისკუსია აზიური წარმოების წესის შესახებ. ამჯერად, საღად, კრიტიკულად მოაზროვნე ისტორიკოსთათვის აშკარა გახდა მონათმფლობელური ფორმაციის უნივერსალური

[1] Вопросы истории, 1956, №10, გვ. 78.

გავრცელების თვალსაზრისის უნიადაგობა. 1965 წლის ბოლოს ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში სპეციალური მოხსენებით გამოვიდა გიორგი მელიქიშვილი, რომელმაც უარყო აღნიშნული ტიპის საზოგადოების არსებობა ძველ საქართველოში (მოვიგონოთ ერთი წლის წინათ გამოთქმული მისეული აზრი!). მას მხარი ბევრმა დაუჭირა, მაგრამ პარადოქსია, რომ არც მაშინ და არც შემდეგ არავის გახსენებია გიორგი სოსელია, რომელიც 1930-იანი წლების დასაწყისში და 50-იანი წლების შუა ხანებში მტკიცედ იდგა ძველ საქართველოში მონათმფლობელური საზოგადოების (ფორმაციის) უარყოფის პოზიციაზე.[1]

აღნიშნული გარემოება კიდევ ერთხელ მიგვანიშნებს იმაზე, თუ როგორი სოციალურ-ფსიქოლოგიური ვითარება სუფევდა და ახლაც სუფევს უახლესი ხანის ქართულ ისტორიოგრაფიაში.

დაბოლოს, დავსძენთ, რომ ამჟამად სოციალური კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხზე საერთოდ, ძველი საქართველოს სოციალური და პოლიტიკური განვითარების თაობაზე კერძოდ, ბევრი რამ უფრო ცხადი გახდა, მათ შორის, აზიური წარმოების წესის შესახებ გამართული დისკუსიების შედეგად. ნათელი შეიქნა ძველი თაობის წარმომადგენელთა, ხშირ შემთხვევაში, უშინაარსო, სქოლასტიკური მსჯელობანი საკითხზე. ახლებურად ვხედავთ სიმონ ჯანაშიასა და გიორგი სოსელიას ღვაწლსაც აღნიშნული დიდი პრობლემის გარკვევაში.[2] როდესაც ამ თვალსაზრისით ჩვეულებრივ სიმონ ჯანაშიასა და გიორგი მელიქიშვილის დამსახურებას აღნიშნავენ ხოლმე, დავიწყებული არ უნდა იქნეს გიორგი სოსელიას შესაბამისი შეხედულებანიც.

---

[1] ზემოთქმული არ ნიშნავს იმას, რომ გიორგი სოსელია საერთოდ უარყოფდა მონათმფლობელობის, როგორც ფორმაციის უნივერსალურობას და მის სანაცვლოდ აზიური წარმოების წესის კონცეფციის მომხრე იყო ან გახდა. პირიქით, იგი ხაზგასმით აღნიშნავდა ხოლმე ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში „მონათმფლობელური ფორმაციის" არსებობას. ასე რომ, ძველი საქართველო ამ თვალსაზრისით გამონაკლისად მიაჩნდა, თუმცა არ ცდილა აეხსნა, დაედგინა ამ მოვლენის გამომწვევი მიზეზები.

[2] მაინც ერთგვარ გამონაკლისად შეიძლება ჩაითვალოს სიმონ ჯანაშიასეული ხაზგასმა 1936 წლის დისკუსიის დროს: „ამხ. სოსელიას გარკვეული დამსახურება მიუძღვის ამ სფეროში (ე. ი. საქართველოში კლასებისა და სახელმწიფოს წარმოშობის საკითხის კვლევაში – გ. ყ.). მან სცადა საკითხის მარქსისტული დაყენება. თუ არ ვცდები, ეს არის ამ მხრივ პირველი ცდა. სოსელიამ სამართლიანად აღნიშნა, რომ პროფ. ჯავახიშვილის შეხედულებები ერთი მეორესთან შეუთავსებელია, რომ სახელმწიფოს არსებობა გვაროვნული წყობილების პირობებში მიუღებელია, რომ სახელმწიფო კლასობრივი ორგანიზაციაა".

Guram Koranashvili
Doctor of Historical Sciences

GIORGI SOSELIA ABOUT AN ORIGINATION OF SOCIAL CLASSES AND STATEHOOD IN GEORGIA

It is spread a view on of Simon Janashia's authorship about an origination of social classes and statehood in Georgia from so-called Marxism-Leninism's position. But it was not so. Jurist and Historian Giorgi Soselia (1897-1961) published a large article on this problem in 1930: *About Problem of Origin of Statehood in Georgian Tribes* (Magazine "Moambe", #5-6). Next year he again published this research work with small revision in periodical issue of the Caucasian Communist University "Scientific Notes" (in Russian).

მალხაზ ბარამიძე
არქეოლოგიური კვლევის ცენტრი

ალმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რკინის მეტალურგიის ზოგიერთი საკითხი

უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში კოლხეთის არქეოლოგიის ბევრი კარდინალური საკითხი სრულიად ახლებურად იქნა გაშუქებული. ერთ-ერთ ასეთ საკითხს რკინის მეტალურგია და მისი ჩასახვა-განვითარების ეტაპები, ნაკეთობათა ტიპოლოგიური და რეგიონალური გავრცელება და სხვა წარმოადგენს. განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო რკინის მეტალურგიის ქრონოლოგიის საკითხს და ეს სრულიად ბუნებრივია. ამ ინტერესს აღვივებდა ანტიკურ წყაროთა ცნობები, რომლის მიხედვით რკინის, როგორც საწარმოო მეტალის, გამოგონების პრიორიტეტი ეკუთვნით ხალიბებს და შესაძლოა სწორედ აქედან მარაგდებოდა ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნები.[1] სამეცნიერო ლიტერატურაში ხაზგასმულია ხეთების განსაკუთრებული როლიც შავი მეტალურგიის განვითარების საკითხში.[2]

ჩვენ არ შევუდგებით ამ საკითხთან დაკავშირებით არსებული მრავალრიცხოვანი ლიტერატურისა და თეორიების განხილვას. იგი სრულად მოცემულია პროფ. დ. ხახუტაიშვილის სპეციალურ ნაშრომში.[3] როგორც ჩანს, გარკვეული საფუძველი ქართველი ტომების (ხალიბების) მიერ მიღწეული განსაკუთრებული წარმატებების დასასაბუთებულად მატერიალურ კულტურაში მართლაც არსებობს. ამიტომ შემთხვევითი არ იყო ის გარემოება, რომ გაჩნდა სპეციალური ტერმინი კოლხეთის რკინის წარმოების სამთომეტალურგიული ცენტრი,[4] რომელიც ეფუძნებოდა ცეცხლაურის, ასკანას და პირველი ჭოღას ტერიტორიებზე გამოვლენილი მძლავრი სამრეწველო ობიექტების არქეოლოგიურ შესწავლას. ფაქტიურად ამ ტერიტორიის ქვეშ გაერთიანდა გურია-აჭარის და სამეგრელოს რეგიონები, სადაც ამ მიმართულებით სპეციალური კვლევა წარმოებდა. უკვე ამ პერიოდში შესაძლებელი იყო ამ ტერიტორიის გაფართოება, რადგან არსებობდა ცნობა ოქუმის ხეობაში მძლავრი რკინის საწარმოო ობიექტის არსებობის შესახებ,[5] რაც უკანასკნელ ხანებში დადასტურდა ჩვენი სამუშაოებით აფხაზეთში, კერძოდ ნაწილობრივ შესწავლილ იქნა საკმაოდ მძლავრი კერა გალის რაიონის სოფ. პირველი გალის ტერიტორიაზე, მზიური I საწარმოო სახელოსნოს ნაშთები.

---

[1] Б. Деген-Ковалевский**.** К истории железного производства Закавказья, Изв. ГАИМК-120, стр. 242.

[2] **C. Blinkenberg.** Pe Peys natal su Fer. Mem. Soc. Roy. Antiquity, 1925, p. 204-205; **T. Rickard.** Man and Mettalls, II, New-York, 1932, p. 870.

[3] Д. А. Хахутаишвили**.** Производство железа в древней Колхиде, Тб., 1987, стр. 6-39.

[4] Д. А. Хахутаишвили**.** Производство железа в древней Колхиде, გვ. 2.

[5] **ნ. ბერძენიშვილი.** დასავლეთ საქართველოს ქვის ხანის არქეოლოგიური ექსპედიციის ანგარიში. – საველე არქეოლოგიური კვლევა-ძიება სქართველოში, თბ., 1968.

აღსანიშნავია, რომ 60-იანი წლების დასაწყისში ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით გაგზავნილმა სადაზვერვო ექსპედიციამ წალენჯიხის რაიონის სოფ. ლიას ტერიტორიაზე ადგილ "ჯოღორიაშ წყურგილში" და "ოყანჭეში" მიაკვლია მძლავრ რკინის საწარმოო უბანს,[1] რომელიც ნაწილობრივ გათხრილ იქნა 1984-85 წწ. ჩვენს მიერ.[2] მართლია, აქ უშუალოდ სადნობი ქურის მხოლოდ ნიშნები იქნა დაფიქსირებული, მაგრამ საქმე გვაქვს წიდების და არქეოლოგიური მასალის მძლავრ გადანაყართან, რომლის ფართობი არასრული მონაცემებით 300X200 მ, სისქით საშუალოდ 0.8 მ-მდეა. მონაპოვარ მასალაში განსაკუთრებით აღსანიშნავია სხვადასხვა ფორმის რამდენიმე ასეული საბერველი მილის ნატეხები, რომელთა ნაწილს თავთან ხელოსნის ნიშნები აქვს დატანილი.[3] ნაყარში აღმოჩენილი კერამიკის ფრაგმენტების და ჩაშვებული სამარხის ინვენტარის მიხედვით საწარმოო ობიექტი თარიღდება წელთაღრიცხვების მიჯნით, თუმც არ არის გამორიცხული ამ ტერიტორიაზე უფრო ადრეული ქურების აღმოჩენის შესაძლებლობა. ამაზე უნდა მიგვითითებდეს აქვე შემთხვევით აღმოჩენილი დასავლეთ საქართველოს გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის ძეგლებისათვის ტიპიური ბრინჯაოს ბრტყელი ცული. სამწუხაროდ, ამ უაღრესად საყურადღებო ძეგლის გათხრები აღარ გაგრძელებულა მისი მასშტაბურობისა და ფინანსური სიძნელეების გამო.

აფხაზეთის არქეოლოგიურმა ექსპედიციამ 1991 წელს ქ. გალში, მზიურის ციტრუსების მეურნეობის ტერიტორიაზე შეისწავლა გზის გაყვანისა და სტიქიური მოვლენებისაგან გაშიშვლებული რკინის საწარმოო უბნის ერთი ნაწილი. გათხრილი და გაწმენდილი იქნა ერთ ვერტიკალზე განლგებული რკინის 4 სადნობი ქურა და ტერიტორია მის ირგვლივ (ტაბ. I). ქურების ძირითადი ნაწილი შედის გაუთხრელ ფართობში, რომელთა შესწავლა საჭიროებდა მიწის დიდ სამუშაოებს ტექნიკის დახმარებით, რის გამოც ძეგლის სრული გამოვლენა გათვალისწინებულ იქნა 1992 წელს. სამწუხაროდ, აფხაზეთში პოლიტიკური ვითარების გამწვავებამ საშუალება არ მოგვცა აღნიშნული ძეგლი სრულად ყოფილიყო შესწავლილი. ამასთანავე ვერ მოხერხდა გეოფიზიკური მონაცემების ლაბორატორიული კვლევის დასრულება და სადღეისოდ მხოლოდ ზოგადად შეგვიძლია ვიმსჯელოთ ძეგლის ასაკზე. კულტურულ ფენაში აღმოჩენილი რამდენიმე კერამიკული ფრაგმენტი კეცის მიხედვით, იგი უფრო წინარეანტიკური იერისაა, ვიდრე სხვა რომელიმე პერიოდის. თითქოს ამავე პერიოდის ჩანს ერთი მრგვალქობიანი, პირგადმოკეცილი პროფილიც. თვით წიდების მონაცრისფრო ნაფენი სწორედ ამ დროისთვისაა დამახასიათებელი, რაც არაერთგ-

---

[1] **გ. გრიგოლია, მ. ბარამიძე**. ენგურჰესის მშენებლობასთან დაკავშირებული სადაზვერვო ექსპედიციის 1963 წლის მუშაობის ანგარიში. – საკმს, 1963., თბ., 1964.

[2] **რ. აბრამიშვილი, თ. მიქელაძე, მ. ბარამიძე**. ენგურის არქეოლოგიური ექსპედიციის 1964 წლის მუშაობის აბგარიში, საკმს, 1963; **მ. ბარამიძე, რ. რამიშვილი**. გვიანანტიკური ხანის ძეგლები ენგურის ხეობაში. – ისტორიის ინსტიტუტისა და ზუგდიდის ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმის ერთობლივი სამეცნიერო სესია, თეზისები, ზუგდიდი, 1965.

[3] ხელოსანთა ნიშნები წარმოდგენილია ლათინური ასოებით (ალფა, დელტა, იფსილონი, გეომეტრიული სახეები და წრეები, წერტილები, სამკუთხედები, ოთხკუთხედი და სხვ.).

ზის დადასტურდა დ. ხახუტაიშვილის გამოკვლევების მიხედვით.[1] თვით ქურის ტიპი კარგად უკავშირდება გურია-აჭარის ტერიტორიებზე შესწავლილ ქურებს. განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მზიური I სახელოსნოს ქურების კედლები არაა ქვით მოპირკეთებული და კედლები მხოლოდ ცეცხლგამძლე თიხით არის შელესილი, რაც ჩვენი აზრით ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანის კოლხური კულტურის აფხაზეთის ლოკალური რეგიონისათვის შესაძლოა იყოს დამახასიათებელი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე ჩვენ შესაძლოდ მიგვაჩნია მზიური I წინასწარულად წინარეანტიკური ხანით იქნას დათარიღებული.

საერთოდ უნდა აღვნიშნოთ, რკინის სადნობი ქურების დათარიღება ძალზე რთული საკითხია. ჩვეულებრივ, ამ ტიპის ძეგლებზე არქეოლოგიური მასალა ძალზე ცოტაა და მათი დათარიღება ჭირს. ამდენად, ჩვენი აზრით, გამართლებულია მათი შესწავლისათვის გეოფიზიკური მეთოდების გამოყენება, მაგრამ ამ შემთხვევაში დიდი სიფრთხილეა საჭირო. არქეომაგნიტური მეთოდის გამოყენება რთულდება საქართველოსათვის მიღებული მაგნიტური მრუდის ფაქტიურად არარსებობის გამო. რადიონახშირბადით დათარიღება ყოველთვის არ იძლევა სასურველ შედეგს, რადგან ქურებში ჩაჟონილი წყალი ხშირად გარკვეულად ზემოქმედებს ისეც მცირე რაოდენობის ნახშირზე. უფრო პერსპექტიული უნდა იყოს ამ რიგის ძეგლების დათარიღებისათვის თერმოლუმინისცენციის მეთოდის გამოყენება, მაგრამ სამწუხაროდ ამ მიმართულებით საქართველოში კვლევა არ წარმოებს. ბუნებრივია, ყველას მაინც კომპლექსური კველვა სჯობს, მაგრამ ამის საშუალება ყოველთვის არ არის.

ამ თვალსაზრისით უდაოდ აღსანიშნავია რკინის სადნობი მთელი რიგი სახელოსნოების შესწავლის შედეგები, რაც წლების განმავლობაში ხორციელდება სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის ტერიტორიაზე. აქ გამოვლენილი რამდენიმე ათეული ქურა-სახელოსნო საინტერესოა არამარტო კულტურის განვითარების ზოგადი სურათის საჩვენებლად, არამედ კონკრეტულად რკინის წარმოების ადრეული საფეხურების კვლევისათვის. სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულია მოსაზრება სამხრეთ საქართველოს ტერიტორიაზე რკინის წარმოების ადრეულ პერიოდებში გაჩენასთან დკავშირებით.[2] ჩვენ, პრინციპში, ვიზიარებთ ამ მოსაზრებას და მიგვაჩნია, რომ ქვემო ქართლი და სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთი იყო ის რეგიონები, სადაც შესაძლებელია ხდებოდა რკინის წარმოების ჩასახვა და აქედან შემდგომ საქართველოს სხვა რაიონებში მისი გავრცელება. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარებს რკინის გაჩენის იმ მაღალ თარიღებთან დკავშირებით, რაც არსებობს ზემოთხსენებულ ნაშრომებში. ქვემო ქართლში რკინის გაჩენის ადრეული თარიღების შესახებ ჩვენი დამოკიდებულება გამოთქმული გვაქვს ჯერ

---

[1] И. Грдзелишвили. Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964; Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 66, 69, 72, 79 და სხვა.

[2] **რ. აბრამიშვილი.** სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი...; მისივე, რკინის წარმოების ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ XXII-B, თბ., 1961; Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, Тб., 1987.

კიდევ 60-იან წლებში და მას აღარ გავიმეორებთ.[1] დღეს ჩვენ გვინდა შევეხოთ მხოლოდ ზემოხსენებულ ქურა-სახელოსნოების დათარიღების კონკრეტულ საკითხებს.

როგორც აღვნიშნეთ, სავსებით გამართლებული გვეჩვენება ამ რიგის საკითხების კვლევაში ინტერდისციპლინარული მეთოდების გამოყენების აუცილებლობა, მაგრამ ვერ ვიზიარებთ კალიბრირებული თარიღებისადმი ზედმეტი ნდობის გამოცხადებას. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ ათწლეულებში პ. დაიმონისა და მისი მოწაფეების მიერ რადიონახშირბადის დაშლის ციკლის განსაზღვრაში შეტანილ იქნა ცვლილებები, რაც საერთო ჯამში იძლევა 1-დან 4-5 საუკუნემდის თარიღთა დაძვლებას. ამის გასამართლებელ არგუმენტად მოტანილია დებულება კავკასიის, ევროპისა და წინა აზია-ანატოლიის უძველეს კულტურათა ერთმანეთთან სინქრონიზაციაში მოყვანის აუცილებლობა.[2]

წინა აზია-ანატოლია განვითარების ტემპებით ყოველთვის წინ უსწრებდა კავკასიას, მით უფრო ევროპას და ამ კულტურათა ქრონოლოგიური გაწონასწორების არავითარი საფუძველი არ არსებობს. ამასთანავე, მხედველობაშია მისაღები ის გარემოება, რომ რადიონახშირბადის დაშლის ციკლი ყველგან ერთნაირი არ არის და მისი საყოველთაოდ გამოცხადება აუცილებლად იწვევს ცდომილებას. პ. დაიმონი და მისი მოწაფეები შესაძლოა სავსებით სამართლიანად რადიონახშირბადის დაშლის ციკლის გაზრდას გულისხმობენ ევროპისათვის, მაგრამ არის თუ არა ეს საჭირო კავკასიისათვის, ნათელი არ ჩანს.[3] ფიზიკოსთა შორის ამ საკითხის ირგვლივ ერთიანი აზრი არ არის, თუმცა როგორც ჩანს უმრავლესობა მაინც აღიარებს თავდაპირველ ვარიანტს, ყოველგვარი დაშლის ციკლის გაზრდის გარეშე. აქედან გამომდინარე, კალიბრაციის მეთოდით მიღებული თარიღები ერთგვარად ეჭვის ქვეშ დგება. თუ გავითვალისწინებთ შედარებითი მეთოდებით მიღებულ არქეოლოგიურ თარიღებს, ეს შეუსაბამობა მით უფრო თვალშისაცემია. აქვე გვინდა აღვნიშნოთ კიდევ ერთი გარემოება. ფიჩორი I სტრატიგრაფიული ჭრილი, სადღეისოდ ალბათ ყველაზე სრულყოფილად შესწავლილი ძეგლი, ზედა I-V ფენები არქეოლოგიური დათარიღების გარდა, შემოწმებულია ყველა არსებული მეთოდით (არქეომაგნეტიზმი, რადიონახშირბადი, თერმოლუმინისცენცია) და სრულ შესატყვისობაშია შედარებით-ქრონოლოგიურ მეთოდთან.[4] უფრო მეტიც, კალიბრაციის მეთოდით მიღებული თარიღები აშკარად მიუღებელია ამ ფენების დათარიღებისათვის. აქედან გამომდინარე ჩვენ მიგვაჩნია, რომ ჯერჯერობით მაინც ტრადიციული მეთოდებით დათარიღების მეტი საფუძველი არსებობს, ვიდრე ახალი ქრონოლოგიური შკალების შემოღების.

ყოველივე ზემოთქმული საჭიროებს გარკვეულ მიდგომას რკინის ქურა-

---

[1] **ო. ჯაფარიძე**. რეცენზია; **რ. აბრამიშვილი**. რკინის ათვისების საკითხისათვის აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე. – სსმმ XXIII-B, 1962; **მ. ბარამიძე**. შიდა ქართლი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ავტორეფერატი, თბ., 1966.

[2] Х. А. Арсланов. О поправках к радиоуглеродному возрасту, “Геохимиа”, 1978, №8.

[3] Г. Кавтарадзе. К хронологии эпохи энеолита и бронзы Грузии, Тб., 1983.

[4] იხ. **მ. ბარამიძე**. შიდა ქართლი გვიანბრინჯაო-ადრერკინის ხანაში, ავტორეფერატი, თბ., 1966.

სახელოსნოების დათარიღების საკითხშიც. მზიური I სახელოსნო ცენტრი არქეომაგნეტიზმითა და ძალზე მცირე მასალების მიხედვით წინარეანტიკური ხანით უნდა განისაზღვროს. ამგვარი თარიღის სისწორეზე უნდა მიუთითებდეს სწორედ ტიპოლოგიური მსგავსება ძვ. წ. I ათასწლეულის I ნახევრის ქურა-სახელოსნოებთან სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთიდან.[1] განსხვავება მათ შორის მხოლოდ ქურის კედლის მოპირკეთებაშია. მზიურში ქვის გამოყენების კვალი არ დასტურდება და კედლები უშუალოდ ცეცხლგამძლე თიხითაა მოპირკეთებული. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ შესაძლოა, ეს მომენტი რეგიონის ლოკალური თავისებურებების ამსახველი იყოს.

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რკინის ქურა-სახელოსნოების დეტალური განხილვა ვფიქრობთ გვაძლევს საშუალებას ზოგიერთი დასკვნის გაკეთებისათვის. ჩვენი აზრით, აღნიშნული ქურა-სახელოსნოების ერთი ნაწილი უფრო მოგვიანო ხანის უნდა იყოს, ვიდრე ეს ძეგლის შემსწავლელს აქვს მოცემული. უპირველეს ყოვლისა, საქმე ეხება ადრეულ ქურებს. ბ-ნი დ. ხახუტაიშვილი, როგორც ჩანს უფრო მეტი ნდობით ეკიდება კალიბრირებულ თარიღებს, თუმცა უნდა აღვნიშნოთ, რომ ნაშრომში ამაზე პირდაპირი მითითება არ არის და ჩვეულებრივ ორივე თარიღია მოტანილი.[2] ჩვენი ყურადღება მიიქცია, უპირველეს ყოვლისა, იმ გარემოებამ, რომ ამ ადრეულ ქურებში არა გვაქვს არქეოლოგიური მასალა, რომელიც უარყოფდა ან დააზუსტებდა ფიზიკოსთა კვლევის შედეგებს. მაგრამ აქ ყურადღებას იქცევს ერთი გარემოება. მაგ. მშვიდობაური II არის მოცემული ორი თარიღი, ორმოს ძირზე აღებული ნიმუში იძლევა 3483±125, კალიბრირებული 3760±103, ორმოს თითქმის ზედა ნაწილში აღებული ნიმუში კი 3270±80, კალიბრირებული 3491±125.[3] ამდენად, გამოდის, რომ ქურა ფუნქციონირებს 213-269 წელს, რაც ჩვენ საკმაოდ არარეალური გვეჩვენება. 2-2.5 საუკუნე ერთი ქურის არსებობისათვის ძალზე საეჭვოა. აღსანიშნავია, რომ ამავე ქურიდან არის კიდევ ერთი ნიმუშის თარიღიც, როგორც ჩანს, მიღებული თერმოლუმინისცენციის მეთოდით – ძვ. წ. 1207±100.[4] ამდენად, ამ ორი მეთოდით მიღებული თარიღები ნაწილობრივ ემთხვევა ზედა დონეზე მიღებულ დათარიღებას და ერთგვარად ამაგრებს მას. მაგრამ, მეორე მხრივ, სრულიად გამორიცხავს კალიბრირებულ თარიღს (ცდომილება აბსოლუტურ ასაკთან 284 წ. მიუღებელი ჩანს).

საინტერესო სურათს იძლევა მშვიდობაური IV არსებული თარიღები. ორმოს ძირზე აღებული ნიმუშის ასაკი განსაზღვრულია 3149±45, კალიბრირებული 3390±125. აბსოლუტური ასაკი ძვ. წ. 1241 და 1440. სხვაობა 2 საუკუნე საგრძნობია, მით უფრო, რომ თერმოლუმინისცენცია იგივე ქურისათვის იძლევა 1180±100, რაც თითქმის თანხვდება არაკალიბრირებულ თარიღს.[5] აღსანიშნავია

---

[1] შდრ. Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, სურ. 2, 3, 6, 8 და სხვა.

[2] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 150.

[3] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 180, ცხრილი.

[4] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 180, ცხრილი.

[5] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 155; გვ. 180, ცხრილი.

ის ფაქტიც, რომ ამ ქურიდან მოიპოვება საკმაო რაოდენობით კერამიკა: შვერილიანი და ზოომორფული ყურები, ფართო კანელურებიანი ჭურჭელი,[1] რაც ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულზე მიუთითებს და არცერთ წინარე ძეგლზე ეს ფორმები არ გვხვდება.

მსგავსი სურათია ნაგომარი I-2-ის ქურის ასაკთან დაკავშირებით. აქ ორი ნიმუშია განსაზღვრული. ისინი 3410±50 და 3450±50 იძლევა. კალიბრირებული მეთოდით თარიღი განისაზღვრა 3670±103 და 3724±103. ცდომილება აქაც 2.5-3 საუკუნის ფარგლებშია. თერმოლუმინისცენციით ქურა დათარიღდა ძვ. წ. 1377±100.[2] სხვათაშორის, ეს არის ამ მეთოდით მიღებული ყველაზე ძველი თარიღი და თითქმის იმეორებს არაკალიბრირებულ თარიღს. სამწუხაროდ, არქეოლოგიური მასალა ამ ქურიდან არა გვაქვს.

ჩვენ არ შევუდგებით ყველა ქურის თარიღების განხილვას. თითქმის ყველა შემთხვევაში ერთნაირ სურათთან გვაქვს საქმე. არაკალიბრირებული თარიღები მეტნაკლებად ემთხვევა არქეომაგნეტიზმითა და თერმოლუმინისცენციით მიღებულ ასაკს. ამდენად, კალიბრირებული მონაცემები რკინის სადნობი ქურასახელოსნოებისათვის სრულიად მიუღებელი ჩანს. ეს მით უფრო ეხება ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის ამ რიგის ძეგლებს, საიდანაც გვაქვს არქეოლოგიური მასალებიც, რომლებიც ძირითადში სწორედ ათარიღებენ ამ ქურებს. ჩვენ მხოლოდ რამდენადმე დაძველებული გვეჩვენება მხოლოდ ასკანის ჯგუფის ქურების თარიღი. მაგ. ასკანა I არის, როგორც ჩანს, არქეომაგნიტური მეთოდით მიღებული თარიღი ძვ. წ. 1092±100, თვით გამთხრელი კი მასალაზე დაყრდნობით მას ძვ. წ. X-IX სს ათარიღებს.[3] აქ აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები რამდენადმე მოგვიანო იერის ჩანს. ამ ტიპის კანელურები და ყურები ძირითადად წინარეანტიკური ხანისთვისაა დამახასიათებელი, თუმცა ჩნდება მის წინარე კომპლექსებშიც. ასევე შეიძლება არ გავიზიაროთ ასკანა II-ის თარიღიც, რომლის შესახებ გამთხრელი თვითონ აღნიშნავს, რომ აქ აღმოჩენილი კერამიკული ფრაგმენტები წინარეანტიკური ხანისაა.[4] აღსანიშნავია, რომ ამ ქურიდან არის განსაზღვრული ერთი ნიმუში, რომლის ასაკი 3175±45 (კალიბრირებული 3370±125). არქეომაგნიტური მეთოდით ქურა დათარიღებულია XIV-XIII სს. ეს არის ერთადერთი შემთხვევა, როდესაც კალიბრირებული თარიღი გარკვეულად ეხმიანება სხვა მეთოდით მიღებულ დასკვნას. მაგრამ აქ უკვე მეორე მომენტია ჩვენი აზრით განმსაზღვრელი, თვით არქეოლოგიური მასალა, რომელიც აშკარად გვიანია. დაშვება იმისა, რომ ქურა ფუნქციონირებდა 7-8 საუკუნის განმავლობაში, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია. ასკანის ჯგუფის ქურებში რამდენადმე მოგვიანოდ ჩანს ასკანა III, რომელშიც ადრეანტიკური იერის კერამიკაა დაფიქსირებული.[5] აღნიშნული გარემოება ერთგვარ

---

[1] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 154, სურ. 52.

[2] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 162; გვ. 180, ცხრილი.

[3] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 102-106; გვ. 180, ცხრილი.

[4] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 106-109, სურ. 25.

[5] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 119.

საბუთს წარმოადგენს ამ ჯგუფის ქურების მოგვიანო ხანით დათარიღებისათვის.

ასევე საკამათო ჩანს ასკანა IV თარიღიც. საქმე იმაშია, რომ არსებობს ქურის მხოლოდ არქეომაგნიტური მეთოდით მიღებული თარიღი. ზ. ჭელიძის აზრით ასკანა IV ეკუთვნის IX ან XIV-XIII სს.[1] განსხვავება 4 საუკუნის ფარგლებში აშკარად მიუღებელია. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ ასკანის მთელი კომპლექსი გარკვეულად სინქრონულია, უნდა დავუშვათ, რომ ეს ქურაც უფრო ძვ. წ. I ათასწლეულის ფარგლებში უნდა იქნას მოქცეული.

ამგვარად, კოლხეთის ქურა-სახელოსნოთა თარიღების ასეთი მოკლე განხილვაც აშკარად გვიჩვენებს იმ საერთო სიძნელეს, რაც ახლავს ამ რიგის ძეგლების შესწავლას. გეოფიზიკურ მეთოდთა არასრულყოფილება ერთგვარად ეჭვქვეშ აყენებს მათი გამოყენების შესაძლებლობას, თუმცა გარკვეული სიფრთხილე, მეთოდთა დამთხვევა და, რაც ყველაზე არსებითია, არქეოლოგიური მასალა წარმოადგენს იმ ამოსავალს, რომლითაც ვხელმძღვანელობთ ამ ქურათა დათარიღების საკითხში. აქედან გამომდინარე, აშკარაა, რომ კოლხეთის რკინის საწარმოო ქურა-სახელოსნოები ვერ განეკუთვნება ძვ. წ. II ათასწლეულის ვერც პირველ ნახევარს და ვერც შუა ხანებს. სადღეისო მონაცემებით მათი ყველაზე ადრეული ნიმუშები ძვ. წ. XII ს. სიღრმეში არ უნდა მიდიოდეს. ამ თვალსაზრისით ყველაზე ადრეული ჩანს მშვიდობაური II და ნაგომარი I, თუმცა მათი ასაკიც II ათასწლეულის მესამე მეოთხედში არ უნდა გადადიოდეს.

რკინის სადნობ ქურა-სახელოსნოთა დათარიღების სიძნელე დაკავშირებულია კოლხეთის არქეოლოგიისათვის ერთერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემასთან. საქმე ეხება თვით რკინის ნაწარმს, რომელიც კოლხეთის ადრეულ ძეგლებზე საერთოდ არ ჩანს. უფრო მეტიც, კოლხეთის დაბლობში და ნაწილობრივ მთისწინა ზოლში ჩვენ არა გვაქვს ფაქტიურად არცერთი სამაროვანი, რომელიც ძვ. წ. II ათასწლეულის მეორე ნახევრის და I ათასწლეულის საწყის კომპლექსებს შეიცავდეს. ეს გარემოება ძალზე ართულებს რკინის წარმოების ადრეული საფეხურების კვლევას. რაც შეეხება მთის ზოლში განლაგებულ სამაროვნებს (ბრილი, თლი) და აფხაზეთის წითელი შუქურას სამაროვანზე რკინის იარაღი ძვ. წ. I ათასწლეულის საწყისის უადრეს ხანაში არ ჩანს გავრცელებული. დაბლობის ზოლის ე. წ. კოლხურ სამაროვნებზე რკინის იარაღი ერთბაშად ჩნდება და თანაც საკმაოდ მოგვიანო ხანისათვის. ამდენად, მათი მონაცემების გამოყენება ადრეული საფეხურების რკინის წარმოების ასაკის განსასაზღვრად ფაქტიურად შეუძლებელია.

ასევე ძალზე საფრთხილოა ამ მიმართებით, აღმოსავლეთ საქართველოს რკინის ინვენტარის შემცველი სამარხების თარიღების მოშველიება კოლხური მასალების დათარიღებისათვის. მაგალითად, ი. გრძელიშვილმა ლეღვა I რკინის სადნობი ქურა-სახელოსნო სამთავროს სამაროვანზე გავრცელებული პირმოყრილი ჭურჭლის ანალოგიებით ძვ. წ. XII საუკუნით დაათარიღა,[2] მაგრამ შემდეგი კვლევებით გაირკვა, რომ ეს თარიღი ძალზე დაძველებული იყო, სულ ცოტა

---

[1] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 122.

[2] И. Грдзелишвили. Железоплавильное дело в древней Грузии, Тб., 1964, стр. 51.

2-3 საუკუნით.[1] პირმოყრილი ჭურჭელი აღმოსავლეთ საქართველოში დამახასიათებელია გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული საფეხურისა და უშუალოდ მისი მომდევნო ხანისათვის.[2] შემდგომ ეტაპზე იგი უკვე აღარ გვხვდება. საპირისპირო სურათია კოლხეთის ძეგლებზე. ამ ტიპის პირმოყრილი ჭურჭელი კოლხეთში გავრცელებას იწყებს ძვ. წ. I ათასლწეულის საწყისიდან და ძირითადად განმსაზღვრელია წინარეანტიკური ხანისათვის.[3] ამდენად, კოლხური კერამიკის დათარიღებისათვის აღმოსავლური ფორმები თითქმის გამოუსადეგარია. ამას ადასტურებს თვით ლეღვა I აღმოჩენილი სხვა ფრაგმენტებიც, კერძოდ დაშტრიხული სამკუთხედებით შემკული ჭურჭელი და ზოომორფულშვერილიანი ყური, რომლებიც ტიპიურია ძვ. წ. I ათასწლეულის პირველი ნახევრის კოლხური კერამიკისათვის.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რკინის ნივთების შემცველი ადრეული კომპლექსები კოლხეთიდან ფაქტიურად არა გვაქვს. ის რამდენიმე სამაროვანი, რომლებზეც ძვ. წ. II ათასწლეულის II ნახევრისა და I ათასწლეულის საწყისის სამარხებია წარმოდგენილი, ამ მიმართულებით ფაქტიურად არაფერს იძლევა. თლიას სამაროვანზე იყო მცდელობა გამოყოფილიყო მთელი რიგი სამარხეული კომპლექსები, რომლებშიც რკინის ადრეული იარაღები იყო წარმოდგენილი.[4] ძეგლის გამთხრელი სამაროვანზე რკინის პირველი ნივთების გაჩენას ძვ. წ. II ათასწლეულის დასასრულიდან გულისხმობს,[5] თუმცა როგორც ჩანს უძველესი კომპლექსების გამოყოფა მაინც უჭირს და მათაც IX-VII სს. ფარგლებში აქცევს, რაც სავსებით სწორად ასახავს ვითარებას.[6]

ანალოგიური სურათია ბრილის სამაროვანზეც. აქ გათხრილია დიდი კოლექტიური სამარხი მოედანი ბრინჯაო-რკინის ინვენტარით, რომელსაც გ. გობეჯიშვილი ძვ. წ. X-VII სს. ათარიღებს.[7] შესაძლოა, ქვედა თარიღი რამდენადმე დაზუსტებას საჭიროებდეს, რადგან ძირითადი მასალა (ბრინჯაოს სიტულები, ცულები, რკინის იარაღი) აშკარად მოგვიანო იერისაა. ყოველ შემთხვევაში ინდივიდუალურ სამარხებში ბრილში რკინის იარაღი ძვ. წ. VIII საუკუნეზე უადრეს კომპლექსებში არ ჩანს.

საინტერესო სამაროვანი ითხრებოდა ქ. სოხუმში, წითელი შუქურას ტერი-

---

[1] Д. А. Хахутаишвили. Производство железа в древней Колхиде, გვ. 94.

[2] **რ. აბრამიშვილი**. სამთავროს სამაროვანზე აღმოჩენილი...; **მ. ბარამიძე**. კასპის სამაროვანი, გვ. 42.

[3] **მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე**. პალურის „საძვალე".

[4] Б. В. Техов. Тлийский могильник (комплексы IX – первой половины VII в. до н. э.), Тб., 1981.

[5] Б. В. Техов. Тлийский могильник (комплексы IX – первой половины VII в. до н. э.), Тб., 1981, გვ. 5.

[6] ჩვენ შეგნებულად არ ვიძლევით თლიას სამაროვნის ზოგიერთი ადრეული კომპლექსის ჩვენეულ თარიღებს. იგი მოცემული გვქონდა ნაშრომში Хронология-периодизация памятников эпохи поздней бронзы-раннего железа Колхиды. Симпозьюм кавказоведов в г. Сигнаги, 1979, რომლის მიხედვით აშკარაა, რომ ძვ. წ. IX უადრესი კომპლექსი რკინის ნივთებით თლიაში არაა დაფიქსირებული.

[7] **გ. გობეჯიშვილი**. არქეოლოგიური გათხრები...; მისივე, საქართველოს არქეოლოგია, შესაბამისი თავი.

ტორიაზე, რომლის გამთხრელი მ. თრაფში სამაროვნისთვის იძლევა ზოგად თარიღს ძვ. წ. IX ან VIII საუკუნიდან ვიდრე II ს. ჩათვლით.[1] აღსანიშნავია, რომ ერთ ადგილზე იგი სამაროვნის ქვედა საზღვრად ძვ. წ. XII ს. იხსენიებს.[2] როგორც ჩანს, სამაროვნის ასაკი მისთვისაც რამდენადმე გაურკვეველი იყო, რაც დათარიღების ამგვარ განსხვავებაში აისახა. ჩვენ შეძლებისდაგვარად გავეცანით წითელი შუქურას სამაროვნის კომპლექსებს და შესაძლებლად მივიჩნიეთ ზოგიერთი მათგანი (სამარხები №№44, 47, 64, 90, 93) ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით დაგვეთარიღებინა.[3]

ამჟამად, ჩვენთვის რკინის მეტალურგიასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით საყურადღებო გვეჩვენება №93 სამარხი, რომელშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს კოლხური ცული, გრძელმასრიანი შუბისპირი და რკინის იარაღები – სამი შუბისპირი და სატევარი. ერთი შეხედვით, კომპლექსი აშკარად მოგვიანო იერისაა, მაგრამ არის ერთი საყურადღებო მომენტი, რომელიც ჩვენი აზრით რამდენადმე აძველებს სამარხის თარიღს. საქმე ეხება სამარხში აღმოჩენილ კოლხურ ცულს. იგი დ. ქორიძის კლასიფიკაციით კოლხური ცულების II და IV სახეობებს შორის ერთგვარ გარდამავალ ფორმას წარმოადგენს. II სახეობის ცულებთან მას აკავშირებს ტანის მოყვანილობა, ხოლო IV-სთან დაწახნაგებული ყუა. სწორედ ყუის ფორმირება არის ის ელემენტი, რაც აღნიშნულ ცულს უფრო არქაულ იერს აძლევს. თუ ეს სწორია, მაშინ აშკარაა, რომ ცული გარდამავალი ფორმა უნდა იყოს ამ ორ სახეობას შორის. II სახეობის ცულების გავრცელების ასაკი ძვ. წ. XIV-XII სს. მოდის, ხოლო IV სახეობა გავრცელებული ჩანს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულიდან I ათასწლეულის პირველ მეოთხედში.[4]

ამრიგად, წითელი შუქურას ცული ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულით უნდა დათარიღდეს. აქედან გამომდინარე, ჩვენ შესაძლებლად მიგვაჩნია წითელი შუქურას №93 კომპლექსი ძვ. წ. II ათასწლეულის სულ მიწურულით ან I ათასწლეულის საწყისით დათარიღდეს. კომპლექსში შემავალი ბრინჯაოს შუბისპირი ხელს არ უშლის ამგვარ დათარიღებას. ამგვარად ჩვენს შესაძლებლად მიგვაჩნია წითელი შუქურას სამაროვნის №93 სამარხი კოლხეთის ტერიტორიაზე ერთერთ უადრეს რკინის იარაღთა შემცველ კომპლექსად მივიჩნიოთ. თავისთავად, რკინის იარაღის სიმრავლე ამგვარ თარიღს ხელს არ უნდა უშლიდეს.[5] ქრონოლოგიურად ამ კომპლექსთან ახლოს უნდა

---

[1] М. Трапш. Труды, т. I, Сухуми, 1969, стр. 38.

[2] М. Трапш. Труды, т. II, Сухуми, 1969, стр. 82, 208.

[3] М. Барамидзе. Хронология-периодизация памятников эпохи поздней бронзы-раннего железа Колхиды. Симпозьюм кавказоведов в г. Сигнаги, 1979.

[4] **დ. ქორიძე**. კოლხური კულტურის ისტორიისათვის. თბ., 1965, გვ. 154. ჩვენ სრულიად ვიზიარებთ დ. ქორიძის კლასიფიკაციას და ტექსტში ძირითადად მას ვეყრდნობით. თუმცა ჩვენ დასაზუსტებელი გვგონია კოლხური ცულების განვითარების ზედა საზღვარი, ე. წ. კოლხურ სამაროვნებზე (პალურის "საძვალეს" ინდივიდუალური სამარხები, ბრილის სამაროვანი) აშკარად გვიჩვენებს, რომ ეს საზღვარი აშკარად მოიცავს ძვ. წ. VII საუკუნეს, მის პირველ ნახევარს მაინც.

[5] სიღნაღის საკავშირო სიმპოზიუმზე ჩვენი მოხსენების განხილვის დროს განსხვავებული მოსაზ-

იდგეს №44 სამარხის მასალა, რომელშიც აღმოჩენილია ბრინჯაოს დუბლირებული, გაურკვეველი ფორმის საკიდი, ბრინჯაოს ფირფიტოვანი ღრუ მძივები და, რაც განსაკუთრებით აღსანიშნავია, ნახევრადოვალური ბალთა, ზედაპირზე ჭრილით, სოლისებური ორნამენტითა და რკინის მასით ინსკუსტრირებული. ბრინჯაოს ღრუ მძივები ტიპიურია დოლმენური კულტურის უკანასკნელი საფეხურისათვის,[1] თუმცა გვხვდება მის უშუალოდ მომდევნო ხანაშიც (ეშერის კრომლეხები, გაგრის ადრეული ოსიუარიუმები).[2]

ბრინჯაოს ნახევრადოვალური ბალთები გამოჩენას იწყებს აღმოსავლეთ საქართველოს მასალებში გვიანბრინჯაოს ხანის ადრეული ეტაპის დასასრულისათვის (სამთავრო, ჯავა, მეღვრეკისი)[3]. ისინი ცნობილია აფხაზეთის სხვა პუნქტებშიც, განსაკუთრებით მრავლადაა აღმოჩენილი ჩრდილო კავკასიაში,[4] სადაც გვხვდება დროის დიდ მონაკვეთში. აღსანიშნავია, რომ მათი დიდი ნაწილი, რკინით, ძვლით ან ხის მასალით არის ინკუსტრირებული.[5] ფაქტიურად, ეს არის კოლხეთში რკინის მასალის გამოყენების ერთერთი უადრესი შემთხვევა. ზემოთხსენებული კომპლექსიც ამ პროცესის მაჩვენებელი უნდა იყოს. მისი თარიღის განსასაზღვრად ამოსავალ წერტილად ბრინჯაოს მძივები მიგვაჩნია, რომლებიც თითქოს ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურულის შემდგომ კოლხურ მასალებში აღარ გვხვდება.[6] აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიგვაჩნია №44 და 93 სამარხების გარკვეული სინქრონიზაცია დავუშვათ და აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის მასალებში (სამარხეულ კომპლექსებში) რკინის პირველი ნივთების გაჩენის თარიღად ძვ. წ. II ათასწლეულის მიწურული და I ათასწლეულის პირველი მეოთხედი განვსაზღვროთ. ამრიგად, კოლხეთში გამოვლენილი ადრეული ქურა-სახელოსნოები ქრონოლოგიურადაც შეიძლება ამ ეტაპთან იყოს რამდენადმე მიახლოებული.

რაც შეეხება მომდევნო ეტაპებს, კოლხური სამაროვნების მიხედვით აშკარაა, რომ ძვ. წ. VII საუკუნიდან რკინა უკვე ძირითადი საწარმოო საშუალებაა. მისგან არის დამზადებული ყველა, საბრძოლო თუ სამეურნეო იარაღი, თუმცა ჯერ კიდევ ხმარებაშია ბრინჯაოს ნაკეთობანიც (ცულები, სატევარი, თოხი).

რება გამოთქვა გ. კვირკველიამ და სამარხი ძვ. წ. VIII ს. მიაკუთვნა, რკინის იარაღის სიმრავლის გამო.

[1] **მ. ბარამიძე**. ბრილის აკლდამა.

[2] **Г. Шамба. Ешерские кромлехи**, таб. XXV, стр. 28; **Д. Бжания. Археологические разведки в** г. Гагра, მოხსენება წაკითხულია 1985 წელს, საველე-არქეოლოგიური კვლევა-ძიების შედეგებისადმი მიძღვნილ სესიაზე თბილისში.

[3] **ტ. ჩუბინიშვილი**. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1957, გვ. 90, ტაბ. XVII.

[4] **В. Стражев. Бронзовая Культура в Абхазии**, Из. АНО, вып. IV, 1926, стр. 112, кар. 6.

[5] МАК, VIII, таб. $XL_{12;}$ Е. И. Крупнов. Древняя история северного Кавказа, стр. 147, хронологическая таблиица.

[6] ტ. ჩუბინიშვილი სამთავრულ კულტურაში მათ გაჩენას ჩრდილოკავკასიურ ან დასავლურ-ქართული კულტურებიდან მომდინარედ მიიჩნევს (**ტ. ჩუბინიშვილი**. მცხეთის უძველესი არქეოლოგიური ძეგლები, გვ. 90), მაგრამ ამის სადღეისოდ არავითარი საბუთი არ არსებობს. ჩრდილოკავკასიური, ისევე როგორც დასავლური ნაკეთობანი სულ მცირე 2 საუკუნით მაინც ჩამორჩება ასაკით სამთავრულს.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ძვ. წ. VII ს. დასასრულიდან სამარხეულ კომპლექსებში თავს იჩენს რკინის სამკაულიც (სამაჯური, რგოლი, კირკალი), თუმცა ამ რიგის ნაკეთობები ძირითადად მაინც ბრინჯაოსგანაა ნაკეთები.[1] შეიძლება ითქვას, რომ ადრეული რკინის იარაღი და რიგი ნივთები ფაქტიურად იმეორებენ ბრინჯაოს ნაკეთობათა ფორმებს (ცული, სატევარი, შუბისპირი, ისრისპირი, სეგმენტური იარაღი, სამაჯურები, ფიბულები და სხვ.), რაც მათი ადგილობრივი წარმომავლობის უდაო საბუთს უნდა წარმოადგენდეს (ტაბ. II).

ჩვენ მთლიანად ვიზიარებთ რ. აბრამიშვილის მოსაზრებას დასავლეთ საქართველოს რეგიონებში რკინის იარაღის შეღწევის სხვადასხვა პერიოდების შესახებ.[2] ეს განსაკუთრებით ეხება მთის ზოლსა და კოლხეთის დაბლობს. ასეთ შემთხვევაში სავსებით დასაშვებია სამხრეთ-აღმოსავლეთ შავიზღვისპირეთის რეგიონის რამდენადმე უპირატესი როლი რკინის მეტალურგიის ადრეული საფეხურების კვლევის საკითხში, რაც ზემოხსენებული ქურა-სახელოსნოების მაგალითზეც კარგად ჩანს. შესაძლოა, სწორედ ეს ტერიტორია იყო ის ძირითადი რეგიონი, საიდანც მოხდა რკინის მეტალურგიის გავრცელება დასავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე დროის განსხვავებულ პერიოდებში. რკინის შემცველი სამარხეული კომპლექსების გამოვლენა ვფიქრობთ, რომ ამ საკითხთან დაკავშირებულ მთელ რიგ საკითხებს მოფენს ნათელს.

საინტერესოდ დგება საკითხი რკინის მეტალურგიის მადნით მომარაგების შესახებ, რაც უკანასკნელი რამდენიმე ათწლეულის არქეოლოგიის კვლევის ერთერთი ძირითადი პრობლემაა. ამ მიმართებით აუცილებელია კოლხური კულტურის ერთერთი საინტერესო ძეგლის ე. წ. დიუნური ნასახლარების დანიშნულების საკითხი. დიუნური დასახლებანი წარმოადგენს ქვიშაზვინულებს, რომლებიც ვრცელდება შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს გასწვრივ და აჭარიდან გაგრის ჩათვლით. ჩვეულებრივი ქვიშაზვინულები სხვადასხვა სიმაღლისაა – 1.5-7 მ. მათში რამდენიმე დონე 2-3-დან 7-8-მდე ფიქსირდება: ჩვეულებრივ, ისინი წარმოდგენილია მოშავო-მოწითალო ზოლებით, რომლებშიც ზოგჯერ შეინიშნება თიხატკეპნილი ზოლები. არქეოლოგიური მასალა მრავალფეროვანია და მრავალრიცხოვანი და წარმოდგენილია სპეციფიური ქსოვილიანი აგურისფერი კერამიკით, რომელშიც გამოიყოფა ე. წ. აბაზანისებური ჭურჭელი, შვერილიანი ბოლოწაწვეტებული 25 სმ სიმაღლის ბოძკინტები და წინარეანტიკური ხანის სპეციფიური კოლხური ნაწარმი – კანელურიანი კერამიკა, ყურმილიანი დოქები, ზოომორფულშვერილიანი ყურები და სხვ. მასალა ძალზე ტიპიურია და ზუსტად ათარიღებს ქვიშაზვინულებს ძვ. წ. IX-VI სს-ით. აშკარაა, რომ დიუნური დასახლებანი წყვეტენ არსებობას ძვ. წ. VI საუკუნის შუა ხანებისათვის. დგება საკითხი ამ ძეგლების დანიშნულების შესახებ. დასაწყისში მათი დანიშნულების შესახებ ქართველ და რუს მეცნიერთა შორის შეინიშნებოდა ერთიანი აზრი და ისინი ეთნოგრაფიულ მონაცემებზე დაყრდნო-

---

[1] **მ. ბარამიძე, ნ. ოქროპირიძე.** პალურის "საძვალე"; Т. Микеладзе. К археологии Колхиды. Тб., 1990.

[2] **რ. აბრამიშვილი.** დასახ. ნაშრომი, გვ. 261-265.

ბით ზღვის წყლიდან აორთქლების გზით მარილის სარეწებად იქნა მიჩნეული.[1]

გასული საუკუნის 60-იან წლებში ამ. კახიძემ ზღვისპირა დიუნური სადგომები ადგილობრივი მოსახლეობის საკულტო ადგილებად მიიჩნია, რომლებიც დაკავშირებული იყო ხარის, ზღვის ღვთაებათა და ლერწმის კულტთან. ჩვენი აზრით, არქეოლოგიური მასალის დაბალი ხარისხი, ფორმათა უჩვეულო სახეები, უარყოფენ საკულტო ნაკეთობებად მათი მიჩნევის შესაძლებლობას. ამავე დროს, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 60-70-იან წლებში გამოთქმული იქნა სრულიად განსხვავებული შეხედულება დიუნათა დანიშნულების შესახებ. ნ. ხოშტარიამ დასაშვებად მიიჩნია ქვიშებიდან რკინის მაგნეტიტური მადნების მიღების შესაძლებლობა, რაც ერთგვარად უკავშირდება სხვადასხვა ისტორიულ წყაროებში ქართველ ტომთა წარმატებას რკინის წარმოებაში. ამ თვალსაზრისს გარკვეულად მხარი დაუჭირეს ალ. რამიშვილმა[2] და ი. გრძელიშვილმა. ძეგლი დაშორებულია ზღვის ნაპირს დაახლოებით 3 კმ-ით და ამდენად ზღვასთან არავითარ კავშირში არ ჩანს. ბორცვის ქვიშა არ არის ზღვიური დანალექი და წარმოქმნილია მდინარის მონაზვინით. მდინარე კი მტკნარ წყალს წარმოადგენს, რომელიც დღესაც გამოიყენება სასმელად. ამრიგად, ბორცვის დანიშნულება არ შეიძლება იყოს მარილის სარეწი. აქედან გამომდინარე, ვივარაუდეთ, რომ შესაძლოა გამოყენებოდა ქვიშიდან რკინის მადნის (მაგნეტიტის) მისაღებად. ჩვენ ალ. რამიშვილთან ერთად ფეხით გავიარეთ ზღვისპირა ყველა დიუნა აჭარიდან გაგრის ჩათვლით და გაირკვა, რომ ყოველი მათგანი უკლებლივ შეიცავს მაგნეტიტს. აქედან გამომდინარე აშკარაა, რომ დიუნური ნამოსახლარები რკინის მადნის მისაღებად იყო გამოყენებული.

რით ავხსნათ ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებში დიუნაზე ცხოვრების შეწყვეტა, მით უფრო, რომ რკინა ამ პერიოდიდან უკვე ძირითადი საწარმოო მეტალია. ამ შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიქცია იმ გარემოებამ, რომ ძვ. წ. I ათასწლეულის რკინის საწარმოო ქურებთან დაკავშირებული წიდები კოლხეთის მთელ ტერიტორიაზე ერთგვაროვანია. პირველ ადრეულ პერიოდში მოყავისფრო-მოწითალო, ხოლო ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანებიდან მონაცრისფრო, რაც გვაფიქრებინებს, რომ ამ პერიოდიდან მასალად გამოყენებულია სხვა ჯგუფი, შესაძლოა კოლხეთისათვის ტიპიური ე. წ. ჭაობისეული რკინის მადანი.

---

[1] А. А. Иессен. Сухумская экспедиция ГАИМК, СА, III, 1937. გვ. 251-2; Л. Н. Соловьев, Селища с текстильной керамикой на побережье Западной Грузии, СА, XIV, 1950, გვ. 279-282; მისივე, Следы сольяроно промысла близ г. Сухуми и г. Очамчире, Труды АБГМ, вып. I, Сухуми, 1947, გვ. 23-50; Н. В. Хоштария. Археологические исследования Уреки, МАГК, т. I, გვ. 26-30; Б. А. Куфтин. Материалы по археологии Колхиды, Тб., 1950, т. II, გვ. 247, 287 და სხვა.

[2] А. Т. Рамишвили. О назначении стоянок с "текстильной керамикой" Восточного Причерноморья, СА, №4,1975; **მ. ბარამიძე, გ. ფხაკაძე**. წინარეანტიკური ხანის არქეოლოგიური ძეგლები თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე, წგნ. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი, თბ., 2006.

Malkhaz Baramidze
Center of Archaelogical Research

SOME ASPECTS OF IRON METALLURGY OF EASTERN BLACK SEA LITTORAL

The evidences of iron metallurgy of Colchis are based on archaeological data of Guria, Adjara, Samegrelo and Abkhazia regions and on the information of foreign sources as well.

The first iron objects and metallurgical centers are identified in the southern part of Western Georgia in the last quarter of II mill. B. C. In I mill. B. C. it was widespread over the northern part of Colchis territory also.

The first iron artifacts copied exactly the bronze instruments and decorations of the same function.

Undoubtedly both of them are the products of local manufacture.

We suppose that the first iron ores were originated from dune sand hills with the great mixture of magnetite. But at the end of VI century B. C. they were replaced by magnetic ores.

We have all possibilities for distinguishing the several stages iron development of ancient iron metallurgy in Colchis.



გალი, მზიური. რკინის ქურების გეგმა და ჭრილი



ბრინჯაოს და რკინის კოლხური იარაღის ნიმუშები.

დავით ჯითანავა
ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა
და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

„რაკუტიას“ რიტუალი

მევანახეობასთან დაკავშირებულ წეს-ჩვეულებებს შორის სამეგრელოში ჩემს მიერ ჩაწერილ იქნა „რაკუტიას“ სახელწოდების რიტუალი, რომელიც ამ სახით სრულდებოდა: „ოჯახის უფროსი შევიდოდა მარანში ჯოხით ხელში, დადგებოდა საწნახელთან და ჯოხის საწნახელზე მირტყმით ასეთ სიტყვებს წარმოსთქვამდა – „რაკუტია-რაკუტია, ჩქიმი ოჭინახუ ებშა რე დო მეზობელეფიში ცარიელი“ („რაკუტია-რაკუტია ჩემი საწნახელი ყურძნით სავსე მეზობლების (ან რომელიმე გვარს ასახელებდა) ცარიელი“-ო). ამ დღეს აცხობდნენ ღვეზელს და კლავდნენ მამალს.

ზემოთ აღწერილი ქმედების იდენტური უნდა იყოს ს. მაკალათიას მიერ აღწერილი საახალწლო რიტუალი, რომლის სახელწოდებას ავტორი არ აფიქსირებს. კერძოდ, ს. მაკალათიას აღწერილობით, „ახალ-წელიწად დილას მეკვლე პირველად შევიდოდა მარანში, სადაც ეკიდა გიდელი საახალწლო კვერებით, ჩამოიღებდა იმ გიდელს, საწნახელს მიარტყამდა და დაიძახებდა: „ჩქიმი მამული ხარგელია, შხვაშ მამულს ფურცელია“-ო (ჩემი მამული ჭირნახულით დაზვინული, სხვისი კი აჩალულიო). ზოგან სადაც ვაზი ხარობდა იტყოდნენ: „ჩქიმი ყურძენი ტიანია, შხვაშ ყურძენს ფურცელია“-ო (ჩემი ვაზი მტევნიანი, სხვისი ფართო ფოთოლიანიო). ამის შემდეგ საწნახელს მივარდებოდნენ, ბავშვები ურტყამდნენ მას ჯოხებს და იმეორებდნენ მეკვლეს სიტყვებს. მარნიდან მეკვლე კვერებით მივიდოდა საღორესთან და იქ დაილოცებოდა ღორების გამრავლებაზე. დასასრულს ამ კვერებს მაღლა აისროდა, ბავშვები კვერებს აკრეფდნენ და ვინც მეტს გაიტაცებდა, იმ წელიწადს იგი გამარჯვებული იქნებოდა.[1]

მოცემული რიტუალის აღწერილობიდან ჩანს, რომ ადამიანი ამ ქმედებით ცდილობდა ვაზის ნაყოფიერებისთვის და შესაბამისად საწნახელის „სისავსისათვის“ შეეწყო ხელი. ზოგადად რელიგიურ-რიტუალური ქმედების კუთხით მიწათმოქმედებასთან თუ სასოფლო-სამეურნეო საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა რიტუალი სწორედ ბარაქიანობა-გამრავლებასთან და ნაყოფიერებასთან არის დაკავშირებული, თუმცა ამ რიტუალის შემთხვევაში ჩვენი ყურადღება მიიქცია თვით მისმა სახელწოდებამ („რაკუტია“). ვფიქრობთ„„რაკუტიას“ რიტუალი კონკრეტულად კავშირს პოულობს მევანახეობასთან დაკავშირებულ ბერძნულ ჩვეულებასთან. კერძოდ, თვით სახელწოდება „რაკუტია“-ს იდენტურად მიგვაჩნია ბერძნული „არქტოსი“, რომელიც დაკავშირებულია დიდი დათვის თანავარსკვლავედთან, თვით არქტოსი უკავშირდება კალისტოს მითს.[2] ძველ ბერძნულ სამიწათმოქმედო რიტუალებში არქტურას ამოსვლა გვაუწყებდა

---

[1] **ს. მაკალათია.** სამეგრელოს ისტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 297.

[2] Мифологический словарь, Л. 1961, გვ. 95.

გაზაფხულის შემოსვლას და ვაზის შეჭრის დასაწყისს, ხოლო იგივე არქტურას ჩასვლა გვაუწყებდა ვაზის მოსავლის აღების დროს.[1]

აღსანიშნავია, რომ დიდი დათვის თანავარსკვლავედი (ლათ. Ursa Major), რომელიც ცის ჩრდილოეთ ნახევარსფეროს შვიდი ვარსკვლავისაგან იქმნება წააგავს სახელურიან ჩამჩას. დიდი დათვის ხილვადობის ყველაზე უკეთესი პირობებია მარტსა და აპრილში, თუმცა ის როგორც ჩაუვალი თანავარსკვლავედი ჩვენგან წლის ნებისმიერ დროს მოჩანს.[2]

კალისტო არის ბერძნული ნიმფა, რომელიც ეჭვიანმა გერამ (ბერძნებამდელი ღვთაება), გადააქცია ძუ დათვად (სხვა მითის მიხედვით ეს გააკეთა ზევსმა, რომ კალისტო დაემალა გერისგან). არტემიდამ მოკლა ძუ დათვი. ზევსმა კი კალისტოს მისცა უკვდავება გადააქცია რა ის თანავარსკვლავედად ანუ დიდი დათვის თანავარსკვლავად.[3]

თვით ეს ღვთაებები მითოლოგიური თვალსაზრისით ცალკე კვლევას მოითხოვს, ამჯერად კი აღვნიშნავთ, რომ სემანტიკურ-მორფოლოგიური თვალსაზრისით, ჩვენი აზრით, მეგრული „რაკუტია“ და ბერძნული „არქტოსი“ იდენტურია, რომელიც დაკავშირებულია მევენახეობასთან დაკავშირებულ საქმიანობაში ასტროლოგიური ცოდნის გამოყენებასთან, ის „რაკუტიას“, ანუ არკტოსის სახით მოსავლიანობის და „სისავსის“ ასოციაციას იწვევდა, შესაძლოა დიდი დათვის თანავარსკვლავედის, ანუ ჩაფის ფორმის გამოც. მისი ცაზე მთელი სიკაშკაშით გამოჩენა ნიშნავდა მევენახეობასთან დაკავშირებული სამუშაოების დაწყებას, ხოლო შედარებით მკრთალი ნათება მის დასრულებას. ის ჩაფის ფორმით, რომელიც შეკრული და სავსეა, სწორედ „სისავსეს“ განასახიერებს. ზოგადი მსგავსების თვალსაზრისით ის იმავე ნიშნის ღვთაება-ვარსკვლავი უნდა ყოფილიყო, როგორიც იყო ეგვიპტელთათვის სირიუსი და მისი მსგავსნი, რომელიც მსოფლიოს სხვადასხვა ხალხთა აგრარულ საქმიანობასთან დაკავშირებულ რიტუალებშია ცნობილი.

---

[1] Б. Л. Богаевский. Земледельческая религия Афин, т. I, Петроград, 1916, გვ. 65.

[2] ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. III, თბ., 1978; Большая советская энциклопедия, т. III, М. 1970.

[3] Мифологический словарь, Л. 1961, გვ. 111.

David Chitanava
Ivane Javakhishvili Institute of History and Etnology of Georgia

THE RITUAL OF „RAKUTIA“

„Rakutia“, the ritual recorded in Samegrelo was performed in the fallowing way: the head of the family used to enter *marani* (building for keeping vine in pitchers) with the stick in his hand, go towinepressand stand there. He used to strike the stick on the winepress with the fallowing words: “Rakutia, Rakutia, let my winepress be full of grapes and my neighbor’s (or a certain family, he wanted,was mentioning) empty”. On this day special ritual bread was baked and a cock slaughtered.

From the description of this ritual it is obvious that a human being was trying to increase fertility of vine and thus make winepress always full. The ritual of Rakutia is linked and connected with Greek tradition of viticulture. We believe that the name itself, Rakutia, is identical to Greek Arktos, who is connected with the constellation of Great Bear. Arktoshimself is connected with the myth of Kallisto. In old Greek agricultural rituals rising of Arcturus was announcing starting of springtime and a time of cutting vine, set of Arcturus was showing that it is a time of vine harvest.

egrelian *Rakutia* and Greek *Arktos* are identical and are connected withthe use of astrological knowledge in viticulture. Rakutia/Arktos was a symbol of productivity and plentitude. It might be because of the Great Bear constellation;because its form of *chapi* (liquid vessel containing 18 litres). Its appearance on the sky with full brightness meant that it is just a time to start labor connected with viticulture and when it had rather dim light, to finish it. When the constellation is in its form of *chapi*, it symbolizes plentitude.

ელიზო ბაღათურია-კნერ
ლუდვიგ მაქსიმილიანეს უნივერსიტეტი
წინარე-და-ადრეული ისტორიისა და
პროვინციალურ-რომაული არქეოლოგიის ინსტიტუტი

ჩაცმულობა აფშილეთში

აფშილეთის სამარხეული მონაცემები მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევიან მდინარეების მაჭარასა და კოდორის არეალში მიმდინარე საზოგადოებრივი განვითარების პროცესებზე, წეს-ჩვეულებებსა და რწმენაზე, რომელთა დაკვირვება წარმოდგენას გვიქმნის გარდატეხის სამ ძირითად ისტორიულ ფაზაზე. ცვლილებების ადრეული ეტაპი, რომელიც ძირითადად 270-300 წლებში იჩენს თავს, შედარებით მკვეთრად აისახება აფშილეთის მატერიალურ კულტურაში ახ. წ. 300-380 წლების განმავლობაში. სტანდარტული მონაცემები შეინიშნება ახ. წ. 380-400 წლებში, რომელიც ახ.წ. 500 წლამდე გრძელდება და ძირითადად რომაული გავლენით ხასიათდება. ადრებიზანტიური ხანა (ახ.წ. 450-500) და ახ.წ. 600-650 წლები, ანუ აფშილეთის მატერიალური კულტურის ფინალური ეტაპი, რეგიონში მიმდინარე გაძლიერებული სამხედრო ცვლილებების მაცნეა.

ჩაცმულობის წესი, რომელიც აქამდე მეცნიერულად არ გამოკვლეულა, გარკვეულ წარმოდგენას ქმნის ადგილობრივი და დამკვიდრებული უცხოური წეს-ჩვეულებებისა და სხვადასხვა სახის გავლენებზე. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სუსტად დოკუმენტირებული და სიზუსტეს მოკლებული არქეოლოგიური მონაცემები გრაფიკულ ნახაზებთან ერთად, მხოლოდ განსაზღვრულ ინფორმაციას იძლევა ტანსაცმელთან დაკავშირებულ შესაკრავ-საკინძებზე (აბგიძრახუს სამაროვანი, სამარხი 33)[1] და მოსართავებზე. სამწუხაროდ, არც ფიბულებზე შემორჩენილი ქსოვილის ნაშთები გამოკვლეულა და ამდენად, ტანისამოსისთვის გამოყენებული ქსოვილის ინტერპრეტაცია არქეოლოგიაზე დაყრდნობით ვეღარ ხერხდება. არქეოლოგიურად, რა თქმა უნდა, რთულია ასევე ტანისამოსის ზომისა და ფორმის დამოწმება. აფშილეთში დამკვიდრებული ჩაცმის წესებისა და მოდის შესახებ გარკვეულ წარმოდგენას იძლევა მხოლოდ და მხოლოდ საკინძებისა და ტანსაცმლის მორთულობის დეტალები და მათი გამოყენების მეთოდი. ამდენად, ტანისამოსის ტიპებზე და მათ პრაქტიკულ დანიშნულებაზე მხოლოდ სპეკულირება შეგვიძლია.

რომაულ და ადრებიზანტიურ პერიოდში ორივე სქესისთვის დამახასიათებელი ძირითადი ტანისამოსი სავარაუდოდ იქნებოდა სხვადასხვა სიგრძის ტუნიკა (*tunica*), სხვადასხვა ზომისა და ფორმის სახელოებითა და საყელო ჭრილით. ტილო და მატყლი ცნობილი ქსოვილი იყო ტუნიკასთვის, რომელიც მარტივად მოიპოვებოდა კოლხეთში.[2]

---

[1] Ю. Воронов, Н. Шенкао. Вооружение воинов Абхазии. Древности великого переселения народов V-VIII вв. Москва. 1982. pic.31.3-4.

[2] **D. Braund**. Georgia in Antiquity: A History of Colchis and Transcaucasian Iberia, 550 CAD 562. Oxford: Clarendon Press.1994:71

ქალის ტანისამოსი. არქეოლოგიური გათხრები უთითებენ 1,6-1,62 სმ. სიმაღლის ქალბატონებს (ყველა შემთხვევა როდია დოკუმენტირებული), რომლებიც, სავარაუდოდ, უბრალო ვიწრომკლავიან ტუნიკასთან ერთად ატარებდნენ გარედან შემოცმულ მოკლემკლავიან კაბას (Table I, VI). კაბა სავარაუდოდ, იყო მოშვებული ან ქამრით შემოჭერილი მკერდს ქვემოთ (Table VII), ან წელზე (Table VI). ადგილობრივი კლიმატის შესამაბისი მოსასხამი, რომელიც ქალბატონების მიერ ხშირად გამოიყენებოდა, მიუთითებს პეპლოსის (*პეპლოს*) ტიპის მოსასხამზე, გულმკერდის არეში შეკვრის კვალით (Table VI).[1] მკლავსა (**Table VI**)[2] და წელზე (**Table VII**),[3] იშვიათად შეკრული ტანისამოსი ასევე მიუთითებდა ფიბულიბის ფუნქციასა და მოდაზე.

ადრეული ახ.წ. 170/200-250/300 წლების ნიმუშები უჩვენებს ტანსაცმლის სამი ფიბულით შეკვრის მეთოდს (**Table I**).[4] ორი მათგანი გამოვლენილია გულმკერდის არეში ორივე მხარეს, ხოლო მესამე შესაძლოდ უზრუნველყოფდა მოსასხამს (**Table I**). იშვიათ მოვლენას წარმოაგდენს მარჯვენა მხარზე შეკრული ტანისამოსი (**Table II, III**). ახ.წ. 380 წლიდან აფშილი მანდილოსნის ტანისამოსი გამოირჩეოდა უამრავი ფიბულების გამოყენებით. ხშირ შემთხვევაში ხუთი ან ექვსი ფიბულიდან, სამი ამშვენებდა მკერდის არეს, დანარჩენი კი მკერდს ქვემოთ ან წელს. Iსინი როგორც ჩანს, მოშვებულ ტანისამოსს ან ფორმას აძლევდა ან ჰიგიენური ნივთებისა და კოსმეტიკის საკიდებს უზრუნველყოფდა (**Table VIII**). თავის არე დამსჰვენებული იკო ასევე ცალი ან წყვილი ფიბულით (**Table III**).

სიღარიბით გამოირჩეული თმის აქსესუარები მიუთითებენ თმების მარტივი მეთოდებით შეკვრაზე, რაც შესაძლოა მათ არაპოპულარობაზეც მიუთითებდეს. მეტალის ხვიები და რგოლები, სავარაუდოდ, პირდაპირ თმებში მაგრდებოდა (**Table V**). საკინძები, რომლებიც თავის ქალის ქვემოთ და საფეთქლებთან დადასტურდა მხარს უჭერს თავსაბურავების (**Table XVI**) ან თმის დეკორაციული ქსოვილის გამოყენების შესაძლებლობას.

ზოგიერთი მეტალის რგოლი იშვიათ აღმოჩენებს მიეკუთვნება (**Table VIII**). ფიბულები (**Table II, III, IV, XV**.1), საკიდი რგოლები (**Table VIII, XV**.3) და ქვით შემკული საბნევები (**Table XV**.2) ამშვენებდა თმის დეკორაციულ ქსოვილს. თავსაბურავებს შესაძლოდ იკრავდნენ კეფასთან, მარცხენა საფეთქელთან ან ორივე მხარეს საფეთქლის არეში (**Table II, III, IV**).

ჰომოგენური ხასიათის მატარებელი, მეტალის სპირალური ხვიებითა (**Table XVI**) და ცხოველის კბილის საკიდებით შემკული ფიბულები, გამოიყენებოდა მხრისა და თმების შესამკობად (**Table II**). ცხოველის კბილის საკიდები კომბინირებულია ოთხკუთხაგანივკვეთიან და ჯვრის ფორმის ბუდის მქონე

[1] ***peplos*** არის გარეთა ტანისამოსის ბერძნული სახელწოდება, რომელიც ქიტონზე იყო შემოცმული და შედგებოდა ორივე მხარზე შეკრული ოთხკუთხა ნაჭრისგან.

[2] ფიბულები გამოიყენებოდა წყვილად,ან სამი-ოთხი ცალი მარჯვენა მკლავზე, რომელიც გამოვლინდა ქალის სამარხხში „ცერკოვნი“ ბორცვის სამაროვანზე, I და III სამარხებში.

[3] „ცერკოვნი“ ბორცვის სამაროვანი სამარხები N4, N8.

[4] webeldis samarxi N6. ix. Ю. Воронов. Древности Азантской долины.**Тб**илиси 1982.

ფიბულებთან (**Table XVI**.5-6), რომლებიც ქრისტიანულ საზოგადოებასთან ასოცირდება. ასეთი საკიდების დანიშნულება უცნობია, მაგრამ მათ უთუოდ გააჩნდათ სიმბოლური ან შემეცნებითი მნიშვნელობა. ჯვრის გამოსახულებიან ფიბულებთან[1] კომბინირება შესაძლოა მხოლოდ ესთეტიკურ დანიშნულებაზეც მიუთითებდეს.

მთელი რომაული და ადრებიზანტიური პერიოდის განმავლობაში ფიბულების სტილისტური ვარიაცია შეესაბამება უცხოურ გავლენებსა და სავარაუდოდ, ადგილობრივი მოსახლეობის მოთხოვნილებასაც. სიღარიბით გამორჩეული ჰომოგენური დეკორაციის ესთეტიკური ბაზა, ძირითათად, ხვიისმაგვარ ელემენტებზეა ფოკუსირებული, რომელიც ახ.წ. 170-400 წლებში უწყვეტად წარმოებდა. ერთი და იმავე ტექნიკით შესრულებული ადგილობრივი სტილისტური ელემენტები წარმოდგენილია ფიბულის ზურგზე შემოხვეული მრგვალი მავთულებით ან საკიდი სპირალებით. ახ. წ. 260/300-340 წლებში ფიბულები ტრანსფორმაციას განიცდიან. ძველი და ახალი ელემენტების სინთეზი გამოვლინდა დეკორატიული ხვიების ინტერვალებში მოთავსებული მორბენალი სპირალებითა და **S** ფორმის კომპონენტებით (**Table II**.3; **III**.1; **IV**.3-4). დაახლოებით ახ.წ. 380-400 წლებიდან ფიბულების მორფოლოგია და დეკორატიული რეპერტუარი ახალ მონაცემებს იძლევა. კოლხეთისთვის უცხო, ახალი გეომეტრიული დეკორატიული ელემენტები, რომლებმაც დაახლოებით ახ.წ. 300/320 წლიდან მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავეს აფშილთა ყოფა-ცხოვრებაში და 150 წელზე მეტხანს დომინირებდა, წარმოდგენილია წრეებით და წრეში ან წრეებში ჩასმული წერტილებით (**Table XII**.7).[2] ანალოგიური კომპონენტები თავდაპირველად ახ.წ. 300/320 წლებში ადგილობრივ კერამიკაზე ჩნდება. რამდენიმე წელიწადში ეს ელემენტები ასევე გამოიცადა ფიბულებზე და 50 წლის შემდგომ დაამშვენა ბალთებიც. წრეში ჩასმული წერტილები, რომლებიც აშკარად უცხოურ დეკორატიულ ბაზაზე იქნა გათვითცნობიერებული, უამრავ ანალოგებს პოულობს ახ.წ. I-VI საუკუნეების საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალში. პოსტსაბჭოურ მეცნიერებაში კი რატომღაც აფშილურ ჰომოგენურ მოვლენად იქნა ინტერპრეტირებული. წრეში ჩასმული წერტილები გაცილებით ადრე გაჩნდა დასავლეთ და ჩრდილოეთ სასაზღვრო ზოლში, ვიდრე აფშილეთში, სადაც ტიპიურ დეკორატიულ წყაროს წარმოად-

---

[1] ვინაიდან ანალოგიური ფიბულები აღმოჩენილია კრემაციულ სამარხებშიც, ხოლო სხვა სტანდარტული მონაცემები არ არსებობს, რის საფუძველზეც შეგვეძლო მსგავსი ფიბულების დაკავშირება მხოლოდ და მხოლოდ არეალის ქრისტიანიზაციასთან. ამ ფონის ქრისტიანული რელიგიის სასარგებლოდ ახსნა იმ შემთხვევაში იქნებოდა შესაძლებელი, თუკი ჩავთვლიდით რომ, კრემაციას გარკვეული სოციალური თვალსაზრისით ეწეოდნენ, რაც ნაკლებად დამაჯერებელი არგუმენტია იმ კრემაციული სამარხების ფონზე, რომელებიც სწორედ საშუალო ან მაღალი სოციალური სტატუსით გამოირჩევიან.

[2] „წერტილი წრეში“ შესრულებული იყო ნაკვეთი ტექნიკით, რომელმაც შეცვალა „დართვის“ ტექნიკა.

გენდა საბრძოლო იარაღებისთვის,[1] ჯავშნებისთვის,[2] საკინძებისთვის,[3] გაცილებით ადრეული კელტური მონეტებისთვის,[4] სამკაულისთვის,[5] სხვადასხვა ტიპის კოსმეტიკური კომპლექტებისთვის[6] და სხვადასხვა სახის ჰიგიენური ნივთებისთვის.[7] არაჰომოგენური წარმოშობის სხვა დეკორატიული ეფექტები, რომლებიც ასევე შეიძინა გვიანდელმა ოთხკუთხა განივკვეთიანმა ფიბულებმა აფშილეთში, ასოცირებულია მთვარესთან-ნახევარ წრეებთან (**Table XI**.5) და სირიული ტიპის ფრთაგაშლილ ფრინველთან ბიჩიანთან (ანალოგიური ელემენტები ასევე ჩნდება ბალთებზეც). ბუდესა და ზურგს შორის სუსტად გამოკვეთილი ჯვრისმაგვარი ელემენტები (**Table IV**.1) ახ.წ. 450 წლამდე კონკურენციას უწევს ადგილობრივი წარმოშობის მრგვალი ხვიის დეკორაციას, რომელიც საბოლოოდ ჩანაცვლდა არადეკორირებული ზურგითა და ბუდეზე ქრისტიანულ რელიგიასთან დაკავშირებული მკვეთრად გამოსახული ჯვრით (**Table VI**1-3). ფიბულის მორფოლოგიური მონაცემები მიუთითებს ოთხკუთხა მავთულში გარდაქმნის 50 წლოვან (400-450 წლების განმავლობაში) პროცესზე (**Table IX**.1; **XI**.5).

---

[1] ქარქაშის დეკორაციის ნიმუშები ნიდამიდან (Nydam), იხ: **G. Bemmann, J. Bemmann.** Der Opferplatz von Nydam. 1998; vismosidan (Vismose) ix: **Carnap-Börnhheim.** Die schwertriemenbügel aus dem Vismose (fünen). Zur typologie der Schwertriemenbügel der römischen Kaizerzeit im Barbaricum und in den römischen Provinzen. Kliene schriften aus dem Vorgeschichtlichen seminar der Philips-Universität Marburg 38. 1991; frankfurt-sindlingenidan (Frankfurt-Sindlingen) ix: **Ch. Miks**. Studien zur Römischen Schwertwaffenung in der Kezerzeit. Kölner Studien zur Archeologie der Römischen Provinzen. Band 8.2007.

[2] ვენდელის (Vendel) სამრხი 14 და ველსგრედეს (Valsgärde) სამარხი 8-ში მეომრები გამოვლინდა „წერტილი წრეში" ელემენტებით დეკორირებული ჯავშნით. იხ**: H. Slope and T. Arne**. La nécropole de Vendel, Stockholm. 1927.pl.xlii,fig.i; **G. Ardwidssom.** eadem, Die Gräberfunde von Valsgärdel III, Valsgärde 7, Upsala. **1977.**abb.115,120; **Bruce-Mitford** :214-20; **N. Adams.** Rethinking the Sutton Hoo Shoulder Claps and Armour. **2010**:97.plate 22. **M. R. Mengarelli.** 'Necropoli barbarica di Castel Trosino', *Monumenti Antichi della Reale Accademia di Lincei,12.* 1902.

[3] ფირფიტიანი ფიბულები ბრიტანეთიდან, იხ. **Laing**, **Lioyd Robert 2010**.pic.2.1-e; 2.3-b,d

[4] იხ. **S. Hansen.** Archäologische Funde aus Deutchland**.** 2010:74; dekoratiuli elementi'certili wreSi' miuTiTebs kelturi xelovnebis post-romaul gavlenebze, ix. **L. Laning**. A catalogue of Celtic ornamental metalwork in the Britisch Isles, c. AD 400-1200. BAR Britisch Series, 229. Oxford.1993. **L. Laning.** The Archaeology of Celtic Britain and Irland ca. AD 400-1200. Cambridge**.** 2006. **L. Laing.** Europian Influence on Celtic Art. Patrons and Artists. England**.**2010)

[5] სინიავკას (შინჯავკა) ძვლის საკიდები ტანაისიდან და სკალისტოეს სამარხიდან ქერჩში, იხ. **V. Bierbrour.** Ethnos und Mobilität im 5.Jahrhundert aus archäologischer Sicht: Vom Kaukasus nach Niederösterreich. *Bayerische Akademie der Wissenschaften. Philosopisch-historische Klasse Abhandlungen.Neue Folge, Heft* 131. München.2008

[6] ანალოგიური დეკორაციის მქონე კოსმეტიკური კომპლექტები ჩრდილოეთ საზღვრიდან აღსანიშნავია 3-4 საუკუნეების საქსონ შოა-ს (Saxson Shore) ციხეში, ლაკენჰიტსში (Lakenheath) და ასევე სუფოლკში (შუფფოლკ), ჩრდილოეთ კრიკეში (North Creake), ნორფოლკში (Norfolk) და სტონეა-ქამბში (Stonea-Cambs), იხ. **R. Jackson.** Cosmetic Sets of Late Iron Age and Roman Britain. British Museum Researchers Publication**.** 2010.29,144,168

[7] გამოვლინდა ვილბარკის (Wielbark) კულტურის მდ. ვისტულას არეალი, ელბლაგის (Elblag) ჯგუფის, ფრუსც გდანსკის (Pruszcz Gdanski) 8 სამარხის გამოვლენილ სავარცხელზე. ix. **E. Cnotliwy**. Grzebienie dzwonowatego typu w Europie. *Stowarzyszenie Naukowe Archeologow Polskich ODDZIAL W SZCZECINIE*. 2010:188.pic.11.14

ფიბულების ზომებსა და სხვა სტრუქტურულ ცვლილებებს საფუძვლად დაედო ფუნქციური კრიტერიუმი, რაც თავისთავად ეხმიანებოდა პრაქტიკულ აუცილებლობას. ყველაზე პატარა 4,7-5,3 სმ სიგრძისა და 1,7-2,1 სმ სიმაღლის მქონე ფიბულები მოიაზრებოდა მანდილოსანთა ტანისამოსის გულმკერდის არისა და საქამრე მონაკვეთის შესამკობ-საკინძად. საშუალო ზომის 8,2-9,9სმ სიგრძისა და 3-4 სმ სიმაღლის ფიბულები სხვა საკინძ დანიშნულებას შეესატყვისება. ხოლო ფიბულის დიდი ზომები, რომელიც არ გასცდენია 10,1 სმ სიგრძეს და 3 სმ-მდე შემცირებული სიმაღლით წარმოგვიდგება, უთუოდ გამოიყენებოდა მანდილოსნების მოსასხამის შესაკრავად. ბოლო ორი, როგორც ჩანს, გათვლილი იყო მოსასხამების ქსოვილის სისქესა და დანიშნულებაზე.

ქარვის მომცრო ზომის მრგვალი მძივები, ასევე გამოიყენებოდა შიდა ტანისამოსის საკინძად, რაზეც მიუთითებს ხშირად მათი მიცვალებულთა ყბის ქვეშ ცალად დადასტურება. მსგავსი ტენდენციები, ძირითადად, გამოვლენილია ახ.წ. 380/400 წლიდან და დამახასიათებელია საშუალო და მაღალი სოციალური კლასის წარმომადგენელი მანდილოსნისთვის (**Table III, IV**).

სტატისტიკიდან გამომდინარე მანდილოსნის ტანსაცმელი არ საჭიროებდა ქამარს ან კიდევ წელზე შემოჭერილი იყო უბალთო, ტყავის ან სქელი ქსოვილის ქამრებით. ბალთიანი ქამრით შემოჭერილი სამოსელის სულ ორად ორი ნიმუში გამოვლინდა აბგიძრახუს სამაროვანის 2 და 45 სამარხებში (მიეკუთვნება სამარხების მეორე ქრონოლოგიური ჯგუფის ადრეულ ეტაპს, ახ.წ. 340-370 წწ), რომლებიც მაღალი სოციალური კლასის მანდილოსნებთან ასოცირდება.[1] ერთ-ერთი მათგანს წელზე შემოჭერილი ჰქონდა ვიწრო ქამარი ფირფიტიანი საქამრე ბალთით (აბგიძრახუს სამაროვნის 2 სამარხი). ზოგიერთი ქამარი, სავარაუდოდ, დანის თასმებს უზრუნველყოფდა, მაგრამ რთულია აფშილი ქალბატონების მიერ დანის რეალურად ტარების ფაქტის მტკიცება (არ გამორიცხება, რომ სამარხებში დანების ჩატანება, ძირითადად დაკრძალვის წესს უკავშირდებოდეს). ყოველი შემთხვევისთვის წელზე (და შესაძლოა გულმკერდზეც) მათი აღმოჩენის ფაქტები (**Table II**) მხარს უჭერდეს ამ იდეას.

ჩაცმულობას შეხამებული იყო უამრავი მძივები, რომელსაც თითქმის ყოველი მანდილოსანი ატარებდა. შესამჩნევია ნახევრადსფერული მძივების სიმრავლე, რომლებიც ან განსაკუთრებული მოთხოვნის ან მომარაგების წყაროს შედეგი გახლდათ. მაღალი კლასისთვის ფავორიტი მძივების კომბინაცია შედგება ძვირფასი ქვების, ქარვისა (**Table VII**.8; **VIII**.5) და სარდიონის (**Table VII**), მთის ბროლის (**Table VIII**), ოქროფენილი (**Table VII**), ვერცხლფენილი მინის, ინკურსტრირებული პასტის (**Table II, IV**), ზოლიანი (**Table II**.4; **III**.10; **VI**.8), თვალა და მოზაიკური (**Table VI**) მძივების და ნაკლებად ზღვის ნიჟარებისაგან (**Table VI**). იშვიათ აღმოჩენებს მიეკუთვნება წითელი ქვისგან დეკორირებული ოქროს მრგვალი საკიდი და საკიდი ჯვარი (**Table II, VIII**.6). დაგრეხილი მავთულის ყელსაბამები S-ტიპის შესაკრავი ნაწილით (**Table V**) იშვიათ აღმოჩენებს წარმოადგენს, რომელიც ახ.წ. 380-450 წლების მოვლენად

[1] М.Трапш. Труды. т. III. Table I.4; XXIII.6. **Тб**илиси. 1971:22.

ითვლება. თითქმის ყველა მანდილოსანი ატარებდა უბრალო ბრინჯაოს მრგვალ საყურეებს (**Table VI, VII**). ადრეული გრძელი საყურეები, რომლის ცირკულაცია ახ.წ. 170-340 წლებით შემოიფარგლება, ძვირფასი ქვებით დეკორიებული მრგვალფირფიტიანი ზედა ტერმინალითა და მარგალიტის წვეთისებური ფორმის საკიდებით დასრულებული ქვედა ტერმინალით ხასიათდება (**Table II**. 6). ახ.წ. 320/340 წლისთვის ისინი იცვლება უფრო დიდი ზომის ზედა ოთხუთხა ტერმინალითა და წვრილი საკიდებით (**Table II, VIII**.6). ახ.წ. 380/400 წლიდან მე-6 საუკუნის ბოლომდე არსებული საყურეები ძირითადად მრგვალმავთულიანი რგოლისაგან შედგა, არანაირი განსაკუთრებული ესთეტიკით არ გამოირჩევიან და განსაზღვრულ ტიპებს წარმოადგენენ.

მანდილოსნები სამაჯურს ძირითადად ორივე მკლავზე ატარებდენ. ადრეული მრგვალმავთულიანი უორნამენტო (**Table V**.12) და წიწვისებურორნამენტიანი სქელი სამაჯურები, ახ.წ. 380 წლიდან იცვლება მრგვალმავთულიანი თავგადახვეული (**Table VII**.4) და სხვა ტიპის სამაჯურებით, რომლებიც ასევე, ფინალურ ფაზაში ჩანაცვლებულია კომბინირებული, ჩრდილოეთკავკასიური (**Table VI**.4) და დაბრტყელებულთავიანი სირია-პალესტინური ზოომორფულთავიანი სამაჯურებით (**Table VII**.12).

ქამარზე დამაგრებული კოსმეტიკური (**Table VII**; **XV**. ,1-2) და ჰიგიენური კომპლექტების საკიდების (ფრჩხილის საწმენდები. **Table VII**.1) აღმოჩენები რომაულ გავლენებზე მიუთითებს. პატარა ზარების ტარება, რომელიც ახ.წ. 450 წლიდან შეინიშნება, ქრისტიანული რელიგიის დამკვდრებას უკავშირდება.

მამაკაცის ტანისამოსი. არქეოლოგიურმა გათხრებმა უჩვენა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის უმრავლესობა სამხედრო სამსახურში იმყოფებოდა. იარაღის სიმცირით გამორჩეული მამაკაცის სამარხები იშვიათ აღმოჩენებს განეკუთნება.

მამაკაცის ძირითადი სამოქალაქო ტანისამოსი, სავარაუდოდ, უბრალო ტუნიკა იქნებოდა, რომელიც დაახლოებით მუხლამდე სწვდებოდა და წელზე სამხედრო ქამრისგან განსხვავებული, ვიწრობალთიანი ქამრით იყო შემოჭერილი. დაკვირვებებმა უჩვენა, რომ ბალთიანი ქამრების გამოყენება დასტურდება ახ.წ 270 წლიდან და მათი აღმოჩენები სამ კრემაციულ სამარხს უკავშირდება. სქელი ნაჭრისგან შემდგარი ზამთრის მოსასხამი, სავარაუდოდ, წარმოადგენდა მარცხენა მხარზე შეკრულ საგუმის (***sagum***) ტიპს,[1] ან გულმკერდის არეში შეკრულ პაენულას (***paenula***) ტიპს,[2] რომელიც მუხლამდე წვდებოდათ ან უფრო გრძელი იყო (**Table XII**). საკინძი ფიბულები მამაკაცების მიერ პრაქტიკული დანიშნულებითვის გამოიყენებოდა ახ. წ. VI საუკუნემდე, როცა ის საბოლოოდ გავიდა მოდიდან ან ტანისამოსის ცვლილებას უკავშირდება.

მეომართა ტანისამოსი. მამრობითი სქესის უმრავლესობა სრულიად შეიარაღებული ჩანს ახ.წ. 380 წლიდან. თანმხლები საბრძოლო იარღების ტიპები და ხასიათი გამოყოფს მძიმედ შეიარაღებული ინფანტერიის (**Table IX, X**) საკმაოდ დიდ კონტიგენტს და ფეხით მოსიარულე (**Table XI**) ან ცხენოსანი

---

[1] ეს იყო მართკუთხა ქსოვილის ნაჭერი, მხარზე ან ყბის ქვეშ მარტივად შეკრული ფიბულით.

[2] გამოჭრილი იყო თხელი მატყლის გსოვლის ცრიული ან ნახევრადცრიული დიდი ნაჭრისგან.

მოისრეების (**Table X**) რამოდენიმე მაგალითს.

მეომრების დამახასიათებელი ტანისამოსი, უბრალო და განიერმკლავიან ტუნიკაზე შემოცმული, მუხლამდე სიგრძის (***tunica exteriodum***) და მოკლემკლავიანი გარეთა სამოსი იყო, რომელიც ზომაში გაცილებით მოკლდება ახ.წ. 380/400 (**Table XII**). მეომრები რომლებიც გარედან ატარებდნენ ჯავშანს, ეცვათ გრძელმკლავა, გაცილებით სქელი ნაჭრისაგან შემდგარი ტუნიკა ან სხვა სახის ტყავის სამოსელი. შარვალი, ძირითადად, გრძელი, მინიმუმ კოჭამდე (რომაელები ეძახდნენ ***braccae***) მაინც იქნებოდა. არქეოლოგიურმა გათხრებმა გამოავლინა ტყავის ფეხსაცმლის ორადორი ნიმუში, რომელიც ახ.წ. 500-550 წლების სამარხეულ კომპლექსებს უკავშირდება.[1] სამწუხაროდ, ძალიან სუსტად დოკუმენტირებული მონაცემები, მცირე ინფორმაციას იძლევა მის კონსტრუქციაზე. პირველი ნიმუში სუბტალარის (***subtalaris***-,კოჭს ქვემოთ') მსგავსად ფეხს კოჭამდე ფარავდა. მეორე ფეხსაცმლის სამაგრებისა და შესაკრავების რიცხვი და ხასიათი მიუთითებს გაცილებით რთული კონსტრუქციის მქონე მძიმე ფეხსაცმელზე, რომელიც წვივამდე აღწევდა (**Table XIII**.6). შემორჩენილი შესაკრავი დეტალები შედგება პატარა ბალთისაგან, ბრინჯაოს მოსართავებისაგან და გვერდითი სათასმე სამაგრებისგან. ანალოგიური ფეხსაცმელები უთუოდ გამოიყენებოდა გრძელ წინდებთან.

საკინძები მიუთითებენ მოსასხამის მოკლე პაენულას (***paenula.*** **Table XI**), ლაკერნასა (***ლაცერნა***-იკვრებოდა მარჯვენა მხარზე. **Table XI**) და საგუმის (***sagum***) ტიპებზე. სამარხში ფიბულების პოზიცია მიუთითებს მოსასხამის მარცხენა (**Table IX**) ან მარჯვენა მხარეს შეკვრაზე. შესაკრავების მარჯვენა მხართან ტარების მეთოდი მიღებული იყო ხმლისთვის მოსასხამის ასაცილებლად (**Table XI**).[2] ძმიმე ჯვრისთავიანი ფიბულები ***Paenula***-s ტიპის მოსასხამზე გულმკერდის არეში დადასტურებულია ბუდით მაღლა ორიენტირებული (**Table X, XII**). ასევე ფიქსირდება მამაკაცებისთვის ფიბულის გამოყენების უჩვეულო წესი, როგორიცაა წყვილი ფიბულის გამოყენება, რომელთაგან ერთიერთი მოსასხამს გულმკერდზე ამაგრებდა, მეორე კი შესაძლოდ ქუდს უზრუნველყოფდა, ვინაიდან მეორე ფიბულა თავის არეში მარჯვენა საფეთქელთან არის აღმოჩენილი. სამარხეული კონტექსტი (წებელდის სამარხი 1-43) და მეომარი, რომელიც გამთხრელის მიერ ინტერპრეტირებულია მოზარდად,[3] მის მაღალ სოციალურ სტატუსტზე მიანიშნებს. მეორე შემთხვევა უჩვენებს გულმკერდის არეში წყვილი ფიბულების ჯვრისთავა ნაწილით ქვემოთ ორიენტირებულად გამოყენებას (**Table X**).

---

[1] წებელდის ციხის სამარხი N13a. ix: **Ю. Воронов, О. Бгажба, Н. Шенкао, В. Логинов.** Исследова**н**ие крепостей и могиль**ник**ов в Цебельде. Археологические Открытия в Абхазии в 1984 г. **Тб**илиси. 1989:11. pic.6,29-30,36-44

[2] ეს გახლდათ მუხლამდე სიგრძის, დიდი ნახევარწრიული მოსასხამი, რომელიც ხშირად გამოჭრილი იყო მატყლის ქსოვილისგან და ძირითადად მიჩნეული იყო ოფიცრებისა და კავალერიის ტანისამოსად.

[3] **N. Whitfield**. More thoughts on the wearing of brooches in the Early Medieval Irland' in Hourihane. 2004:72

წარმოდგენილი სხვადასხვა სახისა და ხარისხის ფიბულები, დამზადებულია ვერცხლის, ბრინჯაოსა და რკინისგან. რკინის ფიბულები პროცენტულად მცირდება ახ.წ. 450 წლისთვის. ადრეული ტიპები წარმოდგენილია ბუდეაბმული, მრგვალმავთულიანი რკალისებურზურგიანი ფიბულებით. არქეოლოგიური მონაცემები ამტკიცებს, რომ ხვიისებური დეკორატიული ელემენტები არ იყო მამაკაცებისთვის მიმზიდველი ან გამოსადეგი. ფიბულის ყველაზე პატარა ზომები, რომლებიც ახ.წ. 380-450 წლებში მამაკაცის ტანსაცმლისთვის გამოიყენებოდა გამოირჩეოდა 6,5-7,5 სმ სიგრძითა და 2,3-3 სმ სიმაღლით. ამავდროულად ახ.წ. IV საუკუნის პირველ ნახევარში ცირკულაციაში შემოდის საშუალო ზომის ფიბულები, რომლებიც ხასიათდება 8,1-9 სმ. სიმგრძითა და 2,7-3,5 სმ სიმაღლით. დაახლოებით ახ.წ. 450 წლისათვის ჩნდება ახალი ფუნქციური ტიპები, რომლებიც მორფოგიურად შესქელებული და დაბალი ზურგით გამოირჩევიან. განიერი და სქელი ტერმინალი შეესაბამებოდა ქსოვილისგან გამოწვეულ სტრესს და ყოველგვარი დეფორმირებისა და დაზიანებების გარეშე ეფექტურად ართმევდა თავს ქსოვილის სიმძიმისაგან გამოწვეულ დაქაჩვას. მათი სიგრძე 12-13 სმ. აღწევს.

მეომრები, რომლებიც წიბულუმის' („Tzibulum" **Proc. Goth. IV.V128**) ციხის დამცავ თუ შემტევით პროცესებში ღებულობდნენ მონაწილეობას წარმოდგენილია იმპერიული კლასის ჯავშნებით, როგორიცაა ***Lorica Hamata***, ***Ring Mail*** და ***Lorica Segmentata***.

Lorica Hamata უდაოდ გვიანრომაულ პერიოდს განეკუთვნება და მისი დეტალები წარმოდგენილია ჯაჭვის პერანგის დამოქლონებული ცალკეული რგოლებითა (**Table XVI. C**.1,2) და გულმკერდზე შესაკრავი სხვა დეტალებით (**Table XVI. C**.3).[1] ანალოგიური ჯავშნები მოკლემკლავიანია და წელს ქვემოთ შემოკლებული. დამახასიათებელია აუქსილიისა (***Auxiliari***) და ლეგიონერებისათვის (***legionaries***).

მეორე სახესხვაობა ***Ring Mail***-ის სახელწოდებით (ტერმინოლოგია განსაზღვრავს „ოთხი ერთში") ცნობილი ჯავშანი წარმოადგენდა ***Lorica Hamata***–ს შედარებით განვითარებული სახეს და დამახასიათებელია ადრებიზანტიური პერიოდისთვის. შემორჩენილია ჯაჭვის პერანგის ნაწილი, რომელიც უჩვენებს ქსოვის ტიპს, ერთ რკინის რგოლში დამოქლონებულ 4 რგოლს (**Table XVI. ჩ**.4).[2] ეს ჯავშანი გათვლილი იყო შემტევი საჩეხი იარაღებისთვის. ანალოგიური ჯავშნები რეკომენდირებული იყო თბილი კლიმატისათვის და ამდენად ფართოდ გამოიყენებოდა აღმოსავლეთ სასაზღვრო ფრონტზე.

მესამე ტიპი გახლდათ ლეგიონერებისათვის დამახასიათებელი იარაღების ისრებისა და ხიშტებისაგან ეფექტურად დამცავი ჯავშანი ***Lorica Segmentata***. შემორჩენილია შემადგენელი სათასმე სეგმენტები და დამოქლონებული ფირ-

---

[1] ასაკობრივი კრიტერიუმი განისაზღვრა ვიზუალურ ბაზისზე და ძირითადად კბილების სიგრძიდან გამომდინარე, ამდენად ეს საკითხი სპეკულირების საგანს წარმოადგენს

[2] Ю. Воронов, О. Бгажба. Раскопки могильника Цибили**у**м. Археологические и**сс**ледова**н**ия в Цебельде. **Тб**илиси. 1983:36 pic.58.3-5

ფიტების უამრავი დეტალი (**Table XVII. D**.1-3).[1] ჯავშანი სავარაუდოდ იკვრებოდა მარცხენა მხარეს და დაცული იყო ფარით.

ფუნქციური სამხედრო ქამრები. ქამრები ძირითადად მეომრის სამარხებში დასტურდება. ქამრიანი ტანისამოსის სტანდარტული მონაცემები, რომელიც მხოლოდ ახ.წ. 400-450/500 წლების განმავლობაში შეინიშნება, დაკავშირებულია სამხედრო სამსახურში მყოფ მძიმედ შეიარაღებულ მეომრებთან, როგორც ჩანს ინფანტერიასთან. მსგავსი ქამრების ფუნქციური ხასიათი ნათელია, რომლებიც გამოიყენება წელის ქამრებისა და ქარქაშის უზრუნველსაყოფად, უმეტეს შემთხვევაში კი სამხარიღლიე ღვედთან არის კომბინირებული. გამონაკლისი შემთხვევები ადასტურებს სამ სტანდარტულ ქამარს, რომელიც აღმოჩენილია წებელდის სამ სამარხში 1ა-3 (**Table XIV**), 8 (**Table XV**) და 13ა (**Table XIII**). სამივე შედგებოდა ქამრის ზონრების დაბოლოებისთვის განკუთვნილი მეტალის ტერმინალებისა და ქამრის მორთულობის სხვადასხვა დეტალებისაგან (**Table XVIII**. -I). ქამრის ზონრების ტერმინალების სიმრავლე მიუთითებს ქამრის სიგანესა და ზომებზე. ქამრები, რომელებიც ოთხი ზონრის მოსართავებისაგან შედგებოდა განიერი ქამრების კლასზე მიუთითებს (**Table XVIII**). ზოგიერთი ქამარი ხასიათდება ნაკვეთი ტექნიკით შესრულებული ცრემლისმაგვარ ორნამენტიანი ტერმინალებისაგან. ვიწრო და დაბრტყელებული ქამრის მოსართავი ფირფიტები ხშირად გამოიყენებოდა წყვილად. ერთ-ერთი მათგანი გამოირჩევა „მასკის ტიპის“ დეკორატიული მოსართავით, რომელიც ცნობილია ჩრდილოეთ კავკასიაშიც (უც თეფეს სამარხი აზერბაიჯანიდან), ასევე სასანური სპარსეთიდან და ლომბარდიული იტალიიდან (ნოკერა უმბრას სამარხები 16,18,42,79,84,85. ნახ. **Firenze 2005**) და თარიღდება VI საუკუნეებით.[2] ქამრის მოსართავები წარმოდგენილია ვიწრო (**Table XII**.b), განიერი (**Table XII**.g) ან წაგრძელებული (**Table XII**.c) ფირფიტებითა და „ჰერალდიკური ტიპის“ საქამრე ზონრების დაბოლოებებით (საუკეთესო მაგალითია წებელდის სამარხი 3). ისინი, ძირითადად, დამახასიათებელია მსუბუქად შეიარაღებული მეომრებისთვის (**Table XVII**.I), რომელიც ტოლნანემედისა და ლეოდორფის აღმოჩენების ანალოგია. ქამარი დანისათვის განკუთვნილი ორი მოქლონით იყო ასევე უზრუნველყოფილი (**Table XVII**.A).

ფუნქციური ქამრები უზრუნველყოფდა ხანჯლებს, სატევრებს, საბრძოლო გრძელ დანებს და ზოგიერთ შემთხვევაში ისეთ აუცილებელ საგნებს, როგორიც იყო ცეცხლის დასანთებად საჭირო ელემენტები (**Table XVII**.E)[3] ან სალეს

---

[1] ჯავშნის ეს ტიპი ცნობილი იყო რომაელებამდე დიდი ხნით ადრე და გამოიყენებოდა სირიაში ძვ.ჭ. 600 წლიდან. მისი გამოყენება გრძელდებოდა გვიანშუასაუკუნეებამდე. უფრო განვითარებული, გაციელბით მძიმე და მჭიდრო ვარიანტები, რომლებიც გვიანშუასაუკუნეებისტავის არის დამახასიათებელი წარმოდგენილია ერთ დამოქლონებულ რგოლში ჩაკეტილი 6 რგოლით, რომელი 8-9 მდეც იზრდება.

[2] დასახ. ნაშრ. Ю. Воронов, О. Бгажба. 1983:37. Pic.54,55,56

[3] **F. Daim**. Byzantine Belt Ornaments of the 7th and 8th centuries in Avar Context. '*Inteligible Beauty'. Recent research on Byzantine Jewellery*. 2010:63; **Cs Balint**. 'Kontakte zwischen Iran, Byzanz und der Steppe. Das Grab. 1992:309-496.

ქვებს, რომელთათვისაც მომცრო ზომის ტყავის ჩანთები იქნებოდა განკუთვნილი (**Table XII**). ფუნქციური ქამრების შემადგენელ ნაწილებს წარმოადგენდა სქელი და პატარა ზომის მრგვალი რგოლი (**Table X; XVII**.C-D), რომელიც უზრუნველყოფდა ხანჯალს ან სატევარს და ასევე ორი მოქლონი, რომელიც უდაოდ განეკუთვნება დანების, ტყავის ქარქაშის თასმებს (**Table IX**.a; **XIV**.K; **XVII**.A,J).

X-ის მაგვარი მოგრძო მეტალის მოსართავები დამახასიათებელია განიერი ქამრების ფუნქციური (**Table XII**)[1] და არაფუნქციურის ტიპებისათვის, რომლებიც მეომრებთან ასოცირდება. ქამრები, რომლებიც განკუთვნილია ხანჯლების უზრუნველსაყოფად, ხასიათდებიან წყვილი მრგვალი (**Table XVII**. C-D), ან ოთხკუთხედი საკიდი რგოლებით (**Table XVII**.D).

ქამრის ბალთები, ძირითათად, მარჯვენა მხარეს ფიქსირდება. სამხარიღლიე ღვედების ბალთები გამოირჩევა მილეფიორის ტექნიკის შესანიშნავი ნიმუშებით (**Table XII**).

აფშილეთში გამოვლენილი ქამრები მიუთითებს ბიზანტიელ ხელოსნებზე, ან პირიქით, „ბარბაროსების ხელოვნებაზე" რომელიც მოქცეულია ბიზანტიური ტექნოლოგიების გავლენის ქვეშ (რომლებიც ადგილობრივ ფორმებს და მოტივებს უთავსებენ ბიზანტიურ მოდას და გემოვნებას).

იარაღის ტარების მეთოდი. მძიმედ შეიარაღებული მეომარი ატარებდა იარაღების სხვადასხვა კომბინაციას და ისეთ იარაღებს როგორიცაა წყვილი სატყორცნი და სხვა სახის (***Pilum***, **Table IX**) შუბები, კენტი ან კომბინირებული ხანჯლები, დანები, სატევრები და საბრძოლო შუბებები. დამატებით გამოიყენებოდა სხვადასხვა ტიპის ფარები.

ფუნქციური ქამრები, სამხარიღლიე ღვედები და ქარქაშები განსაზღვრულ წამროდგენას იძლევა იარაღის ტარების მეთოდზე. სპათას (***Spathae***) ტიპის ხანჯლების ტარების ორი მეთოდი დასტურდება: **1**. როცა ხანჯალი დაკიდულია სამხარიღლიე ღვედზე და **2**. როცა სამხარიღლიე ღვედი ქარქაშის შიდა მხარეს, უბრალო ტყავის ან ქარქაშზე დამაგრებული სპეციალური მეტალის გასაყრელ ფირფიტაშია გაყრილი (**Table IX**). ქარქაშზე დადასტურებული სამხარიღლიე ღვედის გასაყრელი მეტალის ფირფიტის დამაგრების წესი, ძირითადად, ადრებიზანტიურ ხანას უკავშირდება, ვინაიდან ადრებიზანტიური ხანის მაგალითები ნათლად ასახავენ სამხარიღლიე ღვედზე დაკიდულ სპატას, რომელიც მიმაგრებულია არა ქარქაშზე, არამედ სასხლეტ ნაწილშია გაყრილი („***scabard slide***". **Table X**).[2] მარჯვენა მხარეს, მრგვალი მეტალის მოქლონებზე დამაგრებული დანები დაკიდული იყო ტყავის თასმებით (**Table IX**). ისრის ჩასადები ჩანთები

---

[1] სომხური ათარას N1 სამარხში დადასტურდა მეომრის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნივთი, ფოლადის ნაწილი, რომელიც გამოიყენებოდა კაჟთან ერთად ცეცხლისათვის და გამობმული იყო ქამარზე სავარაუდოდ ბალთით.

[2] გამოვლინდა მრამბას რეგიონში, ახაცარახუს სამაროვანზე 2სამარხში, იხ. Trapsh 1971, table XLVII.8-9. შაპკის რეგიონი, „ვერინის" ბორცვის სამაროვანი **5** სამრხი, იხ: Ю. Воронов, О. Бгажба, Н. Шенкао. Погребения Апсилов из окрестостей Цебельды. Археологические Открытия в Абхазии 1985 г. Тбилиси. 1990. pic.23.13-16.; ფუშთას სამაროვანი, 10სამარხი, იხ. დასახ. ნაშრ. Ю. Воронов. 1982, pic.24.23-31.

იმავე მეთოდით იქნებოდა მარცხნივ დაკიდული (**Table IX**). საბრძოლო ცულები კი მარჯვენა მხარეს განიერ და სქელ ქამარში იყო მარტივად გაყრილი (**Table IX, X, XII**).

მამაკაცის სამკაული. სამკაული, რომლებსაც მამაკაცები სიამოვნებით ატარებდნენ აფშილეთში შედგებოდა ბეჭდისაგან, სამაჯურისგან და ადრებიზანტიური ხანიდან ცხვირის რგოლებისაგან. მამაკაცების მიერ ბეჭდისა და სამაჯურის ტარების ფაქტი აფშილეთში ჯერ კიდევ ახ.წ 270-300 წლიდან შეინიშნება,[1] მაგრამ სამაჯურები იშვიათ აღმოჩენებს მიეკუთვნება. ბეჭედი, რომელიც განსაკუთრებულად სასურველი ჩანს მეომრებისთვის ხშირად გამოიყენება ახ.წ.450 წლიდან. ოქროს ბეჭდები დეკორირებულია ქარვით, ვერცხლის ბეჭდები კი სხვა ღირებულებებით გამოირჩევა (**Table XII**. წებელდის სამარხი 1ა-3).[2]

ინტერპრეტაცია. ტანსაცმლის ტიპები, სხეულის მოლვასთან და სილამაზესთან დაკავშირებული ინდივიდუალური კომპონენტები (ფრჩხილის საწმენდი ნივთები, პარფიუმერიის შუშები, კოსმეტიკური კომპლექტები), ჯარების უზუნველყოფის საკითხები და სამარხეული ინვენტარის სახე, აშკარად ინტერნაციონალური ხასიათის მატარებელია. რომაულ-ბიზანტიური გავლენების შესაბამისობა კი მრავალმხრივია და მრავალფეროვანი. ჩაცმულობა და ტანსაცმლის მორთულობა წარმოაჩენს რომანიზებული მანდილოსნების საზოგადოებას ხმელთაშუაზღვისპირული გავლენებით, რაც კარგად გამოვლინდა თუნდაც გულმკერდის არეში საკინძების ტარების წესიდან გამომდინარე. აფშილეთში გამოვლენილი იარაღის ტარებისა და ჯავშნების ტარების ასპექტები და ტიპოლოგია იგივე სცენარს იმეორებს, რაც შეესაბამება დასავლურ ჯარებს. ინტეგრაციის დინამიკა ნათლად შეინიშნება არქეოლოგიურად დადასტურებული სუპრისთვის განკუთვნილი ნივთბის კომბინაციაში, რომელიც ახ.წ. 400-450 წლებიდან სამარკო სამარხეული დეპოზიტი ხდება მემომრებისთვის (ამფორისა და მინის სასმისების კომბინაცია, რასაც საკმაოდ ვრცელ გეოგრაფიულ არეალში გაედევნება თვალი).[3] ეს ხასიათი შეესატყვისება სასაზღვრო ზოლისთვის დამახასიათებელ თვისებას, რაც კარგად აისახება პანონიისა და დუნაის სანაპიროების ძეგლებზეც.

გავრცელებული იარაღების ტიპი მიუთითებს სახელმწიფო მომარაგების სიტემაზე. მსგავსი მონაცემები დასტურდება ბიჭვინთაშიც, რაც შესაძლოა სამხედრო მონაცემების გავრცელების პირდაპირ წყაროზე მიუთითებდეს. სპეციფიკა, რომელიც დაიძრა აფშილეთისკენ, როგორც ჩანს, გახლდათ ჩრდილო დასავლეთ ლაზიკაში გაძლიერებული რომაულ-ბიზანტიური პოლიტიკის შედეგი (განსაკუთრებით ადრებიზანტიური ხანიდან ახ.წ V საუკუნიდან, როცა საბრძოლო კამპანიებისთვის წინაპირობა შექმნილია და დიდი ინტერესი შეჩერებულია კავკასიზე), რომელიც ასევე კომბინირებული იყო ლაზიკის შიდა პოლიტიკურ ინტერესებთან.

---

[1] მოქლონიანი დანარტები

[2] დადასტურდა აბგიძრახუს სამაროვანის 3 კრემაციულ სამარხში, იხ.დასახ. ნაშრ. М. Трапш. **1971**:24. Tabl.II.5

[3] წებელდს სამარხი 1-43, იხ. დახ. ნაშრ: Ю. Воронов. **1982**. pic 17.1.

Eliso Bagaturia
Ludwig Maximillian University

CLOTHINGS IN ABSILIA

Abstract

Cloting habit in Absillia is largly unknown and scientificly never exemined. Archaeological picture show the females about 1,6 cm length (Abg.gr.N45) and 1,72 or 1,80 cm males buried in their best garments with their most prized ornaments and possessions. But survival condition basis, poorely documented reports and sketches gives a limited information. Inhumation graves suggest fully dressed society according to their garments and dress attires. Arrangment of various fasteners gives images of clothing fashion. Survival mineralised textile fragments found in female grave N33 of Apushta cemetry may support clothing textile, but survival traces never was investigated. Unfortunatly it is not possible to give the detail analyses of demostrated dress attire, but it may be significant to know how the society represented themselfs in the areas of the rivers Machara and Kodori valley during the 170-600 AD.

The basic garment for both genders might be the ***tunica*** with varying sleeve and hem length pined variously throughout the roman and Byzantine period. Lienen (and wool) as common fabric for tunic was easily obtain in Colchis.

Female dress attire. The size and shape of female clothing is dificult to proove archaeologicly. We may only speculate all garment types and their practical purposes. An established component of women's fasion might be the dress below the knee or riched the ankle. Simple narrow sleeved basic tunica with slit neck possibly wore toghether with the short sleeved over dress (**Table I, VI**) wether drapped (**Table VII**) or belted either under the breast (**Table VII**) or at the waist (**Table VI**). Fibulae arrangment suggests the overgarment mathces to the ***peplos*** type which was fastened at the chest (**Table VI**). Dress was fastened at the chest, shoulders, rarely on sleeve (**Table VI**) and at the waist **(Table VII)** indicate dress fasion and function. Function criteria was the key feature for fibulae dimension that coresponded to fasion and other practical nessecciaties.

Fasteners postioned at under the scull or at the temples support the idea that garment must be pulled over the head to cover (***palla***?) or must be used the seperate headress (**Table Table XVI**). Hair decoration was largly poore and no pins remain. Coil wares hoops directly arranged on wavy (**Table V**) or braided hairs. Several ringlets belong the occasional finds were simply arranged in female hair (**Table VIII**). Favoured arrangments of fibulaes (**Table II, III, IV, XV**.1), hoop rings (**Table VIII, XV**.3) and stone decorated plate pins (**Table XV**.2) at the temple may probably indicate hair decorative textile straps.

Garment fasteners assested by favourible decorative straps characterise homogen nature of metal spirals (**Table XVI.**4) and animal tooth of probably amuletic

purpose. Such streps decorated female head or shoulder (**Table II**). Appearance of strandart features related to the AD 450 when new Christian belief shaped much simbolic values of representative side. Purely aesthetic local values focus on applied coil ware elements with uncertain menaings that lasted over three thousend years and continously produced during the AD 170-400. New estethic values that occupied an important place in Absilian life more than 150 years demonstrated by geometric elemets of dot-in-circle that was especially typical for local utilitarian powering pottery from AD 320 and fashioned on fasteners like fibulae and 50 years later treated on buckles as well. It was obviously introduced on foreign decorative anviroment.

The only evidences of belted female dress with buckles demonstrate middle and high class females buried in Abgidzrakhu cemetry and may date to the AD 340-370. Certain belts may suport strepped knifes at the waist. But dificult to say if knifes was actually worn by females or simply deposited in graves occurs either on the breast or hip or at the waist. In any case occuarence of knife on waist may suggest the method of their use (**Table II**).

Verious and numerious beads used almost all female. They wore simple bronze hoop earing (**Table VI, VII**). Spatial distribution of nail cleansing strapends or cosmetic sets (**Table VII.XV.B.**1-2) attached to the waist (**Table VII.**11) or worn on the right shoulder show the development of roman habities. Number of similar finds has multiplied rapidly during the AD 480-500. Aspects of wareing the smal bells that occur from the AD 450 probably related to the christianiation.

Civilian male dress attire. Basic garment of civilian male might be very simple sleeved tunic reach the knee or above and belted with narrow leather fastening belt buckle which might not be identical with militry one. Observed diferences between various chronologic group demostrate earlier male dresses rarely used buckled belt or other fastened items. Changes appear towards the AD 270 when three cremation graves proove the use of single buckles and plate brooch or bow feabula. The strips of cloth wound round the legs may protect from cold wether. Winter overgarment required cloack of much haviy garments as ***sagum*** fastened on the left shoulder or ***paenula*** type with frunt fibulae with or without hood and knee-length or longer. Fibulas had been worn single for fastening the overgarment until they fell out of fashion (**Table XIV**) that is remakrable towards the second half of the 6th century.

Warriors. The clothig that may distinguish wariors from the civilians might be the short sleeved outer garment possibly the knee length (***Tunica exteriodum***) that become shorter towards the AD 380/400 (**Table XII**) and worn over the simple wide sleeved undergarment tunica (**Table XII**). Fasteners suggesting overgarments of short ***Paenula*** type cloack with front fibulae (**Table XI**), ***Lacerna*** fastened at the right shoulder (**Table XI**) fastened at the right shoulder and the ***Sagum.*** Soldiers wore the body armor would ware the undergarment made of the heavy fabric or leather as required.

Archaeological remains of leather footware tied near to the ankle (**Table XIII**) may suggest that warior wore the trouses fell to the ankle that called as ***braccae*** by romans. Only two different footware examples remain in Absilian grave context of AD 500-550. Remains show leather material. First examples likewise the ***Subtalaris*** ('below the ankle') covered the foot and tied untill the ankle. Character and number of other shue fasteners demonstrate havily construted footware covered the ankle and reached until the shin (**Table XII, XV**). Survival remains suspended by bronze fittings, side plates for leather thongs and small buckles.

Soldiers took part in difencive or ofencive processes of Tsibile demostrate aditional protective cloths of imperial class. Two different types of armoury illustrated the roman type body armour ***Lorica Hamata***, 'Ring mail' and ***Lorica Segemntata*** (scale, segmentata plate). It is difficult to say if roman armory was indtroduced in Absilia before the Byzantine-Sassanian campaign, but Lorica hamata obviously has earlier traditions of use. Details of ***Lorica Hamata*** view arangment of riveted linkes alternating with rings (**Table XVII.**1-2**).** Survival parts show fastening or front deails (**Table XVII.**3). It usally did not occur the extended sleeves and shortened to the below the waist. Such armoury was typical protection for Auxiliary troops that utilesd by Legionaries as well. Soldiers armed with much developed form of Lorica Hamata the '***Ring Mail'*** (Term indicate 'four in one' pattern or weaved) assembled together riveted rings that required interlocking one iron ring with four others (**Table XVII.**4). It was suitable only for slashing and blunt weapon attacks. Body Mail armour was suggested for warm climate as well and widely used in Eastern Empire. ***Lorica Segemntata*** was a body armor susupended by segments or plates assembled with leather straps and buckles or metal hooks (**Table XVII**.6-8). It was affective protection from arrows and stabbing weapons used by legionary soldier. Scale fastening probably made on the left-hand and may protect by shield.

Fibulae display show dress fastend on the left (**Table IX**) or right shoulder. The method of wearing the **fasteners** on the right shoulder expected to keep the cloak back from the sword. Fibulae with havy crucifrm head up and foot down pined ***Paenula*** on the chest (**Table X, XII**). Jewellry wore by the male in Absilia consist braceltes, rings and nose rings. Ring and bracelet wearing features in male graves already remarkible from the AD 270-300.

Functional militiary belts. Standart features of belted dress appear during the AD 400-450/500 related to male bieng in military duty and havily equiped. Their functional nature is obvious and acompanied with shoulder streps supporting the waist belt with scabart.

An exaptional standrtise case of multi-part riveted belts occur warriors buried in Tsibile cemetry grave N1a-3 (**Table XIV**), N8 (**Table XV-**) and 13a (**Table XIII-**). The number of strip-terminals illustrates medium or wide belts. Each strip had four studs that expect the wide dimensions, while large namber of strips characteised to the narrow belts (**Table XVIII**). Two rivets sequare the belt and sup-

port the dagger. One of them distinguishes with decorative 'musc fittings' common in Northern Caucasus (Uc Tepe grave from Azerdbajdjan), Sasanian Persia and Lombard Italy-Nocera Umbra (gr.N16,18,42,79,84,85) and dated to the final quarter of the 6th century. Belt fittings are either narrow plates (**Table XII-b**), wide (**Table XII-g**) or alongated (**Table XVI-C**). 'Heraldic' type strap ends decoration suspended the belt of light equiped warior from Tsibile fort grave N3 remind similar finds from Tolnànemedi and Leodorf (**Table XVIII.I**).

Functional belts supported wether the swords, seax, knife and few cases show additionally attached nesseccary element for making fire (**Table XVIII.E**) or sword wretstone. Functional belt set suspended by circle loop (**Table X; XVIII.C-D**) suported sword streps or seax and two circular riveted attachments for dagger or knife (**Table IX-a, XIV-k; XVIII.A, J**). Funcinal belt possibly occur small bags for such nessesery items like the sword wretstone (**Table XII**). Belt buckles worn usually on the right side.

Weapon wearing method. Havily equiped warior occure several combination weaponry like pairs of lance and Pilum (**Table IX-)** asseting the single or pairs of diferent sword combination, battle axe and seax or knifes. They were aditionaly protected by shields of oval, or sqaure type.

Funcional belt fittings, baldrics and sword scabards give a limited understanding about the weapon wearing method in Absilia. There is two ways spatha was worn: 1.spatha slang from the shoulder belt or baldric fixed to the inside carved scabard (**Table IX**) or 2.threaded through the 'scabard slide' (**Table X-**). Knifes would hang by leather threads on the knife circular rivets at the right (**Table IX-**). Arrowhead bag would hang in the same way at the left (**Table IX-**). Battle axes supposed simply stick into the swavn on wide strong belt (**Table IX-, X-, XII-**).

Interpretation. Observation through clothing and other individual components related to body care (flasks) and buty (cosmetic sets), mobility of armies and grave offerings expressing an international character. The responce of Roman and Byzantine influences were varied. Dress attire avidence romanised female socity with mediterranean influences of wearing the fibulaes on the breast. Aspects of weapon wearing method or body armour observed in Absilia show the similar scenario relevent to Western armies. Features of integration signalled by development drinking and eating culture presented by coresponding items typical to the frontier regions.

Comperions what happend during the AD 170-300 and after AD 380 show consdierable difenernces of weapon types, mobilisation and sthrengthened imperial military power in Absilia. Standartisation of military equipment demonstrate a great deal of individual combat technique, military class and composition. Similar features evidenced in Pithius suggest distribution of new developments through Pithius or Sebastopolis. Specific features moved to Absilia might be a consequance of roman-byzantine encreased political domination in NW Colchis/lazica (especially from early byzantine period when military campains increases the in-

terest of Caucasia) combined with Lazian innter political interest in this area.

Table I



Bat cemetery grave 5. Grave Data: AD 260-270.

Table II



Apiancha cemetery, grave 37. Grave Data: AD 340/360-400

Table III

Abgidzrakhu cemetery, grave 45. Grave date: AD 340/360-410
Grave offerings: A-pottery jug, B-knife.

Table IV



Alrakhu cemetery, grave 5. Grave data: AD 400-410
Grave offerings: A-local pithoi, B-Local pottery, C-Mayen type glass vessel.

Table V

Aukhumakhu cemetery, rave 1. grave data: 380-410.
Grave offerings: A-local pottery, B-knife.

Table VI



Tserkovni hill cemetery, grave N8. Data: AD450-500.
Grave offering: local jug, B- local storaje ware.

Table VII



Tsibile cemetrey, grave 23. Grave data AD:530-550
Grave offerings: A-locl jug, B-glass vessel, D-knife.

Table VIII

Abgidzrakhu cemetery, grave 5. Grave data: AD 520-550
Grave offerings: A-local pottery, B-Knife, C-glass vessel, D fragment of animal tooth.

Table IX



Tserkovni hill cemetery, grave 6. Grave data: AD 450.
Grave offerings: A-Local pithoi, B-amphorae, C-local jug, D-Egyptian glass vessel, E-LR *sigilata*, F-coin of Hadrian (117-138), G-stone.

Table X



Tserkovni hill grave 5. Grave data: AD 500-550
Grave offerings: A-LR *sigilata*, B-uncertain iron item, C-local jug, D-imported vessel

Table XVI

A. Headcover and decorative: 1. fibulae, 2. pin,
B. 3. hooks



B. 4, 6-7. Decorative strep-ends. 5. bell

C. 1-3. *Lroca Hamata*; 4. *Ring Mail*



D. *Lorica segmentata*

Table XVII



ნოდარ ბერულავა,
დარიკო ფიფია
სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადრეშუასაუკუნეების ეპოქის დასავლეთევროპული საგმირო ეპოსის ზოგიერთი ასპექტის გაგებისათვის

„ჰეროიკული ეპოსის“ ნაწარმოებები უმეტეს შემთხვევაში პატრიარქალური საზოგადოების საომარ კოლექტივებში, მათ შორის მეფე-ბელადების პირად ამალებში იქმნებოდა. ხსენებული რაზმები მეტად თავისებურ და საინტერესო მოვლენას წარმოადგენდნენ. სპეციალურ ლიტერატურაში ასეთ გაერთიანებებს„კომიტატებს“, ხოლო მათ წევრებს – „კომიტებს“ ეძახიან.[1] პატრიარქალური ეპოქის სამხედრო რაზმი, თავისი ტიპიური სტრუქტურით იმ დროის პროდუქტია, როცა საზოგადოებაში დომინირებს ნათესაური, ან ფსევდონათესავური პრინციპის მიხედვით გამიჯვნა-გაერთიანება. რაზმიც ნათესავური ჯგუფის (ოჯახის, თემის) იმიტაციას წარმოადგენდა. ხშირ შემთხვევაში მასში შესული კაცი სპეციალური რიტუალებისა და ფიცის მეშვეობით უარყოფდა თავის ყოფილ,მშობლიურ თემს და შედიოდა ახალ„ოჯახში“,სადაც ბელადი„მამა“ იყო, ხოლო რაზმეულები, მათი კატეგორიიდან გამომდინარე - უფროსი და უმცროსი„ძმები“. მაგრამ ცხადია, შინაგანი ურთიერთობები ამ კოლექტივებში მარტივი არ იყო.

რაზმეულთა (პროფესიონალ მეომართა) წრეში შექმნილი ეპიკური ნაწარმოებები, როგორც წესი ძლიერ იდეოლოგიურ დატვირთვას ატარებდა და მებრძოლთა ახალი თაობების აღზრდის საქმეს ემსახურებოდა. შესაბამისად, ადრეშუასაუკუნეების წარმართულ, ასევე - მათ საფუძველზე შექმნილ ზოგიერთ ადრექრისტიანულ ნაწარმოებში შემონახულია მეფე-ბელადებისა და იდეალური მეომრების - ეპიკური გმირების ურთიერთობების ზოგიერთ საინტერესო ასპექტზე მინიშნება, რომელთა გაგება შეუძლებელია აღნიშნული ეპოქისა და საზოგადოებრივი წრის მენტალური თავისებურებების გათვალისწინების გარეშე.

ბელადებს, განსაკუთრებით კი განთქმული დინასტიების წარმომადგენლებს, ზეციური ძალების განსაკუთრებულ წყალობას, მათთან ლამის პირდაპირ კონტაქტს მიაწერდნენ ხოლმე. ამიტომაც მათ მიერ ნაჩუქარ ოქრო-ვერცხლეულობასაც ხშირად არ ხარჯავდნენ და საპატიო თილისმებივით ინახავდნენ. ამ ნივთებს საერთო ნადიმებისა და საერთო ბრძოლის მსგავსად, მისტიკური მადლის ერთგვარი გაცვლა-გამოცვლის ფუნქციას მიაწერდნენ ხოლმე.[2] **ანალოგიურად, განგმირული მტრის ბელადის აღჭურვილობა, სამკაული, ტანისამოსი და ა. შ., ძვირფას ნადავლს იმის გამოც წარ-**

---

[1] komitatus - ლათინური ტერმინია, რომელიც მეომრებში არსებულ ჯგუფურ სოლიდარობას, ნაკლებფორმალურ პირად ურთიერთობებსა და ჰორიზონტალურ მეგობრულ კავშირებს ასახავს, – **Кардини**. **Истоки средневекового рыцарства. М., 1987,** გვ. 106.

[2] **А.Гуревич. История и сага. М., 1972,** გვ. 55–57, 84.

მოადგენდა, რომ მასთან ერთად გამარჯვებულს მისი ყოფილი მფლობელის მადლის ნაწილიც ერგებოდა. იმ შემთხვევაში, თუკი რიგითმა მებრძოლმა მტრის ბელადის მოკვლა მოახერხა, ის ჩვეულებრივ მის ნივთებს თავის მეთაურს მიართმევდა, რითაც დიდ ჯილდოსა და წახალისებას დაიმსახურებდა, მათ შორის, შესაძლოა ამ ნივთების ნაწილის სახითაც. მაგრამ თვითნებურად ასეთი ნადავლის მითვისება თავისი ბელადის აბუჩად აგდებისა და მეომრის უზომო ამბიციებს მიანიშნებდა.

აღნიშნული მადლი და ღმერთების წყალობა, მაშინდელი წარმოდგენების თანახმად მარტო მემკვიდრეობით როდი გადადიოდა ბელადების ოჯახებში. საუკეთესო დინასტიის წარმომადგენელიც კი, თუკი მისი ღირსი არ აღმოჩნდა, მისი დაკარგვის საშიშროების წინაშე დგებოდა. და პირიქით, გმირს - განსაკუთრებით კი რომელიმე ბელადის შვილს, ანგანთქმული ოჯახის წარმომადგენელს მაინც, საჭირო თვისებების გამოვლენის შემთხვევაში, მეფეზე არანაკლები ღვთის წყალობის მიღების შანსი ჰქონდა. თუმცა „ღვთის წყალობა“ - არცთუ ზუსტი დასახელებაა იმ ბედიისწერისა, რომელიც რჩეულთა ხვედრს წარმოადგენდა. აქ საუბარია გაცილებით ღრმა და იდუმალებით მოსილ მოვლენაზე, ვიდრე მაგალითად რომელიმე წარმართული ღვთაების წყალობა და მფარველობა კონკრეტული პიროვნების მიმართ. ძველ გერმანელებსა და კელტებს, ანტიკური ბერძნების მსგავსად სწამდათ, რომ სადღაც არსებობს მათთვის ცნობილ ანთროპომორთულ ღმერთებზე მაღალი ძალა - ბედისწერა, რომელიც ჩუქნის და ართმევს იღბალს როგორც ადამიანებს, ასევე თვით ღმერთებსაც კი! მის მიერ ბოძებული მადლი (მას პირობითად „იღბალს“ ეძახიან, თუმცა ძველად ამ ტერმინს უფრო ღრმა მნიშნელობა ჰქონდა) არათანაბრად განაწილებულია კაცობრიობის ერთ ნაწილზე და თვით ღმერთებზე. არსებობს მისი სხვადასხვა დონეები: ამ იღბლით დაჯილდოებული ორი პიროვნების მეტნაკლებად ინტენსიური, როგორც მტრული, ასევე მეგობრული, ან ნათესავური კონტაქტების შემთხვევაში, უფრო ძლიერმა იღბალმა შეიძლება შთანთქოს შედარებით სუსტი, ან უკეთეს შემთხვევაში - დაჩრდილოს ის. თუმცა ზოგჯერ პირიქით, ამ მადლით დაჯილდოვებული პირის გვერდით მყოფი ადამიანებიც იღბლიანები ხდებიან, ხოლო უიღბლო კაცის გვერდით ყოფნა, შესაბამისად საშიშია. ბუნებრივია, ამ ზეციური მადლის ყველაზე დიდი ხვედრითი წილი ღმერთებზე მოდის, თუმცა მათაც ზოგჯერ ბედი ღალატობს ხოლმე, რისი არაერთი მაგალითიც შემონახულია, კერძოდ, სკანდინავიურ თქმულებებში (პირველ რიგში „უფროსი ედას“ ციკლისა). მეორე ადგილზე, ჩვეულებრივ მეფე-ბელადები არიან, რომელთა დინასტიები შორეულ წარსულში ღმერთებს ენათესავებოდნენ. მაგრამ ამის გარდა გმირებიც, ანუ ჩვენი თანამედროვე ლექსიკონით - „სუპერმენები“ არსებობენ, რომლებიც თავის მოღვაწეობაში (პირველ რიგში - ომებსა და ლაშქრობებში) ბრწყინვალე შედეგებს აღწევენ, რაც მაშინდელი წარმოდგენების თანახმად, ზეციური წყალობის გარეშე შეუძლებელია ნებისმიერი ძალისა და ჭკუის პატრონისთვისაც კი. ჩვენ ასეთ პიროვნებებს ხშირად „ქარიზმატულ“, ან „ბუნებრივ ლიდერებს“ ვეძახით.

თუკი ძველი ბერძნები ყველაზე გამორჩეულ, ლეგენდარულ პიროვნებებს ჩვეულებრივ ღმერთთა უკანონო შვილებად მიიჩნევდნენ, დასავლეთ ევროპის

„ბარბაროსულ“ სამყაროში ითვლებოდა, რომ პირად თვისებებსა და „იღბალს“ შეუძლიათ გაათანაბრონ გამორჩეული გმირი ღმერთებთან თუ არა, მათი მფარველობის ქვეშ მყოფ მეფეებთან მაინც. მითუმეტეს, რომ ლეგენდარული გმირებიც, რომლებიც ასევე ზეციურ მადლს იმსახურებდნენ, როგორც წესი თვითონაც სახელგანთქმული, შესაძლოა ღმერთებისაგან წარმოშობილი გვარების წარმომადგენლები იყვნენ. და ხშირად სწორედ ასე ჩნდებოდა ახალი დინასტიები. გმირი მეომართა ნაწილს თავის ირგვლივ გააერთიანებდა და თვითონ ბელადი ხდებოდა, ან ნაკლებღირსეულ ბელადთან კონკურენციაში იმარჯვებდა, ან პირიქით, კრიტიკულ მომენტში ავლენდა ორ მთავარ თვისებას - პირად გმირობასა და აბსოლუტურ ერთგულებას ბელადის მიმართ, რითაც ამ ბელადის სიკვდილის შემთხვევაში, მისი ადგილის დაკავების შანსიც კი ჰქონდა (ბუნებრივია, თუკი ბელადს პირდაპირი მემკვიდრე არ ჰყავდა). ამის კლასიკური მაგალითია ეპიკური გმირის - ბეოვულფის სიკვდილის ეპიზოდი, რომელიც სამეფოს უტოვებს ყმაწვილ ვიგლავს (ოდესღაც მტრული, მაგრამ ღირსეული ვაგმუდინგთა კლანის წარმომადგენელს), რის ნიშნადაც მას ძვირფასი ნადავლის ნაწილს: ყელსაბამს, ბეჭედს, აბჯარსა და ჩაფხუტს ჩუქნის.[1] ამ დროს კი ბეოვულფის დანარჩენი მეომრები ხმის ამოღებას ვერ ბედავენ, რადგან შერცხვენილნი არიან. მათ ჩაიდინეს მეომრისთვის ყველაზე სამარცხვინო დანაშაული - მიატოვეს თავიანთი მეფე ურჩხულთან ბრძოლის დროს და ის ფაქტიც კი, რომ ისინი თვით მეფის ბრძანებით მოიქცნენ ასე, ბოლომდე ვერ ამართლებს მათ. მეფესთან ბოლომდე დარჩენილმა ვიგლავმაც ბრძანება ხომ არ შეასრულა, მაგრამ სწორედ ამით თავისი ერთგულება და ღირსეულობა დაამტკიცა.[2]

მაგრამ ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმას თითქოს გმირმა, რომელმაც ერთხელ დაიმსახურა ზეციური მფარველობა, ამით იოლი ცხოვრება მოიპოვა. ბედის წყალობა და გამორჩეულობა საკმაოდ მძიმე ჯვარია. ის გარკვეულწილად მუდმივ პასუხისმგებლობასა და ტვირთს წარმოადგენს და გმირი მთელი ცხოვრების მანძილზე უნდა ამტკიცებდეს, რომ ნამდვილად მისი ღირსია. მშვიდობიანი სიკვდილიც კი გმირს არ ეკადრება. ჩვეულებრივ, ეპიკური გმირები ბრძოლაში, იღუპებიან ხოლმე კიდევ ერთი, თანაც უდიდესი გმირობის ჩადენის დროს. დღევანდელი გაგებით ეს ტრაგიკული ფინალია, მაგრამ „ჰეროიკული საუკუნის“ წარმოდგენებით შებრალებას სწორედ ის გმირი იმსახურებს, რომელიც ასე არ დაღუპულა, რადგან ამით მან „წყალში ჩაყარა“ მთელი თავისი მოღვაწეობა და შესაძლოა, დაკარგა კიდევაც თავისი კუთვნილი საპატიო ადგილი საიქიოში, ღმერთების გვერდით. გმირული დაცემა ასეთივე გმირული სიცოცხლის ლოგიკურ ფინალსა და დაგვირგვინებას წარმოადგენდა. ის ნიშნავდა სიკვდილის შემდეგ პრივილეგიურ მდგომარეობას არამარტო გმირებსა და ბელადებისთვის, არამედ მათ თანამებრძოლთათვისაც. იდეალურ შემთხვევაში ეს მათ ისევ ბეოვულფივით, სიბერეში, ხანგრძლივი მოღვაწეობის შემდეგ ემართებათ. თუმცა ის ეპიკური გმირიც (მაგალითად, ზიგფრიდი, ან მისი სკანდინა-

---

[1] **Беовульф,** – იხ. ელექტრონული ვერსია: *lib.rin.ru/doc/i/46032p81.html,* გვ. 81.

[2] **Беовульф,** – იხ. ელექტრონული ვერსია: *lib.rin.ru/doc/i/46032p81.html,* გვ. 81..

ვიური პროტოტიპი სიგურდი), რომელიც ახალგაზრდა, თანაც როგორც წესი – ვიღაცის ვერაგობის შედეგად იღუპება, ბუნებრივია თანაგრძობას კი იწვევს, მაგრამ მისი ბედი მაინც უკეთესია, ვიდრე ჰეროიკული ეპოსების იმ ოდესღაც ძლიერი პერსონაჟებისა, რომლებმაც სიბერეში უსუსურობა გამოიჩინეს. ამისი კლასიკური მაგალითია ბეოვულფის უფროსი პარტნიორი - დანთა მეფე ჰროდგარი (ოდესღაც ძლევამოსილი გველეშაპთა მძლეველი), რომელმაც ბეოვულფის გარეშე ვერ მოახერხა ურჩხული გრენდალისაგან თავისი ხალხის დაცვა, რითაც „სახე დაკარგა“.

კიდევ უფრო საინტერესო მაგალითს წარმოადგენს დანიის ლეგენდარული მეფე ჰაროლდ ბრძოლის ეშვი, რომელიც ეპიკური ტრადიციის თანახმად, სიბერეში სასტიკ პარანოიკად იქცა. ამის გამო მისმა თანაშემწეებმა მისი მოკვლაც კი სცადეს და ამას ღალატად სულაც არ თვლიდნენ, რადგან მათი გაგებით, თავიანთ მეფეს გაუსაძლის ტვირთს აშორებდნენ, რომლითაც მისთვის სიბერე იქცა. ამ შემთხვევით გამოფხიზლებულმა ჰაროლდმა კი „ოფტიმალური გამოსავალი“ იპოვა: მან როგორც იქნა გადაწყვიტა თავისი სიცოცხლის დასრულება გმირულ ბრძოლაში, ხოლო მეტოქედ თავისი ძმისშვილი - შვედეთის მეფე სიგურდ ბეჭედი აირჩია მხოლოდ იმიტომ, რომ ყველაზე ღირსეულ, თანასწორ მოწინააღმდეგედ ჩათვალა. ასეთია VIII ს-ის შუახანებში რეალურად მომხდარი ბრაველირის ბრძოლის ლეგენდარული ვერსია, რომელიც ლეგენდებში ლამის კოსმიურ მასშტაბებს იძენს. კერძოდ კი, ლამის მთელი მსოფლიოს საუკეთესო გმირები ჩამოდიან, რათა მონაწილეობა მიიღონ ასეთ სახელგანთქმულ საქმეში და თვით გერმანელთა მთავარღმერთი ოდინი მონაწილეობს მასში ანონიმურად, მეეტლის სახით (მოხუცი ჰაროლდი ვერც ქვეითად, ვერც მხედრად ბრძოლას უკვე ვერ უძლებს და იძულებულია იბრძოლოს ეტლზე მჯდარი, თუმცა სკანდინავიაში ეს წესი არ არსებობდა). და რაც მთავარია, სწორედ ოდინი, როცა რწმუნდება, რომ ჰაროლდი ნამდვილად იმსახურებს ამას, პატივს დებს მას და კლავს თავისი ხელით, რითაც „ვალჰალაში“ (გმირთა სასუფეველში) საპატიო ადგილს მიუჩენს მას. ჰაროლდის ღირსეული მოწინააღმდეგე-ძმისშვილი სიგურდ ბეჭედი კი უდიდესი პატივით კრძალავს მას.[1]

რა თქმა უნდა, ყოველივე ზემოთთქმული მხოლოდ აბსტრაქტულ იდეალს წარმოადგენს. რეალურ ცხოვრებაში კი არც მეფეები და არც სახელოვანი მეომრები დაზღვეულნი არ იყვნენ, მაგალითად, სიკვდილისაგან ავადმყოფობისა ან უბედური შემთხვევის შედეგად. ამ შემთხვევაში მათ მაინც აცილებდნენ საიქიოში, როგორც გმირებს, იარაღისა და ძვირფასი ნადავლის თანხლებით იმ იმედით, რომ ღმერთები მათ წარსულ მოღვაწეობას გაითვალისწინებენ.

იგივე მოხუც მეფეებსაც ეხება, რომლებიც ხშირად უარს არ ამბობდნენ ბუნებრივ სიკვდილზე. ყველა მათგანი ფანატიკოსი როდი იყო! თანაც კომიტატური იდეოლოგიის ისეთ ნაკრძალშიც კი, როგორიც ადრეშუასაუკუნეების სკანდინავია იყო, წყაროები ზოგჯერ საკმაოდ მშვიდობიან მეფეებსაც მოიხსენიებენ, რომლებიც ხშირად ომის წარმოებას სხვა პირებს ავალებენ, თვითონ კი

[1] Г.Джонс. Викинги, потомки Одина и Тора. М., 2006, გვ. 47–49.

აქცენტს აკეთებდნენ ბარბაროსი ბელადების სხვა დამახასიათებელ ფუნქციებზე: ძველი ადათ-წესების დაცვაზე, სხვა ტომებთან და თვით ღმერთებთან ურთიერთობების რეგულირებაზე, ანუ სიბრძნეზე გმირობის ნაცვლად.[1] ესეც საპატიო მოღვაწეობად ითვლებოდა და ალბათ, ასევე საიქიო ცხოვრებაში გარკვეული პრივილეგიების გარანტიას წარმოადგენდა, თუმცა შთამომავლები უფრო სამხედრო მოღვაწეობას აფასებდნენ.[2] ხოლო რაც შეეხება სკანდინავთა რწმენას, რომ „ვალჰალაში" მოხვედრა მხოლოდ იარაღით ხელში დაღუპულთა პრივილეგიაა, ამ პრობლემას ადვილად წყვეტდნენ ხოლმე. მომაკვდავ, ან ახლადგარდაცვლილ კაცს ხელში მახვილს აძლევდნენ და ასე აცილებდნენ საიქიოში.

სიკვდილისადმი აღნიშნული მიდგომა, (ან მისი გარკვეული ნიშნები) ქრისტიანულ ხანაშიც საკმაოდ დიდ სიცოცხლისუნარიანობას იჩენს, მათ შორის ისეთ ნაწარმოებებშიც, რომელთა გმირები ქრისტიანებად ითვლებოდნენ. ზემოთხსენებულ ბეოვულფზე არაფერიც რომ ვთქვათ, ისეთი რეალისტური ენით დაწერილ ისტორიულ-ბიოგრაფიული ჟანრის ნაწარმოებებში, როგორიცაა ისლანდიური საგები, ოდნავ შენიღბული ფორმით არაერთხელ გამოთქმულია მოსაზრება, რომ დროული და ღირსეული სიკვდილი მადლს წარმოადგენს ვაჟკაცისთვის. ამისი კარგი მაგალითია ლეგენდარული ვიკინგის - ეგილ სკალაგრიმსონის გმირული ცხოვრების ბოლო წლების აღწერა. კერძოდ, ეს რეალურად არსებული ისტორიული პერსონაჟი, ოდესღაც ინგლისის სამეფოს ფაქტობრივი გადამრჩენელი, მშობლიურ კუნძულზე დაბრუნების შემდეგ არსებითად უსაქმური ხდება. ის ნელნელა ბერდება და უსაქმურების გამო, ჯერ ახალგაზრდა ხულიგანივით ჩხუბისთვის ნებისმიერ საბაბს ეძებს, შემდეგ კი თანდათანობით თვალის შუქს კარგავს და იძულებულია ვიღაც დედაბერისგან უხეში მოპყრობა აიტანოს, რაზეც სევდიანი ირონიით სავსე ლექსებს ქმნის.[3]

მომდევნო საუკუნეების რაინდულ ლიტერატურაშიც გმირული სიკვდილის კულტი არსებობდა. რუსთაველის სიტყვები - „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა სიკვდილი სახელოვანი" საკმაოდ სტანდარტულ იდეოლოგიურ კლიშეს წარმოადგენდა, რომელმაც რაინდულ-ფეოდალურ კულტურაში უფრო ძველი, „ბარბაროსული" ხანიდან შეაღწია. ცხადია, ეს მიდგომა გარკვეულწილად შენიღბული იყო ქრისტიანული იდეოლოგიით. კერძოდ კი, მადლიანად ცხადდებოდა არა ნებისმიერი სიკვდილი ბრძოლის ველზე, არამედ პირველ რიგში ქრისტიანობის მტრებთან ომში დაცემა. თუმცა საერო რაინდულ იდეოლოგიაში თავისი სიუ-

---

1 Снорри Стурлуссон. Круг земной. М., 1980.

2 **А.Гуревич.** История и сага. М., 1972, გვ. 84.

3 Исландские саги. **М., 1956,** გვ. 247-250).* * მაგრამ საქმე არ უნდა წარმოვიდგინოთ ისე, თითქოს ყველა მებრძოლი (ზოგიერთი გამონაკლისის გარდა) სულ გმირულ სიკვდილზე ოცნებობდა და წირავდა თავს. თუმცა ნორმან მეომრებს მართლაც ხიბლავდა სიკვდილის შემდეგ "ვალჰალაში" მოხვედრის პერსპექტივა, დროზე ადრე სიკვდილი მათაც არ უნდოდათ. ამისი მაჩვენებელია, თუნდაც მთავარღმერთ ოდინის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება. ოდინის ერთ-ერთი ზედმეტსახელი ხომ "მებრძოლთა მოღალატე "იყო. ითვლებოდა, რომ ის გმირებს აგროვებს „რაგნარიკესთვის"- ფინალური ბრძოლისთვის ქაოსის ძალებთან, რომელშიც, წინასწარმეტყველების თანახმად, თვითონაც უნდა დაიღუპოს. ამ მიზნით ის ხშირად მახეებს აგებს კარგი მებრძოლეებისთვის და დროზე ადრე ღუპავს მათ, რაც, ცხადია, ნაკლებმოსაწონი იყო.

ზერენისთვის თავგანწირვაც არანაკლებ საპატიოდ ითვლებოდა. XII ს-დან კი ევროპის საერო კულტურასა და ლიტერატურაში თავის გაწირვის კიდევ ერთი, მეტად მნიშნელოვანი ობიექტი ჩნდება - მშვენიერი მანდილოსანი, რომელსაც რაინდი ეთაყვანება. თუმცა განვითარებული შუა საუკუნეების ლიტერატურა ამ ნაშრომის ფარგლებს სცილდება.

მოგეხსენებათ, რომ აღნიშნული ნაწარმოებები ბარბაროსობის სტადიაზე მყოფი საზოგადოების ნაწარმია. მათი პერსონაჟების მენტალობა, პრიორიტეტები და მისწრაფებები თანამედროვე ადამიანისთვის ხშირად უცხოა, გაუგებარიც კი. გარკვეულწილად ეს აიხსნება ზოგადად „ბარბაროსული" საზოგადოების რეალიებით, რომლისთვის დამახასიათებელი იყო მუდმივი კონფლიქტები, საზოგადოების დაყოფა მცირე კლანებად, რომელთა ინტერესების დაცვა ხშირად თავგანწირვას მოითხოვდა ინდივიდისაგან.[1] მაგრამ ასევე გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნული ნაწარმოებები, ჩვეულებრივ ბელადების კარზე და პროფესიონალ მებრძოლთა კოლექტივებში იქმნებოდა და მათ სუბკულტურას წარმოადგენდა. დანარჩენი საზოგადოების შეხედულებები, ალბათ ნაკლები რადიკალიზმითა და ფანატიზმით ხასიათდებოდა.

Nodar Berulava, Dariko Pipia
Sokhumi State University

TO UNDERCTANDING OF SOME ASPECTS OF THE EARLY MEDIEVAL EPOS

Work of the heroic epos was created in circles of professional fighters and kings – leaders. One of their junctions was education of new generat ion of fighters. A lot of interesting aspects of "barbaric" society are reflected in this work. For example relation of the fighter and lcader moral priorities of ideal heroes.

---

[1] „უფროს ედაში", მაგალითად არის ერთი, დღევანდელი გაგებით ამაზრზენი ეპიზოდი, როცა ერთ-ერთი საკმაოდ დადებითი პერსონაჟი - დედოფალი ჰუდრუნი, რომლის ძმები მისივე ქმარმა - მეფე ატლიმ (ატილა) მოკლა, შურისძიების მიზნით თავისივე შვილებს კლავს და მათ შემწვარ გულებს ქმარს მიართმევს სადილად (8, სტროფი 36). საქმე იმაშია, რომ შვილები გვაროვნული ეთიკის თანახმად, მამის ოჯახს ეკუთვნიან მაშინ, როცა მათი დედა გათხოვების შემდეგაც თავისი მშობლიური ოჯახის წევრი რჩება. თუმცა ამ მითის გვიანდელ, გადამუშავებულ ვერსიაში - „სიმღერა ნიბელუნგებზე", დედოფალი პირიქით, თვითონ აკვლევინებს თავის ძმებს, რათა შური იძიოს მათ მიერ მოკლულ თავის პირველ ქმარზე - ზიგფრიდზე **(Песнь о Нибелунгах, –** http://www.fbit.ru/free/myth/texty/pnibelun/020.htm 6, XXXII-XXXIX). ეს უფრო გვიანდელი, ფეოდალური წესების გავლენაა, რომელთა თანახმად ცოლი უკვე ითვლება ქმრის, და არა ძმების ოჯახის წევრად.

პაპუნა გაბისონია
ივ. ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

თამაზ ბერაძის ხსოვნას

ბატონ თამაზ ბერაძეს ერთი წერილი აქვს, რომელსაც ლამაზი სათაური აქვს –„საქართველო ერთი თვალის გადავლებით“. მას დიდხანს უფიქრია, რომ მოხდენილი სიტყვა, მოხდენილი ფრაზა გამოეყენებინა, რაც ასე ამშვენებს მის ნაშრომებს. მისი გახსენების ყველაზე კარგი შესატყვისი სწორედ მისი წერილის სათაურის ცოტაოდენი შეცვლა იქნებოდა შესაფერისი: „თამაზ ბერაძე თვალის ერთი შევლებით“. ეს, რა თქმა უნდა, მის მრავალწლიან დაუღალავ მოღვაწეობაზე საერთო წარმოდგენას ვერ შეგვიქმნის, მაგრამ ბატონ თამაზს ზედმეტად გაჯერებული არც თხრობა და არც წერა უყვარდა: „მკითხველი არ უნდა დაღალოო“. საერთოდ, ბატონი თამაზი მოკრძალებული და საოცრად უშუალო, პირდაპირი და მეგობრული ადამიანი იყო, პირფერობა არ უყვარდა. ბევრჯერ უთქვამს თავისებური სიყვარულნარევი ვითომ უკმეხობით: „როცა მოვკვდები, არ დაიწყოთ მერე ეს რა დიდი მეცნიერი დავკარგეთ, საერთოდ არ მინდა თქვენი ქება-დიდება და ჩემი გაკეთებულის სათითაოდ ჩამოთვლაო“. ასეთი იყო, მაგრამ ბატონ თამაზს ამ თხოვნას ვერ შევუსრულებთ. მისი მოღვაწეობა თვალის გადავლებას აუცილებლად ითხოვს არამარტო მისი ხსოვნის გამო, არამედ შემდგომი თაობებისთვის, რომლებსაც მისი ნაშრომ-ნაღვაწი ბევრჯერ და ბევრჯერ დასჭირდებათ.

საერთოდ, ბატონი თამაზი თითქმის ყველა ჰუმანიტარულ დარგში გათვითცნობიერებული იყო და ამაზე ხშირად ხუმრობდა: „ეს იძულებით გამომივიდაო“. ისტორია მისთვის მთელი ცხოვრება იყო, რომელშიც „სანაპირო ცურვით შორეულ ოკეანეში შეაღწია“. უთქვამს კიდეც: „წარსულის სურათის აღწერა-აღდგენა დიდი სიამოვნება არისო“ და ეს სიამოვნება მან მკითხველს ბევრჯერ აგრძნობინა მისი წიგნებით, სამეცნიერო თუ სამეცნიერო-პოპულარული წერილებით, რომლებიც დიდი ინტერესით იკითხება, მერე კი დიდხანს ხდება ფიქრისა და განსჯის საგანი.

თამაზ ბერაძე 1937 წელს დაიბადა თბილისში. 1960 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტი და მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში. ამ დროიდან მისი მოღვაწეობა, თითქმის სიცოცხლის ბოლომდე, ამ ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული. იგი, ძირითადად, საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს იკვლევდა. სამეცნიერო მუშაობაში გამოიკვეთა მისი ინტერესი დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ისტორიულ-გეოგრაფიული საკითხისადმი. 1967 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე „ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.)“, ხოლო 1985 წელს – სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ზღვაოსნობა და

საზღვაო ვაჭრობა შუა საუკუნეების საქართველოში“. წლების განმავლობაში, ის სამეცნიერო-პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში, სადაც 1995 წელს პროფესორად აირჩიეს; 2007-2010 წლებში იყო ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე; დაარსების დღიდან მუშაობდა საქართველოს უნივერსიტეტში, იყო საქართველოს უნივერსიტეტის სრული პროფესორი და პრორექტორი სამეცნიერო დარგში. გამოქვეყნებული აქვს 100-ზე მეტი ნაშრომი, მათ შორის 9 მონოგრაფია. მისი სტატიები შესულია ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიაში, ენციკლოპედიაში „საქართველო“ და სხვ. საქართველოს უახლესი ხანის ისტორიაში არ ყოფილა რაიმე მნიშვნელოვანი პრობლემა, რომელსაც თამაზ ბერაძე არ გამოხმაურებოდა. ჯილდოები არ ჰქონდა. 2011 წელს აფხაზეთის უმაღლესმა საბჭომ დააჯილდოვა „საპატიო სიგელით“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წიგნის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან, აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ მომზადებასა და გამოცემაში შეტანილი წვლილისათვის თანაავტორებთან ერთად და ხუმრობდა, ეს არისო ჩემი ერთადერთი სახელმწიფო ჯილდო, რომელიც მრავალწლიანი სამეცნიერო მუშაობისათვის მიმიღიაო.

თამაზ ბერაძე მნიშვნელოვან საზოგადოებრივ საქმიანობასაც ეწეოდა. 1989-1992 წლებში იგი იყო ჟურნალ „საქართველოს ბუნების“ სარედაქციო კოლეგიის წევრი. ჟურნალის მთავარ რედაქტორთან, ოთარ ჭელიძესთან ერთად მისი წვლილიც ძალიან დიდია იმაში, რომ ეს ჟურნალი ერთ-ერთი საინტერესო და ინფორმაციული გახდა. უკანასკნელ წლებში იგი იყო „შავი ზღვა – კასპიის ზღვის საერთაშორისო ფონდის“ ვიცე-პრეზიდენტი და ფონდის მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო ფორუმებში ხშირად მონაწილეობდა.

თამაზ ბერაძის საკანდიდატო ნაშრომი „ოდიშის ისტორიული გეოგრაფიიდან (XII-XVII სს.)“ და შემდეგ გამოქვეყნებული ვრცელი პუბლიკაცია „ოდიშის პოლიტიკური გეოგრაფიიდან“ უმნიშვნელოვანესი გამოკვლევაა საქართველოს ამ კუთხის ისტორიის შესწავლის თვალსაზრისით. მან დიდი წვლილი შეიტანა სამეგრელოს და, საერთოდ, დასავლეთ საქართველოს ისტორიისა და ისტორიული გეოგრაფიის შესწავლაში. მისი ვრცელი ნაწილი შევიდა ფუნდამენტურ მონოგრაფიულ გამოკვლევაში „სამეგრელო, კოლხეთი, ოდიში“ (თბილისი-ზუგდიდი, 1999) ძველი ეგრისის სამეფოს, ახალი ეგრისის ანუ ლაზიკის სამეფოს, ეგრის-აფხაზეთის სამეფოს, ოდიშის საერისთავოსა და სამთავროს ისტორიაზე. მისი ყურადღების მიღმა არ დარჩენილა აფხაზეთის ისტორიის საკითხებიც. მონაწილეობა მიიღო ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე წიგნის „ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან. აფხაზეთი უძველესი დროიდან დღემდე“ მომზადებასა და გამოცემაში; სწავლობდა იმერეთის ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს; სვანეთის შუა საუკუნეების ისტორიას; მშვენიერი სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომი უძღვნა რაჭას.

თამაზ ბერაძე იყო საქართველოს ზღვაოსნობის ისტორიის კვლევის პიონერი. ზღვაოსნობის ისტორია ქართულ ისტორიოგრაფიაში მანამდე კვლევის საგანი არ გამხდარა. ერთხელ, ასეთი რაღაცა გაიხსენა: ერთ-ერთ კონფერ-

ენციაზე მომხსენებელს განუცხადებია, შავ ზღვას საქართველოს ისტორიაში უმნიშვნელო როლი შეუსრულებიაო. თურმე ამას არ დაეთანხმა და ამ საკითხის შესწავლა გადაწყვიტა. დაუღალავი შრომისა და კვლევა-ძიების შედეგი იყო შესანიშნავი სამეცნიერო-პოპულარული მონოგრაფია: „ზღვაოსნობა ძველ საქართველოში“ (თბ., 1981), სადაც შესწავლილია ძველი ქართული საზღვაო ტერმინები, ურთიერთობა უცხო ქვეყნებთან შავი ზღვის მეშვეობით... ნავებისა და გემების აღწერილობა. 1989 წელს რუსულ ენაზე გამოსცა ვრცელი მონოგრაფიული გამოკვლევა „Мореплавание и морская торговля в средневековой Грузии“. ამ ნაშრომით თითქოს გაცოცხლდა ქართული ზღვაოსნობის დაკარგული წარსული. შავიზღვისპირეთში ნაოსნობასა და საზღვაო-სავაჭრო ურთიერთობებს მან კიდევ მრავალი ნაშრომი უძღვნა.

2003 წელს მანანა სანაძესთან ერთად გამოსცა„საქართველოს ისტორია, წ. I, ანტიკური ხანა და შუა საუკუნეები“. ამ წიგნში, რომელიც ძალიან საინტერესოდ იკითხება, ახლებურად არის დანახული საქართველოს ისტორიის მთელი რიგი საკითხები. 2003 წელს გამოვიდა„საქართველოს ისტორიული ატლასი“, რომელიც მანანა სანაძესა და კონსტანტინე თოფურიასთან ერთად მოამზადა. საინტერესო ნაშრომი უძღვნა მან საქართველო-რუსეთის ურთიერთობებს („რუსეთ-საქართველოს ოთხი გამოუცხადებელი ომი“).

ბევრი შეიძლება დაიწეროს თამაზ ბერაძის პიროვნებაზე, მის მოღვაწეობაზე. მას დიდი გეგმები ჰქონდა. აპირებდა ხელახლა, ახლადმოპოვებული მასალების საფუძველზე გამოეცა შევსებული ზღვაოსნობა საქართველოში; აპირებდა სამეგრელოს ისტორიის დაწერას; მალე დასრულდება მუშაობა აფხაზეთის ისტორიულ ატლასზე, რომელსაც მან დიდი დრო და ენერგია შეალია...

ეს საოცრად კეთილშობილი და ნათელი ადამიანი ტრაგიკულმა შემთხვევამ შეიწირა. მისი ამ ქვეყნიდან წასვლით გულისტკივილთან ერთად ნაცნობ-მეგობრებში გაჩნდა ღრმა სევდა, რომ თამაზ ბერაძე ჩვენს შორის აღარ არის.

თამაზ ბერაძე

(გამოსათხოვარი)

ქართულმა ისტორიულმა მეცნიერებამ მძიმე დანაკლისი განიცადა. ტრაგიკული შემთხვევის შედეგად გარდაიცვალა თვალსაჩინო მკვლევარი და პედაგოგი, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თამაზ ბერაძე.

იგი დაიბადა 1937 წელს თბილისში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაასრულა 1960 წელს. იმავე წელს ჩაირიცხა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ასპირანტურაში და აქედან მოკიდებული ხუთი ათეული წლის განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდა აღნიშნულ ინსტიტუტში, სადაც განვლო სამეცნიერო კარიერის ყველა საფეხური ასპირანტურიდან სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემდე, იქვე დაიცვა საკანდიდატო (1967 წ.) და სადოქტორი (1982 წ.) დისერტაციები. სამეცნიერო შემოქმედებას კარგად უხამებდა პედაგოგიურ მოღვაწეობას. წლების მანძილზე ხალისით ასწავლიდა მშობლიური ქვეყნის ისტორიას სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებს. სიცოცხლის ბოლო წლებში მისი სამეცნიერო და პედაგოგიური საქმიანობა მთლიანად დაუკავშირდა საქართველოს უნივერსიტეტს, სადაც ის სამეცნიერო-კვლევით ნაწილს ჩვეული ენერგიით ხელმძღვანელობდა.

საქართველოს შუა საუკუნეების ისტორიის ნიჭიერი და ღრმადგანსწავლული მკვლევარი, თამაზ ბერაძე, ფართო მეცნიერული ინტერესით გამოირჩეოდა. იგი წლების მანძილზე ნაყოფიერად იკვლევდა დასავლეთ საქართველოს (სამეგრელო, აფხაზეთი, რაჭა, იმერეთი) ისტორიული გეოგრაფიის საკითხებს, რასაც პირველხარისხოვანი მონოგრაფიები და სტატიების მთელი სერია მიუძღვნა. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ თ. ბერაძემ ქართულ ისტორიოგრაფიაში გზა გაუკვალა სრულიად ახალ მიმართულებას — ზღვაოსნობის ისტორიას. უაღრესად ფასეულია მისი მონოგრაფიები, სადაც მდიდარი წყაროთმცოდნეობითი ბაზის საფუძველზე მეცნიერული სიღრმით არის გამოკვლეული ზღვაოსნობის ისტორია ძველი შუა საუკუნეების საქართველოში. ამ თემატიკას მან ბოლომდე უერთგულა — უკანასკნელ წლებში გატაცებით იკვლევდა საზღვაო საქმის განვითარებას საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკაში (1918-1921 წწ.), რისი დასრულებაც, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო. ფრიად საყურადღებოა თ. ბერაძის

წვლილი შუა საუკუნეების საქართველოს პოლიტიკური ისტორიისა და ისტორიული გენეალოგიის საკითხების შესწავლაში. აღსანიშნავია მისი ნაყოფიერი თანამშრომლობა „ქართულ საბჭოთა ენციკლოპედიასთან“ – დასავლეთ საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის შესახებ. მასში დაბეჭდილი ყველა სტატიის ავტორი თ. ბერაძეა.

სიცოცხლის უკანასკნელ პერიოდში კოლეგებთან ერთად დაასრულა აფხაზეთის ისტორიული ატლასის, აგრეთვე, ისტორიული ქრონოლოგიის სახელმძღვანელოს შედგენა, რომლებიც მალე იხილავენ დღის სინათლეს.

თ. ბერაძე – ჭეშმარიტი პროფესიონალი, კომპეტენტური სპეციალისტი, სანიმუშო მეცნიერ-ხელმძღვანელი და კონსულტანტი იყო, მისი ხელდასხმით, უანგარო და უშურველი თანადგომით წარმატებით იქნა დაცული არაერთი სადისერტაციო ნაშრომი, მან არაერთი დამწყები მკვლევრის პირველ ნაბიჯებს დაატყო თავისი კეთილისმყოფელი ხელი. იგი იყო სხვადასხვა სამეცნიერო პერიოდული გამოცემის რედკოლეგიის წევრი და მრავალი წიგნის რედაქტორი.

ბოლო წლებში თ. ბერაძე აქტიურად მოღვაწეობდა შავი და კასპიის ზღვების თანამშრომლობისა და პარტნიორობის საერთაშორისო ფონდის საქმიანობაში, როგორც მისი ვიცე-პრეზიდენტი.

თ. ბერაძის უაღრესად საინტერესო სამეცნიერო და პედაგოგიურ მოღვაწეობას ჰარმონიულად ერწყმოდა მისი პიროვნული ხიბლი, რასაც ბუნებრივად ქმნიდა მისთვის დამახასიათებელი კოლეგიალობა, კეთილშობილება, მიმტევებლობა, მეგობრობის ნიჭი...

თამაზ ბარაძეს გამორჩეულად თბილი ურთიერთობები ჰქონდა სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადმიურ პერსონალთან, ადმინისტრაციასა და ახალგაზრდა მეცნიერებთან. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მისი დამოკიდებულება ახალგაზრდა ისტორიკოსებთან, არ დარჩენილა არცერთი სოხუმელი მკვლევრის სადისერტაციო ნაშრომი ისტორიის დარგში, რომლის ხელმძღვანელი, ან რეცენზენტი, ან წიგნის რედაქტორი, ან თუნდაც დამკვალიანებელი არ ყოფილიყო. განსაკუთრებით უყვარდა სოხუმელებთან აფხაზეთისა და შიდა ქართლის მთიანეთის (ე. წ. სამხრეთ ოსეთის) ისტორიის, კულტურისა და კონფლიქტების მოგვარების შესახებ საუბარი, უყვარდა ისტორიის ლაბირინთებში გასეირნება და წარსულის გამოცდილებაზე სამომავლო ორიენტირების ჭვრეტა, მათთან ერთად ოცნებობდა აფხაზეთში დაბრუნებაზე.

სამწუხაროა, რომ სრულიად ჯანმრთელი ადამიანი, თავისი შემოქმედებითი წვის ზენიტში მყოფი წავიდა ჩვენგან. წავიდა კეთილშობილი, გამორჩეულად გულკეთილი და თბილი ადამიანი, რომელმაც დიდი სიყვარული დატოვა მისი კოლეგების, აღზრდილებისა და ყველა იმ ადამიანის სულში, ვისაც თუნდაც ერთხელ ჰქონია გულწრფელი და ტკივილიანი საუბარი სამშობლოს ჭირვარამზე დაფიქრებულ თამაზ ბერაძესთან.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის
შრომების ავტორთა კოლექტივი

ჩვენი ავტორები

ბეჭან ხორავა
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის დირექტორი.

ლია ახალაძე
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, განათლების ფაკულტეტის დეკანი.

თამარ ბელქანია
თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორი.

ტარიელ ფუტკარაძე
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის ქართული უნივერსიტეტის სრული პროფესორი.

კახა ფიფია
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

გიორგი ქავთარაძე
ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი.

დაზმირ ჯოჯუა
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი.

ავთანდილ კილასონია
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის

ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ზაზა ფურფუმია
ისტორიის დოქტორი, საქართველოს საპატრიარქოს წმიდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტის სრული პროფესორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

რამაზ ჭანტურია
ისტორიის დოქტორი, სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი.

ზურაბ პაპასქირი
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრული პროფესორი, სსუ სამეცნიერო კოორდინაციის სამსახურის უფროსი.

დავით ჭითანავა
ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი

ომარ არდაშელია
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნიერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

კახა კვაშილავა
ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო კოორდინაციის სამსახურის თანამშრომელი. სსუ საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

გურამ ყორანაშვილი
ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი

მალხაზ ბარამიძე
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი. აფხაზეთის ა/რ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი.

ელისო ბაღათურია –კნერი
ლუდვიგ მაქსიმილიანეს უნივერსიტეტის (მიუნხენი) წინარე და ადრეული ისტორიისა და პროვინციალურრომაული არქეოლოგიის ინსტიტუტის დოქტორანტი

ნოდარ ბერულავა

ისტორიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი

დარიკო ფიფია

ფილოლოგიის დოქტორი, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი.

პაპუნა გაბისონია

ისტორიის დოქტორი, ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი.

სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი
სსუ ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

მარი ბროსე
2 1 0

SOKHUMI STATE UNIVERSITY
INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY OF SSU

MARIE BROSSET
2 1 0

ტირაჟი: 200 ეგზემპლარი.

გამომცემლობა „მერიდიანი“.
ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის, 47; ტელ.: 239-15-22
E-mail: *info@meridianpub.com*